ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

X

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

X

თბილისი
Tbilisi
2016

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
შალვა გლოველი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Shalva Gloveli
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia

http://geohistory.humanities.tsu.ge
E-mail: geohistory@tsu.ge

შემდგენლები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 201

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

მარიამ ლორთქიფანიძე, გიორგი ოთხმეზური
ივანე ჯავახიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა 9

ნიკო ჯავახიშვილი
ივანე ჯავახიშვილის წინაპრები მამის მხრიდან 37

Niko Javakhishvili
Ivane Javakhishvili's Paternal Ancestry (Summary) 61

როზეტა გუჯეჯიანი
ივანე ჯავახიშვილი და სვანეთის ეთნოლოგიის კვლევის საკითხები 62

Rozeta Gujejiani
Ivane Javakhishvili and Issues of Ethnological Study of Svaneti (Summary) 71

თედო დუნდუა, აკაკი ჩიქობავა
მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება
(ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით) 72

Tedo Dundua, Akaki Chikobava
Coin as a Means of Propaganda (According to Georgian Numismatics)
(Summary) 93

მარიკა მშვილდაძე
ანტიკური კულტები საქართველოში (ათენა) 99

Marika Mshvildadze
Antique Deities in Georgia (Athena) (Summary)..... 110

მარიამ ჩხარტიშვილი
ვახტანგ გორგასლის საგვარეულო კუთვნილების საკითხი ხოსროვანთა
სამეფო ოჯახის ისტორიის ფონზე 111

Mariam Chkhartishvili
On the Issue of Vakhtang Gorgasali's Family Belonging and Some Facts of
Georgian Chosroids' History (Summary) 136

მაია შაორშაძე
კაწარეთის (სამების) საეპისკოპოსოს ისტორიიდან (V-XVIII სს.) 137

Maia Shaorshadze
From the History of Katsareti (Trinity) Episcopate (5th-18th Centuries)
(Summary) 158

ნესტან სულავა
წმ. მიქაელ პარეხელი ქართულ ჰაგიოგრაფიაში 159

Nestan Sulava
Michael Parecheli in Georgian Hagiography (Summary) 176

ალექსანდრე ბოშიშვილი
წარწერა ბარდუსის ციხიდან 177

Alexander Boshishvili
Inscription From Bardusi Fortress (Summary) 192

ლერი თავაძე
მაგისტროსი ქაიან იბერიელი 193

Leri Tavadze
Magistros Kaian Iberian (Summary) 200

ჯაბა სამუშია
ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან (ყუთლუ-არსლანი) 201

Jaba Samushia
At the Origins of Georgian Parliamentarism (Qutlu Arslan) (Summary) 222

ნათია ფიფია
არგონავტები და მედეა შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქის
ინგლისურენოვან ლიტერატურაში (ჯეფრი ჩოსერი, ჯონ ლიდგეიტი) 225

Natia Phiphia
The Argonauts and Medea in Medieval and Early Renaissance
English Literature (Geoffrey Chaucer, John Lydgate) (Summary) 239

მამუკა წურწუმია
წინამხრის დამცავი საშუალებები საქართველოში (სამკლავე) 240

Mamuka Tsurtsumia
Armguards in Georgia (Summary) 267

აპოლონ თაბუაშვილი
საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების, დამზადების და ფასების საკითხისათვის 268

Apolon Tabuashvili
On Spread, Production and Prices of Firearm in Georgia (Summary) 305

დიმიტრი შველიძე
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია „დიდი ომიანობის“ (პირველი მსოფლიო ომის) წლებში 306

Dimitri Shvelidze
Georgian Socialist-Federalist Party During the World War I (Summary) 318

თენგიზ სიმაშვილი
სტალინი და მთვარის კულტი 319

Tengiz Simashvili
Stalin and Cult of the Moon (Summary) 330

მიხეილ ბახტაძე
გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ 1921-1922 წლებში კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენებების შესახებ 331

Mikheil Bakhtadze
On the Report Read in Constantinople by General Ilia Odishelidze in 1921-1922 (Summary) 360

ქეთევან ნადირაძე
1924 წლის აჯანყების კვლევის შეფასებისთვის (საკითხის დასმა) 362

Ketevan Nadiradze
History of Study of Revolt 1924 (Summary) 371

საერთაშორისო პრეზენტაცია

International Conferences

Зураб Папаскири
Находил ли Иванэ Джавахишвили этническое различие между
т.н. «древними» и «новыми» абхазами 372

რეცენზია

Михаил Бахтадзе, Роланд Топчишвили,
Бондо Купатадзе, Дмитрий Швелидзе
Об искажении истории Грузии в азербайджанских изданиях 388

მირიან მახარაძე
საქართველოს ისტორიის უნიკალური ძეგლი 404

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

მარიამ ლორთქიფანიძე,
გიორგი ოთხმეზური

ივანე ჯავახიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობამ (1801-1810 წწ.) და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811-1814 წწ.) ჩვენს ქვეყანაში კულტურისა და მეცნიერების სტაგნაცია გამოიწვია. რუსეთში გადასახლებული ბაგრატიონი ბატონიშვილების (დავით, იოანე, თეიმურაზ)[1] და სამეგრელოს მთავართა სახლის შთამომავალ ნიკო დადიანის[2] ნაშრომების გარდა, ფაქტობრივად არაფერი ღირებული არ შექმნილა ქართველოლოგიური მიმართულებით XIX ს-ის I ნახევარში. ამავე საუკუნის შუახანებში, პირველი ევროპელი ქართველოლოგის მარი ბროსეს (1802-1880 წწ.) და დავით ჩუბინაშვილის[3] მოღვაწეობამ ქართული ისტორიოგრაფიის გამოცოცხლებას მისცა დასაბამი. საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1881 წელს ალ. ცაგარელისა და დ. ბაქრაძის ძალისხმევით, თბილისში ჩატარებულმა არქეოლოგთა V ყრილობამ.

XIX-XX სს-ის დასაწყისის ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა

[1] დავით, იოანე, თეიმურაზ ბატონიშვილები – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილები. თეიმურაზი იყო პირველი ქართველი აკადემიკოსი. 1837 წელს აირჩიეს პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მ. ბროსე მას თავის მასწავლებლად მიიჩნევდა.

[2] ნიკო დადიანი (1780-1834 წწ.) – ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. მას ეკუთვნის ისტორიული ნაშრომი „ქართველთ ცხოვრება“.

[3] დ. ჩუბინაშვილი (1814-1891 წწ.) – ლექსიკოგრაფი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე. დანერგა ქართული ენის სწავლება პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური სიტყვიერების ფაკულტეტზე. 1855 წელს იქვე დააარსა ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრა, რომლის გამგეც იყო 1871 წლამდე.

(ზემოთ დასახელებულთა გარდა – ნიკო მარი, პ. უვაროვა, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, ი. ბართოლომეი, ს. გორგაძე და სხვ.) მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ქართველოლოგიური დარგების კვლევა. მათმა ნაშრომებმა და გამოვლენილმა წყაროებმა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი დისციპლინების და სხვა ქართველოლოგიური მიმართულებების სამეცნიერო დარგებად ჩამოყალიბებისათვის მოამზადა ნიადაგი. ამ ამოცანის სისრულეში მოყვანა კი ითავა ივანე ჯავახიშვილმა და ბრწყინვალედაც გაართვა თავი.

1907 წელს საშინელი ტრაგედია დატრიალდა ჩვენს ქვეყანაში. დიდი ილია მოკლეს. ასეთ ვითარებაში ერის მეცნიერული და კულტურული მედროშეობა ივანე ჯავახიშვილმა ითავა და ღირსეულადაც ზიდა ეს მძიმე ტვირთი ცხოვრების ბოლომდე.

ჯავახიშვილები – „გუარნი მთავართა მათ ძუელთანი“. IX-XIII სს-ის დიდაზნაურ თორელთაგან მომდინარე ქართლის თავადური საგვარეულო. მათი ჯავახეთიდან წარმომავლობა ჯერ საკუთარ სახელში – „ჯავახ“ დაფიქსირდა (XIII-XIV სს-ის მიჯნა), ხოლო შემდეგ უკვე გვარის გაჩენას დაედო საფუძვლად.

რკონი[4] – თორელ-ჯავახიშვილთა რეზიდენცია და საგვარეულო მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი და ქართული სულიერების მნიშვნელოვანი სავანე – საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღების და ზრუნვის საგანი იყო „პატრონთა“ მხრიდან.

ბევრი გამოჩენილი საერო და საეკლესიო მოღვაწე მისცა საქართველოს თორელ-ჯავახიშვილთა საგვარეულომ.

თორელები – XI-XIII სს-ში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის სამეფო კარის უხუცესი-ვაზირები – ამირსპასალარები და მეჭურჭლეთუხუცესები, მეწინავე სადროშოდან სარდლები – „წინამებრძოლნი“, ჯავახეთის და მესხეთის, ვიდრე კარნუ-ქალაქამდე (არზრუმამდე) გამგებლები, ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავები.

ჯავახიშვილები – XIV-XVIII სს-ში საქართველოს სამეფო კარის თანადგომით გამორჩეულნი, „მეფეთა თანა შეზრდილ-გაზრდილნი“ (ალექსანდრე

[4] რკონის სამონასტრო კომპლექსი (კასპის რ-ნი, სოფ. ნაჩუბეთის მიდამოები, მდ. თეძმის ხეობა) – გამოიყოფა აღმშენებლობის რამდენიმე ეტაპი: 1. VII ს. – ღვთისმშობლის ეკლესია, გადაკეთებული X ს-ში; 2. XIII-XIV სს-ის მიჯნა – ღვთისმშობლის ეკლესიის კარიბჭე, სამლოცველო, ნათლისმცემლის ეკლესია და სატრაპეზო; 3. XVI-XVIII სს. – სამრეკლო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები; XVII ს-ის შუა ხანები – რკონის ციხე.

I დიდი და გამრეკელი), ერთგულებისთვის ყმა-მამულით შეწყალებულნი; მეაბჯრეთუხუცესის, მეფის ფარეშთუხუცესის, ბატონიშვილის სახლთუხუცესის, მეკობრისმძებნელის, მეღვინეთუხუცესის, სუფრაჯის, ბოქაულთუხუცესის და მდივანბეგის სახელოთა მფლობელები; ახალდაბის, გორისა და ატენის მოურავები, ურბნისისა და მანგლისის ეპარქიათა მღვდელმთავრები. ჯავახიშვილების საგვარეულოს გამოჩენილ წარმომადგენელთა სიქველესა და შემართებას გილანის ლაშქრობასა (1301 წ.) და ხალილ-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლებში (1487 წ., 1489 წ.) სპეციალურად აღნიშნავენ ქართველი მემატიანეები (ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი).

ამ საკითხის განხილვა შორს წაგვიყვანს და არც შეადგენს ჩვენი წერილის მიზანს. ალბათ საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, განვლილი ასწლეულის (ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან დღემდე), ყველაზე დიდი ქართველი ივანე ჯავახიშვილი, ბულა-თურქის შემოსევის დროს (953-954 წწ.) მოწამეობრივად აღსრულებული კონსტანტი-კახისა და გენიალური შოთა რუსთაველის შთამომავალია.

ივანე ჯავახიშვილის მამა – ალექსანდრე ჯავახიშვილი, განათლებული ქართველი არისტოკრატი და პედაგოგი, სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. გამოაქვეყნა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, გამოკვლევები გორისა და უფლისციხის აღწერილობათა შესახებ. მისი პედაგოგიური ღვაწლი წმ. სტანისლავის II და III და წმ. ანას II და III ხარისხების ორდენებით აღინიშნა.

დედა – სოფიო, სამცხიდან კახეთში გადასახლებული „მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლებელი“ ვახვახიშვილთა გვარის წარმომადგენელი. განათლებული არისტოკრატი, თავმდაბალი და დარბაისელი ქალბატონი.

ურთიერთპატივისცემა, სწრაფვა განათლებისაკენ, მშობლიური ისტორიის, ენის, მწიგნობრობის და კულტურის სიყვარული, პატრიოტიზმი, ჭეშმარიტ მამულიშვილთა ნაღვაწის გახსენება და დაფასება – ასეთი გარემო იყო შექმნილი ჯავახიშვილების ოჯახში. ასეთმა გენეტიკამ და აღზრდამ განაპირობა ივანე ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი მრწამსისა და პროფესიონალური ღირსებების ჩამოყალიბება. ამიტომაც ვერ მოახდინა მასზე გავლენა საქართველოს სასწავლებლებში გამეფებულმა მკაცრმა რუსიფიკატორულმა რეჟიმმა.

პეტერბურგში შექმნა ქართული ოჯახი ივანე ჯავახიშვილმა. 1906 წლის 30 ოქტომბერს დაიწერა ჯვარი ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანზე, რომელიც მისი ჭეშმარიტი „მეულლე“, თანამდგომი და თანამოაზრე იყო მთელი ცხოვრების მანძილზე. სამი შესანიშნავი შვილი აღუზარდეს ქვეყანას –

ნათელა, კახა და ალესანდრე (ლალი).[5]

ივანე ჯავახიშვილმა თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში (1888-1895 წწ.) გამოამჟღავნა ინტერესი ისტორიის საკითხების კვლევისადმი (წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ანდრია მოციქულის მოგზაურობა საქართველოში“ და რეფერატი ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის[6] შესახებ). ზაფხულს მშობლიურ სოფელ ხოვლეში ატარებდა. მისი მეთაურობით ახალგაზრდები ხოვლეგორაზე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე რკონის მონასტერმა. რკონის ნათლისმცემლის ეკლესიის დას. ფასადზე ამოკვეთილი, თემურ-ლენგის 1400 წ. ლაშქრობის მაუწყებელი წარწერა ივანე ჯავახიშვილის შემოტანილია სამეცნიერო მიმოქცევაში.[7]

გიმნაზიის დამთავრებისას ივანე ჯავახიშვილს უკვე გარკვეული ჰქონდა თავისი მომავალი, მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული ცხოვრების მიზანი – მეცნიერების გზით სამშობლოს სამსახური. ამიტომაც აირჩია სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგის უნივერსიტეტი. იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი ორიენტალისტიკის აღიარებული ცენტრი იყო მსოფლიოში. იქ იყო ყველაზე ძლიერი ქართველოლოგიური სკოლა, მთელს იმპერიაში ერთადერთი ქართული სიტყვიერების კათედრა. გიმნაზიის დირექტორმა მარკოვმა თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლეს შესანიშნავი დახასიათება მისცა. იმავე 1895 წელს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღნიშნული ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილების სტუდენტი გახდა, სადაც სპეციალობად საქართველოს და სომხეთის ისტორია აირჩია.

ივანე ჯავახიშვილის მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები: ნ. მარი, ალ. ცაგარელი, ვ. როზენი, ვ. ჟუკოვსკი, პ. კოკოვცოვი და სხვ.

---

[5] ივანე ჯავახიშვილის სამივე შვილი მეცნიერების გზას გაჰყვა. კახა – ცნობილი არქიტექტორი, საბავშვო თეატრის (ბათუმი), ფიზიკის ინსტიტუტის (თბილისი) და სხვ. შენობების ავტორი; ლალი (ალექსანდრე) – გამოჩენილი არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, წლების განმავლობაში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ნათელა – შესანიშნავი მეცნიერი, პროფესორი, მან უპატრონა დიდი მამის მეცნიერულ მემკვიდრეობას, შეადგინა (ა. ბაქრაძესთან ერთად) ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, რომელშიც თემატურად და ქრონოლოგიურად დალაგებული სამი ათასზე მეტი საარქივო ერთეულია შესული.

[6] ჰენრი ტომას ბოკლი (1821-1862 წწ.) – ინგლისელი ისტორიკოსი. მისი მთავარი ნაშრომია „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“, ორი ტომი.

[7] იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბ. 1966, გვ. 299.

ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტობის წლებში მეცნიერული კვლევის ისეთი მაღალი ნიჭი და უნარი გამოავლინა, რომ ნიკო მარმა მას მიმართა თხოვნით, ეთარგმნა ქართულიდან რუსულად „სიბრძნე ბალავრისა“. 1897 წელს II კურსის სტუდენტმა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი წარადგინა (დაიბეჭდა 1899 წ.). ნაშრომის შესაფასებლად ალბათ საკმარისია ითქვას, რომ ნიკო მარმა, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკან, აკად. ვ. როზენთან შეთანხმებით, მაშინვე შესთავაზა სწავლის დასრულების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენა.

1898 წელს მისი საკონკურსო ნაშრომი „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, პროფესორთა საბჭოს მიერ ოქროს მედლით იქნა დაჯილდოვებული.

სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი გახდა ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის ფუძემდებელი. 1897 წელს „ქართულ ბიბლიოგრაფიაში“ (რედ. ი. ყიფშიძე) დაბეჭდა საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე გაზ. „ივერიაში“ 1886-1896 წლებში გამოქვეყნებული წერილების ბიბლიოგრაფია, ხოლო სტუდენტობის წლებში და შემდგომ პერიოდში მოძიებული მასალების საფუძველზე „ვიზანტიისკი ვრემენიკში“ (ტ. XI – 1904; ტ. XII – 1906) საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული 69 სტატიის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. აღსანიშნავია, რომ ეს „ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები“ დიდად სცილდება მეცნიერული ბიბლიოგრაფიის ფარგლებს. მათში, წერილების შინაარსსა და შეფასებასთან ერთად, საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემური საკითხების ანალიზიცაა მოცემული.

1899 წ. – პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ხარისხის დიპლომით კურსდამთავრებული, ნიკო მარის წარდგინებით და სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით, იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად, პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე.

1901 წ. – ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და მიიღო „ქართული სიტყვიერების მაგისტრანტის“ ხარისხი. სამაგისტრო დისერტაცია თემაზე „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“, დაიცვა 1907 წელს. ნიკო მარის შეფასებით, ივანე ჯავახიშვილმა ამ ნაშრომით დასახა ახალი გზები, იდეები და შესაძლებლობანი ძველი საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესწავლაში.

1901-1902 წწ. – კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიავლინეს გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტში. აქ იგი ეკლესიისა და სამართლის ისტორია-

ში მუშაობდა მსოფლიოში ცნობილ მეცნიერ, იმჟამად უნივერსიტეტის რექტორ ადოლფ გუსტავ ჰარნაკთან. პროფ. ლამპრეხტის ხელმძღვანელობით გაიარა კურსი „შუა საუკუნეების ევროპა და ფეოდალური ინსტიტუტების ისტორია გერმანიაში“; პროფ. ბრუნერის ხელმძღვანელობით შეისწავლა გერმანული და სკანდინავიის ხალხების ძველი სამართლის ისტორია. თავისი თხოვნით, ბიზანტოლოგიაში სამუშაოდ მიამაგრეს პროფ. კრუმბახერს.

ივანე ჯავახიშვილის მიზანი ბერლინის უნივერსიტეტში, ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, ევროპელთათვის საქართველოს გაცნობა და მისი უძველესი კულტურით დაინტერესება იყო. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, თავისი განსწავლულობითა და საქმისადმი დამოკიდებულებით მან ბერლინის უნივერსიტეტის პროფესურის გამორჩეული ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა, რამაც შეაძლებინა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა. პროფ. ჰარნაკის შუამდგომლობით ივანე ჯავახიშვილს ერთი წლით (1902 წ. 1 აპრილამდე) გაუგრძელეს ბერლინის უნივერსიტეტში ყოფნის ვადა. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ივანე ჯავახიშვილისეული გერმანული თარგმნის გაცნობამ ჰარნაკი, უძველესი ქრისტიანობის ისტორიის მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი, ქართული ენითა და ქართული მწერლობის ძეგლებით დაინტერესა. ივანე ჯავახიშვილს დართეს ნება გერმანელებისთვის წაეკითხა ქართული ენის კურსები. თვითონ ჰარნაკს გაუჩნდა იდეა ბერლინის უნივერსიტეტში დაეარსებინა ქართველოლოგიის კათედრა, რათა შეევსო „საქრისტიანო აღმოსავლეთის“ შესწავლაში არსებული ხარვეზი. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ მაშინვე, 1901 წელს, დაიბეჭდა პრუსიის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის „სხდომათა უწყებებში“ (ტ. XXXVIII) – ივანე ჯავახიშვილის თარგმანით და კომენტარებით, ჰარნაკის შესავალი წერილით და ჰარნაკ-ჯავახიშვილის მოკლე ნარკვევით მარტვილობის შესახებ. შესავალ წერილში ჰარნაკი აღნიშნავს: „სამწუხაროდ, ამ ძველის-ძველი მდიდარი ლიტერატურის მქონე ქვეყანას, საქართველოს და მის ეკლესიას სრულებით არ ვიცნობთ ევროპაში. მისი ხელნაწერები მთელს აღმოსავლეთშია მოფენილი, დაწყებული სინას მთით და დამთავრებული პეტერბურგით. მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ევსტათი მცხეთელის ცხოვრება. გადავწყვიტე ეს ძეგლი ხელმისაწვდომი გავხადო საეკლესიო ისტორიის სპეციალისტებისათვის. სრული კომენტარის მიცემა ამ ძეგლისათვის მე არ შემიძლია, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის დახმარებით, რომელიც, ყველაფრის გარდა, სპარსულ ენაშიც ძლიერია, იმედი მაქვს მნიშვნელოვან ადგილებს განვმარტავ და მთელს ძეგლსაც თავის ისტორიულ ადგილს მივუჩენთ“.

ამავე დროს, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, პროფ. კ. შულცემ ქართულიდან გერმანულად თარგმნა და გამოაქვეყნა იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობა“.

ბერლინიდან პეტერბურგში დაბრუნებისთანავე ივანე ჯავახიშვილი სინას მთაზე[8] გაემგზავრა ნიკო მართან ერთად. ნიკო მარის ძალისხმევით პეტერბურგის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დათანხმდა სინას მთაზე სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობას ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის შემადგენლობით (1902 წლის აპრილი-აგვისტო). სინას მთა შემთხვევით არ იქნა შერჩეული. წმინდა მიწის მონასტრებში დაცული ქართული ხელნაწერები იყო უტყუარი დასტური საქართველოს უძველესი რელიგიური და კულტურული საგანმანათლებლო კავშირისა ქრისტიანულ აღმოსავლეთთან. უაღრესად ნაყოფიერი და რეზონანსული გამოდგა მოძღვარ-მოსწავლის სამეცნიერო ექსპედიცია წმინდა მიწაზე. 180-მდე ხელნაწერი იქნა გამოვლენილი და აღწერილი.

ნიკო მარის მიერ 1903 წლის 23 თებერვალს არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე გაკეთებულმა ექსპედიციის წინასწარმა ანგარიშმა დიდი გამოძახილი ჰპოვა რუსეთის და ევროპის სამეცნიერო და საეკლესიო წრეებში. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში გაიხსნა ბერძნულ-აღმოსავლური ეკლესიის ისტორიის (ქართული ეკლესიის ისტორიასთან ერთად) კათედრა. ა. ჰარნაკის შეფასებით „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც“.

სინას ექსპედიციის ორიოდე ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა ქართული ხელნაწერები ორ თანა-

[8] სინას მთა – მდებარეობს სინის ნახევარკუნძულზე. ბერძნებთან, სირიელებთან და ქრისტიან არაბებთან ერთად აქ ქართველთა მოღვაწეობა VI ს-დან დასტურდება, ხოლო IX-X სს-ში ჩამოყალიბდა ქართული კოლონია და მძლავრი ქართული სამწიგნობრო კერა. ქართველთა სამყოფელში, წმ. ეკატერინეს მონასტრის (აგებულია IV ს-ში) ხლუდში მოთავსებულ წმ. გიორგის სამლოცველოში, რომელიც ბერძნული წყაროების ცნობით, ქართველ მეფეთა საფასით იყო მოხატული, 1975 წელს გაჩენილი ხანძრის შედეგად ჩაინგრა იატაკი და აღმოჩნდა უსარმაზარი წიგნსაცავი (1100 ხელნაწერი და ურიცხვი ფრაგმენტი). 1990-2000 წწ-ში ხელნაწერთა ინსტიტუტიდან (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) მიქელინებული სამი ექსპედიციის შედეგად აღიწერა 141 ქართული ხელნაწერი და დაფიქსირდა 1600-ზე მეტი ფრამენტი. იხ., ს. ალექსიძე, უძველესი ცნობა ბაგრატიონთა დინასტიის შესახებ, ანამკი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ნ. შოშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, 2002, გვ. 23-36.

ბარ ნაწილად გაიყვეს.[9] ივანე ჯავახიშვილის „ნაწილში“ აღმოჩნდა უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერი – 864 წლის სინური მრავალთავი, რომლის შესახებაც აქამდე მხოლოდ ალ. ცაგარელის მოკლე აღწერილობა არსებობდა და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ქართული მწერლობის შედევრი, ნიკო მარის მიერ სანიმუშოდ გამოცემული 1911 წ., რომლის წყალობითაც გაეცნო საზოგადოება „უდაბნოს ვარსკვლავის“ მოღვაწეობას და ტაო-კლარჯეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებს და არნახულ სამონასტრო აღმშენებლობას. ივანე ჯავახიშვილმა, იცოდა რა ნიკო მარის დიდი ინტერესი სინური მრავალთავის მიმართ, სასწრაფოდ ახარა მასწავლებელს ხელნაწერის მიგნება და გადასცა აღსაწერად. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ გადათვალიერებისთანავე მიხვდა ივანე ჯავახიშვილი, თუ ქართული მწერლობის რაოდენ უნიკალურ ძეგლთან ჰქონდა საქმე. ასეთი საგანძურის მიგნება დიდი იშვიათობა და უდიდესი ბედნიერებაა ყველა მეცნიერის შემოქმედებით ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის შეთავაზებით, ძეგლის გამოცემა ნიკო მარს უნდა ეკისრა, რამეთუ იმ დროს ამ დიდ საქმეს მასზე უკეთ ვერავინ გაართმევდა თავს.[10]

ვფიქრობთ, მოტანილი ეპიზოდებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი დიდი ბუნების ადამიანი იყო ივანე ჯავახიშვილი, როგორ მძაფრად ჰქონდა ახალგაზრდობიდანვე გაღვივებული მეცნიერული სინდისი და პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა.

1903 წლის 1 იანვრიდან ვიდრე 1918 წლამდე ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრის პრივატ-დოცენტია. ამ წოდების და ლექციების წაკითხვის უფლების მისაღებად, პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებული წესის თანახმად, მას ორი საცდელი ლექციის ჩატარება მოუხდა: 1) ქართული ეკლესიის რეფორმა XI ს-ში და 2) სტეფანოს ორბელიანის ისტორია, როგორც წყარო ადგილობრივი ისტორიისა. ორივე ლექციას აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პროფესურამ

[9] ორიეე მკვლევარის შედგენილი აღწერილობები მათი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. ნიკო მარის – 1940 წ. გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, აკად. ი. კრაჩკოვისა და პროფ. ი. მეგრელიძის რედაქტორობით. ივანე ჯავახიშვილის – 1947 წ., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

[10] სხვათა შორის, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ გამოქვეყნების შემდეგ წელს (1912 წ.) ნიკო მარი რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრად აირჩიეს.

მაღალი შეფასება მისცა.

თავიდან ივანე ჯავახიშვილი ორ სპეცკურსს კითხულობდა: 1. საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაციის ისტორია VI-XII საუკუნეებში და 2. სომხეთის სოციალური წყობილება V ს-ში. ხოლო შემდეგ ყველა სპეცკურსს საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში (გარკვეული დროის შემდეგ სომხეთის ისტორიის სპეცკურსებს ასევე ნიკო მარის აღზრდილი ნ. ადონცი კითხულობდა). ეს სპეცკურსები დაედო საფუძვლად ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიებს ქართულ პალეოგრაფიაში, ქართული სამართლის და საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში.

ამ დროიდან მოყოლებული ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში აშკარად იკვეთება ერთი გენერალური ხაზი – საფუძველი ჩაუყაროს ქართველოლოგიური ცენტრის პეტერბურგიდან თბილისში გადმოტანას. ამას ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის „პეტერბურგული პერიოდის“ სამეცნიერო შრომები. 1899-1917 წლებში მან ორმოცი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა – ორი გერმანულ ენაზე (ბერლინის უნივერსიტეტში ყოფნისას), ოცდაორი რუსულ ენაზე და თექვსმეტი ქართულ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ თავისი სამეცნიერო ცხოვრების პირველი ოცი წელი რუსეთში გაატარა, რუსულად მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომი და რამდენიმე სამეცნიერო სტატია აქვს დაწერილი. რუსულად დაწერილი შრომების უმრავლესობას შეადგენს ენციკლოპედიური ლექსიკონებისთვის დაწერილი წერილები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, რეცენზიები. იმავე პერიოდში შექმნილი ყველა კაპიტალური ნაშრომი ქართულ ენაზეა დაწერილი და საქართველოშია დაბეჭდილი: ქართველი ერის ისტორია (წ. I – 1908 წ., II – 1914 წ.) საქართველოს ეკონომიური ისტორია (წ. I – 1907 წ.), სერიიდან „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ – ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (1916 წ.); 1909 წელს ალმანახში „ერი“ დაიწყო ქართული სამართლის ისტორიის I ტომის (უძველესი დროიდან XIII ს-ის დამდეგამდე) ბეჭდვა, მაგრამ ცენზურამ ალმანახი აკრძალა და პუბლიკაცია შეწყდა.

ივანე ჯავახიშვილი კარგად ხედავდა, რომ მკაცრი რუსიფიკატორული რეჟიმის პირობებში და სამშობლოდან მოწყვეტილი, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში გაბნეული ქართველი ახალგაზრდები და მეცნიერები თანდათან ივიწყებდნენ ქართულ ენას, ქართულად მსჯელობას და აზროვნებას და „საყველპურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ქართულად ლაპარაკი არ ეხერხებოდათ“.

ასეთ ვითარებაში ქართული მეცნიერების განვითარების კერა და ცენ-

ტრი საქართველოში ვერ დაფუძნდებოდა. ამ პრობლემის დაძლევა პეტერბურგის უნივერსიტეტში მის მიერ 1903 წელს დაარსებულ საქართველოს ისტორიის შემსწავლელ სექციას დაეკისრა, რომლის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა და 1907 წელს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრედ ჩამოყალიბდა. „სამეცნიერო წრის“ მნიშვნელობას თვითონ ივანე ჯავახიშვილი ასე აფასებდა: „1907 წელს დაარსებული იყო ქართული სამეცნიერო წრე – თითქოს სრულებით მარტივი და სრულებით უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად, მოხსენებები იწერებოდა ქართულად და სხვადასხვა დარგის შესახებ კამათი, მსჯელობა ქართულად სწარმოებდა და ვარჯიშობა დაიწყო, ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და მოიპოვა უნარი მეტყველებისა, რომელიც მანამდე არ ჰქონდა“.

1904 წელს დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ბროშურა „მამულიშვილობა და მეცნიერება“ (რეცენზია ი. გოგებაშვილის თხზულებაზე „ბურჯი ეროვნებისა“), სადაც აბსოლუტურად გაზიარებულია („სრული ჭეშმარიტება გახლავთ“) იაკობ გოგებაშვილის დებულება, რომ „დედაენას ერისა და კერძო პირების განვითარებასა და წარმატებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დედაენა წარსული და თანამედროვე ცხოვრების სარკეა“.

მოტანილი ამონარიდებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილს სრულიად ჰქონდა გათავისებული ქართული ენის მნიშვნელობის ილიასეული შეფასება – „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ამავე წერილში ივანე ჯავახიშვილი მკაცრად აკრიტიკებს ი. გოგებაშვილის „შემცდარ აზრს“, რომ „მეცნიერის მამულიშვილური მოვალეობაა“ თავისი ქვეყნის „გამოსარჩლებითი, ადვოკატური“ ისტორიის წერა. „ღირსებათა განდიდება და ნაკლოვანებათა შემცირება“. ასეთი „პატრიოტიზმისადმი“ მისი პასუხი იყო, რომ „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად გამოიკვლიოს და შეისწავლოს ერის წარსული... ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსულის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი... გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა ჰგრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით ჰსურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დაიკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს“.

ეს ის პერიოდია, როცა ივანე ჯავახიშვილი მეცნიერული კვლევა-ძიების სარბიელზე გამოდიოდა. ამ დროს საქართველოს ისტორიის მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროებისა და ნივთიერი ძეგლების დიდი ნაწილი უკვე აღმოჩენილ-დაცული თუ გამოცემული იყო. მაგრამ ამ წყაროებისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება არ იდგა იმდროინდელი მოწინავე მეცნიერების დონეზე. საქართველოს ისტორიის მოყვარულთა წრეში მშობლიური წარსულის ყველა ძეგლისადმი გულუბრყვილო – მოწიწებითი, ნაციონალისტური დამოკიდებულება იყო გაბატონებული, როდესაც წარსულის ყველა ძეგლი უტყუარ და ჭეშმარიტ წყაროდ ცხადდებოდა, მაშინ, როდესაც დიდმპყრობელურ-შოვინისტური წრეები, პირიქით, უარყოფით, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ნერგავდნენ ამ ძეგლებისადმი. ივანე ჯავახიშვილმა თამამად გაილაშქრა როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულების წინააღმდეგ. წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა წითელ ზოლად გასდევს მთელს მის შემოქმედებას. „მრავალი რამ გასწორდება განსვენებული მეცნიერის შრომებში – წერდა ნ. ბერძენიშვილი, – მისი ნამუშაკევის საფუძველზე თანდათან ახალი მეცნიერული ნაგებობანი გაჩნდება, ქართული ისტორიოგრაფია განვითარების შემდგომ საფეხურებს მიაღწევს, მაგრამ სამუდამოდ დარჩება ეტაპი, ივანე ჯავახიშვილმა რომ შექმნა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში, დარჩება და იარსებებს ისევე, როგორც არსებობს ქართული ისტორიული აზროვნების ეტაპები, ჟამთააღმწერლის, დიდი ვახუშტის...“.

ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში კრიტიკული მეთოდის დანერგვის ეტაპია.

1917 წელს, როცა რეალურად დადგა დღის წესრიგში თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნა, მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მათ შორის იყო ნიკო მარი. მისი ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი პროფესორთა და სტუდენტთა კადრების ნაკლებობა იყო, რის გამოც უნივერსიტეტი ვერ შეძლებდა სრულყოფილად ფუნქციონირებას. მაგრამ ივანე ჯავახიშვილს უკვე დიდი ხნის გარკვეული ჰქონდა ეს საკითხი. ჯერ კიდევ 1910 წელს, მისი მითითებით პეტერბურგის „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ“ შეადგინა ე.წ. „ანკეტა“ და დააგზავნა რუსეთისა (მოსკოვი, კიევი, ოდესა და სხვ.) და ევროპის (ლიეჟი, ჟენევა, პარიზი, ლაიფციგი, ბრიუსელი, ბერლინი) სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში. უკან დაბრუნებულმა ანკეტამ, აკაკი შანიძის სიტყვებით, „ცხადყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია. არ იყო თითქმის არც ერთი დარგი მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტექნიკისა, რომ მას არ

დასწაფებოდეს ქართველი სტუდენტი. ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი იყო". აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტებში დაახლოებით 30 მეცნიერი და 1000-მდე სტუდენტი იყო გაბნეული.

„სამეცნიერო წრემ" აგრეთვე მოწოდებით მიმართა ყველა გამომცემლობას, რათა მათ სავალდებულო ცალები დაეგზავნათ თბილისისა და ქუთაისის მუზეუმებისათვის იქ წიგნადი ფონდის შესაქმნელად. 1915 წელს გამოიცა „სამეცნიერო წრის" წევრთა შრომების კრებული (შვიდი ნაშრომი).

1916 წელს დაიბეჭდა წრის წევრთა შედგენილი, ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალების ბიბლიოგრაფია (1852-1910 წწ.).

პეტერბურგში მოღვაწეობისას ივანე ჯავახიშვილი საზაფხულო არდადაგებს ძირითადად სამშობლოში ატარებდა (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა), მაგრამ ეს არდადაგები არასოდეს არ იყო დასვენება. საქართველოში მშობლიური ისტორიისა და, საერთოდ, მეცნიერებისადმი ინტერესის გასაღვივებლად, რაც ასევე მომავალი ქართული უნივერსიტეტის გახსნას შეუწყობდა ხელს, საჯარო ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, გორი, ზესტაფონი...) ე. წ. „საშობაო უნივერსიტეტის"[11] ეგიდით, ხოლო 1908 წლიდან მისივე ინიციატივით დაარსებულ „ზაფხულის უნივერსიტეტში", მჭიდროდ თანამშრომლობდა ექვთიმე თაყაიშვილის დაარსებულ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, რომლის მიზანიც ასევე იყო ახალგაზრდა ქართული მეცნიერების დარგების განვითარება და საზოგადოების ინტერესის გაღვიძება მის მიმართ, იყო „საზოგადოების" ნამდვილი წევრი, ხოლო ე. თაყაიშვილის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ 10 წლის განმავლობაში (გაუქმებამდე) სათავეში ედგა მას (1922-1932 წწ.).

ივანე ჯავახიშვილის მუშაობის მიზანს საქართველოს მეცნიერულად გამართული ისტორიის დაწერა შეადგენდა. ივანე ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა საქართველოს ისტორიის ძირითადი საკვანძო საკითხების დამუშავების შემდეგ ისტორიის ფილოსოფიის პრობლემებზე მუშაობა. ის თავიდანვე ცდილობდა საქართველოს და, საერთოდ, აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ამ თვალსაზრისით გაშუქებას, რასაც მოწმობს მისი შესავალი ლექცია პეტერბურგის უნივერსიტეტში, როდესაც ის იწყებდა მუშაობას პრივატ-დოცენ-

[11] თბილისის მასწავლებლებმა თხოვნით მიმართეს რუსეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებს საშობაოდ გაემართათ საჯარო ლექციები. ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ თხოვნას, წაიკითხა ლექცია საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან.

ტად 1902 წელს.

ამ შესავალ ლექციაში ჩამოყალიბებულია მისი მეცნიერული კრედო: საქართველოს ისტორიის განხილვა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიასთან მჭიდრო კონტაქტში, საქართველოსა და სომხეთში მიმდინარე სოციალურ და ინტელექტუალურ პროცესთა შესწავლა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების ძირითადი პრობლემების კვლევა.

მაგრამ ამ დასახული მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო ჯერ დიდი ეგრეთ წოდებული „შავი სამუშაოს“ ჩატარება, საჭირო იყო საქართველოს ფაქტიური ისტორიის გამართვა, საქართველოს ისტორიული წარსულის ყველა კომპონენტის შესწავლა ყოველგვარი წყაროების გათვალისწინებით, ფაქტობრივად აუცილებელი იყო თითქმის ყველაფრის თავიდან დაწყება. ამიტომაა, ივანე ჯავახიშვილი საკუთრივ და წმინდა ისტორიულ პრობლემებთან ერთად რომ იწყებს ქართული ენის პრობლემის, საქართველოს ეკონომიკური თუ სამართლის ისტორიის, მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემების, მუსიკის ისტორიის კვლევას. მთელი ეს კვლევა-ძიება მას საქართველოს ისტორიის საშენ მასალად ესაჭიროებოდა.

არსებული ვითარება მას არ აძლევდა საშუალებას ყველაფერი ცალ-ცალკე გამოეკვლია, ის იძულებული იყო პარალელურად ემუშავა რამდენიმე პრობლემაზე. რასაკვირველია, ყველა სფეროში ერთნაირი მდგომარეობა არ იყო. ზოგი საკითხი მეტად იყო შესწავლილი, ზოგი – ნაკლებად. მაგრამ საქართველოს ისტორიის შესწავლა პირველ რიგში მაინც ქართული საისტორიო წყაროების მეცნიერული შეფასებით უნდა დაწყებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დასასრულიდან საქართველოს ისტორიის უანგარო მოამაგეთა წყალობით დიდძალი რაოდენობით დაგროვდა საქართველოს ისტორიის წყაროები, ივანე ჯავახიშვილის წინამორბედი ისტორიკოსები ვერ გასცდნენ „ქართლის ცხოვრების“ ჩარჩოებს და „საქართველოს ისტორიას“ მისი სქემით ადგენდნენ. ივანე ჯავახიშვილმა მთლიანად დაარღვია ეს ტრადიციული წრე. მან გააფართოვა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, თავის კვლევა-ძიებაში ფართოდ გამოიყენა ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, გლიპტიკური და სხვა ძეგლები, უცხოური წყაროები და არქეოლოგიური მასალა. მრავალი წყარო მან პირველმა აღმოაჩინა და შემოიტანა მეცნიერულ მიმოქცევაში, გაამდიდრა საქართველოს ისტორია ახალი ფაქტიური მასალით და ასე შეიარაღებული შეუდგა „ქართველი ერის ისტორიის“ წერას.

მაგრამ საქმე მარტო ახალი წყაროების შემოტანას და ახალი ფაქტების დადგენას არ ეხებოდა. ქართული აგიოგრაფიული მწერლობის, დოკუმენტებისა თუ რიგი უცხოური წყაროების მონაცემებით ივანე ჯავახიშვილის წინამორბედი ზოგი ისტორიკოსიც სარგებლობდა. მაგრამ XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები ამ მონაცემებით სარგებლობდნენ ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა შესავსებად. სქემა საქართველოს ისტორიისა ისევ „ქართლის ცხოვრების“ წრეში ტრიალებდა. ივანე ჯავახიშვილმა კი ეს წყაროები პირველ რიგში „ქართლის ცხოვრების“ მონაცემთა კრიტიკისათვის გამოიყენა და დაარღვია საქართველოს ისტორიული ტრადიციული სქემა. ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ და ამ ისტორიის „შესავალი“ მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XVII საუკუნემდე. ეს „ისტორია“ დაწერილია იმდროინდელი ისტორიული მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით. ავტორის მიერ გამოყენებული და კრიტიკულად შეფასებულია იმ დროს ცნობილი ყველა წყარო. ძველაღმოსავლური, ბერძნულ-ლათინური, სომხური, არაბულ-სპარსული და ევროპული ენების ცოდნა მას საშუალებას ძლევდა საქართველოს ისტორიის კურსის შესაქმნელად გამოეყენებინა როგორც ამ ენებზე არსებული მრავალრიცხოვანი წყაროები, ასევე მის თანამედროვე რუს და ევროპელ ისტორიკოსთა შრომები, გაეთვალისწინებინა მოწინავე რუსული და ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევები.

თავის სიცოცხლეში ივანე ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის“ I და II წიგნები (XIII საუკუნის დასაწყისამდე) გამოსცა მთლიანად. ის შემდეგაც აგრძელებდა ამ საკითხებზე მუშაობას და შემდგომ გამოცემებში მრავალი ახალი ფაქტი თუ გამოკვლევაა შეტანილი. თავისსავე სიცოცხლეში გაამზადა გამოსაცემად მან „ქართველი ერის ისტორიის“ III ტომი (XIII-XIV საუკუნეების ისტორია), მანვე გამოსცა IV ტომის I ნაწილი (XV-XVI სს.), ხოლო XVII-XVIII საუკუნეების ისტორია მასალის სახით იყო დაცული მის არქივში და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიას“ წინ ეპიგრამად შეიძლება წაემძღვაროს მისივე სიტყვები: „ქართველების ნატვრისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო. ეს არის ისტორია ქართული სახელმწიფოს შექმნისა, ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის ბრძოლისა“.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა საისტორიო წყაროების კრიტიკული შეფასებით უნდა დაწყებულიყო. საქართველოს ისტორიის წყაროების კრიტიკული შესწავლით ივანე ჯავახიშვილმა

საფუძველი ჩაუყარა ქართული ისტორიული მეცნიერების მრავალ დამხმარე თუ სპეციალურ დარგს: წყაროთმცოდნეობას, დიპლომატიკას, ნუმიზმატიკა-მეტროლოგიას, პალეოგრაფიას და სხვ. მან დააარსა მეცნიერული სერია: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, რომლის ცალკე წიგნებად გამოსცა დამხმარე დისციპლინებისადმი მიძღვნილი ნაშრომები. ამ სერიის პირველი წიგნი, რომელიც მიძღვნილია ძველი ქართული საისტორიო თხზულებების განხილვისადმი, იწყება ქართული მწერლობის უძველესი ძეგლით, იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობით“[12] და მთავრდება XVIII საუკუნის დასასრულის ისტორიკოსის ომან ხერხეულიძის ნაშრომით „მეფობა მეფის ირაკლი მეორისას“ განხილვით. გარდა იმისა, რომ ამ ნაშრომში გარკვეულია თითოეული თხზულების ავტორის ვინაობა, თხზულების დაწერის დრო, ამასთანავე შესწავლილია ქართული საისტორიო თხზულებების ტერმინოლოგია, საისტორიო თხზულებების წერის მეთოდები ძველ საქართველოში, მოცემულია ქართული ისტორიული აზროვნების პერიოდიზაცია, მისი აღმავლობისა და დაცემა-დაკნინების დროისა და პირობების განსაზღვრით. საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა ჩამოაყალიბა საისტორიო თხზულების შესწავლის მეთოდოლოგია.

„სამწუხაროა, რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ და არცა ჰქონიათ, რომ თვითოეული ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა იმიტომ, რომ მემატიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვე იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანამხუდარი და თვითმხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს.

თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერელის თვალსაზრისი, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავის ძლიერს დაღს ასვამს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს, ... მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარისა მემატიანეც მეფეთა საძრახისს საქციელს,

[12] როგორც ბოლო პერიოდის გამოკვლევებით არის დადგენილი, ქართული მწერლობის უძველესი ძეგლია „წმინდა ნინოს ცხოვრება“. მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები. თბ., 1987.

ან სათაკილო ამბების აღწერილობას თავის ნაწარმოებში არ შეიტანდა, ხოლო მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურისადმი სიძულვილს ვერ შეიკავებდა“.

ამ სერიის ერთი წიგნი (1925 წ.) ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის საკითხს ეძღვნება. ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებლად ივანე ჯავახიშვილს მიხ. ბარათაშვილი მიაჩნდა. ამასთანავე ის მიუთითებდა მარი ბროსეს, ბართლომეს, ლანგლუას და განსაკუთრებით ევგენი პახომოვის შრომების დიდ მნიშვნელობაზე ქართული მუნიზმატიკის განვითარების საქმეში. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში დადგენილია ქართული ნუმიზმატიკის ტერნიმოლოგია, შესწავლილია ის ცვლილება, რაც დროთა განმავლობაში ქართული საზომების სისტემაში ხდებოდა და ეს ცვლილებები დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან.

მანვე ჩაუყარა საფუძველი ქართულ სიგელთმცოდნეობას ანუ დიპლომატიკას, როგორც მენციერებას (1926 წ.). ამ ნაშრომში მიმოხილულია უცხოური (ფრანგული, გერმანული, იტალიური, ბიზანტიური, სპარსული, სომხური) და ქართული სიგელთმცოდნეობის განვითარება. მის მიერ დადგენილია ქართული დიპლომატიკური ტერმინოლოგია, შესწავლილია ქართული საბუთების ძირითადი სახეები, სიგელების შემადგენელი ნაწილები, მათი გაცემისა და დამტკიცების წესი.

საბუთებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის აღსადგენად. ქართული დიპლომატიკის ძეგლები მანამდეც იყო გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის, მაგრამ ჩვენში დოკუმენტებისადმი კრიტიკული მიდგომის მეთოდი ივანე ჯავახიშვილამდე არ არსებობდა.

ივანე ჯავახიშვილის დიდი შრომის – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“ ერთი ნაწილია „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (1926).

უნივერსიტეტის დამთავრებისას ივანე ჯავახიშვილი, როგორც თვითონ აღნიშნავს, ძველი ქართული ანბანის ასოებსაც კი ვერ სცნობდა. მაგრამ, მოკლე ხანში, იმდენად ღრმად შეისწავლა საკითხი, რომ უკვე 1914 წლიდან დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვა, რომელიც შეავსო და დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტში 1918-1921 წწ-ში. 1918 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა ქართულ პალეოგრაფიას. სწორედ ამ პერიოდში (1914-1921 წწ.) დაწერა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული დამწერლობათმცოდნეობა“. წიგნი გამოქვეყნდა სამჯერ – 1926, 1949 და 1996 წწ-ში (უკანასკნელი გამოცემა იხ. ივ.

ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX). II და III გამოცემებს დართული აქვს ივანე ჯავახიშვილის შემდეგდროინდელი ეპიგრაფიკულ-პალეოგრაფიული ხასიათის ორ-ორი ნაშრომი.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის მრავალი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი იყო გამოვლენილი. განსაკუთრებით დიდი წვლილი ამ მხრივ მიუძღვით მ. ბროსეს და ე. თაყაიშვილს, მაგრამ ფაქტობრივად არაფერი იყო გაკეთებული ამ ძეგლების პალეოგრაფიული დახასიათების და პალეოგრაფიული კრიტერიუმების დადგენის თვალსაზრისით. ნაშრომს ფუძემდებლური მნიშვნელოვა აქვს ქართულ პალეოგრაფიაში. ძირითადი ყურადღება მასში, ბუნებრივია, დათმობილი აქვს დამწერლობის პრობლემას. თუმცა განხილულია პალეოგრაფიის სხვა საკითხებიც: ეპიგრაფიკული ძეგლების, პალიმფსესტებისა და ხელნაწერი წიგნების მონაცემების საფუძველზე დადგენილია პალეოგრაფიული ტერმინოლოგია, შესწავლილია საწერი მასალა და იარაღი, წერის ტექნიკის გარეგანი პირობები, გადამწერთა ამხანაგობანი, ხელნაწერის შემადგენელი ნაწილები, წიგნის შემზადება, მისი მხატვრული შემკობა და დაზიანებულის განახლება, ქართულ სამონასტრო წიგნსაცავთა კატალოგები, დაქარაგმების, განკვეთილობის, სასვენი, პირობითი, სამუსიკო, ფულის საანგარიშო და რიცხვნიშნები და სხვა. ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი გამოყოფს სამ ძირითად საკითხს: ქართული დამწერლობის წარმოქმნა, ქართული დამწერლობის სახეები და ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები. ივანე ჯავახიშვილის დებულებამ, რომ ეპიგრაფიკის დამწერლობა თავისებურია და განირჩევა რბილ მასალაზე (ეტრატი, ქაღალდი) შესრულებული დამწერლობისაგან, დასაბამი მისცა ეპიგრაფიკის პალეოგრაფიას. ამიერიდან წარწერების დამწერლობა განიხილებოდა ცალკე და მისი განვითარების საფეხურებიც დგებოდა ცალკე, ეტრატის და ქაღალდის დამწერლობისაგან დამოუკიდებლად. ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული დამწერლობის (ძირითადად ასომთავრულის) განვითარების კვლევა პირველ რიგში წარმოებდა ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით.

ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა ძველ ქართულ წყაროებში დადასტურებული ქართული დამწერლობის სახეების აღმნიშვნელი ტერმინები. პალეოგრაფიულად და შინაარსობრივად შეისწავლა და წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით განიხილა იმ დროისათვის ცნობილი ძველი ქართული დამწერლობის უმთავრესი ძეგლები, როგორც ეპიგრაფიკული (V-XI სს.), ისე ეტრატზე (მათ შორის პალიმფსესტები) და ქაღალდზე (V-XVI სს.) დაწერილი და დაადგინა ქართული დამწერლობის განვითარების ზოგადი ხაზი – ქართული

დამწერლობის სახეები და განვითარების საფეხურები, ასომთავრული დამწერლობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

ივანე ჯავახიშვილმა საფუძვლიანი მეცნიერული არგუმენტებით უარყო მოსაზრება ქართული ანბანის ახ. წ.-ით V ს-ში შექმნის შესახებ და წამოაყენა ჰიპოთეზა ქართული ანბანის არამეულიდან წარმოშობის შესახებ ძვ. წ.-ით VII ს-ში.

დიდია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების განვითარებისა და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით შესწავლის საქმეში. ვახუშტი ბაგრატიონის საქმის გამგრძელებელი ,,ქართველი ერის ისტორიის" სათანადო განაკვეთებში და სხვა ნაშრომებში საგანგებოდ იხილავს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, იკვლევს ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას, ეთნო, ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ერთეულებს, იძლევა ცალკეულ პუნქტთა ლოკალიზაციას.

იმ დროს, როდესაც ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის შესწავლას იწყებდა, არ იყო შესწავლილი ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა ქართული სამართლის ისტორია, საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ამ მეცნიერულ დისციპლინათა ფუძემდებლადაც ჩვენში ივანე ჯავახიშვილი გვევლინება.

როგორც სხვა შემთხვევებშიც, ამჯერადაც ივანე ჯავახიშვილი ამ დარგებში კვლევას სამართლებრივი და ეკონომიკური ისტორიის წყაროების შესწავლით, მათი კრიტიკული განხილვით, ქართული ეკონომიკური და სამართლებრივი ტერმინოლოგიის დადგენით იწყებს.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლის საკითხში ივანე ჯავახიშვილს წინამორბედი ფაქტობრივად არ ჰყოლია. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლის აუცილებლობის საკითხი გასული საუკუნის 80-იან წლებში პირველად დააყენა ქართველი ერის დიდმა მოამაგემ ილია ჭავჭავაძემ. ილია წერდა:

„ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თვისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ვთქვათ მკლავმა და გულმა შესძლო იარაღით გამკლავებოდა მტერს, ... მაგრამ... საკვირველი ეს არის, რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი

თითქმის ქუდზე კაცად უნდა ამდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისგან მტვრად არ აღგვილიყო და საზრდოობას ვინ აძლევდა და რა აძლევდა“.

ილიამ სცადა მის მიერ დასახულ კითხვებზე პასუხის გაცემა. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ იყო საკითხის გადაწყვეტა. საქართველოს ეკონომიკური ისტორია შესწავლას ელოდა. ივანე ჯავახიშვილისათვის აშკარა იყო საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლის აუცილებლობა და ამიტომ ამ საქმეს თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველ წლებშივე მოჰკიდა ხელი. მისი საქართველოს ეკონომიკური ისტორიის პირველი წიგნი 1907 წელს გამოვიდა, ხოლო შემდეგ, ხელახლა დამუშავებული ეკონომიკური ისტორიის I და II ტომები 1930 და 1934 წლებში.

საქართველოს ეკონომიკური ისტორია მას გააზრებული ჰქონდა, როგორც მთელი საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარისა და დარგის მიმოხილვა: სოფლის მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მიწისმოქმედნი და მიწათმფლობელნი და მათი ეკონომიკური დამოკიდებულება, ქალაქები, ვაჭრობა-ხელოსნობა, საქალაქო მეურნეობა, ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციები...

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მისი „ქართული სამართლის ისტორია“. ამ გამოკვლევაზე მუშაობა მან 1928, 1929 წლებში დაამთავრა. ნაშრომში (სამი წიგნი) შესწავლილია საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძირითადი საფეხურები უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. ამავე პრობლემას უკავშირდება მისი სამაგისტრო დისერტაცია ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო წყობილების შესახებ. ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორია საზოგადოებრივი წყობილების საფეხურების მიხედვით განიხილა და მოგვცა საქართველოს ისტორიის საზოგადოებრივი წყობილების მიხედვით პერიოდიზაციის პირველი ცდა. ამავე ნაშრომში მის მიერ შესწავლილია ქართული სახელმწიფოს სამმართველო აპარატი, ხელმწიფის კარისა და პროვინციის განმგებელი მოხელეების (ვაზირებისა და ერისთავების) ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი, სახელმწიფოს და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხი, ფეოდალური შეუვალობა-იმუნიტეტის პრობლემა, ქართული ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის რიგი საკვანძო საკითხები.

ივანე ჯავახიშვილი ილაშქრებდა ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იმ თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანთა მოდგმას დაბალ და მაღალ რასებად ყოფდა, ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც თვლიდა, რომ მხოლოდ ინდოევროპული რასის წარმომადგენლებს აქვთ სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების უნარი, რომ მხოლოდ მათ შესწევთ ძალა წოდებრივი და კლასობრივი ბრძოლით მოიპოვონ სოციალური თავისუფლება. ივანე ჯავახიშვილი რევოლუციამდელი რუსული ორიენტალისტიკის პროგრესულ იდეებს იზიარებდა აღმოსავლეთის ხალხთა როლის შეფასებაში, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის კონკრეტულ მაგალითებზე ასაბუთებდა, რომ აღმოსავლეთის ხალხებშიც არსებობდა წოდებათა შორის ბრძოლა და ინტენსიური პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრება. მანვე აღნიშნა, რომ უფლებრივი, თეოლოგიური თუ ლიტერატურული საკითხები ისევე აინტერესებდათ აზიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, როგორც იმათ, ვინც გაიარა დასავლეთ ევროპის შუასაუკუნოვანი კულტურა.

მსოფლიოს სხვადასხვა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხებთან საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის გარკვევით და საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლით ივანე ჯავახიშვილმა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას და კულტურას, საკუთრივ ქართულსა და სომხურს, თავისი ადგილი მოიპოვა მსოფლიო ისტორიაში.

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიას იხილავდა მთლიანობაში, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის ყველა მხარის წარმოჩენა მიაჩნდა აუცილებლად. რასაკვირველია, მთელი ამ დიდი ამოცანის სრულად გადაწყვეტა და ყველა ამ საკითხის შესწავლა თაობათა შრომას მოითხოვს, მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა მისი დიდი უნარის, ერუდიციისა და საქმისადმი თავდადების წყალობით შეძლო ის, რომ მისი მადლიანი ხელი საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს შეეხო.

საქართველოს ისტორიის მეცნიერულად გამართვისათვის აუცილებელი იყო მისი უცხოური წყაროების კრიტიკულად შესწავლა და მათი ცნობების შეფასება. ეს მუშაობა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი უცხოური წყაროების, სომხური მწერლობის შესწავლით დაიწყო. მან 1935 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი („ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“), რომელშიც მეცნიერულადაა შესწავლილი სომხური მართიროლოგიურ-აგიოგრაფიული მწერლობა და წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისითაა გაანალიზებული V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კორიუნის თხზულება. ივანე ჯავახიშვილმა პირველმა, მეცნიერულად დაასაბუთა, რომ კორიუნის ცნობა ქართული ანბანის შექმნის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს და მესროპ მაშტოცი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქართული ანბანის შემქმნელი.

საქართველოს წყაროთა წრის გაფართოების მიზნით ივანე ჯავახიშვი-

ლი ძეგლთა წყაროთმცოდნეობით შესწავლასთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდა საისტორიო წყაროთა გამომზეურების და გამოცემის ხაზით. 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული პალიმფსესტების აღმოჩენით დაიწყო ახალი ეტაპი ქართული დამწერლობის ისტორიის შესწავლის საქმეში. მის მიერაა მიკვლეული „ქართლის ცხოვრების“ უძველესი, ანასეული ნუსხა, მის მიერაა გამოცემული ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილ ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის შეფასებისათვის აუცილებელია იმდროინდელი მეცნიერების დონის გათვალისწინება საერთოდ, მისი შეფასება იმ პოზიციებიდან, თუ რამდენად იდგა ის თავისი თანამედროვე რუსული და ევროპული ისტორიოგრაფიის დონეზე, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა დონეზე იდგა ჯავახიშვილის წინამორბედი და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია.

ივანე ჯავახიშვილი ფართო მეცნიერული ერუდიციის მკვლევარი იყო. მისი გამოკვლევები გასაოცარი სიღრმითა და საფუძვლიანობით გამოირჩევა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ნაშრომები ერთი მეცნიერის კალამს ეკუთვნის.

ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება არა მარტო საქართველოს ისტორიული წარსულის წარმოჩენას, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასაც ემსახურებოდა. 1919 წელს დაიბეჭდა მისი ნაშრომი „საქართველოს საზღვრები – ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“. წიგნი გამოქვეყნდა იმ დროს, როცა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას ბრძოლით უხდებოდა თავისი ისტორიული ტერიტორიების შენარჩუნება. ივანე ჯავახიშვილი სამეცნიერო პოზიციებიდან ჩაერთო ამ ბრძოლაში. ნაშრომის გაცნობა „მკითხველს, უეჭველია ნათლად დაანახვებდა თუ რა საზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორის თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში“.

ნამდვილად „ნათლად დაინახავს“ მკითხველი, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას, რუსეთის 1921 წლის ანექსიის შედეგად 21 ათასი კვადრატული კილომეტრი ჩამოეჭრა (სამწუხაროდ ეს პროცესი დღესაც გრძელდება).

XX ს-ის დასაწყისისთვის ქართველ მოწინავე ინტელიგენციაში მომწიფებული იყო აზრი ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის შესახებ. ფაზისის ფილოსოფიისა და რიტორიკის სკოლა (IV ს.),

გელათის, იყალთოსა და შიო-მღვიმის აკადემიები, უძველესი დროიდან არსებული ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები „ქრისტიანულ აღმოსავლეთში“ – ასეთი მაღალი კულტურისა და უძველესი განათლების ტრადიციების მქონე ერისთვის სრულიად ბუნებრივი იყო სურვილი, ჰქონდა საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი.

ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო ამ მიზნისაკენ სვლა. ხუროთმოძღვარ სიმონ კლდიაშვილის აღმართული შენობა, დღევანდელი უნივერსიტეტის I კორპუსი, სადაც იმ დროს გიმნაზია იყო განთავსებული, ილიას სწორედ ქართული უნივერსიტეტისთვის ჰქონდა გამიზნული.

ქართული საზოგადოების მზადყოფნას ეროვნული უმაღლესი განათლებისათვის, მოწმობს ის გარემოება, რომ ივანე ჯავახიშვილის ზემოთ დასახელებული კაპიტალური გამოკვლევები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე საქართველოში იბეჭდებოდა და ამ ნაშრომებს აქ თავისი მკითხველი საზოგადოება ჰაყვდა. აგრეთვე, ის საჯარო ლექციები, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მართავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. ახალგაზრდა ქართული მეცნიერების ეროვნული დარგების განვითარებასა და საზოგადოების ინტერესის გაცხოველებაში მის მიმართ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით დაარსებულმა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, პირველმა აკადემიურმა დაწესებულებამ საქართველოში.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში ქართული უნივერსიტეტის გახსნის ყოველი ცდა მარცხით დამთავრდა.

1917 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებული რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად ცარიზმი დაემხო. ბევრი ითქვა და დაიწერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებზე, რამდენი და რა რთული წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა ქართველ მოღვაწეთა ერთ მცირე ჯგუფს დასახული მიზნის მისაღწევად. ჩვენ დეტალურად აღარ შევეხებით ამ საკითხებს, მხოლოდ ძირითად მომენტებს შევახსენებთ საზოგადოებას.

1917 წლის 1 მარტი – ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგში, თავის ბინაზე (ლახტის ქ. №9) შეკრიბა იქ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა მცირე ჯგუფი (შ. ნუცუბიძე, აკ. ნაკაშიძე, ი. ყიფშიძე და სხვ.), რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ებრძოლათ ეროვნული უმაღლესი სკოლის დაარსებისათვის, კერძო სასწავლებლის სახით მაინც.

12 მაისი – ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზო-

გადოების კრება. კრებამ მიიღო დადგენილება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. შემუშავებულ იქნა საუნივერსიტეტო წესდება. სხდომაზე (შემდეგ 17 მაისს ქუთაისში) ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ". შეიქმნა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება.

დროებითმა მთავრობამ არ დაამტკიცა უნივერსიტეტის წესდება. იმავე წლის ოქტომბერში რუსეთში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და საქართველო ფაქტობრივად გამოვიდა მისი გავლენის სფეროდან.

1917 წ. 26 ნოემბერი – ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე გაიმართა ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი წინასწარი სხდომა ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით (ესწრებოდნენ ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე) გადაწყდა უნივერსიტეტის დებულება წარედგინათ ამიერკავკასიის კომისარიატისთვის.

27 ნოემბერი – ივანე ჯავახიშვილმა ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა თხოვნით უნივერსიტეტის წესდების დასამტკიცებლად და მიიღო კიდეც დასტური. მიუხედავად ამისა, იმდენი პრობლემა წამოიჭრა (ფინანსური, ორგანიზაციული...) და იდენი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ამ იდეას თვით ქართულ საზოგადოებაში (უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებაც კი მოითხოვდა უნივერსიტეტის გახსნის გადადებას), რომ უნივერსიტეტის გახსნის საკითხი სათუო გახდა. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის და მის თანამოაზრეთა მცირე ჯგუფის უდიდესმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო.

1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქართული კერძო უნივერსიტეტი, რომელიც იმავე წელს სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა. ახლადგახსნილი უნივერსიტეტი აკურთხა და გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ.

26 იანვარი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. ეს დღე შემთხვევით არ იქნა შერჩეული. ამით ივანე ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობას. როგორც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა იყო საეტაპო მნიშვნელობისა საქართველოს ისტორიაში, ასევე უნივერსიტეტის დაარსებით ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ეტაპი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო რენესანსისა. სწორედ უნივერსიტეტს უნდა აღეზარდა მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული, მაღალი ეროვნული თვითშეგნებითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით განმსჭვალული მომავალი თაობა. ივანე ჯავახიშვილის საუნივერსიტეტო მოღვაწეობის

შედეგად ჩაეყარა საფუძველი და მას შემდეგ თითქმის მთელი საუკუნეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) მიმდინარე ყველა სამეცნიერო, საზოგადოებრივი და ეროვნული წამოწყების ფლაგმანია.

უნივერსიტეტის პირველ რექტორად პროფესორთა საბჭოს მიერ არჩეულ იქნა პეტრე მელიქიშვილი. ამ საკითხის გადაწყვეტის დროსაც გამოჩნდა ივანე ჯავახიშვილის უდიდესი ეროვნული და პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა. პროფესორთა საბჭოს საერთო სურვილი იყო, პირველი რექტორი ივანე ჯავახიშვილი გამხდარიყო. პეტრე მელიქიშვილის სიტყვებით, „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთად-ერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა. აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება“. მაგრამ თვითონ ივანე ჯავახიშვილმა, უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, თქვა უარი ამ უაღრესად პრესტიჟულ თანამდებობაზე და წამოაყენა პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა. თავისი გადაწყვეტილება ასე დაასაბუთა: „პეტრე მელიქიშვილი ცნობილი მეცნიერია, რუსეთშიაც და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს“.

1918 წლის 30 იანვარს (ახალი სტილით 12 თებერვალს) დაიწყო ლექციების კითხვა თბილისის უნივერსიტეტში. პირველი ლექციის ჩატარების საპატიო უფლება, ბუნებრივია, ივანე ჯავახიშვილს ხვდა წილად. თემა იყო „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფოსო მწერლობასა და ცხოვრებაში“.[13]

ივანე ჯავახიშვილი გახდა იმ დროს უნივერსიტეტში არსებული ერთად-ერთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი.

იმავე წელს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით უნივერსიტეტში გაიხსნა საქართველოს ისტორიის კათედრა.

ივანე ჯავახიშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 1919-1926 წწ-ში. საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე 1918-1931 წწ-ში.

[13] უნივერსიტეტის რექტორის, აკად. ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, 2015 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლის პირველი საუნივერსიტეტო საჯარო ლექციის ჩატარების (12 თებერვალს) ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. 2015 წლის 12 თებერვალს უნივერსიტეტში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა წაიკითხა პირველი საჯარო ლექცია „ჩვენი სახელმწიფო“, 2016 წლის 12 თებერვალს აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ – „რამ გადაგვარჩინა“.

ივანე ჯავახიშვილმა შექმნა საქართველოს ისტორიის სამეცნიერო სკოლა. მისი აღზრდილები იყვნენ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი და სხვ. მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს ს. კაკაბაძე, თ. ლომოური და სხვ. ივანე ჯავახიშვილის გეგმით, საქართველოს მეზობელი ხალხების ისტორიის შესასწავლად, უნივერსიტეტში მოსამზადებლად მოიყვანეს ის მეცნიერები, რომლებსაც უმაღლესი განათლება (სრული ან არასრული) მიღებული ჰქონდათ რუსეთში: ალ. წერეთელი (მსოფლიო ისტორია), დ. ყიფშიძე (სომხეთის საისტორიო მწერლობა), მ. წერეთელი (ასირიოლოგია და ალმოსავლეთის ისტორია). ამასთანავე, უნივერსიტეტში სამუშაოდ მიიწვიეს რ. ბლეიკი (ბიზანტიის ისტორია) და მ. პოლიევქტოვი (რუსეთის ისტორია).

თუ რა დონეზე ხდებოდა ახალგაზრდა კადრების მომზადება ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, კარგად ჩანს ნ. ბერძენიშვილის 1926/1927 სასწავლო წლის აკადემიური ანგარიშიდან:

I. არაბული ენისა და ისტორიის შესწავლის მიზნით წავიკითხე და შევისწავლე: ყურანი, გრიგოლ პართელის ცხოვრება, იაჰია ანტიოქიელის ისტორია (X-XI სს. ბიზანტია), იბნ-ალ-ასირი (ეპიზოდები ჯვაროსანთა ომების ეპოქიდან) – არაბულად; კარაულოვის გამოცემა არაბული ტექსტებისა (არაბი გეოგრაფები კავკასიის შესახებ). დოზისა, გოლცდიერის და კრიმსკის წერილების კრებული „მუსლიმების ისტორია“; კრიმსკის „მუჰამედის ისტორიის წყაროები“; მიულერის „ისლამის ისტორია“; ჰიუარტის „არაბეთის ისტორია“.

II. ვმუშაობდი საქართველოს ისტორიის საკითხების გარშემო:

1. უნივერსიტეტის მუზეუმში[14] დაცულ ხელნაწერთაგან ვიწერდი ისტორიული ხასიათის მინაწერებს მათი შესწავლა-გამოცემის მიზნით.

2. შევისწავლე ხელნაწერი №558 და დავამუშავე საკითხები: ა) „ათონის კრებულის რედაქცია“. ბ) „ათონის კრებულის სულთა მატიანე ანუ აღაპები და მათი დათარიღება“.

3. შევისწავლე ხელნაწერები (ჩამოთვლილია 10 ხელნაწერი) და დავამუშავე შრომა: „ქართული სახელმწიფო წესწყობილების ერთი საკითხისათვის“.

1. დავამუშავე საკითხი: „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა

[14] უნივერსიტეტის მუზეუმის ფონდი შეიქმნა საეკლესიო მუზეუმის ბაზაზე, რომელიც 1921 წელს გადაეცა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს.

დას. საქართველოში XVI-XVIII სს-ში“.

2. ამავე დროს ვაგროვებდი მასალებს ზოგიერთი ქართული საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შესახებ XIII ს-ში მათი ურთიერთშორის დამოკიდებულების გამოკვლევის მიზნით.

ანგარიშს ახლავს ივანე ჯავახიშვილის რეზოლუცია: „ანგარიში დამაკმაყოფილებელია“.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

პირველი საუნივერსიტეტო გეგმით ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს, ქართული სამართლის ისტორიას, აგრეთვე, ატარებდა სემინარებს საქართველოს ისტორიაში; 1922 წელს გახსნილ სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე – საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას.

ეროვნული სულისკვეთების, ანტიმარქსისტული იდეოლოგიის ისტორიკოსი ვერ აიტანა საბჭოთა ხელისუფლებამ. ივანე ჯავახიშვილი ჯერ რექტორობიდან გაათავისუფლეს (1926 წ.), ხოლო შემდეგ საერთოდ გააგდეს უნივერსიტეტიდან (1931 წ.).

ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ ე.წ. „წითელმა პროფესურამ“ საშინელი კამპანია წამოიწყო, რომელმაც 1936 წელს ზენტის მიაღწია. არავინ იცის როგორ დამთავრდებოდა ივანე ჯავახიშვილის საწინააღმდეგო „დისკუსიები“, რომ არა მოულოდნელად სტალინის დაინტერესება მისი პიროვნებით. სტალინის დავალებით ივანე ჯავახიშვილმა თავის მოწაფეებთან, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილთან ერთად დაწერა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო,[15] პირველი ეროვნული სახელმძღვანელო საბჭოთა კავშირში, რომელიც ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა (1934 წ.) და სახელმწიფო პრემიით იქნა დაჯილდოვებული.

1936 წლიდანვე იწყება ივანე ჯავახიშვილის რეაბილიტაცია. მართალია, რექტორის და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობაზე არ დაუბრუნებიათ, მაგრამ დართეს ნება წაეკითხა ქართული სამართლის ისტორია იურისტებისათვის. დანიშნეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განტოფილების გამგედ, მიიწვიეს კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში

[15] 1936 წელს ერთ-ერთ ინგლისურენოვან გაზეთში სტალინის შესახებ დაიწერა, რომ ის იყო თვითონ ვეღური და ვეღური ხალხის შვილი. ამიტომ გაახსენდა იოსებ ბესარიონის ძეს სამშობლო. დასჭირდა, რომ უცხოელებს გაეგოთ, თუ რაოდენ ძველი და დიდი კულტურის ქვეყანა იყო საქართველო.

მეცნიერ-კონსულტანტად.

1939 წელს მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

იმ წლებში ჩვენში არავითარი ეროვნული მასშტაბის კულტურული საქმიანობა არ ხორციელდებოდა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობისა და უშუალო მონაწილეობის გარეშე.

1937 წელს საქართველოში დიდი ეროვნული ზეიმი ჩატარდა – აღინიშნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავი. საიუბილეო ზეიმის მენციერული მხარის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ივანე ჯავახიშვილი. საიუბილეო სამზადისთან დაკავშირებით დაარსდა შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის მუზეუმი, რომლის დირექტორადაც ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა.

1936 წლიდან ივანე ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა საქართველოში წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევას. შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, მისი წინადადებით, დაიწყო დმანისის, გეგუთის და რუსთაველის ეპოქის სხვა ძეგლების გათხრები; 1938 წლიდან სათავეში ჩაუდგა მცხეთა-არმაზის არქეოლოგიურ გათხრებს.

სამწუხაროდ, 64 წლის ასაკში შეწყდა დიდი ადამიანის გულისცემა. ივანე ჯავახიშვილმა, თავისი საყვარელი საქმის, ლექციის კითხვის დროს კათედრაზე დალია სული. ივანე ჯავახიშვილი მისი თაოსნობით დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა შესაფერი პატივი მიაგო დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ჭეშმარიტ მამულიშვილს. ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას (სამწუხაროდ, 2006 წლიდან კათედრები საერთოდ გააუქმეს უნივერსიტეტში), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ივანე ჯავახიშვილის პრემია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ქართველ ისტორიკოსთა (და არა მარტო ისტორიკოსთა) ყველა თაობის წარმომადგენლებმა (ა. შანიძე, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, გ. მელიქიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, ს. ჯორბენაძე, ვ. დონდუა, ა. სურგულაძე, მ. ვაჩნაძე, ვ. გურული და სხვ.) მიუძღვნეს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობ-

ას მონოგრაფიები, სტატიები, ბროშურები.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები დღესაც, მათი გამოქვეყნებიდან ასი წლის შემდეგ, სამაგიდო წიგნებია ქართველოლოგიური დარგების მკვლევართათვის. დღესაც, ივანე ჯავახიშვილის წამოყენებული დებულებებითა და დასახული გეგმებით ხდება ამ დარგების განვითარება. ივანე ჯავახიშვილის შეფასებას, ალბათ, ყველაზე უკეთ ესადაგება მის მიერ შოთა რუსთაველის მიმართ წარმოთქმული სიტყვები:

„კულტურის მოღვაწეთა და საზოგადოებას შორის ურთიერთვალდებულება მყარდება. მოღვაწე ქმნის და ამით თავისი მშობელი ერისადმი ვალდებულებას იხდის; მაგრამ თუ მის შემოქმედებას იმდენად დიდი ღირებულება აქვს, რომ თანამედროვეთათვის კი არა, არამედ შემდეგდროინდელ და მომდევნო საუკუნეთა თაობათათვისაც ძვირფას განძად რჩება, მაშინ მათაც, თავიანთ მხრივ, ამ მოღვაწის ხსოვნისადმი ზნეობრივი მოვალეობა უჩნდებათ, რომ მისი ქმნილება, მისგან დატოვებული განძი, ისევე შეურყეველად დაიცვან, როგორც თავის დროზე ავტორს ჰქონდა შექმნილი“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

ნიკო ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის წინაპრები მამის მხრიდან

წინამდებარე გამოკვლევაში მოთხრობილია დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის (1876-1940) წინაპრების შესახებ მამის მხრიდან.

აქვე დავსძენთ, რომ ივანე ჯავახიშვილის დედის წინაპრებისა და ნათესავების შესახებ დაწერილი ჩვენი გამოკვლევა ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა.[1]

ეს სტატია სამ ნარკვევად იყოფა. პირველ ნარკვევში წარმოჩენილია თავად ჯავახიშვილთა საგვარეულოს ისტორია, მეორეში შესწავლილია ჯავახიშვილთა საგვარეულო გერბები, ხოლო მესამეში წარმოდგენილნი არიან ივანე ჯავახიშვილის უშუალო წინაპრები მამის მხრიდან, ანუ პირდაპირი (მამრობითი) ხაზით.

1) თავად ჯავახიშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან

ჯავახიშვილებს საპატიო ადგილი ეკავათ ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის. ამ გვარის წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობდნენ სახელმწიფო და სამხედრო სარბიელზე და ბაგრატოვან ხელმწიფეთა სამეფო კარზე სხვადასხვა დროს ეპყრათ: მეჭურჭლეთუხუცესის, მეაბჯრეთუხუცესის, მდივანბეგის, ეშიკაღასბაშის, ბაზიერთუხუცესის, ფარეშთუხუცესის, ბოქაულთუხუცესისა და სხვა საპატიო თანამდებობები.

[1] ნ. ჯავახიშვილი. ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიის ნაკლებადცნობილი და უცნობი ფურცლები. ნაწილი პირველი. ივანე ჯავახიშვილის წინაპრები და ნათესავები დედის მხრიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 1. თბ. 2015, გვ. 196-213.

შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში ჯავახიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხშირად იხსენიებიან.[2]

უფლისწულმა ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონმა (1696-1756) თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჯავახიშვილთა გვარი მოიხსენია ქართველ მთავართა შორის.[3] იმავე ნაშრომში იხსენიებიან ჯავახიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებმაც სხვადასხვა დროს გამოიჩინეს თავი – XIV საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე წარჩინებული ფეოდალი გამრეკელ ჯავახის ძე, რომელიც მეფე ვახტანგ III-ის მხარდამხარ „მხნედ იბრძოდა“, ჯავახი, რომელმაც ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს დიდი დახმარება გაუწია 1488 წელს შემოჭრილი იაყუბ-ყაენის წინააღმდეგ ბრძოლაში, იოსები, რომელიც მთავარეპისკოპოსად დაადგინეს ერეკლე I-ის ქართლში მეფობის დროს.[4]

უფლისწული იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი (1768-1830) თავის გენეალოგიურ თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ თავად ჯავახიშვილთა შესახებ გვაუწყებს: „ეს პირველ იყვნენ მოსახლე აბულეთსა შინა, კერძოდ, ჯავახეთისა და ესენი იტყოდნენ ქართლოსიანთ გვარობასა ჯავახოსისგან შტამომავლობასა, ხოლო უკანასკნელ დროსა – მეფე ბაგრატისასა, ოდეს მეფე იქმნა ბაგრატ წელსა 1360 და დროსა ამისასა მოვიდა ლანგ თემურ და ბრძო მეფესა, მაშინ ჯავახოს სახელ წოდებით დიდად გაისარჯა მრავალგან ბრძო თათართა და შემდგომად მეფემან ამანვე გადმოასახლნა ჯავახოს და სახლეულნი მისნი და დააშენნა გაღმა მხარს ფხოელის ადგილსა შინა და უბოძა ხეობასა მას შინა ადგილნი და სოფელნი... აწ არიან მოსახლედ: 1) თეიმურაზის შვილები, 2) ვახუშტის შვილები, 3) დიმიტრის შვილები, 4) ქაიხოსროს შვილები, 5) იოსების შვილები“.[5]

---

[2] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. V. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ. ტომი შეადგინა და რედაქცია გაუწია მ. სურგულაძემ. თბ. 2015, გვ. 436-468.

[3] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 28.

[4] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 252; 387-388; 464.

[5] ი. ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). ზ. კაცელაშვილის გამოცემა. თბ. 1997, გვ. 32.

ჯავახიშვილთა საგვარეულოს ისტორიის შესწავლას საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნეს პროფესორებმა ნოდარ შოშიაშვილმა[6] და როლანდ თოფჩიშვილმა.[7] ამ გვარის გენეალოგიური ნუსხა შეადგინა საქართველოს გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ იური ჩიქოვანმა.[8] ხსენებული საგვარეულოს ზოგიერთი წარმომადგენლის შესახებ გამოქვეყნდა ჩვენი საენციკლოპედიო სტატიები,[9] ხოლო ივანე ჯავახიშვილის დედის წინაპრებისა და ნათესავების შესახებ – გამოკვლევა.[10]

დადგენილია, რომ წარჩინებულ ქართველ ფეოდალთა – ჯავახიშვილთა საგვარეულო სათავეს იღებს მესხეთიდან, კერძოდ, თორიდან (ძირითადად მოიცავდა თანამედროვე ბორჯომის რაიონის ტერიტორიას). იგი წარმოდგა თორელთა საგვარეულოს ძირითადი განშტოებიდან, რომელიც XII საუკუნეში დამკვიდრდა შიდა ქართლში, კერძოდ, თეძმის ხეობაში და ჩამოაყალიბა თავისი საფეოდალო, რომელიც XV საუკუნიდან სათავადოდ იქცა. თორელთა დანარჩენ საგვარეულო განშტოებებს წარმოადგენდნენ: ახალციხელები, რუსთაველები, სამძივრები, ღობიარები და ქვეშელები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს სხვადასხვა შეხედულება თორელთა თავდაპირველი გვარის შესახებ. ისტორიკოსთა ნაწილის (ნ. შოშიაშვილი, რ. თოფჩიშვილი) მოსაზრების თანახმად, თორელთა გვარი მომდინარეობს გამრეკელთა საგვარეულოდან, რასაც ადასტურებს თორელთა და შემდგომ ჯავახიშვილთა შორის მამაკაცის სახელ „გამრეკელის“ არსებობაც.

---

[6] ნ. შოშიაშვილი. ჯავახიშვილები. ენციკლოპედიური ლექსიკონი „ივანე ჯავახიშვილი“. თბ. 2002, გვ. 767-768.

[7] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, თბ. 2011, გვ. 441-445.

[8] С. Думин. П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского. С. Думин и Ю. Чиковани. Под редакцией С. Думина. М. 1998, გვ. 146-147; 155-157.

[9] ნ. ჯავახიშვილი. ჯავახიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, ჯავახიშვილი ალექსანდრე (ლალი) ივანეს ძე, ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, ჯავახიშვილი გამრეკელ, ჯავახიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, ჯავახიშვილი დავით გიორგის ძე, ჯავახიშვილი საქარია, ჯავახიშვილი თარხუჯ კახას ძე, ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, ჯავახიშვილი კახა ივანეს ძე, ჯავახიშვილი მსეჯაბუკ, ჯავახიშვილი ნათელა ივანეს ასული, ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული, ჯავახიშვილი პაატა, ჯავახიშვილი როინ (როინ-ბეგ), ჯავახიშვილი ჯავახ. ენციკლოპედიური ლექსიკონი „ივანე ჯავახიშვილი“. თბ. 2002.

[10] ნ. ჯავახიშვილი. ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიის ნაკლებადცნობილი და უცნობი ფურცლები, გვ. 196-213.

XIII საუკუნეში საქართველოს სამეფო კარზე თორელებს ეპყრათ მეჭურჭლეთუხუცესობა და ახალქალაქის ერისთავთერისთავობა. შემდგომ პერიოდში მათ დაკარგეს ასეთი მაღალი რანგის თანამდებობები და პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისით თანდათან დაემცრნენ. მათმა მეტოქე ჯაყელთა ძლიერმა ფეოდალურმა სახლმა შეძლო სამცხე-ჯავახეთიდან თორელთა განდევნა და მეჭურჭლეთუხუცესობაც თვითონ დაისაკუთრა.

თეძმის ხეობაში დამკვიდრებულ თორელთა საგვარეულო საძვალე იყო რკონის მონასტერი, რომელსაც მეჭურჭლეთუხუცესმა კახა თორელმა სოფელი ხოვლე შესწირა.

1259 წლით დათარიღებული საბუთით (შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი) ირკვევა, რომ მემამულე ალბუღაისაგან კახას შეუძენია ხოვლე და თავის მეუღლე ხათუთასთან (შვილები არ ჰყოლიათ) ერთად, ეს სოფელი შეუწირავს რკონის ღვთისმშობლის მონასტრისადმი.[11] ვინაიდან ეს ტაძარი წარმოადგენდა ამ გვარის ტრადიციულ სალოცავს, მას ჯავახიშვილთა ყოველი მომდევნო თაობა ყმა-მამულს სწირავდა.

ჯავახიშვილთა გვარის ფუძემდებელი იყო ჯავახ გამრეკელის ძე თორელი, რომელიც XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა. შემდგომში იგი სვიმონის სახელით შედგა ბერად იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. მისი ვაჟები იყვნენ XIV საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწენი – გამრეკელი, ივანე და შალვა, რომლებიც იწოდებოდნენ თორელ-ჯავახიშვილებად. XIV საუკუნის პირველ ნახევარში ხსენებული შალვა იყო საქართველოს მეფე გიორგი V-ის მეაბჯრეთუხუცესი. ჯავახის (შემდგომში – ბერი სვიმონის) შვილიშვილი – სარიჯნა (იგივე სარიჯანი), რომელიც XIV საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა და მისი მომდევნო თაობები უკვე ჯავახიშვილებად იწოდებოდნენ. ეს, ძირითადად, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ თორელთა ამ შტომ დაკარგა მიწის მფლობელობა წინაპართა მამულში – თორის რეგიონში.

ჯავახიშვილთა სათავადოს „საჯავახიანო“ ეწოდებოდა. მას თანდათანობით ემატებოდა ბაგრატოვან ხელმწიფეთაგან ბოძებული ყმა-მამული. კერძოდ, ამ გვარის ცალკეულმა წარმომადგენლებმა ქართველი მონარქებისაგან სხვადასხვა დროს მიიღეს შემდეგი სახის წყალობა: გიორგი V ბრწყინვალესაგან – ათენაგუენის მონასტერი, რომელიც კოჟრის ძირას მდებარეობდა

[11] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 57.

(1338 წ.); გიორგი VIII-საგან სოფლები ზემო და ქვემო ცხირეთი, ხანდაკი, ოძისი, ახალშენი, ზემო და ქვემო ელდისი – გამრეკელ ჯავახიშვილმა (1454 წ.); ავკეთი და იის ციხე – ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებმა (1463); ქართლის მეფე კონსტანტინე II-ისაგან – ცხირეთის გვერდი, ხანდაკი და თხილოვანი, მდებარე ქალაქის პირას – იმავე ჯავახიშვილებმა (1466 წ.); ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ისა და ქართლის მეფე კონსტანტინე II-საგან – ქვეშის ციხე და რატევანი (1468 წ.) და სხვ.

გარდა ხოვლესი, რომელიც თავად ჯავახიშვილთა ძირითად სამკვიდრო სოფელს წარმოადგენდა, ამ გვარის მფლობელობაში შედიოდა ყმა-გლეხებით დასახლებული მამულები, რომლებიც მდებარეობდა ქართლის სამეფოში შემავალ სოფლებში. მათ შორის სხვადასხვა დროს იყო შემდეგი სოფლები (ჩამოვთვლით ანბანურად): *აბანო, ახალქალაქი, ახალშენი, გარგალი, ელდისი (ზემო და ქვემო) ზაკვი (ზაკუ), ზე, ზენადრისი,* რომლის მახლობლადაც იდგა „ჯავახიანთ ციხე“ – ციხესიმაგრე სასახლითა და ეკლესიით, *მელე, ოძისი* (რომელიც მანგლისთან მდებარეობდა), *რკონი, საყავრე, სიონი, სკრა, ფიცესი, ქვენადრისი, ყარალაჯი, ცხირეთი, წოდორეთი, ჭვიროსი, ჭვარების საბორცე* და სხვ.

ქართველი მეფენი წყალობას არ იშურებდნენ თავად ჯავახიშვილთა მიმართ, რომელთაც ყმა-მამულების გარდა, მაღალ საერო თანამდებობებსაც უბოძებდნენ ხოლმე.

1345 წელს გიორგი V-მ ლაშქრობისას გაწეული სამსახურისათვის ყმა-მამული უბოძა გამრეკელ ჯავახის ძე ჯავახიშვილს.

1454 წელს გიორგი VIII-მ გამრეკელ ჯავახიშვილს უბოძა ჯერ გორის მოურავობა (ეს თანამდებობა მანამდე ზევდგინიძეებს ეკავათ), ხოლო შემდეგ – ატენის მოურავობა.

1468 წელს ქართლ-იმერეთის მეფემ ბაგრატ VI-მ განუახლა ზაქარია ჯავახიშვილს ქვემო ქართლში მდებარე ქვეშის ციხის ბაჟისა და რატევანის წყალობა.

1550 წელს ქართლის მეფე სიმონ I-მა გოშფარ ჯავახიშვილი დაადგინა მეკობრისმძებნელის თანამდებობაზე.

როსტომის მეფობის (1632-1658) პერიოდში პაატა ჯავახიშვილი იყო მეფის ფარეშთუხუცესი, ხოლო იმავდროულად მოურავი სამეფო სოფლებისა: ახალდაბისა და ოლთისისა (მდებარეობდა თრიალეთში). 1643 წელს მან გამოააშკარავა ქართლის ფეოდალთა შეთქმულება როსტომ მეფის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობდნენ ზაალ არაგვის ერისთავი და ნოდარ ციციშვილი.

იმავე პერიოდში ზემოხსენებული პაატას განაყოფი – როინ ჯავახიშვილი – იყო ბოქაულთუხუცესი და მდივანბეგი, ხოლო მისი ძე ქაიხოსრო – ბოქაულთუხუცესი.

XVII საუკუნის მიწურულს ქართლის სამეფო კარზე დაწინაურდნენ გოშფარ და ფარემუზ ჯავახიშვილები. ეს უკანასკნელი 1699 წელს უფლისწულის სახლთუხუცესად დაუდგენიათ.

1768 წელს ცხინვალის ნაცვალი იყო დავით ჯავახიშვილი.

ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდში დაწინაურდა ვახუშტი ჯავახიშვილი, რომელიც მდივანბეგი გახდა.[12]

ჯავახიშვილებმა თავი გამოიჩინეს არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიერო ასპარეზზეც. მათ ეპყრათ მანგლელი და ურბნელი მთავარეპისკოპოსების თანამდებობანი.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა მანგლელი მთავარეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც იყო ძე ზემოხსენებული ფარეშთუხუცესისა პაატა ჯავახიშვილისა. მისი მთავარეპისკოპოსობის დროს ერეკლე I-მა სამეფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა საჯავახიანოში მანგლისის ღმრთისმშობლისათვის შეწირული მამულები და სოფლები – მანგლისი და მეთრევანა.

იმავე საუკუნის მიწურულის ცნობილი სასულიერო მოღვაწე იყო ურბნელი მთავარეპისკოპოსი იოსებ ჯავახიშვილი.[13]

შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ქართული ხალხური გამონათქვამი – დალოცვა, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ოთხი წარჩინებული საგვარეულოსათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებაზე. კერძოდ, სასურველ პიროვნებას ასე დალოცავდნენ: *„ღმერთმა მოგცეთო – „ციციაანთ ქალობა, თარხნიაანთ გალობა, ბავრატიონთ ქონება, ჯავახიანთ გონება“.*[14]

---

[12] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. V, გვ. 438-468; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 133; 137; ქართული ისტორიული საბუთები (XIV-XV საუკუნეები). ტ. II. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ. თბ. 2013, გვ. 37-38; ქართული ისტორიული საბუთები (XV საუკუნის მეორე ნახევარი). ტ. III. შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. თბ. 2014, გვ. 83-84; 151-152; 171; ნ. შოშიაშვილი. ჯაჯახიშვილები, გვ. 767-768; რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 441-444.

[13] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. V, გვ. 441-452.

[14] ნ. ჯაჯახიშვილი. „ჯაჯახიანთ გონება“. ენციკლოპედიური ლექსიკონი „იეანე ჯაჯახიშვილი“. თბ. 2002, გვ. 766-767.

თორელთა გვარიდან ჯავახიშვილებს მემკვიდრეობით გადაეცათ მამაკაცთა სახელები: ჯავახი, გამრეკელი, კახა, შალვა, ივანე. მათგან პირველი სახელი თორელთა შორის დამკვიდრდა ჯავახეთის რეგიონში მათი სამამულე მფლობელობის გამო, გამრეკელი – გვარიდან გადაიქცა სახელად ამ საგვარეულო განშტოებიდან წარმოქმნილ თორელთა გვარში, ხოლო შალვა და ივანე ახალციხელ-თორელები იყვნენ XII საუკუნეში მოღვაწე სახელგანთქმული სარდლები.

XV საუკუნეში მოღვაწე ჯავახიშვილთაგან საისტორიო წყაროებში იხსენიებიან: გამრეკელ სარიჯნას ძე; მისი ვაჟები – ზაქარია, კახა, ზაზა, სოღა; გამრეკელის შვილიშვილები – ჯავახი, ივანე, შალვა.

XVI საუკუნიდან ჯავახიშვილებში ფეხი მოიკიდა ახალმა სახელებმა: როინი, ქაიხოსრო, პაატა, გოშპარი, ფარსადანი, შერმაზანი, ფარემუზი, ზაალი, თუმცა ძველი, ტრადიციული სახელების ნაწილი მაინც შემორჩა. მაგალითად, 1543 წლით დათარიღებულ საისტორიო საბუთში იხსენიება ჯავახ ჯავახიშვილი.

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე წყაროები იუწყებიან თავად ჯავახიშვილთა ხუთი ოჯახის შესახებ, რომელთა შორისაც იყვნენ: 1) როინის შვილები – მასური და ბეჟანი; 2) როინისშვილების განაყოფი ჯიმშერი; 3) ივანეს შვილი ქაიხოსრო; 4) შალვა, თავისი ძმებით და შვილებით; 5) გამრეკელი და მისი ვაჟები – თამაზი და შანშერი, ასული – შამანდუხი.

XVII საუკუნის განმავლობაში ზემოხსენებული ოჯახებიდან საისტორიო წყაროებში იხსენიება მხოლოდ შალვას შთამომავლობა, კერძოდ, მისი ერთ-ერთი შვილის – შანშეს – ოჯახი. ამ უკანასკნელის გარდა, შალვას კიდევ ჰყავდა ოთხი ვაჟი: ბიძინა, ფარსადანი, შერმაზანი, ხოსიტა.

XVII საუკუნის შუა ხანებში საისტორიო წყაროებში იხსენიებიან შანშეს ვაჟები: პაატა, როინი, შალვა და ქაიხოსრო. ისინი იყოფოდნენ ორ სახლად, რომლიდანაც ერთის თავკაცი იყო პაატა, ხოლო მეორისა – როინი.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნული პირველი სახლიდან დაწინაურდა გოშფარი, ხოლო მეორედან – ქაიხოსრო და ფარემუზი.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ქაიხოსროსა და ფარემუზის ვაჟები რამდენიმე სახლად გაიყარნენ. იმავე საუკუნის მეორე მეოთხედში ქაიხოსროს შვილებიდან სახლის უფროსებად ჩანან ოთარი და ვახტანგი, ხოლო ფარემუზის შვილებიდან – როინი და ავთანდილი. იმავე საუკუნის მიწურულს ავთანდილის ვაჟები – ვახუშტი, მზეჭაბუკი და თეიმურაზი – გაიყარნენ.

XVIII საუკუნის საისტორიო წყაროებში ძირითადად ზემოხსენებულ ჯავახიშვილთა შთამომავლები იხსენიებიან, ვინაიდან გოშფარის სახლი დაემ-

ცრო. იმავე საუკუნის მიწურულს გოშფარის სახლის ზოგიერთი წარმომადგენელი საჯავახიანოში თავისი უფლებების აღდგენას ცდილობდა.

ამ თავადური გვარის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა ცხრა ვასალი, ანუ ყმა-აზნაური, რომელთა შორისაც იყვნენ (ვასახელებთ ანბანურად): აბულვარდიშვილი, ბეჟანასშვილი, გამყრელიძე, გიორგისშვილი, ზაალდაშვილი (ზაალიშვილი), იორამისშვილი, მახვილაძე, ნინიასშვილი, შოთასშვილი. თითოეული მათგანი იყო წვრილი მემამულე-ფეოდალი, რომელსაც თავისი ყმა-გლეხები ჰყავდა. ეს აზნაურები ასრულებდნენ თავად ჯავახიშვილთა მიერ დაკისრებულ სხვადასხვა ვასალურ ვალდებულებას. მათგან ყველაზე მაღალი თანამდებობა ეკავათ აბულვარდიშვილებს, რომლებიც საჯავახიანოს სახლთუხუცესები იყვნენ.

თავად ჯავახიშვილებს ხანგრძლივი სამამულე დავა და მეტოქეობა ჰქონდათ სხვა ქართულ ფეოდალურ საგვარეულოებთან, მათ შორის – ჯაყელებთან, ფანასკერტელ-ციციშვილებთან და სააკაძე-თარხან-მოურავებთან.

საჯავახიანოში შემავალი მამულების გარკვეული ნაწილი თანდათან გადავიდა შიდა ქართლის გაღმა მხარეში გადმოსახლებულ ფანასკერტელ-ციციშვილთა მფლობელობაში, რასაც დაემატა მეფეთა მიერ სააკაძეთათვის გადაცემული საჯავახიანოს ნაწილიც. ამის გამო, XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ჯავახიშვილებს ხანგრძლივი დაპირისპირება ჰქონდათ სააკაძეებთან და, მათ შორის, სარდალ გიორგი სააკაძესთან.

ჯავახიშვილთა სათავადო სახლი, რასაკვირველია, უნათესავდებოდა სხვა ფეოდალურ სახლებს, ზოგჯერ მეტოქეებსაც, რის გამოც, მათ შორის ზავი ჩამოვარდებოდა ხოლმე. მაგალითად, XIV საუკუნის დასაწყისში დაიდო კეთილმოყვრობის წიგნი კახა თორელსა და ბექა ჯაყელს შორის; XV საუკუნის პირველ ნახევარში გამრეკელ ჯავახიშვილმა ცოლად შეირთო გულსურაბ ფანასკერტელი, რის გამოც აქტიურად დაეხმარა თაყა ფანასკერტელ-ციციშვილს სამამულო ბრძოლაში თავად ჩიჯავაძეებთან და, ასევე, ვახტანგ და დემეტრე ბაგრატიონებს შორის გაჩაღებული დინასტიური ბრძოლის პერიოდში; XVI საუკუნის მიწურულს გამრეკელ ჯავახიშვილმა თავისი ასული შამანდუხი მიათხოვა სახლთუხუცეს ივანე სააკაძეს და მზითვად ცხირეთი მისცა.

ჯავახიშვილთა ფეოდალურ სახლში მომხდარი გახშირებული გაყრის პროცესი, ასევე, ბაგრატიონთა შიდადინასტიურ მეტოქეობაში, ანდა შინაფეოდალურ ბრძოლებში მონაწილეობა, თანდათან ასუსტებდა ამ გვარს, როგორც პოლიტიკურად, ასევე სოციალურადაც. მაგალითად, 1588 წელს ქართლის მეფე სვიმონ I-მა ჯავახიშვილებს ჩამოართვა სოფელი ოძისი და გადასცა სიაუშ სააკაძეს; 1624 წელს გაიმართა სასამართლო, სადაც განიხილეს ქაი-

ხოსრო ჯავახიშვილსა და გიორგი სააკაძეს შორის არსებული დავა; ქართლის ლეგიტიმურმა მეფემ, გიორგი XI-მ, დაარბია გოშფარ ჯავახიშვილი, რომელიც მხარს უჭერდა ქართლში გამეფებულ ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელს ერეკლე I-ს (ნაზარ-ალი-ხანს) და სხვ.

ჯავახიშვილთა სათავადო საგვარეულოში გაყრა მოხდა: XV საუკუნის პირველ ნახევარში, XVI საუკუნის მეორე ნახევარში, XVII საუკუნის შუა ხანებში, XVIII საუკუნის ოციან წლებსა და იმავე საუკუნის მიწურულს. ზოგჯერ ამას ერთვოდა სტიქიური უბედურებებიც, მაგალითად, „ჭირიანობა“. ამის შედეგადაც კი ჯავახიშვილთა გაყრილ სახლებს თანდათან უმცირდებოდა ყმა-მამული, რასაც ვასალ აზნაურთა შემცირებაც მოსდევდა. მაგალითად, ქართლ-კახეთის მეფის ზემოხსენებულ მდივანბეგს, ვახუშტი ჯავახიშვილს, მხოლოდ ოთხი კომლი ყმა-გლეხი ებადა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ოდესღაც მძლავრი და გავლენიანი თავადი ჯავახიშვილები XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე თანდათან ხელმოკლე მემამულეებად იქცნენ.[15]

რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში დადებულ მფარველობით ტრაქტატს (1783 წ.) დართულ ქართველ თავადაზნაურთა ნუსხაში ჯავახიშვილები იხსენიებიან ქართლის თავადთა შორის. ტრაქტატში ასევე იხსენიებიან თავად ჯავახიშვილთა შემდეგი ყმა-აზნაურები (ვასახელებთ ანბანურად): აბულვარდიშვილი, ბეჟანიშვილი, გამყრელიძე, ზაალიშვილი, მახვილაძე, ნინიაშვილი,[16] რასაც იოანე ბაგრატიონი თავის გენეალოგიურ ნაშრომში ადასტურებს.[17]

აქედან ჩანს, რომ ნაცვლად წინანდელი ცხრა ვასალი აზნაურისა, იმხანად ჯავახიშვილებს მხოლოდ ექვსი აზნაური ჰყავდათ.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ თავადებად აღიარა ქართულ სათავადო საგვარეულოთა წარმომადგენლები და მათ შორის ჯავახიშვილების ორი შტო. მათგან ერთი შტო საქართველოში ცხოვრობდა, ხოლო მეორე შტო – 1724 წლიდან რუსეთში მოღვაწეობდა. ისინი წაჰყვნენ

[15] ნ. შოშიაშვილი. ჯავახიშვილები, გვ. 767-768; რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 441-445.

[16] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ. 1983, გვ. 58-62.

[17] ი. ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 98-99.

მეფე ვახტანგ VI-ს, რომელიც ქართლის სამეფოში შექმნილი უმძიმესი ვითარების გამო იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო და თავის ოჯახთან და მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად რუსეთში გადახვეწილიყო. ქართლის მეფის ამალის ნუსხაში იხსენიებიან ერასტი და შიოშ ჯავახიშვილები თავიანთი თანხლები პირებით, რომელთა შორისაც მათი პირადი მსახურნიც იყვნენ.[18] ხსენებულმა ჯავახიშვილებმა მოღვაწეობა გააგრძელეს რუსეთში, სადაც მათი შთამომავლობა ცნობილი იყო გვარით – ჟევახოვი («Жевахов»).

რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის ლიტერატურულ წრეში შედიოდა პოეტი ჯავახიშვილი (სახელი უცნობია), რომელიც სამეფო ამალის წევრი იყო. სამწუხაროდ, მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

სოლომონ ცაიშვილის აზრით, ეს პოეტი იყო იმ ქართველ ემიგრანტთა შორის, რომელთაც რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე მამულები უბოძა.[19]

რუსეთში მყოფი ვახტანგ VI-ის, ბაქარისა და მათი უახლოესი გარემოცვის წრეში გამართული ერთ-ერთი სააღდგომო ზეიმის დროს ერთმანეთი გაუცვნიათ ზემოხსენებულ პოეტ ჯავახიშვილს და ლეკთა ტყვეობიდან გაქცეულ დავით გურამიშვილს (1705-1792). მათ შორის გამართულა ლიტერატურული შეჯიბრი, რის შესახებაც ასე მოგვითხრობს დავით გურამიშვილი თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „დავითიანი“:

„ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,
პირად მჭლესა, ტანად ხმელსა, ვით ნუჟრიანს ხესა მრუდსა,
რაც მე უთხრი, მას მიაჩნდის, ვით ნარცეცხლა უკან კუდსა.
ბევრჯელ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა“.[20]

რუსეთში დასახლებულ თავად ჯავახიშვილთა (იგივე ჟევახოვთა) შორის გამოირჩეოდნენ: ვახტანგ VI-ის ამალის წევრი შიოში (რუსეთში – სიმონი), რომელიც ქართველ ჰუსართა პოლკში პოდპოლკოვნიკად მსახურობდა და მისი ვაჟები, გენერალ-მაიორები ფილიპე (1752-1817) და ივანე (1762-1837), ხსენებული პოლკის მაიორი ერასტი (რუსეთში – გერასიმე) და მისი ძე – გენერალ-მაიორი სპირიდონი (1768-1815).

რუსი მკვლევარ-გენეალოგების მ. კატინ-იარცევისა და ს. დუმინის ნარ-

[18] ს. ყუბანეიშვილი. დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში. თბ. 1955, გვ. 17; 132-133.

[19] ს. ცაიშვილი. ჯავახიშვილი. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. ტ. XI, თბ. 1987, გვ. 525.

[20] დ. გურამიშვილი. დავითიანი. თბ. 2005, გვ. 165.

კვეში „თავადი ჟევახოვები“ ზემოხსენებულ გენერალ ივანე ჟევახოვის (1762-1837) შესახებ ვკითხულობთ: «В Отечественной войне 1812 года участвовал в качестве шефа Серпуховского драгунского полка. Генерал-майор (8.04.1813), кавалер орденов Св. Георгия 4-й ст. (за кампанию 1806-1807 гг.) и Св. Владимира 3-й сь (1812), награждён золотой саблей за храбрость. После отставки (31.01.1817) жил в Одессе, где ещё в 1816 году приобрел землю; принимал деятельное участие в благоустройстве города, одна из улиц которого названа в честь него Княжеской, а большая прилегающая к городу возвышенность, у подножия которой расположен Хаджибеевский и другие лиманы, носит название «Жеваховой горы». Его портрет помещён в Военной галерее Зимнего дворца».[21]

ნაშრომში: „1812 წლის სამამულო ომი და კავკასიის ხალხები“ მისი ავტორი მ. ნერსისიანი წერს: «Из грузинских дворян Жеваховых (Джавахишвили) в Отечественной войне 1812 года участвовали братья Иван, Филипп и Семен, а также их родственники Спиридон Ерастович, Николай Егорович и Евстафий Теймуразович Жеваховы».[22]

შიოშ (სიმონ) ჯავახიშვილის შთამომავალთაგან, ასევე, ცნობილნი იყვნენ ვლადიმერ დავითის ძე (1874-1938), რომელიც ბერად აღკვეცის შემდეგ იოასაფის სახელით მოღვაწეობდა მოგილევის ეპისკოპოსად, ხოლო შემდეგ საბჭოური რეპრესიების მსხვერპლი გახდა და მისი ბიძაშვილი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი და იურისტი, დიმიტრი ვლადიმირის ძე (1869-1919), რომელიც 1919 წელს კიევში დახვრიტეს.

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ ჟევახოვების გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი რუსული არისტოკრატიის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად ემიგრაციაში წავიდა.

ეპისკოპოს იოასაფის ძმა ნიკოლოზი (1874-1938) მსახურობდა სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწედ და დაახლოებული იყო რუსეთის საიმპერატორო ოჯახთან. იხსენიება ნიკოლოზ II-ის მეულლის, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასულის, საიდუმლო მიმოწერაში.[23] ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მოღვაწეობდა იტალიის ქალაქ – ბარში, სადაც ხელმძღვანელობდა წმ. ნიკოლოზ მირლიკიელის საეკლესიო-არქეოლოგიურ კაბინეტს. მისი მო-

[21] С. Думин. П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 155-157.

[22] М. Нерсисян. Отечественная война и народы Кавказа. Ер. 1965, გვ. 140-141.

[23] О. Платонов. Николай Второй в секретной переписке. Москва, 2005.

გონებები წიგნად არის გამოცემული.[24]

რუს მკვლევარ-გენეალოგთა შეფასებით, ხსენებულმა ნიკოლოზ ჟევახოვმა «В мемуарах отразил борьбу внутри Русской православной церкви накануне революции, планировавшиеся в ней реформы. Был убежденным сторонником сохранения синодальной системы церковного управления и после восстановления патриаршества патриарху он отводил роль советника царя, а Синод хотел бы видеть собором епископов».[25]

ზემოხსენებული შიოშ ჯავახიშვილის შთამომავალია ნინა დიმიტრის ასული ჟევახოვა (დაბადებული 1947 წელს), რომელიც ამჟამად ისრაელში ცხოვრობს და ლიტერატურის სფეროში მოღვაწეობს. მის კალამს ეკუთვნის წიგნი „ჟევახოვები“,[26] რომელშიც გადმოცემულია მისი წინაპრების ისტორია.

1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დაამტკიცა ქართლ-კახეთის, იმერეთისა და გურიის თავადაზნაურთა სიები, რომლებშიც იხსენიებოდა ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებ თავად ჯავახიშვილთა ოჯახები შემდეგი შემადგენლობით: 1) პრაპორშიკი ქაიხოსრო ივანეს ძე, მისი მეუღლე მზეხათუნი, მათი ვაჟები – გიორგი, დავითი, მიხეილი, ასული – მაკა; 2) კაპიტანი ევსტაფი (იგულისხმება – ესტატე) თეიმურაზის ძე, მისი მეუღლე ელისაბედი, მათი ვაჟი ალექსანდრე, მისი მეუღლე ნატალია, მათი ვაჟები – გრიგოლი და კონსტანტინე, მიხეილ ევსტაფის ძის ქვრივი ელისაბედი; 3) ნიკოლოზ დიმიტრის ძე, მისი მეუღლე მაია, მათი ვაჟები – დიმიტრი, რაჟდენი, ივანე, ევსტაფი (იგულისხმება – ესტატე); ასულები – მაკა, ეკატერინე; ნიკოლოზის ძმა – პოდპორუჩიკი ივანე, მისი მეუღლე ნინო, მათი ვაჟები – ეგორი, კონსტანტინე, დავითი, ალექსანდრე, ასული სოფიო; 4) პოდპორუჩიკი იოსებ დიმიტრის ძე, მისი მეუღლე მარიამი, მათი ვაჟი გრიგოლი, იოსების დედა ელისაბედი.[27]

ამ ნუსხაში მეორე ნომრად წარმოდგენილ ოჯახში დასახელებული კაპიტანი ევსტაფი (იგივე ესტატე) თეიმურაზის ძე ჯავახიშვილი (დაბადებული 1772 წელს) 1812 წლიდან მსახურობდა რუსეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებში, კერძოდ, პავლოგრადის ჰუსართა პოლკში. მონაწილეობდა ომ-

[24] Н. Жевахов. Воспоминания товарища обер-прокурора Св. Синода. М. 1993.

[25] С. Думин. П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 156.

[26] Н. Жевахова. Жеваховы. Хайфа. 2010.

[27] ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ს. ჯუმბურიძის რედაქციით. თბ. 2005, გვ. 250.

ში ნაპოლეონის წინააღმდეგ. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ერთხანს სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა. დაკავშირებული იყო ქართული არისტოკრატიის შეთქმულებასთან, რომელიც 1832 წელს გამჟღავნდა. ცოლად ჰყავდა ელისაბედ იოანეს ასული ორბელიანი და ვაჟები: ალექსანდრე და მიხეილი.[28] ეს უკანასკნელი უკვე გარდაცვლილი იყო 1850 წლისათვის, როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს.

აქვე დავსძენთ, რომ გარდა ესტატე ჯავახიშვილისა, რომელიც სანკტ-პეტერბურგში დაკითხეს,[29] ზემოხსენებული შეთქმულების მონაწილეთა დაკითხვის მასალებში ასევე იხსენიებიან მისი ნათესავები – ქაიხოსრო და მიხეილ ჯავახიშვილები.[30]

ზემოხსენებულ ნუსხაში მესამე ნომრად წარმოდგენილ ოჯახში დასახელებული პოდპორუჩიკი ივანე დიმიტრის ძე ჯავახიშვილი იყო პაპა (მამის მამა) აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა.

იმავე პოდპორუჩიკის უფროსი ძმის ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჯავახიშვილის შვილთაშვილი, იოსებ ვასილის ძე ჯავახიშვილი (1897-1982), იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მისივე თაოსნობით დაარსებული საქართველოს კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტ ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით ზემოხსენებული იოსებ ჯავახიშვილი 1914 წელს ჩაირიცხა სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში.

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე (1888-1969) იგონებდა თავისი სტუდენტობის დროს მომხდარ ასეთ ფაქტს: „პეტერბურგში ქართველთა საზოგადოების კლუბში შევედი საღამოხანს. ვხედავ, მშვენიერი გარეგნობის ვაჟკაცი „ქართულს“ ცეკვავს. ქალები თვალს არ აშორებენ. „სოსო ჯავახიშვილიაო“, – მითხრეს“.[31]

აკადემიკოსი ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი (1914-2013)

[28] მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II. თბ. 1983, გვ. 265-266.
[29] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბ. 1976, გვ. 188.
[30] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. წინასიტყვაობა, მასალები, კომენტარები. ტ. II. თბ. 1970.
[31] თ. ჯავახიშვილი. მოგონებები. თბ. 2003, გვ. 36.

იგონებდა: „ბატონ იოსებ ჯავახიშვილს ახალგაზრდობიდან ვიცნობდი. მომხიბლავი გარეგნობის მამაკაცი იყო და ყოველთვის იქცევდა ყურადღებას საზოგადოებაში. თუ ამას დავუმატებთ მის მშვენიერ ქცევას და განსაკუთრებით ცეკვას, გასაგები გახდება, როგორი წარმატებით სარგებლობდა ყოველთვის. მისი მოხდენილი ტანადობა დიდად უწყობდა ამაში ხელს. ასეთი ლამაზი და დახვეწილი ქართულის ცეკვა მერე თითქმის არავისგან მახსოვს. ნამდვილი თავადური ცეკვა იყო, ლაღი და ამაყი. სილამაზე და იერი ხანშიშესულობამდე შერჩა... განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი ხასიათის ერთი დამახასიათებელი თვისება – პრინციპულობა... დიდია მისი დამსახურება საქართველოში კარდიოლოგიის განვითარების საქმეში“.[32]

პროფესორ იოსებ ჯავახიშვილის უმცროსი ძმის, ირაკლი ჯავახიშვილის (1898-1941), შვილიშვილია კინომსახიობი ლეილა გიორგის ასული ყიფიანი-ბაგრატიონ-გრუზინსკისა (დაბადებული 1947 წელს), რომელმაც ქართულ კინოში შესანიშნავი როლები განასახიერა.

ზემოხსენებულ ნუსხაში მესამე ნომრად წარმოდგენილ ოჯახში დასახელებული ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჯავახიშვილი (დაბადებული 1864 წელს) იყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ზედამხედველი.

ქართული სამხედრო ემიგრაციის წარმომადგენელი მიხეილ ნიკოლოზის ძე დადიანი (1899-1970) იგონებდა: „ვცხოვრობდი ჩვენი გიმნაზიის ზედამხედველთან ნიკოლოზ ჯავახიშვილთან. მისი ორი ვაჟი – მიტო და დათა ჩვენს გიმნაზიაში სწავლობდნენ, ორი ვაჟი კი კადეტთა კორპუსში... ჯავახიშვილის ბინა სულ ახლოს იყო გიმნაზიიდან, ვაკეში, სულ ორიოდე წუთის სავალზე. თვით ჯავახიშვილი შესანიშნავი კაცი იყო, დინჯი. არასოდეს ხმას არ აუწევდა, მაშინაც კი, როდესაც რომელიმე ჩვენთაგანს სჭირდებოდა ხმის აწევა და დატუქსვა“.[33]

მწერალ ელიზბარ მაისურაძის ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებში „ოთხი წელი ჭექა-ქუხილში“ დაცულია საყურადღებო მოგონება, რომელიც ეხება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ხოვლეში მცხოვრებ ერთ-ერთ თავად ჯავახიშვილს (მისი სახელი უცნობია) და ნათელს ხდის იმდროინდელ არისტოკრატიულ საზოგადოებაში არსებულ მეტოქეობას, რომელიც თვით სახალხო დღეობის დროს გამართული სპორტული შეჯიბრების დროსაც კი

[32] ა. ქურხული. იოსებ ჯავახიშვილი – ექიმი და პიროვნება. თბ. 1999, გვ. 85.
[33] მ. დადიანი. რაც მახსოვს. “Pro Georgia”. Journal of Kartvelological studies. №16. Warsaw, 2008, გვ. 141.

მჟღავნდებოდა. აქედან გამომდინარე, ხსენებული წიგნიდან შესაბამის ამონარიდს შეუმოკლებლად მოვიყვანთ.

მოგონებაში ვკითხულობთ: „ჩვენებურები კავთისხევში წასულან დღეობაში. იქ დიდი ქართული ჭიდაობა გამართულა. კავთისხევის თავადს, მაღალაშვილს, თავის ფალავანი გადმოუყვანია და ხოვლეს თავად ჯავახიშვილისათვის უთქვამს: „შენი ბიჭებიდან ვინც გინდა, დააჭიდეო“ (თეძმის მარცხენა მხარე ჯავახიშვილების სამფლობელოში შედიოდა).

ჯავახიშვილს თავისი ფალავანი გადაუყვანია, მაგრამ კავთისხეველს იმ წუთას დაუგდია ზურგზე. მეორე გადაუყვანია და ისიც ლავაშივით გაუკრავს მიწაზე. გათამამებული და გათავხედებული კავთისხეველი თურმე ჩოხას არ იხდიდა, წრეს ცეკვით უვლიდა და ხმამაღლა გაიძახოდა: „სანამ კიდევ სხვას არ გადმომიყვანთ, ჩოხას არ გავიხდიო“.

შეწუხებულა ჯავახიშვილი და თავისი მხრის ბიჭებისათვის მიუმართავს:

– „ვინა ხართ ვაჟკაცი, ამ სირცხვილისაგან ვინ მიხსნითო“.

ყველა გაჩუმებულა. მაშინ მამა წამდგარა წინ და უთქვამს:

– „მე დავეჭიდებიო“.

– „ვისი ბიჭი ხარ?“ – უკითხავს თავადს.

– „ჩემი ძმა არის!“ – უთქვამს ბიძაჩემ აბრამას, მამაჩემის უფროს ძმას, რომელიც კარგად იცნობდა ჯავახიშვილს.

თავადს აუწონ-დაუწონია მამა, მოსწონებია და დათანხმებულა.

კავთისხეველმა ცეკვით ჩამოუქროლა თურმე მამას, საყელოში სტაცა ხელი, რომ კისრულით წამოეღო, მაგრამ მოტყუვდა: მამამ მაგნიტივით მიიტაცა ახლოს, ასწია და თვალის დახამხამების უმალ ზურგზე ზღართანი მოადინა. ხალხის ჟრიამულს იქაურობა შეუძრავს თურმე.

– „არ არის!“ – იყვირა შეწუხებულმა მაღალაშვილმა.

– „არის!“ – დაიძახა ჯავახიშვილმა და შეიქმნა ერთი აყალმაყალი, მაგრამ ხალხმა მხარი თავიანთ თავადსა და ფალავანს დაუჭირა და ჭიდაობა ხელახლა გაიმართა.

ნირწამხდარ კავთისხეველს საცეკვაოდ უკვე აღარ ჰქონდა საქმე და ფრთხილად დაიჭირა თავი. შორიდან ჩამოუქროლა მამას და კვლავ საყელოში უნდა ჩაევლო ხელი, მაგრამ ვერ შებედა, განზე გაუსხლტა და ჩოხის კალთები ამაოდ შეისწორა.

ხელახლა ჩამოუქროლა მამას კავთისხეველმა, მაგრამ ამჯერად ვეღარ დაუსხლტა მის მარწუხებს. მამამ წნელიდან დაგრიხა, დაფუყულ ტომარასა-

ვით მიწაზე ათრია, რომ ხალხს კარგად დაენახა, რა ვაჟკაციც იყო კავთისხველების ფალავანი, მერე ზურგზე მოიგდო ბატკანივით, კისერზე გადმოატარა და მიწაზე ზურგით დასცა.

– „არც ახლა არის?“ – იყვირა გახარებულმა ჯავახიშვილმა.

– „არის, არის!“ – იგრგვინა ხალხმა.

მამამ ჩოხა არ გაიხადა, – „კიდევ გადმომიყვანეთო“, მაგრამ ჯავახიშვილს არ გაუშვია საჭიდაოდ, „მჯობზე მჯობი ქვეყანაზე არ დაილევა, იქნება შენზე ძლიერი სხვა გამოჩნდეს და შევრცხვეთ, ასე ჯობია გამარჯვებული დავრჩეთო“ და ჩოხა გაუხდევინებია.

იმავე წუთს უხმია ბიძაჩემი აბრამა, ბარათი გამოუწერია და უთქვამს: „რახან შენმა ძმამ ჯავრი ამომყარა, წადი და ჩემი ტყიდან რამდენი შეშა და ფიჩხიც გინდა, რამდენი სამასალე ხე-ტყეც გჭირდება, გამოიტანეო“. ”

ასე დაუსაჩუქრებია მამა ჯავახიშვილს“.[34]

აქვე უნდა ითქვას, რომ ჯავახიშვილებსა და მაღალაშვილებს შორის მუდმივად მეტოქეობა როდი სუფევდა, არამედ დანათესავებაც ხდებოდა. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ XX საუკუნის დასაწყისში მომხდარი ქორწინება ხოვლელ ელენე გრიგოლის ასულ ჯავახიშვილსა და ალექსანდრე გიორგის ძე მაღალაშვილს შორის. მათი ვაჟი – გიორგი ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი (1904-1969) იყო ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნესმენი, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობდა და ყველაზე შეძლებულ და გავლენიან ქართველ ემიგრანტად ითვლებოდა. სარგებლობდა რა გერმანიის იმდროინდელ ხელისუფალთა ნდობითა და მხარდაჭერით, დიდი წვლილი შეიტანა II მსოფლიო ომის დროს ტყვეობაში ჩავარდნილ ქართველ საბჭოთა სამხედრო პირთა ფიზიკურად გადარჩენაში.[35]

ვერმახტის გენერალი შალვა მაღლაკელიძე (1894-1976) იგონებდა, რომ III რაიხის მთავარ იდეოლოგ და გერმანიის მიერ აღმოსავლეთით ოკუპირებული ტერიტორიების მინისტრ ალფრედ როზენბერგთან (რომელიც ბალტიელი გერმანელი იყო) დაახლოებულ ქართველ ემიგრანტებს შორის „პირველ როლს თამაშობდა გიორგი მაღალაშვილი. ლამაზი კაცი იყო. მამამისი ბაქოდან თბილისში გადმოვიდა და 1919 წელს თავისი ვაჟი თავისივე

[34] ე. მაისურაძე. ოთხი წელი ჭექა-ქუხილში. თბ. 1977, გვ. 54-56.

[35] Н. Джавахишвили. Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига. 2015, გვ. 269.

ხარჯით გერმანიაში გაუშვა სამედიცინო ფაკულტეტზე. თუმცა მაღალაშვილს არ უმუშავია – შეირთო მდიდარი ქალი, მერე ამას დაშორდა და უფრო მდიდარი ქალი შეირთო. გახდა დიდი მემამულე ბავარიაში, ჰქონდა ცხენების „ზავოდი“. მასთან მე ნამყოფი ვარ სტუმრად. მერე დაუმეგობრდა როზენბერგს, რომელიც „კავკასიის განყოფილებას“ განაგებდა“.[36]

აღსანიშნავია, რომ ქართელ ფეოდალთა – ჯავახიშვილთა – შორის იყვნენ როგორც თავადები, ასევე აზნაურებიც, თუმცა ეს საკითხი წინამდებარე გამოკვლევის ჩარჩოს სცილდება.

2) ჯავახიშვილთა საგვარეულო გერბები

რუსეთის ხელისუფლება საგვარეულო გერბებს უმტკიცებდა იმპერიაში მცხოვრებ არისტოკრატიას, რომელთა შორის ქართველი თავადაზნაურობაც იყო.

ქართველ თავადებსა და აზნაურებს ჰქონდათ საკუთარი საგვარეულო გერბები, რომელთა ძირითადი ნაწილიც ოფიციალურად არ ყოფილა დამტკიცებული რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გერბის დამტკიცება დაკავშირებული იყო საკმაოდ დიდ დროსთან და ხარჯებთან, რაც იმპერიის დედაქალაქში – სანკტ-პეტერბურგში – ჩასვლასაც გულისხმობდა, გასაგები გახდება, თუ რატომ ვერ შეძლო ამის გაკეთება ქართველი თავადაზნაურობის ძირითადმა ნაწილმა.

თავადი ჯავახიშვილები აღმოჩნდნენ იმ რამდენიმე ქართულ წარჩინებულ გვარს შორის, რომლებმაც მცდელობა და სახსრები არ დაიშურეს და რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებას თავიანთი საგვარეულო გერბი დაამტკიცებინეს.

აქვე დავსძენთ, რომ ჯავახიშვილთა გერბის გარდა, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ დაამტკიცა გერბები შემდეგი ქართული წარჩინებული სათავადო საგვარეულოებისა: ბაგრატიონები (ქართლის მეფე იესეს შტამომავლობა, რომელიც რუსეთში მოღვაწეობდა), გრუზინსკები (ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შთამომავლობა), დადიანები (ოდიშის პირველი სამთავრო

[36] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი. წიგნში: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში“. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ. თბ. 1994, გვ. 195.

საგვარეულო, რომელიც რუსეთში მოღვაწეობდა), მინგრელსკები (ოდიშის მეორე სამთავრო საგვარეულოს უფროსი შტო), შერვაშიძეები (აფხაზეთის სამთავრო საგვარეულოს უფროსი შტო), აბაშიძე-გორლენკოები, არაგვის ერისთავები, ციციშვილები, წულუკიძეები და სხვები. ასევე, დაამტკიცეს საგვარეულო გერბები აზნაურთა შემდეგი გვარებისა: აბრაზანცევები (იგივე ამბერსაძეები), გარსევანიშვილები, ლაშქარიოვები (ბიბილურები) და სხვები.

რუსეთის იმპერიაში ცხოვრობდა თავადი ჯავახიშვილების ორი შტო:

1) საქართველოში მცხოვრები ჯავახიშვილები, რომლებიც თავიანთი წინაპრების გვარს ატარებდნენ, ხოლო რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში, მსგავსად ქართული არისტოკრატიული საგვარეულოების უმრავლესობისა, იხსენიებოდნენ რუსიფიცირებული გვარით – Джавахов.

2) ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად რუსეთში გადახვეწილი ჯავახიშვილები, რომლებიც იქ ატარებდნენ რუსიფიცირებულ გვარს – Жевахов.[37]

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებამ დაამტკიცა და იმპერიის სათავადაზნაურო გვარების „საერთო საგერბეში“ შეიტანა თავად ჯავახიშვილთა აღნიშნული ორივე შტოს საგვარეულო გერბი. კერძოდ, ისინი შეიტანეს 1904 წელს გამოცემული „საერთო საგერბეს“ XVII და XVIII ტომებსა და, ასევე, რუსეთში მცხოვრები გერბის მფლობელი სათავადაზნაურო გვარების „უმაღლესად დამტკიცებული“ დასურათებული ნუსხის პირველ ნაკვეთში, რომელიც ჰეროლდიის საგერბე განყოფილებაში 1906 წელს შეადგინეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ თავიანთი საგვარეულო გერბის დამტკიცებას თავადი ჟევახოვები ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან ცდილობდნენ.

რუსეთის არმიის ზემოხსენებულმა გენერალ-მაიორმა სპირიდონ ერასტის (გერასიმეს) ძე ჯავახიშვილმა (1768-1815) ჰეროლდიის დეპარტამენტს 1798 წელს წარუდგინა მამისეული გერბის ესკიზი, რომელზედაც გამოსახული იყო ოთხნაწილიანი ფარი. მასზე დატანილი იყო: პირველ ნაწილში – ოქროს რტო, მეორეში – ნახევარმთვარე, მესამეში – გადაჯვარედინებული ხმლები, ხოლო მეოთხეში – ციხე-კოშკი. ამ ესკიზის საფუძველზე შექმნილი გერბის დამტკიცება საუკუნეზე მეტხანს გაჭიანურდა.

1901 წლის 7 მარტს რუსეთის ხელისუფლებამ დაამტკიცა თავად ჟევახოვთა საგვარეულო გერბი («Герб князей Жеваховых»).

[37] Н. Джавахишвили. Санкт-Петербург – центр русско-грузинских взаимоотношений (1703-2003 гг.). Тб. 2003, გვ. 99-102.

ეს გერბი წარმოადგენს გაკვეთილ-გადაკვეთილ ფრანგულ ფარს შუაში მცირე ფრანგულივე ფარით. ფარის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ლაჟვარდზე ირიბად გადაჯვარედინებული ოქროს ჯვარი და ვერცხლის აღმოსავლური ტიპის ხმალი, ხოლო ზედა მარცხენა კუთხეში – ვერცხლისფერი რაში თავზე გვირგვინით. ფარის ქვედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ვერცხლის ისრით მარჯვნიდან გახვრეტილი მეწამული ცეცხლის მფრქვეველი ზურმუხტის მთა (ეს არის „ქართლის სამეფოს გერბი“, რომელიც გამოსახულია გეორგიევსკის ტრაქტატს დართულ ქართლ-კახეთის სამეფოს დიდ სახელმწიფო გერბზე), ხოლო ქვედა მარცხენა კუთხეში – ლაჟვარდზე აღბეჭდილი ვერცხლისფერი ციხე-კოშკი, რომლის თავზეც ოქროსფერი ნახევარმთვარეა (ეს უნდა მიგვანიშნებდეს ჯავახიშვილთა გენეტიკურ წარმომავლობაზე სამცხე-საათაბაგოდან). ფარის ცენტრში, სიასამურის ბეწვის ფონზე გამოსახულია ოქროს სკიპტრა, რომელსაც ზემოდან თავადური გვირგვინი ადგას.

ფარის თავზე აღბეჭდილია ოქროს სარჩულიანი ლაჟვარდის მუზარადი, რომელსაც ამშვენებს საიმპერიო შავი ფერის ფრთაგაშლილი ორთავიანი არწივი. ფარი უპყრია მის ქვეშ დაფენილ და ერთმანეთზე ლაჟვარდის ბაფთით გადაბმულ მუხის და დაფნის ტოტებზე მდგარ ფარისმტვირთელ ორ ლომს. გერბი მოქცეულია მეწამული ფერის სათავადო მანტიაში, რომელიც თავადური გვირგვინით ბოლოვდება.

ჰერალდიკოსთა დასკვნით, ზემოთ აღწერილი გერბის ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახული გვირგვინოსანი რაშის ფიგურა თავადმა ჟევახოვებმა გადმოიღეს რუსეთის იმპერიაში მცხოვრები გერმანული წარმომავლობის ბარონი ვულფერტების საგვარეულო გერბიდან.[38]

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული ვლადიმერ (იგივე ეპისკოპოს იოასაფ) და ნიკოლოზ დავითის ძე ჟევახოვების დედა იყო ბარონ ვულფერტის ასული.[39]

1901 წლის 5 დეკემბერს რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ დაამტკიცა საქართველოში მცხოვრებ თავად ჯავახიშვილთა საგვარეულო გერბი («Герб князей Джаваховых»).

ეს გერბი წარმოადგენს ოთხ ნაწილად დაყოფილ ფრანგულ ფარს. მის

[38] თ. ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბ. 2010, გვ. 138-139.

[39] С. Думин. П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 156.

ორ ნაწილზე (ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა კუთხეებში) გამოსახულია ლომები, ხოლო ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა კუთხეებში – ლაჟვარდზე აღბეჭდილი ვერცხლისფერი ტალღოვანი ქამრები. ფარის თავზე გამოსახულია ოქროს სარჩულიანი ლაჟვარდის მუზარადი, რომელსაც ამშვენებს საიმპერიო შავი ფერის ფრთაგაშლილი ორთავიანი არწივი. ფარი უპყრია ფარისმტვირთველ ორ ჩოხოსან და შეიარაღებულ მეომარს. გერბი მოქცეულია მეწამული ფერის სათავადო მანტიაში, რომელიც თავადური გვირგვინით ბოლოვდება.[40]

ამრიგად, 1901 წელს რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ დაამტკიცა თავად ჯავახიშვილთა ორივე შტოს საგვარეულო გერბი, რომელთა შორისაც მსგავსება შეინიშნება.

3) ივანე ჯავახიშვილის უშუალო წინაპრები

გენეალოგ იური ჩიქოვანის მიერ მოპოვებული საარქივო მასალების მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის ყველაზე ძველი უშუალო წინაპარი პირდაპირი (ანუ მამრობითი) ხაზით, რომლის სახელიც ქართულ საისტორიო წყაროებში შემოგვენახა, იყო XII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ფეოდალი კახა თორელი.

როგორც ჩანს, ამ კახა თორელის ერთ-ერთი შთამომავალი უნდა ყოფილიყო მეჭურჭლეთუხუცესი კახა თორელი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1259 წლის საბუთში იხსენიება.

კახა თორელიდან დაწყებული, მის პირდაპირ შთამომავალთა გენეალოგიური ხაზი, დასრულებული ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილით, ასე გამოიყურება: კახა თორელი (იხსენიება 1152-1170 წლებში) – გამრეკელ თორელი (იხსენიება 1192 წელს) – კახა თორელი (იხსენიება 1191-1200 წლებში) – გამრეკელ თორელი (იხსენიება 1241-1257 წლებში) – კახა თორელი (იხსენიება XIII საუკუნის შუა ხანებიდან – 1285 წლამდე) – გამრეკელ თორელი (იხსენიება 1285-1308 წლებში) – ჯავახ თორელი, იგივე ბერი სვიმონი (იხსენიება 1290-1308 წლებში) – გამრეკელ თორელ-ჯავახიშვილი (იხსენიება 1345 წელს) – სარიჯან, იგივე სარიდან ჯავახიშვილი (იხსენიება 1390-1400 წლებში) – გამრეკელ ჯავახიშვილი (იხსენიება 1440-1457

[40] ნ. ჯავახიშვილი. ჯავახიშვილთა საგვარეულო გერბი. ენციკლოპედიური ლექსიკონი „ივანე ჯავახიშვილი“, თბ. 2002, გვ. 768; თ. ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), გვ. 138-140.

წლებში) – ზაქარია ჯავახიშვილი (იხსენიება 1454-1478 წლებში) – ჯავახ ჯავახიშვილი (იხსენიება 1466-1505 წლებში) – გოშფარ ჯავახიშვილი (იხსენიება 1505-1527 წლებში) – ჯავახ ჯავახიშვილი (იხსენიება 1505-1543 წლებში) – ზაქარია ჯავახიშვილი (იხსენიება 1568 წელს) – შალვა ჯავახიშვილი (იხსენიება 1568-1600 წლებში) – შანშე ჯავახიშვილი (იხსენიება 1597-1607 წლებში) – ქაიხოსრო ჯავახიშვილი (იხსენიება 1597-1643 წლებში) – როინ, იგივე როინ-ბეგ ჯავახიშვილი (იხსენიება 1623-1669 წლებში) – ფარემუზ ჯავახიშვილი (იხსენიება 1651-1713 წლებში) – ზაალ ჯავახიშვილი (იხსენიება 1708-1721 წლებში) – როინ ჯავახიშვილი (იხსენიება 1716-1726 წლებში) – ზაალ ჯავახიშვილი (იხსენიება 1751-1784 წლებში) – დიმიტრი ჯავახიშვილი (1769-1819) – ივანე ჯავახიშვილი (1806-1870) – ალექსანდრე ჯავახიშვილი (1844-1912) – ივანე ჯავახიშვილი (1876-1940).

მომავალი მეცნიერის მამა – ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი (1844-1912) – დაიბადა 1844 წელს ისტორიულ შიდა ქართლში მდებარე სოფელ ხოვლეში მცხოვრები თავადის, ტიტულარული მრჩევლის, ივანე დიმიტრის ძე ჯავახიშვილის (1806-1870), ოჯახში. იმჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფით სოფელი ხოვლე მოქცეული იყო ტფილისის გუბერნიაში შემავალი გორის მაზრის შემადგენლობაში, ხოლო ამჟამად გაერთიანებულია კასპის რაიონში.

ალექსანდრე ჯავახიშვილს ჰყავდა ხუთი და-ძმა: გიორგი (დაბადებული 1829 წელს); კონსტანტინე (დაბადებული 1833 წელს); დავითი (დაბადებული 1837 წელს); ლევანი (დაბადებული 1846 წელს) და სოფიო (დაბადებული 1849 წელს).

ალ. ჯავახიშვილმა დაამთავრა თბილისის საგუბერნიო გიმნაზია და წარმატებით მოღვაწეობდა პედაგოგიურ ასპარეზზე ტფილისის გუბერნიის ქალაქებში. იყო სამოქალაქო მრჩეველი, რომელიც სხვადასხვა დროს მუშაობდა: თელავში (მასწავლებლად), თბილისში, გორისა და სიღნაღის მაზრებში (პედაგოგ-ინსპექტორად). დაჯილდოვებული იყო წმ. ანას II და III ხარისხის და წმ. სტანისლავის II და III ხარისხის ორდენებით.[41]

1871 წელს 27 წლის ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილმა ცოლად შეირთო 16 წლის სოფიო ვახვახიშვილი (1855-1928), რომელიც იყო ასული ქალაქ თელავში მცხოვრები თავადისა, მოსამართლე ათანასე ლიპარიტის

[41] С. Думин. П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 145-148.

ძე ვახვახიშვილისა. ქართულ ფეოდალურ გვართა შორის ვახვახიშვილებს საპატიო ადგილი ეკავათ.

ალექსანდრე ჯავახიშვილსა და სოფიო ვახვახიშვილს შეეძინათ ექვსი შვილი: ეკატერინე (1872-1955), ივანე (1876-1940), გიორგი (1877-1956); მიხეილი (1879-1899), ალექსანდრა (1881-1955) და დავითი (1883-1911).[42]

მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა ამირეჯიბი (1886-1943) აღნიშნავდა, რომ ალექსანდრე ჯავახიშვილი „აღარ ჰგავდა არათუ ძველი ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წევრს, არამედ გუშინდელ ბატონყმურ საქართველოს მებატონესაც. როგორც თავადი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, საშუალო მემამულე იყო, როგორც შეცვლილი ქართული საზოგადოების წევრი – მასწავლებელი და, ამრიგად, ცოდნისა და პროფესიის კაცი. თავისი მოღვაწეობა მან დაიწყო მასწავლებლის ხარისხით ტფილისში. შემდეგ იყო საქალაქო სკოლის ინსპექტორი გორში, ხოლო შემდეგ, როგორც წარჩინებული ინსპექტორი, ამ თანამდებობით ისევ ტფილისში გამწესებული. ცხოვრებაში ის იყო უმწიკვლო ზნეობის კაცი, სამსახურში განათლებული, ბეჯითი და დაუღალავი მუშაკი, ადამიანი, რომელმაც სამსახურში და საზოგადოებაშიც დიდი ღირსებით იცოდა თავის დაჭერა. ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის დედაც განათლებული ქართველი ქალი ბრძანდებოდა... როგორი იყო ეს დედ-მამა სახლში და საზოგადოებაში, როგორი იყო მათი ზნეობრივი გავლენა შვილებზე, როგორ ზრდიდნენ ისინი მათ და რა მაღალი სათნოების შთაბეჭდილება დატოვეს მათ თავის უფროს ვაჟზე, ეს ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იქიდან, თუ რა დააწერა მან „ქართველი ერის ისტორიას“.[43]

ივანე ჯავახიშვილი თავის მშობლებს უდიდეს პატივს სცემდა. ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად გამოდგება ის ფაქტი (რასაც შ. ამირეჯიბიც აღნიშნავდა), რომ ცნობილი ნაშრომის – „ქართველი ერის ისტორია“ – 1913 წლის გამოცემას ავტორმა წაუმძღვარა შემდეგი მიძღვნა: *„ჩემს საყვარელ დედას და ძვირფას ხსოვნას ჩემის საყვარელი მამისას ვუძღვნი ამ წიგნს“.* [44]

ივანე ჯავახიშვილის მიერ მამამისისა და წინაპრებისადმი გამოხატული

[42] ნ. ჯავახიშვილი. ჯავახიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე. ენციკლოპედიური ლექსიკონი „ივანე ჯავახიშვილი“. თბ. 2002, გვ. 768-769.
[43] შ. ამირეჯიბი. თხზულებანი ორ ტომად. შემდგენელი ლ. ცომაია. ტ. II. თბ. 1997, გვ. 68-69.
[44] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. თხზულებანი. ტ. I. თბ. 1979, გვ. 31.

პატივისცემის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ასევე მის მიერ საკუთარი ვაჟებისა და უფროსი ვაჟის შვილისადმი შერჩეული სახელებიც. კერძოდ, დიდმა მეცნიერმა 1915 წელს დაბადებულ თავის ვაჟს დაარქვა კახა, ხოლო 1917 წელს დაბადებულ ვაჟს – ალექსანდრე, ანუ მამამისის სახელი.

უფროსი ვაჟისათვის კახას დარქმევას საფუძვლად ედო კონკრეტული ფაქტი საქართველოს ისტორიიდან, რომელიც ნათელი ხდება ატენის სიონის ფრესკული წარწერიდან. კერძოდ, ირკვევა, რომ 853 წლის აგვისტოში თბილისში შემოჭრილი არაბთა ლაშქრის სარდლის ბუღა თურქის მეომრებმა შეიპყრეს ქართველი ერისთავი კონსტანტი (კოსტანტი) კახი და მისი ვაჟი – თარხუჯი.[45]

„ქართველი ერის ისტორიაში“ ივანე ჯავახიშვილი წერს: „ტფილისის აღება მომხდარა 853 წლის 5 აგვისტოს, შაბათ დღეს. ბუღამ ტფილისი დაწვა და ამ დაწვის დროს, არაბი ისტორიკოსის ატ-ტაბარის სიტყვით დაღუპულა 50000-მდე მცხოვრები ორთავე სქესისა. კახაი ერისთავი და ძე მისი თარხუჯი, რომელიც ზირაქ სპასალარს იმავე წელს იმავ თვესვე 26-სა აგვისტოს ტყვეთ შეუპყრია, ალბათ, აფხაზთა მეფის მხედრობაში იქმნებოდა და არაბ-აფხაზთა ლაშქრობის ბრძოლის დროს იქმნებოდა დაჭერილი. არაბებმა კახა აწამეს. თომა არწრუნი მას წმინდანს უწოდებს“.[46]

ვინაიდან დიდი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ხსენებული ერისთავი კახა უნდა ყოფილიყო თორელთა გვარის წარმომადგენელი, ანუ მისი უშუალო წინაპარი, მან ეს სახელი თავის უფროს ვაჟს დაარქვა. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ კახა ტრადიციულად ერქვათ ივანე ჯავახიშვილის წინაპრებს (თორელებს). შემდგომში კი მამის თხოვნის შესაბამისად, კახა ივანეს ძემ (1915-1987) თავის ვაჟს, რომელიც 1941 წელს დაიბადა, სახელად თარხუჯი უწოდა.

პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის განმარტებით, კახი (კახი) არის „პიროვნულ სახელად ქცეული ქართველთა ერთ-ერთი სატომო სახელი (ეთნონიმი), რომელიც საკუთარ სახელად ცნობილია VIII საუკუნიდან. იმდროინდელი მოღვაწეა ქართველი წმინდანი კოსტანტი კახი, რომლის შესახებაც მისი ბიოგრაფი გვამცნობს: „მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქუეყანასა ქართლისა-

[45] თარხუჯი. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. III. თბ. 2014, გვ. 479; ქართული წარწერების კორპუსი. ფრესკული წარწერები. ტ. I. გ. აბრამიშვილისა და ს. ალექსიძის გამოცემა. თბ. 1989.

[46] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თხზულებანი. ტ. II, თბ. 1983, გვ. 99.

სა, სანახებსა ზენა სოფლისასა, კაცი, რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი, რომელსა ეწოდა **კახაი** სახელად მამულისა მის ქუეყანისა".[47] როგორც ვხედავთ, **კახა** კოსტანტის ზედწოდებაა, დამატებითი სახელია, შერქმეული „მამული ქვეყნის" მიხედვით. სხვაგან, ატენის სიონის წარწერაში (853 წ.), იგივე პირი მხოლოდ კახას სახელით იხსენიება: „და მასვე თთუესა აგუსტოსსა კვ-სა, დღესა შაბათსავე, ზირაქ შეიპყრა კახაი და ძე მისი თარხუჯი". ამ წყაროთა მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ **კახა** მეტსახელი კი არაა, ნამდვილი სახელია, ოღონდ ის ოფიციალურ სახელს არ წარმოადგენდა (ამ ფუნქციას კოსტანტი ასრულებდა). როცა ქრისტესათვის წამებული კოსტანტი ეკლესიამ წმინდანად აღიარა, ამის შემდეგ კახი (კახა) უკვე ქრისტიანულ კალენდარულ სახელად იქცა. კოსტანტი კახი არაბებმა სიკვდილით დასაჯეს 853 წელს, როცა ის 85 წლის მოხუცი იყო. ამრიგად, ის დაბადებული ყოფილა 768 წელს და ამ დროისათვის სახელი კახა (კახი) უკვე არსებობდა, ოფიციალურ სახელად კი IX საუკუნიდან იქცა".[48]

ამრიგად, დიდ ქართველ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს ჰყავდა სახელოვანი წინაპრები და ნათესავები, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან,[48] რომლებიც საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. დიდი მეცნიერი იყო თავისი დიდებული წინაპრების ღირსეული შთამომავალი და დამფასებელი, რაც მან თავის მიერ განვლილი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაამტკიცა.

[47] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. V-X სს. დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963, გვ. 165.

[48] ზ. ჭუმბურიძე. რა გქვია შენ? თბ. 2003, გვ. 173-174.

[48] ნ. ჯავახიშვილი. ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიის ნაკლებადცნობილი და უცნობი ფურცლები. ნაწილი პირველი. ივანე ჯავახიშვილის წინაპრები და ნათესავები დედის მხრიდან, გვ. 196-213.

Niko Javakhishvili

IVANE JAVAKHISHVILI'S PATERNAL ANCESTRY

Summary

Ivane Javakhishvili (1876-1940) was prominent Georgian scientist and public figure, one of the founders of Tbilisi University. Presented research studies his paternal ancestry.

Article is divided into three parts: first part covers the Javakhishvilis' history; the second – their patrimonial emblems; the third – Ivane Javakhishvili's paternal ancestry.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

როზეტა გუჯეჯიანი

ივანე ჯავახიშვილი და სვანეთის ეთნოლოგიის კვლევის საკითხები

ივანე ჯავახიშვილი ქართული საისტორიო მეცნიერების არაერთი დარგის ფუძემდებელია და მას დიდი წვლილი მიუძღვის ეთნოლოგიის განვითარების საქმეშიც. საქართველოს ეთნოლოგისათვის უაღრესად ფასეულია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომთა ის ნაწილი, რომლებშიც ფართოდაა გამოყენებული ქართული ეთნოგრაფიული მასალა: ქართველთა სამეურნო ყოფა, ქართველთა სოციალური ურთიერთობები და სამართალი, ქართველთა წინარექრისტიანული რელიგიური სისტემა და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის კვლევის თავისებურება, ფაქტობრივად, ისტორიული ეთნოლოგის მეთოდოლოგიას შეესაბამება, რადგან დიდი მეცნიერი ყოველი ისტორიული ფაქტის ანალიზის დროს ეყრდნობა არა მხოლოდ წერილობით წყაროებს, იგი იკვლევს არა მხოლოს ქვეყნის ამა თუ იმ ეტაპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ ისტორიას, სამეფო ან სხვა მაღალ არისტოკრატიულ დინასტიებს, ომების ისტორიებს და სხვ., არამედ ყოველი საისტორიო ფაქტის დეტალური ანალიზის დროს ყურადღებას ამახვილებს ე. წ. ტოტალურ ისტორიაზეც – მოსახლეობის ფართო ფენების ყოფაზე, ზოგადად ეროვნულ კულტურაზე, ეროვნული კულტურის მთავარი ელემენტების მატარებელ ხალხზე და ამ დროს ნარატიულ წყაროებთან ერთად განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ეთნოგრაფიულ მასალას.

ეთნოლოგიური მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნი, რომლის ნაწილი ქართველთა უძველესი რელიგიური სისტემის რეკონსტრუირებას ეძღვნება.[1] რწმენა-წარმოდგენათა არქაული, უძველესი ფორმების კვლევისას, ივანე

[1] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. თხზულებანი. ტ. I. თბ. 1979.

ჯავახიშვილი ფართოდ იყენებს ეთნოგრაფიულ მასალას და არქეოლოგიურ არტეფაქტებს, რომელთა ანალიზითაც აღადგენს წინარექრისტიანულ ქართულ რელიგიურ სისტემას, ცალკეულ რწმენა-წარმოდგენათა უძველეს ფესვებს და ავლენს ქართული კულტურის ძირითად არქეტიპებსაც. კვლევის მასშტაბური ხასიათი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებს თანამედროვე ხასიათს ანიჭებს და დღევანდელი გადასახედიდანაც მისი დასკვნები – ქართველთა ეთნოგენეზის, ქართველთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესახებ – კვლავ აქტუალობას ინარჩუნებს.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სვანეთის ტრადიციული ყოფისა და კულტურის ანალიზს ზოგადქართულ კონტექსტში. ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთ-ერთი თავისებურება აზროვნების მასშტაბურობა და საკვლევი ობიექტის კომპონენტების დეტალური ანალიზია. მეცნიერი სხვადასხვა ნაშრომში მსჯელობს სვანეთში დადასტურებული სამართლებრივი კულტურის, სამეურნეო ტერმინების, რწმენა-წარმოდგენათა სეგმენტების შესახებ. ივანე ჯავახიშვილი სვანურ მასალას აანალიზებს ისტორიულ კონტექსტში და კომპლექსურად: ავლენს ეთნოგრაფიულ ტერმინთა ეტიმოლოგიას, სემანტიკურ ველს, ფაქტის სოციალურ როლსა და ფუნქციას, აღადგენს საკვლევი ობიექტის მთელ სტრუქტურას ზოგადქართულ ჭრილში.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ივანე ჯავახიშვილის წვლილზე ქართული ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში, მის დამსახურებაზე ქართველთა უძველესი რელიგიური სისტემის რეკონსტრუქციის, ქართული სამართლის, საქართველოს ისტორიული ეკონომიკის შესწავლის თვალსაზრისით.

ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიურ დაკვირვებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველთა ტრადიციული სულიერი და სოციალური კულტურის კვლევის დროს. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდიკის გაუმჯობესების კუთხით ფასდაუდებელი აზრია გამოთქმული „ქართული სამართლის ისტორიის“ შესავალში, რომელშიც მოცემულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიის კრიტიკა.

ცნობილია, რომ XX საუკუნის დასაწყისში ფართოდ იყო გავრცელებული ისტორიულ-შედარებითი (სოციოლოგიური) კვლევის მეთოდოლოგია და გადმონაშთების თეორია, რამაც ქართული ყოფის ზოგიერთი ელემენტის ისტორიული განვითარების დინამიკიდან მოწყვეტით შესწავლა განაპირობა და ხელი შეუწყო ფაქტების ხელოვნურ არქაიზაციას. კვლევის ეს მეთოდო-

ლოგია გაბატონებული იყო საბჭოთა პერიოდშიც. ის, გადმონაშთების თეორიასა და სამყაროს მარქსისტულ-ლენინისტურ ხედვასთან ერთად, კვლევის ოფიციალურ იდეოლოგიურ სქემას წარმოადგენდა. ივანე ჯავახიშვილი ამ თვალსაზრისითაც გამოთქვამს კრიტიკულ მოსაზრებებს და აყენებს საკითხს, რომ საჭიროა ქართველთა კულტურის კვლევის დიფერენცირება „უდამწერლობო ტომთა“ კულტურის კვლევისაგან. ივანე ჯავახიშვილი ამ რთულ პრობლემას საკმაოდ ვრცლად განიხილავს ქართული სამართლის ისტორიის პირველი წიგნის შესავალში (1927 წელი). მეცნიერი მსჯელობს „სოციოლოგიური და შედარებითი სკოლისა და მეთოდის“ ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების (რუსეთის იმპერიაში) – მ. კოვალევსკისა და თ. ლეონტოვიჩის – კვლევა-ძიების იმ თავისებურებაზე, რომლებსაც ისინი იყენებენ კავკასიის ხალხთა და მათ შორის, ქართველთა სამართლის ისტორიის კვლევისას. ივანე ჯავახიშვილი ზემოთ ნახსენები სამართალმცოდნეებისა და ქართველი სამართალმცოდნისა და ეთნოგრაფის ნიკო ხიზანიშვილი (ნ. ურბნელი) სამეცნიერო მოსაზრებების შესახებ, გვთავაზობს საყურადღებო კრიტიკულ ანალიზს და გამოთქვამს ჩვენი დროისთვისაც კი თანამედროვე დაკვირვებას: „ზემოთდასახელებული ორივე რუსი მეცნიერი კავკასიელთა თანამედროვე ზნე-ჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდნენ, მთელი კვლევა-ძიების უდიდესი ენერგია ამ პირველყოფილობის ძებნაში ილეოდა. ამის წყალობითვე მათი მიმდევარი ნ. ურბნელის ნაშრომებსაც ყურადღება ქართველ მთიელთა დაბალი უფლებრივი მდგომარეობისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და პირველყოფილობის ძიებისადმი მიდრეკილება ემჩნევა. მაგრამ რამდენადაც „უკულტურო“ და უმწერლობო ტომთა და ერთა სამართლის შესასწავლად კვლევის ასეთი მეთოდი ერთადერთი შესაძლებელი გზა არის, იმდენად მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონებელი ერის სოციალური ისტორიის შესწავლა მარტო ამ გზით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. ერის თანამედროვე ზნეჩვეულებათა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო...“.[2]

ივანე ჯავახიშვილის ეს უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური მითითება ფასეულია ეთნოლოგიისათვის, რადგან ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიისა და შემდეგ საბჭოთა პერიოდში, ქართველთა, განსაკუთრებით კი ქართველ მთი-

[2] ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. I. თხსულებანი. ტ. VI. თბ. 1982, გვ. 14.

ელთა სოციალური და სულიერი ყოფის შესწავლა დიდიწილად ხორციელდებოდა ისტორიისაგან მოწყვეტილად და გადმონაშთების თეორიის საფუძველზე. სვანეთის, ხევის, ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის, მთიულეთის, მთის რაჭის, მთიანი სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის დროს სრულიად არ იყენებდნენ ისტორიულ წყაროებს და გვაინ შუა საუკუნეებში, ქვეყნის დაშლისა და დაქუცმაცების შედეგად წარმოქმნილ კულტურის რეგრესის პირობებში ხელახლა აღორძინებულ ხალხური თვითმმართველობის ფორმებსა და ჩვეულებით სამართალს არა მეორეულ მოვლენად, არამედ პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთებად მიიჩნევდნენ. მაგალითად, სვანეთის ჩვეულებითი სამართლის დეტალური კვლევა ივანე ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი ხედვის სრულ დადასტურებას გვაძლევს: ადგილობრივი, სვანური ხალხური სამართალი არის არა კულტურის პირველადი ფაქტი, არამედ შედეგი მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფო და კანონიკური სამართლის კორელაციისა, რომელიც ახალი სახით და ფორმით – პაგანიზებულ – ჩვეულებით სამართლად ყალიბდება 1801 წლიდან – რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფო სამართლის გაუქმების შედეგად. საერთო ქართული სამართლებრივი სისტემიდან მომდინარე ელემენტები საფუძველს უყრის საქართველოს მთიანეთის ლოკალურ სამართალს ფშავშიც, ხევსურეთშიც, თუშეთშიც და სხვ. ამ ლოკალურ სამართალში, ადგილობრივი ეთნოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიმჩნევა ქართული ადათობრივი სამართლის ელემენტებიც, მაგრამ მთავარი პოსტულატები სახელმწიფო და საეკლესიო სამართლიდან არის გადმოსული. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალა სვანეთის ჩვულებით სამართალშია შემონახული, რადგან სვანეთში ქართული სამწიგნობრო კულტურის მდიდარი ტრადიციები არსებობდა და სახელმწიფო და კანონიკური სამართლის ნორმების გახალხურებული ელემენტები მწიგნობრული გზითაც გადადიოდა თაობიდან თაობაში და სამართლებრივი ნორმების და განაჩენების არაერთი „დაწერილიც“ შემოგვენახა ჩვენს დრომდე.[3]

[3] რ. გუჯეჯიანი. ქრისტიანობისა და ტრადიციული ქართული კულტურის კორელაციის საკითხისათვის. საერთაშორისო პერიოდული ჟურნალი. „განათლება“. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 3. თბ. 2011, გვ. 130-143; რ. გუჯეჯიანი. ცოდვისა და დანაშაულის ურთიერთმიმართება ქართულ ჩვეულებით სამართალში (სვანეთი). სამართლისა და პოლიტიკური ასროვნების ისტორიის ნარკვევები. წ. II. თბ. 2012, გვ. 259-268.

ივანე ჯავახიშვილი და ქართველთა არქაული რელიგიური სისტემა

ივანე ჯავახიშვილი ქართველთა უძველესი რელიგიის კვლევის დროს დიდ ადგილს უთმობს სვანურ ეთნოგრაფიულ მასალას. მას შესწავლილი აქვს სვანეთში შემონახული უძველესი მსოფლმხედველობრივი ასპექტები, მითოლოგია, ფოლკლორი, რწმენა-წარმოდგენები, რომელთა გამოყენებითაც აღადგენს არა მარტო სვანთა, არამედ, ზოგადად, ქართველთა ერთიანი არქაული ყოფის სურათებსა და წინარექრისტიანულ რელიგიურ პანთეონს.[4]

მართალია, ივანე ჯავახიშვილის ზოგიერთი მოსაზრება წინარექრისტიანული ქართული პანთეონის შესახებ, ჩვენს დროში სხვაგვარად არის გააზრებული, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივია: ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის პერიოდში ეთნოგრაფიული მასალის სიმწირე და განზოგადებული სამეცნიერო დასკვნების არარსებობა ინფორმაციის უფრო კონკრეტიზაციის საშუალებას არ იძლეოდა. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილის მიერ ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-30-იან წლებში გამოთქმული ესა თუ ის სამეცნიერო თეზა ქართველ მთიელთა ყოფაში შემონახული მითოლოგიური თუ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების არქეტიპების შესახებ – ჩვენი დროისთვისაც უმნიშვნელოვანესი ამოსავალია ამ საკითხთა კვლევის დროს.

განვიხილოთ ერთი კონკრეტულ ფაქტის – ლამპრობის დღეობის ამსახველი მასალის ივანე ჯავახიშვილისეული ინტერპრეტაცია. ცნობილია, ქართულ ტრადიციულ ყოფაში ტერმინი და რიტუალი „ლამპრობა“, რომელიც დასტურდება რამდენიმე მხარეში: სვანეთში (ორი დღეობის – მირქმისა (სვიმნობ) და ხალხური დღეობის „ლამპრობ//ლიმპარი//ნამპრობ//„ლიჩედურალ“-ის დროს), მთიულეთში („ლამპორიობა“), გუდამაყარში („ლამპრიობა“), ფშავში („ლამპორია“), ხევსურეთში („ლამპრობა“), ხევში („ამპარიობა“), გურიაში („ლამპრობა“) და სხვ. ჩვენი დროისათვის ლამპრების ანთების წესი, ანთებული ლამპრებით ეკლესიისკენ მსვლელობა, ლამპრის მიტანა სასაფლაოზე, ლამპრებისაგან საერთო კოცონის დანთების ტრადიცია მოქმედია ზემო სვანეთში, ქვემო სავნეთის ერთ სოფელში (მახაში) და საქართველოს სხვა მხარეებში კომპაქტურად ჩასახლებულ სვანებს შორის. სხვაგან რიტუალი გაქრობის პირასაა. როგორც უკვე ითქვა, ზემო სვანეთში ლამპრების ანთების ტრადიცია ორ დღეობას ახასიათებს: ერთია მირქმის//მიგებების

[4] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. თხზულებანი. ტ. I.

დღესასწაული, რომელსაც სვანურ კილოებზე ჰქვია „სვიმნობ“ და მეორეა უძღების კვირა დღის რიტუალი, რომელსაც სვანეთის სხვადასხვა ხეობაში ეწოდება „ლამპრობ“, „ლიმპარი“, „ნამპრობ“, „ლიჩედურალ“. სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ორი დღეობა ერთმანეთშია არეული, რაც მათ კვლევასა და მართებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ართულებს. საკითხის მეცნიერული შესწავლის ისტორია ივანე ჯავახიშვილით იწყება.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ლამპრობას კავშირი აქვს თეთრი გიორგის ღვთაებასთან და მთვარის კულტთან და დღეობა უძველეს დროში ქართველთა ყველა ჯგუფში აღინიშნებოდა. მკვლევარი იშველიებს დარისპან მარგიანის ეთნოგრაფიულ მასალას და მოგვითხრობს, რომ „სვანურ წმიდა გიორგობაზე, მეკერმისა და ფარისევლის კვირას, წირვის დროს რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი დიდით-პატარამდის წმიდა გიორგის საყდარში მიდიან. ყველას ხელში ანთებული არყის ხის ტოტები უჭირავს. ეკლესიასთან რომ მივლენ, ანთებულ ხეებს ერთი-ერთმანეთზე სდებენ და დიდ ცეცხლს გააჩენენ ხოლმე. მერე ხალხი „დიდების“ ლოცვას და გალობას დაიწყებს. დიდებას მორჩება თუ არა, ხალხი სიმღერით შინ ბრუნდება და ორშაბათ ღამემდის სიმღერა-თამაშობაში გაათენებს ხოლმე. ამ დღეობას სვანები „ლიმპიარის“ უძახიან და ქართულს ლამპრობას უდრის... სვანურ წმიდა გიორგობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი „ლიმპიარის“ ჩვეულებაა. ასეთივე ჩვეულება გურიაშიც სცოდნიათ“.[5] როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი საუბრობს, ეყრდნობა რა რეალურ ეთნოგრაფიულ მასალას (დ. მარგიანი), ხალხური დღეობის „ლამპრობ//ლიმპარი//ნამპრობ//„ლიჩედურალ“-ის შესახებ, ანუ, დიდი მეცნიერი განიხილავს გიორგობისადმი მიძღვნილ ლამპრობას და არა მირქმისადმი მიძღვნილ რიტუალს. დიდი მეცნიერის ეს დაკვირვება, მრავალმხრივ საყურადღებოა. მიუხედავად ეთნოგრაფიული მასალის სიმწირისა, ივანე ჯავახიშვილი ავლენს „ლამპრობის“ სახელით არსებულ ორ სხვადასხვა დღეობას და, როგორც შემდგომი კვლევები ადასტურებს, მისი სამეცნიერო ხედვა აბსოლუტურად მართებული და რეალურია.[6] იქვე ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს „ლამპრობის“ შესახებ არსებულ საისტორიო ცნობებზე, რომლებიც დაცულია „მატიანე ქართლისაჲში“. „ქართლის

[5] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. თხზულებანი. ტ. I, გვ. 97.
[6] რ. გუჯეჯიანი. ლამპრობის ტრადიცია საქართველოში. კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. ტ. XVI. თბ. 2015, გვ. 57-78.

ცხოვრებიდან ჩანს, რომ ლამპრობა ძველი ქართული ჩვეულება ყოფილა: კვირიკე ქორეპისკოპოზის (ფადლას ძის)[7] შესახებ იქ ნათქვამია: კვირიკემ „ესე პირი ითხოვა, რათა მას ზამთარსა არა აღიღონ ციხე ბოჭორმისა და შემდგომად აღვსებისა წარვიდეს და ნება სცეს; ...განუტევეს დღესა ლამპრობასა...“. ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი მეტად საყურადღებო დასკვნას აკეთებს: „როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, მაშინაც ლამპრობა დაახლოვებით იმავე დროსა სცოდნიათ, როგორც ეხლა სვანები დღესასწაულობენ“.[8] კულტურის ამ ერთი კონკრეტული ფაქტის კვლევის დროს, მწირი ეთნოგრაფიული მასალის პირობებშიც კი, ივანე ჯავახიშვილი განჭვრეტს დღესასწაულის გენეზისს და ავლენს მის ისტორიულ საწყისებსა და დიაქორნულ ჭრილს. ამგვარი მეთოდიკით უდგება ივანე ჯავახიშვილი ქართულ ეთნოგრაფიულ მასალას და ამიტომაც არ კარგავს მისი მეცნიერული მემკვიდრეობა მნიშვნელობას საუკუნის შემდეგაც.

ივანე ჯავახიშვილი და სვანეთის კულტურულ-სამეურნეო ყოფის საკითხები

ივანე ჯავახიშვილის კვლევის არეალში მოქცეულია ქართველთა კულტურულ-სამეურნო ყოფის ყველა სფერო, რომელთა ანალიზის დროს დიდი ადგილი ეთმობა სვანეთის მასალას. ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასი მასალა დაუნჯებულია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, წიგნი I და II; აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ მრავალტომეულში – „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“.

ივანე ჯავახიშვილი ნარატიული წყაროების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის შეჯერებით აცოცხლებს საქართველოს ტრადიციულ კულტურულ-სამეურნეო ტიპს, მეურნეობის ყველა სფეროს: მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ხელოსნობის სახეობებს, მეურნეობის დამხმარე დარგებს. ავლენს მეურნეობისა და ხელოსნობის ამა თუ იმ დარგის განვითარებისა და ისტორიულ დროში ცვალებადობის ეტაპებს, საქართველოს ისტორიულ-ეთ-

[7] კვირიკე II ფადლას ძე (929-976 წწ.).

[8] ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. თხსულებანი. ტ. I. გვ. 97. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 269.

ნოგრაფიულ მხარეთა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, გამოკვეთს სავაჭრო გზებსა და მარშრუტებს, ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან და სხვ.[9]

მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის 1930-იან წლებში იკრიბებოდა, მაგრამ ბევრად გვიან გამოიცა ხუთტომეულის სახით და ყოველი ტომის საერთო რედაქტორად ივანე ჯავახიშვილია მითითებული.[10] როგორც უკვე ითქვა, სპეციალური ეთნოგრაფიული კითხვარები უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის მიერ იყო მომზადებული. სპეციალისტები ამ კითხვარების საშუალებით აგროვებდნენ საინტერესო მასალას როგორც დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე მოწყობილი ექსპედიციების ფარგლებში, ასევე მასალა შეკრებილია საინგილოდანაც (ისტორიული ჰერეთი, დღევანდელი აზრებაიჯანის რესპუბლიკა). თავისთავად ასეთი ყოვლისმომცველი ეთნოგრაფიული კითხვარის არსებობაც კი ქართული ეთნოლოგიური სკოლის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია და მისი შემოქმედი დიდი ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილია.

„საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის მასალებში“ თავმოყრილია მრავალფეროვანი ინფორმაცია სვანეთის ტრადიციული მშენებლობის, სამშენებლო ტექნოლოგიების, ხალხური ავეჯის დამზადების, მიწათმოქმედების სახეობების (მებოსტნეობა, მემინდვრეობა, მეხილეობა), მეწისქვილეობის, მესაქონლეობის, კვებითი კულტურის, მელიორაციის სისტემის და სხვ., შესახებ.

ამოუწურავია ივანე ჯავახიშვილის წვლილი ქართული ეთნოლოგიის განვითარების საქმეში. გიორგი ჩიტაია, აჯამებდა რა დიდი ისტორიკოსის ღვაწლს, წერდა: „ივანე ჯავახიშვილი ჭეშმარიტად ქართული მეცნიერების ამღორძინებელია“[11]. შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი ქართული ეთნოლოგიის განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელიცაა და ქართული ეთნოლოგიის ქვედისციპლინა „ისტორიული ეთნოლოგია“ სწორედ მისგან იღებს სათავეს.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთ-ერთი თავისებუ-

[9] ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. თხზულებანი. ტ. V. თბ. 1986; ი. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. თბ. 1964.

[10] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. I. აღმშენებლობა და ავეჯი. თბ. 1976; ტ. III. საჭმელ-სასმელი. თბ. 1986; ტ. IV. სოფლის მეურნეობის დარგები. თბ. 1989.

[11] გ. ჩიტაია. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია. შრომები ხუთ ტომად. ტ. II. თბ. 2000, გვ. 64.

რება აზროვნების მასშტაბურობა და საკვლევი ობიექტის კომპონენტების დეტალური ანალიზია. მეცნიერს სვანეთში დადასტურებულ რწმენა-წარმოდგენებისა თუ სოციალური და სამეურნო ყოფის სეგმენტები შესწავლილი აქვს კომპლექსურად: ავლენს ეთნოგრაფიულ ტერმინთა ეტიმოლოგიას, სემანტიკურ ველს, ფაქტის სოციალურ როლს და, ხშირ შემთხვევაში, სტრუქტურასაც, რომელთა ერთობლიობითაც აღადგენს საერთო ქართულ ელემენტებს. კვლევის კომპლექსურობა და სიღრმისეულობა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებს უაღრესად თანამედროვე ხასიათს ანიჭებს და ეს განაპირობებს მისი მეცნიერული მემკვიდრეობის აქტუალობას საუკუნის შემდეგაც.

Rozeta Gujejiani

IVANE JAVAKHISHVILI AND ISSUES OF ETHNOLOGICAL STUDY OF SVANETI

Summary

Ivane Javakhishvili is the founder of many branches of historical science and he made major contribution to formation of ethnology as scientific discipline. Analysis of traditional way of life and culture of Svaneti takes the significant place in Ivane Javakhishvili's works. Ancient worldviews, mythology, folklore, beliefs and perceptions preserved in Svaneti were studied by Ivane Javakhishvili, who has reconstructed Georgian archaic life and pre-Christian pantheon.

The holistic thinking and detailed analysis of components of object of study is one of the peculiarities of Ivane Javakhishvili's scientific heritage. Every segment of beliefs and perceptions verified in Svaneti is comprehensively studied by scholar: he determines the etymology of ethnographic terms, semantic fields, social role and often structure of the fact. Comprehensiveness and deepness of study sets the extremely modern nature of Ivane Javakhishvili's works.

All other spheres of Georgians' everyday life are highlighted in the area of Ivane Javakhishvili's studies, and Svanetian materials have significant place in their analysis. In this regard especially valuable is an edition "Materials for the history of household and crafts of Georgia" issued under the editorship of Ivane Javakhishvili. The volume contains multifarious information on traditional construction technologies, furniture manufacturing, agriculture, cattle breeding, nutrition culture, and melioration system of Svaneti etc. Materials are prepared on the basis of special ethnographic reference book and information is obtained right from narrators.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

თედო დუნდუა, აკაკი ჩიქობავა

მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით)

განსხვავებულ ეკონომიკურ რეგიონებში მონეტა ცირკულირებდა, როგორც საქონელბრუნვის საშუალება. მას დამატებითი სემანტიკური დატვირთვაც გააჩნდა. მონეტა პროპაგანდის საშუალება იყო. კონკრეტული კვლევის ობიექტი ქართული ნუმიზმატიკური ძეგლებია; უფრო ზუსტად კი გვსურს ამ მასალის, როგორც წარსულში პროპაგანდის საშუალების, შესწავლა. ნაშრომში განხილულია შემდეგი სამონეტო ჯგუფები თუ ტიპები: ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები მითრას გამოსახულებით; ქართულ-სასანური დრაქმები; ქართულ-ბიზანტიური მონეტები; გიორგი III-ის მონეტები – მეფე შევარდენით ხელში.

1. გვიანანტიკურ ხანაში საკუთრივ კოლხეთის/ლაზიკის და ქართლის/იბერიის ტერიტორიაზე იჭრება მხოლოდ რომაული ფულის ლოკალური (იბერული) მინაბაძები. მაგრამ არის ქართველური ტომებით დასახლებული ერთი პუნქტი, კერძოდ ტრაპეზუნტი, რომელიც II-III საუკუნეებში ჭრის სპილენძის საქალაქო მონეტებს. მათ შუბლზე რომის იმპერატორის სახელია მოთავსებული, ხოლო ზურგზე – თემის (ტრაპეზუნტელებისა).[1]

II-III საუკუნეების ქალაქ ტრაპეზუნტის როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიური ისტორიის შესახებ მეტად მცირე წერილობითი წყაროები მოგვეპოვება. ამიტომ მეცნიერები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ აღნიშნული ქალაქის არტეფაქტებს, მათ შორის, მონეტებსაც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1958 წელს ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ II-III საუკუნეების ტრაპეზუნტის სპილენძის

[1] ეს ნაწილი მომზადებულია აღნიშნული ავტორების ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის (http://geonumismatics.tsu.ge) მიხედვით.

საქალაქო მონეტების განძს, რომელიც როგორც ჩანს, ქისაში ყოფილა მოთავსებული, ვინაიდან მონეტებზე შემორჩენილი იყო ქსოვილის ფრაგმენტები.

ბიჭვინთის გათხრებამდე ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტების აღმოჩენის შემთხვევები ამ ქალაქის ფარგლებს გარეთ ფიქსირებული არ იყო. ამის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი საკმაო კატეგორიულობით ამტკიცებდა, რომ ტრაპეზუნტი არ აწარმოებდა დამოუკიდებელ სავაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკას და მის მონეტებს მხოლოდ ლოკალური ხასიათის ფულის ნიშნად თვლიდა. ბიჭვინთისა და 1959 წელს სოხუმის არქეოლოგიურმა კამპანიებმა მთლიანად დაარღვია ეს დებულება. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ პუნქტებში, უკვე მოხსენიებული განძის გარდა, ტრაპეზუნტის მონეტების აღმოჩენა ცალკეული ერთეულების სახით ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ქალაქის ეკონომიკური ისტორიისთვის, არამედ მისი პოლიტიკური სტატუსის გასარკვევადაც.

ბიჭვინთის განძის შემადგენლობაში შედიოდა 149 მონეტა. აქედან ათი ვერცხლისაა, ხოლო 139 – II-III საუკუნეების ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტა. განძის გვიანდელი მონეტა ეკუთვნის ფილიპე უმცროსს (244/247-249 წწ.) და თარიღდება 244/45 წლებით. ამრიგად, განძი დამარხულია 244/45 წლების შემდეგ.

ტრაპეზუნტის მონეტები ბიჭვინთისა და სოხუმის აღმოჩენებამდე ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

თუ თავს მოვუყრით ბიჭვინთასა და სოხუმში აღმოჩენილ ცალებს, ლიტერატურაში არსებულ ცნობებს, სხვადასხვა მუზეუმებში თუ კერძო კოლექციებში დაცულ ეგზემპლარებსა და ანაბეჭდებს, მივიღებთ, რომ დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების დაახლოებით 340-350 ერთეული. აქედან, დაახლოებით 230 ცალი ბიჭვინთაშია ნაპოვნი (რიცხვები, ცხადია, აბსოლუტურად ზუსტი არ შეიძლება იყოს).

იმ 340-350 მონეტის ზურგზე, რომლებიც ჩვენთვისაა ცნობილი (და რომელთა დაცულობა ამის საშუალებას იძლევა), დაახლოებით 210-220 ცალზე გამოსახულია მზისა და სინათლის ღვთაება მითრა; ქალღმერთი ტიხე – 50-55 ცალზე; დიონისე – 17-ზე; სერაპისი – 12-ზე; აბუდანცია – 12-ზე; აპოლონი – 6-ზე; ჰერმესი – 2-ზე; ჰერაკლე – ერთზე; რეა-კიბელა – ერთზე; პალესი – ერთზე.

ზემოთ მოყვანილი რიცხვები გვარწმუნებს, რომ მითრა ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაებაა. ისმის კითხვა: რამ გამოიწვია მისი წინა პლანზე წამოწე-

ვა ელინურ ქალაქში? ეს გარემოება გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ ძვ. წ. V-IV საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსის, ქსენოფონტეს სიტყვებს, რომ ტრაპეზუნტი იყო „ხალხმრავალი ელინური ქალაქი პონტოს ევქსინოს სანაპიროზე, სინოპეს კოლონია კოლხების ქვეყანაში (Xenoph. Anab. IV. 8. 22). ცხადია, ამ ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ბირთვი არაელინური ელემენტისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. უფრო რელიეფურად ეს ჩანს იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) ლეგატის ფლავიუს არიანეს ცნობებიდან. აღწერს რა ამ ქალაქს, ის წერს იმპერატორს: „ ... ახლა აქ სამსხვერპლოებია აღმართული, მაგრამ ხორკლიანი ქვისაგან და, ამიტომ, ასოები ვერაა ნათლად ამოკვეთილი, ხოლო ბერძნული წარწერა შეცდომითაც კია შედგენილი, რადგან ბარბაროსების მიერაა დაწერილი ... შენი ქანდაკება დგას აქ, მდგომარეობა მისი მოხერხებულია – იგი ზღვას უთითებს. ქანდაკება არაა შენი მსგავსი და არც სხვამხრივაა კარგი... აქვე აშენებულია ოთხკუთხა ქვებით ტაძარიც“ (Arr. Periplus. 1-2). როგორც ვხედავთ, არიანე პირდაპირ ამბობს, რომ ბერძნული წარწერები „ბარბაროსების“ მიერ არის შესრულებული. ცხადია, „ბარბაროსებში“ კოლხები იგულისხმებიან. მეტიც, ტრაპეზუნტის არა თუ ძირითადი მოსახლეობა, არამედ მისი მმართველი წრეც უმეტესად „ბარბაროსების“ ტომებიდან უნდა ყოფილიყო გამოსული, რადგან ძნელი წარმოსადგენია, კლასიკურ ესთეტიკურ ტრადიციებზე გაზრდილ პირებს სანქცია მიეცათ ადრიანეს ქანდაკების დადგმისათვის, რომელიც ბერძნული ხელოვნების ნორმების დარღვევით იყო შექმნილი. ამრიგად, მითრას კულტის გამარჯვებისათვის ტრაპეზუნტში ეთნიკური საფუძველი არსებობდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობა: „მოვიდა ... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა...“ (ქც, I, გვ. 39). სინქრონულად მცირე აზიის სხვა ელინურ ქალაქებში მითრას კულტის არსებობის არავითარი ნიშანწყალი არ არის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტრაპეზუნტის მითრას გამოსახულებიან მონეტებს პარალელი არ ეძებნება სხვა ქალაქებისა და სამეფოების ნუმიზმატიკაში.

მითრაიზმი ქრისტიანობის კონტრარგუმენტია. მუნიციპალური მითრაიზმი ტრაპეზუნტში ადასტურებს აქ ქვედა კლასების ქრისტიანულ სტრუქტურალიზაციას.[2]

ეს ფულები პიტიუნტში უხვად მიმოიქცეოდა ჯარისკაცებს შორის. ქვემოთ ვნახავთ, რომ ყოველივე შემთხვევით არ მომხდარა.

[2] თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ΜΙΘΡΑΣ საქართველოში. თბ. 2010, გვ. 16-35.

„მან ქადაგებით მთელი პროვინცია შემოიკრიბა; და თითოეული, მისული წმ. კლემენტთან, უფლის შესახებ კლემენტის მოძღვრებაზე მოიქცეოდა; ყოველდღიურად ის 500-ზე მეტ კაცს ნათლავდა და უშვებდა. ერთ წელიწადში კი იქ, ჭეშმარიტი რწმენით, 75 ეკლესია აიგო, და ყველა კერპი დაიმსხვრა, მეზობელ მხარეებში მდებარე ყველა წარმართული ტაძარი დაინგრა, მისი მუდმივი ღვაწლით 300 მილის გარშემო ყველაფერი დაინგრა და მიწასთან გასწორდა.“[3] ეს აგრესიული და აშკარად გადაჭარბებული პროზელიტიზმი რომის III თუ IV ეპისკოპოსის (პაპის), კლემენტის (92-101 წწ.) „აპოკრიფული“ მოღვაწეობაა. კონკრეტული პასაჟი სწორედ რომ IV საუკუნის ბერძნული აპოკრიფული თხზულებიდან არის მოტანილი. კლემენტი იმპერატორ მ. ულპიუს ტრაიანეს (98-117 წწ.) ქერსონესში (ყირიმი) გადაუსახლებია და ქვის სამტეხლოებში სამუშაოდ გაუმწესებია. მან კი იქ დიდი ქრისტიანული მოღვაწეობა გააჩაღა.[4]

კლემენტის წარმატებანი იმ მხარეებში ქრისტიანული ორგანიზაციების გენეზისის ასპექტით ლოგიკური ჰიპოთეზაა. სამაგიეროდ, აშკარად დაუჯერებელია I საუკუნეში, მისი შთაგონებით, წარმართული კერპების მსხვრევა და წარმართული ტაძრების ნგრევა. ან რა სახსრებით, ან ვისი პროტექციით უნდა ეშენებინათ ქრისტიანული ეკლესიები?! როგორც ვხედავთ, მთელ ამ ამბავში, რაღაც უნდა დავიჯეროთ, რაღაც – არა. მაშ, რა ვუყოთ იმ 300 მილს (რომაული მილი უდრის დაახლ. 1480 მ.), რომელიც ზემოთ აღნიშნულ ციტატაში იხსენიება?! პროზელიტიზმის არეალში ხომ, პრაქტიკულად, პიტიუნტის მხარეც ექცევა. თუმცა, ჯერ, ალბათ, ძირითადი პრობლემა უნდა გადაწყდეს: იყო კი, საერთოდ, კლემენტი ყირიმში?! IV საუკუნემდე ხომ ყირიმში მისი გადასახლების და იქ მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ (კლემენტი, ღუზაზე მიბმული, ზღვაში დაახრჩვეს) არაფერს წერენ. ეს ამბავი არც ევსევისთანაა.[5] მეორე მხრივ, არც რაიმე ტრადიცია არსებობს, რომ მი-

[3] Martyrium S. Clementis. XXII. Patrologiae Graecae Tomus II. Paris. 1886, გვ. 630.

[4] Martyrium S. Clementis, გვ. 627-630.

[5] Ph. Schaff. History of the Christian Church. Vol. II: Anti-Nicene Christianity. A.D. 100-325. First Published 1882. Third Edition, Revised. http://www.ccel.org/ccel/schaff/hcc2.html, გვ. 399-405; Clement of Rome. The Oxford Dictionary of the Christian Church. Edited by F. L. Cross.Third Edition by E. A. Livingstone. Oxford University Press.1997, გვ. 360; Eusebius. HE. III. IV. 6-11, III. XI. XV, III. XX. XXI, III. XXXVII. XXXVIII, Eusebius. The Ecclesiastic History. With an English Translation by K. Lake. In Two Volumes. I. London: W. Heinemann, New York: G. P. Putnam's Sons. MCMXXVI, გვ. 197, 233, 235, 241, 289.

სი საფლავი რომშია.[6] ე.ი. კლემენტი მაინც გადაუსახლებიათ.

არა კონკრეტულ ფრაზაზე დაყრდნობით, სადაც აღნიშნული მანძილია მოცემული, არამედ იმ ზოგადი კონიუნქტურიდან გამომდინარე, რომ კლემენტი ქერსონესში იყო გადასახლებული, ხოლო ქერსონესი ახლოს არის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან, ზოგიერთმა სპეციალისტმა ადრეც გამოთქვა ვარაუდი, რომ კლემენტის მიერ მოქცეულნი, მისივე კურთხევით, კოლხეთ/ლაზიკაშიც მოღვაწეობდნენ. ასე ფიქრობდნენ მ. საბინინი[7] და მ. თამარაშვილი.[8] ახლა, ზოგად კონიუნქტურასთან ერთად, პირდაპირ მინიშნებაზეც გამახვილდა ყურადღება პროზელიტიზმის რადიუსთან დაკავშირებით.

არის კიდევ ერთი რამ – თვით ქალაქ პიტიუნტის ისტორია. რომ არა ქრისტიანული თემის არსებობის ფაქტი პიტიუნტის ხორაში, განა საჭირო იქნებოდა პიტიუნტში III საუკუნის დასაწყისიდან განლაგებული a priori მითრაისტი ლეგიონერების[9] პროვიდენციული სულისკვეთების ამაღლება მითრაისტული პროპაგანდით, კერძოდ, ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებით, რომლებზეც, უმეტესად, მითრაა გამოსახული და რომლებითაც ჯარისკაცებს „ჯიბის ფულს“ უხდიდნენ. რა თქმა უნდა, კონკრეტულ შემთხვევაში ძირითადი მაინც ის არის, რომ კაპადოკიის ლეგატს დაქვემდებარებული ეს გარნიზონი სწორედ რომ ამ პროვინციის სისტემაში ჩართული მუნიციპალიტეტის (ე.ი. ტრაპეზუნტის) სპილენძის ფულით მარაგდებოდა, ალბათ, ფისკის ლოკალური განყოფილებიდან[10], მაგრამ პროვიდენციული მომენტებიც გასათვალისწინებელია. სადაც ძლიერი მითრაისტული პროპაგანდაა, იქ ქრისტიანებიც არიან, როგორც ამ რელიგიის ყველაზე ძლიერი ოპონენტები, ამ შემთხვევაში, „სოციალისტი“ ოპონენტები.[11] სიმპტომატურია ისიც, რომ დოკუმენტურად დადასტურებული ყველაზე ადრეული ეპარქია დასავლეთ სა-

[6] Ch. G. Herbermann. Pope St. Clement I. The Catholic Encyclopedia. Volume 4: Clandestinity-Diocesan Chancery. New York. 1913, გვ. 36.

[7] М. Сабинин. Полные жизнеописания святых грузинской церкви. В 2-х частях. СПб. 1871. Ч. I, გვ. 33-34. http://krotov.info/libr_min/18_s/ab/inin_01.html.

[8] მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები. 3. თბ. 1995, გვ. 189-190.

[9] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. 1970, გვ. 545, 549.

[10] T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999, გვ. 3-4; T. Dundua. Influx of Roman Coins in Georgia. Roman Coins Outside the Empire. Ways and Phases, Contexts and Functions. Proceedings of the ESF/SCH Exploratory Workshop. Radziwill Palace, Nieborow (Poland). 3-6 September. 2005. Moneta 82. Wetteren. 2008, გვ. 309 -319.

[11] T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story.

ქართველოს ტერიტორიაზე სწორედ რომ პიტიუნტისაა.[12]

პიტიუნტში აღმოჩენილი ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები მითრას გამოსახულებით:

შუბლი: წვეროსანი იმპერატორის გამოსახულება მარჯვნივ.
ზურგი: მითრას ბიუსტი სხივანა ფრიგიულ ქუდში მარჯვნივ. მის წინ ცხენის პროტომა. უკან დამღა რამდენიმე წრე-ხაზის სახით.

შუბლი: სემპტიმიუს სევერუსის გამოსახულება მარჯვნივ. იმპერატორის მარჯვნივ წარწერა: CEOYHPOCΛ.
ზურგი: ტახტზე მჯდომარე ცხენის გამოსახულება მარჯვნივ. მისგან მარცხნივ თითქოს სიუხვის ყანწი უნდა იყოს. გამოსახულების უკან წარწერის ფრაგმენტი: TPAΠ ... O.

შუბლი: იულია დომნას ბიუსტი მარჯვნივ. თმებში სამკაული აქვს დამაგრებული. აცვია გულამოჭრილი სამოსი, რომლის საყელო უკანაა აწეული. იკითხება: MNA ...
ზურგი: მითრა ცხენზე მარჯვნივ. ცხენს საკურთხეველის წინ მარჯვენა ფეხი აქვს აწეული. მხედრის უკან სიცოცხლის ხე. ქვემოთ თარიღის ნაწილი: ET... წრიული ლეგენდა გადასულია.

შუბლი: კარაკალას ბიუსტი მარჯვნივ. იკითხება ANTΩNEINOC.
ზურგი: მითრა ცხენზე მარჯვნივ. ცხენს საკურთხეველის წინ მარჯვენა ფეხი აწეული აქვს. საკურთხეველზე დევს გირჩა. მხედრის წინ აღმართულია კოლონა, რომელზეც ყვავი ზის. უკან სიცოცხლის ხეა, ქვემოთ თარიღი.

შუბლი: ელაგაბალუსის ბიუსტი მარჯვნივ. ზედწერილი გადასულია.
ზურგი: მითრა ცხენზე მარჯვნივ. თანმხლები პირები – კაუტესი და კაუტოპატესი. მხედრის უკან სიცოცხლის ხე. მხედრის წინ კოლონა, რომელზედაც ამური დგას. ზედწერილი ცუდად იკითხება.

[12] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 186.

შუბლი: გორდიანე III-ის ბიუსტი მარჯვნივ. წრიული ლეგენდა: AYK ANΓOPΔIANOCCEB.

ზურგი: მითრა ცხენზე მარჯვნივ. მხედრის უკან სიცოცხლის ხე. წინ კოლონა, რომელზეც ყვავი ზის. ფრინველს ზემოთ – ვარსკვლავი. ცხენს მარჯვენა ფეხი აქვს აწეული. მიწის აღმნიშვნელ ხაზს ქვემოთ გველია გართხმული. წარწერა: TPAΠEZOYNTIΩN. თარიღი გადასულია. რკალი წერტილოვანი.



1.



2.



3.



4.



5.



6.

2. 532 წელს ბიზანტიამ ირანთან დადო „საუკუნო ზავი“, რომლის ძალითაც მან ცნო ირანელთა უფლება აღმოსავლეთ საქართველოზე. ამით ქართლში მეფობა გაუქმდა. VI საუკუნის განმავლობაში ქართლის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა და ეს პერიპეტიები უტყუარად აისახა ქართულ-სასანურ მონეტებზე. VI საუკუნის მიწურულს ქართლში მონეტები იჭრება სასანიანთა ირანის სამონეტო ტიპის მიხედვით. მონეტის შუბლზე ყოველთვის გამოსახულია ირანის შაჰის ბიუსტი, ხოლო ზურგ-

ზე – ცეცხლთაყვანისმცემელ სასანიანთა ემბლემა, საკურთხეველზე აგიზგიზებული ცეცხლი, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი დარაჯობს. მეამბოხე ქართველებმა ამ შაბლონურ ტიპს შაჰის მხარს ზემოთ მიუმატეს ქრისტიანობის სიმბოლო – ჯვარი, რომელიც ამავე დროს ეროვნული სიმბოლოც იყო. ეს გახლდათ დიდი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი. ზოგჯერ მონეტების კიდეზე, მმართველის გამოსახულების ზემოთ, ვხვდებით ქართულ ასოებს ან მონოგრამებს, რომლებიც ქართველ ერისმთავართა სახელებს გვაუწყებს. მეტიც: ქართველებმა ქრისტიანობის სიმბოლო, ჯვარი, აგიზგიზებული ცეცხლის ნაცვლად საკურთხეველზე მოათავსეს და ამით ირანელთა ემბლემა დემონსტრატიულად განდევნეს ქართული მონეტიდან. ერისმთავარმა სტეფანოსმა კი თავისი სახელი მონეტის ცენტრში სრულად მოათავსა, მმართველის გამოსახულების გვერდით.[13] აქ იშვიათი სიზუსტითაა ასახული ქართველ-ირანელთა ბრძოლის პერიპეტიები, ამ ბრძოლის დასაწყისი და მისი დასასრული.

სასანური ტიპის მონეტებზე ჯვრის მოთავსება რევოლუციური აქტია და ის, ალბათ, გაცილებით უფრო გაბედული ნაბიჯია, ვიდრე ქართული ასოების ამოკვეთა შაჰის გამოსახულებასთან (?). ამ ღონისძიებით, ფაქტობრივად, ქართლმა საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი ეროვნული პრეტენზიები. კიდევ მეტი: ქართლის რომელიღაც რადიკალურად განწყობილმა ერისმთავარმა მაზდეანობის ემბლემა – წმინდა ცეცხლი, საერთოდ განდევნა მონეტიდან და მის ადგილზე (კვარცხლბეკზე) დემონსტრატიულად ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო – ჯვარი აღმართა. ე.ი. სახეზეა პან-ევროპული, მაშასადამე, ქრისტიანული კონცეფციების ლოკალური პროპაგანდა.

ანონიმური მონეტები ჯვრის გამოსახულებით შუბლზე.

შუბლი: ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება მარჯვნივ. გამოსახულების წინ ფალაური ლეგენდა – ჰრმ-აფზუ (ჰორმიზდ უავგუსტესი), უკან – ტოლფერდა ჯვარი, რომლის ბოლოებზე ბურთულებია მოთავსებული. გარშემო შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი ერთმაგი რკალი.
ზურგი: საკურთხეველი სადა სვეტის სახით, რომელზედაც მაზდეანობის სიმბოლო – წმინდა ცეცხლი ანთია. საკურთხეველს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღის და ზარაფხანის აღმნიშვნელი ფალაური ზედწერილები დამახინჯებულია.

[13] ქართულ-სასანური დრაქმების სრულად იხ. http://geonumismatics.tsu.ge.

ანონიმური მონეტები კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრით.

შუბლი: ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება მარჯვნივ. გამოსახულების წინ ფალაური ლეგენდა – ჰრმ-აფზუ (ჰორმიზდ უავგუსტესი). გარშემო შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი ერთმაგი რკალი.
ზურგი: კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. კვარცხლბეკს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღის და ზარაფხანის აღმნიშვნელი ფალაური ზედწერილები დამახინჯებულია.

მონეტები ჯვრის გამოსახულებით საკურთხეველზე. სტეფანოს I – პირველი ემისია.

შუბლი: ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება მარჯვნივ. ფალაური ლეგენდა – ჰრმ-აფზუ (ჰორმიზდ უავგუსტესი). ყველაფერი ეს ჩასმულია შეერთებული წერტილებისაგან შემდგარ ერთმაგ მსხვილ რკალში. მონეტის კიდეზე ოთხი ქართული მთავრული ასო – ᲡᲤᲮᲡ(=სტეფანოს), შემორკალური ოთხი ნახევარმთვარით.
ზურგი: კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. კვარცხლბეკს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღი და ზარაფხანის სახელი იმდენადაა დამახინჯებული, რომ წაკითხვა შეუძლებელია. გარშემო შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი ორმაგი რკალი.

მონეტები ჯვრის გამოსახულებით საკურთხეველზე. სტეფანოს I – მეორე ემისია.

შუბლი: შაჰის/მმართველის გამოსახულება მარჯვნივ. ფალაური წარწერის ნაცვლად გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ქართული ასომთავრული ლეგენდა – ᲡᲔᲦᲤ/ᲩᲮᲥᲡ (სტეფანოს). გარშემო შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი ორმაგი რკალი.
ზურგი: კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. კვარცხლბეკს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. ფალაური წარწერა აღარ თავსდება. გარშემო შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი სამმაგი რკალი.



1.



2.



3.



4.

3. შემდგომ საქართველო იმდენად იყო ინტეგრირებული ბიზანტიასთან, რომ აქაც და იქაც უნიფიცირებული სამონეტო ტიპები იჭრებოდა მართლმადიდებელი ინტეგრაციული სიმბოლიკით დატვირთული – „ძელი ცხორებისაჲ“ (ჭეშმარიტი ჯვარი), ელაქერნის ღვთისმშობელი და აშ. ქართულ-ბიზანტიური მონეტები საქართველოს, როგორც „ბიზანტიური თანამეგობრობის“ და მართლმადიდებელი სიმმახიის წევრის, პროპაგანდაა.

ბიზანტიური სტილის ქართული მონეტების მოჭრა იმიერტაოს მფლობელმა დავით III კურაპალატმა დაიწყო.[14]

ვერცხლი. 979 წ.

შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი: ⵐⵗⵖⵗ/ⵆⵆ (ქრისტე. შეიწყალე დავით).

ზურგი: ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჭეშმარიტი ჯვარი, რომლის ტოტებს შუა მოთავსებულია ოთხი ასომთავრული ნიშანი – ⵖⵁⵑⵒ (კურაპალატი).

დავითის მონეტები ტიპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას სინქრონულ ბიზანტიურ ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, კერძოდ, ემსგავსება ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) მონეტას (უფრო ადრეული ბიზანტიური ემისიებიც გასათვალისწინებელია პროტოტიპის კუთხით).

ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.), გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) და

[14] ქართულ-ბიზანტიური მონეტების სრული აღწერილობა და სამეცნიერო კომენტარი იხ. http://geonumismatics.tsu.ge.

დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მონეტების ნაწილი მოჭრილია იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) მონეტების მიხედვით, რომელთა შუბლზე ვლაქერნის ღვთისმშობელია გამოსახული.

ბაგრატ IV-ის მონეტები ბიზანტიური ტიტულების მიხედვით ორ ემისიად იყოფა. პირველის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – წმინდა ღვთისმშობელი.

ზურგი: მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილია: ⴕⴗⴑⴆⴗⴊⴗⴒⴔⴟⴑⴝⴕⴑⴆⴗ (ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე). ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული, სამსტრიქონიანი წარწერა: ⴆⴑⴒⴎ/ⴕⴗⴚⴝⴗ/ⴆⴎⴝⴗ (და ნოველისიმოსი).

ბაგრატ IV-ის მეორე ემისიის მონეტები ზემოთ აღწერილისგან იმით განსხვავდება, რომ სათანადო ადგილას „ნოველისიმოსის“ ტიტული შეცვლილია „სევასტოსით“. ამ მონეტების აღწერილობა ასეთია:

შუბლი: ორმაგი წერტილოვანი ან ხაზოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – წმინდა ღვთისმშობელი.

ზურგი: მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილია: ⴕⴗⴑⴆⴗⴊⴗⴒⴔⴟⴑⴝⴕⴑⴆⴗ (ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე). ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული, სამსტრიქონიანი წარწერა: ⴆⴑⴝ/ⴗⴕⴑⴝ/ⴒⴎⴝⴗ (და სევასტოსი).

გიორგი II-ის ჩვენამდე მოღწეული მონეტები ქართული ლეგენდების მიხედვით სამ ემისიას ქმნის. პირველის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. შარავანდედის შიგნით ოთხი

წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – წმინდა ღვთისმშობელი, ხანდახან, ΜΡ ΘΥ – დედა ღვთისა.
ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: ⵜⵕⵛⵒⵗⵛⵗⵇⵋⵃⵓⵛⵆⵛⵜⵐⵓⵒⵃⵓⵛⵒⵗ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამ სტრიქონად: ⵆⵛ/ⵀⵃⵍⵗ/ⵒⵍⵗ (და ნოველისიმოსი).

მეორე და მესამე ემისიის მონეტები ზემოაღწერილისგან განსხვავდება იმით, რომ ნოველისიმოსი შეცვლილია სევასტოსით და კესაროსით. იცვლება აგრეთვე ავერსის ბერძნული წარწერაც. ზემოხსენებულ ლეგენდასთან ერთად მონეტებზე გვხვდება სხვა ზედწერილიც: ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙCΑ – დედა ღვთისა ვლაქერნის.

გიორგი II-ის მეორე ემისიის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: წერტილოვან ან ორმაგ წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. შარავანდედის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – წმინდა ღვთისმშობელი. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის: ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙCΑ – დედა ღვთისა ვლაქერნის.
ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: ⵜⵕⵛⵒⵗⵛⵗⵇⵋⵃⵓⵛⵆⵛⵜⵐⵓⵒⵃⵓⵛⵒⵗ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამსტრიქონად: ⵆⵛ/ⵙⵗⵄⵙ/ⵇⵍⵙ (და სევასტოსი).

გიორგი II-ის მესამე ემისიის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: წერტილოვან ან ორმაგ წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახუ-

ლების გვერდებზე ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – წმინდა ღვთისმშობელი. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის: ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙCΑ – დედა ღვთისა ვლაქერნის.

ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: ⵐⵔⵛⵓⵎⵍⵔⵇⵑⵔⵇⵒⵅⵓⵔⵛⵔⵛⵜⵃⵓⵔⵒⵅⵓⵔⵛⵔⵇⵑ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამსტრიქონად: ⵛⵔ/ⵖⵍⵔ/ⵃⵆⵏ (და კესაროსი).

ჩვენამდე მოღწეული დავით აღმაშენებლის მცირერიცხოვანი მონეტები სამ ემისიად იყოფა. პირველი ემისიის მონეტები თავიდან ბოლომდე იმეორებს ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის მონეტებს, შეცვლილია მხოლოდ რევერსის ქართული ზედწერილი. ვიძლევით მათ აღწერილობას:

შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა: ΜΡ – ΘΥ – დედა ღვთისა.

ზურგი: მონეტები დაზიანებულია, წრიული ქართული ასომთავრული წარწერიდან იკითხება მხოლოდ ნაწილი: ...ⵐⵛⵔⵇⵑ... (ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე). ცენტრში – ⵛⵔ/ⵙⵗⵒⵙ/ⵇⵙ (და სევასტოსი).

დავით IV-ის მეორე ემისიის მონეტების ზურგზე ჯვარია გამოსახული, ხოლო ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულება შენარჩუნებულია. მათი აღწერილობა ასეთია:

შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა: ΜΡ – ΘΥ – დედა ღვთისა.

ზურგი: წრიული ქართული ასომთავრული ზედწერილი სრული სახით არ არის შემორჩენილი: ⵐⵔⵛⵛⵜⵃⵓⵔⵛⵔ... (ქრისტე, ადიდე დავით, მეფე და სევასტოსი (?)). მონეტის ცენტრში – ჯვარი.

ვლაქერნის ღვთისმშობელი შემდეგი იმპერატორების დენომინაციებზეა:	ვლაქერნის ღვთისმშობელი შემდეგი ქართველი მეფეების ვერცხლის ფულებზეა:
1. კონსტანტინე IX მონომახი (1042-1055 წწ.) – 2/3 მილიარისი	1. ბაგრატ IV. I ემისია. თეთრი (2/3 მილიარისი). 1055 წ. ქუთაისი. მეფე და ნოველისიმოსი
2. თეოდორა (1055-1056 წწ.) – 2/3 მილიარისი	2. ბაგრატ IV. II ემისია. თეთრი. 1068/69 წწ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი
3. მიხაელ VI სტრატიოტიკი (1056-1057 წწ.) – 2/3 მილიარისი	3. გიორგი II. I ემისია. თეთრი. 1073 წ. ქუთაისი. მეფე და ნოველისიმოსი
4. კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.) – 1/3 მილიარისი	4. გიორგი II. II ემისია. თეთრი. 1074 წ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი
5. რომან IV დიოგენი (1068-1071 წწ.) – 1/3 მილიარისი	5. გიორგი II. III ემისია. თეთრი და ნახევარი თეთრი (1/3 მილიარისი). 1075-1089 წწ. ქუთაისი. მეფე და კესაროსი
6. მიხაელ VII დუკა (1071-1078 წწ.) – 1/3 მილიარისი	6. დავით IV. I ემისია. ნახევარი თეთრი. 1089-1099 წწ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი
7. ნიკიფორე III ბოტანიატი (1078-1081 წწ.) – 2/3 მილიარისი	7. დავით IV. II ემისია. ნახევარი თეთრი. 1089-1099 წწ. ქუთაისი. მეფე და . . . ჯვარი
8. ალექსი I კომნენოსი (1081-1118 წწ.) – ტეტარტერონი	

დავით IV-ის ფოლისი. წონა – 10,73 გრ.

შუბლი: საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი დავით აღმაშენებლის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. მარჯვენა ხელში მას გრძელი სკიპტრა უჭირავს. მარცხენაში – სფერო, რომელიც ჯვრითაა დაგვირ-

გვინებული. თავსამკაულის ზემო ნაწილიც ჯვრითაა დამშვენებული (სტემა, საიმპერატორო გვირგვინი). მეფეს ყელზე მძივები უკეთია. გამოსახულების მარცხნივ – ასომთავრული ⴆⴓ – დავით, მარჯვნივ – ⴅⴔ – მეფე.

ზურგი: მონეტის ცენტრში თანაბარტოტებიანი ჯვრის გამოსახულება. გარშემო ქართული ასომთავრული ლეგენდა: ⵜⴆⴓⴅⴔⵕⵂⴔⵜⵀⵃⵖⵆⴓⵏⵆⴓ (ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა).

მონეტის შუბლის მხარის პროტოტიპია ალექსი I კომნენოსის რეფორმის შემდგომდროინდელი ბილონის ასპრის ზურგის ტიპოლოგია. თუმცა ქართველი მეფის საიმპერიო სამოსი ფიქცია არ არის.



1.



2.



3.



4.



5.



6.



7.



8.



9.

4. გიორგის III-ის სპილენძის მონეტები – მეფე შევარდენით ხელში.

„...მე მოწმე გავხდი იმ პრივილეგიებისა, როცა შევედი თბილისში 548 (1153) წ. და ვიხილე, როგორ ჩამოვიდა აფხაზთა მეფე დემეტრე, რომლის სამსახურშიც ვიმყოფებოდი, თბილისში და რამდენიმე დღე დაჰყო აქ. იმავე პარასკევს ის მივიდა მთავარ მეჩეთში, დავჯდა ამაღლებულ ადგილზე მოლას პირდაპირ და იქვე დარჩა, ვიდრე მოლამ იქადაგა და ხალხმა ილოცა. მან მოუსმინა „ხუთბას“ თავიდან ბოლომდე. შემდგომ ის გამოვიდა გარეთ და მე-

ჩეთს 200 დინარი უწყალობა“.[15] ასე საუბრობს არაბი ალ-ფარიკი მუსლიმი ქვეშევრდომების მიმართ საქართველოს მეფის დემეტრე I-ის ტოლერანტობის დემონსტრირებაზე. ალბათ, მეფეს სურდა ისინი უფრო ერთგულნი ყოფილიყვნენ. მისმა ძემ გიორგი III-მ ანალოგიური პროპაგანდისთვის უფრო მძლავრ საშუალებას მიმართა.



გიორგი III-ის სპილენძის მონეტა.

შუბლი: აზიურ-ბიზანტიურ სამოსელში გამოწყობილი გიორგი III მარცხენა (ზოგჯერ მარჯვენა) ხელით დოინჯშემოყრილი ფეხმორთხმით ზის პირდაპირ. მას მეორე გაწვდილ ხელზე შევარდენი უზის. თავს საიმპერატორო სტემა უმშვენებს. მონეტის არეზე გაფანტულია ქართული მხედრული წარწერა, რომელიც იუწყება მეფის სახელს (შემოკლებულად – გი, ზოგან ამას ემატება ᲦᲘ-ს მონოგრამა) და ასომთავრული წარწერა ⴑⴛⴘⴆⴅⴆⴃ ქორონიკონსა 394 (=1174 წ.).

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მეფეთა მეფე გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი.

წარმოდგენილ მონეტაზე სიუზერენი სპარსულად არის ჩაცმული – მართლაც, ის ფიგურირებს ცრუ სახელოებით და ფართო შარვლით; ზის ფეხმორთხმით, ესეც სპარსული ექსპრესიონიზმის ძალზედ სიმპტომატური შტრიხია, ხელზე შევარდენით. მმართველის მუსლიმ მბრძანებლად აღქმას ხელს უშლის სამი რამ: 1. ზურგის მხარის არაბული ლეგენდა, სადაც აღნიშნულია, რომ ის მეფეთა მეფე გიორგია, მესიის მახვილი, 2. ქართული ინიციალები შუბლის მხარეზე და 3. საკიდრებიანი საიმპერატორო გვირგვინი

[15] თ. დუნდუა, თ. ქამუშაძე. ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ნუმიზმატიკა. დეციდ ლანგის წიგნის – Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, New York, 1955 – ეპიტომა. თბ. 2007, გვ. 19.

– სტემა.[16]

სქემატური გამოსახულება ნუმიზმატიკურ ძეგლზე გიორგი III-ს ეკუთვნის. ის „უცნაურად“ არის ჩაცმული, ამით არც ბაბუას, დავით IV-ს, და არც შვილიშვილს, გიორგი IV ლაშას, ემსგავსება. ბიზანტიური „თანამეგობრობის“, ან მართლმადიდებელი de jure იმპერიის ძლიერი სუბიექტის მონარქები საიმპერატორო სამოსელს (საკო, ლოროსი, ქლამინდა) ატარებდნენ. დავით ულუ და დავით ნარინიც კი მსგავსად არიან გამოწყობილნი. ტრაპიზონის ასპრების ქართულმა მინაბაძებმა (ზურგზე კეისარია გამოსახული) ქართულ სამყაროს საიმპერატორო ატრიბუტიკა XV ს-მდე შეუნარჩუნა. არსებობს კი რაიმე მიზეზი, რომ გიორგი III-თვის ასეთი „უნიფორმა" მიუღებელი ყოფილიყო?! რა თქმა უნდა, არა, პირიქით, სპარსულად გამოწყობილ მეფეს თავს სწორედ საიმპერატორო გვირგვინი უმშვენებს.

მაშინ გამოდის, რომ გიორგი III-ის „სპარსული სტილი" თავიდან ბოლომდე გამოგონილია, არარეალისტური.

რისთვის დასჭირდა მას ყოველივე ეს?

შესაძლოა, ასეთი ფულის მოჭრით გიორგი III ცდილობდა პოპულარული გამხდარიყო თბილისში კონცენტრირებულ საკუთარ მუსლიმ ქვეშევრდომებში.

გიორგი III-ის სპილენძის მონეტის ტიპოლოგიურ სტრუქტურაში მხოლოდ ერთი რამ არის რეალისტური – საკუთრივ სტემა, ქართველ მეფეთა აუცილებელი ატრიბუტი XII -XV სს-ში.

ასეთია ჩვენი დაკვირვება ქართულ ნუმიზმატიკურ მასალაზე. გამოიკვეთა რამდენიმე სამონეტო ტიპი, რომლებსაც სხვადასხვა ეპოქაში, კონიუნქტურიდან გამომდინარე, კონკრეტული პროპაგანდისტული დატვირთვა გააჩნდა.

[16] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006, გვ. 204, ტაბ. № 68-69.

Tedo Dundua, Akaki Chikobava

COIN AS A MEANS OF PROPAGANDA (ACCORDING TO GEORGIAN NUMISMATICS)

Summary

Everywhere coin facilitated exchange of goods. It was employed also for different propaganda. Georgians did the same as seen in the monetary groups and types as follows: municipal copper coins of Trapezus with the effigy of Mithras, Georgian-Sassanian drachms, Georgian-Byzantine coins, coins of Giorgi III – king with falcon on hand.

Only Georgian (Iberian) imitations to Roman coins are struck on the territory of Colchis/Lazica and Kartli/Iberia in late Antiquity. However, there was one place populated by West Georgian people – namely, Trapezus, which issued municipal copper coins in the 2^{nd}-3^{rd} cc. Name of Roman Emperor is on obverse, while the name of community – on reverse.

We lack the written sources about the political, as well as cultural and religious history of Trapezus of the 2^{nd}-3^{rd} cc. That is why scholars pay much attention to the artefacts, including the coins. From this point of view, a hoard of municipal copper coins of Trapezus dated back to the 2^{nd}-3^{rd} cc. A.D. and found during Bichvinta (Western Georgia) archaeological excavations in 1958 is of special importance. The hoard seems to be placed in a purse, since fragments of textiles are discovered on coins.

Before Bichvinta excavations, municipal copper coins of Trapezus had not been found outside the city. Based on this, some scholars insisted on the fact that Trapezus did not have independent trade and economic policy and its coins were only of local importance.

Archaeological excavations of Bichvinta and in Sokhumi (Western Georgia) in 1959 rejected this thesis. The fact is that, not only the hoard was found there – discovery of a single coins of Trapezus became common in these places. This fact is of great importance not only for economic history of the city, but for the study of its political status.

Bichvinta hoard contained 149 coins. Ten of them are silver coins, while

139 are the 2nd-3rd cc. municipal copper coins of Trapezus. The latest coin of the hoard belongs to Philip Junior (244/247-249) and is dated back to 244/245, so the hoard was deposited after 244/245.

Before Bichvinta and Sokhumi discoveries coins of Trapezus were something of a rarity.

If we take into account findings in Bichvinta and Sokhumi, all information in literature about the coins, also samples and imprints kept in different museums and private collections, we will find out that 340-350 samples of municipal copper coins of Trapezus are found up today. About 230 out of them are found in Bichvinta (numbers cannot be absolutely precise). Mithras, the god of the Sun and light, is portrayed on the reverse of 210-220 coins out of 340-350 samples, Tyche – on 50-55 samples, Dionysus – on 17 samples, Serapis – on 12 samples, Abundantia – on 12 samples, Apollo – on 6 samples, Hermes – on 2 samples, Hercules – on 1 sample, Rhea Cybele – on 1 sample, Pales – on 1 sample.

These numbers assure us that Mithras was the major deity of Trapezus. Mithras, the god of the Sun and light, is not of Greek origin. The question is: why was he so important in the Greek city? This will be understandable if we take into consideration the words of Xenophon, that Trapezus was "an inhabited Greek city on the Euxine Sea, a colony of the Sinopeans on the territory of Colchis" (Xenoph. Anab. IV. 8. 22). Evidently majority of the city population should have consisted of non-Greeks. This is much obvious from the information of Flavius Arrianus, legatus of Emperor Hadrian. Describing the city, he writes to the Emperor: "Two altars of rough stone are still standing there now; but, from the coarseness of the materials, the letters inscribed upon them are indistinctly engraven, and the inscription itself is incorrectly written, as is common among barbarous people... Your statue, which stands there, has merit in the idea of the figure, as it represents you pointing towards the sea; but it bears no resemblance to the original, and the execution is in other respects but indifferent... A temple is there constructed, built of squared stone" (Arr. Periplus. 1-2). As we can see, Arrianus directly indicates that Greek inscriptions are written by the "barbarians". It is obvious that the Colchians are meant under the "barbarians". Even more, not only the majority of Trapezus' population, but also ruling classes should be of "barbarian" origin. It is difficult to imagine the Greek officials could authorize a creation of Hadrian's statue with non-Greek art concepts. So, there was ethnic basis for triumph of Mithras in Trapezus. From this point of view, some information from national Georgian narrative

"Kartlis Tskhovreba" (The Life of Kartli, I, p. 39) is very interesting: "and Andrew (St. Andrew) came to the city of Trapezus, which is the country of Mingrelians (i.e. West Georgians)". There is no sign of Mithras' cult in other Hellenic cities of Asia Minor during these times. We should underline that municipal copper coins of Trapezus with the effigy of Mithras are unparalleled in the numismatics of other cities and kingdoms.

Mithraism shaped itself a rival of Christianity. Then Mithraistic evidences from Trapezus also carry a possibility of Christians being well-established there.

Not accidentally, Roman soldiers stationed at Pitius in Colchis/Lazica had abundantly this Mithra-type coins as pocket-money.

"He assembled the whole province by preaching; everyone coming to Clement was converted to his doctrine about the Lord; more than 500 persons used to be baptized by him daily and then – dismissed. 75 churches were built there in one year by the true faith, and all the idols – destructed, all the temples in neighbouring regions – demolished, 300 miles around everything being destroyed and leveled due to his permanent work." This aggressive and obviously exaggerated proselytism is "apocryphal" deed of either the third, or the fourth Bishop of Rome (the Pope), Clement (92-101). Indeed, this is amalgam from apocryphal Greek acts of martyrdom, dated by the 4th c. Clement was banished from Rome to Chersonesus (Crimea) by Emperor Trajan (98-117) and set to work in a stone quarry. Still, he managed to go on with his Christian propaganda.

Clement could really inspire a creation of Christian organizations in those regions. But nobody could have ever believed the story about destruction of the idols and the temples in the 1st c. A.D., stipulated by Clement. And under whose protection and by whose money could be those churches built?! So, the whole story is to be believed only partly. Then, what is about 300 miles (Roman mile is equal to approximately 1480 m.) mentioned there?! If it is true, then Pitius, city in Colchis/Lazica, and its outskirts come within it. Still, there is the main problem to be solved for Clement – was he in Crimea, or is this again a fiction? The narrative of his martyrdom in Crimea is not older than the 4th c. (Trajan orders Clement to be thrown into the sea with an iron anchor). Even Eusebius writes nothing alike. But the lack of tradition that he was buried in Rome is in favour of him having died in exile.

Mikhail Sabinin and Mikhail Tamarashvili thought of Clement's converts working hard in Colchis/Lazica for the faith, both of them having in mind a

proximity of Northern and Eastern Black Sea coasts, and not these 300 miles from the narrative. Very likely, the note about the exact distance is not to be ignored.

History of Pitius provides more arguments. If not an existence of early Christian communities in the outskirts of Pitius, nobody would ever think to strengthen the Mithraistic propaganda among the soldiers of the local garrison (stationed from the 3rd c. A.D.), *a priori*, Mithra-worshippers, at the point when even pocket-money, distributed among them, was Mithra-type municipal copper of Trapezus. Municipal coins used for a payment first went to a local *fiscus* as a taxes from individuals, only then – to a camp ascribed to a province. Both, Pitius and Trapezus were the cities of Roman province of Cappadocia. Thus, Mithra-type municipal copper coins of Trapezus in the pockets of the Roman soldiers of Pitius could mean nothing, but money paid to the soldiers. Still, some providential measures are not to be denied. The place with strong Mithraistic propaganda is the same place for strong Christian propaganda, for Mithraism was destined to lure the lower classes to enter its well-cenzored ranks, and not the Christian communities. And eparchy of Pitius is the first ever recorded one for Lazica.

Through the "Eternal Peace", signed in 532, Byzantium acknowledged Iranian right upon East Georgia. The kingship in Kartli was abolished. In the course of the 6th c. there was a constant struggle for the independence of Kartli. This was well reflected on the Georgian-Sassanian coins. In this period the coins in Kartli were struck according to the Sassanian type. On the obverse there is always depicted a bust of an Iranian shah, whereas on the reverse – the emblem of Sassanian fire-worshippers, holy fire – ātar – protected by two armed guardians. To this standard depiction, rebellious Georgians added above the shah's shoulder cross which served as a symbol of Christianity and of Georgian nationalism. This was an act of great importance. Sometimes, above ruler's depiction on the edge of the coins we encounter Georgian letters or monograms giving information about the names of Georgian erismtavaris (princes). Moreover, the Georgians replaced the fire on the altar with cross, symbol of Christianity, and thereby got rid of the Iranian emblem. Erismtavari Stephanos placed fully his name in the centre of the coin, next to ruler's depiction. Here are described the details (both beginning and the end) of the struggle between the Georgians and the Iranians.

The placing of cross on the Sassanian type coins was a revolutionary act, and, most probably, meant more than just putting Georgian letters next to the

shah's depiction. By this action Kartli overtly announced its national interests. Moreover, Kartli's radical erismtavari got rid of the holy fire – emblem of Zoroastrianism – on the coin and demonstratively replaced it with a Christian emblem – cross. So, we deal with local propaganda of Christian, i.e. pan-European ideas.

Then Georgia had Byzantium, strong neighbour and partner, with whom she shared even the monetary types – universal Orthodox symbols prevail, like cross potent, St. Virgin Blachernitissa etc. Georgian-Byzantine coins serve as a propaganda of Georgia as a part of Byzantine Commonwealth.

" . . . I witnessed all these privileges, when I entered Tiflis in the year 548/1153. And I saw how the king of the Georgians, Dimitri, in whose service I was, arrived in Tiflis and sojourned there some days. The same Friday he came to the cathedral mosque and sat on a platform opposite the preacher and he remained at his place while the preacher preached and the people prayed and he listened to the khutba, all of it. Then he went out and granted for the mosque 200 gold dinars". This is what Arabian al-Farik says about demonstration of tolerancy of the Georgian king Demetre I towards his Muslim subjects. Perhaps, the king wished them to be more faithful. His son Giorgi III selected even more powerful method for the same propaganda.

Coins of Giorgi III – king with falcon on hand

Obverse: Giorgi III in Asian-Byzantine dress. Seated cross-legged, facing. His left (sometimes right) hand rests on his thigh, on another hand up lifted sits a falcon. King wears stemma. Georgian Mkhedruli letters for the name of Giorgi (გი, sometimes monogram of ⵂⵂ is added to it) and Asomtavruli legend ⵖⵀⵃⵇⵄⵆ, in the K'oronikon 394 (=1174).

Reverse: Arabic legend in three lines: King of the Kings Giorgi, son of Demetre, sword of the Messiah.

The coin shows ruler in the Persian dress, with the false-sleaves and loose trousers, seated also in a very Persian manner, with a falcon on his hand. If not the Arabic legend on reverse claiming that he is Giorgi, King of the Kings and the Sword of Messiah, Georgian initials on obverse and Imperial stemma on the head, he could has been any of the Muslim dynasts.

But that is the schematic effigy for Giorgi III of Georgia (1156-1184), victorious and celebrated. Neither his grandfather David IV (1089-1125), nor his grandson Giorgi IV Lasha (1210-1222) used to be dressed like him; all they wore divitision, loros and chlamis, common uniform for the Georgian kings

within the Byzantine Commonwealth. Even David Ulugh and David Narin, vassal kings of Georgia under the Mongols, are in the Imperial dress, as seen on their drama struck in 1261. Georgian imitations to the silver aspers of Trebizond (with Emperor's effigy on reverse) keep the Imperial insignia within the Georgian culture until the 15th c.

There is no obvious reason to deny the Imperial clothes for Giorgi III. Then his Persian style is completely unrealistic.

Each baroque demands good reason and also a pattern for itself.

It could be a gentle pose towards his Muslim subjects dwelling mostly in Tbilisi, recaptured by David IV, but only recently re-established as Georgian capital.

Fiction as it was, still it contained the real trait – stemma itself, being a permanent attribute of the Georgian kings in the 12th -15th cc.

So, at least some of monetary types issued in Georgia served for propaganda.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

მარიკა მშვილდაძე

ანტიკური კულტები საქართველოში (ათენა)

ათენა (ბერძნული – **Ἀθηνᾶ** ან **Ἀθηναία,** ლათინური – **Minerva**) თორმეტ ოლიმპიურ ღმერთთა შორის ერთ-ერთი, ორგანიზებული ომის, საბრძოლო სტრატეგიისა და სიბრძნის ქალღმერთია. მეცნიერების დამცველია. მან შეუქმნა ადამიანებს კანონები და დაუწესა არეოპაგი, ასწავლა ცხენის შეკაზმვა და ხარების დაუღლვა, ხვნა და თესვა, ეტლების გაკეთება და გემების აგება. აჩუქა საბნისი, ფოცხი და სხვა სასოფლიო-სამეურნეო იარაღები, თითისტარი და საქსოვი დაზგა. ათენა სახელმწიფოს დამფუძნებელია. იგი ქალაქ ათენის ეპონიმია. მითების თანახმად, ათენა ზევსის თავიდან იშვა. ღვთაების დაბადებისა და მშობლების შესახებ ბერძნულ მითოლოგიაში რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. მათ შორის ყველაზე გავრცელებული ათენას ზევსის თავიდან დაბადებაა. ჰესიოდეს მიხედვით, ზევსის პირველი მეუღლე ოკეანიდა მეტიდა შვილს ელოდებოდა. ზევსს უწინასწარმეტყველეს, რომ ეს ბავშვი მას გადააჭარბებდა სიძლიერითა და გონიერებით. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად მან გადაყლაპა მეტიდა, მაგრამ ბავშვმა განვითარება მამის თავში განაგრძო. გარკვეული დროის შემდეგ ჰეფესტომ ჩაქუჩის დარტყმით გახსნა ზევსის თავი და ქვეყანას მებრძოლი ათენა-ტრიტოგენია მოავლინა (ჰესიოდე, თეოგონია, 888-900; 924-926). ანტიკური ავტორების ნაწილი ათენას დაბადებასთან, მეტიდას როლს უარყოფს. მაგალითად ესქილე აღნიშნავს, რომ ღვთაება დედის გარეშე დაიბადა. ზოგი მითის თანახმად, იგი ოკეანოსის შვილია. ასეთივე განსხვავებული ცნობებია ათენას დაბედების ადგილთან დაკავშირებითაც (ლიბია, ტრიტონის ტბა, არკადია, ბეოტია). ათენა ბერძნული მითების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია. იგი მონაწილეობას იღებდა გიგანტომახიაში. მითების თანახმად, ტროას ომში ათენა ბერძნების მხარესაა. მფარველობდა ოდისევსსა და დიომედეს. ღვთაების სახელზე იმართებოდა დღესასწაულები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია

პანათენური დღესასწაულები. იდგმებოდა ქანდაკებები – ათენა პრომახოსი (ფიდიასი), ათენა პართენოსი (ფიდიასი), ათენა ლემნია (ფიდიასი), ათენა და მარსი (მირონი). იგებოდა ტაძრები (ერიქტეიონი, პართენონი და სხვ.). ათენას რამდენიმე ეპითეტი ჰქონდა – პალადა (ბერძნული – **Παλλάς**) – გამარჯვებული; პოლიადა (ბერძნული – **Πολιάς**) – ქალაქებისა და სახელმწიფოების მფარველი; პართენოსი (ბერძნული – **Παρθενών**) – ქალწული; პრომახოსი (ბერძნული – **Πρόμαχος**) – მოწინავე მეომარი (მებრძოლი). ათენის აკროპოლისის გარდა, ღვთაებისადმი მიძღვნილი იყო კიდევ რამდენიმე აკროპოლისი (აგროსი, სპარტა, მეგარა, ტროა.). ათენას წმინდა საკულტო ცხოველებად ითვლებოდა გველი და ბუ. ხოლო სიმბოლოდ ზეთისხილის ხე. როგორც წესი, ათენა გამოისახებოდა მკაცრ და დიდებულ ქალწულად, ხშირად გრძელი სამოსით, თავზე მუზარადით, ხმლით, შუბითა და ეგიდით. ბუსთან და გველთან ერთად. არსებობს თვალსაზრისი, რომ ათენა წინარებერძნული წარმომავლობის ღვთაებაა, რომ მისი მებრძოლი ხასიათი და აღჭურვილობა სათავეს ბრინჯაოს ხანიდან იღებს.

ათენა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ღვთაებად გვევლინება ანტიკურ სამყაროში. გამონაკლისს არც იბერია და კოლხეთი წარმოადგენს. არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ათენას კულტი ანტიკურ ხანაში გავრცელებული ჩანს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. საქართველოს ტერიტორიაზე ღვთაების გამოსახულებები გვხვდება, ძირითადად, გლიპტიკურ ძეგლებსა და მონეტებზე.

ნიშანდობლივია, რომ იბერიაში გვხვდება ანტიკური პერიოდის ცნობილი ოსტატის მიერ შექმნილი ათენას გამოსახულებიანი გემა, რომელიც ხელოვნების მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. კერძოდ, 1966 წელს თიანეთის რ-ნის სოფ. მაგრანეთის განაპირას მდებარე ქუშანაანთგორის სამაროვანზე (II) გათხრილ ერთ-ერთ სამარხში (№10) აღმოჩენილი ოვალური ფორმის გრანატის გემით შემკული ოქროს ბეჭედი. ოდნავ ამობურცულ ინტალიოს პირზე გამოსახულია ათენას ბიუსტი მკაცრ პროფილში, შემოფარგლული მკერდქვემოთ, მუზარადის გარეშე. ქალღმერთის თავს ამკობს ოდნავ ამობურცული განიერი დიადემა, რომელზეც დამაგრებულია დიდი ზომის სასაფეთქლე სამკაული. ღვთაება შემოსილია ეგიდით. ეგიდაზე დამაგრებულია დიდი ზომის გორგონეიონი. მკვლევართა აზრით, გემა ავგუსტუსის ეპოქის (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.) კლასიცისტური ხელოვნების ნიმუშია, რომელიც ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელის, ცნობილი ქვისმჭრელი ჰილოსის (Hyllos) ნახელავი უნდა იყოს და ფიდიასის ათენა ლემნიას კოპირებას უნდა

წარმოადგენდეს (სურ. 1).[1]

ასევე, ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ით თარიღდება 1969 წელს უფლისციხეში აღმოჩენილი გამჭვირვალე ოვალური ფორმის მინის დიდი ზომის გემა-ინტალიო. პირზე გამოსახულია ათენა, რომელიც ხმას აძლევს ორესტეს. ღვთაებას თავზე კორინთული მუზარადი ახურავს. მარცხნივ ფერხთით უდგას გრძელი შუბი და დიდი ზომის რელიეფურზედაპირიანი ფარი, რომელზედაც შუაში გორგონას თავია გამოსახული. ღვთაება შემოსილია მოკლე ეგიდით, რომელზეც დიდი ზომის გორგონეიონია დამაგრებული. ათენა წარმოდგენილია გრძელი ქიტონით. ღვთაებას ხელთან უზის ბუ, მარჯვენათი კენჭს აგდებს ურნაში. გემაზე გამოსახულია ბერძნული, არგოსული თქმულების მითის ერთ-ერთი მომენტი. მეცნიერთა აზრით, გემა-ინტალიო ავგუსტუსის დროის კლასიკური სტილის მინის გემების ერთ-ერთ ტიპური ნიმუშია.[2]

საქართველოს ტერიტრიაზე ათენას გამოსახულებიან უძველეს გემას წარმოადგენს სოფ. ბორში 1938 წელს №1 სამარხში აღმოჩენილი თეთრი მინის ინტალიო, რომელიც ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება და იტალიკური გლიპტიკის ნიმუშად არის მიჩნეული. ინტალიოს პირზე გამოსახულია ათენა-პალადა ნახევრად პროფილში მარჯვნივ, საომარი ტანსაცმლით შემოსილი. თავზე ანტიკური მუზარადით. ზეაპყრიბილ მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა. მარცხენა ხელში მახვილი უჭირავს. მის ფერხთით ფარი დევს.[3]

ფორტუნასთან ერთად არის წარმოდგენილი ათენა-პალადა დიდი ლილოს ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოს პირზე. ღვთაებას თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. მრავალნაოჭიანი პეპლოსი აცვია. ზეაპყრობილი მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა, მარჯვენა წინ აქვს გაწვდილი. თავზე კორინთული მუზარადი ახურავს. ათენას გვერდით გამოსახულია ცხენი. ცხენს ზურგსა და გულ-მკერდში ისარი აქვს მოხვედრილი. ათენას პირდაპირ, ცხენის წინ გამოსახულია ფორტუნა, რომელსაც მარჯვენა ხელი წინ აქვს გაწვდილი. მარცხენა ხელში სიუხვის თასი უჭირავს. ინტალიო ახ. წ. II ს-ით თარიღდება და კაპადოკიური

[1] ქ. ჯაფარიძე. გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები. I. გემა ერწო-თიანეთიდან. ძიებანი. თბ. 2002. №10, გვ. 52-56.

[2] ქ. ჯაფარიძე. გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები, გვ. 64-67.

[3] მარგ. ლორთქიფანიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი. თბ. 1961, გვ. 14, ტაბ. I,5.

გლიპტიკის ნიმუშად არის მიჩნეული.[4]

ათენა-პალადაა გამოსახული მოწითალო ფერის ოვალური ფორმის სარდიონის გემებზე კლდეეთიდან (1941 წ.) და სოფ. როქიდან (გორის რაიონი), რომლებიც რომაული გლიპტიკის ნიმუშებს წარმოადგენს და ახ. წ. II ს-ით თარიღდება. კლდეეთში აღმოჩენილი ინტალიო ფრაგმენტირებული რკინის ბეჭედში ზის, რომლის პირზეც ღვთაება გამოსახულია პირდაპირ, თავით მარჯვნივ, კორინთული მუზარადით. ათენას წელს ზემოთ გადაჭრილი კვართი აცვია. იგი სამსხვერპლოს წინ დგას, რომელზეც ცეცხლი ანთია. ღვთაებას სამსხვერპლოსკენ გაწვდილ მარჯვენა ხელში პატარა ფიალა უჭირავს, ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში – შუბი და ფარი. როქის ინტალიოს პირზე (შემთხვევით აღმოჩენილი) ათენა წარმოდგენილია 3/4 პროფილში მარცხნივ. თავით სრული პროფილით. თავზე ატიკური მუზარადი ახურავს. ტანთ პეპლოსი აცვია. მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა. ძირს დაშვებულ მარჯვენა ხელში კი ფარი უჭირავს.[5]

მნიშვნელოვან აღმოჩენას ჰქონდა ადგილი 1940 წელს, როდესაც არმაზისხევის №2 აკლდამში დაფიქსირდა ათენა-პალადას გამოსახულებიანი მუქი მწვანე ფერის პრაზემის ოვალური ფორმის ინტალიო, რომელიც ოქროს სამაჯურს ამკობს (სურ. 2). ღვთაება ზის ტახტზე. თავი და ფეხები პროფილში მარჯვნივ არის მოცემული, სხეულის ზედა ნაწილი – პირდაპირ. ათენა-პალადა საომარი ტანსაცმლით არის შემოსილი: თავზე კორინთული მუზარადი ახურავს. უსახელო კვართის ზევიდან აბჯარი აცვია. იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში გრძელი შუბი უჭირავს და ტახტზე შედგმულ ფარს ეყრდნობა. ათენას წინ ფერხთით დაბალი სამსხვერპლო დგას. სამსხვერპლოზე ცეცხლი ანთია. ათენას სამსხვერპლოს მიმართულებით გაწვდილ მარცხენა ხელში ფიალა – პატერა – უჭირავს. ლიბაციას ასრულებს. ოვალური მოყვანილობის სამაჯური ოქროს წნულით არის დამზადებული. მკვლევართა აზრით, ათენას გამოხატულებიანი ინტალიო ახ. წ. II ს-ის ბოლო წლებითა და III ს-ის დასაწყისით თარიღდება და ადგილობრივი ოსტატის ნახელავი უნდა იყოს.[6]

[4] მარგ. ლორთქიფანიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III, გვ. 11-12, ტაბ. I, 2.

[5] მარგ. ლორთქიფანიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III, გვ. 22, ტაბ. II, 15.

[6] მარგ. ლორთქიფანიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III, გვ. 61-62, ტაბ. IV, 19.

ათენას გამოსახულებიანი ხუთი გემაა აღმოჩენილი მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე. უპირველესად გვინდა აღვნიშნოთ მდიდრული აკლდამა №905, რომელიც 1985 წლის 16-19 ივლისს გაითხარა და გაიხსნა. აკლდამა ახ. წ. III ს-ით დათარიღდა. მასში დაუკრძალავთ მცხეთის წარჩინებული ოჯახის თუ სამეფო კარის წარმომადგენლები. აკლდამაში ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და სხვადასხვა მინერალისაგან დამზადებული 32 დასახელების ნივთი დაფიქსირდა. სულ 66 ინვენტარი. სწორედ ამ ნივთებს შორის აღმოჩნდა ოქროს ბეჭდის თვალბუდეში ჩასმული ელიფსური ფორმის გემა-ინტალიო, რომლის პირზეც გამოსახულია ზეზე მდგომი ათენა. ღვთაებას ტანს გრძელი ქიტონი მოსავს, თავზე კორინთული ჩაფხუტი ახურავს. მარჯვენა ხელით ფარზე ეყრდნობა, ხოლო მარცხენათი კალათი უჭირავს. მის ფერხთით ფარი და შუბია გამოსახული.[7]

№55 სამარხში (1938 წ.) აღმოჩენილი რკინის ბეჭდის ფრაგმენტის ოვალური ფორმის სარდონის ინტალიოს პირზე ათენა წარმოდგენილია გრძელი სამოსით, რომელსაც მარჯვენა ხელში შუბი, ხოლო მარცხენა ხელში ფარი უჭირავს.[8] №83 ქვაყუთში (1939 წ.) დაფიქსირებული ვერცხლის ბეჭდის ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოს პირზე ათენა გამოსახულია ზეზე მდგომარე, გრძელი სამოსითა და თავზე მუზარადით. იგი მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა, ხოლო წინ გაწვდილ მარცხენა ხელში გაურკვეველი ნივთი უჭირავს. ფარი მიწაზე დევს.[9] №89 სამარხში (1938 წ.) მოპოვებული რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოს პირზე ათენა წარმოდგენილია ზეზე მდგომარე, თავზე მუზარადით, ღვთაება მარჯვენა ხელით შუბს ეყრდნობა, ხოლო წინ გაწვდილ მარცხენა ხელში გაურკვეველი ატრიბუტი (ბუ?) უჭირავს. სამივე ინტალიო ახ. წ. III ს-ით თარიღდება და რომაული სამყაროს გლიპტიკის ნიმუშებს წარმოდგენს.[10]

რაოდენობრივად ათენას გამოსახულებიანი ყველაზე მეტი გემა ურბნისის სამაროვნის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი – 11 ერთეული, რომლებიც რომაული გლიპტიკის ნიმუშებს განეკუთვნება. №256 სამარხში (1962 წ.) და-

[7] ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი, ახ. წ. III საუკუნისა, აკლდამა 905. მცხეთა. ტ. XI. თბ. 1996, გვ. 10-11, ტაბ. XXXII, 4; I, 4.

[8] М. И. Максимова. Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XVI-B. თბ. 1950, გვ. 255, ტაბ. I, 39.

[9] М. И. Максимова. Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, გვ. 256, ტაბ. II, 43.

[10] М. И. Максимова. Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, გვ. 260, ტაბ. II, 56.

ფიქსირებული ბრინჯაოს ბეჭდის ოვალური ფორმის გამჭვირვალე თეთრი მინის ინტალიოს პირზე ათენა გამოსახულია ზეზე მდგომი. მარცხენა ხელში შუბი უჭირავს. ფერხთით რელიეფური ფარი უდგას. მარჯვენა წინ გაწვდილ ხელში თასი (?) უჭირავს. ტანთ გრძელი ქიტონი აცვია. თავზე მუზარადი ახურავს. ინტალიო ახ. წ. I ს. და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება.[11] XXV უბ. შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში (1960 წ.) მოპოვებული ვერცხლის ბეჭდის ოვალური ფორმის გრანატის ინტალიოს პირზე გამოსახულია ათენას ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ. ღვთაებას მუზარადი ახურავს. ინტალიო ახ. წ. I ს. და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება.[12] №170 სამარხში (1960 წ.) დაფიქსირებული რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის მოწითალო-ყავისფერი სარდიონის ინტალიოს პირზე გამოსახულ ათენას მარცხენა ხელში შუბი უჭირავს წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში – თასი. ღვთაება გრძელი ქიტონით არის შემოსილი, თავზე მუზარადი ახურავს. მარცხენა ფერხთით რელიეფური ფარი უდგას. გემა ახ. წ. II საუკუნით თარიღდება.[13] №7 სამარხში (1958 წ.) აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭდის ოვალური ფორმის ორფენოვანი ხელოვნური სარდიონ-ფრცხილის ინტალიოს პირზე წარმოდგენილ ათენას გრძელი სამოსი აცვია. თავზე მუზარადი (?) ახურავს. მარჯვენა ხელით ფეხებთან მდგომ ფარს (?) ეხება. მარცხენაზე წამოსასხამის ბოლო აქვს გადაკიდებული. ინტალიო ახ. წ. I ს. და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება.[14] № 54 სამარხში (1958 წ.) მოპოვებული რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის თეთრი გამჭვირვალე მინის ინტალიოს პირზე ღვთაება გრძელი სამოსით არის წარმოდგენილი. მას მარცხენა ხელში შუბი უჭირავს, მარჯვენაში – თასი. მარცხნივ ფერხთით ფარი უდგას. ინტალიო ახ. წ. I ს. და II საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.[15] №55 სამარხში (1958 წ.) დაფიქსირებული რკინის ბეჭდის ფრაგმენტის ოვალური ფორმის მომწვანო-თეთრ გამჭვირვალე მინის ინტალიოზე გამოსახულია ათენას ბიუსტი, პროფილში

[11] ქ. ჯაფახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ. 1972, გვ. 30, ტაბ. II, 18.

[12] ქ. ჯაფახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 36, ტაბ. II, 32.

[13] ქ. ჯაფახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 38, ტაბ. II, 38.

[14] ქ. ჯაფახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 45-46, ტაბ. IV, 52.

[15] ქ. ჯაფახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 47. ტაბ. IV, 54.

მარჯვნივ. ღვთაებას თავზე მუზარადი ახურავს. მხარზე სამოსი აქვს წამოსხმული, რომელიც მკერდზე გორგონას თავით უმაგრდება. ინტალიო ახ. წ. II ს-ით თარიღდება.[16] №164 სამარხში (1969 წ.) აღმოჩენილი ოვალური ფორმის მუქ, გაუმჭვირვალე მინის ინტალიოს (წითელი ლაქებით) პირზე გამოსახულია გრძელი ქიტონით შემოსილი ათენა, რომელიც მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა, მარჯვენა წინ აქვს წამოწეული, ფეხებთან ფარი უდგას. ინტალიო ახ. წ. II ს-ის ბოლოსა და III ს-ით თარიღდება.[17] №230 სამარხში (1961 წ.) მოპოვებული რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის თაფლისფერი სარდიონის ინტალიოს პირზე ათენა წარმოდგენილია გრძელი ქიტონით შემოსილი. ღვთაებას თავზე მუზარადი ახურავს. მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა. მარჯვენა, წინ გაწვდილ ხელზე გამარჯვების ღვთაება – ნიკა – უდგას. ფიდიასის ათენა პართენოსის მოტივია. ინტალიო ახ. წ. I ს. და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება.[18]

ასევე, ათენა პართენოსია გამოსახული ურბნისის სამაროვანზე დაფიქსირებულ კიდევ ორ გემაზე. კერძოდ, №51 სამარხში (1958 წ.) აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭდის ოვალური ფორმის ნარინჯისფერი სარდიონის ინტალიოს პირზე (ღვთაება დგას გრძელი ქიტონით შემოსილი. თავზე მუზარადი ახურავს. ხელით შუბს ეყრდნობა. მარჯვენა, წინ გაწვდილ ხელზე გამარჯვების ღვთაება – ნიკა – უდგას. ფერხთით, მარცხნივ ფარია, მარჯვნივ – საკურთხეველი. უხეში კოპიო ფიდიასის ათენა პართენოსის. ინტალიო ახ. წ. I ს. და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება)[19] და №35 სამარხში (1958 წ.) დაფიქსირებული რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის ნარინჯისფერი სარდიონის (შავი წინწკლებით) ინტალიოს პირზე (ღვთაება დგას გრძელი ქიტონით შემოსილი. თავზე მუზარადი ახურავს. მარცხენა ხელში კვერთხი უჭირავს. მარჯვენა, წინ გაწვდილ ხელზე გამარჯვების ღვთაება – ნიკა – უდგას. ფერხთით ფარი დგას, მარჯვნივ – საკურთხეველი. ფიდიასის ათენა პართენოსის მოტივია. ინტალიო ახ. წ. II-III სს-ით თარიღდება).[20] №193 სამარხში (1960 წ.)

[16] ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 52, ტაბ IV, 66.
[17] ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 66.
[18] ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 34, ტაბ II, 27.
[19] ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 39-40, ტაბ. III, 39.
[20] ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 60, ტაბ. V, 87.

მოპოვებული რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის სამფეროვან, (შავი, თეთრი, მოყვითალო-ყავისფერი) მინის ინტალიოზე გამოსახულია გრძელი ქიტონით შემოსილი ათენა. თავზე მუზარადი ახურავს. მარცხენა ხელში ფარი უჭირავს, რომელიც მკერს უფარავს, მარჯვენაში – მომარჯვებული შუბი. ფიდიასის ათენა პრომახოსის მოტივია. ინტალიო ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევრითა და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება.[21]

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ათენას გამოსახულებიანი გლიპტიკური ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოები, როგორც ვნახეთ, ძვ. წ. II – ახ. წ. III სს-ით განისაზღვრა, რაც, თავის მხრივ, ემთხვევა ელინისტურ და გვიან ანტიკურ პერიოდებს. კვლევის შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ პერიოდში ათენას კულტი განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა იბერიის ტერიტორიაზე. მის დედაქალაქ მცხეთასა და ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრ ურბნისში, რაც, ჩვენი აზრით, ანტიკურ სამყაროსთან, კერძოდ კი, რომის აღმოსავლეთ პროვინციებთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური კავშირებით შეიძლება აიხსნას. ათენა პოპულარული იყო როგორც ქვეყნის უმაღლეს არისტოკრატიულ წრეში, ისე უბრალო მოსახლეობაში.

ათენას გამოსახვა არც ქართული ნუმიზმატიკისთვის იყო უცხო. მხედველობაში გვაქვს კლასიკური სტატერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აკის სტატერის სახელითაა ცნობილი. მისი აღწერილობა ასეთია: წონა 8,45 გრამი, ბაჯაღლო ოქრო. შუბლი – ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი – მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამთითაა, რომლის ორსავე მხარეს პაწია დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛΕΩΣ (ბასილეოს), წინ – ΑΚΟΥ (აკუ). მონეტა ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტებისა, რომელთა ემისიას აწარმოებდა ქალაქი ბიზანტიონი ძვ. წ. 195 წლის შემდგომ ხანებში. აკის სტატერი ძვ. წ. 195 წლის შემდგომი პერიოდით, ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება. მკვლევართა აზრით, მონეტა თავისი მხატვრული, სტილისტური და ტექნიკური თვალსაზრისით, არაფრით ჩამოუვარდება

[21] ქ. ჯაფარიძე. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, გვ. 43, ტაბ. III, 47.

პროტოტიპს. ზემოაღნიშნული სტატერი სულ ორ ცალადაა ცნობილი – ერთი აღმოჩნდა ქალაქ ტრაპეზუნტში (1865 წ.), რომელიც ძველად კოლხეთის საზღვრებში შედიოდა (ინახება პარიზში მედლების კაბინეტში) და მეორე ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში (1946 წ.). აკის სტატერის ემიტენტის საკითხის შესახებ განსხვავებული მოსაზრების მიუხედავად, აღმოჩენის ტოპოგრაფიის საფუძველზე, მეცნიერები მას კოლხურ სამყაროს უკავშირებენ.[22]

საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ათენას გამოსახულებიანი არაქართული წარმომავლობის მონეტები. მაგალითად, 1890-იანი წლების დასასრულს მწვანე კონცხის მიდამოებში აღმოჩენილი ძვ. წ. V-IV სს-ით დათარიღებული ტეტრადრაქმა (შუბლი – ათენას თავის გამოსახულება მუზარადით მარჯვნივ. ზურგი – ამფორაზე მჯდომი ბუ), 1939 წელს დმანისის სოფ. საკირესთან შემთხვევით აღმოჩენილი ათენური ტეტრადრაქმა დათარიღებული ძვ. წ. V-IV სს-ით.[23]

ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები, რომლის შუბლზეც გამოსახულია გრძელთმიანი ათენას თავი კორინთულ მუზარადში მარჯვნივ. მუზარადზე ზოგჯერ დაკლაკნილი გველია გამოსახული. ასევე, ზოგჯერ ქალღმერთს ყელზე მძივები უკეთია და ყურებზე საყურე ჰკიდია. ზურგი – გრძელ ქიტონში ჩაცმული ფრთოსანი ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით მარცხნივ. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში – სტილიდა. ადრეულ ცალებზე მის უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ალექსანდრუ (ალექსანდრესი). მოგვიანო ცალებზე გამოსახულების წინ – ბასილეოს, უკან – ალექსანდრუ (მეფე ალექსანდრესი). გარდა ამისა, მონეტის არქზე ამოკვეთილია სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ზარაფხანების დადგენა. აღმოჩენილია სვანეთში (სხვადასხვა ადგილას) სულ 367 ცალი (მათი უმრავლესობა თავმოყრილი იყო განძებში), რეყეში (ზუგდიდის რაიონი) – 2. ვანში – 2. ფიჭვნარში, ლენტეხში, ფარცხანაყანევში, გულრიფშის რაიონში, ჭიორასა (ონის რაიონი) და მცხეთაში.[24]

ლისიმაქეს (ძვ. წ. 306-281 წწ.) სახელით მოჭრილი სტატერი. შუბლი – მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება

[22] გ. ლუნდუა, თ. ლუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. I. თბ. 2006, გვ. 67-69.

[23] გ. ლუნდუა, თ. ლუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. I, გვ. 45.

[24] გ. ლუნდუა, თ. ლუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. I, გვ. 62-63.

დიადემაში. ზურგი – მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი შუბსა და ფარს ეყრდნობა. გამოსახულების უკან ბერძნული ზედწერილი – ბასილეოს, წინ – ლისიმახუ (ლისიმაქე მეფისა). მონეტის ზურგზე დამატებითი სიმბოლოები და მონოგრამებია მოთავსებული იმის მიხედვით, თუ რომელ ზარაფხანაშია მოჭრილი ესა თუ ის მონეტა. საქართველოს ტერიტორიაზე ლისიმაქეს სახელით სულ ექვსი სტატერია აღმოჩენილი: ორი სვანეთში, ორი ვანში, თითო-თითო ეკსა (სენაკის რაიონი) და გულრიფში. ლისიმაქეს ვერცხლის მონეტებიდან ერთი აღმოჩენილია ვანში, ერთიც მაკრიალასთან (თანამედროვე თურქეთი. ადრე შედიოდა ბათუმის ოლქში).[25]

ვანში შემთხვევით აღმოჩენილი კარგად შემონახული ,,ახალი სტილის'' ათენური ტეტრადრაქმა დათარიღებულია ძვ. წ. 125-124 წწ., შუბლი – ათენას თავის გამოსახულება მუზარადით მარჯვნივ. ზურგი – ამფორაზე მჯდომი ბუ. მარცხნივ ისიდას თავსაბურავი. გარშემო ზეთისხილის ტოტები და წარწერა. ვანშივეა აღმოჩენილი კაპადოკიის მეფე არიობარძანე I-ის (ძვ. წ. 96-63 წწ.) ორი დრაქმა,[26] რომელთა შუბლზე გამოსახულია მეფის თავი, ხოლო ზურგზე – ათენა ნიკესთან ერთად. ათენას წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ფარი, ხოლო დაბლა დაწეულ მარცხენა ხელში შუბი უჭირავს.

[25] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. I, გვ. 67-68.
[26] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. I, გვ. 80.





Marika Mshvildadze

ANTIQUE DEITIES IN GEORGIA (ATHENA)

Summary

Athena was honoured both, in Western and Eastern Georgia as seen in the artefacts. Mostly glyptical and numismatic monuments from Georgia show Athena. Urbnisi necropolis in Eastern Georgia renders 11 Roman Athena-type gemmas, the most prominent output for Georgia.

One more gemma from Iberia (Eastern Georgia) is produced by famous craftsman. Golden ring with Athena-type oval garnet from the village Magraneti is produced by Hyllos from Alexandria, copying Athena Lemnis of Phidias.

The chronological frames for the glyptic material with the depiction of Athena varies from B.C. 2nd to A.D. 3rd cc. which coincides with Hellinistic and Late Antique periods. According to our research, cult of Athena was very popular in Iberia of this period. Popularity of Athena's cult in the capital city Mtskheta and in the one of the most important economic center, Urbnisi, is explained by the intensive cultural-economical contacts with the Eastern provinces of the Roman Empire. Athena was very popular among the aristocracy and within the common citizens as well.

The depiction of Athena is common for the Georgian numismatics. The classic stater, which is known as starer of Aka in academic literature, is an example for this opinion.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

მარიამ ჩხარტიშვილი

ვახტანგ გორგასლის საგვარეულო კუთვნილების საკითხი ხოსროვანთა სამეფო ოჯახის ისტორიის ფონზე*

ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამეფო დინასტიების ისტორია. ბაგრატიონების ოჯახი ყოველთვის იწვევდა მკვლევართა დიდ ინტერესს. ამიტომ გამოკვლევები მათი წარმომავლობისა თუ მათ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა შესახებ ძალიან მრავალრიცხოვანია. შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ქართველი ხოსროვანების ისტორია. არადა, ხოსროვანები იყვნენ დიდი პიროვნული მომხიბლაობის უაღრესად განათლებული, მორწმუნე, პოლიტიკური ალღოთი დაჯილდოებული მმართველები. მათ ქართული იდენტობის განმტკიცება-ჩამოყალიბებას ბაგრატიონებზე ნაკლებ როდი შეუწყვეს ხელი. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ ოჯახის თავგადასავლის, მისი ცალკეული წევრების ბიოგრაფიების შესწავლა უაღრესად აქტუალურია.

მე უკვე მივუძღვენი რამდენიმე ნაშრომი ხოსროვანების ისტორიას და, ჩემი აზრით, არაერთი საკითხი გავარკვიე.[1] თუმც კვლევის შედეგი ჯერ არ გამომიქვეყნებია. ამ პერიოდის ქართლის ისტორიის რეპრეზენტირება იმდენად რთულია, იმდენი ურთიერთდაკავშირებული საკითხია ერთმანეთთან გადაჯაჭ-

* წაკითხულ იქო მოხსენებად 2014 წლის 27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა პროფესორ ნოდარ შოშიაშვილის დაბადებიდან 90-ე წლისთავს.

[1] მ. ჩხარტიშვილი. „ფრიად სარწმუნო ბაკური“. „მნათობი“. 1986. №5, გვ. 161-166; მ. ჩხარტიშვილი. ისტორიული პორტრეტები. თბ. 1992; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხორებაი წმიდისა ნინოისი“). თბ. 1987; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბ. 2009; მ. ჩხარტიშვილი. სახეები საქართველოს წარსულიდან. თბ. 2009; მ. ჩხარტიშვილი. „მოქცევაი ქართლისაი“ პეტრე იბერის შესახებ. თბ. 2013.

ვული, რომ მცირე მოცულობის ნაშრომში ვერ ხერხდება ყველაფერზე ერთდროულად საუბარი. წინამდებარე სტატიაში მინდა ზოგი, აქამდე ჩრდილში მყოფი, დეტალი წარმოვაჩინო, თუმც ამჯერადაც ყველა მნიშვნელოვანი მომენტის გაშუქებას, სამწუხაროდ, ვერ შევძლებ. იმედს ვიტოვებ, რომ უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებ ხოსროვანთა საგას, რომელშიც ჩემ მიერ მოძიებული ფაქტები სრულ ასახვას ჰპოვებს.

სამეფო სახლის ისტორიის განსაკუთრებით საინტერესო საკითხების რიცხვს განეკუთვნება დინასტიის ხელისუფლებიდან წასვლის დრო. სწორედ აქ არის დიდი ხარვეზი ხოსროვანთა სახლის ისტორიის არსებულ სამეცნიერო რეპრეზენტაციებში: ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, თუ როდის მოვიდნენ ხოსროვანები ქართლის სამეფო ხელისუფლებაში („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დინასტიის დამფუძნებელი იყო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი), მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ასეთივე დაბეჯითებით ვუპასუხოთ კითხვას, თუ როდის მიდიან ისინი ხელისუფლებიდან. ამ გაურკვევლობას წარმოშობს როგორც ხარვეზები არსებულ რეპრეზენტაციებში, ისე წყაროთა განსხვავებული მონაცემები. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი[2] თხზულების მიხედვით, ჯუანშერ არჩილის ძის შემდგომ, ანუ VIII საუკუნეში „იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან“.[3] ანუ მანამდე, ამ თხზულების მიხედვით, ქართლის მმართველები (ქართლის ერისმთავრების ჩათვლით) იყვნენ ხოსროვანები, მაშინ, როცა „ქართლის ცხოვრების“ სხვა თხზულების, კერძოდ, სუმბატ დავითის ძის ნაშრომის ცნობით, ქართლის პირველი ერისმთავარი გუარამი და მისი შთამომავლები იყვნენ ბაგრატიონები.[4] ამგვარად, თუ ამ წყაროს დავუჯერებთ, გამოდის, რომ

[2] როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის ნაწილში წარმოდგენილი თხზულებების ატრიბუციასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მე, ცხადია, მაქვს საკუთარი პოზიცია, რომელიც ბეჭდურად არაერთხელ დამიფიქსირებია კიდეც. ჩემი თვალსაზრისი განსხვავდება „ქართლის ცხოვრების“ ი. ჯავახიშვილისეული სქემისაგან, რომლის მიხედვით არის ხშირად ტექსტების პუბლიკაციები განხორციელებული. ამჯერად ამ საკითხების განხილვის, არც საკუთარი პოზიციის არგუმენტირების ადგილი არ არის. ამიტომ თხზულებას შეგნებულად არ ვასახელებ.

[3] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 254.

[4] სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიორგი არახამიამ. თბ. 1990.

ხოსროვანთა ზეობა VI საუკუნეს არ გადმოსცდება.[5]

ჩემი წინა გამოკვლევების შედეგად გამიჩნდა აზრი, რომ ხოსროვანები სამეფო ტახტს კარგავენ ფიზიკური გადაშენების გამო. უკანასკნელი ხოსროვანი მეფე ქართლის სამეფო ტახტზე იყო მირიანის შვილიშვილი არჩილ რევის ძე. მისი ზეობა დაახლოებით V საუკუნის 10-30-იანი წლებით განისაზღვრება. როგორც გაირკვა, მას საკუთარი შვილი არ ჰყოლია, შესაბამისად, ბიოლოგიურ ხოსროვანთა ზეობა ამ დროს შეწყდა. თუმც ქართლის მომდევნო ხელისუფალნი, რომელნიც ერთ-ერთ ძლიერ არისტოკრატიულ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ, თავიანთ ლეგიტიმაციას მაინც ხოსროვანობით ახდენდნენ, ანუ ხოსროვანობას „იჩემებდნენ“. ამ საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი ქართლის ტახტზე იყო ვახტანგ გორგასლის მამა მირდატი, რომელიც იყო არჩილ რევის ძე ხოსროვანის შვილობილი და ამ გზით მისი მემკვიდრე.

ამგვარად, ხოსროვანთა დინასტიური ისტორიის დასასრული გარკვეული კუთხით უკავშირდება ვახტანგ გორგასალს, კერძოდ, მისი საგვარეულოს განსაზღვრის პრობლემას. ეს გარემოება საკითხისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის. ვახტანგ გორგასალი ხომ საქართველოს ისტორიის სრულიად გამორჩეული ფიგურაა: მის შესახებ ცნობებს არა მარტო ისტორიოგრაფიული ძეგლები, არამედ ფოლკლორიც გვაწვდის. ეს წყაროები ცხადყოფს, რომ ვახტანგის, როგორც დიდი მეფის, სახე დამკვიდრდა უკვე ძველ დროში.[6] *დროში*

[5] წყაროების ორაზროვნება თავისებურად აისახება სამეცნიერო რეპრეზენტაციებშიც. ასე მაგალითად, კ. თუმანოვის აზრით, ძველ იბერიაში ზეობდა სამი დინასტია: ფარნაბაზიდების (ძ.წ. IV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნემდე), არშაკიდების (სომხური შტო) (ახ. წ. I საუკუნიდან III საუკუნემდე) და ხოსროიდების (III-VI საუკუნეებში), რომლებიც თავს წარმოადგენდნენ როგორც სასანიდები. Cyril Toumanoff.Medieval Georgian Historical Literature (VII[th]-XV[th] Centuries). Traditio, Vol. 1. 1943. გვ. 139-182, published by Fordham University. http://www.jstor.org/stable/27830031), გვ. 144, n.10 . ამ ქრონოლოგიით ჩანს, რომ აღნიშნული მკვლევრის შეხედულებით, ხოსროვანების ზეობა არ გაგრძელებულა VI საუკუნეში ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ და, შესაბამისად, ქართლის ერისმთავრები ხოსროვანები არ იყვნენ. ამგვარად, კ. თუმანოვი, ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით მიუთითებს ქართული დინასტიების შესახებ; მეორე მხრივ, ისე გამოდის, რომ ის უგულებელჰყოფს იმავე წყაროს ერთ-ერთი თხზულების ცნობას ქართლში მეფობის გაუქმების შემდგომაც ხოსროვანების ზეობის შესახებ.

[6] შესაბამისი მასალა ერთობლიად წარმოდგენილი აქვს ს. რაპს: Stephen Harold Rapp. Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and the Architects of the Georgian Written Past. A dissertation submitted in partial fulfillment of the

გორგასლიანი,[7] *ტაბტბი გორგასლიანი* – ეს სწორედ შუა საუკუნეების საქართველოს კონცეპტებია. ახალ დროშიც ვახტანგი რჩება ქართველთა კოლექტიური მახსოვრობის განუყოფელ ნაწილად.[8] სწორედ ამ დამოკიდებულებით აიხსნება ვახტანგ მეფეზე მრავალრიცხოვანი პოპულარული, სამეცნიერო-პოპულარული თუ სამეცნიერო ლიტერატურის არსებობა. ამ საოცრად ინტენსიური დისკურსის ფონზე საკვირველიც კი არის, რომ დღემდე ჩვენ არ გვაქვს ცალსახა პასუხი კითხვაზე, თუ რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა ეს დიდი მეფე.

***

სპეციალურ ლიტერატურაში ვახტანგ გორგასლის საგვარეულო კუთვნილების შესახებ ძირითადად ორი თვალსაზრისი იკვეთება: 1. ვახტანგი ფარნავაზიანია; 2. ვახტანგი ხოსროვანია.

ამ უკანასკნელი თვალსაზრისის მომხრენი ეყრდნობიან „ქართლის ცხოვრებას," კერძოდ, მის ცნობას იმის შესახებ, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი ირანელი უფლისწული იყო (ირანის შაჰის შვილი მხევლისაგან). მან სათავე დაუდო ახალ ქართულ სამეფო დინასტიას – ხოსროვანთა დინასტიას, რომელიც წარმომავლობით უკავშირდება სპარსეთის სამეფო საგვარეულოს, ანუ სასანიანებს.[9] ვინაიდან მირიანი ვახტანგის წინაპ-

requirements for the degree Doctor of Philosophy (History) in The University of Michigan. 1997, გვ. 471-480.

[7] ამ კონცეპტის შესახებ და შესაბამისი ისტორიის რეპრეზენტაციის საინტერესო ცდა ეკუთვნის გიორგი მაჭარაშვილს. იხ. მისი „დროშა გორგასლიანი". http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9648/1/Drosha_Gorgasliani.pdf

[8] ქრისტოფერ ჰაასი საგანგებოდ ჩერდება ვახტანგის პოპულარობაზე თანამედროვე საქართველოში (Christopher Haas. Geopolitics and Georgian Identity in Late Antiquity: The Dangerous World of Vakhtang Gorgasali. Georgian Christian Thought and Its Cultural Context. Memorial Volume for the 125th Anniversary of Shalva Nutsubidze (1888-1969) Edited by Tamar Nutsubidze. Cornelia B. Horn and Basil Lurié with the Collaboration of Alexey Ostrovsky. Brill. Leiden-Boston. 2014, გვ. 30-31), რაც, ცხადია, ისევე და ისევე ქართულ ერთობაში კოლექტიური მახსოვრობის განგრძობადობისა და ვახტანგის ფენომენის განსაკუთრებულობის მანიშნებელია. ამ კუთხით საინტერესო მასალა მოძიებულია, აგრეთვე, ი. ჯღანჯღაიას ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომში „მეფე ვახტანგ გორგასალი: ისტორია და მახსოვრობა". ნაშრომი შესრულებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში. სამეცნიერო ხელმძღვანელი მ. ჩხარტიშვილი. თბ. 2015.

[9] ასე ფიქრობდა, მაგალითად, ლ. პატარიძე. პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VII სს-ის ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრე-

რად წარმოგვიდგება (თავად ვახტანგი მის „ცხოვრებაში“ მიუთითებს, რომ მირიანის შთამომავალია[10]), მკვლევრებს გამოაქვთ დასკვნა, რომ, შესაბამისად, ვახტანგი ხოსროვანთა საგვარეულოს წარმომადგენელია.

ისინი, ვინც ვახტანგ გორგასლის ფარნავაზიანობას უჭერენ მხარს, თვლიან, რომ ცნობა მირიანის ირანული წარმომავლობის შესახებ მემატიანის გამოგონილია ქართველი მეფეების განდიდების მიზნით. ეს ცნობა რომ სინამდვილეს არ ასახავს, მათი აზრით, ამას ადასტურებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის მიხედვითაც მირიანი არა ირანის შაჰის, არამედ ქართველი მეფის ლევის ძეა.[11]

მე მიმაჩნია, რომ მირიანის წარმომავლობასთან დაკავშირებული პირველი თვალსაზრისი სწორია, ხოლო ეს უკანასკნელი მსჯელობა არაა მართებული. წყარო არ მიუთითებს, რომ ლევი მეფე იყო. აქ მხოლოდ ისარის აღნიშნული, რომ ეს პიროვნება იყო მირიანის მამა. ცხადია, მეფეთა სიაში პიროვნების სხვა მეფის მამობის გამო მოხსენიება არაა ჩვეულებრივი შემთხვევა.

ბის“ სამყარო. თბ. 2009, გვ. 37-54; შდრ. მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბ. 2001, გვ. 147-149.

[10] ვახტანგის კუთვნილება მირიანის ოჯახისადმი და, შესაბამისად, მისი ხოსროვანობა საგანგებოდ არის ხაზგასმული „ქართლის ცხოვრებაში“: „არამედ ვახტანგ მეფემან ამცნო სპათა სომხითისათა და და ყოველთა სპარსთა, რაითა არაჲის კვლიდეს მოწესეთაგანსა, არამედ ტყუე-ჰყოფდნენ და ჰრქუა მათ: ‘მამის მამად ჩემი მირიან ოდეს შემოჰყვა მეფესა სპარსთასა, ძმისწულსა თჳსსა ბრძოლად ბერძენთა ზედა, ესევითარსა უყოფდეს მოწესეთა და ეკლესიისა მსახურთა“... იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 173; და კიდეც: „და ჰრქუა ყოველთა წარჩინებულთა: ‘თქუენ, მკჳდრნო ქართლისანო, მოიჯსენენით კეთილნი ჩემნი, რამეთუ პირველად სახლისა ჩემისა მიერ მიიღეთ ნათელი საუკუნოჲ. ..ნათესავსა და სახლსა ჩემსა ნუ შეურაცჴოფთ და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ“. იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 220.

[11] მაგალითად, მირიანს ფარნავაზიანად მიიჩნევს (ანუ მირიანოს ხოსროვანობას უარყოფს) ვ. გოილაძე. იხ. მისი. ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში (მირიანის შესახებ ლეონტი მროველის ზოგიერთი ცნობის განმარტებისათვის). „მაცნე“. ისტორიისა, არქეოლოგიის ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1982. №4, გვ. 115-122; მისივე. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბ. 1990; შდრ.: ქ. ნადირაძე, საქართველოს მეფეები. თბ. 2000, გვ. 31; დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2003, გვ. 8-9; ა. ბოგვერაძე. მირიან III. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7. თბ. 1984, გვ. 14; ლ. ჯანაშია. აღმოსავლეთ საქართველო (ქართლის) IV-V საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 60-62.

სწორედ ეს აქცევს ამ ცნობას ერთგვარ შებრკოლების ლოდად: სულ არაფერი რომ იყოს ლევზე ნათქვამი, მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მეფეთა სიაში მისი დასახელება მის მეფობას ნიშნავს. მაგრამ ეს ასე არაა, გარკვეული ინფორმაცია მოცემულია და ეს ინფორმაცია არაა მის მეფობაზე მითითება. აღნიშნული აშკარას ხდის, რომ მირიანის მამად დასახელებული ლევი თავად მეფე არ იყო. ის ამ სიაში ფიგურირებს, როგორც მეფის მამა. მაგრამ რატომ?

ამ ვითარების ახსნა ხერხდება მხოლოდ იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულია „ქართლის ცხოვრებაში“, ვგულისხმობ აქ შემონახულ ცნობას მცირეწლოვანი მირიანის რეგენტის შესახებ: ირანელ უფლისწულს აღმზრდელად უტოვებენ მამამძუძეს. თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ლევს, წოდებულს მირიანის მამად, მირიანის მამამძუძედ გავიაზრებთ (მამასა და მამამძუძეს შორის ტოლობის ნიშნის დასმა სავსებით შესაძლებელია, რადგან ხელოვნური ნათესაობა ეტოლებოდა და, დღესაც ეტოლება, ბიოლოგიურს როგორც სამართლებრივად, ისე ადამიანური სენტიმენტების კუთხით), მაშინ ცხადი ხდება, არა მარტო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში წარმოდგენილ მეფეთა სიაში არამეფის, ანუ ლევის სახელის მოხსენიების ლოგიკა, არამედ ისიც, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მირიანის ირანული წარმომავლობის საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. პირიქით, ეს ძეგლი ირიბად ამ ფაქტს კიდევაც ადასტურებს, რამდენადაც ის ლოგიკურია სწორედ იმ კონტექსტისათვის, რომელიც ირანელი უფლისწულის ქართლის ტახტზე დასმის რეპრეზენტაციას წარმოადგენს. ამასთან სრულიად ბუნებრივია, რომ მირიანს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონოდა ლევისადმი და ქართლის მეფეთა სიაში ლევის მირიანის მამობის „ტიტულით“ დასახელებაც ამ დამოკიდებულების გამოხატულება უნდა იყოს. იმავეს აჩვენებს მირიანის მიერ საკუთარი ძისათვის მამამძუძის სახელის დარქმევის ფაქტიც: როგორც ცნობილია, მირიანის პირმშოს ერქვა რევი, რევი კი, ცხადია, იგივე ლევია.

თუმცა, აქ არის ერთი შეხედვით (sic!) ხელშემშლელი გარემოება: „ქართლის ცხოვრებაში“ მირიანის მამამძუძეს მირვანოზი ჰქვია და არა ლევი. მე მიმაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტი არ ქმნის დაბრკოლებას „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოთ ხსენებული ცნობის ჩემეული ინტერპრეტაციისათვის: ორივე ეს სახელი რელიგიური ეპითეტებია: *მირვანოზი* მითრას მიმდევარს (მცველი, მფარველი, მოსიყვარულე) ნიშნავს, *რევი* სიცრუის დამმარცხებელს.[12]

[12] მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბ. 1966, გვ. 483, 490.

ირანული ტრადიციით, ამგვარი ეპითეტები არაერთი შეიძლებოდა ჰქონოდა ადამიანს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მირვანოზი აქტიური რელიგიური საქმიანობით გამორჩეული პიროვნება იყო. მის სახელს უკავშირდება მითრაისტული კულტმსახურების ცენტრის ნეკრესის მოვლა-პატრონობა.[13] აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, ის წოდებული იყო რევადაც. შესაძლებელია სხვა ვარიანტიც: ლევი სხვა რეგენტი იყო. მირვანოზი გარკვეული დროის მერე გარკვეული მიზეზით (თუნდაც გარდაცვალება) შეცვალეს ლევით. ახლა ძნელია გადაჭრით იმის თქმა, ამ ორი დაშვებიდან რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. აქ მთავარი სხვა მომენტებია, რომლებიც უეჭველია: ლევი მეფედ არ იხსენიება და მირიანს მამამძუძე ჰყავდა. არამეფე მამა კი შეიძლება მხოლოდ მამამძუძე ყოფილიყო: ის თან „მამა“ იყო და თან, თავის ძისაგან განსხვავებით, არ იყო სამეფო ოჯახის წარმომადგენელი, შესაბამისად, ვერც მეფე იქნებოდა.

ეს შეხედულება, ანუ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ განხილული ცნობის ახლებური ინტერპრეტაცია, ვრცლად მაქვს წარმოდგენილი 2009 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში[14] და აქ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ამგვარად, ვახტანგის ფარნავაზიანობის თვალსაზრისზე მდგარი მკვლე-

[13] ნეკრესი ძველთაგანვე იყო მითრაისტული კულტმსახურების ცენტრი საქართველოში. ამას აჩვენებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად დიდი მითრაისტული სატაძრო კომპლექსის აღმოჩენა ნეკრესში: ლ. ჭილაშვილი. ნეკრესის წარმართული სამლოცველოები. თბ. 2000. საინტერესოა, რომ ახ. წ VI საუკუნემდე ნეკრესში ცეცხლის საკურთხეველის არსებობა, რომელსაც ერთ-ერთმა ასურელმა მამამ, კერძოდ, აბიბოსმა ცეცხლი დაშრიტა, რის გამოც მოწამეობრივად აღესრულა კიდეც. პირველად ნეკრესი დააფუძნა მეფე ფარნაჯომმა, რომელიც დაუპირისპირდა ადგილობრივი კერპების რელიგიას სწორედ ცეცხლთაყვანისმცემლობით (ქართული წყაროები ტოლობის ნიშანს სვამენ ცეცხლთაყვანისმცემლობასა და მზისთაყვანისმცემლობას შორის): „ამან ფარნაჯომ უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენებაჲ, და ამან აღაშენა ციხე სადენი, და შექმნა კერპი, სახელით სადენ და აღჰმართა სადენს, და იწყო შენებად კახეთს, ქალაქსა ნელქარისასა, რომელ არს ნეკრესი. და ამის შემდგომად შეიყუარა სჯული სპარსთაჲ, ცეცხლისმსახურებაჲ, ...და იწყო ცხადად გმობად კერპთა“. იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 48-49: სწორედ ნეკრესისათვის უსრუნეია მირიანის მამამძუძეს მირვანოზს განსაკუთრებით: „ხოლო ამან მირვანოზ, მამამუძემან მირიანისმან ჰმატა ყოველთა სიმაგრეთ ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა სჯულდენი ქალაქისა ნეკრესისანი“, ქართლის ცხოვრება, გვ. 79.

[14] მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბ. 2009, გვ. 88-117.

ვრები შემცდარნი მგონიან, მაგრამ, როგორც თავშივე აღვნიშნე, ვახტანგი არც ხოსროვანთა საგვარეულოს წარმომადგენლად მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ამას კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, მირიანის ხოსროვანობის შესახებ აზრს ვიზიარებ და უკვე ხსენებულ წიგნში დამატებითი არგუმენტებითაც ვამყარებ.

საქმე ისაა, რომ ის მკვლევრები, რომელნიც მირიანის მეშვეობით ვახტანგის ხოსროვანობას ამტკიცებენ, თვლიან, რომ მირიანიდან მოყოლებული ვახტანგამდე მემკვიდრული ხაზი უწყვეტი იყო. მე კი ვთვლი, რომ ხოსროვანთა დინასტია მეფე არჩილ რევის ძის ზეობით სრულდება. ეს ის მეფეა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგის პაპად არის მიჩნეული.

ვნახოთ, რას ემყარება ტრადიციული შეხედულება და რატომ არ ვიზიარებ მე მას.

ტრადიციული შეხედულება ემყარება „ქართლის ცხოვრების“ მონაცემს, რომლის მიხედვით, არჩილის ძე იყო მირდატი, ხოლო ამ მირდატის ძე ვახტანგ გორგასალია: „და ესუა ძე არჩილს, და უწოდა მირდატ“.[15] „და კუალად ევედრებოდეს ღმერთსა მირდატ მეფე და დედოფალი საგდუხტ, რაჲთა მისცეს ძე. და შემდგომად ოთხისა წლისა მიუდგა საგდუხტ და შვა ძე უწოდა სპარსულად სახელი მისი ვარან ხუასრო თანგ, ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ“.[16]

„მოქცევაჲ ქართლისაჲშიც“ არჩილის მერე მირდატია დასახელებული, მაგრამ მათ შორის ნათესაური კავშირის შესახებ არაფერია თქმული: „და მისა შემდგომად მეფობდა არჩილ და მთავარებისკოპოსი იყო იონა. და მაშინ დაეცა ქუემოჲ ეკლესიაჲ. და იონა მოიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა-წარმოიღო. და მისა ზე აზნაურთა სტეფანე-წმიდაჲ აღაშენეს არაგუსა ზედა და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლის მსახურებასა ზედა. და მისვე არჩილის ზე ოთხნი მთავარეპისკოპოსნი გარდაიცვალნეს. და მერმე მეფობდა მირდატ. და მთავარებიკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარეპისკოპოსი ერისთავდცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“.[17]

ამგვარად, „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს პირდაპირი ინფორმაცია იმ-

[15] ქართლის ცხოვრება, გვ.152.
[16] ქართლის ცხოვრება, გვ 155.
[17] ქართლის მოქცევა. ახალ ქართულ'ზე გადმოღებული ტექსტი და ძველი ვერსიების რედაქცია ელგუჯა გიუნაშვილისა. გამოკვლევა, მიმოხილვა და კომენტარები ვახტანგ გოილაძისა. თბ. 2009, გვ. 43.

ის შესახებ, რომ მირდატი არჩილის შვილია, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ეს ფაქტი დაფიქსირებული არ არის, მაგრამ არც უარყოფილია. წყაროთა ამგვარი ჩვენებების ვითარებაში, ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდეს კითხვა, რატომ დამებადა ეჭვი არჩილისა და მირდატის მამა-შვილობასთან დაკავშირებით?

ამ ეჭვის პროვოცირება გამოიწვია პეტრე იბერის „ცხოვრების“ ასურულენოვანმა ვერსიამ. როგორც ცნობილია, ეს ძეგლი ავთენტური წყაროა. იგი პეტრეს ერთ-ერთი მოწაფის მოგონებას წარმოადგენს, რომელსაც პეტრეს ნათესავების შესახებ პეტრესაგან მოწვდილი ინფორმაცია აქვს დაფიქსირებული. [18] როგორც ირკვევა, მოწაფეებთან პეტრე საკმაოდ ბევრს საუბრობდა თავის ახლობლებზე. მის მოგონებებში განსაკუთრებულად დიდი ადგილი უკავია არჩილს, რომელიც, როგორც ეს ჩანს პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრებიდან“, ყოფილა მისი პაპის ძმა დედის ხაზით. პეტრეს არჩილთან მიმოწერაც კი ჰქონია. არჩილი დიდად აფასებდა თურმე პეტრეს მოღვაწეობას პალესტინაში. საერთოდ, როგორც ამას წყაროები აჩვენებს, ახლობლები პეტრეს გადაწყვეტილებით, რომ ბერად აღკვეცილიყო, სულაც არ იყვნენ აღფრთოვანებულნი. ეს გასაგებია: ის ხომ ტახტის ერთადერთი მემკვიდრე იყო. არჩილი ხოსროვანთა ოჯახში ამ თვალსაზრისით გამონაკლისი ჩანს, ყოველ შემთხვევაში, შვილიშვილს ის არ საყვედურობდა და, ეტყობა, ნაწილობრივ ამიტომაც აქვს ასე ვრცელი ინფორმაცია დაცული მასზე ჰაგიოგრაფს. ამ უკანასკნელის ცნობით, არჩილი ტახტზე ასულა ღრმად მოხუცებულობაში იბერებში არსებული მეფეთმონაცვლეობის წესის თანახმად და პეტრეს მამასთან ერთად მართავდა თურმე ქვეყანას. ანუ, ჰაგიოგრაფის აზრით, არჩილს ტახტი მამისაგან არ მიუღია, ოჯახის სხვა წევრების მერე ერგო მას და მისი ასაკოვნებაც ტახტზე ასვლისას, მისი აზრით, ამით აიხსნება. ცნობა მეფეთმონაცვლეობის წესის შესახებ თავად ჰაგიოგრაფის დასკვ-

[18] ამ ძეგლის შესახებ არსებობს მრავალრიცხოვანი სპეციალური ლიტერატურა. მივუთითებ ბოლოდროინდელ გამოკვლევებს C.B. Horn.Asceticism and Christological Controversy in FifthCentury Palestine.The Career of Peter the Iberian. Oxford University Press. 2006, გვ.10-49; John Rufus. The Lives of Peter the Iberian. Theodosius of Jerusalem and The Monk Romanus. Edited and Translated with an Introduction and Notes by C.B. Horn and R.R. Phenix. Society of Biblical literature. Atlanta. 2008, გვ. LVIII-LXIII). იხ. აგრეთვე უფრო ადრინდელი, მაგრამ მდიდარი ბიბლიოგრაფიის შემცველი ხოგი გამოკვლევა ქართულ ენაზე: ი. ლოლაშვილი. არეოპაგიტიკის პრობლემები. თბ. 1972, გვ. 76-176; გ. კოპალატაძე. წმინდა პეტრე იბერი. სამი საუნჯე. I. თბ. 2011, გვ. 162-166; მ. მახარაძე. არეიპაგიტიკა. ფილოსოფიური მსოფლხედველობა, ფილოსოფიური და თეოლოგიური წყაროები, გაკვლევა. თბ. 2011, გვ 25-52.

ნა უნდა იყოს გაკეთებული იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა შესახებაც მან პეტრესაგან მოისმინა.

აი, ამონარიდები პეტრეს ასურულენოვანი „ცხოვრებიდან“ არჩილის შესახებ:

„დიდ ბაკურიოსს ცხონებული პეტრეს პაპას დედის მხრით ჰყავდა ძმა, ცხონებული არსილიოსი. მან ბაკურიოსთან და ბოზმარიოსთან ერთად ღრმად მოხუცებულმა, თანახმად იბერთა მეფეთ მონაცვლეობის წესისა, იმეფა იბერიაში დაასრულა თავისი ცხოვრება უმანკოებაში და ღვთისნიერობაში“.[19]

„...მისი (ბაკურიოსის – მ. ჩ.) ღვიძლი ძმა არსილიოსი, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, რომ ის მოხუცებული იყო და უმანკოებრივ მეფობდა იბერიაში ბოზმარიოსთან ერთად, რომელსაც, პეტრეს ნაბარნუგიოსიც ერქვა და როდესაც ამ ქვეყნის წარჩინებულებმა მუდარით სთხოვეს შვილების გაჩენისა და სამეფო გვარის განგრძობის გულისათვის ექორწინა და მას ამ მიზნით მოჰგვარეს ერთი ქალი სამეფო გვარისა, – მიუხედავად ამისა, მაინც ქალწულებრივი დარჩა ამ ქალის მიმართ. მაგრამ, როდესაც მან შეიტყო, რომ მას (ამ ქალს) რაღაც სამარცხვინო ჩაედინა, ხოლო ის, მისგან რბილად გაკიცხული, უარყოფდა (თავის დანაშაულს), მან მაინც უცბად წაასწრო ამ ბოროტმოქმედს და ასე უთხრა: „(უმადლოდე) ფილოსოფიის უმანკოებას და დიდ სირბილეს! მიჩუქებია შენი სიცოცხლე და შენი სისხლი. აჰა, სამგზავრო ფულიც და საგზალიც; გამშორდი ახლავე და დასტოვე ეს ქვეყანა, რათა რაიმე უბედურება არ შეგემთხვიოს და შენი სისხლი არ მომეთვალოს.“

და როდესაც მან ამნაირად გაუშვა იგი, მერე მიმართა თავის ცოლს: ‘ამ შენი საქციელის გამო მე არ გაგეყრები, მაგრამ უფრო მეტად გავამასხარავებ შენს სამარცხვინო საქმეს. მე მივენდობი ღვთის ძეს, რომლის კანონი შენ შეურაცხჰყავ და მისი მეოხებით შენი სასირცხო ასო ჭიანჭველების ბუდე გახდება, და ასე გაიხრწნება შენი სხეული’, და მაშინვე აღსრულდა იმ უმანკო კაცის წყევლა: რადგან ქალის ქვედა სხეული ჭიანჭველების გამო დალპა, მისი სიცოცხლეც და მისი სხეულიც ტკივილებისაგან მოსპობის გზას დაადგა. ისიც იმნაირად, რომ ის ცარიელ ძვლებად და ტყავად იქცა. მაგრამ იმ სამართლიანი (მსაჯულის) რუდუნებამ კვლავ გაანთავისუფლა (ის ქალი) წყევლისაგან: ღვთაებრივი მათრახით გაშოლტილმა, როგორც კი აღიარა თავისი დანაშაულებრივი საქციელი, ნამდვილი სინანული იგრძნო. ის მწარედ

[19] გეორგიკა. ბი'სანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. მეორე, შესწორებული გამოცემა. თბ. 1965, გვ. 249.

ოხრავდა და იმ ზომამდე მივიდა მისი სინანული და გულის აყრა, რომ იგი საჯაროდ დავარდა ეკლესიის კარიბჭესთან, ყველა გამვლელის წინაშე თავის ცოდვას აღიარებდა და ყველას ემუდარებოდა, ფეხებით გაეთელათ ის და თავის თავს უწოდებდა ნამუსახდილ მეძავსა და მემრუშეს, ღმერთის მტერსა და ადამიანთა სირცხვილს. ამიტომაც იწვევდა ის ყველა ადამიანში პატიებას, ცრემლს და თანაგრძნობას. და რადგან მთელი ხალხი საერთო მარხვას მისდევდა და ეკლესიისაგანაც უგულითადესი ვედრება იყო, რუდუნებით, ცრემლებითა და ოხვრით ამ ქალის გულისათვის, ის განიკურნა წვალებისაგან და ამიტომ ის სათნოიანი გარდაქმნისა და ასკეტური ცხოვრების მეშვეობით ისეთი წმინდა შეიქმნა, რომ ის ყოველი კაცისათვის გახდა ნიმუში და საბუთი მოწყალეობისა და სისავსისა. თვით არჩილმა კი თავისი ვაჟკაცური ქცევის წყალობით იმ ზომამდე მოიპოვა წყალობა და საამო მინდობა ღვთისადმი, რომ ის თავის ლოცვათა გზით სასწაულებს ახდენდა, როგორც ჩვენი ცხონებული მამა გვარწმუნებდა და შეუმცდარად ამტკიცებდა. ხოლო როდესაც ის იბერიაში ბატონობდა და ცხონებული პეტრეს შესახებ შეიტყო, რომ მან ამ ქვეყანას პირი შეაბრუნა, წმინდა ქალაქში ცხოვრობს და იქ მონაზონის ასკეტურ ცხოვრებაში დახელოვნობს (ღვთის შემწეობით ასე გავარდება ხმა და ცნობას მოიტანს), გაუგზავნა მას შემდეგი მიწერილობა: „ვითარცა წერილ არს: ნეტარ არს კაცი, რომელსაც თესლი სიონში აქვს და სახლის შვილები იერუსალიმში – როგორც შენ გვყავხარ, ამიტომ გთხოვ, ჩემო შვილო, ილოცო ჩემთვის, რათა შენი ლოცვების წყალობით ვპოვო მოწყალეობა“. რადგან ბევრ წარჩინებულს ამა ქვეყნისას, ამ უზრუნველებსა და სიამონებათა მაძებართ, ჩვეულებად ჰქონდათ მიეწვიათ თავისთან მაშრიბნი და მუტრიბნი, ამა სოფლის ეს ნაძირალები (არარაობანი – ს. ყ.) რათა ემღერათ, ემღერათ სიამოვნებისა და წარმავალი განცხრომის მოსაგვრელად, მან დაიქირავა, როგორც ეს ქნა დავით მეფემ, წმინდა გალობათა მომღერალნი, რომელნიც პურის ჭამის დროს და ყოველ დროს ღვთის წმინდა სიტყვებს გალობდნენ, ასე რომ, მისი სასახლე არაფრით განსხვავდებოდა ეკლესიისაგან“.[20]

მე საგანგებოდ მოვიყვანე ვრცელი ამონარიდი ავთენტური წყაროდან. ამ ამონარიდით სრულიად აშკარაა, რომ არჩილს შვილი არ ჰყავდა. ამავე დროს, ისიც აშკარაა, რომ პეტრეს „ცხოვრების“ ასურულენოვანი ვერსიის არჩილი იგივე არჩილია (სხვა ამ სახელის მქონე მეფე ამ ქრონოლოგიურ

[20] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, გვ. 251-252.

მონაკვეთში, უბრალოდ, არ ჩანს), რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასლის პაპადაა გამოყვანილი და რომელიც, როგორც აღვნიშნე, „მოქცევაჲ ქართლისაჲშიც“ იხსენიება ვახტანგის მამის, ანუ მირდატ მეფის წინამორბედად.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ ამ წყაროს მონაცემს, ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, რომ არჩილი იყო უკანასკნელი ხოსროვანი მეფე ქართლის ტახტზე. უკანასკნელი მამაკაცი ხოსროვანთა დიდ ოჯახში კი იყო პეტრე იბერი, რომელსაც, როგორც მონაზონს, შთამომავლობა არ ჰყავდა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ არჩილისა და პეტრეს მერე ქართველი ხოსროვანები ბიოლოგიურად გადაშენდნენ. შესაბამისად, არჩილის მემკვიდრე მირდატი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი შვილობილი, ეტყობა საქმე გვაქვს ხოსროვანებსა და ერთ-ერთი დაწინაურებულ ქართულ საგვარეულოს შორის გაფორმებულ სოციალურ კონტრაქტთან, რომელიც გულისხმობდა ხოსროვანთა ოჯახში ამ საგვარეულოს შემოყვანას, ანუ თვისობას.[21] ასე გააზრების შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრება“ და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრება“ ერთმანეთს არც ეწინააღმდეგება: შვილსა და შვილობილს შორის ტოლობის ნიშანი ესმოდა ძველ სამყაროში.

ვიდრე შემდგომ მსჯელობაზე გადავიდოდე, მინდა ამ საკითხზე ოდნავ მეტი ინფორმაცია მივაწოდო მკითხველს, რომ ნათლად დაინახოს, რაოდენ ბუნებრივია მირდატის არჩილის შვილობილად მიჩნევა.

როგორც ძველ აღმოსავლეთში, ასევე, ძველ საბერძნეთსა და რომში შვილად აყვანა იყო სოციალური კონტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. ის კანონმდებლობით კარგად იყო რეგულირებული. სხვადასხვა შემთხვევაში მიმართავდნენ შვილად აყვანას. რომში განსაკუთრებულად გავრცელებული იყო შვილად აყვანა ოჯახის მემკვიდრული ხაზის გაგრძელების მიზნით. იმპერატორები ძალიან ხშირად შვილობდნენ თავიანთ მემკვიდრეებს. ამით ხელისუფლების გადაცემა უმტკივნეულოდ ხდებოდა. შვილად აყვანა წარჩინებულთა გვარებს შორის დაძაბულობას ფაქტობრივად სპობდა. ნაშვილებს იგივე უფლებები ჰქონდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც ბუნებრივ შვილს ექნებოდა. და მეტიც: ნაშვილები უფროს შვილად ითვლებოდა.

[21] „თვისობის“ სოციალური არსის შესახებ იხ. გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წამოქალიბება ძველ ქართლში. თბ. 1979.

თუ შვილად აყვანის შემდეგ წყვილს შვილები გაუჩნდებოდა, ნაშვილები მაინც თავის პრიორიტეტულ პოზიციას ინარჩუნებდა. შვილად აყვანა შეეძლო არა მარტო წყვილს, არამედ მარტოხელა ადამიანსაც (არაქორწინებაში მყოფ საერო პირს, მონაზონს, საჭურისს) სხვადასხვაგვარი მოტივაციით. ხშირი იყო სწორედ მემკვიდრეობის და პოზიციის გადაცემის მიზნით შვილობა. ეს საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენდა უშვილოებისათვის და ბევრი შვილის მყოლთათვისაც. შვილად აყვანის ფაქტი არც სამარცხვინოდ ითვლებოდა, არც იმალებოდა. ისეთივე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა სოციალური კონტრაქტისა, როგორც ქორწინება. რომის იმპერატორების მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი წინამორბედის შვილობილი იყო. მოკლედ, ძალიან მრავალრიცხოვან ლიტერატურაში ეს საკითხი კარგად არის გაშუქებული.[22] ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ პრაქტიკის არსებობა ვივარაუდოთ ძველ საქართველოშიც. მაგრამ არა მარტო ვივარაუდოთ, შეგვიძლია დავასახელოთ კონკრეტული მაგალითებიც: დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის შემთხვევა მემკვიდრეობის დატოვების მიზნითსწორედ შვილობის მაგალითს წარმოადგენს: „ვითა შეიქცა (დავით კურაპალატი – მ. ჩ.) მუნით გარე, დაუტევა უფლისციხეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ. მას ჟამსა იყო ბაგრატ ჯერეთ ასაკითა თჳსითა უსრულ, ამისთჳს თანაგამგებელად დაუტევა მამაჲ მისი გურგენ. შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისაჲ, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილეთ ყოველნი“.[23] და კიდევ: „და ვითარცა ვთქუ პირველად, უშვილო იყო დავით კურაპალატი და ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოჲსა ტაოჲსა“.[24]

განსხვავებული კონტექსტია, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა ჩვენი კვლევისათვის ვახტანგ გორგასლისა და მისი დის აღზრდა ქართლის სამე-

[22] Adoption in ancient Rome. http://en.wikipedia.org/w/index.php?title=Special:Book&bookcmd=download&collection_id=49c76475177e01bb8e550ea8e69916bd914ec07e&writer=rdf2latex&return_to=Adoption+in+ancient+Rome; Dr. Robert Paulissian. Adoption in Ancient Assyria and Babylonia. http://www.jaas.org/edocs/v13n2/Pauliss ia1.pdf; Baina David King.Adoption in New Testament Times. A Senior Thesis submitted in partial fulfilment of the requirements for graduation in the Honors Program Liberty University Spring Semester 2005. James M. Scott. Adoption as Sons of God. An exegetical investigation into the background huiothesia in the Pauline corpuse. Tubingen. Mohr. 1992.

[23] ქართლის ცხოვრება, გვ. 267-168.

[24] ქართლის ცხოვრება, გვ. 268.

ფოს უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე და, ცხადია, ამავე დროს, ძლიერი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენელთა მიერ: „მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ, რამეთუ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლთა აღიზარდიან“.[25] შდრ.: „შემდგომად ამისა, მეექუსესა წელსა, შუა საგდუხტ ასული სხუაჲ, და მოითხოვა იგი საზრდელად სპასალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან და წაიყუანა იგი ქალაქსა კასპისასა და იზარდებოდა მუნ“.[26]

ამგვარად, სხვის კარზე შვილად აღზრდა სავსებით მიღებული იყო საქართველოშიც. მით უმეტეს, მიღებული იქნებოდა ამ ტიპის სოციალური კონტრაქტი ისეთ ვითარებაში, როცა დინასტიას გადაშენება დაემუქრა. ასე რომ, პეტრეს მიერ ტახტზე უარის თქმის შემდგომ[27] პრობლემის სრულიად ლოგიკური გადაწყვეტა იქნებოდა, უშვილო არჩილს თავისი მემკვიდრე ეშვილა. ამიტომაა, რომ მირდატს წყაროში არჩილის შვილი ჰქვია: შვილობილსა და შვილს შორის ტოლობის ნიშანი ისმოდა მემკვიდრეობის გადაცემის თვალსაზრისით. სოციალურ კონტრაქტში, ცხადია, ორივე მხარე იქნებოდა დაინტერესებული. ხოსროვანებს მემკვიდრე არ ჰყავდათ, ხოლო იმ საგვარეულოს, რომლიდანაც აყვანილი იქნა არჩილის მემკვიდრე, მისი წარმომადგენლის მხოლოდ ხოსროვანობის ოჯახის წევრად გახდომის გზით შეეძლო ქართლის ტახტზე ასვლა.

ვახტანგის მამა მირდატი, ასე ვთქვათ, პირველი „ხელოვნური“ ხოსროვანი იყო.

ვფიქრობ, „ხელოვნური ხოსროვანობის“ შესახებ ჩემი აზრის სისწორის საჩვენებლად ფასეულია ერთი დეტალიც, რომელიც ვახტანგ გორგასლის განსაკუთრებულ დამოკიდებულების ავლენს თავისი „ხელოვნური პაპის“, ანუ არჩილისადმი. როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასალს ჰყავდა სამი ვაჟი: უფროსი დაჩი, რომელიც მას პირველი ცოლისაგან, ანუ სპარსელი ბალენდუხტისაგან შეეძინა; აგრეთვე, ლეონი და მირდატი, რომელნიც მეორე ცოლისაგან, ანუ კეისრის ასულისაგან ჰყავდა. საინტერესოა სწორედ ეს სახელები. შუათანა ძის სახელი აშკარად ვახტანგის სიმამარის საპატივსაცემოდ არის დარქმეული, ნაბოლარას ვახტანგის მამის

[25] ქართლის ცხოვრება, გვ. 155-156.
[26] ქართლის ცხოვრება, გვ. 156.
[27] პეტრე იბერი რომ მეფობის პატივს გაექცა, ეს კარგად არის ნაჩვენები მის ჰაგიობიოგრაფიაში.

სახელი ჰქვია.[28] აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ვახტანგმა შვილების სახელები საგანგებოდ შეარჩია და ტრადიციის გათვალისწინებით დაარქვა კიდეც მათ მამისა და სიმამრის სახელები. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ არც მისი პირმშოს სახელია შემთხვევითი. მაგრამ ამ პირმშოს ვის საპატივცემოდ ჰქვია სახელი?

„ქართლის ცხოვრებაში“ *დაჩის* სრული ფორმა არის მოყვანილი: ესაა *დარჩილი*: „და მოიყვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ და ქართულად დაჩი“.[29] *არჩილ/დარჩილი* ქართულ ხელნაწერებში ერთმანეთს ზოგჯერ ანაცვლებს. ამ თვალსაზრისით ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება „წმ. დავითისა და კონსტანტინეს წამება“ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს.[30]

დარჩილი ნიშნავს *არჩილისას*, ანუ *არჩილ/დარჩილი* ერთმანეთთან ფონეტიკურად და სემანტიკურად ახლოს მდგომი სახელებია. ამგვარად, ვახტანგს პირმშოსათვის ფაქტობრივად პაპის სახელი დაურქმევია. ასეთი გადაწყვეტილება გასაგები ხდება, თუ გავიზიარებთ აზრს იმის თაობაზე, რომ არჩილი ვახტანგის ბიოლოგიური პაპა კი არ იყო, არამედ სოციალური კონტრაქტის გზით გამხდარი ნათესავი. ხოსროვანთა გენეალოგიურ ჯაჭვში ბმა არჩილსა და მირდატს შორის სხვა ბმებზე უფრო სუსტი იყო, ყოველ შემთხვევაში, იმაზე სუსტი, ვიდრე მირდატსა და ვახტანგს შორის: მირდატისათვის ვახტანგი არა მარტო სოციალური, არამედ ბიოლოგიური მემკვიდრეც იყო, არჩილისათვის კი მხოლოდ სოციალური, ანუ ხელოვნური ნათესაობის გზით გამხდარი შვილიშვილი. ასეთ ვითარებაში ფსიქოლოგიურად სრულიად გასაგებია ვახტანგის გადაწყვეტილება, პირმშოსათვის დაერქმია პაპის, ანუ სინამდვილეში პაპობილის სახელი და ამით განემტკიცებინა მემკვიდრული ჯაჭვის წყვეტის ადგილი, რომელიც, ცხადია, იყო განსაკუთრებულად სენსიტიური. აი, ეს ნიუანსიც მიმტკიცებს აზრს, რომ არჩილის შემდგომ რეალურად სხვა საგვარეულოა ქართლის სამეფო ტახტზე, თუმც ისინი ზეობენ, როგორც ხოსროვანები.

---

[28] „როგორც 'სემოთ შეეხიშნე, თუ ვახტანგის სიმამარი, მართლაც, ლეონი იყო, მაშინ გამოდის, რომ ვახტანგს საქართველოში უძველესი დროიდან არსებული ტრადიციისამებრ სიმამრისა და მამის სახელები დაურქმევია“. იხ. ე. გოილაძე. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბ. 1991, გვ. 88.

[29] ქართლის ცხოვრება, გვ. 200.

[30] მ. სანაძე, გ. არახამია. VI საუკუნის ისტორიული ქრონიკა „დავით და კონსტანტინეს წამებაში“. თბ. 2013, გვ. 15-23.

მაგრამ რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა ვახტანგ გორგასალი, ანუ ვინ იყო მისი ნამდვილი პაპა?

აპრიორი, რაც შემიძლია ვთქვა ამ საგვარეულოს შესახებ მხოლოდ ის არის, რომ მას კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ხოსროვანებთან, რაც მათი მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონით უნდა ყოფილიყო განპირობებული; სხვა შემთხვევაში მემკვიდრეს ამ საგვარეულოდან არ იშვილებდა ხოსროვანთა სამეფო ოჯახი. მაგრამ ეს იმდენად ზოგადი ნიშანია, ხოლო ზემოთ დასმული კითხვა კი იმდენად კონკრეტული და თანაც ცნობები შესაბამისი ეპოქის ქართლის შესახებ იმდენად ცოტა, რომ მკითხველი ნამდვილად არ გამამტყუნებდა, აქ რომ შემეწყვიტა კვლევა.

მაგრამ მე მაინც ვაგრძელებ ძიებას, რადგან, ვფიქრობ, რომ მაქვს ოპტიმიზმის საფუძველი: არისტოკრატიული საგვარეულოები შეიძლება ბევრი ყოფილიყო ქართლში, მაგრამ ასეთი საგვარეულოები, რომელთანაც სამეფო ოჯახი ამგვარად მჭიდრო ალიანსს ისურვებდა, შეუძლებელია ბევრი ყოფილიყო; შესაბამის ეპოქაში მე შემიძლია მივუთითო ერთ ასეთ საგვარეულოზე.

ესაა პეტრე იბერის მამის საგვარეულო.

როგორც პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრება“ გვაუწყებს, პეტრე ქართლის სამეფო დინასტიას უკავშირდებოდა დედის ხაზით: ქართლის მეფე „დიდი ბაკური“, ამ წყაროს ცნობით, იყო პეტრეს პაპა დედის მხრიდან. როგორც მე გავარკვიე ჩემს წინანდელ გამოკვლევებში, სინამდვილეში, „დიდი ბაკური“ იყო პეტრეს არა პაპა, არამედ პაპის ძმა. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს დეტალი არაა არსებითი. ამჯერად მთავარია ინფორმაცია, რომ პეტრე იბერი ხოსროვანი იყო დედის ხაზით. აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ პეტრეს მამა სხვა ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამ საგვარეულოსთან ხოსროვანებმა პოლიტიკური ალიანსი შეკრეს: ხოსროვანი პრინცესა ცოლად გაჰყოლეს მის წარმომადგენელს. ამგვარად, ეს საგვარეულო ხოსროვანების პოლიტიკური პარტნიორი იყო. ამიტომ, საფიქრებელია, რომ სხვა სოციალურ-პოლიტიკური კონტრაქტიც გაეფორმებინათ ამ საგვარულოსთან, ისეთი, მაგალითად, როგორიც ჩვენთვის საინტერესო შვილად აყვანის კონტრაქტია.

ამ ვარაუდს ეხმარება დეტალი, რომელსაც, აგრეთვე, პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრება“ გვაწვდის: პეტრეს მამა იყო არჩილის თანამეფე. თუ გავითვალისწინებთ, რომ არჩილი ამ დროისათვის იყო ღრმად მოხუცი და მეფობისადმიც ნაკლებად მიდრეკილი ადამიანი, აშკარა გახდება, რომ ეს თანამეფობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც პეტრეს მამის ფაქტობრივად და-

მოუკიდებელი მმართველობა. რეალური ძალაუფლება, ჩანს, მას არ აკლდა. რაც აკლდა, როგორც არახოსროვანს, ეს იყო ხელისუფლების ლეგიტიმაცია. ამიტომ ესაჭიროებოდა თანამეფედ ხოსროვანი არჩილი. ამგვარ ვითარებაში, ცხადია, პეტრეს მამის დამოკიდებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა არჩილის შვილობილის შერჩევაში. ის ამ პროცესში იმის გამოც უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულად აქტიურად ჩართული, რომ „დაზარალებული“ იყო: პეტრემ, რომელიც ერთადერთი ვაჟიშვილი იყო ხოსროვანი პრინცესასაგან, მოლოდინი არ გაუმართლა მამას; იმის მაგიერ, რომ ბიზანტიაში მეფობისათვის გაწვრთნილიყო და ქართლს არჩილის მემკვიდრედ მოევლინებოდა, ბერად აღიკვეცა და სამშობლოში აღარ დაბრუნდა. ეს გარემოება მაფიქრებინებს, რომ არჩილის შვილობილის შერჩევა პეტრეს მამის ჩართულობით მოხდებოდა. არჩილის შვილობილი და მისი მემკვიდრე ქართლის ტახტზე სწორედ პეტრეს მამის საგვარეულოს წარმომადგენელი და პირადად ამ უკანასკნელისათვის მისაღები პირი უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული განსჯიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ამ კვლევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ, ვინ იყო პეტრე იბერის მამა.

პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ მიხედვით, პეტრეს მამას ერქვა ბუზმიჰრი, ქართულენოვანი „ცხოვრების“ მიხედვით კი – ვარაზ-ბაკური. ზოგი მკვლევარი ბუზმიჰრსა და ვარაზ-ბაკურს სხვადასხვა პირად მიიჩნევს, რაც არასწორია. რადგანაც წყაროები როგორც ბუზმიჰრს, ისე ვარაზ-ბაკურს პეტრეს მამად ასახელებენ, ვფიქრობ, საკამათო არაა, რომ ეს ერთი პირის ორი სხვადასხვა სახელია და არა ორი პირი. რატომაა განსხვავებული სახელები ორ წყაროში ერთი პიროვნების აღსანიშნავად, ამას სხვადასხვა ახსნა შეიძლება დაეძებნოს.[31] პეტრეს წარმართული სახელსაც განსხვავებუ-

[31] ჩვენ შეიძლება მხოლოდ ვიყვარაუდოთ, რატომ არის განსხვავებული სახელები ამ წყაროებში გამოყენებული ერთი და იმავე პირისათვის: შესაძლოა, ასურულენოვანი „ცხოვრების“ ავტორს, რომელიც მოსმენით წერდა პეტრე ნათესავებზე,უბრალოდ აერია სახელები. საქმე ისარის, რომ ორივე ამ სახელს აქვს მჟღერი თანხმოვანი – ზ, რომელიც უადრესად დამახასოვრებადია და, ამ ფაქტმა, შესაძლოა, ასეთი აღრევა გამოიწვიოს. თუმც, შეიძლება იმგვარივე შემთხვევასთან გვქონდეს, რაც რევთან და მირვანოზთან დაკავშირებით დავიდასტურეთ: ანუ ეს არის რელიგიური შინაარსის მქონე სიტყვები, შესაბამისად, ეპითეტები. ამიტომ ისინი რამდენიმე შეიძლებოდა ჰქონოდა პიროვნებას. ანუ პეტრე იბერის მამას შეიძლება რქმეოდა ვარაზ-ბაკურ ბუზმიჰრი, ჩვენ ვიცით, მაგალითად, სპარსელი მოხელე ვეუან ბუზმიჰრი. იგი წმ. ევსტატი მცხეთელის „წამებაშია“ მოხსენიებული. „ბაკური“ ნიშნავს ღმერთის შვილს, ვარაზი კი ველურ

ლად გვაწვდის ეს ორი წყარო (ნაბარნუგიოსიც და მურვანოსი), მაგრამ არავის უფიქრია ამის გამო, რომ ორ სხვადასხვა პიროვნებაზეა საუბარი. ყველა დარწმუნებულია, რომ ეს არის პეტრე იბერის ორი სახელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წყაროში არსებული მონაცემები ბუზმიჰრისა და ვარაზ-ბაკურის შესახებ უნდა შეიკრიბოს და სწორედ მათი ერთობლიობაში გააზრებით წარმოჩნდეს მისი პორტრეტი.

ანუ იმის თქმა მინდა, რომ ქართული წყაროების, მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წაკითხვისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც ვიცით პეტრეს „ცხოვრების“ ასურულენოვანი ვერსიიდან პეტრეს მამის შესახებ, უპირველეს ყოვლისა ესაა ფაქტი იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე ვარაზ-ბაკური არ იყო ხოსროვანი.

ამგვარი მიდგომით, უაღრესად საინტერესო სურათი წარმოდგება: ვარაზ-ბაკური ზეობს მეფე თრდატ რევის ძის ანუ მირიან მეფის ერთ-ერთი შვილიშვილის შემდგომ. მხოლოდ მის მერე არის დასახელებული თავად თრდატრევის ძის ბაკურის ზეობა.

მაგრამ ისმის კითხვა: რატომ შვილი არ ზეობს უშუალოდ მამის შემდგომ? ჩვენ ვიცით, რომ ბაკურ თრდატის ძე დიდი დროის განმავლობაში ბიზანტიაში იმყოფებოდა.[32] ჩანს, სწორედ ამ დროს გარდაიცვალა მამამისი. შესაბამისად, ვინმეს მათი ოჯახიდან დროებით უნდა დაეკავებინა ტახტი. როგორც ითქვა, ვარაზ-ბაკური არ იყო ხოსროვანი, მაგრამ ის იყო ხოსროვანების სიძე. მხოლოდ ამის საფუძველზე შეეძლო მას ტახტის დაკავება.

პეტრე იბერის „ცხოვრების“ ასურულენოვანი ვერსიის საფუძველზე ჩვენ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ის იყო „დიდი ბაკურის“ ანუ ბაკურ რევის ძის სიძე. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი მეფეების რიგი გვახვედრებს, რომ ის იყო არა ბაკურ რევის ძის, არამედ მისი ძმის თრდატ რევის

ტახს. ეულურ ტახი ესაა მითრას ერთ-ერთი ჰიპოსტასი, ანუ მითრასთან დაკავშირებული, ფაქტობრივ, მითრას მიმდევარის აღმნიშვნელი სახელია. რაც შეეხება მეორე სახელს: ბუ'ს ნიშნავს მაღალს, გამგებს, შემცნობს, მიჰრი კი – მითრას. ანუ მითრას შემცნობ'ეა კეულაჲ საუბარი. მთლიანობაში გამოვა ასეთი ეპითეტი: მითრას შემცნობი ღმერთის ძე ეულური ტახი. ამ სახელების შინაარსობრივი აღრეცაც შეიძლებოდა. ჰაგიოგრაფს შეიძლება დახსომებოდა ისინი, როგორც მითრასთან დაკავშირებული სახელები. ამასთან ეს ორი სახელი, შინაარსის გარდა, ფორმითაც ჰგავს: ორივე კომპოზიტია.

[32] ბაკურთან და ხოსროვანთა ოჯახის შესახებ დაკავშირებული დეტალებისათვის იხ. ჩემი სემოთ დასახელებული გამოკვლევები.

ძის სიძე:[33] მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება გასაგები, თუ რატომ ზეობს იგი თრდატსა და თრდატის ძე ბაკურს შორის პერიოდში. ამგვარად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გათვალისწინებით, პეტრეს დედა, რომელსაც პეტრეს ასურულენოვანი „ცხოვრებიის“ მიხედვით ბაკურდუხტია ერქვა, ყოფილა თრდატ

[33] ამ მონაცემებთან კარგ თანხმობაშია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ რედაქციაში ვარაზ-ბაკურის ხელისუფლებაში მოსვლასთან დაკავშირებით გამოყენებული სიტყვაც „დადგა“. აქ ნათქვამია, რომ „ვარაზ-ბაკურ დადგა მეფედ“. სხვა შემთხვევებში ამ ძეგლში უმეტესწილად გვაქვს „დაჯდა“. ის, რომ ვარაზ-ბაკურთან გვაქვს ხელისუფლებაში ყოფნის სხვაგვარი ფორმულირება, არ შეიძლება იყოს, ცხადია, შემთხვევითი და მისი მიერ ხელისუფლების ფლობის განსხვავებულობაზე უნდა მოგვითითებდეს. აშკარაა, რომ მემატიანეს სურდა ეთქვა, რომ ვარაზ-ბაკურმა დროებით დაიკავა ტახტი. ეს თვალსაზრისი მე ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც მაქვს დაფიქსირებული. მას კრიტიკულად ეკიდება ბ. ხურცილავა იმის საფუძველზე, რომ სინურ ხელნაწერებში არის „დაჯდა“. იგი ასე მსჯელობს: „ჩხარტიშვილის აზრით, რადგან შატბერდულ რედაქციაში ვარაზ-ბაკურის მეფედ „დადგომაზეა“ საუბარი ნაცვლად მოსალოდნელი „დაჯდომისა“, ეს თითქოს მის მიერ სამეფო ტახტის დაკავების დროებით ხასიათზე უნდა მიუთითებდეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქრონიკის უძველესი, ე.წ. სინური რედაქცია (Sin 48) აღმოჩნდა, სადაც ვარაზ-ბაკურის მეფედ „დაჯდომაზეა“ საუბარი, ცხადია, მეცნიერის ზემოხსენებულ დარაუდსაც სიმყარე მოაკლდა. იხ. ბ. ხურცილავა. ადრექრისტიანული ხანის ქართლის სამეფოს ისტორიის ერთი ეპიზოდის შესახებ https://www.academia.edu/8143319/Besik_Khurtsilava._About_Khram_Khuar-Burz-Adur_. მართალია, რომ სინური „მოქცევაი ქართლისაის“ ჩვენება განსხვავდება შატბერდულისაგან (ამ უკანასკნელისგან განსხვავდება და ჭელიშურს ემთხვევა), მაგრამ მე მაინც შატბერდულს ვანიჭებ უპირატესობას, თუმც, როგორც ვხედავთ, ის „უმცირესობაშია“. ხელნაწერის მონაცემის „უმრავლესობაში“ ყოფნა სულაც არ ნიშნავს მის სისწორეს, ანუ პროტოგრაფთან დამთხვევას. შესაძლოა, რომ ყველა შემორჩენილი ხელნაწერი ისეთი დედნიდან მომდინარეობდეს, რომლის მონაცემი არ ემთხვევა პროტოგარფის მონაცემს. სინური ხელნაწერი და ჭელიშური ერთი დედნიდან მომდინარე ჩანს. ჭელიშურისათვის შატბერდულისაგან განსხვავებული დედნის არსებობა ნაჩვენებია ჩემს ნაშრომში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ პროტოჭელიშური რედაქციის შესახებ. იხ. მ. ჩხარტიშვილი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ პროტოჭელიშური რედაქცია – მეტაფრასული რედაქციის წყარო. „მაცნე“ ისტორიის... სერია. თბილისი 1978. №4, გვ. 97-106. სინური სწორედ ამ განსხვავებული, ანუ პროტოჭელიშურისაგან მომდინარე, ან, სულაც, თავად პროტოჭელიშული რედაქციის ტექსტი უნდა იყოს. ამასთან, ამ შემთხვევაში არის ლოგიკური საბუთიც: საქმე ისაა, რომ „დაჯდა“ ბუნებრივია, „დადგა“ – არაბუნებრივი. გადასწორება კი მოსალოდნელია, რომ ბუნებრივის მიმართულებით მოხდებოდა და არა პირიქით.

რევის ძის ქალიშვილი. ბაკურ რევის ძის ანუ ბაკურდუხტიას ძმის დაბრუნებამდე სამეფო ტახტი მის მეუღლეს ანუ პეტრეს მამა ვარაზ-ბაკურს დაუკავებია. ამჯერად, როგორც ვხედავთ, ქართლის სამეფო ტახტზე პეტრეს მამის ლეგიტიმაციას ახდენს მისი ხოსროვანი მეუღლე, გარკვეული დროის მერე კი პეტრეს მამა უკვე თანამეფობს არჩილ რევის ძე ხოსროვანთან ერთად.

ამგვარად, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოცემულმა მეფეთა თანამიმდევრობამ მომცა საშუალება მევარაუდა, რომ ვარაზ-ბაკური თრდატ მეფის სიძე იყო. მაგრამ საგულისხმოა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შემოგვრჩა ამ ვარაუდის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობაც.[34]

ვიმოწმებ რა „ქართლის ცხოვრების“ მონაცემს, მინდა მისდამი, როგორც წყაროსადმი, ჩემი დამოკიდებულება აქვე დავაფიქსირო: „ქართლის ცხოვრების“ ავტორი, როგორც ტექსტზე ჩემი მრავალწლიანი დაკვირვება მიჩვენებს, სხვა წყაროებთან ერთად იყენებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჩვენამდე მოუღწეველ რედაქციას, რომელიც ზუსტად არ ემთხვეოდა იმას, რაც დღეს ხელთ გვაქვს.[35] მაგრამ ამ უკანასკნელთან ზოგჯერ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების განსხვავებულობა უნდა აიხსნას არა იმდენად მის ხელთ არსებული ტექსტის ჩვენთვის ცნობილთა მონაცემებისაგან სხვაობით, არამედ ამ მონაცემთა ავტორისეული ინტერპრეტაციებით. ანუ „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ეპოქის აღმწერი მონაკვეთის ავტორის პრინციპია არა ფაქტების უბრალო გამეორება, არამედ კვლევა და ამაზე დამყარებული ახალი რეპრეზენტაცია. თუმცა, ბუნებრივია, რომ ძველი ავტორის კვლევა და რეპრეზენტაცია ყოველთვის არ არის სწორი. ხარვეზები განსაკუთრებით იჩენს თავს სწორედ ამ კონკრეტულ შემთხვევაში. IV-V საუკუნეების ქართლის სამეფო ოჯახის ისტორიის ფაქტები ხშირად რთული გასაგებია მათი არაორდინალურობის გამო. ამიტომაა, რომ ინტერპრეტაციების მოყვარული ძველი ავტორის მიერ წარმოდგენილი მთლიანი სურათი ზოგ შემთხვევაში არსებითად არასწორია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალკეულ ცნობებს არ შეიძლება ვენდოთ, ისინი ხომ კარგად ინფორმირებული წყაროებიდან მომდინარეობს. ამიტომაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობას ვარაზ-ბაკურის სიძეობის შესახებ ვენდობი. როგორც ვთქვი, იგი კარგად ეთანხმება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილ მონაცემთა ირიბ ინფორმაციას, კერძოდ, მეფო-

[34] ქართლის ცხოვრება, გვ. 147.

[35] ამის შესახებ მიყუთითებდი უკვე ჩემს სადიპლომო ნაშრომში: იხ. მ. ჩხარტიშვილი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციები. ხელმძღვანელი ს. ალექსიძე. თბ. 1977.

ბის უჩვეულო რიგს: თრდატისა და მისი ვაჟიშვილის ზეობებს შორის ტახტზე დროებით ტახტზე ასული პიროვნება სწორედ სიძე შეიძლება ყოფილიყო.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით წყაროები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ისინი ერთმანეთს ავსებს და საინტერესო კუთხით გვანახებს ვარაზ-ბაკურის ბიოგრაფიას.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ არის ამ გამოკვლევისათვის უაღრესად საინტერესო შემდეგი ფაქტი: სიტყვა ეხება სპარსთა შემოჭრის შედეგად ვარაზ-ბაკურის მიერ ხელისუფლების (როცა ის პირველ ჯერზე იყო ტახტზე) მიტოვებას და ხიდარში გადასვლას: „შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ. და მისა ზე-ვე სპარსთა მეფისა მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ჴიდარდ უკუჴდა“.[36]

შდრ. „ქართლის ცხოვრება“: „უკუჴდა ხევსა კახეთისასა და აღაშენა ციხე ჴიდარს“.[37]

ხიდარი – ეს საკმაოდ გავრცელებული ტოპონიმია საქართველოში. ვახუშტის განმარტებით „ხოლო კუალად არაგვის პირს არს ოხერ-ხიდა, რომელსა ეწოდა პირველ ხიდარი, სადაც აღაშენა ვარაზბაქარ ციხე და უკუჴდა ხევსა კახეთისასა და არგვის პირს“.[38]

VIII საუკუნეში ის უკვე ნაციხარი იყო, მაგრამ ჩემთვის ამჯერად ისაა საინტერესო, რომ ხიდარის ციხეზეა ცნობა: „...და იწყო შენებად ქართლმან, ხოლო განრყუნილ იყო საყოფელად მცხეთაჲ. გარდმოჴდა არჩილ ეგრისით და დაჴდა ნაციხარსა ჴიდარისასა“.[39]

ვარაზ-ბაკურს ტახტის მიტოვების მერე ციხე-სიმაგრე ხიდარისათვის შეუფარებია თავი. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ამ ციხისათვის? ცხადია იმიტომ, რომ ეს მისი ციხე და მისი მამული იყო. ვარაზ-ბაკური ყოფილა, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში დადასტურებული ტერმინი რომ გამოვიყენო, „ციხოვანი“ აზნაური,[40] ანუ არისტოკრატიის უმაღლესი ფენის წარმო-

[36] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963, გვ. 91-92.

[37] ქართლის ცხოვრება, გვ. 147.

[38] „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ს. ბრაგვაძე, მ. ქეაჭაძე და სხვ. რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე. თბ. 2013.

[39] ქართლის ცხოვრება, გვ. 243.

[40] „დაჴდა შემდგომად მისსა მეფედ ძე მისი ბაგრატ ცხრისა წლისა. ხოლო აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის-ძე, და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და ამათ თანა უმრაველესნი აზნაურნი ტაოსა-

მადგენელი. ამ საგვარეულოს ციხის სახელწოდების მიხედვით, ვუწოდოთ ხიდარელების საგვარეულო ან ხიდარელების სახლი.

ამგვარად, ძიებული საგვარეულო, რომელიც ხოსროვანების პოლიტიკურ პარტნიორს წარმოადგენდა, ყოფილა ხიდარელების სახლი. ქართლის უკანასკნელი ხოსროვანი მეფის არჩილის შვილობილი უნდა ყოფილიყო სწორედ ხიდარელთა სახლის წევრი.

ზემოთ დასმულ კითხვას მე ვუპასუხე. თუმც ჩემი რეპრეზენტაცია აქ არ მთავრდება, რადგან არსებობს ფაქტები, რომელთაც შეუძლიათ მეტი კონკრეტულობა შესძინონ ამ პასუხს.

მართალია, გვიანდელი, მაგრამ უაღრესად საინტერესო ცნობა შემოგვრჩა ხიდარელების საგვარეულოს შესახებსინას მთის მონასტრის ერთ ქართულ ხელნაწერში (Sin-50). საუბარია ვარაზ-ბაკურისა და მისი ოჯახის წევრების (ცოლის, ორი ძისა და სამი ასულის) ნეშტების ხიდარიდან ზედაზნის ეკლესიაში გადასვენების შესახებ. „ერთი იგი ლუსკუმაჲ ვარაზ-ბაკურ მეფისა ხიდარელისაჲ არს. და ორნი ძენი მისნი – ვარაზ, ვარაზ-ჰარან და სამნი ასულნი და დედაჲ მათი სიმენავრი გუ(ა)სპურაგნელი მთავართა შვილი.“

გადასვენების ინიციატორები ყოფილან რუვისთაველთა და მეწკევნელთა საგვარეულოს წარმომადგენლები არაბთა დიდი შემოსევის დროს. ზ. ალექსიძის აზრით, ამ შემოსევაში 853 წლის ბუღა თურქის ლაშქრობა უნდა იგულისხმებოდეს.[41]

აშკარაა, რომ ნეშტები მტრის ხელყოფას განარიდეს და უსაფრთხო ალაგას გადაასვენეს. ცხადია, ეს ნეშტები მათთვის ძვირფასი იყო, როგორც დასამახსოვრებელი წარსული. თავიანთი სახლის ისტორიის დასაწყისს სწორედ ვარაზ-ბაკურს და მის ოჯახს უკავშირებდნენ. სხვა ახსნა აქ შეუძლებელია. ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად საფუძვლიანი იყო მათი რწმენა. ეს რწმენა მნიშვნელოვანია, თუნდაც ის იყოს ლეგენდა, რადგან გვიჩვენებს, რომ ხიდარელების სახლის დიდება მრავალი საუკუნის გასვლის შემდგომაც არ განელებულა.

მე ვფიქრობ, რომ აღნიშნულ ხელნაწერში მოხსენიებული „მეფე ვარაზ-ბაკურ ხიდარელი“ ეს იგივე მეფე ვარაზ-ბაკურია, რომელმაც ხიდარის ციხე

ნი, რომელნი-მე ციხოვანნი და რომელნი-მე უციხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა, რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო“. ქართლის ცხოვრება, გვ. 374.

[41] ზ. ალექსიძე. ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ. „ლიტერატურული საქართველო“. 1991 წელი. №14.

ააშენა და მერე სპარსელებისაგან შევიწროებული იქ გაიხიზნა. ამ გაიგივებას ხელს ვერ შეუშლის ის ინფორმაცია, რომელიც ამ ცნობაში ვარაზ-ბაკურის ოჯახის შესახებ არის მოცემული. მართალია, ზემოთ მივუთითებდი, რომ ვარაზ-ბაკური თრდატ რევის ძის სიძე იყო და მისი ასულისაგან ერთადერთი ვაჟიშვილი – პეტრე – ჰყავდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჩვენ ვიცით ვარაზ-ბაკურის ორი ცოლის შესახებ.[42] ასე რომ, ხელნაწერში მისი მეორე ოჯახის ნეშტებზე უნდა იყოს საუბარი.

ის გარემოება, რომ ვარაზ-ბაკურს არახოსროვანი მეუღლისაგან ჰყავდა ვაჟიშვილები, სულ სხვა კუთხით გვაჩვენებს არჩილის შვილობილი მირდატის ვინაობის საკითხს. აქამდე მე მხოლოდ იმას ვვარაუდობდი, რომ მირდატი ხიდარელების საგვარეულოს წევრი უნდა ყოფილიყო და, ამასთან, არჩილის თანამეფისათვის, ანუ ვარაზ-ბაკურისათვის მისაღები პიროვნება. ახლა შემიძლია დავუმატო, რომ მირდატი ვარაზ-ბაკურის შვილი უნდა იყოს: ცხადია, მას შემდეგ, რაც მურვანოს/პეტრეს გამეფების საწადელი ვერ აისრულა, მამა შეეცდებოდა სხვა ძისათვის გაეკაფა გზა ტახტისაკენ. მართალია, ზემოთ დასახელებულ ვარაზ-ბაკურ ხიდარელის ორ ვაჟს შორის მირდატი არც ერთს არ ჰქვია, მაგრამ, მას ამ ნეშტთა შორის არც უნდა ვეძებდეთ. მირდატი, როგორც ხოსროვანთა ოჯახის შვილობილი და, შესაბამისად, მისი სრულუფლებიანი წევრი, თავის სამუდამო განსასვენებელს, რა თქმა უნდა, სამეფო დინასტიის საძვალეში ჰპოვებდა.

დაბოლოს, მკითხველის ყურადღება მინდა კიდევ ერთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ ფაქტს მივაპყრო: IV საუკუნის მეორე ნახევარში რომსა და ირანს შორის კონფლიქტის კონტექსტში ამიანე მარცელინე იხსენიებს ქართლის მეფე ასფაგურს, რომელიც სპარსელთა მხარდაჭერით სარგებლობდა. სპარსელები მას უპირისპირებდნენ ასევე ადგილობრივი წარმოშობის პოლიტიკურ ლიდერს – სავრომაკს.[43] ამ დაპირისპირების შედეგი

[42] ქართლის ცხოვრება, გვ. 147.

[43] სახელ საურომაკს ქართულ ისტორიოგრაფიაში სახელ საურმაგის ექვივალენტად მიიჩნევენ (გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა. გამყრელიძემ და ს. ყაუხიშვილმა. ტ. I. თბ. 1961, გვ. 162; მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი. საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე. თბ. 2015, გვ. 27), ჩემი აზრით, საესებით მართებულად. კონკრეტულად ეს სავრომაკი კი უნდა იყოს ქართლის სპასპეტი საურმაგი, რომლის სახლში ვახტანგ გორგასალი აღიზარდა.

იყო გარკვეული დროით ქართლის ორად გაყოფა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ასფაგურს აიგივებენ მეფე ვარაზ-ბაკურთან.[44]

სახელის (*ასფაგური ვარაზ-ბაკურის* ფონეტიკური ვარიაცია) და სხვა რეალიების გათვალისწინებით ეს თვალსაზრისი სავსებით მართებული ჩანს. ამ შემთხვევაში ჩემთვის ის საინტერესოა იმიტომ, რომ აღნიშნული იდენტიფიკაცია ვარაზ-ბაკურის შესახებ კიდევ ერთ საინტერესო დეტალს გვაწვდის: ასფაგურს (იგივე ვარაზ-ბაკურს) ჰყოლია ძე სახელად ულტრა, რომელიც ყოფილა სპარსელების მძევალი, რის გამოც ასფაგური იყო შებოჭილი თავის მოქმედებებში. აი, როგორ მოიხსენიებს ამ ულტრას ამიანე მარცელინე: „ეს უარყოფილ იქნა და სავრომაკი (როგორც წინათ ვთქვით) იბერიის სამეფოდან გამოძევებული თორმეტი ლეგიონითა და ტერენციუსითურთ გაიგზავნა უკან. მდინარე კიროსს რომ მიუახლოვდა, ასფაგური შეეეჭდრა მას, როგორც ნათესავებმა ერთად ვიმეფოთო; იმ მიზეზით, რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელთა მხარეს გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა, აქამდე მძევლის წესით სპარსელებს ჰყავდათ“.[45]

ყურადღებას იქცევს ასფაგურ/ვარაზ-ბაკურის ძის სახელი „ულტრა“: ის უცხოა იმდროინდელი ქართული სამეფო ონომასტიკონისათვის, რომელიც თითქმის სრულიად სპარსულია. ს. ყაუხჩიშვილი იმის გამო, რომ ამ სახელის მქონე პიროვნება ან უფლისწული არ ვიცით, ვარაუდობს: სახელი ძალიან დამახინჯებული უნდა იყოს.[46]

არა მგონია, რომ აქ დამახინჯებასთან გვქონდეს საქმე. ეს უნდა იყოს რომელიღაც სპარსული ეპითეტ-სახელის თარგმანი ლათინურად. *ულტრა* ხომ ლათინურად *უმაღლესს, საუკეთესოს* ნიშნავს. ქართველ უფლისწულს რომ ამგვარი შინაარსის ეპითეტ-სახელი ჰქონოდა, აბა რა გასაკვირია. ზემოთ უკვე სხვა შემთხვევებთან აღწერილი ვითარების გათვალისწინებითარც ის არის გასაკვირი, რომ ასფაგურ/ვარაზ-ბაკურის ძე ულტრას, ამ ეპითეტის გარდა, სხვა სახელი ან სახელებიც ჰქონოდა. სწორედ ამიტომ არ გამოვრიცხავ შესაძლებლობას, რომ ეს ულტრა იგივე მირდატია. ანუ არჩილის შვილობილი

[44] აქ შეიძლება არაერთი ნაშრომის დამოწმება. მივუთითებ მხოლოდ ერთს, ბოლოდროინდელ გამოცემას, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გაერცელებული თვალსაზრისების კარგი ამსახველია: მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი. საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე. თბ. 2015, გვ. 29.

[45] გეორგიკა. ტ. I, გვ. 130.

[46] გეორგიკა. ტ. I, გვ. 161, შენ. 179.

და, შესაბამისად, ვახტანგ გორგასლის მამა ულტრა/მირდატია.

ხიდარელების სახლი უნდა ყოფილიყო სიძლიერით მესამე საგვარეულო სამეფო სახლის და სპასპეტის სახლების შემდგომ. რომაელებისა და სპარსელების ზემოთ დასახელებულ კონფლიქტში, რომელსაც IV საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა ადგილი, სპასპეტის სახლი (სავრომაკ/საურმაგი) და ხიდარელები (ასფაგურ/ვარაზ-ბაკური) ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. თუმცა დაპირისპირება ქართლის არისტოკრატიულ საგვარეულოებს შორის ქვეყნის შემდგომი ბედისათვის სასიკეთო კონსესუსით დამთავრებულა: ხოსროვანებმა მირდატ ხიდარელი იშვილეს, ხოლო ამ უკანასკნელმა საკუთარი ძე ვახტანგი აღსაზრდელად მისცა სპასპეტის სახლს.

მიუხედავად იმისა, რომ დასმულ კითხვებზე პასუხი გავეცი, ბევრი საკითხი კვლავ დეტალიზაციას ითხოვს და შესაბამისი მასალა მოძიებულიც მაქვს. განსაკუთრებით საინტერესოა ვარაზ-ბაკურის შესახებ არსებული ყველა ფაქტის თავმოყრა და მისი პორტრეტის ასე წარმოდგენა, რასაც ალბათ, უახლოეს მომავალში შევძლებ. ამ სტატიის დასასრულს კი ყურადღებას მკითხველს გავამახვილებინებ შემდეგზე: ვარაზ-ბაკური არის გვიანი ანტიკურობის ეპოქის ქართლის ორი უდიდესი მოღვაწის – პეტრე იბერისა და ვახტანგ გორგასალის – დამაკავშირებელი რგოლი: პირველის მამაა, ხოლო მეორის – პაპა. პეტრე იბერი და ვახტანგის მამა მირდატი ნახევარძმები იყვნენ, ანუ პეტრე ვახტანგის ბიძა იყო. მირდატის საგვარეულო კუთვნილების გარკვევა სხვაგვარ შუქზე წარმოაჩენს პეტრე იბერის გადაწყვეტილებას, არ დაბრუნებულიყო სამშობლოში. აქამდე ამ ნაბიჯის გადადგმის მიზეზს პირადად მე ვხედავდი მხოლოდ პეტრეს პიროვნულ მიდრეკილებაში ასკეტიზმისაკენ თუ ფილოსოფიური განსჯისაკენ. ეს აზრი ახლაც არ შემიცვლია, ოღონდ, მას შემდეგ, რაც ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ქართლის ტახტი ბიზანტიაში წარგზავნილი პეტრეს მაგიერ სპარსეთში მძევლად ნამყოფმა მისმა ნახევარძმამ ულტრა/მირდატმა დაიკავა, ფიქრი დავიწყე პეტრე იბერის გადაწყვეტილების პოლიტიკურ კონტექსტში გააზრების აუცილებლობაზეც.

Mariam Chkhartishvili

ON THE ISSUE OF VAKHTANG GORGASALI'S FAMILY BELONGING AND SOME FACTS OF GEORGIAN CHOSROIDS' HISTORY

Summary

The aim of our paper is to establish some important facts of Georgian Chosroids' history and through the light of these facts identify aristocratic family to which Georgian King Vakhtang Gorgasali belonged.

In the scholarly literature the cessation of this royal dynasty is dated differently: according to some authors this happened already in the sixth century, according to others Chosroids were in power until ninth century.

Based on reinterpretation of all available data I have come to following conclusions: the family of Georgian Chosroids extinguished for inability to be reproductive, some members of this family had no male heir, while others were childless for various reasons. The last Georgian Chosroid King was Archil (c.a. 410s-430s) who also was childless. In "KartlisTskhovreba" Archil's successor the King Mirdat – the father of well-known Georgian King Vakhtang Gorgasali, is represented as Archil's son; but actually he was Archil's adopted heir. Thus, Mirdat was Chosroid on a ground of social contract between the royal dynasty and aristocratic family which I call house of Khidareli after their castle's name. Mirdat's biological father was King Varaz-Bakur who co-ruled with Archil.

The research reveals close genealogical links between famous Georgian ascetic Peter the Iberian and great Georgian King Vakhtang Gorgasali: Peter and Vakhtang's father were half-brothers. Thus, Peter and Vakhtang were uncle and nephew.

These are but a few facts I have established in this paper. Alongside with them there are presented considerations on various topics in the main text and extended footnotes.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

მაია შარაშიძე

კაწარეთის (სამების) საეპისკოპოსოს ისტორიიდან (V-XVIII სს.)

კაწარეთი აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ საეპისკოპოსოს წარმოადგენდა და უძველესი დროიდან კახეთის ეპარქიათა შორის ერთ-ერთ საეპისკოპოსო ცენტრად ითვლებოდა.

ეპარქია რა დროს რა ტერიტორიას მოიცავდა, ამის ზუსტად დადგენა წაყროების სიმწირის გამო ძნელდება. ის მდებარეობდა საგარეჯოს რ-ნში, მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე, მოიცავდა უჯარმას, ხაშმს და მათ ახლო მდებარე სოფლებს გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე და სხვ.

საისტორიო წყაროების მიხედვით, სამება ლოკალიზებულია კაწარეთთან. კაწარეთის (სამების) საეპისკოპოსო კათედრის დაარსების თარიღი დღემდე დაზუსტებული არ არის. ის მოხსენიებული არაა მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ კათედრათა სიაში. კაწარეთი ცნობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲში," სადაც ნათქვამია, რომ წმ. ნინომ პირველად ამ ადგილზე მონათლა კხოელნი და სუჯნი. „ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით...".[1]

თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ ძველი ეკლესია „აღშენებული უნდა იყოს იქ, სადაც წმინდა ნინომ აღმართა წმინდა ჯვარი."[2]

506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე 24 ქართველ ეპისკოპოსს შორის მოხსენიებულია კაწარელი ეპისკოპოსი ზაქარია.[3]

---

[1] მოქცევაჲ ქართლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I, (V-X სს.). ილია აბულაძის რედ. თბ. 1963, გვ. 89.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას-მიერ. წ. I. ტფ. 1892, გვ. 33.

[3] იგ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. I. თბ. 1960, გვ. 300; ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. „საისტორიო მოამბე," №1. ტფ. 1924, გვ. 50-52.

როგორც მკვლევრები ფიქრობენ, კაწარეთის საეპისკოპოსო კათედრა უნდა დაარსებულიყო V საუკუნის დასასრულს ან VI საუკუნის დასაწყისში.

კირიონ ქართველთა კათალიკოსის 607 წლის ეპისტოლეში დადასტურებულია ქართლის საეპისკოპოსოში შემავალი 35 ეპისკოპოსი, რომელთა შორის კაწარელიც უნდა ვივარაუდოთ.[4]

XIII საუკუნის „განგება დარბაზობის“ მიხედვით, კაწარელ ეპისკოპოსს ეკავა მე-19 ადგილი წილკნელის შემდგომ და ურბნელის წინ.[5]

მალაქია კათოლიკოსის 1673 წლის განჩინებაში კაწარელი კვლავ მე-19 ადგილზე ზის, მხოლოდ ნიქოზელის შემდგომ. დოკუმენტის ორიგინალი ჩვენთვის ცნობილი არ არის. 1673 წლით ამ სიგელს ათარიღებს დ. ფურცელაძე. საუბარია აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქიაზე, რომელმაც დარბაზობის დროს, მისი კათალიკოსობის პერიოდისთვის 32 ეპარქიის მღვდელმთავართა ჯდომისა და ადგილის შესახებ მიიღო ეს განჩინება არჩილ მეფის ბრძანებით.[6] (შესაძლოა, აღნიშნული მალაქია კათალიკოსი, არჩილ II-ის მეფობის წლებში (კახეთის მეფე 1664-1675 წწ; იმერეთის მეფე 1661-1663წწ; 1678-98 წწ. ხანგამოშვებით) მცირე ხნით კათალიკოსობდა და ცნობილი არ არის წყაროების მიხედვით).

1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში კაწარეთიც მოიხსენიება. აქ ჩამოთვლილია კახეთის და ქართლის სოფლები, რომლებიც მცხეთის საკათალიკოსოში შედიოდა, მეფე მათ ათარხნებს და შეუვალობას ანიჭებს. კაწარეთი ნახსენებია მხოლოდ ასეთ კონტექსტში: „კაწარეთს აქეთ ღელე ჩასწორ, გაღმა სამგორთ, თამარ მეფის აღებულს რუს აქათ ჩავლით ნაგებს მზღვრამდი...“.[7]

1697 წელს გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“ მცხეთური ნუსხის ანდერძი, რომელიც მდივანმწიგნობართუხუცესის ძე ნიკოლოზ სამებელის დაკვეთით გადაიწერა და რომელიც მას ამბა ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ძმის, დურმიშხანისთვის მიურთმევია, მოწმობს, რომ სამების კა-

[4] ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევა და კომენტარები გამოსცა ს. ალექსიძემ. თბ. 1968, გვ. 97-98.

[5] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 47-49.

[6] Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджари (грамоты). Тиф. 1881, გვ. 111.

[7] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 190.

თედრა „უჯარმის კარს“ მდებარეობს. ჯუანშერის მიხედვით კი, მეფე ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.) „უჯარმის კარს“ ნინოწმინდის კათედრა მდებარეობდა.[8]

როგორც ჩანს, კაწარეთის (სამების) კათედრის დაარსებამდე ამ ტერიტორიასაც ნინოწმინდელი განაგებდა, ხოლო შემდგომ იგი სამებელმა ჩაანაცვლა. ამდენად, ნინოწმინდელი მართავდა კაწარეთის ტერიტორიას „უჯარმის კარს“ მდებარეს (როგორც ეს ჯუანშერთანაა), შერწყმულს თავის ეპარქიასთან. სავარაუდოდ, შემდეგ საეპისკოპოსო გაიყო, ნინოწმინდელს დარჩა საგარეჯოში მდებარე საეპისკოპოსო კათედრა ნინოწმინდაში და კაწარელმა დაიკავა „უჯარმის კარს“ მდებარე ეპარქია, რეზიდენციით კაწარეთის (ხაშმის) სამებაში.

თემურ-ლენგის დამანგრეველი შემოსევების შედეგად, ქართლ-კახეთში მრავალმა საეპისკოპოსომ შეწყვიტა არსებობა. XVI საუკუნის II ნახევარში ლევან კახთა მეფემ (1520-1574 წწ.) რამდენიმე კათედრა აღადგინა, მათ შორის კაწარეთიც. დაახლოებით, 1556-1560 წლების კახეთის ეპისკოპოსების ერთგულების წიგნში დომენტი კათოლიკოსისადმი, მოიხსენიება კაწარელი ეპისკოპოსი ეგნატი. (დოკუმენტს თარიღი არ აქვს და დათარიღებულია კათალიკოს დომენტი I-ის კათალიკოსობის წლებით (1556-60წწ.).[9] აღმშენებლობითი საქმე გააგრძელა ალექსანდრე II კახთა მეფემაც (1574-1605 წწ.). დაახლოებით 1562-1588 წლებში კახეთის ეპისკოპოსები კვლავ ერთგულების წიგნს აძლევენ ნიკოლოზ კათალიკოსს, რომელთა შორისაც მოიხსენიება კაწარელი ეპისკოპოსი ფილიპე.[10]

XVII-XVIII საუკუნეებიდან, ტერმინი „კაწარეთი“ თანდათან იკარგება და მისი ჩანაცვლება ხდება ტერმინ „სამებით“, თუმცა დროდადრო კაწარეთი მაინც ჩნდება საისტორიო წყაროებში. ვახუშტი კაწარეთის საეპისკოპოსოს არ იხსენიებს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ „სამებას ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქვეყნისა ერწოდმდე.“[11]

---

[8] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 199.

[9] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 268-269.

[10] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 343-344.

[11] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 530.

1642 წლის ერთი საბუთის ფრაგმენტში იხსენიება სამებელი ეპისკოპოსი ზაქარია.[12] 1675 წელს მეფე არჩილი შეწირულობას აძლევს სამების კათედრას: „შევსწირეთ ... (სამებას) ხაშმს კვამლი კაცი ოთხი...“ და სხვ.[13]

კაწარელი (სამებელი) ეპისკოპოსები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ მოღვაწე ეპისკოპოსის, იოსებ სამებელის (ქვაბულიძის) (1676-1750 წწ.) დამსახურება, რომელსაც წმ. იოანე მანგლელთან ერთად რუსეთში ქართული სტამბის დაარსების საქმესა და ოსებს შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი.

თ. ჟორდანიას აზრით, სამებელის კათედრაზე იგი 1705-1709 წლებში ეკურთხა და დაახლოებით 1722-29 წლამდე განაგებდა.[14] როგორც ჩანს, იოსებ სამებელის 1705-09 წლებში სამებელად კურთხევის თარიღი მხოლოდ სავარაუდოა თ. ჟორდანიასთვის. ჩვენი აზრით, შესაძლოა, ის ამ დროს სხვა ეპარქიას განაგებდა, რადგან წყაროებში 1705-1710 წლებში ნიკოლოზ სამებელი მოიხსენიება და არა იოსები. ამდენად, იოსების სამებელად კურთხევის თარიღი შეიძლება მხოლოდ 1711 წლიდან ვივარაუდოთ. სამების ტაძრის ოსმალებისა და ლეკების მიერ აკლების შემდეგ მან დატოვა კათედრა და დროებით წილკნის ეპარქიას განაგებდა. 1731 წელს იოსები საქართველოდან გაემგზავრა და რუსეთში განაგრძო მისიონერული საქმიანობა. მან ქართული სტამბის დაარსების საქმესა და ქართული წიგნების ბეჭდვას შეალია მთელი თავისი სიცოცხლე. იოსებ სამებელს საქართველოში ჩამოსვლა აღარ ეღირსა, ის გზაში გარდაიცვალა და, ანდერძის თანახმად, ასტრახანის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს.

დაახლოებით 1692-93 წლიდან 1760 წლამდე გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი სამებელის სამწყსოში შედიოდა, რაც მის დაწინაურებულ მდგომარეობაზე მეტყველებს.[15] ნათლისმცემლის მონასტრის გარდა (ისიც მხოლოდ XVII ს. 90-იანი წლებიდან 1760 წ-მდე) სამებელის საგამგეოში გარეჯის სხვა მონასტრები არ შედიოდნენ და არც მატერიალურ დახმარებას

[12] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. II (1213 წ-დან 1700 წ-მდე), ტფ. 1897, გვ. 455.

[13] ქრონიკები. წ. II, გვ. 489.

[14] თ. ჟორდანია. მთავარ ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში. გაზ.: „ივერია“. 1884 წელი. №2, გვ. 31-87.

[15] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. ტ. V. ტფ. 1913, გვ. 76-77.

იღებდნენ მისგან. გარეჯის მონასტრებს ნინოწმინდელი განაგებდა.

XVII საუკუნის ბოლოს სამების (კაწარეთის) საეპისკოპოსოს იოანე მაყაშვილი განაგებს. 1690 წლის დავით-გარეჯის მონასტრის საქმეთა განწესებაში მონაწილეობას იღებს სამებელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი (ჩოლოყაშვილი). ქართლის კათალიკოსმა და კახეთის ეპისკოპოსებმა დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს ცნობილი სასულიერო პირი ონოფრე მაჭუტაძე.[16]

1696 წლის სიგელის მიხედვით, სამებელის კათედრას განაგებს კვლავ ნიკოლოზი, მდივან-მწიგნობართუხუცესის ძე. კერძოდ, 1696 წლის „კახთ ეპისკოპოსთა და დარბაისელთა სითარხნის გუჯარი დავით-გარეჯისადმი," დაწერილია სამებელი ნიკოლოზ მდივანმწიგნობართუხუცესის ძის მიერ.[17] 1697 წელს მისივე დაკვეთით გადაიწერა „მცხეთური ქართლის ცხოვრება." 1701 წელს ნიკოლოზ სამებელი შეწირულობის წიგნს აძლევს უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერს. იგი მონაწილეა, აგრეთვე, 1702 წლის საეკლესიო კრებისა, რომელმაც სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე განჩინება მიიღო. ამ ჩატარებული საეპარქიო კრების დადგენილებებს ხელს აწერენ ქართლის კათალიკოსი ევდემოზ და კახეთის ეპისკოპოსები, მათ შორისაა სამებელი ნიკოლოზიც.[18]

1705 წელს სამებელი მონაწილეა ჩოლოყაშვილების გაყრის საქმისა, რომლის დროსაც ჩოლოყაშვილთა გვარი ინაწილებს ქონებას და უფლებებს.[19] ნიკოლოზ სამებელი მოწმეებშია დასახელებული 1709 წლის დოდოს მონასტრის შეწირულობის სიგელში. (იხ: „შეწირულობის სიგელი იოსებ ნინოწმინდელისა დოდოს მონასტრისადმი").[20] ის სიგელს გასცემს 1710 წელსაც. ესაა „წიგნი ნიკოლოზ სამებელისა ქრისტეფორე რუსთველისადმი ყმის დანებების შესახებ."[21]

1710 წელსვე მეფე დავით იმამყული-ხანი კაწარეთის წმ. სამების ტაძარს და სამებელ ეპისკოპოს ნიკოლოზს სწირავს იმ მამულებს, რომლებსაც

[16] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 597-598.
[17] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 605-607.
[18] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 633-635.
[19] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1448, საქმე 5329; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972, გვ. 213-216.
[20] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 654-663.
[21] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 667.

საეპისკოპოსო ძველი დროიდანვე ფლობდა. ესაა დავით II იმამყულიხანის მიერ კაწარეთისათვის დაბრუნებული მამულები: „საგარეჯოსკენ რომ სამების მამულია, კოტმანის დაბლა ღელე გაჰყოფს თავის ბოლომდი...“ მწარე წყლის ღელესთან გზა ივრამდე, „გამოღმა სამების საყდრისა და გაღმა პატარძეულთა“... ხაშმი, „ორხევს ბათაანი და ჯორაანი“, იორის გაღმა-გამოღმა ახმეტას მეფე ლეონისაგან შეწირული ზვარი, ... „რაც ახმეტას და უტოს, ორვილს გაღმა-გამოღმა სამების ყოფილიყოს“. ასევე ენისელში, ალიაბათაში, თასმალურში, საკანში რისაც მქონებელი ყოფილიყო...“.[22]

XVIII საუკუნის ერთი სიგელით, ნიკოლოზ სამებელი დავით-გარეჯის მამულების – სოფ. აკურასა და ვანთას საქმეს არიგებს და სხვ. (იხ: 1710 წ. I ივნისი – „განჩინება აკურისა და ვანთისა – წმინდა დავითის მამულების საქმეზე.“[23]

1717 წელს საგარეჯოს მოურავი ჩოლოყაშვილი ბაადურ სამების საყდარს სწირავს გლეხებს მამულებითურთ. „...ყოვლად ქებულო სამებაო უჯარმოსა... ამათ სალოცველსა საყდარსა და სახელსა შენსა შემოვსწირეთ გლეხნი, მსახლობელნი ხაშმზედ... თავისის მამულით... ძველადგანც თქვენი ყოფილიყო, გუჯარშიაც გეწერათ და კახ ბატონს მეფეს იმამყული-ხანსაც ებოძა და სამებისათვის შემოეწირა...“.[24]

1718 წელს მამულებისა და გლეხების გამო გარეჯის ნათლისმცემლის წინამძღვარსა და სამებელს შორის დავა მიმდინარეობდა, რომელსაც მეფე დავით იმამყულიხანის დავალებით სახლთუხუცესი ოთარი არიგებს.

სამებელი ჩიოდა, რომ ჩემი საყდრის მამულები ჩემივე ყმებისაგან ნათლისმცემლის წინამძღვარს უყიდიაო, წინამძღვარი ხარიტონი კი ამბობდა, რასაც დღეს ვფლობ, ან ნასყიდი და ან უსყიდი, ყველა ძველი მეფეებისაგან შემოწირულიაო. დავა იყო ასევე ბოსტანზე, ვენახსა და სარწყავ წყალზე. საბოლოოდ გაარიგეს და დაადგინეს, რომ ამიერიდან ვერც წინამძღვარი იყიდდა სამებელის ყმის მამულს მის დაუკითხავად და ვერც სამებელის ყმა იყიდდა წინამძღვრის ყმას.[25]

1722 წლის „სარუსთველო დროშის განწესებაში“ სამებელ ეპისკო-

[22] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი. 1903, გვ. 32-36.
[23] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1448. საქმე 3175; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 231-232.
[24] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. ტ. V, გვ. 28-29.
[25] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 275-277.

პოსს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეჭირა. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი იყო სადროშოები, რომელთა მეთაურებსაც ომის დროს თავიანთი ჯარები გამოჰყავდათ საბრძოლველად. „სარუსთველო დროშაში“ შედიოდა სამებელის ჯარიც, რომელიც მას საჭიროების შემთხვევაში მზად უნდა ჰყოლოდა.[26]

1746 წლის ერთი სიგელის – „შეწირულობის წიგნი ელენე მონაზონისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი“ – მოწმეებში დასახელებულია სამებელი ეპისკოპოსი იოანე. დოკუმენტის მიხედვით, მონაზონ ელენეს გაუზრდია ერთი 5 თვის მოახლის ბიჭი და 6 წლის რომ გამხდარა, ალავერდელი ეპისკოპოსისათვის შეუწირავს. ამას ადასტურებენ ეპისკოპოსები და წინამძღვრები. მოწმეებს შორის არის სამებელი იოანეც.[27]

1748 წლის საეკლესიო კრების მონაწილეა იგივე კაწარელი ეპისკოპოსი იოანე, რომლის ხელრთვაც ახლავს ამ დოკუმენტს. ეს საეკლესიო კრება, რომელიც მოიწვიეს მეფე ერეკლემ და ანტონ კათალიკოსმა, ეხებოდა საქართველოს ეკლესიაში დარღვევების აღმოფხვრას. ამის გამო მიიღეს სხვადასხვა დადგენილება. კაწარელი იოანეს ხელრთვა არის მე-11, ქრისტეფორე წილკნელსა და ფილიპე ურბნელს შორის.[28]

კაწარეთის (სამების) კათედრა, რამდენიმე სხვა ეპარქიასთან ერთად, ჟამთა ვითარების გამო მოშლილი ჩანს 1749 წელს. თუმცა 1752 წელს ანტონ I კათოლიკოსი სამებელ ეპისკოპოს იოანეს ბისონის წყალობის წიგნს აძლევს, რაც დასტურია კათედრის განახლებისა.[29]

იოანე სამებელად ჩანს 1762 წელსაც საეკლესიო კრების დადგენილებათა მიხედვით. კრება ეხებოდა საეპისკოპოსოთა მართვის საკითხებს და მიღებული იყო მრავალი დადგენილება. მეფე ერეკლე და კათალიკოსი იოსები ამ დადგენილებათა შესრულების მეთვალყურეობას ავალებენ ამბა ალავერდელ ზენონს, ნეკრესელ დოსითეოსს და სამებელ იოანეს. მისი ხელრთვა დოკუმენტში არ ჩანს.[30]

1766 წელს მეფე ერეკლე II და კათალიკოსი ანტონ I კაწარეთის საე-

[26] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1977, გვ. 273-274.
[27] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 790-791.
[28] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 798-804.
[29] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 823.
[30] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 848-850.

პისკოპოსოს დროებით რუსთველ დომენტის და ნინოწმინდელ საბა ტუსის-შვილს აბარებენ.[31] ამ ორმა მღვდელმთავარმა ერთდროულად გაინაწილა კა-წარეთის საეპისკოპოსოს ტერიტორიები და გავლენის სფეროები. ეს მდგომა-რეობა რომ შენარჩუნებულია 1778 წლამდე, ჩანს ერთი სიგელიდან, „წაყლო-ბის წიგნი საბა ნინოწმინდელისა ნიკოლოზ ბაინდურაშვილისადმი," რომელშიც ნინოწმინდელი აღნიშნავს, რომ ერეკლე მეფის მიერ სამების ეპარქიის დროებით გაუქმების შემდეგ, ნინოწმინდელის სამწყსოში კვლავ რჩებოდა „იორს გამოღმართი" ეკლესიები და ყმა-მამული.[32]

1791 წლის ერთი საბუთის მიხედვით, გარეჯის ნათლისმცემლის მო-ნასტრის არქიმანდრიტი ეფთვიმე უარს ამბობს სასამებლო მამულებზე (სა-ხაშმო მამულების გარდა), რადგან ამ მიწების გამო გარკვეული პერიოდის მანძილზე დავა მიმდინარეობდა. სიგელს აძლევენ სასამებლო კაცები სამების მამულებში ახალ დასახლებულებს. საბუთს ხელს აწერენ: არქიმანდრიტი გე-რონტი, მერაბ, რაფაელ, ნიკიფორ, იოაკიმ, ბართლომე, ზენონ, სერაპიონ. ხაშმის მამულების გარდა, ექვთიმე წინამძღვარი ახალმოსახლეებს აძლევს პირობას, რომ პატარძეულელების მსგავსად ამ მამულებში მხოლოდ თუ მოახვნევინებდა, სხვა მხრივ სამამულოდ ხელი აღარ ჰქონდა. ამასთან ერ-თად, აძლევს მთას „ლავანს ხევს გამოღმა საკუთრად."[33]

საისტორიო წყაროების მიხედვით, სამებელის ეპარქია რუსეთის ხელი-სუფლების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე (1811 წ.) აღდგენილი აღარ ჩანს.

ახლახან წმინდანად შერაცხილ მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის პირად ფონდში დაცულია მასალები კიდევ სხვა ძველი დროის სამებელ-კაწა-რელი ეპისკოპოსების შესახებ და ეს მასალები გამოუქვეყნებელია. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სამებელი ეპისკოპოსების გარდა (ამათგან ზოგიერთს იგი არ იცნობს), კარბელაშვილი ასახელებს კიდევ რამდენიმე სამებელ ეპისკო-პოსს:

თეოდორე – 1502-1536 წწ. (აწამეს შაჰ-თამაზის შემოსევის დროს, დასაფლავებულია სართიჭალაში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესი-აში).

---

[31] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1449. საქმე 2380; Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджари (грамоты). Тиф. 1881, გვ. 30.

[32] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 916-917.

[33] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტო-რიული საბუთები, გვ. 160-161.

იაკობ (ჩოლოყაშვილი) – 1627 წ. დიდი მომხრე და მეგობარი თეიმურაზ მეფისა. კაცი შვენიერი ღვთისმეტყველი და მელექსე. შემონახულია მისი ნაქონი „სჯულის კანონი“ მისივე წარწერით.[34]

(სამებელად ასახელებს იგი აგრეთვე **ევდემოს (რატიშვილს)** – 1670-1679 წწ. და **იოსებს** – 1752-1771 წწ., რაც ჯერ კიდევ გასარკვევია, რამდენად იკავებდნენ ისინი ამ წლებში აღნიშნულ კათედრას, თუნდაც მცირე დროით).

იაკობ სამებელის შესახებ ცნობილი გახდა ბოლოდროს მიკვლეულ ქართულ-ბერძნული ხელნაწერის მეშვეობითაც (разноя. O. I. 58)[35], რომელიც დაცულია რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სანკტ-პეტერბურგში. ხელნაწერი შინაარსით ლიტურგიკული კრებულია.

ხელნაწერის ბოლოს დართული ასომთავრული წარწერა მისი განახლების სავარაუდო მოთავეს გვიმხელს: „აქა წერილნო და გამოსახულნო, შემწე ექმენით სამებელს იაკობს.“[36] საფიქრებელია, რომ ეს პიროვნება იყოს XVII საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე სამებელ-კაწარელი ეპისკოპოსი იაკობი (ჩოლოყაშვილი) (როგორც ეს პ. კარბელაშვილს აქვს მოხსენიებული თავის სამებელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში, თუმცა სხვა წყაროებში ამ გვარით იაკობი ჩვენ არსად შეგვხვედრია). ხელნაწერი განახლებული და შემოსილია სწორედ XVII საუკუნეში და ადვილი შესაძლებელია, რომ მისი იმჟამინდელი მფლობელი და განმაახლებელი სწორედ იაკობ სამებელი ეპისკოპოსი იყოს. სამებელი იაკობი ასევე შესაძლებელია იყოს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი იაკობ დუმბაძე, რომელიც ამავე პერიოდის სასულიერო მოღვაწეა და ხელნაწერთა მინაწერებში სამებელ-შემოქმედელ ეპისკოპოსადაც იხსენიება. ამდენად, ეს საკითხი დასადგენია და ცალკე კვლევას მოითხოვს.

საისტორიო წყაროებში იაკობ დუმბაძის შესახებ არაერთი ცნობა მოიპოვება და მის პიროვნებას სხვადასხვა გამოკვლევაც მიეძღვნა.

არჩილ მეფის თანამედროვე პოეტი და მოღვაწე, თვით არჩილმა შეაქო თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა:“

აწ სამებელი იაკობ, ვახსენო ბრძნად მოუბარი,
ამ ჟამად მას მეცნიერი არსად არა ჰყავს უბარი.

[34] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1461. საქმე 17.
[35] ამბაჲი ერთი ხელნაწერისა. ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან. თბ. 2012.
[36] ამბაჲი ერთი ხელნაწერისა, გვ. 3.

ხუცურის ენით მეტყველებს, არის საეროს მგმობარი,
სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი.[37]

„დიდმოურავიანის“ ავტორი იოსებ თბილელი მიტროპოლიტი (დაახ. 1661-1688 წწ.) იაკობს ბრძენსა და „მცნებულ“ კაცს უწოდებს. არსებობს ამ ორი დიდი მოღვაწის ლიტერატურული გაბაასება და კითხვა-მიგება.[38]

დავით გურამიშვილმა თავის პოემაში „დავითიანი“ იაკობ სამებელი ქართველ პოეტთა პირველ ხუთეულში შეიყვანა:

„შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ დაბლა ზილს მიეტკბურება,
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება,
დრინვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება.“[39]

ანტონ ბაგრატიონი „წყობილსიტყვაობაში“ იაკობ შემოქმედელს ქებით აღსავსე იამბიკოს უძღვნის.[40] იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ კი იაკობ სამებელ-შემოქმედელი დახასიათებულია, როგორც მღვდელმთავარი, რომელიც „მწყსიდა სამწსოსა თვისსა კეთილად“ და მწერალ-ფილოსოფოსი – „კაცი მეცნიერი და მესტიხე პირველი, ამან შემოქმედელმან გალექსა ლეილი-მეჯნუნიანი.“[41] (აკად. კ. კეკელიძე განმარტავს, რომ, სინამდვილეში, ეს თარგმანი ეკუთვნის არა იაკობს, არამედ მეფე-პოეტ თეიმურაზ I-ს). იოანე ბატონიშვილის სიტყვით, იაკობი იყო აგრეთვე „ძნელთა ადვილად ამხსნელი.“ მას შესანიშნავად სცოდნია გალობაც.

ქართლის მეფე გიორგი XI-ის (1676-1688, 1703-1709 წწ.) დავალებით, იაკობ დუმბაძემ გალექსა XVI საუკუნის მოღვაწის ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ანტიმაჰმადიანური თხზულება „მოთხრობაჲ სჯულთა ულმრთოთა ისმაილიტთაჲ.“ პოემას – „უსჯულოს მოჰამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება,“[42] რამდენიმე ხელნაწერში ეწოდება „სიტყვის-გება ქრისტიანეთა

[37] არჩილი. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. II. ტფ. 1937, გვ. 4.
[38] გვხვდება მრავალ ხელნაწერში – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). A-1076; A-1221; A-1272; H-660, H-771 და სხვ.
[39] დ. გურამიშვილი. თხზულებათა სრული კრებული. რედ. ი. აბაშიძე. თბ. 1955, გვ. 24.
[40] ანტონ ბაგრატიონი. წყობილსიტყვაობა. წ. I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ. თბ. 1972.
[41] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. II. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. თბ. 1948, გვ. 168.
[42] ხეც. S-342, S-1103.

მაჰმადიანთა მიმართ“ (S-951-გ) და ქრისტიანობის აპოლოგიას წარმოადგენს.

ხელნაწერთაგან შემოქმედელი მიტროპოლიტის იაკობის კუთვნილებას წარმოადგენდა „ფუტკარი“ (A-691), რომელიც სხვადასხვა თხზულებას შორის შეიცავს არსენ საფარელის ნაშრომს – „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა.“ თ. ჟორდანია არ გამორიცხავდა, რომ „ფუტკარი,“ შესაძლოა, თვით იაკობის ხელითვე ყოფილიყო დაწერილი.[43] მასვე რუსეთიდან შემოქმედის მონასტრისთვის გამოუგზავნია სახარება.[44] ამასთანავე, იაკობ შემოქმედელმა ლექსად გაიმეორა „ამირანდარეჯანიანი.“

იაკობის სახელი შემოქმედის არაერთი ხატის წარწერას შემოუნახავს. მისი ინიციატივით რესტავრაცია ჩატარებია შემოქმედის მაცხოვრის ეკლესიას, რომლის აღმოსავლეთ ლავგარდანის ქვეშ იკითხება: „მე, ფ(რია)დ ც(ოდ)ილი იაკ(ო)ბ“.[45]

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ იაკობმა არჩილ მეფისადმი ხოტბის შესხმის მიზნით, იოანე შავთელის „აბდულმესიანის“ ტექსტში თამარისა და დავითის ნაცვლად არჩილის სახელი ჩასვა და ასე მიართვა მეფეს. როგორც ჩანს, ეს იმ დროს მიღებული პრაქტიკა იყო და სათაკილოდ არ ითვლებოდა. XVIII საუკუნეში მსგავს თხზულებებს წერენ მამუკა ბარათაშვილი („ბაქარ მეფის ქება“) და ამბროსი ნეკრესელი („ვახტანგ ბატონიშვილის ქება“).

„აბდულმესიანის“ სამი ხელნაწერის მიხედვით (Ⴓ-2069, ”-656, შ-395), თხზულების ავტორად იაკობ შემოქმედელია გამოცხადებული. ჩვენამდე მოღწეული 11 ხელნაწერიდან 8 ხელნაწერი ანონიმურია. შესაძლოა, ამ ხელნაწერებზე იაკობის გვარი შემდეგდროინდელი მიწერილიც იყოს და გადამწერთა ნაბელავს წარმოადგენდეს. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე და XIX საუკუნის 20-იან წლებამდე, „აბდულმესიანის“ არცერთმა გადამწერმა არ იცოდა, რომ „არჩილ მეფის ქების“ სათაურით ცნობილი თხზულება, სინამდვილეში, კლასიკური ხანის ძეგლს – თამარ მეფისა და დავითის შესხმას წარმოადგენდა. ეს ფაქტი, ჯერ კიდევ, XIX საუკუნის დასაწყისში გაარკვია ცნობილმა მწიგნობარმა დავით რექტორმა.

არჩილს აღნიშნული ქება იაკობისგან უნდა მიეღო 1683 წლამდე (ამ

[43] ქრონიკები. წ. I, გვ. 303.

[44] ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წ. I. ტფ. 1907, გვ. 37.

[45] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თარგმანი ა. ცოტოჩაგასი. რედ. ხ. ახვლედიანი. ბათუმი. 1987, გვ. 105.

წელს დაასრულა მან ასტრახანში თავისი „გაბაასება“). თუ იაკობი შემოქმედელად დადგინდა 1682 წელს, ერთ წელიწადში ვერ შეძლებდა იგი „აბდულმესიანის“ გადაკეთებას და მეფისთვის მირთმევას. ამ დროს არჩილი იმერეთის ტახტიდან ჩამოგდებული იყო და ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში და შემდეგ ასტრახანში იმყოფებოდა, საიდანაც სამშობლოში 1688 წელს დაბრუნდა. საგულისხმოა არჩილის ეს სიტყვებიც: „ხუცურის ენით მეტყველებს, არის საეროს მგმობარი“. „აბდულმესიანი“ კი საერო ლიტერატურის ძეგლია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩილ მეფე თავის „გაბაასებაში“ იაკობს მხოლოდ სამებელად მოიხსენიებს. იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში მოიპოვება ასეთი მინაწერიც: „აქა წერილნო და გამოსახულნო, შემწე ექმენით სამებელს იაკობს“. ამდენად, იაკობი ზოგ ხელნაწერში სამებელად, ზოგან სამებელ-შემოქმედელად და ზოგან მხოლოდ შემოქმედელად გვხვდება მოხსენიებული.

იაკობ შემოქმედელის მოღვაწეობას სხვადასხვა კუთხით შეეხნენ მკვლევრები: პლატონ იოსელიანი,[46] დიმიტრი ბაქრაძე,[47] ზაქარია ჭიჭინაძე,[48] მოსე ჯანაშვილი,[49] კორნელი კეკელიძე,[50] თედო ჟორდანია,[51] აკაკი ხინთიბიძე,[52] ფრიდონ სიხარულიძე,[53] ლევან მენაბდე,[54] ალექსანდრე ბარამიძე[55] და სხვები.

იაკობ დუმბაძის მწირი ბიოგრაფიული მონაცემებიდან ცნობილია, რომ იგი დაბადებულა გურიაში, დუმბაძეების საგვარეულო სოფელში (შესაძლოა, შემოქმედში). პირველდაწყებითი განათლება მიუღია ბიზანტიაში, ტრაპიზონის სემინარიაში. შემდეგ შემდგარა ბერად. როგორც ჩანს, ის ჯერ სამებელი

---

[46] წყობილ-სიტყუაობა. ქმნილი ანტონისაგან პირუელისა. კათალიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართუელოისა. გამოც. პლ. იოსელიანისა. ტფ. 1853.

[47] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში.

[48] ს. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეცხრამეტე და მეოცრამეტე საუკუნეებში. ტფ. 1888.

[49] მ. ჯანაშვილი, იაკობ შემოქმედელი დუმბაძე. გაზ.: „სახალხო გაზეთი“. 1912 წ; №572-573.

[50] კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ. 1981, გვ. 525.

[51] ქრონიკები. წ. I, გვ. 304-308.

[52] აკ. ხინთიბიძე. იაკობ შემოქმედელი. XVII საუკუნის მწერალი და სასულიერო მოღვაწე. თბ. 1986.

[53] ფრ. სიხარულიძე. მოსკოვის ქართველ მოღვაწეთა პანთეონის ისტორიისათვის. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1981 წ. №12.

[54] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. წ. I$_2$. თბ. 1962.

[55] ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1945.

ეპისკოპოსი გახდა, ხოლო შემდეგ შემოქმედელი.

ა. ხინთიბიძე თავის ნაშრომში – „იაკობ შემოქმედელი“ – აღნიშნავს, რომ იაკობი სამების ეკლესიის წინამძღვარი იყო. საქართველოში 12-ზე მეტი სამების ეკლესიაა. დასადგენია, სად მოღვაწეობდა იაკობი, საიდანაც მიიღო ზედწოდება „სამებელი.“[56] ბუნებრივია, „სამებელი“ ნიშნავს არა სამების წინამძღვრის, არამედ მღვდელმთავრის ხარისხს და სამებელი ეპისკოპოსის წოდება შემოქმედელობასთან ერთად დარჩა იაკობს მას შემდეგ, რაც იგი ამ უკანასკნელ კათედრაზე ეკურთხა. ამის შემდეგ უნდა იწოდებოდეს იგი სამებელ-შემოქმედელად. არჩილ მეფე მას მხოლოდ „სამებელად“ მოიხსენიებს. საერთოდაც, პ. კარბელაშვილს იგი ჩოლოყაშვილად მიაჩნია და არა დუმბაძედ, მაშასადამე, სხვა პიროვნებად. ამდენად, თუ ამ პირთა იდენტიფიკაციას მოვახდენთ და ჩავთვლით, რომ აქ საუბარია საისტორიო წყაროებით კარგად ცნობილ იაკობ დუმბაძეზე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი მოღვაწეობისა და ქრონოლოგიური ჩარჩოს შესახებაც აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. ერთნი მიიჩნევენ, რომ იგი შემოქმედელ მიტროპოლიტად ეკურთხა 1647 წელს,[57] სხვები 1682 წელს.[58]

1687 წელს იმერეთის კათალიკოსის დავალებით იაკობი იტალიაში გაემგზავრა, სადაც რომის პაპმა ინოკენტი XI-მ დიდი პატივით მიიღო. რომიდან საქართველოში მან იმერეთის მეფისა და კათალიკოსისათვის დიდძალი საჩუქრები წამოიღო და თან გამოიყოლა 7 კათოლიკე ბერი ვითომდა საქართველოში საქადაგებლად, მაგრამ სამშობლოში იაკობმა ისინი თავიდან მოიშორა და იმერეთ-გურიიდან სტამბოლის გზას გაუყენა.

1696 წელს ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი იაკობის მეთაურობით დონის მონასტერს ეწვია. იაკობს მონასტრისთვის ცხენი შეუწირავს და იქ სულის მოსახსენებელიც გაუჩენია. მონასტრის „სულთა მატიანეში“ შემოქმედელ-მიტროპოლიტის გვარიცაა ჩაწერილი.[59]

იაკობმა სიცოცხლის ბოლო წლებში წმინდა ადგილები მოინახულა.

[56] აკ. ხინთიბიძე. იაკობ შემოქმედელი, გვ. 5-6.

[57] ქრონიკები. წ. I, გვ. 304; ქრონიკები, წ. II, გვ. 460.

[58] წყობილ-სიტყუაობა. ქმნილი ანტონისაგან პირუელისა; დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში; ს. ჯიჭინაძე. ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში; კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II და სხვ.

[59] ფ. სიხარულიძე. მოსკოვის ქართველ მოღვაწეთა პანთეონის ისტორიისათვის, გვ. 98.

ჩავიდა ათონის მთაზე, ივერონის მონასტერში, შემდეგ იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, სადაც 1713 წელს აღესრულა კიდეც. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში დაცულია იაკობის მინაწერები: „მკითხველნო... ცოდვილი მიტროპოლიტი იაკობ შეიწყალეთ.“ „მეოხ ექმენ წიგნისა ამის წამკითხავსა მიტროპოლიტს დუმბაძეს იაკობს.“[60] (მოსე ჯანაშვილი მიიჩნევდა, რომ იაკობი სამშობლოში დაბრუნდა და 1714 წელს აღესრულა მამიას გურიელობაში (გულისხმობს მამია III გურიელს – მ. შ), ხოლო ზაქარია ჭიჭინაძეს მისი გარდაცვალება საუკუნის ბოლოსთვის გადააქვს).

საჯვრისმამო მამულების განახლების მიზნით გურიის მთავარს ქაიხოსრო I-ს (1640-1660 წწ.) ეწვია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, იგივე ნიკიფორე ირბახი. ქაიხოსრომ განუახლა მას მამია II-ის შეწირულობის სიგელი. ცნობილია, რომ იგი რამდენჯერმე ჩავიდა იერუსალიმში და დიდად შეეწეოდა ქართულ სავანეებს. სიგელის მტკიცებით ნაწილში გურიის ეპისკოპოსებიდან მხოლოდ იაკობ შემოქმედელი იხსენიება.[61] თ. ქართველიშვილს თავის ნაშრომში „გურიის საეპისკოპოსოები (V-XIX სს.),“ გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ ნიკიფორე ირბახს ქაიხოსრო გურიელის წინაშე უნდა ეშუამდგომლა შემოქმედელ მთავარეპისკოპოსს იაკობ დუმბაძეს.[62] აქ შესაძლოა ვივარაუდოთ ისიც, რომ იაკობი ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილს ჯერ კიდევ მაშინ იცნობდა, როცა იგი კახეთში ყოფნის დროს სამების საეპისკოპოსოს განაგებდა. პ. კარბელაშვილის მიერ იაკობის გვარად ჩოლოყაშვილად მოხსენიება, იქნებ, ამ ფაქტიდანაც მომდინარეობდეს? საქმე ისაა, რომ იაკობ დუმბაძე სამებელ-შემოქმედელს წმ. მღ. პ. კარბელაშვილი სამებელთა ქრონოლოგიურ ნუსხაში საერთოდ არ ახსენებს.[63] შესაძლოა, იაკობ სამებელს (ჩოლოყაშვილს) იგი სხვა პირად მიიჩნევდა და იაკობ შემოქმედელს (დუმბაძეს) სხვა პირად.

როგორც აღვნიშნეთ, იაკობის შემოქმედელად კურთხევის თარიღი სადავოა ქართულ ისტორიოგრაფიაში. „ქ-სა ტლე (1647), აქა ქრისტიანე და

[60] ქრონიკები, წ. I, გვ. 179, 181; ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. წ. I_2, გვ. 569.

[61] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.). ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. წ. I. თბ. 1959, გვ. 140.

[62] თ. ქართველიშვილი. გურიის საეპისკოპოსოები (V-XIX სს.). თბ. 2006, გვ. 122-123.

[63] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1461. საქმე 17.

ღვთისმოყვარე შემოქმედელად ეკურთხა ბატონი იაკობ".[64] პ. იოსელიანს, დ. ბაქრაძეს, პ. კარბელაშვილს, კ. კეკელიძეს და სხვებს კი მისი კურთხევის თარიღად 1682 წელი მიაჩნიათ. ა. ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ თუ მისი შემოქმედელად კურთხევის თარიღად 1647 წელს ავიღებთ, სადავო ხდება იაკობის ბიოგრაფიის სხვა თარიღები, რადგან მაშინ იგი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს, 1612 წლისა (35 წლის ასაკამდე მიტროპოლიტად არ აკურთხებდნენ), ხოლო 84 წლის მოხუცს გაუჭირდებოდა მოსკოვს გამგზავრება, მით უფრო, ამის შემდეგ იერუსალიმს წასვლა.[65]

1647 წლის სასარგებლოდ იხრება თ. ქართველიშვილიც და არ გამორიცხავს, რომ ეპისკოპოსად კურთხევის დროს იგი 35 წლის არც ყოფილიყო და უფრო ახალგაზრდა დაადგინეს ამ თანამდებობაზე. ამასთანავე იგი იმოწმებს ქაიხოსრო I გურიელის მიერ გაცემულ დოკუმენტს – შეწირულობის წიგნი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი, სადაც ქაიხოსრო I უმტკიცებს ჯვრის მამა ნიკიფორეს საჯვრისმამო ყმა-მამულს. სიგელის მტკიცებით ნაწილში მოწმეთა შორის დასახელებულია იაკობ შემოქმედელი.[66] სიგელი უთარიღოა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ქაიხოსრო I გურიის მთავარი იყო 1640-1660 წლებში, ხოლო ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ჯვრის მამა 1643-1649 წლებში, თ. ქართველიშვილს მიაჩნია, რომ სიგელი გაცემულია XVII საუკუნის 40-იან წლებში და იაკობ დუმბაძის შემოქმედელობაც ამ პერიოდშია საგულისხმებელი, რაც თ. ჟორდანიასეული თარიღის – 1647 წლის სასარგებლოდ მეტყველებს. ამრიგად, მისი აზრით, იაკობის მოღვაწეობა XVII საუკუნის II ნახევრით უნდა განისაზღვროს.[67]

ამ შემთხვევაში, ჩვენ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ იაკობის მოხსენიება მტკიცებით ნაწილში შემდეგდროინდელი მინაწერი იყოს და ამის მაგალითები საისტორიო დოკუმენტებში ბევრია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იაკობი შემოქმედელ ეპისკოპოსად კურთხევამდე სამებელი ეპისკოპოსი იყო და, ბუნებრივია, 40-იანი წლებიდან თუ იგი შემოქმედის ეპარქიის მარტვას დაიწყებდა, მაშინ ამაზე ადრე სამების ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. ეს კი, ცოტა არ იყოს, საეჭვოა. უფრო საგულისხმო იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ 40-იან წლებში იგი სამებელი ეპისკოპოსი იყო, ხოლო 80-იან წლებში შემოქმედელი, ან ორივე ერთად – სამებელ-შემოქმე-

[64] ქრონიკები. წ. II, გვ. 460.
[65] ა. ხინთიბიძე. იაკობ შემოქმედელი, გვ. 9.
[66] თ. ქართველიშვილი, გურიის საეპისკოპოსოები (V-XIX სს.), გვ. 26-27.
[67] თ. ქართველიშვილი, გურიის საეპისკოპოსოები (V-XIX სს.), გვ. გვ. 27.

დელი. თუ ამასაც არ დავუშვებთ, მაშინ იაკობ სამებელი (ჩოლოყაშვილი) სხვა პირი ყოფილა (მეფე თეიმურაზ I-სა (1606-1648 წწ.) და არჩილ მეფის (კახეთში 1664-75; იმერეთში 1661-1663, 1678-1698 წწ.) თანამოღვაწე) და იაკობ სამებელ-შემოქმედელი (დუმბაძე) სხვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არჩილ მეფე თავის „გაბაასებას" ასტრახანში ასრულებს 1683 წელს და მასში იაკობს ჯერ კიდევ მხოლოდ სამებელად მოიხსენიებს. ამასთანავე, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ზემოთ აღნიშნული ქართულ-ბერძნული ხელნაწერის განმაახლებლის **იაკობ სამებელის** XVII საუკუნის მინაწერიც. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია.

XVII-XVIII საუკუნეებითაა დათარიღებული „მცირე სჯულის კანონი" (S-144), რომლის მინაწერშიც იაკობი თავს სამებელად მოიხსენიებს: „მეუფეო, მრავალმოწყალეო ქალწულო, ღ(მრ)თისა დამტევნელო, შენ მიერ დავა<ც>{გ}დებ (!) ბოროტთა და ვიწყებ კეთილთა მე, ცოდვილი **სამებელი იაკობ**. და შენ მიპყარ მარჯვენა მოწყალებისა შენისა, ოდეს სჯიდეს ძე შენი მართლმსაჯულობით ყოველთა კაცთა და მიაგებდეს საქმეთა მათთაებრ."[68] სხვათაშორის, მეორე მინაწერიდან ვგებულობთ, რომ ეს წიგნი საკუთრება ყოფილა წმ. პ. კარბელაშვილისა: „ესე მშუენიერი წიგნი საკუთრება პოლიევკტოს გრიგ. კარბელოვისა. ჩყპგ წელსა, იანურის თ დღესა."[69] სწორედ ამ „სჯულის კანონს" უთითებს კარბელაშვილი, როცა სამებელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში იაკობ ჩოლოყაშვილზე საუბრობს: „შემონახულია მისი ნაქონი „სჯულის კანონი" მისივე წარწერით."[70]

XVIII საუკუნის კრებულში, რომლის გადამწერია ოსე გაბაშვილი, შესულია „თავი დასაწყისი პირუელი სამებელ-შემოქმედელ მიტროპოლიტის იაკობისაგან თქმული ქება მეფისა არჩილისა და სხვ.

პ. იოსელიანი მიიჩნევდა, რომ იაკობი შემოქმედელად ეკურთხა აფხაზეთის კათალიკოსის დავით ნემსაძის (1673-1696 წწ.) დროს. დ. ბაქრაძის მიხედვით, იაკობი ცხოვრობდა მამია III გურიელის (1689-1714 წწ.) ზეობაში, ხოლო თ. ჟორდანია ასწორებს ამ შეხედულებებს და თვლის, რომ იაკობი შემოქმედელად აფხაზთა კათალიკოს მაქსიმე მაჭუტაძის (1639-1657 წწ.) დროს ეკურთხა. მისი აზრითვე, იგი იერუსალიმში უნდა გაჰყოლოდა სვიმონ გურიელ-ყოფილს (როსტომ მეფის მეუღლის, მარიამ დედოფლის პირველ

[68] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. S-144, გვ. 4.
[69] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. S-144, გვ. 1.
[70] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1461. საქმე 17.

ქმარს), რომელიც ბერად აღიკვეცა და იერუსალიმში გარდაიცვალა 1672 წლის შემდეგ.[71]

შემოქმედისა და ჯუმათის წარწერების თანახმად, 1658 წელს შემოქმედს იჯდა „შემომქმედელი ბატონიშვილი მალაქია.“ თ. ჟორდანიას ვარაუდით, იაკობი რომ იერუსალიმში წასულა, ეტყობა, შემოქმედელად მალაქია დაუყენებიათ.[72] მარი ბროსე 1658 წელს ასწორებს 1698 წლით და ეს თარიღიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკვლევრებიდან ზოგი მიიჩნევდა, რომ წარწერებში მოხსენიებული მალაქია სხვა პირია და კათალიკოსი მალაქია სხვა, ხოლო ზოგიერთი ამ ორ პირს აიგივებდა. ცნობილია, რომ კათალიკოსი მალაქია II (1616-1639 წწ.) გურიის მთავარ გიორგი II-ის (1566-1583; 1587-1600 წწ.) ძეა და 1639 წელს გარდაიცვალა. მალაქია შემოქმედელი კი სხვა პირია, ქაიხოსრო გურიელის ძე. ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ მისი შემოქმედელობის პერიოდი იაკობის შემოქმედელობის დროს ემთხვევა, მიუხედავად იმისა, ზემოთ აღნიშნული წარწერების თარიღად მივიღებთ 1658 თუ 1698 წელს.

თ. ჟორდანიას აზრით, იაკობი სვიმონს იერუსალიმიდან უნდა ჩამოჰყოლოდა 1659-1660 წლებში. მალაქია 1664 წელს ამიტომ აღარ იწოდება შემოქმედელად.[73] რადგან იაკობი მელექსეებში იხსენიებს არჩილს, მროველ ნიკოლოზს (ორბელიანს), რომელიც გარდაიცვალა 1728 წელს და ცხოვრობდა მამია III გურიელისა და მეფე გიორგი XI-ის დროსაც, ამიტომ, თ. ჟორდანიას დასკვნით, იგი უნდა გარდაცვლილიყო 1713 წლის უწინ, რადგან ამ წელს წარწერებში მოიხსენიება ნიკოლოზ შემოქმედელი.[74]

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ იაკობ სამებელი (ჩოლოყაშვილი) მართლაც სხვა პირი იყოს და იაკობ სამებელ-შემოქმედელი (დუმბაძე) სხვა. თუ იმას ჩავთვლით, რომ აქ საუბარია ერთი და იმავე პირზე, მაშინ კიდევ მეტი ისტორიული მოვლენის გათვალისწინება და დამტკიცება გახდება საჭირო, თუნდაც ქრონოლოგიასთან დაკავშირებით.

ამდენად, ჩვენი აზრით, წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ მომავალში აღნიშნული საკითხი, რომელიც უკვე დაისვა, კიდევ მეტ დაზუსტებას, კვლევას და ახალ წყაროთა მოძიებას მოითხოვს.

ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ ის წინაპირობე-

[71] ქრონიკები. წ. I, გვ. 304.
[72] ქრონიკები. წ. I, გვ. 304.
[73] ქრონიკები. წ. I, გვ. 307.
[74] ქრონიკები. წ. I, გვ. 308-309.

ბი, რა დროიდანაც და რა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაშიც მიმდინარეობდა კაწარეთის (სამების) საეპისკოპოსოს განვითარება თუ დაქვეითება.

დავუბრუნდეთ IV საუკუნეს და წმ. ნინოს მარშრუტს: წობენიდან წმ. ნინო გადადის ერწოში, დგება ჟალეთში, აქედან ჩამოდის კაწარეთში, ხოლო კაწარეთიდან გადადის კახეთში და გადის ჰერეთში. გზის მონაკვეთი ჟალეთიდან კაწარეთში ნუმიზმატიკურადაც ივარაუდება V საუკუნეში (ერწოუჯარმა). რაც შეეხება კაწარეთ-კახეთის გზას, ანუ გომბორის საუღელტეხილო გზას, ეს რასაკვირველია, როგორც უმოკლესი, თავისთავად სავარაუდებელია V საუკუნეშიც.

წყაროების მიხედვით, უძველესი დროიდანვე ქართლის სამეფოს აღმოსავლეთისკენ გაფართოების ტენდენცია განუხრელად მიმდინარეობს. მისი განვითარება კი ორი ძირითადი ხაზით ივარაუდება: ივრისა და ალაზნის ხეობათა გაყოლებით და ე. ი. კუხეთიდან და კახეთიდან.

ქართლის სამეფოს პოლიტიკურ კურსს წინ უსწრებდა და აპირობებდა ქართული ეთნიკური ელემენტის მძლავრად შეჭრა ალვანეთის ტერიტორიაზე (ჰერეთში და, ნაწილობრივ, რანშიც), რასაც, რასაკვირველია, თავის მხრივ, უნდა გამოეწვია ქართული კულტურის მძლავრი ნაკადის დენა იმავე მიმართულებით. ქართული ეთნიკური ელემენტის შეჭრა ჰერეთში ხდებოდა როგორც მეზობელი ქართული ოლქებიდან (კახეთი, კუხეთი), აგრეთვე „კახეთის მთეულეთიდან.“ საბოლოო ჯამში, ამ პროცესს შედეგად მოჰყვა ალვანეთის ერთი ნაწილის, ქართული „ჰერეთის“, შემოერთება და თვით ჰერული ტომების გაქართველება. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური ხდება სწორედ IV-V საუკუნეებიდან.

ჰერეთის ერთი გარკვეული ნაწილი, სახელდობრ, დაახლოებით გვიანდელი გარეკახეთი, კახეთ-კუხეთისთვის უშუალოდ შეუერთებიათ და სწორედ ამ დიდი ერთეულის (კახეთ-კუხეთი, ჰერეთის ნაწილი) ცენტრად ახლა უკვე ქალაქი უჯარმა გვევლინება.

უჯარმის ქალაქად და შემდეგ კახეთის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევა განპირობებული იყო კახეთის (კუხეთიანად) და ჰერეთის ხანგრძლივი პოლიტიკური ურთიერთობის ევოლუციით და, რაც მთავარია, კახეთის (კერძოდ, ივრის ხეობის) მეურნეობრივი ვითარებით.

ეკონომიკურმა სარჩულმა განაპირობა ქართლ-ჰერეთის პოლიტიკური ურთიერთობა და ამან საბოლოო ჯამში წარმოქმნა ქალაქი უჯარმა.

IV საუკუნეში წმ. ნინოს მარშრუტი, რომელიც კახეთ-ჰერეთზე იდო,

უნდა გასულიყო ალაზნის ველზე და იქიდან გომბორის უღელტეხილით და ან თიანეთის გზით ივრის ხეობაში გადასულიყო. ამ გზას ქალაქ უჯარმაზე უნდა გაევლო, ხოლო აქედან სამგორით თბილის-მცხეთისკენ გასულიყო.

ამგვარად, ეს მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ალაზნის ველის ნაყოფიერ მიწაზე იდო, უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ქართლის სამეფოს გაფართოების ტენდენციისა ჰერეთისაკენ და აგრეთვე კახების ჩამოსახლებისა ჰერეთში. ეს გზავე უნდა ყოფილიყო მძლავრი ფაქტორი უჯარმის ხვედრითი წონის გაზრდისა და მისი კახეთის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევისაც.[75]

ციხე-ქალაქ უჯარმისთვის ვახტანგ გორგასალი განსაკუთრებულად ზრუნავს. ამ მხარის ეკონომიკური სიმძლავრით და შემოსევების მხრივ შედარებით დაცულობთ უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ვახტანგ გორგასალს რეზიდენცია დროებით აღმოსავლეთით გადააქვს. „რაბატსა შინა უჯარმოსასა“ იდგა რაჟდენ-წმინდის ეკლესია, აგებული თვით ვახტანგის მიერ.

კახეთ-ჰერეთი შემდგომში ვახტანგ გორგასლის შთამომავლებმაც დაიმკვიდრეს. VI საუკუნის II ნახევრისთვის ამ სამთავროს ცენტრი კვლავ ქალაქი უჯარმაა.

კახეთ-ჰერეთი ეკონომიკურად მძლავრია VIII-IX საუკუნეებშიც. VIII საუკუნის II ნახევარში საბოლოოდ ყალიბდება ცალკეული ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროები, რომელთა შორისაც იწყება ბრძოლა ჰეგემონობისათვის. ყველაზე ადრე, სავარაუდებელია, პოლიტიკურ ქართლს უნდა გამოჰყოფოდა კახეთი. „კახეთი“ ამიერიდან (VIII ს-ის უკანასკნელი მესამედიდან) „კუხეთსაც“ მოიცავდა. „კახეთშივე“ შედიოდა ამ ხანაში შიდა ქართლის ნაწილი და გარდაბანი. სამთავროს ცენტრი, სავარაუდოა, კვლავ უჯარმა ყოფილიყო.[76]

IX საუკუნის ბოლოსთვის უჯარმას დაკარგული აქვს უწინდელი მნიშვნელობა და იგი მხოლოდ ციხე-სიმაგრის როლს ასრულებს. ბუნებრივია, სამთავროს ცენტრს ჩრდილოეთისკენ გადაენაცვლა და მართლაც, X საუკუნისთვის კახეთის სამთავროს ცენტრი ჯერ ბოჭორმაში, ხოლო XI საუკუნის დასაწყისისთვის თიანეთში გადადის.

X საუკუნიდან კახეთის საქორეპისკოპოსოსთან ერთად არსებობდა ჰე-

[75] დ. მუსხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარმა. ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1966, გვ. 54-55.
[76] დ. მუსხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 102.

რეთის სამეფო. XI საუკუნინად კი ჰერეთის, როგორც დამოუკიდებელი სამეფოს, არსებობა წყდება. შეიქმნა ახალი ერთეული, კახეთის სამეფო, რომელიც დაიყო შვიდ საერისთავოდ. ცხადია, ამ ახალ ერთეულს ახალი ცენტრი სჭირდებოდა და, მართლაც, კვირიკემ „ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა.“

XIII საუკუნეში, მონღოლთა გაბატონების შემდეგ, უჯარმა თანდათან ინგრევა.

მის დაქვეითებაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სავაჭრო გზის გადანაცვლებას თუ გაუქმებას. მაგრამ ძირითადი მნიშვნელობა იმ მეურნეობრივ ბაზისს უნდა ჰქონოდა, რომელსაც ემყარებოდა კახეთის და ჰერეთის ეკონომიკა. ბუნებრივია, ახლად შექმნილი კახეთის სამეფოს ეკონომიკური (პოლიტიკური) ცენტრის როლი თელავს დაეკისრებოდა.

გვიან შუასაუკუნეებში უჯარმის ციხეს ფლობენ ივრის ხეობის ძლიერი თავადები – ჩოლოყაშვილები, შემდეგ კი იგი გაუდაბურებულა. ვახუშტი უჯარმის დაბად გადაქცევას საქართველოს „განყოფას“ უკავშირებს: „აწ არს დაბა, რამეთუ შემდგომად განყოფისა სამეფოთა მოოჴრდა.“

კაწარეთის (სამების) საეპისკოპოსოს არსებობა უშუალო კავშირში იყო კახეთ-ჰერეთის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ბევრი საეპისკოპოსო კათედრა ჩვეულ რეჟიმში ვერარ განაგრძობდა ფუნქციონირებას და გვიან შუასაუკუნეებში სერიოზული საფრთხე დაემუქრა სამების ეპარქიასაც. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, 1766 წელს მეფე ერეკლე II და კათალიკოსი ანტონ I კაწარეთის საეპისკოპოსოს დროებით რუსთველ დომენტის და ნინოწმინდელ საბა ტუსისშვილს აბარებენ. როგორც ჩანს, საეპისკოპოსომ ვეღარ აღიდგინა ძველი დიდება, რადგან რუსეთის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე ის აღდგენილი აღარ ჩანს და 1811 წლამდე არც რომელიმე სამებელი ეპისკოპოსის ვინაობაა ცნობილი.

საინტერესოა, მოკლედ შევეხოთ კაწარეთის სამების ტაძარსაც. ის მდებარეობს საგარეჯოს რ-ნის სოფ. ხაშმში, გომბორის ქედის სამხ.-დას. კალთაზე, მდ. ივრის მარცხენა მხარეს. სოფლიდან 8-10 კმ-ზე აღმართულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, დათარიღებული V საუკუნის დასასრულით და VI საუკუნის დასაწყისით. ტაძარი სამნავიანი ბაზილიკის ტიპის, გეგმით წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობაა. ეკლესია რამდენჯერმე საფუძვლიანად არის გადაკეთებული. 1982 წელს მოხდა მისი რესტავრაცია. ამჟამად იგი ნაწილობრივ დაზიანებულია. სამნავიან ბაზილიკას აქვს ნალი-

სებრი დადაბლებული თაღები, ტაძარს გააჩნია ოთხკალთა გადახურვა, აქვს ელიფსური კამარები. პასტოფორიუმები არის VII-VIII საუკუნეების. მთავარი კარი მდებარეობს სამხრეთ მხარეს, არქიტექტურული ფორმით თაღოვანი, გარედან სწორკუთხა, XIV-XV საუკუნეების. ტაძარს შესასვლელი აქვს სამი მხრიდან. სულ აქვს 21 სარკმელი, ნალისებრი, პარალელურ გვერდებიანი. ინტერიერი სვეტების 4 წყვილით, სამ ნავად არის გაყოფილი. აფსიდით დასრულებული შუა ნავის ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე, სვეტებზე ამოყვანილია 5-5 თაღი. ტაძარი სხვა ძეგლებისაგან განსხვავდება რელიეფებიანი სვეტის თავებით. ხაშმის სამების დეკორაციული მორთულობაა XVII საუკუნის სახატეები და სალხინობელი. XVIII საუკუნეში საკურთხეველი გადაკეთებული და გამოტანილია სვეტების პირველ წყვილამდე. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე გამოირჩევა მდიდარი ჩუქურთმებით. საშენ მასალად გამოყენებულია ოდნავ გათლილი ნატეხი და რიყის ქვა, თაღებისთვის – სუფთად გათლილი ქვის კვადრები. აფსიდი და თაღები ნალისებრი ფორმისაა. ტაძარი შიგნით მოხატულია. გარედან შემოსილია მომწვანო-მოვარდისფრო ქვიშაქვის კვადრებით, რაც დამახასიათებელია ბოჭორმისა და ნინოწმინდის ტაძრებისათვის. აღმოსავლეთ ფასადზე, შუა სარკმლის თავზე, დიდი ქვის ჯვარია გამოყვანილი. გარშემორტყმულია ქვის გალავნით, რომელსაც შესასვლელი აქვს შიგ ჩართული საცხოვრებელი კოშკიდან. გალავნის შიგნით არის საცხოვრებელი კოშკი, ეპისკოპოსის სასახლე, სამრეკლო და მარანი.

ამრიგად, კაწარეთის (სამების) საეპისკოპოსოს, აქ მოღვაწე მღვდელმთავრებს, ხაშმის სამების ტაძარს, უჯარმას და მთლიანად კახეთ-ჰერეთის რეგიონს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიაში და ამ ისტორიის აღდგენას მომავალში კიდევ მეტი ნაშრომი და კვლევა უნდა მიეძღვნას.

Maia Shaorshadze

FROM THE HISTORY OF KATSARETI (TRINITY) EPISCOPATE (5TH -18TH CENTURIES)

Summary

History of Katsareti (Trinity) episcopate is not properly studied. From the old times, Karsareti was center of one of the bishopric of Kakheti. Katsareti episcopate was located in Sagarejo district, on the left side of Iori River and included Ujarma, Khashmi and adjacent villages on the south-western slope of Gombori Mountain Range etc.

The researchers regard that Karsareti (Trinity) Cathedral was established in late 5th or early 6th century. First information about Katsareti is in Conversion of Kartli (Moktsevai Kartlisai), stating that here the people were baptized in the period of St. Nino. It is mentioned that Zakaria, bishop of Katsareti, attended Dvini Church Council in 506.

The article offers discussion based on all material and historical sources associated with this diocese. The issue includes identification of Katsareti (Trinity) bishops and details of their chronology. The author expresses the views different from those of St. P. Karbelashvili dealing with the activities and chronology of several bishops of Sameba. Separately is discussed Iakob of Sameba (17th century), known from one of the colophons of Georgian-Greek manuscript preserved at St. Petersburg National Library.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

ნესტან სულავა

წმ. მიქაელ პარეხელი ქართულ ჰაგიოგრაფიაში

ცნობები ღირსი მამის, წმ. მიქაელ პარეხელის შესახებ შემონახულია გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ბასილ ზარზმელის „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თხზულებათა მიქაელის შესახებ ორი თვალსაზრისია გამოთქმული: 1. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ორივე თხზულების მიქაელი ერთი და იგივე პიროვნებაა (ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე, ქ. გაფრინდაშვილი), 2. მეცნიერთა ნაწილის შეხედულებით, ისინი სხვადასხვა პიროვნებები არიან (მ. ჯანაშვილი, პ. ინგოროყვა, ა. ბოგვერაძე). თავიანთი თვალსაზრისის დასასაბუთებლად ორივე მხარეს აქვს მტკიცებულებები.

თუ სად და როდის მოღვაწეობდა წმ. მიქაელ პარეხელი, სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა გააზრებული. პარეხი, იგივე პარეხთა მონასტერი, შუა საუკუნეების საქართველოში ისტორიულ კლარჯეთში, მდინარე კარჩხალის ხეობის კლდოვან მასივში მდებარეობს. იგი ნაწილობრივ კლდეშია გამოკვეთილი. პარეხი IX-X საუკუნეებში საკმაოდ დიდ ადგილს იჭერდა საეკლესიო-სამონასტრო და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამ მონასტრის დამაარსებლის, წმ. მიქაელის, შესახებ პარეხელმა მოღვაწეებმა დაწერეს ჰაგიოგრაფიული თხზულება „წმ. მიქაელ პარეხელის ცხოვრება“, რის შესახებაც ცნობა დაცულია ჰაგიოგრაფის, ზარზმის მონასტრის წინამძღვრის, ბასილი ზარზმელის თხზულებაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიქაელის მოწაფეები „ხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა და ნიშთა და სასწაულთა დიდთა მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღეწერნეს მოწაფეთა მისთა“.[1] ბასილი ზარზმელის ამ ცნობიდან ჩანს, რომ X საუკუნის

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. და საბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963-1964, გვ. 322

დამდეგს, „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაზე“ მისი მუშაობის პერიოდში, არსებობდა „წმ. მიქელ პარეხელის ცხოვრება“, რომელიც მისთვის ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო ყოფილა. დასანანია, რომ თხზულების არც ერთი ხელნაწერი დღემდე შემონახული არაა და იგი დაკარგულად ითვლება.

პარეხის მონასტრის დაარსების თარიღი დაზუსტებული არ არის. ეს საკითხი უშუალოდ „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხორების“ დათარიღების პრობლემას უკავშირდება, რომლის თაობაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გიორგი მერჩულის თხზულებაში დაცული ცნობას IX საუკუნის 30-40-იან წლებში ბაგრატ კურაპალატისა და მისი ძმების მიერ კლარჯეთის მონასტრების შემოვლა-მოხილვის შესახებ, მათ მიერ შემოვლილ მონასტერთა შორის პარეხი არ იხსენიება. ეს ფაქტი იმას მიუთითებს, რომ ამ დროისათვის პარეხის მონასტერი ჯერ კიდევ არ არის აშენებული, რასაც წმ. მიქაელ პარეხელის მოღვაწეობის თარიღის გასარკვევად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მოგვიანებით პარეხში ერთხანს მხოლოდ ანაქორეტი ბერები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, ჯერ მიქაელი, შემდეგ ბასილი. შესაძლოა ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ პარეხი მის მახლობლად მდებარე ბერთის მონასტრის განშტოებად მიიჩნეოდა, რის გამოც მას „ბერთის პარეხთა“ ეწოდებოდა.[2] დამოუკიდებელი კვინობიტური მონასტერი პარეხში IX საუკუნის II ნახევარში უნდა ჩამოყალიბებულიყო წმ. მიქაელის მოღვაწეობის შედეგად.

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წმ. მიქაელ პარეხელი მიქელად იხსენიება, ხოლო „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ – მიქაელად. მართალია, სხვაობა მცირეა, მაგრამ მაინც არის. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სახელები მიქელ//მიქაელი პარალელურად გამოიყენება, რის საფუძველიც ავტორების, გიორგი მერჩულისა და ბასილი ზარზმელის მიერ ამ სახელის სხვადასხვა ფორმით გამოყენებაა, რადგან ბასილი ზარზმელი მას მიქაელად, ხოლო გიორგი მერჩულე მიქელად იხსენიებს. სახელის „მიქაელ“ ეტიმოლოგია და სიმბოლური გააზრება თვით წმინდანის ხატ-სახეს, მის სახისმეტყველებით ასპექტს მიუთითებს. მიქაელი ანგელოზთა დასის წინამძღოლი მთავარანგელოზის სახელია და ებრაულად ნიშნავს: „რომელი ვითარცა ღმერთი“. მან დაამარცხა დაცემული ანგელოზი (ლუციფერი//მოელვარე). მთავარანგელოზ მიქაელს, როგორც ყველა მტრული ძალის მძლეველს, ღვთისაგან მინიჭებული მადლითა და ძალით ეშმაკზე ძლევის გა-

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 280.

მო ხატებსა და ფრესკებზე ჯავშნით, ე.ი. ღვთიური მადლით შემოსილს გამოხატავენ.

გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ბასილ ზარზმელის „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ცალ-ცალკე წარმოსახული წმ. მიქაელ პარეხელის სახე სრულყოფილად ნაჩვენები არაა, – განსაკუთრებით „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რადგან ავტორთა მიზანდასახულობა წმ. მიქაელის ღვაწლის უშუალო წარმოჩენა არ იყო, მათ წმ. მიქაელის შესახებ საუბარი სჭირდებოდათ თავიანთი თხზულებების მთავარი პერსონაჟების უკეთ წარმოსასახავად. ორივე თხზულების შინაარსის გათვალისწინებით კი წმ. მიქაელი საკმაოდ სახიერად და ხელშესახებად არის ნაჩვენები, ასე რომ მათ საფუძველზე სრული წარმოდგენა მაინც გვექმნება წმინდა მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი სწავლებებისა და სასწაულების შესახებ. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღდგენა შესაძლებელია ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულებების ეპიზოდების საშუალებით. წმ. მიქაელ პარეხელის შესახებ ამ ორ თხზულებაში მოცემული ცნობები ერთმანეთს ავსებს.

თავდაპირველად განვიხილავთ ეპიზოდს წმ. მიქაელ პარეხელის შესახებ გიორგი მერჩულის თხზულებიდან „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, რომელშიც, ბასილი ზარზმელის თხზულებასთან შედარებით, წმ. მიქაელს მხოლოდ ერთი ეპიზოდი ეთმობა. წმ. მიქაელ პარეხელის წარმომავლობის, ბერად შედგომისა და პარეხში მოღვაწეობის ამბებს გიორგი მერჩულის თხზულებიდან ვიგებთ, სადაც აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ასკეტი, ღირსი მამა მიქაელი წარმოშობით შავშეთიდან, სოფელ ნორგიალიდან იყო. იგი ბერად მიძნაძორის მონასტერში აღიკვეცა და ერთხანს იქ მოღვაწეობდა.

„წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ საგანგებოდ აღნიშნული არაა წმ. გრიგოლსა და წმ. მიქაელ პარეხელს შორის მოწაფე-მასწავლებლის ურთიერთობის არსებობა; მიქაელი რომ წმ. გრიგოლის მოწაფე იყო, ეს არც „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშია“ აღნიშნული, რადგან წმ. გრიგოლ ხანცთელი სინამდვილეში წმ. მიქაელის მასწავლებელი არ ყოფილა, ისინი სულიერი მეგობრები იყვნენ. გიორგი მერჩულის ცნობით, წმ. გრიგოლ ხანცთელთან მისვლისას წმ. მიქაელი უკვე იყო ცნობილი მოღვაწე. შავშელ დიდ მამას მონაზვნური გზა ჯერ მიძნაძორის მონასტერში გაუვლია, შემდეგ მიძნაძორში ხანცთელი მოღვაწე ბერების ამბავი შეიტყო და ხანცთაისაკენ გაეშურა. მაგრამ რადგან იგი „ეძიებდა მარტოდ-მყოფებასა“, ხანცთიდან ბერთის

პარეხში წავიდა. ასევე, საყურადღებოა წმ. მიქაელის მასწავლებლის, წმ. შიო მღვიმელის, „საკვირველთმოქმედად“ მოხსენიება; გიორგი მერჩულეს ეს ხატსახე წმ. გრიგოლ ხანძთელის წარმოსაჩენად არ გამოუყენებია. ასე იხსენიება წმ. შიო მღვიმელი და მოგვიანებით ამგვარადვე არიან სახელდებულნი წმ. ილარიონ ქართველი და წმ. სერაპიონ ზარზმელი; ე. ი. თხზულების მიხედვით, პარეხში დამკვიდრებამდე მეუდაბნოე მამა წმ. მიქაელი მიძნაძორიდან ხანცთაში მივიდა როგორც წმ. გრიგოლის სულიერი მეგობარი და არა მოწაფე. გიორგი მერჩულის სიტყვით: „რაჟამს ხანცთაჲ იქმნა სახელოვან მადლითა და სახარულევან სულიერთა შვილთაგან, მას ჟამსა მიძნაძოროჲთ ხანცთად მოვიდა დიდი მეუდაბნოჱ მიქელ მამაჲ, რომელიცა დაემკუდრა პარეხთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა. და ეძიებდა მარტოდ-მყოფებასა და პოვა თავისა თჳსისა სამკუდრებელი ბერთისა პარეხთა და, განზრახვითა ამის წმიდისაჲთა, დაემკუდრა მათ შინა და კეთილად წარემართა სათნოებათა მიმართ უფლისათა“.[3] გიორგი მერჩულემ აღნიშნა, რომ წმ. მიქაელი „ეძიებდა მარტოდმყოფებასა“, შესაბამისი ადგილიც მოძებნა და პარეხის მონასტერი დააარსა, რაც ტაძრის მშენებლობასა და მამათა მონასტრის დაარსებას გულისხმობს; მაგრამ მარტოდმყოფობა მონასტრის შენება არ არის. ამის თაობაზე საქართველოში კვინობიტური ბერმონაზვნური ცხოვრების დამფუძნებელი წმ. იოანე ზედაზნელი ამბობდა, რომ აღმშენებლობა მარტოდმყოფელის წესი არ არის.[4] გავიხსენოთ, რომ თავის დროზე წმ. გრიგოლ ხანცთელი სამხრეთ საქართველოსაკენ მარტოდმყოფობის სურვილით გაეშურა, იგი ფიქრობდა, რომ კლარჯეთის უდაბნოებში მარტო დაეყუდებოდა და იღვაწებდა; მისი ეს განზრახვა ხუედიოსის წინასწარხილვამ შეცვალა და ღვთის ნებით ხანცთის მონასტერს ჩაუყარა საფუძველი. „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ კი უფრო ნრცლად მოგვითხრობს, რომ წმ. მიქაელი მარტოდმყოფი ბერი არ არის, მას მოწაფეები ჰყავს. ამას გიორგი მერჩულეც ამბობს, როდესაც წმ. მიქაელის მიერ წმ. გრიგოლ ხანცთელთან მოწაფეს გზავნის. წმ. მიქაელი პარეხში მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა; იგი იქვე აღესრულა და მიძნაძორშივე დაიმარხა.

„წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ წმ. მიქაელის ღვაწლი სასწაულებრივი ეპიზოდებითაც არის გამდიდრებული. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ პარეხში მოღვაწე წმინდა მამა მიქაელს სულიერი საფრთხე დაე-

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 280.
[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 213.

მუქრა, რადგან მას ეშმაკი სდევდა. თვითონ წმ. მიქაელი დაუძინებელი მტრისგან გვემას მზნედ ითმენდა და „არცხუენდა თითო-სახეთა მათ მანქანებათა მისთა შეწევნითა ქრისტჱსითა და წმიდათა ყოველთა ოხითა“.[5] თხზულებაში აღწერილია, რომ ერთხელ სენაკისაგან მოშორებით მაღალ კლდეზე მდგარი მამა მიქაელი ეშმაკმა გადმოაგდო, მაგრამ იგი „დაიცვა ყოველად-უვნებელად ყოველთა მეუფემან ქრისტემან ღმერთმან“.[6] მის გადარჩენას მისი სახელის სიმბოლიკაც წარმართავს, რადგან წმ. მიქაელ პარეხელის ხატ-სახე მიქაელ მთავარანგელოზის ძალმოსილებითაა აღსავსე. ეშმაკი მუდმივად ებრძოდა წმ. მიქაელს, შეწუხებულმა წმინდა მამამ თავისი სულიერი მოწაფე წარავლინა ღვთივსულიერი მოძღვრისა და თავისი სულიერი მეგობრის წმ. გრიგოლის წინაშე და თავისი განსაცდელის შესახებ აუწყა. წმინდა მამა მალევე მივიდა „შეწევნად ძმისა თჳსისა ძალითა უფლისაჲთა და განამჴნო იგი სულითა, და ახლად ჴელითა თჳსითა შექმნნა ძლევისა მომცემელნი ქრისტჱს ბეჭედნი, ორნი ჯუარნი ძელისანი, საფარველად მისა და განსაოტებელად მტერთა, და იმიერ და ამიერ განშორებულად სენაკსა მისსა აღჰმართნა და საზღვრად უჩინნა წმიდასა მას, ვითარმედ: „ორთა ამათ ჯუართა ქრისტჱსთა შუა უშიშად იყავ შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა და ძალითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა. ხოლო უკუეთუ წარჰვლო, კუალად განიცადო უძჳრჱსად პირველისა“.[7] მათ ერთად აღავლინეს ლოცვა, რის შემდეგაც წმ. გრიგოლი ხანცთაში დაბრუნდა, წმ. მიქაელმა კი სრულ განსვენებას მისცა თავი, რადგან, როგორც მიქაელ მთავარანგელოზმა დაამარცხა ეშმაკი, წმ. მიქაელ პარეხელმაც წმ. გრიგოლის მეოხებითა და მზრუნველობით ამპარტავანი მტერი დაამარცხა. თხზულებაში ნაჩვენებია წმ. გრიგოლის სულიერი სიძლიერე, თანადგომა სულიერი მეგობრისადმი, რომელმაც ღმერთს მინდობილმა პარეხში თავისი მოძღვარი და სულიერი ძმა წმ. გრიგოლი თავის შემწედ და გამაძლიერებლად მოიყვანა, ბიბლიურ წიგნთა განმარტების თანხმად; კერძოდ, იგავთა წიგნში ნათქვამია: „ძმაჲ ძმისა შემწე ვითარცა ზღუდჱ დაუცემელი“ (იგავ. 18,19); ხოლო იაკობ მოციქულის სიტყვით: „ერთი ერთისათჳს ლოცევდით, რაჲთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“ (იაკობ 5, 16). ამგვარად არის ღვთის მადლით, ბიბლიური სიბრძნითა და სულიერი მოძღვრის თანადგომით მტრის დამარცხება შესაძლებელი. ეს სასწაულებრივი ეპიზოდია; ცნობილია, რომ სასწაულები გიორგი მერჩულის თხზულებაში

[5] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 281.
[6] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 281.
[7] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 280.

ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის მიერ არის ჩართული. შესაძლოა, ეს სასწაულიც მის მიერ იყოს შემატებული. სასწაულების ასახვის თვალსაზრისით, წმ. მიქაელ პარეხელსა და წმ. შიო მღვიმელს ბევრი საერთო ნიშანი აქვთ; სასწაულთმოქმედება ორივეს ახასიათებს. როგორც ბასილი ზარზმელმა აღნიშნა, წმ. მიქაელ პარეხელი ყოფილა „სასწაულთა მოქმედი დიდთაჲ“,[8] რაც მისმა მოწაფეებმა აღწერეს.[9] ამას ამართლებს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ შინაარსიც, სადაც წმ. მიქაელ პარეხელის მიერ ჩადენილი რამდენიმე სასწაულია გადმოცემული: მიქაელმა სერაპიონისა და მისი ამხანაგების გაგზავნა სამცხეში მონასტრის დასაარსებლად ჩვენებაში ნახა და აღუწერა კიდეც წინასწარ ის ადგილი, სადაც მონასტერი უნდა აეშენებინათ და ურჩია სამონასტრე ადგილ-მამულის ნიშებით შემოსაზღვრა.[10]

გიორგი მერჩულე, აგრეთვე, გვამცნობს, რომ მის შემდგომ მოღვაწე დიდებული მამა ბასილიც პარეხში დამკვიდრდა და ისიც წმ. მიქელის გვერდით დაიმარხა. მათი საფლავები, როგორც წმინდანთა საფლავებს შეეფერებათ, „კაცთა კურნებასა მიჰმადლებენ, რომელნი სარწმუნოებით მივლენან მათდა“.[11] ეს ის მოკლე ცნობებია, რომლებიც „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაშია“ მოთხრობილი, საიდანაც სავსებით ნათლად ჩანს, რომ ეს ეპიზოდი გიორგი მერჩულის თხზულებაში შეტანილია არა თვითმიზნურად, ე.ი. წმ. მიქაელის ხატ-სახის წარმოსადგენად, არამედ წმ. გრიგოლ ხანცთელის სახის სრულყოფილების საჩვენებლად, რომ წმ. გრიგოლი კლარჯეთის უდაბნოებში (და არა მხოლოდ კლარჯეთის!) მოღვაწე ბერმონაზვნების მფარველი, მეოხი და ბოროტ ძალთაგან დამცველი იყო.

„წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებასთან“ შედარებით, წმ. მიქაელ პარეხელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობებით მდიდარია ბასილი ზარზმელის თხზულება „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“; მასში წმ. მიქაელ პარეხელი „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისაგან“ განსხვავებულად წარმოგვიდგება, რადგან იგი ბასილის თხზულების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია და ავტორი მისი პიროვნების წარმოსახვას დიდ ადგილს უთმობს. იგი მარტოდმყოფობას არ მიელტვის და ამ სტატუსით არ ჩანს. ბასილი ზარზმელის მიზანი თავისი წმინდანი ბიძის, სერაპიონის, ღვაწლის წარ-

[8] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 322.
[9] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 322.
[10] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 322-323.
[11] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 281.

მოჩენა იყო. ამიტომ მან აღწერა, თუ როგორ წავიდნენ წმ. სერაპიონი და მისი უმცროსი ძმა იოვანე სამცხეში მონასტრის ასაშენებლად. წმ. მიქაელი ღამით ლოცვის აღსრულებისას ზეცად იქნა აღტაცებული, სადაც მღვდელთა მშვენიერი შესამოსლით მოსილი ვინმე იხილა, მისგან ღვთაებრივი გამოცხადებით მიიღო ბრძანება, რომ თავისი მოწაფეების, წმ. სერაპიონისა და მისი უმცროსი ძმის იოანეს სამცხეში გაგზავნის თაობაზე მონასტრის ასაშენებლად; ნიშები და სამონასტრო ადგილის სახე უჩვენა, სადაც ღვთის ნებით წმინდა მამები უნდა მისულიყვნენ. წმ. მიქაელ პარეხელმა შეკრიბა წმინდა მამები და მათ ღვთის ნება ამცნო, რომ ისინი პარეხიდან უნდა გასულიყვნენ და თავად აღეშენებინათ ,,სულთ-სამზრუნველოჲ“.[12] წმ. მიქაელმა თავისი მოწაფეები, სულიერი შვილები დაარიგა, საღვთო მოძღვრებით აღავსო, ღვთისაგან ნამცნევი ნიშებისა და სასწაულების შესახებ უამბო, პავლე მოციქულის სიტყვებით გამხნევებულთ და განბრძნობილთ საგზლად თავისი ლოცვა წაატანა და სამცხეში წარგზავნა. წმ. მიქაელმა მათ ფერისცვალების ხატი უწინამძღვრა, რომელსაც ისინი ყოველგვარი განსაცდელისაგან უნდა დაეფარა და დაეცვა. ავტორი აღნიშნავს, რომ წმინდა მამის ეს ჩვენება ასრულდა. წმ. სერაპიონი თავის ხორციელ ძმასთან, იოვანესთან, და სხვა ოთხ თანამოაზრესთან ერთად სამცხეში გაემგზავრა.

მასწავლებელსა და მოწაფეებს ერთმანეთთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ, მათ ყველგან წმ. მიქაელის ხატ-სახე და სახელი მიუძღოდათ, თვითონ ყველასთან აღნიშნავდნენ, რომ ისინი წმ. მიქაელ პარეხელის მოწაფენი იყვნენ: ,,ბრძანებაჲ არს საღმრთოჲ, და მოწაფენი ვართ ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინვებულისა მიქაელ პარეხელისანი“.[13] მათ ზარზმაში შესანიშნავი სავანე ააგეს, როგორც ავტორი უწოდებს, ,,შესაკრებელი ცხოვართა პირმეტყუელთაჲ“.[14] თხზულება მოგვითხრობს ოპიზის უდაბნოში აღზრდილი გიორგი მაწყვერელის, იგივე შუარტყლელის შესახებაც, რომელიც ოპიზის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში იმყოფებოდა და იქიდან გაეშურა პარეხისაკენ. წმ. მიქაელმა, რომელმაც თავისი ამიერ სოფლით განსვლის დღის მოახლოება იგრძნო, წმ. სერაპიონის მიერ ზარზმაში მონასტრის აშენების შემდეგ მასთან ორი მოწაფე წარგზავნა და ეპისტოლე გაატანა, რათა წმ. სერაპიონი და მისი ძმა მსწრაფლ მისულიყვნენ პარეხში. უნდოდა

[12] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 323.
[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 323, 326.
[14] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 326.

დაწვრილებით შეეტყო, როგორ წარიმართა ზეცისგან უწყებული მონასტრის მშენებლობა. წმ. მიქაელისა და წმ. სერაპიონის ეს შეხვედრა მოძღვრისა და მოწაფის ცრემლნარევი, მაგრამ ურთიერთხილვის სიხარულით აღსავსე შეხვედრა იყო. მან დეტალურად გამოიკითხა ყოველი, რაც ზარზმის მონასტრის მშენებლობას შეეხებოდა. წმ. მიქაელმა დალოცა წმ. სერაპიონი, ზარზმის ძმობა, სამცხელი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, როგორც სულიერ ძმათა შემწე და მონასტრის მშენებლობის მატერიალურად უზრუნველმყოფელი. ღვთის განგებით წმ. სერაპიონს ურჩია ეკლესიის მახლობლად მისთვის გადაცემული გამხმარი ბაიის რტოს ჩარგვა, უწინასწარმეტყველა მისი განედლება, რადგან რტოს განედლდება წმ. სერაპიონის საფუძველჩაყრილი მონასტრის ნაყოფიერებას მოასწავებდა. ეს ეპიზოდი აარონის რტოს განედლების ჰიპოდიგმური სახითაა შთაგონებული. ბაიის რტოს განედლების ეპიზოდის გადმოცემისას ავტორი წმ. სერაპიონს ბიბლიური აარონის ხატ-სახესთან ერთად, რომლის კვერთხის განედლებით ებრაელთა თორმეტი ტომიდან მღვდელთმთავარი გამოირჩა, დიდმოწამე ხარლამპისა და გრიგოლ აკრაკანტელის მსგავსი წმინდანის ხატ-სახით წარმოაჩენს. წმ. მიქაელმა იწინასწარმეტყველა, რომ წმ. სერაპიონის უმცროსი ძმა იოვანე დამოუკიდებლად ააშენებდა სხვა მონასტერს, რაც ასრულდა კიდეც, როდესაც იოვანემ იოანეწმინდის ეკლესია ააშენა. რამდენადაც სიხარულით აღსავსე იყო მოძღვრისა და მოწაფეთა შეხვედრა, იმდენად მათი ხორციელი დაშორება//გამომშვიდობება ტკივილიანი აღმოჩნდა. მათ იცოდნენ, რომ ამიერიდან ერთმანეთს ამქვეყნად ვერ შეხდებოდნენ, მათი ურთიერთობა ზესთასოფელში გაგრძელდებოდა. ეს ეპიზოდი „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღწერილ შატბერდელ და ხანცთელ მამებთან გრიგოლის გამოთხოვებას ემსგავსება.

„წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ განსაკუთრებული მისია აკისრია ჩვენებას, რომელიც ქრისტიანულ ლიტერატურაში წინასწარმეტყველთა საქმიანობის გაგრძელებად აღიქმება და გაფრთხილებაა წმინდა მამათა მომავალი საქმიანობისა თუ მოსალოდნელი მოვლენების შესახებ. წმ. მიქაელს ჩვენებით წინასწარ ეუწყა, რომ სამცხეში დიდი უბედურება დატრიალდებოდა და პარეხში მყოფ სერაპიონს ადრე დაბრუნება ურჩია. მისი ჩვენება წინასწარმეტყველური აღმოჩნდა; გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც ორი შვილი სიჩვილეში გარდაცვლოდა და უმემკვიდრო იყო დარჩენილი, მისი მემკვიდრეები მისივე დისწულები იყვნენ, მაგრამ მათთან მათს სიძეს მამულის თაობაზე დიდი უსიამოვნებები შეემთხვა და სისხლიც დაიღვარა. „წმ.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ასახული მიქაელის სასწაულთმოქმედება საგანგებოდაა აღნიშნული, რაც, როგორც ჩანს, ბასილისათვის წმ. მიქაელის „ცხოვრებით“ უნდა ყოფილიყო ცნობილი. წმ. მიქაელი ბასილი ზარზმელის თხზულებაში ყოველთვის „დიდ მიქაელად“ იწოდება და ბიბლიურ პერსონაჟთა სახისმეტყველებით წარმოჩნდება, რაც მის, როგორც წმინდანის ხატ-სახეს, ზეცად ამაღლებულისა და განღმრთობილის ნიშნებით ამკობს.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა წმ. მიქაელის მოღვაწეობის პერიოდად IX საუკუნის მიჩნევის თაობაზე. შესაბამისად, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი მოსაზრება ჩამოყალიბდა: გავრცელებული შეხედულებით, მიქაელ პარეხელი ცხოვრობდა IX საუკუნეში (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე, ნ. ვაჩნაძე, ქ. გაფრინდაშვილი). მეორე ჯგუფის აზრით, მიქაელი, როგორც წმ. შიო მღვიმელის მოწაფე, VI-VII საუკუნეებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (მ. ჯანაშვილი, პ. ინგოროყვა, ა. ბოგვერაძე). ბასილი ზარზმელის გადმოცემით, წმ. მიქაელ პარეხელის ცხოვრება-მოღვაწეობა, სწავლებანი და სასწაულები მისმა მოწაფეებმა მისი გარდაცვალების შემდეგ აღწერეს და ჰაგიოგრაფიული თხზულება შექმნეს, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ამ ორი თხზულების მიქაელი უთუოდ ერთი და იგივე პირი უნდა იყოს რამდენიმე საბუთის საფუძველზე: ორივე პარეხის მოღვაწე და სახელგანთქმული მეუდაბნოეა, ორივეს ჰყავს მოწაფეები, რომელთა სულიერ მომავალზე წმ. მიქაელი ზრუნავს. ამავე დროს, გიორგი მერჩულის თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიქაელი IX საუკუნის მოღვაწეა, წმ. გრიგოლის თანამედროვეა. იგივე უნდა ითქვას „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიქაელ პარეხელზეც, რომელიც IX საუკუნის მოღვაწე ჩანს და არა VI-VII საუკუნეებისა, როგორც ამას მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობდა და ამტკიცებდა. პარეხი წმ. მიქაელის დაარსებულია, რასაც მოწმობს „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ ცნობილი ეპიზოდი, რომლის მიხედვით ბაგრატ კურაპალატისა და მისი ძმების მიერ მოხილულ ეკლესია-მონასტერთა შორის პარეხი არაა ნახსენები, ე.ი. პარეხი ჯერ არ იყო დაარსებული.

მართალია, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ წმ. მიქაელ პარეხელი მარტოდმყოფობას ეძიებდა და ღვთივსათნოდ ცხოვრობდა, მაგრამ ისიც ჩანს, რომ მას მოწაფეები ჰყავდა. ბასილის სიტყვით კი, წმინდანს მრავალი მოწაფე ჰყავდა, „სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა“.[15]

[15] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 324.

უფალს ნეტარი მამის მოღვაწეობა სათნოყო და „სასწაულთა ქმედების“ ნიჭი მიჰმადლა, რაზეც ორივე თხზულებაშია საუბარი. ამას გარდა, ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღნიშნულია, რომ წმ. მიქაელის მოწაფეები ცდილობდნენ, თავიანთ მოძღვარს მიმსგავსებოდნენ, რაც სახისმეტყველებითი პრინციპებითაა ასახული: „ამას რაჲ ყოველსა ხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად ჴელოვანთა მხატვართა და მისმიერთა მადლთა მოღებითა აშენებდეს საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა ლერწამსა, არამედ ოქროსა, ვეცხლსა და თუალთა ანთრაკთა, ხოლო მის მიერ შეყუარებულ იყვნეს ვითარცა კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი. ამით ესევითარითა საქმითა აღასრულეს ჟამი მრავალი წინაშე მისსა და ყოვლითურთ მობაძავ მისსა იქმნნეს“.[16]

წმ. მიქაელის მოღვაწეობის თარიღის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის განსაზღვრას, თუ რომელ წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წმ. სერაპიონ ზარზმელი, IX საუკუნეში თუ VI-VII საუკუნეებში. ბასილის თხზულებაში წმ. მიქაელ პარეხელის შესახებ ნათქვამია, რომ წმ. მიქაელი იყო მონასტერთა აღმაშენებელი, იგი იყო მოწაფე დიდი შიო საკვირველთმოქმედისა, რომელიც ქართლში მოღვაწეობდა.[17] თხზულებაში სწორედ ამ ეპიზოდის ერთმა ფრაზამ – „რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკვირველთ-მოქმედისაჲ“ – გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა.

საკითხი გიორგი მერჩულისა და ბასილი ზარზმელის თხზულებათა მიქაელის სხვადასხვა პირებად მიჩნევის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ პირველმა გამომცემელმა მ. ჯანაშვილმა წამოჭრა.[18] მისი აზრით, წმ. მიქაელ პარეხელი VI საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწის წმ. შიო მღვიმელის უშუალო მოწაფე იყო. მოგვიანებით მისი თვალსაზრისი განავითარა პ. ინგოროყვამ,[19] რომელმაც VI-VII საუკუნეებით „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ქრონოლოგიის განსაზღვრა სწორედ ზემოხსენებულ ცნობას დაამყარა. მის დებულებებს ქვემოთ შევეხებით. ი. ჯავახიშვილმა მ. ჯანაშვილის შეხედულების თაობაზე შენიშნა, თუ ეს სხვა მიქელი უნდა იყოს, „მაშინ გიორგი მაწყ-

[16] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 322.
[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 322.
[18] მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა. ტ. II. ტფ. 1909, გვ. V-VI.
[19] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი X საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954, გვ. 333-335.

ვერელიც სხვა უნდა ყოფილიყო, რაც სრულებით უსაფუძვლო იქნებოდა“.[20] მანვე აღნიშნა, რომ ცნობები წმ. მიქაელ პარეხელის შესახებ ბასილ ზარზმელს თვით მიქაელის „ცხოვრებიდან“ ექნებოდა ამოღებული, რომელიც იმ დროისათვის, როცა ბასილი წერდა თავის თხზულებას, დაწერილი იყო. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ბასილს ცნობები წმ. სერაპიონისა და მისი პარეხიდან სამცხეში წარგზავნის შესახებ სწორედ წმ. მიქაელის შესახებ დაწერილი, ჩვენთვის უცნობი, აწ დაკარგული თხზულებიდან ამოეკრიფა.[21] ე. თაყაიშვილმა ორი თხზულების მიქაელი ერთი და იგივე პირად მიიჩნია,[22] რაც გაიზიარა კ. კეკელიძემ.

საკითხი სრულად შეისწავლა კ. კეკელიძემ 1935 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში ბასილ ზარზმელის თხზულების შესახებ[23] და დაასკვნა: „სერაპიონს სამონასტრო მოღვაწეობა დაუწყია პარეხს 850 წლის ახლო ხანებში, ზარზმა აუშენებია 861-868 წლებში, ხოლო გარდაცვლილა ის არაუადრეს 900 წლისა“.[24] შესაბამისად, როგორც წმ. მიქაელი, როგორც წმ. სერაპიონის სულიერი მოძღვარი და მასწავლებელი, მასზე ადრე გარდაცვლილად უნდა მივიჩნიოთ. მკვლევართა ნაწილს (მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ა. ბოგვერაძე) „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ VII საუკუნეში დაწერილად მიაჩნია, რის მთავარ საბუთად წმ. მიქაელის წმ. შიო მღვიმელის მოწაფედ მიჩნევას გულისხმობენ. თუ მათ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ იმ დასკვნამდეც კი მივალთ, რომ ეს თხზულება ბასილი ზარზმელის მიერ არაა დაწერილი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ბასილის ავტორობა თხზულებითაა განმტკიცებული, აგრეთვე, ზარზმის მონასტერში მისი წინამძღვრობის თარიღი დადგენილია, მონასტრის წინამძღვართა რიგიც ცნობილია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკითხი გიორგი მერჩულისა და ბასილი ზარზმელის თხზულებათა მიქაელის სხვადასხვა პირებად მიჩნევის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა მ. ჯანაშვილმა წამოჭრა,[25]

---

[20] ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1977, გვ. 140.

[21] ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 135.

[22] ე. თაყაიშვილი. შენიშვნები ხარხმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ. ტფილისის სახელმწიფო უნივერისტეტის შრომები. ტ. I. 1919, გვ. 112-114.

[23] კ. კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ხანის ლიტერატურა. თბ. 1935, გვ. 100-121. იგივე გამოკვლევა იხ. „ეტიუდები“. ტ. XIV. თბ. 1986.

[24] კ. კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ხანის ლიტერატურა, გვ. 116.

[25] მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა. ტ. II, გვ. V-VI.

შემდეგ იგი განავითარა პ. ინგოროყვამ, რომელმაც თხზულების VI-VII საუკუნეებში შექმნის დასამტკიცებლად რამდენიმე საბუთი მოიტანა: 1. წმ. მიქაელი საკმაოდ მრავალრიცხოვან მამათა შორის იმყოფებოდა და მოღვაწეობდა, მას ავტორი მიქაელ პარეხელად იხსენიებს, ხოლო მის მასწავლებლად კი – წმ. შიო მღვიმელს; თავის მხრივ, წმ. მიქაელის მოწაფეა წმ. სერაპიონ ზარზმელი, რის გამოც ბასილის თხზულება VI-VII საუკუნეების თხზულებად მიიჩნია; 2. ოპიზის მონასტერი V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს აშენდა, სადაც წმ. მიქაელი მოღვაწეობდა და აქედან გადავიდა პარეხში, აქ დაიმოწაფა წმ. მიქაელი და მისი ძმა იოვანე; 3. პარეხი VI საუკუნის ნახევარშია დაარსებული; 4. წმ. სერაპიონი, მისი ძმა და თანამოაზრეები VI საუკუნის შუა წლებში დაიბადნენ და VII საუკუნის I ნახევარში გარდაიცვალნენ; იოანემ დააარსა იოანეწმინდის მონასტერი; 5. ბასილი ზარზმელმა VII საუკუეში დაწერა „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“; იგი მეფობის აღდგენის წინაპერიოდში დაწერილი თხზულებაა; 6. პარეხი მურვან-ყრუს შემოსევების შედეგად გავერანდა და IX საუკუნის 40-იან წლებში იქ დამკვიდრდა მარტოდმყოფი ბერი მიქელი, რომელიც მკვლევარს სხვა მიქელად მიაჩნია.[26] ეს არგუმენტები ა. ბოგვერაძემაც გაიმეორა და მას სხვაც დაუმატა. მისი აზრითაც, ოპიზის მონასტერი V საუკუნეში აშენდა, ხოლო VIII-IX საუკუნეებში იგი აღდგა. ამ ორი თხზულების მიქაელი სხვადასხვა პირია, რასაც შემდეგი საბუთები მოუძებნა: „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ წმ. მიქაელი მარტოდმყოფებას ეძიებს და მიძნაძორიდან ბერთის პარეხში მკვიდრდება, მისი სულიერი მოძღვარი და მეგობარი წმ. გრიგოლ ხანცთელია; იგი მხოლოდ სახელით იხსენიება, ხოლო „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ წმ. მიქაელი მაშენებლად წარმოჩნდება; იგი პარეხში ოპიზიდან მივიდა; მისივე აზრით, „წმ. მიქაელ პარეხელის ცხოვრება“ მის მოწაფეებს უფრო ადრე აღუწერიათ, ვიდრე გიორგი მერჩულემ შექმნა „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, რაც მწერალს არ აღუნიშნავს.[27]

„წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ აღწერილია არა VI-VII საუკუნეების, არამედ IX საუკუნისა, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მასში იხსენიებიან IX საუკუნის მოღვაწეები წმ. მიქაელ პარეხელი და წმ. გიორგი მაწყვერელი, რომლებიც გიორგი მერჩულის

[26] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 325-339.

[27] ა. ბოგვერაძე. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღისათვის. მაცნე (ისტორიის ... სერია). თბილისი. 1964. №3, გვ. 54-55.

თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებითაც“ არიან ცნობილნი. ამავე დროს, IX საუკუნეს განეკუთვნება თხზულებაში ნახსენები ფერისცვალების ხატი,[28] რაც ძალზე მყარი არგუმენტია ბასილი ზარზმელის თხზულების IX საუკუნის ამბების ამსახველად მიჩნევის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე ანაქრონიზმთან გვექნებოდა. „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ აღწერა მისმავე ძმისწულმა ბასილი ზარზმელმა X საუკუნის დასაწყისში.

ლ. მენაბდემ ორივე შეხედულება კრიტიკული თვალით შეაჯერა და ი. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილისა და კ. კეკელიძის თვალსაზრისი გაიზიარა.[29] ფაქტობრივად, მან გააქარწყლა ის თვალსაზრისი, რომელიც, პ. ინგოროყვას აზრით, მიქაელ პარეხელს ქართლის მკვიდრად მიიჩნევდა. ლ. მენაბდის აზრით, ამ ორ თხზულებაში სახელების უბრალო შეხვედრა კი არაა, არამედ ძველ ქართველ აგიოგრაფთა მიერ შემონახული ცნობების შეჯერება-გაანალიზება.[30] სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, როგორც საისტორიო წყარო, შეისწავლა ნ. ვაჩნაძემ, რომელმაც კვლევის შედეგები შეაჯამა და თხზულება გვიან, X საუკუნეში, დაწერილად მიიჩნია. მან თავისი არგუმენტები დასაბუთებულად წარმოადგინა და შემდეგ დასკვნებამდე მივიდა: 1. მან გაითვალისწინა ენობრივი ფაქტორი, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, და დაიმოწმა მაგალითები, რომელთა საფუძველზე თხზულება X-XI საუკუნეში დაწერილად მიიჩნევა; 2. ყურადღება მიაქცია ფერისცვალების დღესასწაულის აღნიშვნას, მის კულტს, რომელიც IX საუკუნიდან არსებობდა; 3. საგანგებოდ განიხილა სოციალური ტერმინები „მამული“, „ერი“, რომელთა მეცხრე საუკუნის დროინდელი სემანტიკური მნიშვნელობაა დამოწმებული; 4. აწყურის ეპისკოპოსის უფლებამოსილების გაძლიერება და სამცხეში საერო ხელისუფლების აღება, რაზეც „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ არის საუბარი; 5. ტერმინები: „ქუეყანა“, „სოფელი“ ბასილი ზარზმელის „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ახალი მნიშვნელობით გამოიყენება, რაც მათ VIII-IX საუკუნეებში შეიძინა; 6. ამავე კონტექსტით მკვლევარმა ბაჰლაუნდის ფეოდალური სახლის ისტორია შეისწავლა და იგი თხზულების X საუკუნით დასათარიღებლად გამოიყენა.[31]

---

[28] თ. საყვარელიძე. ხარხმის ოქრომჭედლობის შემონახული ძველი ძეგლები. კრებ.: „ხარხმა“. 2007, გვ. 123-126.

[29] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. წ. I_2. თბ. 1962, გვ. 423-427.

[30] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. წ. I_2, გვ. 427.

[31] ნ. ვაჩნაძე. „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1975, გვ. 94-96.

მ. ჯანაშვილის, პ. ინგოროყვას, ა. ბოგვერაძის არგუმენტები მყარი არაა, რაც ნ. ვაჩნაძის მსჯელობით სავსებით ნათლად გამოჩნდა. მის მიერ დასაბუთებულია, რომ წმ. მიქაელი IX საუკუნის მოღვაწეა და პარეხი მისი დაარსებულია. ორივე თხზულებიდან ჩანს, რომ ორივე თხზულების წმ. მიქაელი მკვიდრდება პარეხში და აარსებს მონასტერს, ორივეს ჰყავს მოწაფეები; გიორგი მერჩულის მიერ „წმ. მიქაელ პარეხელის ცხოვრების“ მოუხსენიებლობა მყარი არგუმენტი ვერ იქნება, რადგან X საუკუნემდე შექმნილ სხვა მრავალ თხზულებასაც არ ახსენებს, რომელთა არსებობის კვალი გიორგი მერჩულის თხზულებაში შეინიშნება. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაცხოვრის ფერისცვალების ხატის შექმნის დროს, იგი 886 წლითაა დათარიღებული. წმ. სერაპიონ ზარზმელი რომ IX საუკუნის საეკლესიო მოღვაწეა და მის „ცხოვრებაშიც“ IX საუკუნის ამბებია აღწერილი, ამას მოწმობს: 1. „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული IX საუკუნის მოღვაწეები წმ. მიქაელ პარეხელი და წმ. გიორგი მაწყვერელი, რომლებიც გიორგი მერჩულის თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებითაც“ არიან ცნობილნი; 2. ისტორიული რეალიები და ის ისტორიული პირები, რომლებიც IX საუკუნეში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, კერძოდ, გიორგი ჩორჩანელი და მისი დის, ლატავრის, ოჯახი; 3. IX საუკუნეს განეკუთვნება თხზულებაში ნახსენები ფერისცვალების ხატი,[32] რაც ძალზე მყარი არგუმენტია ბასილი ზარზმელის თხზულების IX საუკუნის ამბების ამსახველად მიჩნევის თაობაზე. „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ აღწერა მისმავე ძმისწულმა ბასილი ზარზმელმა X საუკუნის I ნახევარში.

ცალკე განსახილველი იყო წმ. შიო მღვიმელის მოწაფედ წმ. მიქაელის მიჩნევის საკითხი, რაც არცთუ თანმიმდევრულად იყო სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი. კ. კეკელიძემ წმინდანის საკუთარი სახელი „შიო“ ტექსტისეულად არ მიიჩნია და გადამწერის შეცდომად ჩათვალა, ისიც აღნიშნა, რომ შემდგომი დამატებაც, მეტაფრასტის დამატებაც შეიძლება იყოსო,[33] რადგან მისივე მოსაზრებით, თხზულების ტექსტის ეს მონაკვეთი დაზიანებულია და აზრობრივადაც გაუმართავად გამოიყურება, რაც იმ ერთადერთი ხელნაწერის გვიანდელობით აიხსნება, რომელშიც „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაა“ დაცული. უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის ეს

[32] თ. საყვარელიძე. სარკმის ოქრომჭედლობის შემონახული ძველი ძეგლები, გვ. 123-126.

[33] კ. კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ხანის ლიტერატურა, გვ. 115.

მსჯელობა საკამათოა და მისი მოსაზრება დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება.

ბასილის თხზულებაში წმ. მიქაელ პარეხელის შესახებ ნათქვამია: „ხოლო ესე სიტყუა მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკვირველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“.[34] როგორც ზემოთაც ითქვა, თხზულებაში სწორედ ამ ეპიზოდის ერთმა ფრაზამ – „რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკვირველთ-მოქმედისაჲ“ – გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. საგულისხმოა ა. ბოგვერაძის შეხედულება, რომელმაც ყურადღება გაამახვილა წმ. შიო მღვიმელის „საკვირველთმოქმედად“ მოხსენიებაზე და აღნიშნა, რომ ამ ეპითეტით ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ წმ. შიოა შემკული, მაგრამ ეს სწორი შეხედულება არაა. ნ. ვაჩნაძემ დაიმოწმა წმ. ნიკოლოზისა და წმ. გრიგოლის საკვირველთმოქმედებად მოხსენიების თავისთავად მართებული ფაქტები გ. ბოჭორიძის ნაშრომიდან, თუმცა, ისინი ქართველები არ არიან,[35] ხოლო ა. ბოგვერაძე ქართველ წმინდანთა შორის ეძებს იმ წმინდანებს, რომლებსაც წყაროები „საკვირველთმოქმედად“ მოიხსენიებენ და ასეთად მხოლოდ წმ. შიო მღვიმელს თვლის. მისი დამოკიდებულება, რომ მხოლოდ ქართველ წმინდანებში მოეძიებინა „საკვირველთმოქმედის“ ხატ-სახით მოხსენიებული პიროვნება, არაა სწორი, რადგან ჰაგიოგრაფია მხოლოდ ეროვნულ თხზულებებს არ ემყარება, იგი საზოგადოდ ჟანრის მოთხოვნებსა და მისთვის დამახასიათებელ სახისმეტყველებას იყენებს.

რამდენად სწორია ზემოხსენებული შეხედულება, საჭიროა გაირკვეს რამდენიმე საკითხი: ვის ეკუთვნის ეს ცნობა, კიმენური ტექსტის ავტორს ბასილი ზარზმელს თუ თხზულების მეტაფრასული რედაქციის ავტორს? აქედან გამომდინარე, როგორ და როდის გაჩნდა ეს ცნობა თხზულებაში? რა საფუძველზეა მიჩნეული შიო მღვიმელის მოწაფედ მიქაელ პარეხელი? სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხები ჯერ კიდევ ბადებს კითხვებს. მხოლოდ

[34] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 322.
[35] ნ. ვაჩნაძე. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 95. გ. ბოჭორიძემ რაჭის ისტორიული ძეგლების შესწავლისას გაანიხილა რაკეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XI საუკუნის წარწერა, რომელშიც წმ. ნიკოლოზს საკვირველთმოქმედია მოხსენიებული, თუმცა, იგი ცნობილი წმ. ნიკოლოზია, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი, IV საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე; ასევე, ჯვარისას ეკლესიის ხატის წარწერაში მოხსენიებულია ცნობილი წმინდანი გრიგოლ საკვირველთმოქმედი (გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქართველოს მუსეუმის მოამბე. ტ. V. ტფ. 1930, 166-167, 174).

ფაქტის უარყოფა საკმარისი არაა, საჭიროა მისი დასაბუთება, რისთვისაც აუცილებელია ბასილი ზარზმელის თხზულების ამ ეპიზოდში დაცული ცნობის ახსნა.

წმ. მიქაელ პარეხელი წმ. შიო მღვიმელის სულიერი მოწაფე და მიმდევარია, ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თხზულების წყაროების მოძიება. „წმ. მიქაელ პარეხელის ცხოვრება“, რომელზეც ნათლადაა მითითებული, რომ მისმა მოწაფეებმა აღწერეს, ცხადია, წმ. მიქაელის გარდაცვალების შემდეგ დაიწერა. ბასილი ზარზმელს წმ. მიქაელ პარეხელის შესახებ უშუალოდ ეს პირველწყარო ჰქონდა ხელთ. ბასილის დროს სერაპიონის თანამედროვეები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და, ცხადია, ავტორი მათი ცნობებითაც უხვად სარგებლობდა, მათ მონათხრობს ეყრდნობოდა. რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, როდესაც ჰაგიოგრაფი წმ. მიქაელს შიო მღვიმელის მოწაფედ მიიჩნევდა, „მამათაგან მომავალ“ ზეპირ გადმოცემას ეყრდნობოდა და ეს გადმოცემა კი ძველი დროიდან მომდინარე იყოო, ტექსტის სწორად გააზრების საფუძველზე მართებული ვერ იქნება. ვიდრე მოწაფეობის პრობლემას შევეხებოდე, უნდა აღინიშნოს, რომ „წმ. მიქაელ პარეხელის ცხოვრება“ ბასილის თხზულების თითქმის თანამედროვეა და მამათაგან მომავალ გადმოცემებში დიდი ხნის ამბები კი არ უნდა მოიაზრებოდეს, არამედ წმინდა მამათა მიერ მონათხრობი. მით უმეტეს, ავტორი წყაროდ „წმ. მიქაელ პარეხელის ცხოვრებას“ უთითებს. ბასილის სიტყვებიდან ჩანს, რომ მიქაელი იმ პირველ მამათა და შიო „საკვირველმოქმედის“ საქმის გამგრძელებელი იყო, რომლებმაც უდაბნოები ააშენეს.

წმ. მიქაელ პარეხელის წმ. შიო მღვიმელის მოწაფეობის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: მოწაფეობა შეიძლება ორგვარად გავიაზროთ: 1. პირდაპირი გაგებით – წმ. მიქაელ პარეხელი წმ. შიო მღვიმელის უმცროსი თანამედროვეა, მისი სულიერი აღზრდილი და მოწაფე; 2. არაპირდაპირი გაგებით კი წმ. მიქაელი წმ. შიო მღვიმელის მიმდევარი და სულიერი მოწაფე იყო, მის მსგავს ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეწეოდა, ამ თვალსაზრისით მისი თანამედროვე არაა. მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ წმ. შიო მღვიმეში ჩავიდა და იქ 27 წელი სულიერად იღვწოდა, მისი ზედწოდებაც ამას ემყარება. წმ. მიქაელიც, წმ. შიოს მსგავსად, პარეხში დამკვიდრდა და იქ დააარსა მონასტერი. აქედან გამომდინარე, წმ. მიქაელ პარეხელი წმ. შიო მღვიმელის მოწაფედ შეიძლება მივიჩნიოთ და მის მოწაფედ IX საუკუნის მოღვაწეც შეიძლებოდა წოდებულიყო. რაც შეეხება იმ ვარაუდს, რომ ცნობა წმ. მიქაელის შიო მღვიმელის მოწაფედ მიჩნევის შესახებ მეტაფრასტის მი-

ერ იყოს ჩაწერილი, საკამათოდ დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, ბასილი ზარზმელის თხზულებას მეტაფრასტის ხელი შეეხო. ქ. გაფრინდაშვილმა გამოთქვა საგულისხმო მოსაზრება, რომ წმ. მიქაელის წმ. შიო მღვიმელის მოწაფედ ხსენებას საფუძვლად დადებოდა ის ფაქტი, რომ ორივენი მემღვიმენი არიან, ორივემ მღვიმეში დააარსა მონასტერი, წმ. შიო მღვიმეში ჩავიდა და 27 წელი იქ იღვწოდა, ხოლო წმ. მიქაელ პარეხელი პარეხში, აგრეთვე, მღვიმეში მოღვაწეობდა. მკვლევარის აზრით, ამ მსგავსებათა გამო მიიჩნია ავტორმა წმ. შიო მღვიმელის მოწაფედ წმ. მიქაელ პარეხელი.[36]

წმ. მიქაელ პარეხელი ბასილი ზარზმელის თხზულებაში ყოველთვის „დიდ მიქაელად“ იწოდება და ბიბლიურ პერსონაჟთა სახისმეტყველებით წარმოჩნდება, რაც მის, როგორც წმინდანის ხატ-სახეს, ზეცად ამაღლებულისა და განღმრთობილის ნიშნებით ამკობს, ღმერთშემოსილად იხსენიებს, ხოლო ამ სახე-სიმბოლოთი განსაკუთრებული სასულიერო ღვაწლის მქონე პიროვნებები არიან შემკულნი.

ამრიგად, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ბასილ ზარზმელის „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ცალ-ცალკე წარმოსახული წმ. მიქაელ პარეხელის სახე სრულყოფილი არაა, რადგან ავტორთა მიზანდასახულობა წმ. მიქაელის ღვაწლის უშუალო წარმოჩენა არ იყო, მათ წმ. მიქაელის შესახებ საუბარი სჭირდებოდათ თავიანთი თხზულებების მთავარი პერსონაჟების უკეთ წარმოსასახავად, მთავარი ჰაგიოგრაფიული გმირის საჩვენებლად. ორივე თხზულების შინაარსის გათვალისწინებით კი წმ. მიქაელი საკმაოდ სახიერად და ხელშესახებად არის წარმოდგენილი, ასე რომ მათ საფუძველზე წმინდა მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი სწავლებისა და სასწაულების აღდგენა სავსებით შესაძლებელი გახდა. წმ. მიქაელ პარეხელის შესახებ ამ ორ თხზულებაში მოცემული ცნობები ერთმანეთს ავსებს.

[36] ქ. გაფრინდაშვილი. მიქელ პარეხელი გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებათა“ მიხედვით. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. №8. თბ. 2005, გვ. 42-47.

Nestan Sulava

MICHAEL PARECHELI IN GEORGIAN HAGIOGRAPHY

Summary

The notes about Michael Parecheli's life can be found in Giorgi Merchule's "St. Giorgi Khandzteli's Life" and Basili Zarzmeli's "St. Serapion Zarzmeli's Life". The hagiographic work "St. Michael Parecheli's Life" was written about St. Michael, the founder of Parechi monastery by the clergymen living and working in Parechi later, and the relevant notes can be found in the hagiographic work of Basili Zarzmeli, the abbot of Zarzma monastery. No manuscript of "St. Michael Parecheli's Life" has survived; it is considered lost. Michael mentioned in these two works is generally considered to be the same person (Ekv. Takaishvili, Iv. Javakhishvili, K. Kekelidze, L. Menabde, K. Gaprindashvili); however, according to the alternative opinion, two Michaels depicted in these two works are two different persons (M. Janashvili, P. Ingorokva, A. Bogveradze). Both opinions have their argumentation that is discussed in the article.

Neither work depicts St. Michael Parecheli's image completely, which can be explained by the intention the authors had while writing their works – they did not aim at honouring St. Michael's contribution but rather wanted to portray their main characters better, via talking about St. Michael. In both works, however, St. Michael's life is still described rather broadly so that the reader can reconstruct a full picture of the life, work, teaching and miracles of the Holy Father. The notes given in hagiographic works of Basili Zarzmeli and Giorgi Merchule complement each other and thus give a comprehensive picture of Michael Parecheli's life and work. The article discusses this subject in details.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

ალექსანდრე ბოშიშვილი

წარწერა ბარდუსის ციხიდან*

ბარდუსის ხეობა თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით თურქეთის რესპუბლიკაში, არზრუმის ილის (პროვინცია), შენკაიას ილჩეში (რაიონი) მდებარეობს. ბარდუსის ხეობის თანამედროვე სახელია გაზილერი, თუმცა ადგილობრივები, განსაკუთრებით ხეობის დასაწყისში მცხოვრებნი, მას „ლექსორს“ ან „კოპსაც“ ეძახიან.[1]

ბარდუსის ხეობა ძველი ქართული პროვინციის ტაოს ნაწილს წარმოადგენდა, ხეობაზე გადიოდა ტაოდან ბასიანისკენ და თანამედროვე სარიყამიშისკენ გადასასვლელი გზა.

ხეობა მდიდარია სხვადასხვა ეპოქის და სხვადასხვა მპყრობელ-მფლობელის მიერ აგებული საფორტიფიკაციო თუ საკულტო დანიშნულების

* ნაშრომი ეფუძნება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეების“ ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკაში (ისტორიულ ტაო-კლარჯეთში), 2014 წლის 13-19 ოქტომბერს მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის (ექსპედიციის წევრები: ისტორიკოსები: ჯაბა სამუშია (ხელმძღვანელი), ბონდო კუპატაძე, ალექსანდრე ბოშიშვილი, ლერი თავაძე, აკაკი ჩიქობავა, ოქროპირ ჯიქური, ხელოვნებათმცოდნე ნინო სილაგაძე, თურქოლოგი მზიხა ბუსკეთაძე, არქიტექტორი გიორგი ბაგრატიონი, მხატვარი ლევან სილაგაძე) დროს მოპოვებულ მასალას.

[1] ბარდუსის ხეობის შესახებ ნაშრომებიდან უნდა გამოვყოთ დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, სერგი ჯიქიას და ირინე გივიაშვილის ნაშრომები.: Д. Бакрадзе. Историко-этнографический очерк Карсской области, Известия Кавказского отдела императорского русского географического общества (Известия КОИРГО). т. VII, 1881; ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთოსში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი. 1938; ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III. გამოკვლევა (1. ხელნაწერის აღწერილობა, 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის). თბ. 1958; ი. გივიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა. „სამეცნიერო პარადიგმები“. კრებული ეძღვნება პროფესორ ნათელა ვაჩნაძეს. თბ. 2009, გვ. 654-674.

არქიტექტურული ძეგლებით. უნდა აღინიშნოს რამდენიმე მათგანი: პირველი ძეგლი, რომელიც ხეობაში შესვლისას შეგეხვდება ლექსორია, სადაც თავის დროზე მონასტერი უნდა ყოფილიყო, თუმცა წერლობით წყაროებში მის შესახებ ცნობები არ გვხვდება.[2] საინტერესო ძეგლია მზეჭაბუკ ათაბაგის (1500-1515 წწ.) სასახლე, არქიტექტურული კომპლექსი, რომელშიც გაერთიანებულია სასახლე, დარბაზული ეკლესია მზეჭაბუკ ათაბაგის წარწერით, კომპლექსში, ასევე, მრავლად არის სხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობების ნაშთებიც.[3]

აღსანიშნავია კლდეში, ბუნებრივ ტერასაზე, განლაგებული კოპის ციხე,[4] რომელიც, მისი მდებარეობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი რთულად ასაღები უნდა ყოფილიყო. ბარდუსის ხეობაშია, ასევე, პერტუსი,[5] ორთული და ორთულის ვანქი, სადაც 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დროს დაფიქსირებული წარწერების ნაწილი დღეისთვის დაკარგულია.[6]

ბარდუსის ხეობის სათავეში, მაღალი მთებით გარშემორტყმულ თანამედროვე სოფელ გაზილერთან (ზღვის დონიდან 2490 მ.), სამხედრო თვალსაზრისით სტრატეგიულად გამორჩეულ ადგილზე მდებარეობს ბარდუსის ციხე, რომელსაც დღეს ოფიციალურად გაზილერის ციხე ჰქვია. თუმცა ადგილობრივთა მეხსიერებაში ციხის ადრინდელი სახელი – ბარდუსი – კარგად არის ცნობილი.

ბარდუსის ციხე მისი მდებარეობიდან გამომდინარე ბარდუსის წყლის ხეობის მთავარ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. მისი მთავარი ფუნქცია სწორედ ხეობაში შემოსასვლელი გზების კონტროლი იყო. რასაც ადვილად გაუმკლავდებოდა. ბარდუსის ციხე, ერთი მხრივ, ბასიანისკენ, მეორე მხრივ,

---

[2] იხ. ი. გიუიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, 658; ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ, 46.

[3] ი. გიუიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, 662-665, ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 41-42.

[4] ი. გიუიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, 665-668, ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 42-43.

[5] ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 39-41.

[6] ი. გიუიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, 668-671, ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 39-41.

თანამედროვე სარიყამიშისკენ, ანუ ყარის ქვეყნისკენ, მიმავალი გზა გადიოდა. აქედან გამომდინარე, ქართველები მას სათანადო ყურადღებას აქცევდნენ და აქ ციხე-სიმაგრეც ყოველთვის სათანადოდ იყო გამაგრებული.

* * *

ბარდუსი წყაროებში „პარ(ტ)იზის//ჰარიზის ხეობის“ (ქართ.), „პარტიზაცფორის“ (სომხ.), „ბარდიზის“ (თურქ.) ფორმებით გვხვდება.[7] ქართული და სომხური საისტორიო წყაროების მიხედვით ნათელია, რომ ბარდუსის ხეობა ძველი ქართული პროვინციის ტაოს ნაწილს წარმოადგენდა.[8]

ბარდუსის ისტორიაც ისე წარიმართა, როგორც ტაოსი, იგი აღმოსავლურ-ქართველური სახელმწიფოს – ქართლის სამეფოს – წარმოქმნიდან (ძვ.წ. IV-III საუკუნეები) ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისამდე მის შემადგენლობაში შედიოდა. შემდეგ, როგორც ცნობილია, ტაო სომხებმა მიიტაცეს და მამიკონიანთა საგვარეულოს სამფლობელო გახდა. სომხეთის სახელმწიფოში შესვლა ტაოში სომხური კულტურის დანერგვასა და გაძლიერებას იწვევდა, ამას ხელს ასევე ჩამოსახლებული სომხური ეთნიკური ელემენტიც უწყობდა. ქართული მოსახლეობა თავის ეთნიკურ და კულტურულ სახეს თითქოს თანდათან კარგავდა. არმენიის შემადგენლობაში მოქცეულ ბარდუსის ხეობას სომხურად „ბარდაცფორი“ ეწოდა და იგი ტაოს ნაჰანგის ერთ-ერთი გავარი იყო, იგი ასევე, მამიკონიანების საკუთრებას წარმოადგენდა. VI-VII საუკუნეებში ბერდაცფორში, პარტიზაცფორსა და ბუხაში დიმაქსიანების სამთავრო შეიქმნა.[9]

591 წლიდან ტაო, ბარდუსის ხეობის ჩათვლით, ბიზანტიის ხელში გადავიდა.[10] მხოლოდ VIII საუკუნის მეორე ნახევარში მოახერხეს ბაგრატიონებმა ამ ტერიტორიების დაბრუნება. მალე მდინარე ბარდუსის წყალი იმიერ ტაოსა და ამიერ ტაოს საზღვრად გადაიქცა.[11]

---

[7] ვრცლად იხ. ი. გიგიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, გვ. 654.

[8] იხ. ი. გიგიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, გვ. 654; ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 245.

[9] ი. გიგიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, გვ. 654.

[10] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით.

[11] იხ. ი. გიგიაშვილი. ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, გვ. 654.

პირდაპირი ცნობები არ გვაქვს, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთიანი საქართველოს დროს, ბარდუსის ხეობა ტაოს საერისთავოში შედიოდა.[12] მოგვიანებით ტაომ მრავალი შემოტევა გადაიტანა, განსაკუთრებით დიდი სისასტიკით თემურ ლენგის შემოსევები დაატყდა 1400 წელს, ანუ ტაო საქართველოში თემურის მეექვსე ლაშქრობის შედეგად დაზარალდა.[13]

მოგვიანებით ბარდუსის ხეობა ჯაყელების რეზიდენციას წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს, თუნდაც მზეჭაბუკ ათაბაგის სასახლის კომპლექსი.

XVII საუკუნეში, ოსმალების მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ, ბარდუსის ხეობა ბარდუსის ნაჰიეს (რაიონი) სახით გაერთიანებული იყო ოლთუს (ოლთისის) ლივაში.[14] ბარდუსის ნაჰიეში 1694-1732 წლებში აღწერილი და დაბეგრილი იყო სოფლები: ჩათაკი, რაბათი, ოსკი[ჰათი] სალამალეიქი, თუთუმუში, კალმახი, ბაბოსი, არდოსი, ჩერმუქი.[15] ოსმალების მიერ სხვადასხვა წლებში შედგენილ დავთრებში მოხსენიებული სოფელი რაბათი, შესაძლოა, დღევანდელი სოფ. გაზილერის ტერიტორიაზეც მდებარეობდა. გაზილერი უშუალოდ ბარდუსის ციხის დაბლა არის გაშენებული. იქ მრავლად გვხვდება ძველი ნაგებობების ნაშთები. იქვეა წყაროც, რომელიც, ასევე, სოფლის ერთ-ერთ სიძველეს უნდა წარმოადგენდეს.

ბარდუსუს ციხის აშენების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ოსმალო მწერალი, ისტორიკოსი და მოგზაური ევლია ჩელები,[16] ის XVII საუკუნეში, წლების განმავლობაში, ოსმალეთსა და მის მოსაზღვრე მხარეებში მოგზაურობდა და საინტერესო ჩანაწერებს აკეთებდა.

1647 წელს ევლია ჩელები ახალციხეში იმყოფებოდა და, როგორც თვითონ აღწერს, ახალციხიდან ყარსის მიმართულებით გაემგზავრა. გზად სწორედ ბარდუსის ხეობა გაუვლია, უნახავს ციხე, რომლის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის.[17] ევლია ჩელები ბარდუსის ციხის აშენებას აღ-

[12] მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 276-283

[13] საქართველოს ისტორია. ოთხ ტომად. ტ. III. თბ. 2012, გვ. 99-100

[14] ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი. 1694-1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ. გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ. თბ. 1979, გვ. 79.

[15] ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, გვ. 104, 128, 130, 131 და სხვ.

[16] ევლია ჩელები თურქულად სახელის მართლწერას ნიშნავს.

[17] ნ. შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ. 1974, გვ. 62; ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნი". თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I. ქართული თარგმანი. თბ. 1971.

ყოინლუს თურქმანებს[18] უკავშირებდა და ციხის ირგვლივ არსებულ ნაგებობასა და სავაჭრო რიგებზეც მიუთითებდა.

„ბარდუზის ციხე ყარსის საბრძანებელშია და აშენებულია აკყოინლუს მეფე იზ ედ-დინის[19] მიერ, ასეა დაწერილი მისი თარიღი ჯილის დამწერლობით[20] ციხის ზემოთა მხარეს. ციხე ერთი ხევის ნაპირას მდებარეობს ოთხკუთხა, ქვის შენობაა. ციხისთავის ქალიშვილს ასორმოცდაათამდე საქველმოქმედო ნაგებობა აქვს. ჯამე, მეჩეთი, სასარგებლო მცირე აბანო, სავაჭრო რიგი და ბაზარი აქვს. იქიდან სამხრეთით ვიარეთ და გეჯკოვან-დუდმანის ციხესთან მივედით...“.[21]

ბარდუსის ხეობა შეტანილია ოსმალების მიერ დაპყრობილი ქართული პროვინციების 1595 წლის აღწერაში, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სახელით არის ცნობილი.

დავთარში დასახელებულია სოფ. ფერთუსი, რომელიც რვაკომლიანი ყოფილა. ექვემდებარებოდა ფანასკერტს და ხუთი ათასი აზჩა ჰქონდა შეწერილი. სოფლის სახელის წაკითხვას დოკუმენტის გამომცემელი პროფ. სერგი ჯიქია კითხვის ნიშნით აღნიშნავს,[22] რადგან, როგორც თვითონ წერს, „დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არ აქვს, მაგრამ ასოთა მოხაზულობის მიხედვით სავსებით დასაშვებია მისი ფერთუს-ად წაკითხვა“.[23] რადგან ეს სოფელი ფანასკერტის მხარეს არის სავარაუდებელი, ხოლო ცნობილი ბარდუსი ოლთისისკენ არის, ამიტომ ავტორი ეჭვს გამოთქვამს, რომ ეს ფერთუსი, შესაძლოა, სხვაგან ყოფილიყო და იგი ფანასკერტის მხარეში მდება-

[18] „აღ-ყოინლუ“, ანუ „თეთრბატკნიანთა“ თურქმანული სახელმწიფო XIV-XV საუკუნეებში არსებობდა და თანამედროვე ირანს, ერაყს, სამხრეთ კავკასიისა და მცირე აზიის ნაწილს მოიცავდა. სახელი „თეთრბატკნიანები“ დროშაზე გამოსახული თეთრი ბატკნის გამო დაერქვათ. არსებობდა „ქარა-ყოინლუც“, ანუ „შავბატკნიანების“ სახელმწიფო. ორივე თემურ ლენგის სახელმწიფოს ნანგრევებზე იყო აღმოცენებული, მათ ადგილზე კი 1501 წლიდან სეფიანთა ირანი გამოჩნდა.

[19] ევლია ჩელები, ალბათ მუის ად-დინს გულისხმობს, რომელიც 1444-1451/52 წლებში თეთრბატკნიანებს ხელმძღვანელობდა.

[20] წარწერას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ.

[21] ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნი“. ნაკვ. I, გვ. 305.

[22] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III, გვ. 586-587; ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები და ურთო სერგი ჯიქიამ. წ. II. თარგმანი. თბ. 1941, გვ 379, 399.

[23] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III, გვ. 586.

რეობდა. რაც შეეხება სახელს, შეიძლება მას ნერთუსი, თერთუსი ან სხვ. რქმეოდა, ამიტომაც მიაჩნია სერგე ჯიქიას, ამოკითხვა საეჭვოდ და თვლის, რომ ვიდრე ახალი მასალა არ აღმოჩნდება, კითხვითი ნიშანი უნდა დარჩეს.[24]

სერგი ჯიქია ცალკე განიხილავს ბარდუსის ნაჰიეს, დავთარში ციხის შესახებ ცნობები არ არის, თუმცა საუბარია რაბათზე, ადგილზე, რომელიც ბარდუსის ციხის რაბათს უნდა წარმოადგენდეს, იმ დროს იქ 66 კომლ ბერძენს უცხოვრია.[25]

* * *

XVIII საუკუნეში ბარდუსის ხეობაში კათოლიკე მისიონერები ყოფილან. ამის შესახებ უფრო ვრცლად საუბრობს მიხეილ თამარაშვილი თავის ცნობილ ნაშრომში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. კათოლიკეები XVIII საუკუნეში ახალციხეში შეუვიწროვებიათ და ისინიც იძულებულნი გამხდარან, ბარდუსში გახიზნულიყვნენ, სადაც კლდეში დამალულან. ბარდუსის კლდეებში დამალულ ერთ-ერთ პატრს 1769 წელს რომში, კარდინალთან, დახმარების სათხოვნელი წერილიც გაუგზავნია.[26]

იმ პერიოდში ბარდუსის ხეობის გამგებელი ნომან ფაშა ყოფილა, სწორედ მისი ნებართვით 1770 წელს, რომიდან მოსული საპასუხო წერილის შემდეგ, პატრები ბარდუსის ციხიდან გამოუშვეს. „წავიდნენ და პატრები მოიყვანეს ბარდუზის ციხიდამ. სამი ოთხი დღე პატრები მამასახლისი პეტრეს სახლში იყვნენ. მარამდინ მამასახლისი ფაშისაგან დასტურს აიღებდა პატრების სახლის დაცლისათვინ“.[27]

* * *

მოგვიანებით, XIX საუკუნეში, ბარდუსის ხეობა და ბარდუსის ციხე აქტურად გამოჩნდა რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს. როგორც ჩანს, ოსმალებმა ბარდუსის ციხე აღადგინეს. ამ პერიოდიდან ის უკვე რუსებისგან თავდაცვის ობიექტად გამოიყენებოდა. რუსებმა ციხეზე პირველი იერიში რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის მიმდინარეობისას მიიტანეს.

---

[24] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III, გვ. 586-587.
[25] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III, გვ. 596.
[26] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ. 1902, გვ. 443.
[27] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 445.

ბარდუსის ციხეს რუსეთის იმპერიის არმიის მე-13 გრენადერთა პოლკმა ახალციხის ოსმალებისგან განთავისუფლების შემდეგ შეუტია, მაშინ, როდესაც საქართველოს ისტორიული ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარი უკვე ყარსის და არზრუმის მიმართულებით ახორციელებდა შეტევებს. 1829 წლის 17 ივნისს ბარდუსის ციხესთან მომხდარი შეტაკება რუსების გამარჯვებით დასრულდა.[28] ცნობილია, რომ 19 ივნისს რუსები უკვე სოფელ კიანლის უტევდნენ, ხოლო 27 ივნისს მათ არზრუმიც აიღეს.[29]

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დასრულების შემდეგ ბარდუსი ბერლინში გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოჩნდა. ბერლინის ცნობილ ტრაქტატში რუსეთისა და ოსმალეთის საზღვრის ერთი მონაკვეთი სწორედ ბარდუსზე გადიოდა.[30] XIX საუკუნეში რუსული ადმინისტრაციის შექმნის შემდეგ ბარდუსი ყარსის ოლქის ოლთისის უჩასტკაში იყო გაერთიანებული.

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის წარმოებული სარიყამიშის ბრძოლის დროს, ოსმალებმა სწორედ ბარდუსის ციხის დაპყრობით დაიწყეს რუსულ არმიაზე შეტევა, თუმცა რუსებმა მოახერხეს მისი უკან დაბრუნება. სარიყამიშის ბრძოლებისას ბარდუსის ციხე არაერთხელ გახდა ბრძოლის ველი.

* * *

ბარდუსის ციხის გალავნის დიდი ნაწილი დღეისთვის საკმაოდ კარგად არის შენარჩუნებული, განსაკუთრებით შესასვლელის მხარე და ბურჯები. გალავანს ორ იარუსად გასდევს ხის ძელურები, რომლებიც, როგორც ჩანს, მშენებლობის დროს კედლის გასამაგრებლად გამოიყენებოდა. კედლებში ჩაშენებული დღემდე შენარჩუნებული ხის ძელურები, მათ შორის კუთხეებშიც, გვაფიქრებინებს, რომ ციხის ეს ნაწილები შედარებით გვიან უნდა იყოს აშენებული.

---

[28] http://adjudant.ru/erivan/letopis.htm.

[29] Д. Ф. Шабанов. Краткая историческая записка о службе 13-го Лейб-гренадерского Эриванского Е. И. В. полка. Тифлис. 1875, გვ. 19-20; П. О. Бобровский. История 13-го Лейб-Гренадерского Эриванского Его Величества полка за 250 лет. Часть I.

[30] იხ. Берлинский трактат (1878). Берлин, 1/13 июля 1878 г. Статья LVIII. Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М. 1952, გვ. 205. ვებ ვერსია: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/FOREIGN/berlin.htm.

ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში კარგად შენარჩუნებული ოთხკუთხა გოდოლია (დაახლ. 8 მ. სიმაღლის). გოდოლის კუთხეები ფერადი (შავი, თეთრი, წითელი) საპერანგე ქვით არის ამოყვანილი. გოდოლის სამხრეთ კედელში ჩაშენებულ ქვებზე კი ქართული ორნამენტები შეიმჩნევა. ეს ქვები მშენებლობაში აშკარად ეკლესიის დანგრევის შემდეგ არის გამოყენებული, იგი ეკლესიის პერანგის მოსაპირკეთებელი ქვები უნდა ყოფილიყო.

ბარდუსის ციხეს მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. მართალია, კედელი გამონგრეულია, მაგრამ კარიბჭის სამხრეთი მხარე და თაღის ნაშთი კარგად არის შენარჩუნებული. ციხის ინტერიერის ჩრდილოეთის მონაკვეთში არის ხელოვნური ბორცვი, რომელიც, როგორც ჩანს, ნაგებობის (სასახლე ან ეკლესია) დანგრევის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი. ციხის ცენტრში ნაგებობის ნაშთი იკითხება (იხ. გეგმა). მთლიანობაში ციხის შიდა ტერიტორია, ალბათ, 5 და მეტი მეტრის სიმაღლეზე, მიწით არის ამოვსებული, იმდენად, რომ გარე გალავანის დაბოლოება (ქონგურის დონე) რამდენიმე მონაკვეთში ინტერიერის ზედაპირის დონეზეა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ციხის ტერიტორიაზე მრავლად უნდა ყოფილიყო შენობა-ნაგებობები და თვით გალავანიც ბევრად მაღალი იქნებოდა.

კარიბჭის ჩრდილოეთ მხარეს კედელი გამონგრეულია, მაგრამ სამხრეთის მხარე და თაღის ნაშთი კარგად არის შენარჩუნებული. კარიბჭის სწორედ ამ შენარჩუნებულ მარჯვენა კუთხის კედელზე დაახლოებით 3,5 მეტრის სიმაღლეზე ჩაშენებულ მოწითალო ფერის ქვაზე ამოკვეთილია ორსტრიქონიანი, კიდურწაისრული, განუსხურებული ასომთავრულით შესრულებული მოსახსენებელი წარწერა.[31] ქვას დაზიანებები არ ემჩნევა, სავარაუდოდ, ეკლესიის კედლის დანგრევის შემდეგ არის იგი ციხის კედელში ჩაშენებული.

წარწერაში სიტყვები ერთმანეთისგან არ არის დაცილებული, არ არის გამოყენებული განკვეთილობის ნიშნები. ქარაგმის ნიშნები საშუალო ზომის, სწორი ხაზებია. წარწერა ორხაზში არ არის ჩასმული, იგი მოთავსებულია ოთხხაზოვან საწერ ბადეში. ⴒ(ქ), ⴓ(ე), ⴖ(გ) ასონიშნები მთავრულია, ⴟ(შ), ⴔ(ე) ასონიშნები თითქმის განუსხურებულია, ხოლო ⴀ(ა) და ⴋ(ლ) ასონიშნები ნუსხურია.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, წარწერა, სავარაუდოდ, X საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. დათარიღების საფუძვლად შეიძლება ავიღოთ ამ პერიოდისთვის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი. პირველ რიგში, გასათვა-

[31] წარწერა ექსპედიციის წევრმა გიორგი ბაგრატიონმა შენიშნა.

ლისწინებელია, რომ IX საუკუნიდან განსაკუთრებით კი X საუკუნეში, მთავრულ დამწერლობაზე ნუსხურის გავლენაა დამახასიათებელი.[32] IX საუკუნიდანვე ასონიშნებზე ჩნდება დამატებითი წაგრძელებული ხაზები.[33] XI საუკუნიდან ნუსხურის გავლენა მთავრულზე მცირდება და ასომთავრულიც თავის ძველ ფორმას უბრუნდება, მაგრამ ზოგიერთ ასონიშანზე, მაგ., Ⴊ(გ), Ⴗ(ე), Ⴢ(ვ), Ⴆ(ლ) ასოებზე ნუსხურიდან დამატებითი განივი ხაზები დარჩა.[34] ამდენად, ბარდუსის ციხეზე მიკვლეულ წარწერაში ასოებზე არსებული დამატებითი განივი ხაზები, რომლებიც სწორედ Ⴗ(ე), Ⴊ(გ), *ⴖ*(ლ) ასონიშნებს აქვთ,[35] აღნიშნულ დათარიღებას უჭერს მხარს. ამის დამადასტურებელი არგუმენტებია ასევე, წარწერის ასოების გაკუთხოვნებისა და განუსხურებისკენ მიდრეკილება Ⴓ(შ) და *ⴗ*(ე) ასონიშნების შემთხვევაში და ნუსხური *ⴑ*(ა) და *ⴖ*(ლ) ასოების არსებობა.[36] Ⴓ(შ) რკალგახსნილია. უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდისათვის დამახასიათებელია განკვეთილობის ნიშნების უქონლობა და წარწერის ორხაზოვანის ნაცვლად, უკვე ოთხხაზოვან საწერ ბადეში შესრულება.

საყურადღებოა Ⴊ(გ)-ს შემთხვევაც. როგორც თავის დროზე ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, IX საუკუნიდან Ⴊ(ბ), Ⴔ(ფ), ⴒ(ბ), Ⴒ(წ) და Ⴢ(ვ) ასოების ქვედა კიდურები ორ ხაზს შორის ვეღარ ეტევიან და ხან ოდნავ, ხან კი საგრძნობლად სცილდებიან მას. ეს საყურადღებო მოვლენა შემდეგში უფ-

---

[32] იხ. ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 29.

[33] ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 32.


[34] ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 29.

[35] იხ. ლ. ახალაძე. ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების პალეოგრაფიული მიმოხილვა. წგნ.: ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები. გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ე. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ, რ. ქავრელიშვილმა. თბ. 2012, გვ. 163; ტერმინი „კიდურწაისრული“ სამეცნიერო ლიტერატურაში ე. სილოგავამ შემოიტანა და დაამკვიდრა (ე. სილოგავა. ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში. „მაცნე“ (ისტორიის... სერია). №4. თბილისი. 1974). აქვე უნდა ითქვას, რომ კიდურწაისრული დამწერლობის ნიმუშებს მკაცრად განსაზღვრული ქრონოლოგია, X-XI სს. აქვს. (იხ. ლ. ახალაძე. ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების მიმოხილვა, გვ. 164).

[36] მაგალითისთვის იხ. ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 134, 138, 141, 147 და სხვ.

რო გაძლიერდა. ამ მხრივ აღსანიშნავია Ⴗ(გ)-ს კიბის მსგავსად გამოყვანილი კუდი IX ს. ძეგლების დამწერლობაში.[37] სწორედ მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე ბარდუსის ციხის წარწერის Ⴗ(გ)-ს შემთხვევაშიც.

ბარდუსის ციხის კედელში ჩაშენებული წარწერა შეიძლება ასე წავიკითხოთ:



„ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე | გ(იორგი) ა(....)ლ“ ან
„ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე | გა(ბრიე)ლ“ (?).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაბრიელის მოხსენიება, ალბათ, უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რადგან Ⴗ(გ)-სა და a(ა)-ს შორის არსებული ქარაგმა თითქოს გაბრიელის სახელის ამოკითხვის საშუალებას არ გვაძლებს. იმავე პერიოდის წარწერებში სახელი გაბრიელი ასეა დაქარაგმებული: ⴂⴗⴀⴆ – გ(ა)ბრ(ე)ლ.[38] აქვე უნდა ითქვას, რომ წარწერებში სახელი გიორგი უმეტეს შემთხვევაში მოცემულია ორი ან მეტი (ⴂ, ⴂⴂ)[39] ასონიშნით. თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, სადაც მხოლოდ Ⴗ(გ) ნიშანია წარმოდგენილი და წარწერაში ქარაგმა გახსნილია, როგორც გიორგი.[40]

---

[37] ი. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია. თხზულებანი 12 ტომად. ტ. IX. თბ. 1996, გვ. 185; ლ. ახალაძე. ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების პალეოგრაფიული მიმოხილვა, გვ. 162.

[38] იხ. უდის (ახალციხის მუნიც.). X ს-ის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერა, ფოკის (ნინოწმინდის მუნიც.) X ს-ის ეკლესიის წარწერა და სხვ. (იხ. ჯავახეთის ქართული ლაპიდარული წარწერები. ჯავახეთის ეპიგრაფიკის კორპუსი, გვ. 121; ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 139).

[39] ჯავახეთის ქართული ლაპიდარული წარწერები. ჯავახეთის ეპიგრაფიკის კორპუსი, გვ. 102, 127, 135 და სხვ.; ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ 144 და სხვ.

[40] მლოცველების მოსახსენებლები (პილიგრიმული წარწერები). ატენი. X-XI სს. ნუსხურნარევი ასომთაერული წარწერა (იხ. ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 217).


ცნობილია, რომ მოსახსენებელ წარწერებს ეკლესიის კედლებზე სხვადასხვა სახით და ხერხით აწერდნენ (ნაკაწრი, გრაფიტი და სხვ.). მოსახსენებლებს, ძირითადად, კვეთდნენ ქტიტორები, ხუროთმოძღვრები, მოძღვარ-ხელოსნები, ეკლესიის უფლები (საერო და სასულიერო) და მხარის გამგებლები, შემწირველები, მლოცველები, პილიგრიმები. წარწერებში აღაპისა და ჟამის წირვის შესახებ აღნიშნული არ არის, მაგრამ წარწერით ავტორის სახელის მოხსენიება წამკითხველის მიერ სამუდამოდ რჩებოდა.[41] ვინ არის წარწერაში მოხსენიებული გიორგი (ან გაბრიელი), რთული სათქმელია, რადგან იგი მხოლოდ სახელით არის მოხსენიებული, შესაბამისად, მასზე ვრცელი ინტერპრეტაციის გაკეთება შეუძლებელია. თუმცა, წარწერაში მოხსენიებული პიროვნების იდენტიფიცირებისთვის უნდა გავითვალისწინოთ X საუკუნის II ნახევრის პოლიტიკური მოვლენები. იმ პერიოდში ქართველები არაბების წინააღმდეგ აქტიურად და წარმატებით იბრძოდნენ, ამიტომ ბიზანტია იძულებული იყო, მუსლიმებისთვის ქართველების მიერ წართმეულ ტერიტორიებზე ტაოს მეფის ძალაუფლება ეცნო. შესაბამისად, ტაოს ეს ნაწილი და ბასიანი ტაოს მეფე დავით III-ის სამფლობელოს წარმოადგენდა.[42]

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ბარდუსის ხეობის ჩამკეტი ციხის ფლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა ტაოს მეფისთვის, რადგან ხეობის ბოლოში, თანამდეროვე შენკაიას ტერიტორიაზე, ტაოს პოლიტიკური ცენტრი, ბანა, მდებარეობდა, სადაც მეფე დავით III იჯდა ტახტზე. ამიტომ მას თავისი სამეფოს დასაცავად ბარდუსის ხეობაში როგორც სამხედრო, ისე საეკლესიო გავლენისთვის, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ექნებოდა გატარებული. შესაბამისად, ადვილად სავარაუდებელია, რომ ბარდუსის ციხეზე ეკლესიის აშენება და მასზე გაკეთებული წარწერა სწორედ დავით III-ის მეფობის პერიოდს დავუკავშიროთ.


[41] ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 26.

[42] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ 476-480 და სხვ.; საქართველოს ისტორია. ოთხ ტომად. ტ. II. თბ. 2012, გვ. 217-218.


გაზილერის ციხე




გაზილერის ციხის ჭრილი



ბარდუსის (გაზილერის) ციხის გეგმა და ჭრილი.
ავტორი – გიორგი ბაგრატიონი



ბარდუსის (გაზილერის) ციხე.
თანამედროვე რეკონსტრუქცია
ავტორი – ლევან სილაგაძე



ბარდუსის (გაზილერის) ციხე. 2014 წ.
მითითებულია წარწერის ადგილი



ბარდუსის (გაზილერის) ციხე, 2014 წ.



ბარდუსის (გაზილერის) ციხე. წარწერიანი ქვის ფოტო. 2014 წ.

Alexander Boshishvili

INSCRIPTION FROM BARDUSI FORTRESS

Summary

The Bardusi Gorge belonged to the province of Tao. According to the administrative division of the Republic of Turkey, the Bardusi fortress is located in Şenkaya İlçe (district) of Erzurum ili (Province). The modern name of Bardusi is Gaziler.

The Bardusi fortress is located in the beginning of the Bardusi Gorge and is mentioned in a number of Georgian, Turkish and other sources. Several important roads crossed the fortress from Tao to Basiani and Kars. This explains the importance of the fortress and the need to have it constantly fortified.

Nowadays, the fortress is heavily damaged. Ornamental stones are put in its walls. This could mean that they were re-used after the collapse of the church which was on the territory of the fortress. On one of such stones there is 10^{th} century Georgian inscription. The inscription mentions Giorgi (or Gabriel), who asks for God's forgiveness.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

ლერი თაყაძე

მაგისტროსი ქაიან იბერიელი

ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწერე ქართველ მაგისტროსებს შორის აუცილებლად გამოსაყოფია ქართული საისტორიო ნარატივით დღემდე უცნობი მაგისტროსი ქაიანი.[1] ამ პიროვნების შესახებ ბიზანტიური საბეჭდავიდან ვიგებთ, რომელიც კერძო კოლექციონერის, დიმიტრი თეოდორიდისის, კოლექციაშია დაცული, საინვენტარო № 171.[2]

მაგისტროს ქაიან იბერის საბეჭდავი 2010 წელს გამოქვეყნდა ცნობილი ბიზანტინოლოგის, ჟან-კლოდ შენესა, და კოლექციის მეპატრონის, დიმიტრი თეოდორიდისის, თანაავტორობით.[3] აღნიშნული საბეჭდავი მანამდე გამოუქვეყნებელი იყო და მას ანალოგი არ მოეპოვება სხვა სიგილოგრაფიის ნიმუშებს შორის. ვიძლევით აღნიშნული საბეჭდავის აღწერილობას შენესა და თეოდორიდისის მიხედვით:

საინვენტარო ნომერი 171.

აღწერა: დამღა საკმაოდ კარგად არის დასმული ცენტრში; საბეჭდავის ორივე მხარეზე არსებული მრავალი წერტილი მიანიშნებს მის გაცვეთაზე; შეიმჩნევა ხაზები, რომლებიც გრავიურაზე მიგვანიშნებს.

დიამეტრი: 20.

---

[1] აღნიშნული სტატია ეფუძნება 2015 წლის 13 ნოემბერს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებას სათაურით, „მაგისტროსი ქაიანი (იბერიელი) დიმიტრი თეოდორიდისის კოლექციაში დაცული საბეჭდავის მიხედვით“. უახლოეს მომავალში სტატია ქვეთავის სახით დაიბეჭდება ჩვენს მონოგრაფიაში, „მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში“.

[2] J.-C. Cheynet, D. Theodoridis. Sceaux byzantins de la collection D. Theodoridis: Les sceaux patronymiques. Paris. 2010, გვ. 102-103, №88.

[3] J.-C. Cheynet, D. Theodoridis. Sceaux byzantins de la collection D. Theodoridis: Les sceaux patronymiques, გვ. 102-103.

გამოუცემელი.

შუბლი: ხაზოვან რკალში მოთავსებული წმინდა დემეტრეს გამოსახულება, საკმაოდ მკაცრი იერით, დგას და მარჯვენა ხელში შუბი უპყრია, ხოლო მარცხენაში – პატარა სამკუთხა ფარი. შემოსილია მანტიით და თავზე შეიმჩნევა შარავანდი. გამოსახულების ორივე მხარეს, შუბის მარცხნივ და ფარის მარჯვნივ, ვერტიკალურად შესრულებული საშუალო ზომის წარწერა: Θ|Δ|I|M|I – Ṭ|PI|O|C – Ὁ ἁ(γιος) Διμίτριος (წმინდა დიმიტრი).

ზურგი: ხუთსტრიქონიანი ლეგენდა, რომელსაც წინ ჯვარი აქვს დართული: † KERΘ|KAIANI|MAΓICTP|TONIRH|PON – † K(ύρι)ε β(οή)θ(ει) Καίανι μάγιστρ(ον) τὸν Ἰβήρον († უფალო, შეიწყალე კაიანი, მაგისტროსი, იბერი).[4]

გამომცემლები აღნიშნულ საბეჭდავს XI საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ.[5] დათარიღება უფრო წარწერისა და სტილისტური ნიშნების მიხედვით ხდება, ვინაიდან, როგორც თავად გამომცემლები აღნიშნავენ, სახელი „კაიანი“ უცნობია სხვა მასალებით. მათივე შენიშვნით, სახელის პირველი ასო-ბგერის, “K”-ს, თავი ცოტა დაშვებულია, რის გამოც “R”-ს (ეს გრაფემა ბიზანტიურ სფრაგისტიკის ნიმუშებზე ბერძნულ „ბეტას“ შეესაბამება და იკითხება, როგორც „ვ“) ჰგავს და გვაგონებს კავკასიაში გავრცელებულ ვაანესის სახელს.[6] აღნიშნული შენიშვნა არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან თვით წიგნზე დართულ ფოტოასლშიც კარგად იკითხება ასო-ნიშანი “K”. ამასთან, „ვაანეს“-ში გამომცემლები, ალბათ, „ვაჰანს“ გულისხმობენ, რასაც საერთოდ ვერ ვამსგავსებთ საბეჭდავზე მოცემულ საკუთარ სახელს. ბეჭედზე დასმული საკუთარი სახელის პირველი ასო-ნიშანი, არასწორადაც რომ გადმოეცა ოსტატს ვაანეს/ვაჰან/ჰოვანესის, წაკითხვაში ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სახელის მესამე ასო-ნიშანი, იოტა (I), რომელიც ალფასთან (A) კომბინაციაში (AI) ამ პერიოდში „ე“-დ იკითხება, შეიძლება მათი დამოუკიდებლად წაკითხვაც. ამ შემთხვევაში “AI” დამოუკიდებლად „აი“-დ უნდა იქნას წაკითხული, როგორც ეს კოინეს დიალექტისთვის არის დამახასიათებელი. ორივე შემთხვევაში იოტა ხელისშემშლელია ვაანეს/ვაჰან/ჰოვა-

[4] J.-C. Cheynet, D. Theodoridis. Sceaux byzantins de la collection D. Theodoridis: Les sceaux patronymiques, გვ. 102.

[5] J.-C. Cheynet, D. Theodoridis. Sceaux byzantins de la collection D. Theodoridis: Les sceaux patronymiques, გვ. 102.

[6] J.-C. Cheynet, D. Theodoridis. Sceaux byzantins de la collection D. Theodoridis: Les sceaux patronymiques, გვ. 102.

ნესის წაკითხვაში. ამასთან, წარწერა გრაფიკულად იმდენად კარგად არის შესრულებული, რომ მის სისწორეში ეჭვის შეტანა რთულია.

ვფიქრობ, რომ სახელი ბერძნულად სწორად უნდა იყოს გადმოცემული და ის კორექტირებას არ საჭიროებს. მართალია – XI საუკუნეში მოღვაწე წარჩინებულ ქართველ ფეოდალთა შორის ამ სახელის მქონე პიროვნებას ვერც ჩვენ ვაფიქსირებთ, მაგრამ ეს ფაქტი არ გამორიცხავს სახელის რეალურობას. ქართულ წყაროებში ბევრი სახელია დაფიქსირებული, რომელსაც სხვა ნარატიულ წყაროებში ანალოგი არ ეძებნება. წარწერის სახელი ქართულად შეიძლება გადმოიცეს, როგორც კეანი, ქეანი, კაიანი, ან ქაიანი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში AI(αί), როგორც დიფტონგი „ე“ ხმოვნის სახით გამოითქმოდა, ჩვენ უპირატესობას მაინც ბოლო ვარიანტს – ქაიანს ვანიჭებთ. მიზეზი ის არის, რომ სწორედ ამ სახელს ვაფიქსირებთ ქართულ სინამდვილეში, რაც სპარსულიდან უნდა იყოს მიღებული.

„შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში (XVI-XVII სს.) დაფიქსირებულია სახელი ქაიანი. ქაიანის სახლი სპარსეთის სამეფოს დინასტიაა (შდრ. აქემენიანი), რომლის დამაარსებელი, „შაჰ-ნამეს“ მიხედვით, იყო მეფე ქაიანი. ამ დინასტიის წამომადგენელი და მემკვიდრეა „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი გმირი ფრიდონი. „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში სამეფო დინასტია, ქაიანი, სამეფოს მნიშვნელობითაც დამკვიდრდა, რის გამოც ხშირად იხმარება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: ქაიანური დროშა, ქაიანური სარტყელი, ქაიანური ლახტი, ქაიანური ქუდი და სხვა. „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში მოხსენიებულია ქაიან ხელმწიფის გვარის წარმომადგენლებიც, ანუ ქაიანური დინასტიის წევრები. მეტი თვალსაჩინოებისთვის ურიგო არ იქნება აღნიშნული მასალის მოხმობაც. მეფე ქაიანის გვარის შესახებ „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში ვკითხულობთ:

„ფაშოთან ქაიან ჴელმწიფისა ნაშობი გვარისა უფლისწული იყო“.[7]

„შაჰ-ნამეს“ მიხედვით, ქაიანი არა მხოლოდ მეფე, არამედ ძლიერი სამეფო დინასტიის დამაარსებელიცაა. ამ დინასტიის ერთ-ერთი წევრია ზემოხსენებული ფაშოთანიც. ფ. იუსტის მიხედვით, სახელი ავესტურ კავაია-ს უკავშირდება, რაც სამეფოს შთამომავლობას ნიშნავს. „კავი“ ამ შემთხვევაში მეფეს აღნიშნავს.[8] ტერმინი „ქაიანი“ სახელის გარდა, ყველაფერი სამეფოს

[7] შაჰ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. III. გამოც. დავით კობიძემ. თბ. 1974, გვ. 555.

[8] F. Justi, Iranische Namenbnch, 159; შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. III, გვ. 645.

აღსანიშნავადაც დამკვიდრდა. „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში ვკითხულობთ:

„აწ დროშა ქაიანური მისაგან გამოსულია...“[9]

„და აგრე წარმოვიდა ფრიდონ ჴელმწიფე ტახტოსან-გვირგვინოსანი და გამოიძღუანა ქაიანური დროშა წინა“.[10]

„მოიჴადა ქაიანური ქუდი და მძიმე რომ იავუნდისა კუბო ჯდა, სამოც ათას დრაკანად დაფასებული იყო, ხოსროულისა ტანისამოსითა შემოსა და კარგი აბჯარი და ოქროს აკაზმულობანი, ცხენი და სჴვაცა დია საქონელი მისცა“.[11]

„და ქაიანურისა მძიმე ლახტისა ცემისაგან, ყოველთა თავადთა თავები ზურგად შეიქმნა და ალმასფერისა, მკვეთსა ჴლმისაგან მიწა სისჴლისა ღელესა ადენდა“.[12]

„ქაიანური სარტყელი წელთა შემოირტყა და ყველასა ზედან ბაბრაბიანი ჯაჭვი ჩაიცვა“.[13]

ამგვარად, სიტყვა „ქაიანი“, ზოგადი, სამეფო მნიშვნელობით იხმარება, სამეფო დინასტიის გარდა, მას სამეფო დროშის, ლახტის, სარტყლის, ქუდის და სხვა მნიშვნელობებიც გააჩნია. თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის არის, რომ სამეფოს გვარის დამაარსებელი ხელმწიფე ქაიანის პოპულარობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მისი სახელი დინასტიის გარდა, ყველა სახის სამეფო აღკაზმულობასაც ამშვენებდა. ბუნებრივია, ამ სახელის გამოყენება „შაჰ-ნამეს“ პოპულარობასთან ერთად უფრო ხშირი უნდა გამხდარიყო, მათ შორის იქ, სადაც „შაჰ-ნამეს“ ნაწარმოებები ცნობილი და პოპულარულია. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა, სადაც „შაჰ-ნამე“ ადრევე ითარგმნა, საქართველოა. მართალია, შემორჩნილი ძეგლებიდან „შაჰ-ნამეს“ ქართულის ვერსიების ყველაზე ძველი ნაწყვეტები XV საუკუნით თარიღდება, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, მისი თარგმანი ჯერ კიდევ XII საუკუნეში უნდა არსებულიყო. ამ ნაწარმოებს ისტორიული წყაროების („ქართლის ცხოვრების“ ტექსტები) გარდა, იცნებდნენ XII საუკუნეების ქართველი მწერლებიც, მათ შორის: შოთა რუსთაველი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და სხვები.[14]

ამგვარად, როგორც ვადგენთ, ბიზანიტურ საბეჭდავზე მოხსენიებული

[9] შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. III, გვ. 115, სტ. 444, 1.
[10] შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. III, გვ. 204.
[11] შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. III, გვ. 508.
[12] შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. III, გვ. 604.
[13] შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. III, გვ. 604.
[14] ქართული მწერლობა. ტ. I. თბ. 1984, გვ. 255.

KAIANI ქართულად „ქაიანი"-ს შეესაბამება და ეს სახელი ქართველებისთვის „შაჰ-ნამედან" უნდა ყოფილიყო ცნობილი, შესაბამისად, ამ სპარსული ნაწარმოების გავლენით დამკვიდრებული ქართული ონომასტიკაში.

სამწუხაროდ, ქართული წყაროებიდან მაგისტროს ქაიან იბერის შესახებ სხვა ვერაფრის გარკვევა ვერ ხერხდება. ეს შესაძლოა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ქაიან იბერი, ძირითადად, ბიზანტიაში იკეთებს კარიერას, რის გამოც ქართული საისტორიო ნარატივი მის შესახებ დუმს.

საბეჭდავის შუბლზე ასახული წმინდა დემეტრეს გამოსახულებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქაიანი სამხედრო მოღვაწე იყო, სხვა შემთხვევაში მფარველად მეომარი წმინდანი ოფიციალურ ინსიგნიაზე არ იქნებოდა აღბეჭდილი. სამხედრო სამსახურის შესაბამისად უნდა მიეღო ქაიანს მაგისტროსის ტიტულიც.

საბეჭდავის გამომცემლების მიხედვით, წმინდა დემეტრიოსის გამოსახვა შესაძლოა გრიგოლ ბაკურიანის დასავლეთის სხოლათა დომესტიკოსად დამტკიცებასთან იყო დაკავშირებული, რომელსაც ბალკანეთის არმიის ხელმძღვანელობა იმპერატორ ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) დროს ჩააბარეს.[15]

ვფიქრობ, რომ ქაიან მაგისტროსის გრიგოლ ბაკურიანისძესთან დაკავშირება არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. ქაიანი, საბეჭდავის მიხედვით, თავს იბერად მოიხსენიებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი პატრონიმი ბიზანტიის იმპერიაში არაფრის მთქმელია. ეთნიკურობის ხასგასმა პატრიოტული ამბიციების გამოვლენასთან ერთად მისი იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი მარკერია. უცხო გარემოში, ბიზანტიაში, ახლადჩამოსული ქართველი, რომელიც იქ აშკარად პირველი თაობის წარმომადგენელია, საკუთარ თავს ეროვნული ნიშნით გამოარჩევს. წინაპრების ბიზანტიაში დამკვიდრების შემთხვევაში საფიქრებელია, რომ წარწერაში პატრონიმსაც დააფიქსირებდა, მაგრამ ის საბეჭდავზე არ ჩანს.

XI საუკუნის ბიზანტიაში მოღვაწე ქართველებს მრავალი წინააღმდეგობის დაძლევით უხდებოდათ საკუთარი თავის დამკვიდრება. უცხო გარემოში ეროვნული ნიშნით გაერთიანება და ნაციონალური იდენტობის წინ წამოწევა მათთვის მნიშვნელოვანი იყო. ბიზანტიის იმპერიაში ძლიერი ქართული თემის შექმნა დავით III კურაპალატის სამფლობელოების ანექსიის შემდეგ

[15] J.-C. Cheynet, D. Theodoridis. Sceaux byzantins de la collection D. Theodoridis: Les sceaux patronymiques, გვ. 103.

(1000 წ.) მესხეთიდან წამოსულმა ფეოდალებმა დაიწყეს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ბაგრატ IV-ის სამწლიანი (1051-1054 წწ.) „სტუმრობა“ კონსტანტინოპოლში. ხოლო ქართული თემის სიძლიერის მწვერვალი, ალბათ, მართა-მარიამ ბაგრატიონის მოღვაწეობა უნდა ყოფილიყო, რომელთანაც დაახლოებული იყო ბიზანტიის იმდროინდელი ქართველობა გრიგოლ ბაკურიანის ძისა და მისი ოჯახის წევრების წინამძღოლობით. თავისი ეროვნული წარმომავლობით, მოღვაწეობის პერიოდით, სამხედრო სამსახურითა და მფარველი წმინდანის საბეჭდავზე გამოსახულებით გვაქვს საფუძველი იმისა, რომ მაგისტროსი ქაიან იბერი სწორედ მართა დედოფლის ირგვლივ მოღვაწე ქართველთა წრეს მივაკუთვნოთ.

ქაიანის მიერ მაგისტროსის ტიტულის მიღებასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არანაირი მონაცემები არ გაგვაჩნია. აღნიშნულ ტიტულს ის, როგორც გამომცემლები მართებულად ფიქრობენ, XI საუკუნის მეორე ნახევარში ატარებდა.[16] პრაქტიკულად გამოსარიცხია XII საუკუნის მეორე მეოთხედი, ვინაიდან ამ დროიდან მაგისტროსის ტიტული ფაქტობრივად აღარ გაიცემა. ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) დროს გამოყენებაში სხვა ბიზანტიური საკარისკაცო წოდებები შემოდის, მაგისტროსი კი ამოღებულია ხმარებიდან, ყოველ შემთხვევაში, ის ძალიან იშვიათად გაიცემა. ამდენად, ვფიქრობ, რომ ქაიანს მაგისტროსობა ალექსი I-ის მმართველობამდე უნდა მიეღო და ეტარებინა არაუგვიანეს XII საუკუნის დასაწყისისა.

ამრიგად, ქაიანის მაგისტროსობა მიახლოებით XI საუკუნის პირველი ნახევრითა და XII საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს, არაუგვიანეს ალექსი I კომნენოსის იმპერატორობისა.

[16] J.-C. Cheynet, D. Theodoridis. Sceaux byzantins de la collection D. Theodoridis: Les sceaux patronymiques, გვ. 102-103.



სურ. 1

საბეჭდავის ფოტო გადმოღებულია ჟან-კლოდ შენესა და დიმიტრი თეოდორიდისის თანაავტორობით შესრულებული წიგნიდან (იხ.: J.-C. Cheynet, D. Theodoridis. Sceaux byzantins de la collection D. Theodoridis: Les sceaux patronymiques. Paris. 2010, გვ. 102).

Leri Tavadze

MAGISTROS KAIAN IBERIAN

Summary

The Byzantine seals are numerous and some of them present valuable information about the Georgians who lived in Byzantium. One among those seals from the private collection of Dimitri Theodoridis was published in 2010. This is a unique sample and it has no analogy.The seal that was published by J.-C. Cheynet and D. Theodoridis bears the name of Καίανι μάγιστρ(ον) τὸν Ἰβήρον on the reverse of the seal. According to the above-mentioned authors it belongs to certain Georgian magistros unknow from historical source and his name resembles "Vaanes". But the personal name on the seal has no analogies in other cases. They have dated the seal to the second half of the 11th century. Activities of Gregory Pakourianos in Balkans and popularity of St. Demetrios (depicted on the obverse of the seal) in the same area was also noticed.

In accordance with our investigation, the name that we see on the reverse of the seal has been found in the Georgian versions of "Shahnameh" (The Book of Kings). According to Shahnameh", Kaian was the founder of the royal Persian dynasty and his name is very popular in this novel. In the Georgian versions of "Shahnameh" the name "Kaian" is frequently used to designate everything royal, as well as it is used as a personal name. Therefore it is obvious that "Kaiani" (ქაიანი) was the original name of the patron of the seal. The ethnonym "Iberian" on the seal means that he was a Georgian and presumably had no ancestors in Byzantium that is a reason why he omits the name of his father from the seal, who was unknown for the Byzantines unlike his place of origin. Hence he was the first generation from his Georgian noble family in Byzantium. Kaian arrived in Byzantine Empire and served there in the military service. Depiction of St. Demetrios in the military outfit leads us to this opinion. As a Georgian he must have been in the circle of Empress Martha-Maria Bagrationi and he bore the Byzantine court title of magistros. He held this title in the second half of the 11th century and in the beginning of the 12 century, not exceeding to the first quarter of the 12th century.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

ჯაბა სამუშია

ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან (ყუთლუ-არსლანი)

საქართველოს ისტორიაში ყუთლუ-არსლანის გამოსვლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს არ ყოფილა მასშტაბური გამოსვლა და არც რაიმე განსაკუთრებული შედეგით დასრულებულა იგი. ერთადერთი, რითაც ეს შეთქმულება მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იქცევს, არის ის პოლიტიკური მოთხოვნები, რაც ავჯანყებულ მეჭურჭლეთუხუცესს და მის მომხრეებს ჰქონდათ. მკვლევარი ვ. აბაშმაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც საერთოდ შუა საუკუნეებში დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლის მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის შუქზე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია და, ამდენად, თავისი მნიშვნელობით იგი სცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს.[1]

ქართველ მეცნიერთაგან ჩვენთვის საინტერესო საკითხს უშუალოდ ანდა სხვა პრობლემათა კვლევისას შეეხნენ: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. სოსელია, პ. ინგოროყვა, ა. კიკვიძე, ნ. შოშიაშვილი, შ. მესხია, რ. მეტრეველი, ჯ. სტეფნაძე, ვ. აბაშმაძე, ილ. ანთელავა, დ. ლეთოდიანი, მ. ბახტაძე და სხვ.[2] თუნდაც ეს ისტორიოგრაფიული ბაზა მიუთითებს თუ

[1] ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ. 1992, გვ. 94.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. II. თხზულებანი. ტ. VII. თბ. 1984; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VI. თბ. 1973; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. თბ. 1974; გ. სოსელია. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ. სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. X-XI. 1958; პ. ინგოროყვა. რუსთაველიანას ეპილოგი. თხზულებანი. ტ. I. თბ. 1963; ა. კიკვიძე. სა-

რაოდენ საყურადღებო მოვლენასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, რამდენადაც საინტერესოა ეს ავკანყება, იმდენად ბურუსითაა მოცული ამ გამოსვლის დეტალები. ყველაზე მეტად საკამათო კი მაინც ყუთლუ-არსლანის ვინაობაა. ამ პიროვნებას, რომელსაც ქართული პარლამენტარიზმის სათავებთან მოვიაზრებთ, ჩვენი წყაროებიდან მხოლოდ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ იხსენიებს და ისიც მხოლოდ ორჯერ.

რა ვიცით მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის შესახებ?

თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არაფერი.

გვიამბობს რა 1184 წელს გიორგი III-ის გარდაცვალების ამბავს, მემატიანე დასძენს, რომ სასახლეში დამწუხრებული საეკლესიო თუ საერო პირთა შორის იდგა მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანიო, მეორეჯერ კი მას უშუალოდ შეთქმულების შესახებ თხრობისას ახსენებს. ზოგიერთი ქართველი მეცნიერის აზრით, თამარის მეჭურჭლეთუხუცესი მოხსენიებული უნდა იყოს ასევე კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ქართულ მინაწერში[3]. სწორედ, ასეთი მწირი ცნობების გამოა, რომ დღემდე ყუთლუს საგვარეულო კუთვნილების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა დაძლეული არ არის (მეცნიერთა ნაწილი მას ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლად მიიჩნევს. ნ. ბერძენიშვილი შესაძლებლად თვლის, იგი სამძივართა საგვარეულოდან ყოფილიყო).

ავკანყებული მეჭურჭლეთუხუცესი უგვაროდ, დაბალი სოციალური ფენიდან გამოსულად მიაჩნიათ ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, შ. მესხიას, რ.

ქართველი XII საუკუნეში. თსუ შრომები. ტ. IX. თბ. 1939; ნ. შოშიაშვილი. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. კრებ.: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ. 1966; შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979; რ. მეტრეველი. შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1973; ჯ. სტეფნაძე. საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. თბ. 1985; ვ. აბაშმაძე. XII ს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. კრებ.: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1968; ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ. 1983; დ. ლეთოდიანი. ფეოდალური ოპოზიციის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ XII ს-ის ბოლოს (ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა). წიგნში: დ. ლეთოდიანი. ძიებანი. თბ. 2003; მ. ბახტაძე. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შედეგების შესახებ. კრებ. ისტორიანი. თბ. 2009.

[3] კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.). გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ. 1989, გვ. 17, 30.

მეტრეველს, ვ. აბაშმაძეს და სხვ. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, განაპირობა ერთი მხრივ ყუთლუ-არსლანის შესახებ არსებული წაყროების სიმცირემ და, მეორე მხრივ, თამარ მეფის ეპოქის ოფიციალური ისტორიოგრაფიის სურვილმა, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შერისხული პირი ან საერთოდ არ მოეხსენიებინა (მსგავსად თამარის მეორე ისტორიკოსის – ბასილი ეზოსმოძღვრისა) ან არადა მხოლოდ გაკვრით და ისიც დამამცირებელი ეპითეტით აღენიშნათ მისი არსებობა (მსგავსად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანისა“).

მეჭურჭლეთუხუცესის სახელო ერთ-ერთი უძველესი თანამდებობა იყო ქართული ფეოდალური მონარქიის ადმინისტრაციაში. „გარიგება ჴელმწიფის კარისაში“ საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „მეჭურჭლეთა-უხუცესი ძველი ვაზირი არის საბატიო“.[4] სამწუხაროდ, ცნობების უქონლობის გამო ძნელია თვალი გავადევნოთ ამ თანამდებობის მთელ ისტორიას. წყაროებში პირველ მეჭურჭლეთუხუცესად სწორედ ყუთლუ-არსლანი იხსენიება. მაგრამ, უდავოა, რომ ეს სახელო გიორგი III-მდეც იარსებებდა და ამის დასტურად შეიძლება მოვიხმოთ ლაბაჭინის ტაძრის ხატის წარწერაში მოხსენიებული „მეჭურჭლეთუხუცესი და პროტოსტატორი“ იოანე ვარდანის ძე, რომელსაც შ. მესხია გაცილებით ადრეულ მოღვაწედ მიიჩნევს.[5] რაც შეეხება ყუთლუ-არსლანს, მას ეს თანამდებობა 1177-1178 წლებში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი ორბელთა აჯანყების შემდეგ უნდა დაეკავებინა. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორბელთა აჯანყების შემდეგ გიორგი III-მ საშუალება მისცა შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს, მაღალი საკარისკაცო ტიტულები დაეკავებინათ. ვინაიდან ყუთლუ-არსლანი ამავე პერიოდში უნდა აღზევებულიყო, მასაც დაბალი სოციალური წრიდან გამოსულად მიიჩნევენ. მაგრამ, ვფიქრობთ, აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. ქართული ფეოდალური არისტოკრატია თავის წიაღშიც არ იყო ერთგვაროვანი. სიმდიდრით, გავლენით, წარსულით ყველა ფეოდალური გვარი ერთნაირი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. 1184 წელს, თამარ მეფის გამეფებისას, დიდებულებმა გიორგი III-ის დროს დაწინაურებული მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარის ყუბასარისა და მსა-

[4] გარიგება ჴელმწიფის კარისა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 96.

[5] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, გვ. 110.

ხურთუხუცეს აფრიდონის განთავისუფლებას მიაღწიეს. ეს იყო ერთგვარი რევანში, ძლიერი გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ. ახალგაზრდა მონარქის – თამარის გამეფებით ფეოდალურმა არისტოკრატიამ ნაწილობრივ ისარგებლა და შეძლო სამეფო კარიდან განედევნა შედარებით დაბალი სოციალური წრიდან აღზევებული ვაზირები, ანუ მინისტრები. უგვარობა, დაბალი სოციალური მდგომარეობა მიზეზად მხოლოდ აფრიდონს მოუდეს. მემატიანის მითითებით, „ვიეთმე ჴელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ“, რომ „უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უჴმართაგან“.[6] რაც შეეხება ყუბასარს, იგი ავადმყოფობის გამო გადააყენეს. ეს მოძრაობა საერთოდ არ შეხებია ყუთლუ-არსლანს.

ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიაკუთვნა ყუთლუ-არსლანი დაბალ სოციალურ ფენას, თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობას დაემყარა, სადაც ავჯანყებული მეჭურჭლეთუხუცესი „ბიჭად“ და „ჯორად“ არის მოხსენიებული. ისტორიკოსის მითითებით, „ბიჭი“ ძველ ქართულში უკანონო შვილს, ბუშს, ნაბიჭვარს ნიშნავს. „უკვე ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, – რომ შეუძლებელია ყუთლუ-არსლანი დიდგვაროვანი აზნაური ყოფილიყო. თუნდაც, რომ მას მამა დიდგვაროვანი აზნაური ჰყოლოდა, კანონის თანახმად მას უეჭველად მამაზე დაბალი წოდებრიობა უნდა მიჰკუთვნებოდა და ყმა გამხდარიყო“.[7] იქვე ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს, რომ „ნაბიჭვარობაზე უნდა იყოს დამყარებული ისტორიკოსისგან ნახმარი გამონათქვამი და შედარება, რომ ყუთლუ-არსლანმა ჯორის მსგავსად ორი ბუნება გამოიჩინა. ცნობილია, რომ ჯორი, ვირისა და ცხენის ნაშობს წარმოადგენს და ვირისა და ცხენის თვისებებიც აბადია. ვირი ისტორიკოსს ყუთლუ-არსლანის პიროვნებაში წარმოშობილობის უფრო დაბალი წოდებრიობის სიმბოლოდ გამოუყენებია, ცხენი მისი წარმოშობილობის უფრო მაღალი წოდებრიობის სიმბოლოდ.“[8] მაგრამ, ივ. ჯავახიშვილს არ გამოჰპარვია ისიც, რომ შესაძლებელია ყოველივე ზემოაღნიშნული გამოთქმები „პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ისტორიკოსის, გაბოროტებული გულისა და ენის ნაყოფიც იყოს“.[9] მართლაც, ჩვენი აზრით,

[6] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 30.

[7] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 124.

[8] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 124.

[9] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 125.

მემატიანის მიერ ყუთლუ-არსლანის „ბიჭად“ და „ჯორად“ მოხსენიება უფრო დამამცირებელი ეპითეტები უნდა იყოს, ვიდრე მისი წარმომავლობის აღმნიშვნელი. ძნელი დასაჯერებელია, რომ დაბალი სოციალური მდგომარეობის კაცს, ისიც უკანონო შვილს, ასეთი მაღალი საკარისკაცო ტიტული მიეღო. და თუ, მაინცდამაინც, 1178 წლის ორბელთა აჯანყების შემდეგ, გიორგი III-მ დააწინაურა ასეთი წარსულისა და მდგომარეობის პიროვნება, იგი თამარის გამეფებისას, 1184 წელს, ფეოდალური არისტოკრატიის საყოველთაო რისხვას ვერ ასცდებოდა, მსგავსად მსახურთხუცეს აფრიდონისა. მით უმეტეს, რომ დიდებულებს ყუთლუ-არსლანის მოსაშორებლად გაცილებით მეტი საბაბი ექნებოდათ, როგორც უკანონო შვილის (თუ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას მივიღებთ).

როგორ წარიმართა პოლიტიკური პროცესები გიორგი III-ის გარდაცვალებისა და მისი ასულის თამარის გამეფების შემდეგ? 1184 წელს, თამარის ტახტზე ასვლისთანავე, როგორც ითქვა, ფეოდალთა დიდმა ნაწილმა მეფეს თავისი მოთხოვნები წარუდგინა, რომელიც „უგვარო“ აფრიდონისა და დამბლის სენით დაავადებულ ყუბასარის გათავისუფლებას ითვალისწინებდა. თამარი იძულებული იყო, თავისი მამის ერთგული მოხელეები თანამდებობიდან დაეთხოვა. ყუბასარს სიმდიდრე და მდგომარეობა შეუნარჩუნეს, მხოლოდ ლორის ციხე ჩამოართვეს. აფრიდონი კი „დაემხო“. ამ გამოსვლას მემატიანე უშუალოდ მოაყოლებს ყუთლუ-არსლანის აჯანყების ამბავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორი მოვლენა დიდად არ უნდა იყოს ერთმანეთს დაშორებული. მეტიც, ყუთლუ-არსლანის გამოსვლა ერთგვარ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ფეოდალთა იმ პროტესტისა, რომელსაც შეეწირა ყუბასარი და აფრიდონი. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ყუთლუ-არსლანს განზრახული ჰქონდა „ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფის ადგილს ლორეს“ დაჯდომა. როგორც ვხედავთ, ყუთლუს შეთქმულების დაწყებისას ამირსპასალარის სახელო ჯერ კიდევ არავის სჭერია. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს ყუბასარი ახალი გადამდგარი უნდა იყოს. მეტიც, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ მოიპოვება ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც ნათელს ჰფენს იმ პერიოდის საქართველოს სამეფო-სასახლეში მიმდინარე პროცესებს. ისტორიკოსი მიუთითებს, რომ ყუბასარისა და აფრიდონის გადადგომის შემდეგ დიდებულებმა „ბრძოლამყოფთა ჴელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“.[10] როგორც ვხედავთ, არასასურველ პირთა ჩამოშორების

[10] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 30.

შემდეგ სასახლეში პოლიტიკურ ბანაკთა შორის გააფთრებული ბრძოლა დაწყებულა გათავისუფლებულ სახელოთა დასაკავებლად. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც სამეფო კარის ბიუროკრატიაში ამირსპასალარს, მანდატურთუხუცესს და მსახურთუხუცესს საკმაოდ დიდი წონა და გავლენა ჰქონდათ. რამდენიმე ხნის წინ დიდებულები თუ ერთსულოვანი იყვნენ ყუბასარისა და აფრიდონის გათავისუფლებისას, ამჯერად, მათი ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. პოლიტიკური პროცესებისთვის ასეთი სახის ქმედებები უცხო არ არის. მსგავსი მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირად სხვადასხვა ინტერესის მქონე კლანები (ეს ტერმინი საგანგებოდ ვიხმარეთ, რადგანაც შუა საუკუნეებში ხშირად ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს გარშემო შემოკრებილი ნათესაური კლანი თამაშობდა მნიშვნელოვან როლს პოლიტიკურ პროცესებში) განსაზღვრულ ეტაპზე ერთიანდებოდნენ საერთო მიზნის მისაღწევად. მას შემდეგ, რაც მიზანს მიაღწევდნენ, ასეთი ეფემერული გაერთიანებები იშლებოდა. ფეოდალურ საგვარეულოთა თუ დაჯგუფებათა შორის კონკურენცია უწინდებური სიმძაფრით იჩენდა თავს. ეს პოლიტიკის დაუწერელი კანონია და თამარის ეპოქაშიც ზუსტად იმავე პროცესთან გვაქვს საქმე. შემთხვევითი არ არის მემატიანის განცხადება, რომ არასასურველი პირების სამეფო კარიდან მოშორების შემდეგ დიდებულებმა „ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“. პოლიტიკური ტექნოლოგიების დიდი ცოდნა არ არის საჭირო ამ პროცესის გასაანალიზლებად. გუშინდელი „რადიკალები“ დღეს ათასგვარ ხრიკს გამოიყენებდნენ მეფის წყალობის მისაღწევად. სწორედ ამ ხანებში ყუთლუ-არსლანი გამოდის პოლიტიკური პროგრამით. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანი“ მოგვითხრობს: „...და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“.[11]

მეჭურჭლეთუხუცესის გეგმა იმდენად თამამ პოლიტიკურ მოთხოვნებს შეიცავდა, რომ თამარმა და მისმა გარემოცვამ იგი სამეფო ხელისუფლების დასასრულად მიიჩნია. შემთხვევითი არ არის მემატიანის შეფასებაც, რომ „ესე ვიეთ საწყენელ იყო – დასასრულისა ჴელმწიფობისა“. სამეფო კარი ძალიან

[11] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 30.

შეაშფოთა ყუთლუ-არსლანის მოთავეობით დაწყებულმა მოძრაობამ და სასწრაფოდ მიიღო გადამწყვეტი ზომები: მეფის ერთგულმა პირებმა მოახერხეს მეჭურჭლეთუხუცესის შეპყრობა და ამით შეთქმულთა ბანაკს დიდი დარტყმა მიაყენეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გამოსვლის დასასრულს.

ყუთლუ-არსლანის შეპყრობის ამბავმა აჯანყებულთა რიგებში კიდევ უფრო გაამძაფრა ბრძოლის დაწყების სურვილი. ამჯერად, შეთქმულებმა პოლიტიკური დეკლარაციის მაგიერ იარაღით დაპირისპირება გადაწყვიტეს. ისტორიკოსი მეტად ხატოვნად აღწერს ამ მოვლენას: „შეიყარნეს და უკუადგეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა.“[12] აქვე დავძენთ, რომ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მონათხრობიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მეჭურჭლეთუხუცესი რაღაც საეჭვო ვითარებაში უნდა იყოს შეპყრობილი. ამ მოვლენის შესახებ მისმა მომხრეებმა მოგვიანებით შეიტყვეს. ჩანს, დასის წევრთა ერთმა ნაწილმა უღალატა ყუთლუ-არსლანს, თამარის მხარეს გადავიდნენ და თავიანთი მეთაური მას ჩაუგდეს ხელში. მართლაც, ნაკლებ სარწმუნოა, ყუთლუ სამხედრო შეტაკებისას შეეპყროთ. ჩვენი აზრით, ყუთლუ-არსლანისათვის იმ ფეოდალთა ნაწილს უნდა ელალატა, რომლებთან ერთადაც იგი ყუბასარსა და აფრიდონს უპირისპირდებოდა. დიდებულთა ეს ნაწილი მალევე გადაბარგდა მეფის პარტიაში. სამეფო კარზე გაცილებით „მნიშვნელოვანი“ საქმე იყო მოსაგვარებელი — გათავისუფლებულ სახელოთა გადანაწილება. ამ ეტაპზე ყუთლუ-არსლანის და მისი დასის ინტერესები და ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილის მისწრაფებები დაშორდა, ერთისთვის გარდაქმნების პროცესი არ იყო დასრულებული, ხოლო მეორისთვის პირიქით, მოვლენები სასურველი სცენარით ვითარდებოდა და მეჭურჭლეთუხუცესი მხოლოდ ხელს უშლიდა მიზნის მიღწევაში. ამიტომაც, დამაჯერებლად მოჩანს იმის ვარაუდი, რომ ყუთლუ მოტყუებით უნდა აეყვანათ შიდა პატიმრობაში, შესაძლებელია, სამეფო სასახლეშიც, თავის ძველ მოკავშირეთა შემწეობით. რა თქმა უნდა, ღალატის მიუხედავად, ყუთლუ-არსლანს დარჩა მომხრეთა დიდი დასი, რომლებმაც ისნის სასახლეზე ლაშქრობაც კი გადაწყვიტეს. ქვეყანა აშკარად დიდმასშტაბიანი სამოქალაქო ომის ზღურბლთან იდგა. ასეთ ვითარებაში მეფემ მიიღო საკმაოდ შორს გამიზნული გადაწყვეტილება — მან შეთქმულებთან მოსალაპარაკებლად ორი დიდგვაროვანი ბანოვანი — ხვაშაქი ცოქალი, ერისთავთ-ერისთავის რატი სურამელის დედა და კრავაი ჯაყელი, სამძივართა დედა მიავლინა. აჯანყებუ-

[12] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 30.

ლებმა სამეფო კარის წარგზავნილების პირობა მიიღეს. იმ ცნობის ანალიზიდან, რაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანშია“ დაცული, შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება: ყუთლუ-არსლანის მიმდევრები უარს ამბობდნენ თავიანთ პოლიტიკურ მოთხოვნებზე, სამაგიეროდ, თამარი მათი ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა. მემატიანის მითითებით: „უბრძანა ფიცით მონდობა და სხუსა არავისი ბრალობა. და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანის-ცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულებისა და ნების-მყოფლობისა მათისა“.[13]

ვიდრე მეჭურჭლეთუხუცესის პოლიტიკურ პროგრამას შევეხებოდეთ, გავარკვიოთ, რა სოციალური წრე უჭერდა მხარს შეთქმულებას. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზეც არ არის ერთიანი აზრი. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ყუთლუს დასაყრდენს ძირითადად ვაჭარ-ხელოსანთა ფენა, ე.წ. მესამე წოდება წარმოადგენდა. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მეჭურჭლეთუხუცესი ძირითადად ფეოდალურ არისტოკრატიას ეყრდნობოდა. ნიშანდობლივია მემატიანის ნათქვამი, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდა „დიდებულები“ და „ლაშქარი“. რა თქმა უნდა, თამარის გამეფებისას დაწყებულ გამოსვლის ჟამს ყუთლუ-არსლანი ფეოდალური არისტოკრატიის იმ ნაწილის შემადგენლობაშია, რომლებმაც სამეფო კარს მოთხოვნები წარუდგინეს, თუმცა, თავის მხრივ, მას გარკვეული ჯგუფი ეყოლებოდა, ის ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა. ქვეყნის ფინანსთა მინისტრი და ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი, საკუთარი გარემოცვის გარეშე წარმოუდგენელია. ეს კლანი, ყუთლუს საზოგადოებრივი სტატუსიდან გამომდინარე, არც ისე მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს ძალა შეიძლება იყოს მრავალფეროვანი. ყუთლუ-არსლანს, როგორც მეჭურჭლეთუხუცესს ემორჩილებოდა სამეფო ქალაქები, შესაბამისად, მისი მართვის სფეროში შედიოდნენ ვაჭარ-ხელოსნები. ბუნებრივია, 1184-1185 წლებში დიდებულთა პროტესტის მეორე ეტაპზე ყუთლუ-არსლანის გვერდით დგას ფეოდალთა ნაწილი.

ქართული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ მეჭურჭლეთუხუცესი მარტო არ მოქმედებს, მის გარშემოა „დიდებულები“ და „ლაშქარი“. ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ასევე აჯანყებულებთან ხვაშაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის გაგზავნაც. ამ ორ მანდილოსანს არა მარტო თამარის დანაბარები უნდა გადაეცათ აჯანყებულთათვის, არამედ მოეხდინათ მთელი ამ კონფლიქტის დარეგულირება. ბუნებრივია, სერიოზული პოლიტი-

[13] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 32.

კური კრიზისის დროს სამეფო კარი საგანგებოდ შეარჩევდა მედიატორებს, რომლებსაც შეთქმულები უნდა დაეყოლიებინათ კომპრომისზე. მათ ამისათვის არა მარტო ოფიციალური მანდატი უნდა ჰქონოდათ, არამედ პირადი კონტაქტები ამ გამოსვლის ორგანიზატორებთან. ასეთ ვითარებაში, უმთავრესი უნდა ყოფილიყო ის, თუ რამდენად მიესვლებოდათ მათ ავჯანყებულებთან, რამდენად ახლობელნი იყვნენ ისინი ყუთლუს მიმდევართათვის და რამდენად მისაღები და ყურადსაღები იქნებოდა მათი რჩევა და პირობა. ამ სიტუაციაში კი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი უნდა ყოფილიყო შეთქმულების მოთავეებთან მათი ოჯახის ახლობლების, ანდა ნათესავების გაგზავნა. საკარაუდოდ შეიძლება დავუშვათ, რომ ან სურამელებს და სამძივართა საგვარეულოს, ან არადა ხვაშაქი ცოქალსა და კრავაი ჯაყელს, აშკარად რაღაც უფრო მეტი აკავშირებდა ავჯანყებულებთან, ვიდრე ეს იყო თამარის დანაბარების გადაცემა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სამძივართა და ჯაყელთა საგვარეულოები სამხრეთ საქართველოს ფეოდალურ არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მითითება, რომ კრავაი ჯაყელი იყო „აწ მყოფთა სამძივართა“ დედა, უნდა გავიგოთ ისე, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენლები ყუთლუ-არსლანთან „მყოფნი“ და მისი დასის წევრები იყვნენ. ჩანს, ყუთლუ-არსლანის ბანაკში მესხური კლანი დომინირებდა. თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ვარაუდი თავად ყუთლუს სამხრეთ საქართველოს დიდებულთა წრიდან წარმომავლობის შესახებ სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს. ამდენად, ყუთლუ-არსლანის დასი ერთფეროვანი არ არის და მასში სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელია საგულვებელი, როგორც ფეოდალური არისტოკრატია, ასევე ქალაქის მკვიდრნი – დიდვაჭრები და ხელოსანთა კორპორაციების წარმომადგენლები. აქვე აუცილებელია ერთი განმარტება, – XII-XIII საუკუნეებში, არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც მესამე წოდება (ვაჭარ-ხელოსნები) ჯერაც არ არის იმდენად მოძლიერებული, დამოუკიდებლად დაიწყონ ამ სახის მოთხოვნების წამოყენება და მის მისაღწევად ბრძოლა. ამასთანავე, XII-XIII საუკუნეებში (ასევე რამდენიმე საუკუნით შემდეგაც) მეფის ხელისუფლების შეზღუდვა, უპირველესად, ფეოდალური არისტოკრატიის მიზნებში შედიოდა. ამიტომაც საქართველოში, ინგლისში, საფრანგეთში ამ სახის მოძრაობებს, ძირითადად, დიდებულები უძღვებიან.

როგორც აღინიშნა, 1184 წელს ფეოდალური არისტოკრატია გაერთიანებული სახით დაუპირისპირდა სამეფო კარზე მყოფ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებს. მართალია, ჩვენ მხოლოდ ვაზირების აფრიდონისა

და ყუბასარის ამბავი ვიცით, მაგრამ სამეფო კარის ბიუროკრატიაში ვაზირ-მინისტრთა გარდა 1178 წლის შემდეგ, არ უნდა გამოვრიცხოთ, ასევე დაბალი წრეებიდან გამოსული სხვა პირების არსებობაც, რომელთაც შედარებით დაბალი, თუმცა მნიშვნელოვანი თანამდებობები ჰკავებოდათ. გადაჭარბებული არ იქნება იმ მოსაზრების დაშვება, რომ მათაც იგივე ბედი ეწეოდათ. ყუთლუ-არსლანი მთელი ამ პროცესების ერთ-ერთი ლიდერია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისიც მაღალ ფეოდალურ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. არასასურველი პირების მოშორების შემდეგ, იწყება ამ მოძრაობის მეორე ეტაპი – მიღწეულის განაწილება – გათავისუფლებული მინისტრებისა და მაღალი რანგის მოხელეების მაგიერ ახალი პირების დანიშვნის პროცესი. აზრთა სხვადასხვაობა ამ მოძრაობის სულისჩამდგმელთა შორის სწორედ ამ დროს წარმოიშვა. ფეოდალური არისტოკრატიის ერთიანობა შეირყა – ნაწილი მხოლოდ თანამდებობების მიღებას მოითხოვდა. ყუთლუ-არსლანი კი შორს წავიდა და მთლიანად სამეფო ხელისუფლების რეფორმის იდეა წამოაყენა. აბსოლუტურად გასაგებია ყუთლუ-არსლანის პოზიცია – ერთია თანამდებობების დანაწილება და მეორეა თუ ვინ იქნება ხელისუფლების წყარო. ყუთლუ-არსლანი სწორედ მეფის ძალაუფლების მაქსიმალური (იმ მომენტისათვის) შეზღუდვის პროგრამით გამოვიდა. საინტერესოა მემატიანის მცდელობა, ყუთლუ-არსლანის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ წმინდა კარიერისტულ დონემდე – ამირსპასალარის სახელოს მოპოვების სურვილამდე დაიყვანოს: „შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თჳსისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა, ლორეს, დაჯდომად განმზადებული“.[14] აქ გამოთქმა „თავისა თჳსისა... დაჯდომად განმზადებული“ აშკარად ცინიკური ფორმითაა ნახმარი. თითქოს ეს ყოფილიყო ყუთლუ-არსლანისათვის მთავარი მიზანი. მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რომ მეჭურჭლეთუხუცესს შეიძლება სურდა კონკრეტული თანამდებობის დაკავება, მაგრამ მისი გეგმა გაცილებიდ შორს მიდიოდა.

რას მოითხოვდა და რის მიღწევას ცდილობდა ყუთლუ-არსლანი?

ერთი შეხედვით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ცნობა საკმაოდ ნათელია, მაგრამ საკითხის ისტორიოგრაფიას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ როგორც ბევრი რამ ყუთლუ-არსლანის გამოსვლაში, ესეც სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მემატიანის ცნობით, მეჭურჭლეთუხუცესი ითხოვდა სამეფო კარის გვერდით სრულიად

[14] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 31.

ახალი დაწესებულების – კარვის შექმნას. იგი ისნის ველზე, ქალაქის გალავნის გარეთ უნდა ყოფილიყო. იქვე ისტორიკოსი ჩამოთვლის იმ ფუნქციებს, რაც ამ სათათბირო ორგანოს უნდა ეკისრა: „დასხდომილნი მუნ შიგა, – დასძენს მემატიანე, – განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ეჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“.[15] ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ყუთლუ-არსლანს მეფის ხელისუფლება და კარვის კომპეტენცია გამიჯნულად ჰქონდა წარმოდგენილი. უწინ თუ დარბაზი, სავაზირო მეფის ხელისუფლების განმახორციელებელი იყო და მონარქს ქვეყნის მართვაში ეხმარებოდა, ამჯერად, კარავსა და მეფის აპარატს შორის ურთიერთთანამშრომლობის ფორმა მკვიდრდებოდა. ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო საქართველოს სამეფოს ადმინისტრაციაში. მემატიანესთან აშკარად გაყოფილია სასახლე და კარავი. ამ უკანასკნელში უნდა დამსხდარიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტდნენ დიდი მოხელეების დანიშვნის, განთავისუფლების, დასჯისა და წახალისების საკითხებს, შემდეგ კი ეს მეფისათვის უნდა წარედგინათ და „მაშინღა სრულ იქმნებოდეს“. მაგრამ მემატიანის ეს ცნობა ბადებს ერთ კითხვას, რომელზეც პასუხის გაცემა ნაწილობრივ ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს. ეს არის იმის გარკვევა თუ როგორ მოიქცეოდნენ კარვის მესვეურნი, თამარს მათი რომელიმე წინადადება რომ არ მიეღო. ბუნებრივია, ორი აზრი არ არსებობს, დიდებულები შეეცდებოდნენ მეფე „დაერწმუნებინათ“ თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში. სწორედ ეს არის სამეფო ხელისუფლების აბსოლუტიზმის შეზღუდვა. საქართველოს სამეფო ბიუროკრატიაში ჩნდება ორგანო, რომელსაც მეფის ხელისუფლების პარალელურად უნდა ეარსება და საჭირო მომენტში ფეოდალთა უფლებები დაეცვა. მეფესა და დიდებულებს შორის დაპირისპირება-კონკურენცია ამ ინსტიტუტების შექმნისთანავე დაიწყო, მაგრამ ყუთლუ-არსლანის მოთხოვნებმა ფეოდალური ბრძოლა სხვა ჭრილში გადაიტანა და მას ლეგიტიმური სარჩული დაუდო. კარავი მეფის დარბაზი არ არის. ის ფუნქიონირების კუთხითაც სასახლის გარეთაა – ისანში. ნუთუ ეს შემთხვევითია? რა თქმა უნდა, არა. ხასგასმა იმაზე, რომ კარავი ცალკე არსდებოდა, მიუთითებდა, რომ რეალურად ორი პოლიტიკრი პოლუსი იქმნებოდა, რომლებსაც მოუწევდათ ერთმანეთთან” „თანამშრომლობა“. უნდა ვაღიაროთ, რომ კარვის ჩამოყალიბებისთანავე „კარველთა“ მხრიდან პირველი მცდელობა ცალკეულ საკითხში მეფის ხელისუფ-

[15] ისტორიანი და აზმანი შარაგანდედთანი, გვ. 31.

ლების შეზღუდვა იქნებოდა, ამის გარეშე მათი უფლებების განხორციელება ძნელი წარმოსადგენია. ყოველ შემთხვევაში, „კარვისელები“ ამ გზით რომ წავიდოდნენ, უდავოა, როგორც ეს მოხდა მოგვიანებით, ანალოგიურ შემთხვევაში, დასავლეთ ევროპაში.

ივ. ჯავახიშვილი, თავის დროზე, აღნიშნავდა, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა ჰგავს 1215 წელს ინგლისში მიღებულ „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მოთხოვნებს, რომელიც ჩამოაყალიბეს ბარონებმა და წაუყენეს ინგლისის მეფე იოანეს. „თავისუფლების დიდ ქარტიაზე“ ჩვენ აქ არ ვისაუბრებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მისი მეშვეობით ბარონები და ეკლესია ცდილობდა საკუთარი ინტერესების დაცვას. ეს დოკუმენტი საკანონმდებლო ნორმებს შეიცავდა, რომელიც სავალდებულო იყო მთელი სამეფოსათვის. მაგრამ „თავისუფლების დიდ ქარტიაში“ სამეფო კარზე რაიმე ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნაზე საუბარი არ არის, თუ არ ჩავთვლით „ქარტიის“ 61-ე პარაგრაფს, სადაც აღნიშნულია, რომ „ბარონებმა აირჩიონ ოცდახუთი ბარონი სამეფოდან, ვისაც მოისურვებენ, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალღონით უნდა დაიცვან, შეინარჩუნონ და აიძულონ, დაიცვან მშვიდობა და თავისუფლებანი“.[16] ეს 25 ბარონი მხოლოდ და მხოლოდ „ქარტიის“ მუხლების შესრულების ზედამხედველები არიან, ისინი რაიმე დამატებითი საკანონმდებლო უფლებამოსილებით აღჭურვილნი არ ყოფილან. არადა, ქართულ წყაროში საუბარია, რომ ყუთლუ-არსლანი მიისწრაფოდა შეექმნა ისეთი ორგანო, რომელიც მეფესთან ერთად თავად იქნებოდა კანონის წყარო. ეს დეტალი არ გამოჰპარვიათ ქართველ მეცნიერებს. სრულიად სამართლიანად მათ (დ. ლეთოდიანი, რ. მეტრეველი...) ეჭვქვეშ დააყენეს „თავისუფლების დიდი ქარტიისა“ და ყუთლუ-არსლანის პროგრამის ანალოგია. ამ კუთხით, დ. ლეთოდიანი უფრო შორს წავიდა და, სამართლიანადაც, XII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარე მოვლენებში დაინახა, 1258-1265 წლების ინგლისში, სიმონ დე მონფორის ხელმძღვანელობით წარმოებული ბრძოლის ანალოგია.[17] გეოგრაფიულად ესოდენ დაშორებულ სახელმწიფოებ-

[16] Latin text and English translation of Magan Carta in J.C. Holt. Magna Carta. Cambridge. 1992, გვ. 448-473. ქართული თარგმანი იხ. თავისუფლებათა დიდი ქარტია (1215). შუა საუკუნეების სამართალი. ტ. II. განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI-XIV). შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1962, გვ. 226.

[17] დ. ლეთოდიანი. ფეოდალური ოპოზიციის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ XII ს-ის ბოლოს, გვ. 166-167.

ში – საქართველოსა და ინგლისში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ასეთი შედარება, შეიძლება ვინმემ ხელოვნურად მიიჩნიოს, მაგრამ თავისთავად რეტროსპექტული დაკვირვება სხვადასხვა სახელმწიფოში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლისა, უკვე საინტერესოა, მით უმეტეს, რომ პოლიტიკური პროგრამისა და მოთხოვნათა თვალსაზრისით თითქმის მსგავს პროცესებთან გვაქვს საქმე.

შეიძლება თუ არა კარავი მივიჩნიოთ პარლამენტის მსგავს დაწესებულებად?

პარლამენტმა თავისი განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა განვლო. ბუნებრივია, ფეოდალურ ეპოქაში მას სრულებით არ გააჩნდა ის ფორმები, რაც ამჟამად აქვს. როგორც ცნობილია, პირველი ე.წ. წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი შეიქმნა XIII საუკუნის შუა ხანებში, ინგლისში.

სხვათა შორის, ის პროცესები, რომელიც წინ უძღოდა ინგლისის პარლამენტის მოწვევას, რაღაცით ჰგავს კიდეც საქართველოში XII საუკუნის 80-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს. რა თქმა უნდა, გამომწვევი მიზეზები საქართველოსა და ინგლისში განსხვავდებოდა, მაგრამ ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესები, მათი პოლიტიკური მიმართულებები, ორივე ქვეყანაში თითქმის თანხვედრი იყო.

ჩვენი აზრით, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა ძალიან ჰგავს იმ მოთხოვნებს (რა თქმა უნდა, სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის კუთხით), რაც ჩამოყალიბებულია „ოქსფორდის პროვიზიებში“. თავშივე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქმე არა გვაქვს ზუსტ ანალოგიასთან, თუმცაღა, საკმაოდ საინტერესო დამთხვევები შეიმჩნევა.

დასაწყისში გავარკვიოთ ორი საკითხი – 1. როდის გვხვდება ინგლისში სიტყვა „პარლამენტი“ ოფიციალურ დოკუმენტებში და 2. რა შემადგენლობისა იყო ინგლისის პირველი პარლამენტი.

1. სიტყვა „პარლამენტი“ ოფიციალურ დოკუმენტებში „ჩლოსე ღოლლში“ გვხვდება 1242 წლიდან, ასევე „ჭადრაკის დაფის პალატის“ 1248 წლის “Memoranda Rolls”-ში.[18] ამდენად, ეს სიტყვა გაცილებით ადრე იხმარებოდა, ვიდრე იგი ზოგადად წარმომადგენლობითი ორგანოს სახელად იქცეოდა. სა-

[18] C. Petit-Detaillis. The Feudal Monarchy in France and England. From the Xth to the XIIIth Century. Translated by E. D. Hunt. London, Routledge. 1996, გვ. 342; Ш. Пти-Дютайи. Феодальная монархия во Франции и в Англии X-XIII веков. Перевод с французского С. П. Моравского. М. 1938, გვ. 303.

ერთოდ, ისტორიოგრაფიაში დიდი კამათია თუ რა სახის საბჭოს ეწოდებოდა „პარლამენტი“. XIII საუკუნის II ნახევარში ინგლისში, 1258-1297 წლებში, თითქმის 40 წლის განმავლობაში, პარლამენტმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა შემადგენლობის კუთხით. აღნიშნული საკითხი კარგადაა შესწავლილი ისტორიოგრაფიაში და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. პარლამენტის არსის მეტ-ნაკლები სრული განსაზღვრება მოცემულია 1258 წლის „ოქსფორდის პროვიზიებში“, სადაც მას ცალკე თავი ეძღვნება – „პარლამენტების შესახებ, როდის შეიკრიბება წლის განმავლობაში და რანაირად“. დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ „წელიწადში სამი პარლამენტი იქნება. პირველი – წმინდა მიხეილის კვირაში, მეორე – მირქმის მეორე დღეს, მესამე – ივნისის პირველ დღეს. ე.ი. წმინდა ჯონის დღემდე სამი კვირით ადრე“.[19] შემდეგ მოთხრობილია თუ ვინ იქნებიან ამ პარლამენტზე მოწვეულნი. ფაქტობრივად, ეს არის ჩვენი შეკითხვის მეორე ნაწილი – რა შემადგენლობისა იყო ინგლისის პირველი პარლამენტი? საკმაოდ რთული „საარჩევნო სისტემით“ შემდგარი 15-კაციანი მეფის საბჭო და ასევე თემის მიერ არჩეული 12 „პატიოსანი კაცი“, სულ 27 ბარონი ქმნიდნენ პირველ პარლამენტს. ამ პარლამენტს უფლება ჰქონდა, მიეცა „კეთილსინდისიერად რჩევა მეფეს სამეფოს მართვისა და ყველა საქმის გამო, რაც მეფეს ან სამეფოს ეხება, და რომ გამოასწორონ და აანაზღაურონ ყოველივე ის, რის ანაზღაურებასა და გამოსწორებას ისინი საჭიროდ დაინახავენ. და (მათ ძალაუფლება ექნებათ) უმაღლეს მოსამართლეზე (Le haute justice) ყველა სხვა კაცზე“.[20] როგორც ვხედავთ, დასაწყისში პარლამენტი წარმოადგენდა ბარონთა წრიდან არჩეულ პირთა საბჭოს, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების უფლება ჰქონდა. პოლიტიკური დაპი-

[19] ოქსფორდის პროვი'სიები. დადგენილება გამოცემული ოქსფორდში (1258). შუა საუკუნეების სამართალი. ტ. II, გვ. 253; English Historical Documents. v. 3. 1189-1327. edited by Harry Rothwell. 2002, გვ. 361-367. აქვეა მითითებული "Provisions of Oxford"-ის სხვა გამოცემები. ასევე იხ. Documents of the Baronial Movement of Reform and Rebellion. 1258-1267 (Oxford Medieval Texts Series). Edited with a facing-page English translation from the Latin text by R. F. Treharne and I. J. Sanders. Oxford. 1973; G. O. Sayles. The Functions of the Medieval Parliament of England. Hambledon Press. 1988. სამეცნიერო გამოკვლევა იხ. H. G. Richardson and G. O. Sayles. The Provosions of Oxsford. 1258. Bull of The John Rylands Library. 17. 1933 Reprintell in: Richardsohn and Saylers. The English Parliament in The Middle Ages. London. 1981.

[20] ოქსფორდის პროვი'სიები. დადგენილება გამოცემული ოქსფორდში (1258), გვ. 253; English Historical Documents. v. 3. გვ. 366.

რისპირების პარალელურად, პარლამენტიც სახეს იცვლიდა. ედუარდ I-ის მეფობისას 1273-1307 წლებში მოწვეულ 50-მდე პარლამენტიდან 28-ში მხოლოდ დიდებულები იყვნენ წარმოდგენილნი (მეფის საბჭო, ბარონები და რამდენიმე რაინდიც), დანარჩენზე ჩანან სამღვდელოების, ქალაქებისა და ვაჭართა წარმომადგენლები.[21] ასე რომ, XIV საუკუნის დასაწყისამდე პარლამენტში არ შედიოდა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი. ეს იყო მეფის საბჭოსა და თემებიდან „არჩეული" მაგნატების სათათბირო, რომლის დადგენილება მეფისთვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა, თუმცა ბარონთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება ცალსახად „იძულების" ელემენტს შეიცავდა.

XIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს ინგლისის მეფის კარზე არსებობდა ბარონთა დიდი საბჭო, რომლის მოწვევა და შემადგენლობის განსაზღვრა მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. 1258 წლის დასაწყისში მეფე ჰენრიხ III-მ (1216-1272) ლონდონში მოიწვია ბარონთა დიდი საბჭო, სწორედ ამ მოვლენიდან სიტყვა „პარლამენტი" მჭიდროდ მკვიდრდება მსგავსი თავყრილობის მიმართ.[22] ეს მოვლენა რამდენიმე თვით უსწრებდა ოქსფორდის პარლამენტს (1258 წლის ივნისი). მეფის მოთხოვნებით უკმაყოფილო ბარონებმა 1258 წლის 30 აპრილს ახალი წინადადებები წამოუყენეს ჰენრიხ III-ს, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უცხოელების (ფრანგების) სამეფო კარიდან დათხოვნისა და ე.წ. 24-კაციანი საბჭოს შექმნის საკითხი. ამ უკანასკნელთ აირჩევდნენ დიდებულები და მეფეს მათი რჩევა უნდა გაეთვალისწინებინა. ამასთანავე, სამეფო ბეჭედი უნდა ჩაბარებოდა ამ 24 ბარონის მიერ შექმნილი საბჭოს მიერ არჩეულ პირს. 2 მაისს მეფე იძულებული შეიქნა დასთანხმებოდა ამ მოთხოვნებს, თუმცა დაახლოებით ერთი თვის თავზე ბარონები კვლავ შეიკრიბნენ ოქსფორდში, სადაც გამოაცხადეს „ოქსფორდის პროვიზიები", რომელშიც უკვე მეტი სიცხადით იყო ჩამოყალიბებული სამეფოს

[21] Е. В. Гутнова. О значении слова «парламент» (parliamentum) в Англии XIII и начала XIV в. Средние века. 1961. Вып. 20. გვ. 56-74. სტატიის ბოლოს მოცემულია ცხრილი, სადაც წლების მიხედვით მითითებულია პარლამენტის მოწვევის ადგილი და მასზე დამსწრეთა სოციალური წარმომავლობა. ედუარდ I-ის მეფობის პერიოდში მოწვეული პარლამენტის დადგენილებები იხ. The Parliament Rolls of Medieval England. 1275-1504. T. 1. I. Edward 1275-1294, Edited by Paul Brand. 2005; The Parliament Rolls of Medieval England. 1275-1504. T. 2. I. Edward 1294-1307. Edited by Paul Brand. 2005.

[22] ჰენრიხ III-ის დროინდელ პარლამენტის შესახებ იხ. D. Carpenter. The Beginnings of Parliament. in his The Reign of Henry III. London.1996.

მართვის ახალი ინსტიტუციის – პარლამენტის კონტურები. მეფესთან ყალიბდებოდა 15-კაციანი საბჭო, რომლის უფლებამოსილება ვრცელდებოდა სამეფოს მმართველობის ყველა სფეროზე. ეს საბჭო ირჩეოდა რამდენიმე ეტაპად – ბარონთა პარტიის მიერ გამორჩეული 12 წევრი ირჩევდა მეფის პარტიის 12 წევრისგან 2-ს, თავის მხრივ მეფის მომხრეებიც – ბარონთა პარტიიდან 2-ს. ეს ოთხი პირი კი ირჩევდა 15-კაციან საბჭოს. „ოქსფორდის პროვიზიებში" პირდაპირაა მითითებული ამ არჩევნების შედეგებიც: „თორმეტმა მეფის მხრიდან აირჩია თემის მხრივ თორმეტიდან გრაფი როჯერ მარშალი და ჰიუ ლე ბიგო. თემის მხარემ კი აირჩია მეფის მხრივ თორმეტიდან გრაფი უორიკი და ჯონ მანსელი. და ამ ოთხს ძალაუფლება აქვს, აირჩიოს მეფის საბჭო (15-კაციანი), და როდესაც ისინი [მას] აირჩევენ, წარუდგენენ მას ოცდაოთხს, და ის, რაზედაც მათი უმრავლესობა შეთანხმდება, უნდა აღსრულდეს".[23]

რაც შეეხება პარლამენტს, ის, როგორც ითქვა, წელიწადში მოიწვეოდა სამჯერ. მას ესწრებოდა მეფის 15-კაციანი საბჭო და თემის მიერ არჩეული 12-კაციანი ბარონთა წარმომადგენლობა, სულ 27 წევრი. საინტერესოა ამ 12 „პატიოსანი" ბარონთა საბჭოს უფლებები. ის მთელი ქვეყნის „თემებს" წარმოადგენდა (pur tut le commun de la tere) და მოქმედებდა „თემის" ანუ ბარონთა წრის სახელით.[24] რეალურად ეს იყო მცდელობა სამეფო კარზე პროვინციების ფეოდალური არისტოკრატიის ელემენტის გაზრდისა. მოგვიანებით, ინგლისში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა[25] და XIII-XIV საუკუნეების

[23] ოქსფორდის პროვიზიები. დადგენილება გამოცემული ოქსფორდში (1258), გვ. 250; English Historical Documents. v. 3. გვ. 363-364.

[24] Д. М. Петрушевский. Очерки из истории английского государства и общества в средние века. М. 1937, გვ. 156. იხ. ასევე, English Historical Documents. v. 3. გვ. 364. აქ მითითებულია ვინ იქნა არჩეული ბარონთა პარტიის მხრიდან.

[25] 1258-1259 წლებში, თითქმის 15 თვის მანძილზე ეს საბჭო განაგებდა სახელმწიფოს ძირითად საქმიანობას, მაგრამ ბარონთა ნაწილს, რომელსაც მხარს უჭერდა რაინდობა და მესამე წოდების წარმომადგენლები, სურდათ საბჭოს ფუნქციების გაზრდა. 1259 წლის ოქტომბერში, უესტმინსტერში, დიდებულთა ნაწილმა, სიმონ დე მონფორის ხელმძღვანელობით, ახალი მოთხოვნები წამოაყენეს ე.წ. „უესტმინსტერის წინადადებები". ჰენრიხ III-მ არ მიიღო ეს მოთხოვნები. ბარონებმა სამხედრო დაპირისპირებით სცადეს მიზნის მიღწევა. ინგლისი სამოქალაქო ომმა მოიცვა. გადამწყვეტი ბრძოლა 1264 წლის 14 მაისს მოხდა. ამ შეტაკებისას აჯანყებულებმა თვით მეფეც შეიპყრეს. 1265 წლის იანვარში სიმონ დე მონფორმა მოიწვია პარლამენტი, რომელზეც პირველად ერთად დასხდნენ ბარონები, რაინდები და მოქალაქენი.

მიჯნაზე პარლამენტმა მართლაც წარმომადგენლობითი სახე მიიღო, არა მარტო სოციალური, არამედ გეოგრაფიული თვალსაზრისით.

ბუნებრივია, საქართველოსა და ინგლისში ყოველივე ერთი გეგმით არ წარიმართებოდა. ამჯერად ჩვენთვის მთავარია შევუდაროთ ერთმანეთს ის ძირითადი ტენდენციები და მოთხოვნები, რომლებიც ამ ორი ქვეყნის წარჩინებულთა პოლიტიკურ გეგმებში იყო. აქვე დავძენთ, რომ მეჭურჭლეთუხუცესის მოთავეობით დაწყებული დიდებულთა ბრძოლა შუა ეტაპზე შეწყდა და მან გაგრძელება ვერ პოვა. ამიტომაც, ყუთლუ-არსლანის გამოსვლა ბევრ კითხვას ბადებს, მაგრამ ერთი რამ ნათელია: საქართველოში წარჩინებულები იმ სახის დაწესებულების შექმნას მოითხოვდნენ, რომელსაც მეფისათვის ხელისუფლება უნდა გაეყო. ეს პროცესი კი შეიძლება მივიჩნიოთ პარლამენტის შექმნის წინაპირობად. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური გეგმა შეიძლება ჩაითვალოს პირველი ქართული პარლამენტის შექმნისაკენ გადადგმულ ნაბიჯად. პროცესი რომ თავისი დინებით წარმართულიყო, შესაძლებელია საქართველოში წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოს უფრო სრულყოფილი სახე მიეღო. მაგრამ სამეფო კარის მოხერხებულმა დიპლომატიურმა ნაბიჯმა ეს მოძრაობა დროზე შეაჩერა და ქვეყანას მძიმე სამოქალაქო დაპირისპირება ააცილა თავიდან. ახლა კი დავუბრუნდეთ იმ პროცესებს, რომელიც განვითარდა XII საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში.

ყუთლუ-არსლანის პროგრამა, როგორც ითქვა, ითვალისწინებდა ცალკე უწყების – კარვის შექმნას. ამ უკანასკნელს ვერ მივიჩნევთ მანამდე ქართველ მეფეთა კარზე არსებული სათათბირო საბჭოს – სავაზიროს ანალოგად. მაშინ აზრი არ ექნებოდა იდენტური სტრუქტურის შექმნას. უდავოა, რომ სავაზირო – მეფის საბჭო და კარვის ფუნქციები განსხვავებულია. მეორე მხრივ, კარავი გაცილებით ფართო წარმომადგენლობით ორგანოს გულისხმობს, მაგრამ საკითხავია, მოიცავდა თუ არა იგი სავაზიროს? ანუ შედიოდნენ თუ არა მასში მეფის ვეზირები – მინისტრები. ეს არიან ის ადამიანები, რომლებიც მეფის პარტიას წარმოადგენდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რა ფუნქცია უნდა დაკისრებოდა კარავს, გამორიცხულია მასში არ შესულიყვნენ სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირები – სხვაგვარად ეს თანამდებობები კარგავდა თავის მნიშვნელობას. ჩვენ იმ აზრს ვემხრობით, რომ კარავი უნდა ყოფილიყო მეფის საბჭოს – სავაზიროსა და ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიისაგან შექმნილი ორგანო. სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მთელი ამ პროცესის

აღწერას იწყებს ძალიან საინტერესო ფაქტის აღნიშვნით: „იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შუდთავე თემთასა იწყეს რომელთამე ძუელებრი კაცთა დაუდგრომელობისა საქმე და დიდებულთა ვიეთმე ჰელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ: „აღარ ვეგებით ძუელთა ჰელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უჭამურთაგან“.[26] გამოსვლის დასაწყისში სრულიად საქართველოს ფეოდალური არისტოკრატია – „იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შუდთავე თემთა“ ერთად მოქმედებენ.

ინგლისის ისტორიაში შემონახულია დიდებულთა გამოსვლის შედეგად შექმნილი დოკუმენტები, ამიტომაც საშუალება გვაქვს უფრო სიღრმისეულად ვისაუბროთ იქ განვითარებულ პროცესებზე. სამწუხაროდ, თამარის გამეფებისას ფეოდალთა პოლიტიკური მოთხოვნების შემცველ დეკლარაციებს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა ის რომ იარსებებდა, უდავოა. ზეპირად ხომ არ მოახსენებდნენ მეფეს დიდებულები თავიანთ მოთხოვნებს? ვფიქრობთ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ამ პეტიციების (აქ ვგულისხმობთ როგორც გამოსვლის პირველ ეტაპზე მეფისადმი გადაცემულ მოთხოვნებს, ასევე ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფო მოწყობის ახალ მოდელს) მოკლე შინაარსია გადმოცემული. ფეოდალური არისტოკრატიის პროტესტის პირველმა ტალღამ აიძულა თამარ მეფე და მისი გარემოცვა კომპრომისზე წასულიყვნენ, მაგრამ დიდებულთა ნაწილმა ეს არ ჩათვალა საკმარისად და ყუთლუ-არსლანის მოთავეობით, უკვე მეორეჯერ შეიკრიბნენ და მეფეს ახალი მოთხოვნები წაუყენეს. ამ შემთხვევაშიც ყუთლუ მარტო არ არის, მასი პარტია მრავალრიცხოვანია, იმდენად რომ, ისნის სასახლეზე ლაშქრობასაც კი გეგმავდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, წარჩინებულთა ის ერთობა, რაც მცირე ხნის წინ იყო „იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შუდთავე თემთა“ სახით, უკვე დარღვეულია. ფეოდალური არისტოკრატია ერთსულოვანი არ არის და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მეფის ბანაკშია გადასული. ასეთი პოლიტიკური კონიუნქტურა მცირედითაც არ აკნინებს მეჭურჭლეთუხუცესის იდეას. დასავლეთ ევროპაშიც არსებობდა ერთი მხრივ, წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნის მომხრეთა პარტია და მეორე მხრივ, მეფის პარტია. საქართველოშიც ანალოგიური სურათია. ყუთლუ-არსლანის გარშემო შემოკრებილნი არიან ის ადამიანები, რომლებმაც იციან როგორ უნ-

[26] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 30.

და განვითარდეს მოვლენები სასურველ მიზნამდე რომ მივიდნენ. მიზანი კი არის ერთი – შეიზღუდოს სამეფო ხელისუფლება, ან არადა ის გახდეს ადვილად მართვადი ფეოდალური არისტოკრატიისათვის. დასავლეთ ევროპაში პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირება სწორედ ამ გზის გავლით განხორციელდა. ბრძოლას, თავისი უფლებებისათვის იწყებენ დიდებულები და მათ მოგვიანებით უერთდება მესამე წოდება, როგორც ქალაქ-კომუნების წარმომადგენლები. მთავარი ამ პროცესებში არის ის, რომ საზოგადოების რაღაც ერთი ფენა ცდილობს თავისი უფლებების დაცვას. ამ ეტაპზე ამის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ფეოდალურ წოდებას და იგი ამ შანსს ხელიდან არ უშვებს. პარლამენტი, გენერალური შტატები ზღუდავდა მონარქის ძალაუფლებას. თამარის ეპოქაშიც იწყება მოძრაობა, რომელმაც საფუძველშივე შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა.

წინათ თუ მეფის აბსოლუტური ძალაუფლების წინაღმდეგ დაპირისპირებისთვის საჭირო იყო აჯანყება, სამოქალაქო ომი, ამ ახალი მოდელით „კარავი“ იქნებოდა ის სათათბირო, სადაც ეს ვნებათაღელვა გადაინაცვლებდა. წარჩინებულთა წრის ბრძოლა გაცილებით ფართო და განსხვავებულ ხასიათს იღებს. მასში ჩართული აღმოჩნდა ქვეყნის ფეოდალური არისტოკრატიის „იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შუდთავე თემის“ დიდებულები. ეს უკანასკნელნი მეფეს საერთო მოთხოვნით უპირისპირდებიან. შეიძლება აქ გამოითქვას მოსაზრება, რომ ადრეც შეიძლება ყოფილიყო მსგავსი შემთხვევა და ფეოდალებს თავისი საერთო მოთხოვნები წარედგინათ მეფისთვის. ნუთუ ყველა ასეთი ფაქტის უკან პარლამენტის შექმნის იდეა უნდა დავინახოთ? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ პროცესი ასე, კონტექსტიდან ამოგლეჯილად, არ უნდა განვიხილოთ. თამარის გამეფებისას დაწყებულ ფეოდალთა გამოსვლას თავისი მოთხოვნებით ანალოგი არა აქვს.

კიდევ ერთხელ გავადევნოთ თვალი მოვლენებს – დასაწყისში საერთო პროტესტი და მეფისადმი პეტიცია გამოიწვია სამეფო კარზე „უგვაროთა“ არსებობამ (ინგლისში ამის მიზეზად იქცა უცხოელები), შემდეგ ფეოდალთა ნაწილმა გადაწყვიტა, ეს კრიზისი კიდევ უფრო გაეღმავებინა და სახელმწიფოში სისტემურ ცვლილებათა პროექტი წარმოადგინეს. ისინი არ საუბრობდნენ სავაზიროს გამსხვილებასა და ფუნქციის გაზრდაზე. მათი მიზანი არ იყო მხოლოდ თანამდებობების დაკავება. არა, ყუთლუ-არსლანი და მისი მომხრეები უფრო შორს მიდიან და ითხოვენ ისანში ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც თავის თავზე აიღებდა ხელისუფლების ფუნქციების ნაწილს – „მიცემისა და მოღების, წყალობისა და შერისხვის“ უფლებას. შტოებს შორის კი

ასე ნაწილდებოდა პასუხისმგებლობა: ერთნი (დიდებულები) თუ რეკომენდაციებს იღებდნენ და საერთო გადაწყვეტილებაზე თანხმდებოდნენ, მეორე (მეფე) ამ ყველაფერს ამტკიცებდა – „ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“. როგორ იყო აქამდე? მონარქი იყო როგორც ერთის, ასევე მეორის განმახორციელებელი. ის მკვლევრები, რომლებიც ცდილობენ კარვის ფუნქციის დაკნინებას და მასში ვერ ხედავენ პარლამენტის ტიპის დაწესებულებას, სამწუხაროდ, არ სცემენ პასუხს ერთ კითხვას – კარავი უნდა ყოფილიყო მეფის პოლიტიკის უსიტყვო გამტარებელი და სამეფო კარის ნაწილი? ანუ მისი შემადგენლობის განსაზღვრა, ფუნქციების დაკონკრეტება, გადაწყვეტილების მიღება მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული თუ ამას რაღაც წესი არეგურირებდა? თუ იმას დავუშვებთ, რომ ამ ახალ სისტემაში უწინდებურად ერთპიროვნულად წამყვანი იყო მეფე და ყველაფერი მის პრეროგატივას წარმოადგენდა, მაშინ არავითარ პარლამენტზე არ უნდა ვისაუბროთ. მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა წინაღმდეგობის წინაშე აღმოვჩნდებით – რატომ დაინახა მაშინ ყუთლუს მოთხოვნებში სამეფო კარმა „უცხო მოსაგონებელი“ და „დასასრული ჰელმწიფობისა პატრონისა“, ან ამ მიზნისთვის ისნის სასახლეზე ლაშქრობა რა საჭირო იყო? აშკარაა, რომ მეჭურჭლეთუხუცესის გამოსვლაში რაღაც სხვა იდეის განხორციელებაზეა საუბარი. კარავი არ იყო მეფის საბჭო, ის ცალკე მდგომ სტრუქტურას წარმოადგენდა. ანუ ისეთი ორგანოს შექმნაზეა საუბარი, რომელიც თავისი ფუნქციით თვისებრივად განსხვავდებოდა სავაზიროსაგან. ახალ რეალობაში ფეოდალთა როლი მნიშვნელოვნად გაზრდილია და ისინი თავად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში. ეს კი, სხვა არაფერია თუ არა პარლამენტის ჩანასახი. ამის იქით, რაიმეს თქმა ჭირს. ჩაფიქრებული იყო რაიმე სახის „არჩევნები“ (მსგავსად ინგლისის სამეფოში მოქმედი წესისა) თუ გარკვეული ცენზით აპირებდნენ „კარვის“ წევრთა შერჩევას, ჩვენთვის უცნობია. სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის დროც. მათ თავიანთი მოთხოვნები წამოაყენეს მაშინ, როცა გაირკვა რომ სამეფო კარზე გათავისუფლებულ თანამდებობებს მხოლოდ რამდენიმე საგვარეულო დაეპატრონებოდა, მაშინ როცა ფეოდალების დიდი ნაწილის ამბიციები დაუკმაყოფილებელი რჩებოდა.

„კარავი“ იყო ერთგვარი გამოსავალი ამ სიტუაციიდან. ხდებოდა სისტემური ცვლილებები: ა) მეფის სათათბიროს საბჭოს რეორგანიზაცია, მისი გაზრდა და ბ) გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით საბჭოს უფლებათა გაფართოება. და კიდევ ერთი დეტალი. XIII საუკუნის II ნახევარში

ინგლისში პარლამენტების გადაწყვეტილება იმდენად იყო მეფისთვის აუცილებელი, რამდენადაც ის „იძულებით“ ფორმას შეიცავდა. იდეის დონეზე პარლამენტი იყო მეფის სათათბირო ორგანო, მხოლოდ „სამეფოს ყველა თემისგან“ არჩეული. რეალურად „კარვის“ მომხრეებიც იმავეს მოითხოვდნენ.

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა დამარცხდა. რაიმე სახით აისახა თუ არა რევოლუციონერი მეჭურჭლეთუხუცესის იდეები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ძნელია ითქვას, თუმცა ერთი რამ ფაქტია, – მოგვიანებით, სამეფო კარზე მეფის ვიწრო სათათბირო საბჭოს გარდა, არაერთხელ შეკრებილა ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად წარმომადგენლობითი სახით მინისტრები, პროვინციებიდან წარჩინებულები, ეპისკოპოსები, მონასტერთა წარმომადგენლები. ასეთ წარმომადგენლობით შეკრებებს ქართული წყაროები დარბაზობად იხსენიებს. ნიშანდობლივია, რომ პირველი პარლამენტები ინგლისში სწორედ ასეთი წარმომადგენლობით იკრიბებოდა. თუმცა ამ საკითხს სხვა დროს დავუბრუნდებით.

საქართველოში, ინგლისისგან განსხვავებით, პარლამენტის წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირების პროცესმა ვერ პოვა განვითარება. ამის მიზეზი ბევრი შეიძლება ყოფილიყო – ჩანს, საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი რევოლუციური გარდაქმნებისთვის, ასევე, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე მონარქიის სტაბილური განვითარების გარანტიას იძლეოდა. ამიტომაც, ყუთლუ-არსლანის მოთხოვნები მყარ საფუძველზე არ იყო აღმოცენებული და „პოლიტიკური რომანტიზმის“ ელფერი დაჰკრავდა.

ყუთლუ-არსლანის გამოსვლა უშედეგოდ დასრულდა. ამიერიდან, უკვე არავის გახსენებია „კარვის“ შექმნის იდეა. თვით მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანიც დავიწყებას მიეცა. ერთადერთი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანს“ უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენა შთამომავლობას შემოუნახა. ამის შემდეგაც საქართველოში ბევრჯერ დაპირისპირებულან ერთმანეთს დიდებულები და სამეფო ხელისუფლება, მაგრამ თამარის მეჭურჭლეთუხუცესის მსგავსი პოლიტიკური პროგრამით არავინ გამოსულა. სწორედ ამაშია ყუთლუ-არსლანის გენიალობა.

Jaba Samushia

AT THE ORIGINS OF GEORGIAN PARLIAMENTARISM (QUTLU-ARSLAN)

Summary

Qutlu-Arslan's rebellion occupies a particular place in the history of Georgia. It was not a large-scale rebellion; neither it resulted in any particular outcome. The only aspect of the conspiracy, attracting scholars' special interest, is the political demands on the part of the rebellious royal treasurer and his supporters. Scholars justly state that Qutlu-Arslan's political program, as a manifestation of the previously unknown trend of the ideological struggle incepted in medieval ages, was a new page of the world's cultural history in terms of the division of state power, and, therefore, with its significance, it goes beyond the framework of the Georgian history.

In 1184, following Tamar's ascendance to the throne, a large part of feudal lords advanced their demands to the queen concerning the dismissal of "ugly" Apridon and Qubasar, having been incapacitated by a stroke. Tamar was forced to dismiss the officials, loyal to her father. Qubasar retained his fief except Lori Fortress. Apridon lost his landholdings. The chronicler continues with the story of Qutlu-Arslan's rebellion. It can be assumed that those two events could have something in common. Moreover, Qutlu-Arslan's rebellion can be viewed as a certain continuation of the feudal lords' protests against the national authorities, having resulted in the withdrawal of Apridon and Qubasar. It is supported by the fact that Qutlu-Arslan intended to become "a commander-in-chief and king of Armenia residing in Lore." It was in that period when Qutlu-Arslan advanced his political program. *The Histories and Eulogies of the Sovereigns* tells: "... and it is strange to recall: Qutlu-Arslan, an animal with a double nature of a mule, as his bastard mind was armed with deceitfulness, in the Persian manner, demanded that, next to the royal palace at Isani, a *Karavi* (House of Lords, lit. 'tent') be set up" and its members be given the sole right to appoint ministers and to enact laws, which will then go for royal assent to Queen Tamar.

What did Qutlu-Arslan demand and what did he want to achieve?

At one sight, the information provided by the author of *The Histories and Eulogies of the Sovereigns* is quite precise; however, if we look at the historiography of the problem, it will become clear that it is a controversial issue, similarly to many other ones associated with Qutlu-Arslan. According to the chronicler, the royal treasurer wanted to establish a totally new institution, *Karavi*. It was to be located in Isani. The historian lists the functions that the structural entity was to impose: "Those in session will decide to reward and to deprive, mercy and punishment, and report to Queen Tamar: then it will be properly administered." It is clear that Qutlu-Arslan viewed the competences of the royal authority and *Karavi* as divided. Whereas, earlier *Darbazi* (Assembly, lit. 'hall') would meet occasionally to follow developments in the kingdom and assisted the monarch in ruling the country, this time it was planned to establish a form of cooperation between *Karavi* and royal power. It was a totally new phenomenon in Georgia's royal administration. The chronicler clearly differentiates between the court and *Karavi*. The latter was to consist of the people to decide the issues of reward and deprivation, mercy and punishment, later reporting them to the queen, and "then it will be properly administered." However, the chronicler's passage provokes a question, the answer to which would shed light many issues, at least in part. This is to find out how those in charge of *Karavi* would behave in case Tamar did not accept any of their suggestions. Naturally enough, the nobility would try "to convince" the queen in the validity of their decision. This is the limitation of the absolutism of the royal power.

Can *Karavi* be assumed to be an institution similar to a parliament?

Parliament has taken a rather long path in its development. Naturally enough, in the feudal period it was totally devoid of the forms which are peculiar to it in our days. As it is known, the first representative body, the parliament, was established in England in the mid 1200s.

As a matter of fact, the processes, preceding the establishment of the parliament, partly resemble the events that were under way in the 1180s. Of course, the causes were different in Georgia and England, but interests of feudal lords, their political directions were almost identical in the two countries.

In 1258-1265, in England there actually was a revolutionary situation. On April 2, 1258, barons assembled in London, and later in Oxford parliament. The nobles in Oxford demanded that Henry III (1216-1272) to dismiss foreigners from the royal court, to forbid to levy or collect some taxes. Besides, the barons wanted the king to establish a committee consisting of twenty-six people for the sake of reforms and the improvement of situation in the country. It was these

principles that were presented in the wel-known *Provisions of Oxford*. The committee worked for two months. Eventually, the barons worked out the following model of government: the king was to be a head of the state, to rule in association with a council of fifteen members. In 1258-1259, almost for nine monthe the council was in charge of principal state activities; however, a part of barons, supported by knights and burgesses, wanted to expand the functions of the council. In October, 1259, in Westminster, a part of the nobility, led by Simon de Montfort, put forth new demands, so-called *Provisions of Westminster*. Henry III repudiated the provisions. The barons reacted with strife. England was involved in the civil war. The decisive battle took place on May 14, 1264. During the battle, even the king was taken prisoner by the rebels. In January 1265, Simon de Montfort summoned the first parliament where barons, knights and burgesses sat together for the first time. This is the starting date in the history of the Parliament of England. As it is seen, the feudal aristocracy in England did their best to expand their rights mainly by way of increasing of political influence. Establishment of either a council consisting of fifteen members or summoning of the representative parliament is nothing than an attempt to limit the royal power by means of a new administrative structure. When one compares what happened in England in 1258-1265 to the events in Georgia, similarities are obvious. By means of *Karavi*, Qutlu-Arslan tried to deprive the king of the functions enjoyed by the sovereigns for centuries. Naturally enough, not everything developed in the same way in Georgia and England. Presently, it is essential to compare the main tendencies and demands present in the political plans of the nobility of the two countries. It should be noted that the struggle of the nobility, led by the royal treasurer, ceased in its middle and was not resumed. Therefore, Qutlu-Arslan's rebellion arouses a number of questions; however, one thing is clear: in Georgia, the nobles demanded establishing of an institution which would make the king share some power. The process in point can be considered as a prerequisite for the establishment of parliament. Qutlu-Arslan's political plan may be assumed as an initial step towards the establishment of the first Georgian parliament. Qutlu-Arslan's rebellion did not end successfully. Since then, nobody has come back to the idea of the establishment of *Karavi*. Even Royal Treasurer Qutlu-Arslan was forgotten. The only source is *The Histories and Eulogies of the Sovereigns*, owing to which this prominent event has reached our days. Following that, the nobility and the royal power have opposed each other many times in Georgia, but nobody has set forth a political program similar to that of the royal treasurer of Queen Tamar. This is where Qutlu-Arslan's genius lies in.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

ნათია ფიფია

არგონავტები და მედეა შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქის ინგლისურენოვან ლიტერატურაში (ჯეფრი ჩოსერი, ჯონ ლიდგეიტი)

არგონავტებისა და მედეას მითი პოპულარული იყო არა მხოლოდ ანტიკურ ხანაში, არამედ შუა საუკუნეებშიც და მით უფრო, რენესანსის ეპოქაში, როდესაც ევროპაში ინტერესი კლასიკური კულტურისადმი გაძლიერდა. შუა საუკუნეებში არგონავტების მითი ჩართული იყო ტროას ომისადმი მიძღვნილ თხზულებათა ციკლში, რომლის სხვადასხვა ვერსია დაწერილი აქვთ იტალიელ, ფრანგ, ინგლისელ ავტორებს. შუა საუკუნეების ყველაზე გადამუშავებული და შემდეგში ცნობილი ვერსიის ავტორია XII საუკუნის ფრანგი პოეტი ბენუა დე სენ-მორი. მისი თხზულებით ისარგებლა იტალიელმა ავტორმა გუიდო დე კოლონემ და XIII საუკუნეში (დაახლ. 1287 წ.) ლათინურ ენაზე შეთხზა ტროას ომის ის ვერსია, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო როგორც ტროას დაცემის ისტორიის სხვა ვერსიებს, ასევე არგონავტების და მედეას შესახებ სხვადასხვა თხზულებებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ავტორების პირადი დამოკიდებულება მედეასადმი განსხვავებულია და ეს ნაკლებად დამოკიდებულია ავტორთა წყაროებზე. როგორც ჩანს, მედეას სახე საკუთარ მეტამორფოზას გადის საუკუნეების განმავლობაში ამ ავტორების ხელში და მისი პიროვნებისადმი დამოკიდებულებაც ინდივიდუალურია ყველასთვის. მედეას სახე შუა საუკუნეების ინგლისურენოვან ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, რომ ინგლისელი ავტორების ვერსიით ხშირად ის უფრო სიყვარულისთვის წამებული ქალია, ვიდრე ცოდვილი. მედეას სახე ინგლისურენოვან ლიტერატურაში ქართველოლოგი მეცნიერებისთვის პრაქტიკულად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ თვით ჯეფრი ჩოსერი იყო დაინტერესებული ამ საკითხით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეს საკითხი გარკვეულწილად ახალია და შესაბამისად, მისი აქტუალობაც სწორედ აქედან გამომდინარეობს და ჩვენი დაინ-

ტერესებაც სწორედ ამან გამოიწვია.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპელი ავტორებისთვის უფრო მეტად მითის ლათინური ვერსია იყო ცნობილი, ტროას ომის და მის ციკლში ჩართული არგონავტების ისტორიისთვის ისინი სარგებლობდნენ რამდენიმე თხზულებით: *De Excidio Trojae Historia,* რომლის ავტორობა მიეწერებოდა V საუკუნის მოღვაწეს ვინმე დარეს ფრიგიელს,[1] ასევე თხზულებით *Ephemeridos Belli Trojani*, რომელიც მიეწერება ასევე ვინმე სავარაუდოდ IV საუკუნის ავტორს დიქტის კრეტელს. გარდა ამისა, შუა საუკუნეების ავტორები, ძირითადად იცნობდნენ ოვიდიუსის და ვერგილიუსის თხზულებებს. ის ავტორები, რომელთათვისაც მითის უფრო ლათინური ვერსია იყო ცნობილი, მედეასადმი უფრო ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩევიან, ასეთია ჯეფრი ჩოსერის დამოკიდებულება. ჯ. კოლავიტოც აღნიშნავს, რომ ჩოსერზე გავლენა ოვიდიუსმა მოახდინა და არა შუა საუკუნეების ტროას ომის ციკლმა ან აპოლინიუს როდოსელმა, და არც ვალერის ფლაკუსმა.[2] მართალია, ჯეფრი ჩოსერი ისტორიის პერიოდიზაციის თვალსაზრისით ეპოქალურად შეიძლება საერთოდ მიეკუთვნება შუა საუკუნეებს, მით უფრო, რომ თანამედროვე სალიტერატურო ინგლისური ენის ფუძემდებლად ითვლება, მაგრამ რადგან ახალი ხანის დასაწყისი რენესანსის ეპოქას უკავშირდება, ხოლო რენესანსი კლასიკური კულტურის აღორძინებას გულისხმობს, მიგვაჩნია, რომ ზღვარი შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქის ავტორებს შორის ინგლისურენოვან ავტორებში უნდა გავავლოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ცნობილია მათთვის მითის ბერძნული ვერსია. გამომდინარე იქიდან, რომ მითის ლათინურ ვერსიას შუა საუკუნეებში ყოველთვის კითხულობდნენ, მაშინ როდესაც ბერძნული ვერსიის კითხვა მხოლოდ რენესანსის ეპოქაში დაიწყეს, შუა საუკუნეების ტრადიციებიდან მომდინარე ავტორად უნდა ჩაითვალოს ჯეფრი ჩოსერი[3] და ჯოზეფ ექსეტერელი, ხოლო

[1] ამ ავტორების შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი სტატია: ნ. ფიფია. არგონავტები და ძველი კოლხეთი გეიანანტიკური ხანის თხზულებაში „De Excidio Trojae Historia". თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IX.თბ. 2015, გვ. 32-42.

[2] J. Colavito. Jason and the Argonauts through the Ages. North Carolina. McFarland and Company publishers. 2014. გვ. 309, 311.

[3] უფრო დაწვრილებით ჯ. ჩოსერის წყაროების შესახებ იხ. ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ჩოსერის თხზულებების შესახებ, კერძოდ, 'House of Fame'-ის სავარაუდო წყაროების შესახებ მითითება. ხელმისაწვდომია: http://public.wsu.edu/~delahoyd/chaucer/HF.html.

ჯონ ლიდგეიტი, რომლის თხზულებებში ორივე ვერსია ჩანს, ადრეული რენესანსის ავტორია. ჯონ ლიდგეიტის ადრეულ თხზულებებში შედარებით ლოიალური დამოკიდებულება ჩანს მედეასადმი, მაშინ როდესაც მოგვიანებით უფრო მკაცრი ხდება მისი ტონი, როგორც ეს ძირითადად რენესანსის ხანის ავტორებს ახასიათებთ.

გარდა თავისთავად არგონავტებისა და მედეას მითისა, ჩვენ გვაინტერესებს როგორი იყო კოლხეთის პერცეფცია ამ ავტორებთან – როგორი წარმოედგინათ, რამდენად ადეკვატურია მათი ცოდნა კოლხეთის შესახებ და საერთოდ, ესმით თუ არა მისი ადგილმდებარეობა სწორად, ამაზე დამოკიდებული, რამდენად შეიძლება მათი გამოყენება მინიმუმ იმის საკვლევად, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდათ ამ ავტორებს საქართველოს შესახებ.

ჯეფრი ჩოსერი

ჯეფრი ჩოსერთან მედეას მითი ჩართულია მის თხზულებაში „კარგი ქალების ლეგენდა“, რომელიც დაიწერა დაახლ. 1386-88 წწ. თხზულება შედგება ათი ნაწილისგან: 1) პროლოგი, 2) კლეოპატრას ლეგენდა, 3) თისბეს ლეგენდა, 4) დიდონას ლეგენდა, 5) ჰიფსიფილესა და მედეას ლეგენდა, 6) ლუკრეციას ლეგენდა, 7) არიადნეს ლეგენდა, 8) ფილომელას ლეგენდა, 9) ფილისის ლეგენდა და 10) ჰიპერმნესტრას ლეგენდა. როგორც ვხედავთ, მეხუთე ნაწილში ჩოსერმა გააერთიანა ორი ქალის, ჰიფსიფილესა და მედეას ისტორია, ეს ქალები მან ერთი ნიშნით შეარჩია: ორივენი იაზონის მიერ მოტყუებულები არიან. სათაურის შერჩევიდანვე უკვე ჩანს ავტორის დამოკიდებულება იაზონისადმი და სავარაუდო დამოკიდებულება მედეასადმი, რაც პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ ჩოსერი სარგებლობდა ლათინური ხანის ავტორებით, ანდა მათგან მომდინარე შუა საუკუნების ავტორებით. ჩოსერისთვის ცნობილია ვერგილიუსის თხზულებები, პიერ ბერსუარის (1290-1362) თხზულება Ovidius Moralizatus, რომელიც თავის მხრივ იცნობდა ოვიდიუსს, ასევე ჩოსერისთვის ცნობილია გუიდო დე კოლონეს თხზულება, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა დარეს ფრიგიელს, დიქტის კრეტელს და ბენუა დე სენ მორს, თავის მხრივ ბენუა დე სენ-მორი იცნობდა ვერგილიუსს, ოვიდიუსს, დარეს ფრიგიელს და დიქტის კრეტელს.

ჩოსერის თხზულების ყველა თავი იწყება და მთავრდება ლათინური ფრაზით. მედეას და ჰიფსიფილეს შესახებ თავი იწყება ფრაზით: Incipit Legenda Ysiphile et Medee, martirum (აქ იწყება ჰიპსიფილესა და მედეს ლე-

გენდა, წამებულთა). შესავალშივე ჩანს, რომ ჩოსერი ამ ორ ქალს წამებულად მიიჩნევს. შემდეგ იაზონის შეფასებიდანაც ზუსტად იგივე დასკვნის გამოტანა შეიძლება, იაზონი მუხთალი და მატყუარაა და არამცთუ ჩვეულებრივი, არამედ ორგზის მატყუარაა. ჩოსერის დამოკიდებულება იაზონისადმი კარგად ჩანს თხზულებაში:

ძველინგლისური ვერსია:
Thow rote of false lovers, Duc Jasoun,
Thow sly devourere and confusioun
Of gentil wemen, tendre creatures…
Thow madest thy recleymyng and thy lures
There othere falsen oon, thow falsest two!
O, often swore thow that thow woldest dye
For love, whan thow ne feltest maladye
Save foul delyt, which that thow callest love!
Yif that I live, thy name shal be shove
In English that thy sekte shal be knowe!
Have at thee, Jason!
That in his dayes nas ther non yfounde
So fals a lovere goinge on the grounde.[4]

ახალინგლისური თარგმანი:
'Duke Jason, you root of false lovers,
yously devourer and ruin of high-born women, tender creatures!...
Where others are false to one, you are false to two!
Ah, often did you swear you would perish for love,
when you felt no illness except foul delight, which you call love!
As long as I live, your name shall be spread far in English,
so that your deceitfulness shall be known! Take that, Jason!
in his days no lover so false was found walking on earth'.[5]

ქართული თარგმანი:
„წარჩინებულო იაზონო, მუხთალ შეყვარებულთა მეთაურო, მაცდურო

[4] G. Chaucer. Legend of Good Women. NeCastro, Gerard, ed. and trans. eChaucer. Online edition of University of Maine at Machias. Available at: http://ummutility.umm.maine.edu/necastro/chaucer/texts/lgw/lgw4hypsipylemedea07.html
[5] G. Chaucer. Legend of Good Women.

და წარჩინებულ ქალთა, ნაზ ქმნილებათა დამღუპველო. თუკი სხვებმა მხოლოდ ერთი შეაცდინეს, შენ ორი. ხშირად იფიცებოდი, რომ სიყვარულისთვის დაიღუპებოდი, იფიცებოდი სიყვარულს, მაშინ როდესაც მსუბუქი უნამუსო სიამოვნების გარდა არაფერს გრძნობდი. მანამ სანამ ცოცხალი ვარ, ყველგან მთელს ინგლისში შენს სახელს გავავრცელებ, რათა შენი მაცდურობის შესახებ ყველამ იცოდეს. მის თანამედროვეთაგან არავინ ყოფილა ასეთი მატყუარა, მაცდური შეყვარებული".

რაც შეეხება მედეას, ჩოსერისთვის მედეა მოხერხებული, ჭკვიანი ქალია, რომელმაც გმირი შექმნა. მედეას ჩარევის გარეშე იაზონს დიდი დამპყრობლის სახელი არ ექნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მედეა ამას გრძნეულებით და მოხერხებულობით სჩადის, ჩოსერისთვის მისი პიროვნების განსაზღვრისთვის მთავარი ეს არ არის, მთავარი ისაა, რომ მედეას თავგანწირვა და თავდადება შეუძლია საყვარელი ადამიანისთვის:

ძველინგლისური ვერსია:

'Tho gan this Medea to hym declare
The peril of this cas from poynt to poynt,
And of his batayle, and in what disjoynt
He mote stonde, of which no creature
Save only she ne myghte his lyf assure.
And shortly to the poynt ryght for to go,
They been acorded ful bytwixe hem two
That Jason shal hire wedde, as trewe knyght;
And saved hym his lyf and his honour;
And gat hym a name ryght as a conquerour,
Ryght thourgh the sleyghte of hire enchauntement'.[6]

ახალინგლისური თარგმანი:

'Then this Medea made known to him from point to point the peril of the adventure and of his battle, and in what unequal combat he must stand, in which no creature except she alone could assure him of his life. And, to go shortly to the point, they were agreed between the two of them that Jason should wed her as a true knight... thus she saved his life and his honor and got him a great name as a conqueror, even through the wiles of her enchantment'.[7]

[6] G. Chaucer. Legend of Good Women.
[7] G. Chaucer. Legend of Good Women.

ქართული თარგმანი:

„შემდგომ მედეამ მას წვრილად აუხსნა მისი ჩანაფიქრის და მომავალი ბრძოლის საშიშროების შესახებ, თუ როგორ უთანასწორო ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო, რომელშიც არცერთ ქმნილებას არ გაუმარჯვია ჯერ და რომ მხოლოდ მას შეუძლია მისი სიცოცხლე იხსნას. და მოკლედ რომ გადავიდე მთავარ სათქმელზე, იაზონმა მას ჭეშმარიტი რაინდის სიტყვა მისცა, რომ იქორწინებდა მასზე... ასე იხსნა მედეამ მისი სიცოცხლე და ღირსება და მას დიდი დამპყრობლის სახელი შესძინა, თუნდაც ეს თავისი გრძნეულებით და მოხერხებით ჩაიდინა“.

კოლხეთის შესახებ ჯეფრი ჩოსერის ცოდნა საკმაოდ ზოგადია და მითის ყველაზე გავრცელებულ ვერსიებს ეყრდნობა და შესაბამისად, ძნელია დაზუსტებით თქმა, რომელი კონკრეტული ავტორისგან მომდინარეობს იგი. თუმცა, აქედან გამომდინარე, იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ კოლხეთის ჩოსერისეული პერცეფცია არ სცილდება მის წყაროებს და მას სავარაუდოდ თავისი დროის საქართველოსთან კოლხეთის დაკავშირება არ შეუძლია. უფრო მეტიც, ჩოსერისთვის კოლხეთი კუნძულია ოკეანეში, თუმცა ტროასგან აღმოსავლეთით მდებარეობს და შესაბამისად, რამდენადმე სწორია მისი აღქმა, მაგრამ ეს არ უნდა მიეწეროს მის ცოდნას კოლხეთის შესახებ, არამედ მის ცოდნას სხვადასხვა წყაროებისას:

ძველინგლისური ვერსია:

There was swich tydyng overal and swich loos,
That in an yle that called was Colcos,
Beyonde Troye, estward in the se,
That therin was a ram that men mighte se
That hadde a fles of gold that shon so bryghte
That nowher was ther swich anothir syghte;
But it was kept alwey with a dragoun,
And many other merveyles, up and doun,
And with two boles maked al of bras,
That spitten fyr, and moche thyng there was.
But this was ek the tale, natheles,
That whoso wolde wynne thylke fles,
He moste bothe, or he it wynne myghte,
With the boles and the dragoun fyghte.
And kyng Oetes lord was of that yle.[8]

[8] G. Chaucer. Legend of Good Women.

ახალინგლისური ვერსია:

'Many reports that in an island called Colchis, eastward in the sea beyond Troy, men might see a ram that had a fleece of gold so shining that nowhere was there another such sight. But it was always guarded by a dragon and many other marvels all around, and by two bulls made entirely of brass, which spat fire; and many other things were there. But nevertheless this was the tale, that whosoever wished to win that fleece, before he could win it, must fight both the bulls and the dragon. And king Aeetes was lord of that island'.[9]

ქართული თარგმანი:

„მრავალნი გადმოგვცემენ, რომ კუნძულზე სახელად კოლხეთი, რომელიც ტროასგან აღმოსავლეთით ზღვაში მდებარეობს, შეიძლება ცხვრის ოქროს ტყავის დანახვა, რომლის ნათებას არაფერი შეედრება. თუმცა მას მუდმივად დრაკონი იცავს და სხვა საოცრებანი მის გარშემო, ასევე ორი ხარი, მთლიანად თითბერისგან დამზადებული, რომლებიც ცეცხლს აფრქვევენ. და სხვა ბევრი რამ იყო იქ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორია იყო, ამბობენ, რომ ვისაც სურდა საწმისის მოპოვება, სანამ მოიპოვებდა, ხარებსაც და დრაკონსაც უნდა შებმოდა. და ამ კუნძულის მბძანებელი იყო მეფე აიეტი".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „კარგი ქალების ლეგენდა" ერთადერთი ნაწარმოები არაა, სადაც ჯ. ჩოსერი იხსენიებს მედეას. უფრო ადრეულ ნაწარმოებში „დიდების სახლი" (House of Fame), იგი გაკვრით იხსენიებს მედეას, სადაც გასაგები ხდება, რომ მედეას მიერ მისი შვილების მკლელობის შესახებ ვერსიაც ცნობილია მისთვის,[10] თუმცა როგორც რუთ მორსი აღნიშნავს, ჩოსერის მედეა „იაზონის გამო" კლავს შვილებს და მისთვის მედეა ბოროტი ჯადოქარი არაა.[11] ფ. პერსივალის აზრით კი, ჩოსერმა მითი საერთოდაც ისე გადაასხვაფერა, რომ მანამდე არსებული მედეასგან პრაქტიკულად არაფერი დატოვა.[12]

[9] G. Chaucer. Legend of Good Women. NcCastro, Gerard, ed. and trans. cChaucer. Online edition of University of Maine at Machias.

[10] ეს ვერსია ჩოსერისთვის შესაძლებელია ბოკაჩოსგან გახდა ცნობილი, თუმცა ამ ავტორთან მისი მიმართების საკითხი დღემდე სადავოდ რჩება.

[11] Ruth Morse. Medieval Medea. D. S. Brewer. Cambridge. 1996. გვ. 225.

[12] Florence Percival. Chaucer's Legendary Good Women. Cambridge. Cambridge University Press. 1998. გვ. 210.

ჯონ ლიდგეიტი

ჯონ ლიდგეიტი (1370-1451) არგონავტებისა და მედეას საკითხს ეხება თავის ორ თხზულებაში: „ტროას წიგნი“ და „უფლისწულთა დაცემა“. ამათგან „ტროას წიგნი“ შედარებით ადრე არის დაწერილი – 1412-29 წლებში, მაშინ როდესაც ლიდგეიტი როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იცნობდა ჯოვანი ბოკაჩოს (1313-1375) თხზულებას De mulieribus claris (გამოჩენილი ქალების შესახებ), ხოლო „უფლისწულთა დაცემა“ დაწერილია მოგვიანებით 1431-1438 წწ., როგორც ჩანს, მას მერე, რაც ლიდგეიტისთვის ცნობილი გახდა ბოკაჩოს თხზულება. რით არის აღსანიშნავი ეს მოვლენა – წაკითხული ჰქონდა თუ არა ლიდგეიტს ბოკაჩოს თხზულებები? ჯოვანი ბოკაჩოს თავისი ნაწარმოების შექმნისას ეყრდნობოდა არამხოლოდ ლათინურ, არამედ ბერძნულ ვერსიებსაც, შესაბამისად, მისი დამოკიდებულება მედეას, როგორც დადებითი პერსონაჟისადმი, უფრო სკეპტიკურია, განსხვავებით შუა საუკუნეების ავტორებისგან, რომლებიც რომაელი ავტორების გამო, უფრო ლოიალურად იყვნენ განწყობილი მედეასადმი. „ტროას წიგნში“ მედეა მშვენიერია ფიზიკურადაც:

‘And þus Medea with hir rosene hewe,
And with freschenes of þe lyle white,
So entermedled of kynde be delite,
Þat Nature made in hir face sprede
So egally þe white with þe rede’.[13]

„ამგვარად მედეა თავისი სასიამოვნო გარეგნობით, შროშანივით თეთრი და ხალასი სიკეთე და სიამოვნება შერწყმული იყო მასში ბუნებამ თანაბრად გადაანაწილა მის სახეზე თეთრი და წითელი“

საინტერესოა, რომ ამ თხზულებაში არსად არ არის აფსირტეს ხსენება, და შესაბამისად მის მკვლელობას და მედეას როლს ამ ამბავში ლიდგეიტი არ ასახელებს „ტროას დაცემაში“. საინტერესოა, რომ აქ მედეაა აიეტის ტახტის მემკვიდრე და მისი წასვლით აიეტი კარგავს არამხოლოდ საწმისს, არამედ ტახტის მემკვიდრესაც. აქ თითქოს ისე გამოდის, რომ მედეა, რო-

[13] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards. Kalamazoo, Michigan. Medieval Institute Publications. TEAMS. Middle English Texts series. 1998. Book 1 available at: http://d.lib.rochester.edu/teams/text/edwards-lydgate-troy-book-book-1

გორც ტახტის ერთადერთი მემკვიდრე, საწმისთან ერთად არის მისი სამეფოს ბედნიერი მომავლის გარანტი და შესაბამისად, არა მხოლოდ საწმისის, არამედ მედეს დაკარგვითაც მის სამეფოს ბედნიერი მომავალი აღარ უწერია:

'Wherfor, þou Cethes, of verray reklesnesse
Þou hast attonys, in augment of þi woo,
With-out recure bothe two for-goo:
Firste þi tresour, and þi douȝter dere,
Þat was to þe so passyngly entere,
And eke þin ayre; for whan þat sche was goon,
As seithe myn auctor, other was þer noon,
After þi day for to occupie
Þi royal septre, nor þi lond to guye'.[14]

„ამგვარად კეტესმა, ჭეშმარიტი უგუნურებით, [რომელსაც] თავიდან ჰქონდა ერთი [პრობლემა], ხოლო გაზარდა და შექმნა ორი, სამუდამოდ დაკარგა ორთავე: თავისი საგანძური, და მისთვის ძვირფასი ქალიშვილიც და ამრიგად ის სამუდამოდ დაიკარგა მისთვის, ამასთან მისი მემკვიდრეც, როდესაც ის [მედეა] წავიდა, როგორც ჩემი ავტორი (წყარო) ამბობს, არავინ მას არ დარჩა იმ დღიდან, რომ მისი სამეფო კვერთხი დაეკავებინადა მისი მიწა ემართა".

მედეასადმი ლიდგეიტის პოზიტიური დამოკიდებულება ჩანს მის ფრაზაშიც, სადაც ის აღნიშნავს, რომ არ უნდა, ცუდი თქვას მედეას შესახებ და ურჩევნია მისი შექების გამო მოკვდეს და მოუწოდებს მკითხველს, მის დამოკიდებულებას მოთმინებით მოეკიდოს:

'I am riȝt sory in englische to translate
Reprefe of hem, or any euel to seye;
Leuer me wer for her loue deye.
Where-fore I preye hem to take in pacience;
My purpos is nat hem to done offence'.[15]

„ჭეშმარიტად ვწუხვარ/არ მინდა, რომ როდესაც ინგლისურად ვთარგმნი, ვამტკიცო მათ შესახებ იგივე ან რაიმე ცუდი ვთქვა მათზე; მირჩევნია მისი შექებისთვის მოკვდე, ამიტომაც მოთმინებით მოეკიდეთ მათ."

[14] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards.
[15] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards.

როგორც აღვნიშნეთ, მედეა ჯონ ლიდგეიტის თხზულებაში „ტროას წიგნი“ მეფე აიეტის (კეტესის) ტახტის მემკვიდრედ არის დასახელებული. შესაბამისად, აფსირტეს ხსენება აქ არსად არ არის და მით უმეტეს, მედეას დანაშაულისა, რომელიც მას ძმის მკლელობაში მიუძღვის. ეს ვერსია, ლიდგეიტს, როგორც ჩანს, გუიდოს მიხედვით აქვს წარმოდგენილი, რომელთანაც ასევე არ ჩანს, აფსირტეს ეპიზოდი.

რაც შეეხება კოლხეთის პერცეფციას ლიდგეიტის თხზულებაში „ტროას წიგნი“, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჯეფრი ჩოსერს, ლიდგეიტსაც საკმაოდ მწყრალი წარმოდგენა აქვს, სად უნდა მდებარეობდეს იგი და ჩოსერივით მისთვის კოლხეთი კუნძულია, თუმცა ჩოსერისგან განსხვავებით ტროასთან დაკავშირებით არ ახდენს მის ლოკაციას. განსხვავებით ჩოსერისგან, რომელიც მეფე აიეტის ისტორიას საერთოდ არ ახსენებს და ზოგადად კოლხეთის შესახებ არ მსჯელობს მაინც და მაინც, ლიდგეიტი გადმოგვცემს, რომ ამ კუნძულის (კოლხეთის) მმართველი მეფე აიეტი ბრძენი და გონიერია, თავის დროზე ბევრი ბრწყინვალე საქმე ჩაიდინა, დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ასევე მისთვის ცნობილია, რომ აიეტი მზის შვილია. საინტერესოა, რომ ის მოხსენიებულია არა „მზის ღმერთის“, არამედ მზის შვილად. XV საუკუნის ინგლისში, რა თქმა უნდა, მკითხველისთვის შეიძლება გართულებულიყო იმის ახსნა, რომ მეფე მზის ღმერთის, წარმართული ღმერთის შვილი იყო, ან ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა არაპოპულარულად ჩაეთვალა მსგავსი მოხსენიება ლიდგეიტს და სწორედ ამიტომ არ მოიხსენია ღმერთის შვილად, ან უბრალოდ მისი ეპოქისთვის გაუგებრად ჩათვალა და ამიტომაც წარმოგვიდგინა როგორც უბრალოდ მზის შვილი:

‘How in Colchos, as the tydyng cam,
With-Inne an Ile enclosed was a Ram
Whiche bare his flees ful richely of golde;
And for the richesse, it was kepte in holde
With gret avis and gret[e] diligence,
That no man myȝt ther-to doon offence.
And in this Ile ther was a gouernour,
A noble kynge, a worthi weriour,
That Cethes hiȝt: wis, discret, and sage,

„ხოლო კოლხეთში, როგორც ამბები გვამცნობენ, კუნძულზე დაცული/დამალული იყო ცხვარი, რომელსაც მთლიანად ოქროთი დაფარული საწმისი ჰქონდა და თავისი სიმდიდრის გამო ის საგულდაგულოდ დაცული იყო. მას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რათა არავის კაცთაგან არ შეძლებოდა რაიმე ცუდის ჩადენა.ამ კუნ-

Whiche was also [y-]ronne fer in age,
That in his tyme, as bokys can deuise,
Had vnder-fonged many gret emprise
In pes and werre, & moche worschip wonne;
And he was sone also to the sonne...'.[16]

ძულს ჰყავდა მმართველი, კეთილშობილი მეფე, ღირსეული მეომარი, კეთესი ერთქვა მას სახელად და იყო ის გონიერი, პატივცემული და ბრძენი. ასაკში იყოს ის, მაგრამ თავის დროზე, როგორც წიგნები გვამცნობენ, ბევრი ბრწყინვალე საქმე ჩაიდინა, მშვიდობაშიც და ომშიც, დიდი პატივისცემა დაიმსახურადა ასევე ის იყო მზის შვილი".

საკუთრივ კოლხეთი და კოლხები აღწერილია ლიდგეიტთან, მოხსენიებულია მთავარი სამეფო ქალაქი, როგორც ყველაზე სახელგანთქმული, ღირსეული და მდიდარი, ხოლო მისი მაცხოვრებლები, რომლებიც იაკონიტებად მოიხსენიებიან, ლიდგეიტის აზრით, ყველაზე მამაცნი არიან:

'Now in þis Ile, and þis litel londe,
Þat Colchos hiȝt, ȝe schal vnderstonde,
How þat þer was a rial chef cite,
In al þat reigne moste of dignyte,
Of worthines, of ryches, and of fame,
And Iachonytos þat tyme bar þe name –
Chevest of alle, to spekyn of bildyng,
And stretes large and corious howsyng...'.[17]

„ამ კუნძულზე, ამ პატარა მიწაზე, რომელსაც კოლხეთი ეწოდებოდა, როგორც უკვე შეიტყვეთ, იქ იყო მთავარი სამეფო ქალაქი, იმ დროში ყველაზე სახელგანთქმული, ღირსეული და მდიდარი. მის მცხოვრებლებს ერქვათ იაკონიტები, ისინი იყვნენ ყველაზე მამაცნი, ხოლო ნაგებობებზე და ქუჩებზე ამბობენ, რომ იყო დიდი, კარგად ნაგები სახლებიც".

ჯონ ლიდგეიტის მეორე თხზულებაში „უფლისწულთა დაცემა" მედეას სახე აბსოლუტურად სხვანაირად არის დახატული. როგორც აღვნიშნეთ, ეს

[16] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards.
[17] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards.

განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ლიდგეიტმა ისარგებლა ჟოვანი ბოკაჩოს თხზულებით 'De mulieribus claris' (გამოჩენილი ქალების შესახებ). როგორც ჩანს, ბოკაჩო ბევრად უფრო ინფორმირებული იყო მედეას შესახებ. ბოკაჩოსთან მედეა ძმის მკვლელია, როგორც ეს ლიდგეიტის ამ მოგვიანო ხანის თხზულებაშია.

'And afftirward, whan he his purposhadde,
He leffte Oetes in ful gret dispair,
And Medea foorth with hym he ladde
And hir brother, which was the kyngis hair.
But as I fynde, how in his repair,
Out off Colchos whan thei gan remue,
Kyng Oetes afftir hem gan sue.
She took hir brothir & slouh hym cruely,
And hym dismembrid, as bookis make mynde,
And pecemeel in a feeld behynde...'.[18]

„მას შემდეგ, რაც მან [იაზონმა] მიზანს მიაღწია, მიატოვა ოეტესი საშინლად სასოწარკვეთილი და მედეა თავისთან ერთად ჩუმად წაიყვანადა მისი ძმაც, რომელიც მეფის მემკვიდრე იყო, მაგრამ როგორც მე შევიტყვე, თავისი საქმის გამოსასწორებლად კოლხეთიდან წავიდნენ როდესაც ისინი [არგონავტები] წავიდნენ და მათ დაედევნენ, ხოლო მედეამ თავისი ძმა სასტიკად მოკლა და დაანაწევრა, როგორც წიგნი მოგვითხრობს და ნაწილ ნაწილ მინდვრად დაყარა".

საერთოდაც, ჯ. ლიდგეიტი „უფლისწულთა დაცემის" წერისას უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს მედეას კოლხეთიდან გაქცევის შემდგომდროინდელ ბედზე, როგორც ჩანს, მედეასთან დაკავშირებული დრამატული ეპიზოდები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, მას გულგრილს არ ტოვებს და ცდილობს, საკუთარ მკითხველამდე მიიტანოს მედეას ახალი ვერსია. მისთვის იმხანად უკვე ცნობილია ვერსია, რომ მედეა გარბის ათენში და იქაურ მეფესთან[19] შეეძინება შვილი მედუსი:

[18] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards.

[19] როგორც ჩანს, აქ ეგეოსი იგულისხმება, მითის ეს ვერსია ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორებთან არის დაცული.

'So escapyng his indignacioun.
Be crafft off magik she wente at liberte
To Athenys, and in that regioun
She weddid was onto the kyng Egee.
Nat longe afftir bi hym a sone had she,
The which[e] child, myn auctour tellith thus,
Afftir Medea callid was Medus'.[20]

„თავისი უღირსებისგან გაქცევისას მისნობის მეოხებით მან თავისუფლებას მიაღწია, ათენში გაიქცა, სადაც მაშინ მეფე ეგეოსი მეფობდა და შეეუღლა მას.არცთუ დიდი ხნის შემდეგ კი მისგან ვაჟი ეყოლა. ამ ბავშვს კი, როგორც ჩემი ავტორი წერს, მედეას მიხედვით მედუსი დაერქვა."

„დაცემულ მთავართა" შორის ლიდგეიტი იხსენიებს მეფე აიეტს, რომელსაც იაზონმა და მედეას, რომლებიც შემდეგ დაბრუნდნენ კოლხეთში, ტახტი დაუბრუნეს. იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ მათი ბედის შესახებ მეტი არაფერი არ იცის:

'Cam first Oetes, and hath his compleynt gunne, Kyng off Colchos and sone onto the sunne.
Myn auctour tellith, that Iason & Mede
Resorted han a-geyn onto Colchos
Hir fadir Oetes, & from his pouerte
Brouht hym a-geyn into his roial see,
And to his crowne bi force thei hym restore:
Touchyng his eende, off hym I fynde no more'.[21]

„პირველი უნდა იხსენოს ოეტესი და დაიწყო მისი დარდი, კოლხეთის მეფისა და მზის შვილისა ჩემი ავტორი ამბობს, რომ იაზონი და მედეა დაბრუნდნენ კოლხეთში ისევ და მამამისი ოეტესი სიღარიბიდან დაიხსნეს და ისევ სამეფო სასახლეში მიიყვანეს და ტახტი ძალის გამოყენებით დაუბრუნეს, მისი დასასრულის შესახებ მე მეტი არაფერი ვიცი".

საინტერესოა ლიდგეიტთან თეზევსის, როგორც იაზონის კომპანიონის მოხსენიება, რომელიც მასთან ერთად ბრუნდება კოლხეთში. როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ ათენში მეფე ეგეოსთან იაზონი და მედეა ერთად ჩადიან და თეზევსი შემდეგ მათთან ერთად მიდის კოლხეთში აიეტისთვის ტახტის დასაბრუნებლად.

[20] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards.
[21] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards.

'And in a theatre callid Maratoun, Duk Theseus hadde this victorie. Afftir he wente to Colchos with Iasoun...'.[22]

„თეატრში, სახელად მარათონი წარჩინებულმა[23] თეზევსმა გაიმარჯვა და შემდეგ ის კოლხეთში იაზონთან ერთად წავიდა".

ამრიგად, მედეა შუა საუკუნეების ინგლისურენოვან ლიტერატურაში წარმოგვიდგება სრულიად ახალი სახით – მედეა სიყვარულისთვის წამებული ქალია, რომელიც მკითხველის პატივისცემას უნდა იმსახურებდეს, მაგრამ მისი ეს იმიჯი ისევ უახლოვდება კლასიკურ, ბერძნულ ვერსიას, როგორც კი იზრდება ცოდნა ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებით. ბერძნული ლიტერატურის გაცნობამ, ან უფრო ზუსტად ჯოვანი ბოკაჩოს მეშვეობით ბერძნულ ვერსიასთან ზიარებამ ინგლისურენოვან ლიტერატურაში შეცვალა დამოკიდებულება მედეასადმი, რაც შესამჩნევი გახდა ჯონ ლიდგეიტის შემოქმედებაში, ერთი ავტორის ხელში მედეამ გაიარა ეს მეტამორფოზა. რუთ მორსის აზრით, ლიდგეიტის უარყოფითი პოზიცია როგორც მედეასადმი, ასევე იაზონისადმი განპირობებულია მისი მორალური მსოფლმხედველობით – ლიდგეიტის აზრით, მედეა იტანჯება იმიტომ, რომ მისი ისტორია იწყება ცოდვით.[24]

მედეას თემა ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამ ორი ავტორით არ ამოიწურება, ოდნავ მოგვიანო ხანაში ეს თემა ისევ ინარჩუნებს პოპულარობას, მაგრამ ამჯერად, ამ სტატიის ფარგლებში ეს საკითხი ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება და მის შესახებ უკვე შემდგომ გავამახვილებთ ყურადღებას, ამასთან ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ საკითხის კვლევის საქმეში.

[22] John Lydgate. Troy Book: Selections. Edited by Robert R. Edwards.

[23] ორიგინალში მოხსენიებულია სიტყვა "Duke", რომელიც თარგმანში ჰერცოგს ნიშნავს, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კონტექსტიდან გამომდინარე ვარჩიეთ გვეთარგმნა, როგორც „წარჩინებული".

[24] Ruth Morse. Medieval Medea, გვ. 197.

Natia Phiphia

THE ARGONAUTS AND MEDEA IN MEDIEVAL AND EARLY RENAISSANCE ENGLISH LITERATURE (GEOFFREY CHAUCER, JOHN LYDGATE)

Summary

Myth of the Argonauts and Medea was always popular in the Medieval Ages, but mostly it was based on Latin version, not the Greek one. Later, when the Greek versions became available and knowledge about Classical literature increased in Europe, Medea's image was based mostly on the Greek version. This transformation can be well traced in English literature, especially in the works of John Lydgate. Geoffrey Chaucer and John Lydgate are two major authors who treat the Argonaut's myth. While Lydgate includes their story in the cycle of Troy Book and in another story, Fall of Princes, Chaucer made Medea a protagonist and included her story in his "Legend of Good Women". Chaucer's Medea is not a sinner, but rather a seduced woman, who was abandoned. Chaucer made Medea different from classical and Renaissance versions, because of two reasons: 1) Chaucer did not know Greek version of the myth,2) Medea was supposed to be a protagonist in his work, therefore, a positive hero. As for Lydgate, Medea in his early works also seems to be more positive than in later one – Fall of Princes, which was determined by one fact: he became acquainted with Giovanni Boccaccio's work, who knew the Greek version also and as a result, Lydgate's attitude has changed.

Medea's image in Medieval and early Renaissance Ages was less studied in Georgian scientific literature, therefore we decided to pay attention to this issue and we hope, that it will increase the interest in this topic.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

მამუკა წურწუმია

წინამხრის დამცავი საშუალებები საქართველოში (სამკლავე)

ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილ მკლავის (წინამხრის) დასაცავ საშუალებას შუა საუკუნეების საქართველოში *სამკლავე*, იგივე *ხელნავი* ერქვა.[1] ხელნავი სამკლავეს თავისი მოგრძო, ნავისებური მოყვანილობის გამო ეწოდა.

მკლავის დასაცავი საშუალებები ბრინჯაოს ერის დასაწყისში გაჩნდა, თუმცა მათი რიცხვი ყოველთვის მცირე იყო. საბერძნეთში ისინი ძვ. წ. VI ს-იდან ქრება. სამკლავეები უფრო ხანგრძლივად არსებობენ აპენინის ნახევარკუნძულზე, სადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოაღწიეს. ადრე შუასაუკუნეებში მკლავის დასაცავი სეგმენტური არტახოვანი სამკლავეები ნაპოვნია აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში. ნაგისენტმიკლოშის განძის VIII ს-ის ამფორაზე გამოსახული ცხენოსნის სამკლავე შედგება მრავალი ლითონის ზოლისაგან, რომელიც ტყავის თუ ქსოვილის ძირზეა დამაგრებული.[2] სეგმენტური სამკლავეები ნაპოვნია სამხრეთ რუსეთისა და ყირიმის სკვითურ სამარხებში.[3] ისინი გვხვდება VII საუკუნის ვალსგარდის მერვე სამარხშიც.[4] ბიზანტიურ ტრაქტატებში აღწერილია *მანიკელია*, რომელიც იდაყვიდან მაჯამდე იცავდა ხელს. ის რკინის, ქსოვილის, ხარის ტყავისა და ხისაგანაც კი მზადდებოდა.[5]

ევროპაში ხელის ფირფიტოვანი დაცვის ელემენტები, რომელიც იდაყვს ფარავდა, 1260 წელს გამოჩნდა. მილის ფორმის ფირფიტას კი XIV საუკუნის მეორე დეკადის ილუსტრაციებზე ვხედავთ. XIV საუკუნის მიწურულს

[1] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 39, 440.

[2] С. Димитров. Налакътник от района на Опака. Попово в миналото. 5. 2008, გვ. 223.

[3] H. Russell Robinson. Oriental Armour. New York. 1967, გვ. 13.

[4] G. Arwidsson. Valsgärde 8. Uppsala. 1954, სურ. 7.

[5] P. L. Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261). Leiden. 2010, გვ. 185-186.

ეკუთვნის ბორნჰოლმში ნაპოვნი ტუბულარული შესახსრული სამკლავე.[6]

უძველეს ევროპულ ორსაგდულიან სამკლავედ ა. კირპიჩნიკოვი სახნოვკის სამკლავეს მიიჩნევს. 1240 წელს მონღოლთა შემოსევის შედეგად დანგრეულ სახნოვკის მდიდრულ საცხოვრებელში ორნაწილიანი სამკლავე აღმოჩნდა. ის შედგებოდა ანჯამებით შეერთებული ორი მილისებური ფირფიტისაგან, რომელიც მკლავზე ორი ღვედით და ორი აბზინდით მაგრდებოდა. კირპიჩნიკოვს ეჭვი არ ეპარება სამკლავის რუსულ წარმოშობაში.[7] მის მოსაზრებას ამაგრებს ჩერნიგოვის მიწაზე ნაპოვნი კიდევ ერთი აღმოჩენა.[8] 1239 წელს გომელში (ძველი გომია) მონღოლთა მიერ დანგრეულ მეიარაღის სახელოსნოში ო. მაკუშნიკოვის ექსპედიციამ გათხარა სახნოვკის მსგავსი, ანჯამებიანი კონსტრუქციის სამკლავის ფრაგმენტები.[9] მაკუშნიკოვი იზიარებს კირპიჩნიკოვის არგუმენტებს და გომელისა და სახნოვკის სამკლავეები მიაჩნია უძველეს ევროპულ სამკლავეებად. ის თვლის, რომ ასეთი სამკლავე მონღოლებს მხოლოდ XIV საუკუნის მეორე მეოთხედში გაუჩნდათ.[10] უფრო ფრთხილობენ რუსი ავტორები ა. კამენსკი და ი. კულეშოვი, რომლებიც ბოლოდროინდელ კვლევაში აღიარებენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ორსაგდულიანი სამკლავეების გენეზისი გაურკვეველი რჩება.[11]

---

[6] C. Blair. European Armour: circa 1066 to circa 1700. London. 1958, გვ. 39, 45, 64.

[7] А. Н. Кирпичников. Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв. Археология СССР. Ленинград. 1971, გვ. 20-21.

[8] ძველი რუსეთის ტერიტორიაზე სულ 4 სამკლავის ნაშთია ნაპოვნი. А. Н. Каменский, Ю. А. Кулешов. Защита конечностей в комплексе вооружения древнерусского воина (по материалам Великого Новгорода). Военная Археология. 3. 2014, გვ. 156.

[9] О. А. Макушников. Древнерусская оружейная мастерская из Гомия. Старожитності Південної Русі. Чернигов. 1993, გვ. 122.

[10] О. А. Макушников. Древнерусская оружейная мастерская из Гомия, 129. მაკუშნიკოვისა და ლუპინენკოს აზრით, სამკლავის რუსული წარმოშობის სასარგებლოდ მეტყველებს გომელის სახელოსნოში ნაპოვნი სამკლავის 68 ფრაგმენტი, რაც, მათი გარაუდით, ორ ნაკეთობას უნდა ეკუთვნოდეს და სერიულ წარმოებაზე მიუთითებდეს. Ю. М. Лупиненко, О. А. Макушников. Створчатые наручи первой половины XIII в. из летописного Гомия. Военная Археология. 3. 2014, გვ. 184-188. აქვე შეგნიშნავ, რომ ორი ნაკეთობის ფრაგმენტები მაინც ერთი გარნიტურის შემადგენლობაში შედის.

[11] ა. კამენსკი და ი. კულეშოვი ცდილობენ IX საუკუნის ხაზართა სამარხებში ნაპოვნი სამკლავეები ხართონ ევოლუციის ამ პროცესში, მაგრამ თავადვე ადასტურებენ, რომ XI საუკუნიდან XIII საუკუნემდე აღმოსავლეთ ევროპაში სამკლავეების არსებობა ცნობილი არ არის. იხ.: А. Н. Каменский, Ю. А. Кулешов. Защита конечностей в комплексе вооружения древнерусского воина (по материалам Великого Новгорода), გვ. 161-162.

მ. გორელიკი უარყოფს სახნოვკის სამკლავის ადგილობრივ წარმოშობას და შუა საუკუნეებში გავრცელებული ორნაწილიანი სამკლავის სამშობლოდ შორეულ აღმოსავლეთს თვლის. მისი მოწმობით, სამკლავე პირველად კორეაში დასტურდება I ათასწლეულის შუახანებში, VII-VIII სს. კი უკვე შუა აზიაში გვხვდება. სახნოვკის სამკლავე მას მონღოლის კუთვნილებად მიაჩნია. გორელიკის მოსაზრებას ისიც განამტკიცებს, რომ რუსული წერილობითი და იკონოგრაფიული წყაროები XVI საუკუნემდე სამკლავეს არ იცნობენ.[12]

კირპიჩნიკოვის მოსაზრებას სამკლავის რუსული წარმოშობის შესახებ არ ეთანხმება ს. დიმიტროვი. აღმოსავლურად მიაჩნია სამკლავე ა. სალნიკოვს, ე. ნაროჟნის და ჯ. ჩახკიევსაც.[13] ეჭვის საფუძველს იძლევა ის გარემოებაც, რომ ორივე, სახნოვკისა და გომელის სამკლავე, მონღოლთა მიერ დანგრეულ შენობებშია აღმოჩენილი, რაც შესაძლებელს ხდის მათ მონღოლებთან დაკავშირებას.

აღმოსავლეთში სამკლავის გავრცელებას ჩინურ-მონღოლურ გავლენას მიაწერს დ. ნიკოლიც.[14] მას მოჰყავს სამკლავის ერთ-ერთი უადრესი გამოსახულება, რომელიც გვხვდება მამლუქთა ეგვიპტეში 1240 წელს შესრულებულ აბუ მაშარ ალ-ბალჰის ასტროლოგიურ ტრაქტატში.[15]

როგორც ჩანს, ამ დისკუსიაში საბოლოო წერტილის დასმა ჯერ ად-

[12] М. В. Горелик. Монголо-татарское оборонительное вооружение второй половины XIV – начала XV в. Куликовская битва в истории и культуре нашей Родины. Москва. 1983, გვ. 257-258.

[13] С. Димитров. Налакътник от района на Опака. გვ. 230; Е. И. Нарожный, Д. Ю. Чакхиев. О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.). Материалы и исследования по археологии Северного Кавказа. Вып. 2. Армавир. 2003, გვ. 140; А. В. Сальников. К вопросу о присутствии наручей в защитном вооружении народов Северного Кавказа XIII-XV вв. Историческая и социально-образовательная мысль. Т. 7. Вып. 1. 2015, გვ. 113. ბოლოდროინდელი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, ეს ვარაუდი მეტ დამაჯერებლობას იძენს. შორეულ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ სიას ჯურჯენთა სახელმწიფოს (1215-33) ტერიტორიაზე, შაიგინსკის ნაქალაქარზე (პრიმორიეს მხარე) აღმოჩნდა ორნაწილიანი სამკლავე. Н. Г. Артемьева, С. Д. Прокопец. Предметы защитного вооружения чжурчжэней (XII-XIII вв.). История Оружия. 8-9. 2013, გვ. 80, სურ. 5.1-2. მისი ფირფიტები ერთმანეთს ანჯამების ნაცვლად ღვეძების საშუალებით უკავშირდება, რაც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ იგი, როგორც პირვანდელი პროტოტიპი მონღოლურ-აღმოსავლური სამკლაეისა.

[14] D. Nicolle. Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours. London. 1998, გვ. 167.

[15] D. Nicolle. Early Medieval Islamic Arms and Armour. Caceres. 1976, გვ. 82, სურ. 107.

რეა და დამატებითი მასალის აღმოჩენის გარეშე ორივე მოსაზრება სამუშაო ჰიპოთეზად რჩება.

ორნაწილიანი სამკლავეები საკმაო რაოდენობით გვხვდება XIV საუკუნის მეორე ნახევრის ირანულ მინიატურებზე. XV საუკუნის მინიატურები კი მათ საყოველთაო გავრცელებაზე მეტყველებს. XIV ს. დამლევს და XV ს. პირველ ნახევარში აღმოსავლეთში დასრულდა სამკლავის ძირითადი ტიპების ფორმირება. სამკლავის რთული ტიპები, რომლებიც ხელის ზურგსა და თითებსაც იცავდა, ქრება და ადგილს უთმობს უფრო მარტივ კონსტრუქციებს. ამიერიდან სამკლავე წარმოადგენს ღვედებით, ანჯამებითა და ჯაჭვის რგოლებით ერთმანეთთან შეერთებულ ფირფიტებს და ხელს მაჯიდან იდაყვამდე იცავს. ხელის გარე მხარის დამცავი ფირფიტა ყველაზე გრძელია. მას მომრგვალებული ან მახვილი ბოლო აქვს, რომელიც იდაყვის სახსარს ცდება და, შესაბამისად, იდაყვსაც იცავს. ძირითადთან შედარებით სხვა ფირფიტები ბევრად მოკლეა.[16] სამკლავეს უკანა მხრიდან ქსოვილი ჰქონდა ამოკრული, რომელიც ამორტიზატორის როლს ასრულებდა, დარტყმის ძალას აქრობდა და იცავდა ტანსაცმელს ლითონთან შეხებისაგან.[17]

ე. ნაროჟნისა და ჯ. ჩახკიევს, ისევე როგორც ა. სალნიკოვს, აღნუსხული აქვთ ჩრდილოეთ კავკასიაში ნაპოვნი ორნაწილიანი შესახსრული სამკლავეები, რომლებიც უმთავრესად XIV-XV საუკუნეებს ეკუთვნის, თუმცა უფრო გვიანაც გვხვდება. სამკლავეები აღმოჩენილია მთიანი ინგუშეთის სოფლებში: ზემო ლეიმში (XIV-XV სს.), ზემო ალკუნში (XV ს.), ზემო ოზდიკში (XVI-XVIII სს.) და კელიის სამარხში (XIV ს.), და ჩეჩნეთის დასახლებებში, ცეჩა-ახკში (XIV-XV სს.) და მაკაჟოიში (XIV ს.).[18] როგორც ვხედავთ, XIV საუკუნემდე ჩრდილოეთ კავკასიაში სამკლავე აღმოჩენილი არ არის. ავტორთა აზრით, ეს სამკლავეები ან ოქროს ურდოდანაა შემოსული[19] ან მეზობელი სა-

[16] Л. А. Бобров, Ю. С. Худяков. Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья. Военное дело номадов Северной и Центральной Азии. Новосибирск. 2002, გვ. 111-112, 133.

[17] С. Димитров. Налакътник от района на Опака, სურ. 226.

[18] Е. И. Нарожный, Д. Ю. Чакхиев. О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.), გვ. 138-139, სურ. 10-11; А. В. Сальников. К вопросу о присутствии наручей в защитном вооружении народов Северного Кавказа XIII-XV вв., გვ. 111-113.

[19] ოქროს ურდოს არქეოლოგიურ ძეგლებზე 8 თუ 9 სამკლავეა აღმოჩენილი. А. Н. Каменский, Ю. А. Кулешов. Защита конечностей в комплексе вооружения древнерусского воина (по материалам Великого Новгорода), გვ. 156-157.

ქართველოდან, რომლის შეიარაღება ილხანთა ირანის გავლენის ქვეშ იყო.[20]

ადვილი შესაძლებელია, ჩეჩნეთ-ინგუშეთში აღმოჩენილი სამკლავეები, მართლაც, საქართველოს გავლით და საქართველოდან იყოს შესული ჩრდილო კავკასიაში.[21] ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი სამკლავეები ჰგავს XIV საუკუნის მეორე ნახევრის H-1665 დავითნის მინიატურების აღჭურვილობას, სადაც ასეთივე ორნაწილიანი შესახსრული სამკლავეებია გამოსახული.

სამკლავე საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში კიდევ უფრო ადრე უნდა იყოს მოხვედრილი. უძველესი ჩრდილოკავკასიური სამკლავე ლეგენდარულ ოს ბაყათარს ეკუთვნოდა. ბაყათარი ისტორიული პიროვნება იყო, რომელიც XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა და იბრძოდა საქართველოში. სიკვდილის შემდეგ მისი აღჭურვილობა რეკომში, ცნობილ ოსურ სალოცავში ინახებოდა. ზოგიერთი ცნობით, მათ რიცხვში შედიოდა სამკლავეც. აღწერილობის თანახმად, სამკლავის ფოლადის ფირფიტები სპილენძით იყო მორთული.[22] გარდა იმისა, რომ ბაყათარი საქართველოში იბრძოდა და ქართული საჭურვლით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი, მისი სამკლავის ტექნოლოგიური თავისებურებაც ამაზე მიუთითებს: სპილენძის ფურცლებით რკინის ფირფიტების მორთვა ქართული სამკლავისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა.

სამკლავე საქართველოში ფართოდ გავრცელებული ჩანს XIV საუკუნის მეორე ნახევარში, რასაც მოწმობს H-1665 დავითნის მინიატურები. ამ მინიატურებზე გამოსახულია ფირფიტოვანი აბჯრის სამკლავეები, რომლებიც

---

[20] Е. И. Нарожный, Д. Ю. Чакхиев, О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.), გვ. 140; А. В. Сальников, К вопросу о присутствии наручей в защитном вооружении народов Северного Кавказа XIII-XV вв., გვ. 113.

[21] ამ მხრივ საყურადღებოა, რომ სემო ალკუნის მეომრის სამარხში სამკლავესა და სხვა იარაღთან ერთად ნაპოვნია ორი ქოთნის ფრაგმენტი ქართული ასომთავრული წარწერით – „თალერვ“. Д. Ю. Чахкиев, Е. И. Нарожный. Погребение знатного горского воина начала 15 в. из селения Верхний Алкун (Чечено-Ингушетия). Военное дело древнего и средневекового населения Северной и Центральной Азии. Новосибирск. 1990, გვ. 129.

[22] Е. И. Нарожный. О шлемах из сел. Ярыш-Марды и святилища Реком (Чечня и Северная Осетия). Материалы и исследования по археологии Северного Кавказа. Вып. 2. Армавир. 2003, გვ. 116; Е. И. Нарожный, Д. Ю. Чакхиев. О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.), გვ. 138. ბაყათარის და მისი აღჭურვილობის შესახებ იხ. M. Tsurtsumia. The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet. Acta Militaria Mediaevalia. 7. 2011, გვ. 88-89.

ორი ნაწილისაგან შედგება და ანჯამებით არის შესახსრული. ამავე დროს, ბაყათარის სამკლავის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ამ იარაღის ცალკეული ეგზემპლარები უფრო ადრე, XIII საუკუნის ბოლოს მაინც უნდა შემოსულიყო მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფი ირანიდან.

წყაროებში სამკლავის მოხსენიება XV საუკუნიდან გვხვდება. 1483 წელს არადეთთან ბრძოლის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგს „მოაჴსენა ამილახორმან: მე ერთსა კაცსა ჴრმალი შემოვკარ და **სამკლავიანი** ჴელი გავაგდებინეო, და თუ გინდა, წამოდით და გიჩვენებო“. წარმოვიდნენ და ნახეს, **სამკლავიანი** ჴელი ძეძვში ეგდო“.[23] ჩანს, ამილახვრის მოწინააღმდეგეს, რომელსაც ხმალი იდაყვზე ოდნავ ზემოთ მოხვდა, სამკლავე ეკეთა და მოკლემკლავიანი ჯაჭვი ეცვა. ხელის მოკვეთა გრძელმკლავიანი ჯაჭვის დროს შეუძლებელი იქნებოდა.

წინამხრის პასიური დაცვის გარდა, სამკლავის აქტიურად გამოყენებაც შეიძლებოდა, რაც გულისხმობს მოქნეული ხმლის მოგერიებას სამკლავის შეგებებით. XIV საუკუნეში დასაწყისში მუსლიმი სამხედრო თეორეტიკოსი ალ-აქსარაი აღწერს ხმლის სამკლავით მოგერიების მეთოდს.[24] ამ მეთოდს საქართველოშიც იყენებდნენ. ვ. ელაშვილი აღწერს სამკლავით ხმლის მოგერიებას როგორც ხევსურული ფარიკაობის ერთ ილეთს და ეს ფოტოზეც აქვს აღბეჭდილი. მეტიც, ელაშვილი გადმოგვცემს, რომ ხევსურთა მტკიცებით, ყველაზე გამოცდილი მოფარიკავენი ფარის ნაცვლად მხოლოდ სამკლავეს იყენებდნენ და იმოწმებს ხევსურულ ლექსს:[25]

„თორღვავ, რა გქონდა ფარადა?
სამკლავენ უჴმარებიან,
დანა ხქონია ჴმალადა“.[26]

ამ ეპიზოდში აღწერილ ვითარებაში, გაჭირვების ჟამს გმირი ხმლის ნაცვლად დანას სჯერდება, ფარის ნაცვლად კი რკინის სამკლავეს იყენებს. ჩანს, მოწინააღმდეგის ცივი იარაღის მოსაგერიებლად სამკლავის გამოყენება, როგორც ეს ლექსის ავტორს აქვს აღწერილი, საკმაოდ გავრცელებული

[23] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 347.

[24] D. Nicolle. The Military Technology of Classical Islam. PhD Thesis. University of Edinburgh. 1982, გვ. 203.

[25] В. И. Елашвили. Парикаоба (Хевсурское фехтование). Тб. 1956, გვ. 70, სურ. 88.

[26] დ. გოგოჭური. ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები. თბ. 1977, გვ. 104.

ილეთი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სამკლავე ხელის საიმედო დაცვას განაპირობებდა, მისი დაზიანებაც შეიძლებოდა. ქართულ წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში აღწერილია შემთხვევები, როდესაც შუბის ძლიერ დარტყმას სამკლავეც კი ვერ უდგებოდა. 1625 წ. მარაბდის ბრძოლაში თეიმურაზ მეფემ მოწინააღმდეგეს სამკლავე გაუხეთქა: „შუბი შესცა და იმან ფარი დახუედრა, ფარი გაუტეხა და **ჴელნავიც გაუხეთქა** და მკლავიც მოსტეხა, შუბიც შეამტვრია, ცხენიდამ გარდმოაგდო“.[27] არჩილ მეფის (1647-1713) ისტორიულ პოემაში, სადაც 1626 წ. ბაზალეთის ომია აღწერილი, ფარზე ასხლეტილმა შუბმა უკვე მეფე თეიმურაზს გაუტეხა სამკლავე და დაჭრა: „ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრა ვერ მყო მიწის მთელი, / **სამკლავეცა გამიტეხა** და დამკოდა მე ნათელი“.[28] სამკლავის დაზიანება გვხვდება ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის XVII საუკუნის მხატვრულ ნაწარმოებშიც: „ფარს შუბი შეუცა, ფარი გაუტეხა და **სამკლავე გაუკვეთა** და მკლავსა დაკოდა“.[29]

ლ. კობულინსკი განარჩევს სამკლავის ფოლადის ფირფიტების ერთმანეთთან შეერთების ორ მეთოდს: ჯაჭვით და ანჯამებით (შესახსრული) და პირველს ირანულად მიიჩნევს, მეორეს კი ინდურად.[30] მას იმეორებს მ. ხორასანიც, რომელსაც დამატებით მოჰყავს ირანული ნიმუშები, რომელთა ფირფიტები ღვედების საშუალებით ერთდება.[31] წარმომავლობის მიხედვით სამკლავეების ასეთი კლასიფიკაცია ბოლომდე მართებული არ უნდა იყოს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სამკლავის ფირფიტების შეერთების ეს მეთოდები უმთავრესად დროის მიხედვით გაირჩევა: სამკლავის თავდაპირველი (XIII-XV სს.) ნიმუშები ანჯამებით იყო შესახსრული, მოგვიანებით კი გავრცელდა ჯაჭვის რგოლებით გადაბმა, რომელიც უფრო მარტივ კონსტრუქციას წარმოადგენს. ამასთანავე, ინდოეთის კონტინენტზე ანჯამებით შესახსრულ სამკლავეებს უფრო ხანგრძლივად იყენებდნენ.

---

[27] ჭარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. საისტორიო მოამბე. II. 1926, გვ. 234.
[28] არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. არჩილიანი. ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. II. თბ. 1937, გვ. 80.
[29] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. ომაიანიანი. გამოსაცემად მოამზადა ლიანა კეკელიძემ. თბ. 1979, გვ. 51.
[30] L. Kobylinski. Persian and Indo-Persian Arms. Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th Century from Polish Collection. Catalogue exhibition ed. by Antoni Romuald Chodynski. Malbork. 2000, გვ. 69.
[31] Manouchehr Moshtagh Khorasani. Arms and Armor from Iran: The Bronze Age to the End of the Qajar Period. Tubingen. 2006, გვ. 283.

დიდ ტერიტორიებზე გავრცელებული ერთი ტიპის იარაღის წარმომავლობის დადგენა საკმაოდ რთულია. ეს დებულება ზედმიწევნით მართალია სამკლავეების (ირანული *ბაზუბანდი*, ინდური *დასტანა*, თურქული *კოლუკი*, ქართული *ხელნაცი* და *სამკლავე*) მიმართ, რომელთაც შედარებით მარტივი კონსტრუქცია და ერთგვაროვნება ახასიათებთ. თუ მათში დიდი ჯგუფების გამოყოფა (ირანული, ინდური, თურქული) უფრო ადვილად ხერხდება, შედარებით ძნელია სამკლავეების ამიერკავკასიური თუ ჩრდილოკავკასიური კუთვნილების დადგენა და ეთნოგრაფიული ჯგუფების (ქართული, ჩერქეზული) გამოყოფა.

მკვლევრები არ ცდებიან, როდესაც იარაღის წარმომავლობის დასადგენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მასზე გამოსახულ ორნამენტს.[32] საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ქართულ სამკლავეებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ორნამენტის გარდა, შესაძლებელია დავეყრდნოთ სხვა, უფრო არსებით ნიშნებსაც.[33]

საგანგებოდ ქართული სამკლავეები აქამდე არავის შეუსწავლია. ეროვნული მუზეუმის კოლექცია საშუალებას გვაძლევს ეს ნაკლი გამოვასწოროთ და გამოვყოთ ქართული სამკლავისათვის დამახასიათებელ ნიშანთა მთელი ერთობლიობა. ამისათვის ჯერ ჩვენთვის საინტერესო ექსპონატთა მონაცემები მოვიყვანოთ, შემდეგ კი განვიხილოთ და დავახასიათოთ ისინი.

მუზეუმში დაცულ სამკლავეებში რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა შეიძლება შესრულების სტილისა და ცალკეული კომპონენტების წარმომავლობის მიხედვით. საკმაო ოდენობითაა შემონახული სამკლავეები აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებიდან, სადაც სამკლავეს ყველაზე დიდხანს ატარებდნენ. ხშირ შემთხვევებში ისინი პროვინციული ხელობისათვის დამახასიათებელი უბრალო შესრულებით გამოირჩევიან.

ექსპონატი 25-59/10 (შეძენილია ვ. ფიცხელაურისაგან,[34] სოფ. ბაკურხევი, გუდამაყარი): სამკლავის ლითონის ფირფიტები გადაბმული და მორთულია თითბერის ფურცლებით, მოქლონებითა და აბზინდებით; ფირფიტები ერთმანეთს უკავშირდება რგოლებში გაყრილი წკირით; წონა 234 გ; დიდი

---

[32] Э. Г. Аствацатурян. Оружие народов Кавказа. 2-е изд. Санкт-Петербург. 2004, გვ. 37; Kirill Rivkin. Arms and Armor of Caucasus. N.p. 2015, გვ. 82.

[33] საგანგებო მადლობას ვუხდი ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდის კურატორს მამუკა ქაფიანიძეს ნეცული და უანგარო დახმარებისათვის.

[34] ხევსურული წარმოშობის გვარი, რომელიც გუდამაყარში, სოფ. ბაკურხევში არის გადასახლებული.

ფირფიტის ზომა – 29X6.5-8.8 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.5 სმ (მათი შეფარდება 2.76:1). (სურ. 1ა).

ექსპონატი 25-59/11 (შეძენილია ვ. ფიცხელაურისაგან, სოფ. ბაკურხევი, გუდამაყარი): სამკლავის დიდი ფირფიტა გრძივად დაღარული ლითონია, რომელიც შემოვლებულია მარტივი გეომეტრიული ორნამენტით დამშვენებული თითბერით; ფირფიტის თავსა და ბოლოში მოხრილბოლოებიანი ორნამენტია გამოსახული, რომელიც სხვა ხევსურულ იარაღზეც გვხვდება;[35] სამკლავეზე სპილენძის მოქლონები და სპილენძის ორი აბზინდაა; სამკლავის ფირფიტები ანჯამებითაა დაკავშირებული; წონა 349 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 29.7X6.1-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.6 სმ (შეფარდება 2.8:1). (სურ. 1ბ).

ექსპონატი 35-35/72: გრძივად დაღარული და შავად დაფერილი ფოლადის ფირფიტები თითბერის აბზინდებით და სპილენძის მოქლონებით; სამკლავის ფირფიტები გადაბმულია დაბალი სინჯის ვერცხლის რგოლებით; წონა 358 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 29.4X6.3-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.2 სმ (შეფარდება 2.62:1). (სურ. 1გ).

ექსპონატი 39-58/1 (შემოწირულია ხევსური ი. წიკლაურის მიერ, სოფ. დუმაცხო, გუდამაყარი): ფოლადის ფირფიტები გეომეტრიული ორნამენტით დამშვენებული თითბერით არის მოარშიებული და სპილენძის მოქლონებით დამაგრებული; სამკლავის ფირფიტები გადაბმულია რგოლებით; წონა 434 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 29.2X6.8-10 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.1 სმ (შეფარდება 2.63:1). (სურ. 1დ).

ექსპონატი 41-26/24: განივად დაღარული დიდი ფირფიტა დაბალი სინჯის ორნამენტული ვერცხლით (არშავი) არის მორთული; პატარა ფირფიტები თითბერის ფურცლებით და სპილენძის მოქლონებით არის გადაბმულ-გამშვენებული; სამკლავის ფირფიტები რგოლებითაა დაკავშირებული; წონა 312 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 29X6.2-8.1 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.5 სმ (შეფარდება 2.76:1). (სურ. 1ე).

ექსპონატი 41-26/26: გრძივად დაღარული ფოლადის დიდი და პატარა ფირფიტები თითბერის აბზინდებით, თითბერისა და სპილენძის შერეული სამაგრებით და სპილენძის მოქლონებით; სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებით; წონა 435 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 30.4X6.3-9 სმ, პა-

[35] მაგალითისათვის იხ. Э. Г. Аствацатурян. Оружие народов Кавказа, გვ. 341, სურ. 289.

ტარა ფირფიტის სიგრძე – 11.8 სმ (შეფარდება 2.58:1). (სურ. 1ვ).

ექსპონატი 148-13/21: ეს სამკლავე 1913 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად არის მთიულეთიდან, სოფ. კაიშაურიდან ჩამოტანილი; ხევსურული ნიმუშებისაგან განსხვავებით გამოყენებულია თითბერის მოქლონები; შავად დაფერილი დიდი ფირფიტა მორთულია თითბერის ფურცლით, რომელზეც დახვეწილი ორნამენტი არის გამოსახული;[36] სამკლავის ფირფიტები რგოლებითაა დაკავშირებული; წონა 372 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 31.3X6.3-9.1 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.7 სმ (შეფარდება 2.67:1). (სურ. 1ზ).

ექსპონატი 822: სამკლავის ფოლადის ფირფიტები თითბერით არის მოარშიებული და სპილენძის მოქლონებით დამაგრებული; სამკლავის ფირფიტები რგოლებითაა დაკავშირებული; წონა 365 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 30.4X6.5-9.2 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11 სმ (შეფარდება 2.76:1). (სურ. 1თ).

ექსპონატი 839: ფოლადის სამკლავეზე დაფენილია კარგად შესრულებული მცენარეული ორნამენტით დამშვენებული ვერცხლის ფურცელი;[37] სამკლავე მორთულია სპილენძის მოქლონებზე წამოცმული ვერცხლის ბურთულებით, თითბერისა და სპილენძის მოქლონებით; სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია თითბერის სამაგრებითა და ფარეშიანი ჯაჭვის რგოლებით; წონა 464 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 30.3X5.8-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11 სმ (შეფარდება 2.75:1). (სურ. 1ი).

ექსპონატი 2506: გრძივად დაღარული შავად დაფერილი ფოლადის დიდი ფირფიტა, მაჯისკენ ამოკვეთილი რომბისებური ორნამენტით; მოარშიებულია თითბერის ფურცლებით; მორთულია თითბერის აბზინდებით, თითბერის რგოლებით და სპილენძის მოქლონებით; სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებით; წონა 597 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 31.8X6.5-9.2 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.6 სმ (შეფარდება 2.74:1). (სურ. 1კ).

ექსპონატი 39-13/8: წყვილი სამკლავე, სადაც ფოლადის ფირფიტები მორთულია სამყურა ორნამენტიანი მოოქრული ვერცხლის ფურცლებით, ასე-

[36] ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მთიულები იყვნენ „საჭურველთ-მოყუარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყონი". ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ქველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 356.

[37] ამ თვისებით, ვერცხლის ფირფიტის დიდ ზედაპირზე გამოყენებით, სამკლავე ჰგავს 13-23/2 ექსპონატს.

ვე, მოოქრული და მოსევადებული ვერცხლის ფურცლებით (სავარაუდოდ, თბილისური ხელობა); დიდ ფირფიტებს კიდეებზე შემოუყვება მოოქრული ვერცხლის ვიწრო ფირფიტა მარტივი გეომეტრიული ორნამენტით; თითბერის მოქლონები; სამკლავის ფირფიტები რგოლებში გაყრილი წკირით არის დაკავშირებული; წონა 433 და 482 გ; დიდი ფირფიტის ზომები – 34X10 და 34X10.1 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 12 და 12.3 სმ (შეფარდება 2.76:1). (სურ. 1ლ).

ქართულ სამკლავეებში შესაძლებელია გამოვყოთ ჯგუფი, რომელიც ირანულის მიბაძვით არის შესრულებული. საყურადღებოა, რომ ირანული ფირფიტების მიბაძვით დამზადებული სამკლავეების დიდი და პატარა ფირფიტების შეფარდება ყველაზე მაღალია სხვა ქართულ სამკლავეებთან შედარებით და აღემატება 3:1.

ექსპონატი 9-24/8 (სამკლავე ხევსურეთიდან): სამკლავის ფოლადის ფირფიტაზე ირანულის წაბაძვით ოქროს ზარნიშით არცთუ ოსტატურად შესრულებული სამყურა ორნამენტია; სამკლავეს აქვს თითბერის რგოლები, მოქლონები და აბზინდები; ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებით; წონა 330 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 34.3X6.2-10 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11 სმ (შეფარდება 3.12:1). (სურ. 2ა).

ექსპონატი 35-35/76: სამკლავის ფოლადის ფირფიტებზე ნაწილობრივ დაკარგული ოქროს კოფტგარი ჩანს;[38] ვიწრო ფირფიტები, რომლებიც სამკლავეს ამშვენებენ, მორთულია ქართული სტილით – ვერცხლის ფილიგრანით და ნამდვილი ცვარით; ვერცხლის მოქლონები; სამკლავის ფირფიტები ანჯამებითაა დაკავშირებული; წონა 503 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 33.5X7.3-10.1 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.1 სმ (შეფარდება 3:1). (სურ. 2ბ).

ექსპონატი 5378: სამკლავის ფოლადის ფირფიტაზე კვეთილი ორნამენტი შუაში ოთხბოლოიანი ვარდულით; ერთი პატარა ფირფიტა დაკარგულია; თითბერისა და სპილენძის მოქლონები; სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია თითბერის რგოლებით; წონა 395 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 30.6X7.1-9.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 9.8 სმ (შეფარდება 3.12:1). (სურ. 2გ).

ექსპონატი X (ნომერი გაურკვეველია): ფოლადის ფირფიტებზე 5378 ექსპონატის ორნამენტის მიბაძვა შუაში ოთხბოლოიანი ვარდულით, რომელიც

[38] ზარნიშისაგან განსხვავებით, სადაც ორნამენტის ლითონის მავთული სათითაოდ ამოკვეთილ ღარშია ჩასმული, კოფტგარის მავთული ზედაპირულად ღარებისაგან შექმნილ ერთიან ბადეზე მაგრდებოდა.

უფრო მარტივი სახით პატარა ფირფიტაზეც მეორდება; სამკლავის ფირფიტები ჯაჭვის რგოლებით არის დაკავშირებული; წონა 477 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 36.6X7.3-9.6 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 9.5 სმ (შეფარდება 3.85:1). (სურ. 2დ).

ირანული ფირფიტების მიბაძვის გარდა, ჩვენს ხელთ არის სამკლავეები, რომლებიც ირანული ფოლადის ფირფიტებს იყენებს და ადგილობრივი გადაკეთების კვალს ატარებს.

ექსპონატი 23-60/2(ა) (ამ ნომრით მუზეუმში წყვილი სამკლავეა გატარებული, მაგრამ დიფერენციაციის მიზნით მათ პირობითად (ა) და (ბ) ნომერი მიენიჭა): სამკლავეს ხევსურული ხელობის კვალი ეტყობა, ირანული ფოლადის ფირფიტები მოვერცხლილი სპილენძით და ზოგან თითბერის ფურცლით არის მოარშიებული; ჩერქეზული „ვერძის რქის“ მსგავსი ორნამენტიანი აბზინდები; ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებში გაყრილი წკირით; წონა 355 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 30.3X6.8-9.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 12.4 სმ (შეფარდება 2.45:1). (სურ. 3ა).

ექსპონატი 23-60/2(ბ): სამკლავეს უხეშად შესრულებული ხევსურული ხელობის კვალი ეტყობა, ირანული ფოლადის ფირფიტებს ვერცხლის და ზოგან თითბერის ფურცლით აქვთ არშია შემოვლებული (ოსტატი აშკარად ბაძავდა 23-60/2(ა) სამკლავეს, ამ ორ სამკლავეს აახლოებს ის ფაქტიც, რომ მათ გამონაკლისის სახით 4 წყვილი შესაკრავი აბზინდა აქვთ); პატარა ფირფიტა 3 ხევსურული გობაკით არის მორთული; ჩერქეზული „ვერძის რქის“ მსგავსი ორნამენტიანი აბზინდები; ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებში გაყრილი წკირით; წონა 346 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 30.6X6.4-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.6 სმ (შეფარდება 2.9:1). (სურ. 3ბ).

ექსპონატი 13-23/2 (სამკლავე ხევსურეთიდან): აშკარაა ხევსურული ხელობის კვალი, ირანულ ფოლადის ფირფიტებზე დაფენილია ყვავილოვანი ორნამენტით მორთული ვერცხლის ფურცლები, რომლებიც ვერცხლის მოქლონებითაა დამაგრებული (სამკლავის ფოლადის ფირფიტა 23-60/2(ბ)-ს ფირფიტის ტყუპისცალია, რაც შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე, რომ ხელში ჩაგდებული სამკლავის ფირფიტები დაინაწილეს და სხვადასხვა ოსტატს მისცეს გასაკეთებლად; თითბერის აბზინდები; ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებით; წონა 304 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 29.8X6.7-9.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.8 სმ (შეფარდება 2.75:1). (სურ. 3გ).

ექსპონატი 69-26/17: წყვილი სამკლავე, სადაც ირანული ოქროს ზარნიშიანი ფოლადის ფირფიტები მორთულია დამახასიათებელი ქართული

მოოქრული და მოსევადებული ვერცხლის ფურცლებით (სავარაუდოდ, თბილისური ხელობა); სამკლავის ფირფიტები რგოლებში გაყრილი წკირით არის დაკავშირებული; წონა 416 და 449 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 30.6X6-9 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 11 და 11.3 სმ (შეფარდება 2.7:1). (სურ. 3დ).

ექსპონატი 10-27/165 და 10-27/166: გადაკეთებული წყვილი სამკლავე, სადაც ირანულ დიდ ფირფიტებს მაჯის მხარეს აქვს ჩერქეზული „მძიმის" მსგავსი ორნამენტი;[39] დამატებულია თითბერის ფურცელი მარტივი ორნამენტით, რომელიც შესრულების ხარისხით ორიგინალს ჩამოუვარდება; ფოლადის დაღარული პატარა ფირფიტებიც, რომლებიც ვერცხლისა და თითბერის ფურცლებითაა მორთული, შემდეგ არის დამატებული; თითბერის და სპილენძის აბზინდები, შერეული თითბერისა და სპილენძის მოქლონები; სამკლავის ფირფიტებში გადაბმის ორივე ხერხია გამოყენებული: რგოლებში გაყრილი წკირით და მხოლოდ რგოლებით; წონა 315 და 380 გ; დიდი ფირფიტის ზომები – 29.8X6.4-8.3 და 30.1X6.2-8.1 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 10.3 და 12.7 სმ (შეფარდება 2.9:1 და 2.27:1). (სურ. 3ევ).

ექსპონატი 25-53/4ბ (სამკლავე ხევსურეთიდან): გადაკეთებული სამკლავე ირანული დიდი და პატარა ფირფიტებით, რომლებიც მორთულია ჩერქეზული „მძიმის" მსგავსი ორნამენტით დამშვენებული თითბერის ფურცლებით; შეკეთებულია ორი ფირფიტით და სპილენძის მოქლონებით; ვერცხლის სამაგრები და მოქლონები; სამკლავის ფირფიტები რგოლებში გაყრილი წკირით არის დაკავშირებული; წონა 286 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 29.9X6.4-8.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 12 სმ (შეფარდება 2.49:1). (სურ. 3ზ).

ექსპონატები 81-971/7 და 81-971/7ა (შეძენილია ჟ. წიკლაურისაგან, სოფ. მლაშე, დუშეთის რაიონი): გადაკეთებული სამკლავეები, სადაც წყვილი ირანული დიდი და პატარა ფირფიტებია გამოყენებული; 81-971/7ა-ს პატარა ფირფიტაზე შემორჩენილია ვერცხლის ფურცლები ჩერქეზული „მძიმის" მსგავსი ორნამენტით; 81-971/7-ის დიდი ფირფიტა შემოვლებულია მარტივი ორნამენტით დამშვენებული თითბერის ფურცლებით; თითბერის აბზინდები, სპილენძის მოქლონები; 81-971/7-ის ფირფიტები რგოლებში გაყრილი წკირით არის დაკავშირებული, 81-971/7ა კი – რგოლებით; წონა 356 და 292

[39] თელავის მუზეუმში გამოფენილია სამკლავე, რომელსაც სუსტად ასეთი ირანულ ორნამენტიანი დიდი ფირფიტა აქვს და ქართული სტილით, რგოლებით არის გადაბმული.

გ; დიდი ფირფიტის ზომები – 26.6X6.1-8.1 და 26.3X6.8-8.1 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 11.4 და 11.3 სმ (შეფარდება 2.33:1 და 2.32:1). (სურ. 3თი).

როგორც ვხედავთ, გადაკეთებულ ირანულ სამკლავეებში ხშირად გვხვდება სამკლავეები ჩერქეზული ტიპის ორნამენტით.[40] ჩერქეზული ორნამენტი საქართველოში დამზადებულ იარაღზე (მაგალითად, ხანჯლებზე) სხვა დროსაც შეინიშნება.[41] ისიც უნდა ითქვას, რომ ჩერქეზული ორნამენტით დამშვენებული იარაღის დიდ ნაწილს თბილისური ვერცხლის სინჯი არტყია.[42] თბილისი კავკასიის ცენტრად ითვლებოდა და რეგიონული მნიშვნელობის საიარაღო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც მრავალი ეროვნების (ირანელები, სომხები, ჩრდილოკავკასიელები და სხვ.) ხელოსნები ჭედდნენ იარაღს სხვადასხვა ბაზრისათვის. ცხადია, რომ ეს ე.წ. ჩერქეზული ორნამენტი საქართველოშიც საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა. სხვაგვარად, რეალობას იქნება მოკლებული იმის ვარაუდი, რომ აღნიშნული სამკლავეების ფოლადის ირანული ფირფიტები ჯერ ჩერქეზეთში მოხვდა, სადაც პირველად გადააკეთეს და ჩერქეზული ორნამენტით დაამშვენეს, შემდეგ კი ერთბაშად საქართველოში აღმოჩნდა, სადაც ისინი მეორედ გადააკეთეს. ასეთი სცენარის წარმოდგენა ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

ეროვნულ მუზეუმში დაცულია ისეთი სამკლავეებიც, რომლებიც ტრადიციულად ჩერქეზული სამკლავეების ჯგუფს მიეკუთვნება:

ექსპონატი 17-25/2 (ჩამოტანილია გ. ჩიტაიას მიერ სოფ. ყვარელიდან, ნიკო ჭავჭავაძის მიერ აგებული ეკლესიიდან): ფოლადის ფირფიტებზე ოქროს ზარნიში; მორთულია ოქროცურვილი „მძიმის“ ორნამენტიანი ვერცხლის ფირფიტებით, რომლებიც ვერცხლის მოქლონებითაა დამაგრებული; ფირფიტები დაკავშირებულია ჯაჭვის (ეკლებრივი) რგოლებით; წონა 491 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 29.5X5.9-7.7 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.5 სმ (შეფარდება 2.56:1). (სურ. 4ა).

ექსპონატი 79-60/13: ფოლადის ფირფიტებზე კვეთილი ორნამენტი; მოარშიებულია ჩერქეზული „მძიმის“ ორნამენტიანი მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით, რომლებიც ვერცხლის მოქლონებითაა დამაგრებული; სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია ჯაჭვის (ეკლებრივი) რგოლებით; წონა

[40] ჩერქეზული სტილიზებული „ვერძის რქის“ და „მძიმის“ ორნამენტი იხ. Э. Г. Аствацатурян. Оружие народов Кавказа, გვ. 38-39.

[41] იხ. Э. Г. Аствацатурян. Оружие народов Кавказа, გვ. 351, სურ. 303в, 304.

[42] K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, გვ. 82.

224 გ; დიდი ფირფიტის ზომა – 29.7X6.1-7.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.1 სმ (შეფარდება 2.67:1). (სურ. 4ბ).

ექსპონატები 2505 და 41-26/25: წყვილი სამკლავე, სადაც ფოლადის დიდი ფირფიტები მოარშიებულია ჩერქეზული „ვერძის რქის" ორნამენტიანი მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით (41-26/25-ის ფირფიტა მოოქრული სპილენძითაც არის მორთული), რომლებიც ვერცხლის მოქლონებითაა დამაგრებული; ფირფიტები დაკავშირებულია ჯაჭვის (ეკლებრივი) რგოლებით; წონა 246 და 265 გ; დიდი ფირფიტის ზომები – 29.9X5.9-8.6 და 29.4X5.8-9 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 11.6 და 11.7 სმ (შეფარდება 2.58:1 და 2.51:1). (სურ. 4გდ).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჩერქეზულ სამკლავეებს აერთიანებს მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით მორთულობა, ჯაჭვით გადაბმა და ორნამენტი. ეს ნიშნები ახასიათებს მილერისა და ასტვაცატურიანის მიერ აღწერილ ჩერქეზულ სამკლავეებსაც.[43] ამავე დროს, როგორც ჩანს, არსებობს ჩერქეზული სამკლავეების მეორე ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს თითბერის ფირფიტებით მორთულობა, როგორც ამას აღნიშნავენ კ. რივკინი და ო. პინჩო.[44] ეს ჯგუფი ი. გუტოვსკის კატალოგშია წარმოდგენილი. გუტოვსკის მიერ აღწერილი ჩერქეზული სამკლავეები თითბერის ფირფიტებითაა გაფორმებული.[45] ყველა მათგანი ჯაჭვის რგოლებით არის შეკავშირებული.

ეს სამკლავეები დამახასიათებელი ორნამენტით ჩერქეზულ ჯგუფს მივაკუთვნე იარაღთმცოდნეობაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით

[43] იხ. XVIII საუკუნის ჩერქეზული სამკლავე მორთული ტრადიციულ ჩერქეზულ სტილში – მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით არშიამოვლებული. Y. A. Miller. Caucasian Arms from the State Hermitage Museum. Næstved. 2000, გვ. 329, სურ. 90. ვერცხლის ფირფიტებით აქეს არშია შემოვლებული ერმიტაჟის ჩერქეზული სამკლავეების მეორე ნიმუშსაც. იქვე, გვ. 329, სურ. 91. ორიეეს ფირფიტები ჯაჭვის რგოლებითაა შეკავშირებული. ასევე იხ. Э. Г. Аствацатурян. Оружие народов Кавказа, გვ. 101.

[44] რივკინისა და პინჩოს მიხედვით, ჩერქეზულ სამკლავეებს კიდეებზე თითბერის ფურცლები აკრავს, რომელიც დაფარულია „მძიმის" ორნამენტით. კ. რივკინი და ო. პინჩო თითბერის ასეთ ფურცლებს XVIII საუკუნით ათარიღებენ, თუმცა თავად სამკლავის ფოლადის ფირფიტა შეიძლება ბევრად უფრო ძველი იყოს. Кирилл Ривкин, Оливер Пинчо. Оружие и военная история Кавказа. Запорожье. 2011, გვ. 81. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ცალკეული გამონაკლისების გარდა, თითბერის გამოყენება კაეკასიაში მხოლოდ ქართულ-ხევსურული იარაღისათვის არის დამახასიათებელი. K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, გვ. 159.

[45] Jacek Gutowski. Tartar Arms and Armour. Warszawa. 1997, გვ. 56-58, სურ. 42-49.

(ასტვაცატურიანი, მილერი, გუტოვსკი, რივკინი და პინჩო). მაგრამ არ შეიძლება არ გამოვთქვა ერთგვარი ეჭვიც: ე.წ. ჩერქეზულორნამენტიანი სამკლავეები საკმაოდ დიდი ოდენობით გვხვდება საქართველოში; ისინი გვხვდება გეოგრაფიულად ფართო არეზე – ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში (ქართლი, კახეთი) და მთის რეგიონებშიც (მთიულეთი, ხევსურეთი) კი. აქ საუბარი არ არის რომელიმე მსხვილ ცენტრში (მაგალითად, თბილისში) საგანგებოდ ჩერქეზეთში საექსპორტოდ დამზადებულ პროდუქციაზე. თუ დასავლეთ საქართველოზე ჩერქეზული გავლენა კიდევ შეიძლება დავუშვათ, აღმოსავლეთ საქართველოსა და განსაკუთრებით მის მთიანეთში, ეს ნაკლებად სავარაუდოა. ძნელი წარმოსადგენია, რომ, მაგალითად, ხევსურეთში მასობრივად დაეწყოთ ჩერქეზული ორნამენტის გამოყენება (თუკი ის მართლაც ექსკლუზიურად ჩერქეზულია). გამორიცხული არ არის, რომ ამჟამად ჩერქეზულად მიჩნეული იარაღის დიდი ნაწილი საქართველოში იყოს დამზადებული, თუმცა ამ საკითხს შემდგომი და საგანგებო კვლევა სჭირდება.[46]

[46] გერმანელი მოგზაური და აღმოსავლეთმცოდნე, რუსეთის აკადემიის წევრი იულიუს კლაპროტი, რომელმაც 1807-8 წლებში იმოგზაურა და დეტალურად აღწერა ჩრდილოეთი კავკასია, წერდა, რომ ჩერქეზები საუკეთესო აბჯარს ყუბაჩში (დაღესტანი) და აფხაზეთში შოულობდნენ, ხოლო იარაღი კი – ნაწილი თურქეთიდან შეჰქონდათ, ნაწილი –საქართველოდან. კლაპროტი საგანგებოდ უთითებს ხელოსნობის განუვითარებლობაზე და მჭედლების შესწავლულობაზე ჩერქეზეთში, სადაც უმთავრესად მხოლოდ იარაღის მორთვას მისდევდნენ. Julius Von Klaproth. Travels in the Caucasus and Georgia. Translated from the German by F. Shoberl. London. 1814, გვ. 322-323. ხელოსნობის ასეთივე მდგომარეობას აღწერს ფრანგი ჟაკ დე მარინიც, რომელმაც 1818 და 1823-24 წლებში რამდენიმეგზის იმოგზაურა ჩერქეზეთში. მისი მოწმობით, ჩერქეზების ხელთ არსებული იარაღი ძირითადად იმპორტირებული იყო, რომელსაც ადგილობრივი ოქრომჭედლები მხოლოდ ამშვენებდნენ. Taitbout de Marigny. Three Voyages in the Black Sea to the Coast of Circassia. London. 1837, გვ. 89-90. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტმა ი. ბლარამბერგმა, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა და საბრძოლო ოპერაციებშიც მონაწილეობდა, გენერალური შტაბის დავალებით შეისწავლა რეგიონის მოსახლეობა და ფუნდამენტური შრომები მიუძღვნა მათ. ბლარამბერგი ადასტურებს და იმეორებს კლაპროტის ინფორმაციას ჩერქეზეთში იარაღის თურქეთიდან და საქართველოდან იმპორტის შესახებ. იარაღის საერთაო მნიშვნელობის ფონზე ბლარამბერგი საგანგებოდ უთითებს მეტალურგიის განუვითარებლობაზე ჩერქეზეთში, აგრეთვე, მჭედლობის და ხელოსნობის შეზღუდულობასა და მცირე მასშტაბებზე, სადაც მხოლოდ ოქრომჭედლობა იყო განვითარებული. Иоганн Бларамберг. Историческое, топографическое, статистическое и этнографическое описание Кавказа. Перевод с

განხილული მასალა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. გვიანდელი ქართული სამკლავე შედგება მკლავის გრძელი ფირფიტისა და ორკომპონენტიანი მოკლე სამაჯურისაგან. ადრეული სამკლავისაგან განსხვავებით, სამაჯური დაპატარავებულია და ორი პატარა ფირფიტისაგან შედგება. სამკლავის სიგრძის შეფარდება სამაჯურთან იშვიათად აღემატება 3:1. მკლავის ფირფიტა სიგრძეში ოდნავ სცილდება იდაყვს და მასაც იცავს. უმთავრესად სამკლავეს 3 წყვილი აბზინდა ჰქონდა, აქედან ქვედა ნაწილში 4 ცალი (ორი დიდ ფირფიტაზე და ორი – პატარაზე), რომელშიც გაყრილი ღვედები მაჯაზე ამაგრებდა სამკლავეს, დიდი ფირფიტის უკანა ნაწილში ორივე მხარეს დამაგრებულ აბზინდებში გაყრილი ღვედი კი – მკლავზე. გარემოს ზემოქმედებისაგან დასაცავად სამკლავეს საგანგებო ტყავის ბუდეში ინახავდნენ. ეროვნულ მუზეუმში დაცული ექსპონატი 990, რომლის ზომა 36X13 სმ-ია, სწორედ ასეთ ბუდეს წარმოადგენს (სურ. 5).

ქართული სამკლავისათვის დამახასიათებელია ფირფიტების გადაბმის ორიგინალური სისტემა: 1. მოზრდილი რგოლებით და 2. პატარა რგოლებში გაყრილი წკირით (ე.წ. გარეთ გამოტანილი ანჯამით). შედარებით იშვიათად გვხვდება ანჯამებით და, კიდევ უფრო იშვიათად, ჯაჭვის რგოლებით გადაბმა. გარეთ გამოტანილი ანჯამით გადაბმული ფირფიტები სხვაგან არსად შეინიშნება[47] და ასეთი სამკლავე შეიძლება შეუცდომლად ამოვიცნოთ როგორც ქართული პროდუქტი.[48] ქართული სამკლავეებისათვის, ასევე, დამახასიათებე-

французского, предисловие, комментарии И. М. Назаровой. Нальчик. 1999, გვ. 135-136, 146, 173-174. ინგლისის მთავრობის აგენტი ჯეიმს ბელი, რომელიც 1837-39 წლებში ცხოვრობდა ჩერქეზეთში, მსჯელობს იქაური იარაღის (ჯაჭვი, მუზარადი, მშვილდი) სიძვირეზე, რადგანაც არცერთი მათგანი არ მზადდებოდა ადგილობრივ. James Stanislaus Bell. Journal of a Residence in Circassia During the Years 1837, 1838, and 1839. Vol. I. London. 1840, გვ. 403. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ხანებში კავკასიური იარაღის საოგიერთო კოლექციონერი სულაც მიიჩნევს, რომ „ჩერქეზული იარაღი" თბილისშია დამზადებული, „ჩერქეზული სტილი" კი თბილისშია შექმნილი რუსული და ჩერქეზული ბაზრისათვის. K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, გვ. 82.

[47] ასეთ გადაბმას არ იცნობს ს. დიმიტროვიც, რომელიც სამკლავის შიდა ფირფიტებისა და მათი შეერთების მიხედვით სამ ტიპს გამოყოფს. С. Димитров. Налакътник от района на Опака, გვ. 223-225.

[48] ბაშირ მოჰამედის კოლექციაში მყოფი სამკლავე, რომელზეც კ. რივკინმა მართებულად ამოიცნო ქართული სეადის მორთულობა (K. Rivkin. Arms and Armor of Caucasus, სურ. 68a), გადაბმულია რგოლებში გაყრილი წკირით, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მის ქართულობაზე.

ლია სამკლავის ფირფიტების კიდეების თითბერით[49] ან ზედაპირის ვერცხლით მორთვა,[50] სპილენძის მოქლონების გამოყენება. განსაკუთრებით უხვადაა გამოყენებული თითბერი[51] ხევსურული სამკლავეების ლითონის ფირფიტების დამაგრება-გაფორმებაში.[52]

ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მიერ განხილული სამკლავეები, ძირითადად, პროვინციულ ხელობას წარმოადგენს და საქართველოს მთიან რეგიონებს მიეკუთვნება. ცხადია, საქართველოს ქალაქებში, იარაღის წარმოების ცენტრებში, უმაღლესი არისტოკრატიისათვის ბევრად უფრო დახვეწილი სამკლავეები მზადდებოდა, რისი მაგალითიცაა ერმიტაჟში დაცული XVII საუკუნით დათარიღებული შესანიშნავი ქართული სამკლავე (საინვენ-

[49] არშიამოვლებული სამკლავეები შეინიშნება XX საუკუნის დასაწყისის ხევსურთა ფოტოებზეც და XIX საუკუნის შუახანებში კავკასიაში მყოფი გერმანელი მხატვრის თეოდორ ჰორშელტის მიერ 1868 წელს ჩახატულ ხევსურ ცხენოსანზე, რომლის სამკლავეზე კარგად ჩანს ოქროსფერი, ანუ თითბერის არშია. Y. A. Miller. Caucasian Arms from the State Hermitage Museum, გვ. 11, ნახ. 6. (სურ. 6)

[50] ვერცხლის ფურცლებით დეკორატიულად მორთულია სამკლავე, რომელიც 1659 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრემ III-მ (1639-60) გაუგზავნა რუსეთის მეფე ალექსეი მიხეილის ძეს (1645-76). სამკლავის რკინის ფირფიტას კიდეებზე ვერცხლის მოქლონებით დამაგრებული ვერცხლის ფურცელი შემოუყვებოდა. სამკლავეს თათმანი ვერცხლის 11 რგოლით ემაგრებოდა და ვერცხლისავე აბზინდები გააჩნდა. Опись Московской Оружейной палаты. Часть 3. Книга 2. Москва. 1884, გვ. 156-157.

[51] თითბერი სპილენძისა და თუთიის შენადნობია, რომელსაც კოროზიისადმი მდგრადობა ახასიათებს. თითბერი გამოირჩეოდა ლამაზი ფერით, სიიაფით, დამუშავების სიმარტივით, გამძლეობითა და მაღალი მექანიკური თვისებებით, რის გამოც მას ფართოდ იყენებდნენ საქართველოს მუსლიმურ სამყაროში. ირინა გუგუნავა. გვიანირანული ლითონის კოლექციის ატრიბუციისათვის (ყაჯარული ჭეირული ჭურჭელი). საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. IV. 2013, გვ. 463. თავის ტრაქტატში ვახტანგ VI აღწერს თითბერის მიღებას სპილენძისა და თუთიის მადნისაგან. მისი თქმით, შედეგად „რბილი, ყვითელი კაი თითბერი იქნება“. მან ასევე იცის თეთრი თითბერის მიღების ხერხი, რასაც დარიშხანის დამატებით აღწევდნენ. ვახტანგ VI. წიგნი სეთების შესავებისა და ქიმიისა ქმნის. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, კომენტარი, ტერმინთა საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოსაშვილმა. თბ. 1981, გვ. 200-201.


[52] ეროვნულ მუზეუმში დაცული ხევსურული სამკლავეების ჯგუფს ერთნაირი ხელობა აერთიანებს; ხშირ შემთხვევაში უცხოური (ირანული) წარმოშობის ლითონის ფირფიტები გაფორმებულია და ერთმანეთს უკავშირდება ვერცხლითა და თითბერით; ნამუშევარი პროვინციული უბრალოებით გამოირჩევა.


ტარო ნომერი B.O.-5077), რომელიც ირანული სტილის წაბაძვითაა შექმნილი, ოქროს ზარნიშითაა მორთული და მაჯის ორივე მხარეს ქართულად ორ ნაწილად აწერია *კოსტა + ნტინე* (სურ. 7). ფიქრობენ, რომ ეს ოსტატის სახელია,[53] თუმცა მფლობელის სახელიც არ უნდა იყოს გამორიცხული. ფოლადის დიდი ფირფიტის სიგრძე 31.6 სმ-ია. სამკლავის ფირფიტები დამახასიათებელი ქართული გადაბმით – რგოლებში გაყრილი წკირით – არის შეკავშირებული. ასეთი დონის ნაკეთობა თბილისში უნდა იყოს დამზადებული. გადაბმის წესი კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს მეთოდი ზოგადქართული ფენომენი იყო და ბარიდან ააღწია მთაში. თავის მხრივ, ხევსურული (და მთიანი რეგიონების) სამკლავეების მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ რიგი თავისებურებებისა და გარკვეული უბრალოების მიუხედავად, დღემდე მოიტანა ზოგადად ქართული მჭედლობისათვის დამახასიათებელ ტენდენციები.

[53] Y. A. Miller. Caucasian Arms from the State Hermitage Museum, გვ. 122, სურ. 1.


ილუსტრაციები:

სურ. 1. ქართული სამკლავეები. ავტორის ფოტოები.
საქართველოს ეროვნული მუზეუმი.







1 ვ




1 ზ




1 თ



1 ი





1 კ





1 ლ

სურ. 2. ირანული სტილის ქართული სამკლავეები. ავტორის ფოტოები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.












სურ. 3. გადაკეთებული ქართული სამკლავეები. ავტორის ფოტოები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.




3 ა




3 ბ




3 გ




3 დ



3 ე




3 3



3 %

სურ. 4. ჩერქეზული სამკლავეები. ავტორის ფოტოები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი


.



სურ. 5. სამკლავის ტყავის ბუდე. ავტორის ფოტო. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.



სურ. 6. ხევსური მხედარი. თეოდორ ჰორშელტის ნახატი.



სურ. 7. ერმიტაჟში დაცული ქართული სამკლავე. კ. სინიავსკის ფოტო.



Mamuka Tsurtsumia

ARMGUARDS IN GEORGIA

Summary

The article deals with the forearm guards in medieval Georgia which were presented with tubular plates. The first examples of such defenses must have entered in Georgia at the end of 13th century from the Ilkhanid Iran and by the second half of 14th century they were already widely spread.

Observation of armguards kept in Georgian National Museum has revealed that it is possible to distinguish the characteristic signs of the Georgian armguards. The exhibits in the museum can be separated in several groups according to the style and origin.

The examination of this material allows us to come to important conclusions. Late Georgian armguard consists of a long tubular plate and a two-component bracelet. Unlike earlier armguards bracelet is shortened and contains two small plate. Arm plate – bracelet length ratio is less than 3:1. Length of the arm plate is slightly beyond the elbow.

Georgian armguard is characterized by original linking of the plates: 1) with large rings and 2) with stick passing through small rings (so-called outside hinge). Linking with hinges occurs rarely, and, even more rarely, with chain rings. The plates linked with stick can't be met anywhere else and such armguards can unmistakably be recognized as of Georgian origin. Georgian armguards are also adorned with brass or silver sheets and copper rivets.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

აპოლონ თაბუაშვილი

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების, დამზადებისა და ფასების საკითხისათვის

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება XVII-XVIII საუკუნეებში დაიწყო.[1] ამ პროცესმა, ბუნებრივია, თოფ-დამბაჩების მოსახლეობაში გავრცელებას შეუწყო ხელი. ამჯერად, ჩვენი მიზანია, პირველად წაყროებზე დაყრდნობით გავარკვიოთ მოსახლეობაში გავრცელებული ცეცხლსასროლი შეიარაღების (თოფების, ტყვია-წამლის და ა.შ.) დამზადების საკითხი და მათი ფასები.[2] შესაბამისად, განვსაზღვროთ, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ამ იარაღის შეძენა. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ფასები შევადაროთ ხორბლის, მსხვილფეხა პირუტყვის ან სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტის ფასებს. ვიდრე ზემოთ დასახელებულ პრობლემატიკას შევეხებით, თავდაპირველად მიმოვიხილავთ ცეცხლსასროლი შეიარაღების დამკვიდრებისა და გავრცელების საკითხს საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული ხანის ქართული შეიარაღების შესახებ გარკვეული მოსაზრებები არის გამოთქმული[3], ბო-

[1] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ნაკვ. 3-4. თბ. 1962, გვ. 280-282; კ. ჩოლოყაშვილი, მ. ქაფიანიძე. ქართული საჭურველი. ეთნოლოგიური ძიებანი. IV. თბ. 2010; მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის. „საისტორიო ვერტიკალები". №16. თბ. 2008; აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. IV. თბ. 1962.

[2] ამ შემთხვევაში ვეხებით, მხოლოდ, მოსახლეობაში გაერცელებულ შეიარაღებას და არა საარტილერიო საქმეს.

[3] იხ.: ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 280-282; ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ. 1991, გვ. 66-79; ივ. შაიშმელაშვილი. კრწანისის ომი. თბ. 1965, გვ. 8-29; ი. ციცკაძე. ალა-მაჰმად ხანის თაყდასხმა საქართველოზე. თბ. 1969, გვ. 91-101. კ. ჩოლოყაშვილი. თოფი ქართული წარწერებით. საქართველოს სახელმწი-

ლო დრომდე ცეცხლსასროლი იარაღის მოსახლეობაში მასობრივად გავრცელების საკითხი საფუძვლიანი შესწავლის საგანი არ გამხდარა.[4] 2013 წელს დაიბეჭდა ჩემი სტატია „მასალები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის“, სადაც განხილულია ცეცხლსასროლი შეიარაღების ერთ-ერთი სახეობის, ხელყუმბარების, ქართლ-კახეთის სამეფოს შეიარაღებაში დამკვიდრების საკითხი. შესავალ ნაწილში მოკლედ შევეხე თოფ-დამბაჩების გავრცელების პრობლემატიკას და აღვნიშნე, რომ საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი მასობრივად XVIII საუკუნეში დამკვიდრდა.[5] 2014 წელს დაიბეჭდა მ. წურწუმიას ვრცელი სტატია „ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში“, სადაც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ავტორი პირველწყაროებზე დაყრდნობით გვაძლევს საქართველოში XVI-XVIII საუკუნეებში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების სრულ ანალიზს. მისი დასკვნითაც, ქართველების შეიარაღებაში თოფები XVI საუკუნიდან გამოჩნდა და XVIII საუკუნის დამდეგიდან საყოველთაოდ გავრცელდა.[6]

ფო მუზეუმის მოამბე. XVII-Б. თბ. 1953; კ. ჩოლოყაშვილი, მ. ქაფიანიძე. ქართული საჭურველი; მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის; ჯ. შარაშენიძე. ქართული სამხედრო ხელოვნება. თბ. 2008.

[4] XVII საუკუნის II ნახევარში მოსახლეობის შეიარაღების საკითხს მოკლედ ეხება ს. კაკაბაძე. იხ.: ს. კაკაბაძე, საამილახვროს დაეთარი მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა. ტფ. 1925.

ს. კაკაბაძე, ასევე, მოკლედ ეხება საქართველოში ცეცხლსასროლი შეიარაღების გავრცელების საკითხს XVIII საუკუნეში ნაშრომში – კრწანისის ომი, სადაც ავტორი უთითებს, რომ ქართლ-კახეთის ქვეითი ჯარი ფარხმალით და შუბებით იყო შეიარაღებული, ხოლო ცხენოსნები – თოფით. იხ.: ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი, გვ. 72. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს მოსაზრება არ არის სწორი.

ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ე. ასტვაცატურიანის საინტერესო ნაშრომი. ავტორი ყოველგვარი წყაროს დასახელების გარეშე აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ქართულ ჯარში დამკვიდრდა ცეცხლსასროლი იარაღი, რასაც ერეკლე II-ის სახელს უკავშირებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ის გააჩნდა ჯარის მხოლოდ 38%-ს. იხ.: Э. Г. Аствацатурян. Оружие народов Кавказа. Москва-Нальчик, 1995, გვ. 153. ეს მოსაზრება, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, არასწორია.

[5] ა. თაბუაშვილი. მასალები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VII. თბ. 2013, გვ. 216.

[6] მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში. საისტორიო კრებული. 4. თბ. 2014, გვ. 110-137.

ამჯერად, მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილავთ თოფ-დამბაჩების საქართველოში გავრცელების საკითხს.

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი ნელი ტემპებით მკვიდრდებოდა, რისი მიზეზიც ადგილობრივი წარმოების განუვითარებლობა იყო. თუმცა თოფ-დამბაჩები საქართველოში მაინც შემოდიოდა. ეს შესაძლებელი იყო, როგორც სამხედრო ნადავლის მოპოვების, ასევე, იმპორტის გზით. ნადავლი და იმპორტი ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობაში თოფების მასობრივ გავრცელებას. ამას ადასტურებს დოკუმენტური მასალა – რუსი ელჩების ცნობით, XVI საუკუნის ბოლოს კახეთის სამეფოში, რომელიც ეკონომიკურად სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან შედარებით დაწინაურებული იყო და სამეფო კარი განსაკუთრებით ზრუნავდა ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების დანერგვაზე, სამხედრო ძალებიდან მხოლოდ 500-კაციანი რაზმი ყოფილა თოფებით შეიარაღებული, ხოლო ძირითადი ბირთვი, 13 000 კაცი, ფარ-ხმალს, შუბს და მშვილდს ატარებდა.[7] ს. კაკაბაძის გამოთვლით, იმ პერიოდის კახეთში თოფით სამხედრო ძალების მხოლოდ 3,7% იყო შეიარაღებული.[8] რადგან XVI საუკუნის განმავლობაში, სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან განსხვავებით ირანელთა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში კახეთის სამეფო თითქმის არ იყო ჩაბმული, იქ სამხედრო ნადავლის სახით თოფების გავრცელების ფაქტები მინიმალური იქნებოდა.

ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა იყო ქართლისა და იმერეთის სამეფოებში, სადაც თოფების გავრცელების საშუალებად იმპორტთან ერთად სამხედრო ნადავლიც დიდ როლს თამაშობდა. ამის მაგალითები წყაროებში უხვად მოგვეპოვება, გავიხსენოთ ლუარსაბ I-ისა (1527-1556 წწ.) და სიმონ I-ის (1556-1569, 1578-1600 წწ.) გადახდილი ბრძოლები ან თუნდაც 1543 წლის ქარაღაქის ბრძოლა სადაც ქართულმა ჯარმა იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) ხელმძღვანელობით გაანადგურა ოსმალთა ლაშქარი და ხელთ იგდო მათი არტილერია და სხვა შეიარაღება. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქართლისა და იმერეთის სამეფოებში ცეცხლსასროლი იარაღი კახეთის სამეფოსთან შედარებით მეტად იყო გავრცელებული, თუმცა ის საერთო შეიარაღებაში გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებდა. ამ პერიოდში ქართველთა მხრიდან ბრძოლებში ირანული

[7] С. А. Белокуров. Сношения России с Кавказом. Выпуск 1-й. 1578-1613 гг. Москва, 1889, გვ. 171.

[8] ს. კაკაბაძე. საამილახვროს დაცთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა, გვ. VI.

და ოსმალური ზარბაზნის გამოყენების ერთეული ფაქტებიც დასტურდება.[9]

წყაროებით დგინდება, რომ XVII საუკუნეში ცეცხლსასროლი შეიარაღება საგრძნობლად გაზრდილა. XVII საუკუნის შუა ხანებში რუსი ელჩები იმერეთის სამეფოში რამდენიმე ათასი მეთოფის არსებობას ადასტურებენ, რომლებსაც პატრუქიანი თოფები ჰქონიათ.[10]

XVII საუკუნის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შეიარაღების შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას იძლევა საამილახვროს დავთარი, სადაც თითოეული მოსახლის შეიარაღება არის აღწერილი.[11] დავთარში სულ აღწერილია 901 კომლი, საიდანაც 1326 მოლაშქრე გამოდიოდა. მათგან 442 მოლაშქრე თოფით იყო შეიარაღებული, რაც საერთო მაჩვენებლის 1/3, ანუ დაახლოებით 33%-ია. 451 მოლაშქრე შუბით (დაახლ. 34%), 309 – მშვილდით (დაახლ. 23%) გამოდიოდა, ხოლო 114 ბოგანო (დაახლ. 8,5%) უიარაღო იყო. 10 ბოგანოს შემთხვევაში შეიარაღება ნაჩვენები არ არის.[12] თოფის, შუბის და მშვილდის გარდა მოსახლეობა ხმლებითაც იყო შეიარაღებული, რადგან ამ დროს ხელჩართული ბრძოლის გარეშე სამხედრო ოპერაციები ფაქტობრივად არ წარმოებდა. როგორც ჩანს, შეიარაღებაში ხმალი ავტომატურად იგულისხმებოდა და მას საგანგებოდ არ აღნიშნავდნენ.

ერთი სიტყვით, XVII საუკუნის II ნახევარში ცეცხლსასროლ იარაღს საამილახვროს ყმა-გლეხთა ერთი მესამედი (მათ შორის 22 ბოგანო) ფლობდა. საამილახვროში, ბუნებრივია, ყმა-გლეხების გარდა, ცხოვრობდნენ აზნაურები და თავადი ამილახვრები, რომლებიც უცილობლად თოფებით (ამ შემთხვევაში გაცილებით ძვირადღირებული და მაღალი ხარისხის) იქნებოდნენ შეიარაღებულები. მათი რაოდენობა არც თუ ცოტა იყო. ამილახვრები იმ დროისათვის ათზე მეტი აზნაურული საგვარეულოს მფლობელებად გვევლი-

[9] ერცლად იხილეთ: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 115-116.

[10] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერის მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ციხცაძემ. თბ. 1970, გვ. 153, 263.

[11] იხ.: ს. კაკაბაძე. საამილახვროს დაეთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა.

[12] ს. კაკაბაძე. საამილახვროს დაეთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა, გვ. IV-V. ს. კაკაბაძეს აბსოლუტურ ციფრებში არ აქვს საერთო პროცენტი გამოყვანილი. მას ცალ-ცალკე აქვს აღნიშნული „მოსაურეთა“ და ბოგანოთა შეიარაღება. მ. წურწუმიას მეთოფეთა რაოდენობა დაანგარიშებული აქვს მოლაშქრეთა საერთო რაოდენობიდან და, ანალოგიურად, უთითებს 33%-ს. იხ.: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 226.

ნებიან.[13] ეს საგვარეულოები, თავის მხრივ, რამდენიმე ათეულ ოჯახს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, ამილახვრებისა (ასევე, რამდენიმე ოჯახი) და მათი აზნაურების ჩათვლით საამილახვროში, ყმების გარდა, 100-ზე მეტ თავად-აზნაურს გააჩნდა თოფი. ასე რომ, XVII საუკუნის II ნახევარში თავად-აზნაურების ჩათვლით საამილახვროს საერთო მოსახლეობის 40%-მდე თოფით შეიარაღებული ყოფილა. ეს მონაცემი შეგვიძლია გავავრცელოთ მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე (ანალოგიური მდგომარეობა უნდა იყოს დას. საქართველოშიც). თოფების ასეთი მასობრივი გავრცელება ადგილობრივი წარმოების განვითარებით უნდა აიხსნას. აქვე აღვნიშნავთ, რომ XVII საუკუნეში ქართული ჯარი ოსმალურ და ირანულ არტილერიას კიდევ უფრო ინტენსიურად იყენებდა.[14]

XVIII საუკუნის I ნახევრის მოსახლეობის აღწერის დავთრებით და სხვა წყაროებით დგინდება, რომ ამ პერიოდში ცეცხლსასროლი იარაღი საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ამის დამადასტურებელია კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთრები.[15] ივ. ჯავახიშვილი დავთრებს, მასში მოხსენიებული პირების მიხედვით, XVIII საუკუნის I მეოთხედით ათარიღებს.[16] დავთრის მიხედვით, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას თოფი გააჩნდა. თოფები არ გააჩნდა მხოლოდ ყმა-გლეხთა უკიდურესად გაჭირვებულ ნაწილს. მაგალითად, სოფელ კონდოლის აღწერილი 15 კომლიდან თოფი გააჩნდა თხუთმეტივეს;[17] კალაურში აღწერილი 44 კომლიდან 41 თოფითაა შეიარა-

[13] იხ.: დ. გერიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 1955; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 108.

[14] ვრცლად იხილეთ.: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 126-130.

[15] დავთრები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეც) – Hd-1603, Hd-1605, Hd-1607, Hd-1608, Hd-1609, Hd-1625, Hd-5186, Hd-6110. უკანასკნელი სამი ნაწილის გარდა, ყველა მათგანი გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, რომლებიც, აღნიშნულ სამ ნაწყვეტთან ერთად, მოგვიანებით, 1967 წელს, გამოსცეს დ. მეგრელაძემ და ნ. ჯავახიშვილმა. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წიგნი I. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები. თბ. 1967, გვ. 7-104, 266-270.

[16] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. ტფ. 1930, გვ. 17-18.

[17] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. I, გვ. 77; ხეც. Hd-1607.

ღებული. თოფი არ გააჩნია 3 ობოლს;[18] პატარძეულის 91 კომლიდან თოფით არის შეიარაღებული 71. ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახში 2 და 3 თოფია. თოფი (და არც სხვა შეიარაღება) არ გააჩნია 13 ბოგანოს, 2 ობოლს, 2 სხვა კომლს, 3 კომლის შემთხვევაში კი შეიარაღების შესახებ არ არის მითითება.[19] ერთი სიტყვით, აღწერის დავთრიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის I ნახევარში კახეთის მოსახლეობის 80%-ზე მეტს ცეცხლსასროლი იარაღი გააჩნდა. დავთრებში სხვა ტიპის შეიარაღება აღწერილი არ არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ საბრძოლო ოპერაციები უკვე მშვილდისა და შუბის გარეშე ხორციელდებოდა. ხელჩართული ბრძოლის დროს კი ხმალ-ხანჯალს იყენებდნენ, რაც, ისევე, როგორც ზემოთგანხილულ საამილახვროს დავთრის შემთხვევაში, აქაც არ აისახა. დაახლოებით ანალოგიური სურათია ქართლის სამეფოში. მ. წურწუმიამ ყურადღება გაამახვილა ვახტანგ VI-ის გაცემულ 1720 წლის ორ დოკუმენტზე, სადაც საუბარია სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების მობილიზაციასა და მათ შეიარაღებაზე. ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია: *„...იქმნა კომლი ხუთას ოთხმოცდა თოთხმეტი, ბოგანო ას ოცდაცამეტი. ორივე ერთად შვიდას ოცდაშვიდი... რაც ამაში კომლი სწერია, სულ ყველამ თოფი უნდა იშოვნოს, ბოგანომ ფარ,ჴმალი და საფთე მშვილდი წამოიღოს. რაც სახლში საბატიოს კაციშვილი და აზნაურშვილია, ვერ დავვაკლდება. ვისაც შეეძლოს, თოფიც იქონიოს და შუბიცა, ვისაც არა და თოფი წამოიღოს...“*.[20] მეორე დოკუმენტიც დაახლოებით ანალოგიურ ინფორმაციას იძლევა. ვახტანგ VI-ის ბრძანებით, ბოგანოს გარდა, ყველას თოფით ან თოფითა და შუბით ლაშქრობა ევალებოდა, ხოლო ბოგანოებს ფარ-ხმალით და მშვილდით ლაშქრობის ვალდებულება გააჩნდათ.[21] როგორც ვხედავთ, 1720 წლისათვის სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების დაახლოებით 80% თოფით იყო შეიარაღებული. ეს მონაცემი შეგვიძლია ზოგადად მთელ ქართლზე გავავრცელოთ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კახეთის მოსახლეობის შეიარაღებისაგან განსხვავებით ქართლში ჯერ კიდევ გვხვდება მშვილდით, შუბითა და მხოლოდ ფარ-ხმალით შეიარაღებულები. ეს მცირე განსხვა-

[18] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. I, გვ. 81-82; ხელ. Hd-1608.

[19] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. I, გვ. 31-33; ხელ. Hd-1605.

[20] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 185.

[21] მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 131-132.

ვება, ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა იყოს „ლეკიანობის“ ფაქტორით. კერძოდ, XVIII საუკუნის I მესამედში ქართლთან შედარებით კახეთში დაღესტნელთა შემოსევები ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. კახეთის სამეფოს მოსახლეობას უმეტესად მათი მძარცველური შემოსევების მოგერიება უხდებოდა, მათთან ბრძოლა კი შუბითა და მშვილდით არაეფექტური იქნებოდა, რადგან ბრძოლები ძირითადად არა გაშლილ ველზე, არამედ სპეციფიკურად მიმდინარეობდა. სწორედ ამ ფაქტორს უნდა განეპირობებინა ეს განსხვავება.

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ქართლის სამეფოს მოსახლეობის შეიარაღებაში მშვილდი და შუბი აღარ გვხვდება, ისინი მხოლოდ თოფებით არიან შეიარაღებულნი[22], ბუნებრივია, ხმალ-ხანჯალთან ერთად. ყველაზე ღატაკ მოსახლეობას კი უმეტეს შემთხვევაში შეიარაღების არც ერთი სახეობა არ გააჩნდა.

XVIII საუკუნის II ნახევარის მოსახლეობის აღწერის დავთრებში შეიარაღება მითითებული საერთოდ აღარ არის. ამ პერიოდში სამხედროვალდებულ მოსახლეობას თოფით ლაშქრობა უკვე ავტომატურად ევალებოდა. „მორიგე ჯარის“ განჩინებაში აღნიშნულია: *„...ქ. ღმრთით, როდესაც ჯარი შემოგვყრება, პირველს დღესაც და გასტუმრების დღესაც ჩვენ უნახავთ სანს, ამას გარდა, ყოველ კვირას თავისი სარქარდა და მინბაში უნახავდეს სანს.*

იმ მორიგეში მოსულს კაცს იმ ერთის თვის სამყოფი ტყვია და წამალი სრულად უნდა ჰქონდესთ, რომელსაც კაცს რომ სამყოფი არ ექნება, სანს რომ ნახავთ, იარაღებს დაუსინჯავთ და ავად მოვეპყრობით...“.[23]

როგორც ვხედავთ, განჩინების მიხედვით, ყველა „მორიგეში მოსულს კაცს“ ტყვია-წამლის ერთი თვის მარაგი უნდა ჰქონოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაისჯებოდა. ტყვია-წამალი კი თოფს ესაჭიროებოდა. როგორც აღვნიშნეთ, მოლაშქრე რომ თოფით უნდა გამოცხადებულიყო, ამას განმარტება აღარც სჭირდებოდა. უკიდურესად ღარიბ მოსახლეობას კი, „მორიგეობის“ დროს, სავარაუდოდ, თოფი უნდა ეთხოვა. ოჯახის წევრების მიერ თოფის მონაცვლეობით გამოყენების პრაქტიკა წყაროებითაც დასტურდება: *„...სამნი*

[22] ამ ფაქტის საილუსტრაციოდ მ. წურწუმიას მოაქვს პაპუნა ორბელიანის ცნობა, რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებში თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ როდესაც ყარაიაში მშვილდით ნადირობა მოინდომეს, ის აღარავის აღმოაჩნდა. იხ.: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 134-135, სქოლიო 124.

[23] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 439.

ძმანი გახლავართ, ერთი თოფი [გვ]ქონდა, ხან ერთი წამოვიღებდით, ხან მეორე, ხან მესამე – თიბათვეს, კათათვეს, მარიამობის თვეს სამნივე ერთმანერთზე ვაწერივართ...“, აცხადებს გლეხი გიორგი პანპალასშვილი ერეკლე II-ისადმი მირთმეულ არზაში.[24]

XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის მოსახლეობაში თოფების მასობრივად გავრცელებას ადასტურებს მრავალი წყარო. მათგან აღსანიშნავია რუსი მოხელეების, კაპიტან იაზიკოვის[25], მოურავოვის[26] და პოლკოვნიკ ბურნაშოვის[27], ასევე, გერმანელი მოგზაურის, იაკობ რაინეგსის ცნობები. იაზიკოვის გადმოცემით, ქართლ-კახეთში თითქმის ყველა მოსახლეს ჰქონდა თოფი და ისინი ოსტატურად ისროდნენ. ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდიან სხვა ზემოთჩამოთვლილი პირებიც. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ აღნიშნულია: *„...ყოველ კაცს უკრავს თითო ჩახმახი თოფზედ და ყოველს არტყია ლეკური და აქვთ თოფები...“*.[28]

XVIII საუკუნეში ცეცხლსასროლი იარაღი დასავლეთ საქართველოშიც ფართოდ არის გავრცელებული, ეს დასტურდება იაზიკოვის[29], რაინეგსის[30] და სხვ. ცნობებითაც.[31] თუმცა წყაროებიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში ბრძოლის დროს ჯერ კიდევ იყენებენ შუბს. თოფები კი ვრცელდებოდა მხოლოდ იმპორტის გზით: *„...იმერლები ჰმარობენ ომში თოფსა, ჰმალსა და შუბსა იმ რიგათ, როგორც ოსმალონი შეიბმიან, ქვეითიცა და უფრო ცხენოსანიცა... თოფსა, ჰმალსა და ტყვიას შოობენ ოსმალოს ქვეყნიდამ, ყიზილბაშიდამ და ტფილისის // ქალაქიდამ...“*, აღნიშნულია მაქსიმე აბაშიძის მიერ რუსეთის მთავრობისადმი შედგენილ 1769 წლის 14 მარტის

---

[24] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. სასამართლო არზა-ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1981, გვ. 337.

[25] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I. СПб. 1891, გვ. 184-185.

[26] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, gv. 72.

[27] С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тф. 1896, გვ. 6-7.

[28] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით. 1936, გვ. 195.

[29] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, გვ. 196.

[30] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 136.

[31] იხ.: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 133-137.

მოხსენებით ბარათში.[32] ყოველივე ეს გვავარაუდებინებს, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შეიარაღებაში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების მასშტაბები უნდა ჩამოუვარდებოდეს აღმოსავლეთ საქართველოს მაჩვენებლებს.

რაც შეეხება არტილერიას, XVIII საუკუნის II ნახევარში უკვე თბილისში მზადდებოდა ზარბაზნები.[33]

ყოველივე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აბსოლუტურად ყველა მოსახლეს გააჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი. როგორც აღინიშნა, ბოგანოებს, შეუძლებლებს და სხვა უკიდურესად გაჭირვებულ ყმა-გლეხთა ნაწილს თოფები არ ჰქონდა. იოანე ბატონიშვილის „სჯულდებაში“ მოსახლეობის შეიარაღების შესახებ აღნიშნულია: *„...ყოელთა სულთა მამაკაცთა ჰქონდეთ თოფები, ვისაც შეეძლოს ჰსყიდვა და ვისაც არა, მაინც უნდა ვაჰსყიდვინოთ თოფები და გავაწყოთ იარაღით ქართველიც და სომეხიც. ამას გარდა, უნდა ჰქონდეს ყოველს კაცს, ქალაქში და ციხეთა შინა მსხდომელთ და სხვათაცა, თითო ლიტრა თოფის წამალი შენახული სახლში თავისის სამყოფით ტყვიით და ტალიით...“*[34]

როგორც, ვხედავთ XVIII საუკუნის მიწურულს მოსახლეობის მცირე ნაწილს კვლავ არ გააჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი. მათი სავარაუდო რაოდენობა, ჩვენი აზრით, დაახლოებით 10-15%-ით უნდა განისაზღვროს. ამას ადასტურებს ზემოთ დამოწმებული ფაქტობრივი მონაცემები.

* * *

როგორც უკვე აღინიშნა, მოსახლეობაში თოფების მასობრივად გავრცელება ადგილობრივი წარმოების განვითარებამ განაპირობა. საქართველოში თოფ-დამბაჩების დამზადების ტექნოლოგია ოსმალეთიდან უნდა შემოსული-

[32] ე. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III, ნაკვ. I. რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო. თბ. 1988, გვ. 300-301.

[33] იხ.: აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 146-155; მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 137-169.

[34] იოანე ბაგრატიონი. სჯულდება. ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ. თბ. 1957, გვ. 54.

ყო[35], რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების საქმეში გაცილებით წინ იდგა და სტამბოლში დამზადებული თოფები ძვირად ფასობდა. თოფების დამზადება საქართველოში XVII საუკუნიდან დაიწყეს. თავდაპირველად ეს პატრუქიანი თოფები უნდა ყოფილიყო, ხოლო, სავარაუდოდ, XVII საუკუნის მიწურულიდან უკვე კაჟის ჩახმახიან თოფებს ამზადებდნენ. კაჟის ჩახმახიან თოფებზე ოსმალეთის არმიის მასობრივად გადასვლა XVII საუკუნის ბოლოდან იწყება, რასაც მალევე მოჰყვა მისი კავკასიაში გავრცელებაც. საქართველოში, ისევე როგორც ოსმალეთში და მთელს ხმელთაშუა ზღვის არეალში, ამზადებდნენ კაჟის ჩახმახიანი საკეტის ერთ-ერთ ადრეულ ტიპს – მიკელეტის საკეტს, რომელიც XVI საუკუნეში ესპანეთში გამოიგონეს და აღნიშნულ რეგიონში XIX საუკუნემდე იყო გავრცელებული.[36] XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში ამზადებდნენ კაჟის ჩახმახის ერთ-ერთ ადგილობრივ ნაირსახეობას.[37] საუკუნის განმავლობაში საქართველოში პატრუქიანი თოფები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული კაჟიანი თოფებით შეიცვალა. კაჟის ჩახმახიან თოფებზე გადასვლა ერთბაშად არ მომხდარა და, ჩანს, ეს ხანგრძლივი პროცესი იყო. XVIII საუკუნის II ნახევრის საბუთებში უკვე, ძირითადად, კაჟის ჩახმახიანი თოფები იხსენიება. იოანე ბატონიშვილიც „სჯულდებაში“ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ყველა მოსახლეს უნდა ჰქონდეს *„თოფის წამალი შენახული სახლში თავისის სამყოფით ტყვიით და ტალიით“.*[38] ტალი კი იგივე კაჟია.[39]

საქართველოში თოფ-დამბაჩების დამზადების კერებად მიიჩნევა თბილისი, სამეგრელო, სვანეთი,[40] XVIII საუკუნიდან, ასევე, მდინარე მაჭახელას

---

[35] ამას მოწმობს ტერმინოლოგიაც, მაგ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში აღნიშნულია: „ჩახმახი თურქთა ენათაა, მოკეცილი ჰქვიან ქართულ[ად]“. იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ. 1993, გვ. 317.

[36] ვრცლად იხილეთ.: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 135.

[37] მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 179.

[38] იოანე ბაგრატიონი. სჯულდება, გვ. 54.

[39] „კაჟი ტალი, საღტილი, ცეცხლის ქვა“ – იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. თბ. 1966, გვ. 350, ასევე: „ტალი კაჟი, კბილის ანახეთქი“ – სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 132.

[40] ლამბერტის ცნობით, სვანები „თოფს და თოფის წამალს თვითონ აკეთებდნენ“. დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ. რედ. ნ. ანთელავა. თბ. 1991, გვ. 153.

ხეობა[41] და სხვა ადგილები.[42] ცეცხლსასროლი იარაღის ფართო გავრცელებაში, ბუნებრივია, თბილისელი ხელოსნების საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. შესაბამისად, ჩვენ თბილისურ წარმოებას შედარებით მეტ ყურადღებას დავუთმობთ.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ კაჟის ჩახმახიანი თოფი სამი უმთავრესი დეტალისაგან შედგება, ესენია: ლულა, ჩახმახი და კონდახი. ძვირადღირებულ იარაღს მეზარნიშეები ოქროთი, ვერცხლით ან სხვა ძვირფასი მასალით ამკობდნენ. კონდახს კი ზოგჯერ სპილოს ძვალი ამშვენებდა.

თავდაპირველად განვიხილოთ თოფის ლულები. მიუხედავად იმისა, რომ თოფის ლულების დამზადების ფაქტები საქართველოშიც ფიქსირდება (მაგ., მაჭახელას ხეობაში, სავარაუდოდ, სვანეთში და ა.შ.), უმეტესად ის მაინც იმპორტირებული იყო. თოფის ლულები საქართველოში, ძირითადად, ყირიმიდან შემოდიოდა.[43] ლულების მასობრივ იმპორტზე მეტყველებს XIX საუკუნის დასაწყისის საბაჟო ტარიფები, სადაც ერეკლე II-ისა (1744-1798 წწ.) და გიორგი XII-ის (1798-1800 წწ.) დროინდელი ვითარებაა ასახული.

---

[41] მაჭახელას ხეობაში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების შესახებ იხილეთ: ნ. ჩიჯავაძე. მაჭახელა (აჭარაში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების საკითხისათვის). ლიტერატურული აჭარა. 4. 1961; ნ. კახიძე. ცეცხლსასროლი იარაღების დამზადების ისტორიიდან აჭარაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა. 2. 1974.
ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის ქართულ საბუთებში თოფი „მაჭახელა“ დაფიქსირებული არ არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ იმ პერიოდში ოსმალეთის სახელმწიფოს სასღვრებში მოქცეულ მაჭახელას ხეობიდან თოფები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ არ ვრცელდებოდა.

[42] იხ.: მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის (დამბანები). ეთნოლოგიური ძიებანი. III. თბ. 2007, გვ. 181.

[43] ყირიმიდან საქართველოში შემოდიოდა როგორც ლულები, ასევე ოსმალური და ევროპული თოფები, საიდანაც გავრცელდა სახელწოდება „ხირიმი“ (ყირიმი). ასევე, გავრცელებული იყო მეორე სახელწოდება – „მაჯარო“, ანუ „მაჯარი“ – უნგრული თოფის სახელწოდება. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ნაკვ. 3-4, გვ. 281.
მ. ქაფიანიძე სწორად შენიშნავს, რომ ხირიმი ეწოდებოდა არა მხოლოდ ყირიმიდან შემოტანილ თოფს, არამედ ლულასაც, რომელიც ადგილზე იწყობოდა. ეროვნულ მუზეუმში დაცულ ნიმუშებზე დაკვირვებით, ასევე, აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის I ნახევარში საქართველოში შემოდიოდა გლუვლულიანი ლულები, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში კუთხვილლულიანი. იხ.: მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის (დამბანები), გვ. 181-183.

თბილისში შემოტანილ საქონელზე დაწესებულ ტარიფთა შორის საგანგებოდაა აღნიშნული თოფის ლულები, როგორც „ჩუქურთმიანი“, ასევე, „სადა“.[44] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბაჟო ტარიფებში ცალკე არ აისახებოდა ის ტვირთი, რომელიც მასობრივად არ შემოჰქონდათ. მაგალითად, ზოგიერთ პროდუქციაზე მითითებულია „სხვადასხვა წვრილმანი საქონელი“. ერთი სიტყვით, თბილისური ცეცხლსასროლი იარაღი, ძირითადად, შემოტანილი თოფის ლულებისაგან მზადდებოდა. ჩვენი აზრით, ეს განპირობებული არ უნდა იყოს ტექნოლოგიური განუვითარებლობით, თბილისში XVIII საუკუნის II ნახევარში ხომ გაცილებით რთულ ცეცხლსასროლ იარაღს – „ევროპული კალიბრის“ ზარბაზნებს – ამზადებდნენ. ეს მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის სიიაფითა და მარტივად ხელმისაწვდომობით უნდა ავხსნათ. ერთ-ერთი მიზეზი საქართველოში რკინის სიძვირეც იქნებოდა. ადგილობრივი რკინა ვერ აკმაყოფილებდა მასზე გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომ უცხოეთიდან დიდი რაოდენობით რკინა შემოჰქონდათ, რაც მნიშვნელოვნად აძვირებდა ფასს. ჩანს, XVIII საუკუნეში თოფის ლულების დამზადების უკვე ტრადიციული კერებიდან მისი მასობრივი შემოზიდვის შედეგად ადგილობრივი წარმოების საჭიროება არ იდგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოტანილი ლულები ძალზედ გამძლე იყო და მისგან დამზადებულ თოფებს რამდენიმე თაობა იყენებდა.

რაც შეეხება ჩახმახების, კონდახებისა და, ზოგადად, თოფების ამწყობ ხელოსნებს, ისინი XVIII საუკუნის წყაროებში ხშირად მოიხსენებიან. მაგალითად, 1766 წლის ნასყიდობის წიგნში ნახსენებია „მეთოფე მკრტიჩა“,[45] 1767 წლის საბუთში – „მეჩახმახე არუთინა“,[46] 1774 წლის თბილისის აღწერის დავთრის ნაწყვეტში მოიხსენიებიან ხელოსნები: „მეჩახმახე ავეტიქა“, „მეკონდახე ოქროა“, „მეთოფე მარტირუზა“, „მეჩახმახე გოგია“, „მეკონდახე იოანე“,[47] 1778 წლის მაისის თვეში „მორიგე ჯარში“ არ გამოცხადებულთა („დაკლებულთა“) სიაში აღნიშნულია „მეთოფე ხეჩატურა“, „მეთოფე

[44] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ. 1963, გვ. 190; პ. გუგუშვილი. ქართული საბაჟო ტარიფი. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. IV. ტფ. 1937.

[45] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.). წიგნი პირველი. შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა. თბ. 1962, გვ. 304.

[46] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), გვ. 310.

[47] იქ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. I, გვ. 145-156.

მარქარა“, „მეთოფე მიკირტიჩა“.[48] აქ მოტანილია მხოლოდ აღწერის დავთრების ნაწყვეტებსა და სხვა სახის საბუთებში შემთხვევით დაფიქსირებული ხელოსნების ჩამონათვალი. რეალურად თბილისში გაცილებით მეტი იარაღის დამამზადებელი იქნებოდა. თოფის ნაწილების დამამზადებელი ოსტატები დაფიქსირებულია, ასევე, თბილისის გარეთაც. მაგალითად, 1781 წლის ერთერთ დავთარში იხსენიება ცხინვალში მცხოვრები „გოლინაშვილი მეჩახმახე გასპარა“,[49] 1801-1802 წლების კახეთის ერთი კუთხის აღწერის დავთარში შეყვანილია სოფელ შილდაში მცხოვრები „მეჩახმახე ნონე“,[50] ხოლო თელავის მაზრის 1804 წლის აღწერაში – თელავში მცხოვრები „მეკონდახე“.[51] ბუნებრივია, თოფის დამამზადებლები იქნებოდნენ სხვა დასახლებებშიც. როგორც ვხედავთ, თოფის ჩახმახები და კონდახები, თბილისის გარდა, რეგიონებშიც მზადდებოდა, რაც მაღალი მოთხოვნილებით აიხსნება.

თოფების დამამზადებელი თბილისელი ხელოსნები იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიც“ არის მოხსენიებული: *„...წავიდნენ მუნითგან, მივიდნენ ისევ მოედანზედ, იხილეს მუნ მეჩახმახეები, მეთოფეები და ხმლის მკეთებელნი...“*.[52] თბილისის პოლიცმეისტერი იოსებ შაგუბატოვი XIX საუკუნის დასაწყისის თბილისის ხელოსნობის აღწერისას აღნიშნავს: *„...ამზადებენ საკმაოდ კარგ თოფებსა და პისტოლეტებს. მჭედელთა ნაკეთობებიდან ცნობილია თოფის ჩახმახები...“*. იგივე ავტორი გადმოგვცემს, რომ თბილისში ამზადებდნენ ტყავის თოფების მოსართავებსა და თოფის ჩასადებებს.[53] ჩვენი დაკვირვებით, თოფის დამზადება შეეძლოთ არა მხოლოდ პროფესიით „მეთოფეებს“, არამედ „მეკონდახეებსაც“, რომლებიც ლულასა და ჩახმახს ხის კონდახებს არგებდნენ. ძვირადღირებული ზარნიშიანი თოფები კი საბოლოო სახეს „მე-

[48] იე. ჯაფარიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. II (XIII-XIX სს.). თბ. 1974, გვ. 140.

[49] ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი). თბ. 2013, გვ. 60.

[50] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. საქართველოს არქივი. წიგნი III. ტფ. 1927, გვ. 177.

[51] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. ცხრილი №4. თელავის მოსახლეობა წოდებათა მიხედვით 1804 წ.

[52] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 195.

[53] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა. რუსული ტექსტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს ა. თაბუაშვილმა და გ. ჟუჟუნაშვილმა. თბ. 2015, გვ. 32, 35.

ზარნიშეების“ ნახელავის შემდეგ იღებდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ეპოქაში საქართველოში თოფ-დამბაჩების დამამზადებელი შედარებით მსხვილი, მანუფაქტურული ტიპის საწარმო არ შექმნილა და ის მხოლოდ წვრილი ხელოსნობის პროდუქტს წარმოადგენდა, ქვეყნის მოთხოვნილებას მაინც სრულად აკმაყოფილებდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს შეიარაღება, ამ მხრივ, მეზობელი სახანოებისა და ირანის შეიარაღებასაც უსწრებდა და რეგიონში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა.

თოფების მასობრივად გავრცელებამ, ბუნებრივია, გაზარდა ტყვია-წამალზე მოთხოვნილება. საქართველოში ტყვიისა და თოფისწამლისათვის საჭირო ნედლეულის – გვარჯილა, გოგირდი, ნახშირი – არსებობამ ხელი შეუწყო მათ ადგილზე დამზადებას. ყველაზე გვიან XVII საუკუნიდან თოფისწამალს კუსტარულად ამზადებდნენ და ტყვიას ადნობდნენ თბილისში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, სვანეთში, რაჭაში, ხევსურეთში და ა.შ.[54]

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში თოფების მასობრივად გავრცელებამ და საარტილერიო საქმის წინა პლანზე წამოწევამ, ჩანს, თოფისწამლისა და ტყვიის მოთხოვნა კიდევ უფრო გაზარდა. თუ XVIII საუკუნის დასაწყისის თბილისის საბაჟო ტარიფში თოფისწამლის დასამზადებელი ნედლეულის, გოგირდის და გვარჯილის, ასევე, ტყვიის შემოზიდვა საგანგებოდ არ არის აღნიშნული,[55] განსხვავებულ მდგომარეობას ვხვდებით XIX საუკუნის დასაწყისში – საბაჟო ტარიფში ცალ-ცალკეა აღნიშნული გოგირდის, გვარჯილის და ტყვიის თბილისში შემოზიდვის ფაქტი, რაც ამ პროდუქციის მასობრივად შემოტანას ადასტურებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ტყვია *„მოტანილი მექარხნის მიერ საკუთარი ქარხნიდან“* თავისუფალი იყო საბაჟო გადასახადისაგან.[56] საქმე ის იყო, რომ ახტალისა და ალავერდის

[54] ვრცლად იხილეთ.: ალ. რობაქიძე. თოფისწამლის დამზადება პირაქეთ ხევსურეთში. ანალები. ტ. I. თბ. 1947; მ. ცინცაძე, მ. დემეტრაძე, ნ. კუცია-ვა, გ. ცინცაძე, დ. ოტიაშვილი, რ. ნაგუნაია. თოფის წამლის დამზადება ძველ სვანეთში (XVII საუკუნის I ნახევარი). საქართველოს ქიმიური ჟურნალი. ტ. 4. №2. თბ. 2004. მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 170-177.

[55] „დასტურლამალის“ მიხედვით, XVIII საუკუნის დასაწყისის თბილისის საბაჟოს ტარიფი ცხრილის სახით წარმოდგენილია ნ. ქოიავას ნაშრომში. იხ.: ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 142-144.

[56] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 190-191.

სპილენძისა და ვერცხლის გამოსადნობი „ქარხნების“ ოსტატებს, ანუ „მექარხნეებს“ სპილენძისა და ტყვიის გაყიდვის დროს დაწესებული ჰქონდათ შეღავათები. ცნობილია, რომ ახტალის ვერცხლის საწარმო დიდი რაოდენობით ტყვიას იძლეოდა.[57] ჯერ კიდევ 1770 წლისთვის, იაზიკოვის ცნობით, ტყვია თბილისში ირანიდან შემოჰქონდათ.[58] ჩანს, ადგილობრივი მცირე წარმოება იმ დროს საერთო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, ხოლო ახტალის ვერცხლისადნობი საწარმოს სრულფასოვნად ამუშავების შემდეგ, იმპორტირებული პროდუქციის საჭიროება აღარ იდგა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ფაქტორების გათვალისწინებით XVIII საუკუნის II ნახევარში ტყვია საგრძნობლად გაიაფებული იყო.

დიდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისში თოფისწამლის „ქარხანაც“ აიგო და წარმოება მონოპოლიზირებული გახდა. 1770 წელს მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა ერეკლე II-ის ნებართვით თოფისწამლის „ქარხანა“ ააშენა. მეფის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თაყუაშვილის *„მეტი კაცი ვერავინ დაანყვინებდა და ვერც გვარჯილასა და თოფის წამალს გაჰყიდიდა“*.[59]

გიულდენშტედტი დეტალურად მოგვითხრობს ამ საწარმოს შესახებ – *„18 თებერვალს დავათვალიერე თოფისწამლის ფაბრიკა. აქ გამოყენებული (წამლის) შემადგენელი ნაწილების პროპორცია შემდეგია: 13 ციტრიანი ნაწილი გვარჯილა, 2 ნაწილი ანუ ციტრა გოგირდი და 2 ნაწილი ანუ ციტრა ნახშირი ტირიფისა ან თხილისა, ასეთ შემადგენლობას ნაყავენ მთელი დღე კაკლის-ხის სანაყში, რომელსაც შიგნიდან აქვს ოდნავ კონუსისებრი ფორმა, ზევით არის 10 დიუმი სიგანისა და 12 დიუმი სიღრმისა, აქვს გრანიტის კონუსური ფილთაქვა, რომელთაც მთელი დღე ნაყავენ. ეს ფილთაქვა ზევით იწევა ღერძის მეშვეობით, რომელიც ფეხით მოყავთ მოძრაობაში. შემდეგ წამალი იფხვნება სპილენძის როფში, რომლის სიგანეა ფუტი, სიმაღლე 2 დიუმი და ფსკერი აქვს ჩახვრეტილი. ერთი ციტრა წამალი რუსულ ფულზე*

[57] იხ.: დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს.). თბ. 1966, გვ. 13-14; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 73-75.

[58] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, გვ. 189.

[59] აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში, გვ. 272.

ღირს 12-15 კაპიკი“.[60]

დავით ბატონიშვილის ერთი წერილიდან ჩანს, რომ იაკობ რაინეგსს XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში თოფისწამლის „ქარხნისათვის“ აუგია სანაყის ახალი მოდელი – წარმოებაში გარკვეული სიახლე დანერგილა.[61]

XVIII საუკუნის 70-იან და 80-იანი წლების დასაწყისში რუსი მოხელეების (იაზიკოვის, ბურნაშოვის) შეფასებით თბილისში დამზადებული თოფისწამალი ცუდი ხარისხის იყო. ისინი ადარებდნენ რუსულ ანალოგს, რომელსაც, ბუნებრივია, თბილისური პროდუქტი ხარისხით ჩამოუვარდებოდა. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლონდონში 1788 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემულ ანონიმი ავტორის ნაშრომში თბილისის „ქარხნის“ თოფისწამალი აღნიშნულია, როგორც ძალიან კარგი ხარისხის.[62] რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, როგორც აღვნიშნეთ, თოფისწამლს ადგილზეც ამზადებდნენ, თუმცა უმეტესად მაინც იმპორტირებული იყო. მაქსიმე აბაშიძის ცნობით, *„...თოფსა, ჴმალსა და ტყვიას შოობენ ოსმალოს ქვეყნიდამ, ყისილბაშიდამ და ტფილისის // ქალაქიდამ. თოფის წამალს თუმცა იმერეთშიაც აკეთებენ, მაგრამ უფროსი ერთი ამ ზემოწერილის ქალაქებიდამ შოობენ...“.*[63]

* * *

ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს მოსახლეობის მასობრივად შეიარაღებისათვის რაიმე საყოველთაო ღონისძიება გაეტარებინა. თუმცა, წყაროებიდან ჩანს, რომ ცალკეულ შემთხვევებში მოსახლეობის დაბალი ფენების თოფებით აღჭურვას სამეფო კარი და ფეოდალები უზრუნველყოფდნენ. წყაროებში ამის შესახებ გარკვეული ინფორმაციები მოიპოვება. მაგალითად, ერეკლე II-ის წერილში კათალიკოსის სახლთუხუცეს ამილბარისადმი, რომელიც 1775 წლის 29 ოქტომბრით თარიღდება, აღნიშნულია: *„მადანჩად მისაბარებელი შეგირდები ქართლსა და კახეთში შევაწერეთ. კახეთს გარდა, ქართლსა და ქალაქში, რაც მისის უწმინდე-*

[60] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962, გვ. 15.

[61] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 39.

[62] ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში. მნათობი. №3. ტფ. 1924, გვ. 271.

[63] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III. ნაკვ. I, გვ. 301.

სობის ძმის კ[ათალიკო]ზის ყმა არის, ამათ ექვსი კაცი აწერიათ. რომელიც სახლის კაციანი კაცი იყოს იმისთანა გამოიყვანე, ოცის წლიდამ მოკიდებული ოცდაათწლამდინ რომ იყოს, ამგვარი უნდა მოვიდეს. იმ შავირდებს თითო ხელი ტანისამოსი, თითო წამოსასხამი ნაბადი, თითო თოფი და იარალი, ხუთ-ხუთი მინალთუნი თეთრი უნდა მისცეთ...“.[64]

იმავე პერიოდში მცირერიცხოვანი რეგულარული ჯარის ნაწილები („თოფჩები“ (არტილერისტები), „ქეშიკები“ (მეფის მცველი რაზმი), რომლებიც სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ხელფასს იღებდნენ და მთლიანად სახელმწიფო ზრუნავდა მათ აღჭურვაზე, ჩაცმასა თუ კვებაზე) სამეფო კარისაგან იღებდა ცეცხლსასროლ შეიარაღებას.

გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საომარი მოქმედებების დროს ზოგჯერ ტყვია-წამლით ამარაგებდა მოსახლეობისაგან შეკრებილ დროებით სამხედრო ძალებსაც. დავით ბატონიშვილის ცნობით, ერეკლე II-ს დაუარსებია სამხედრო კანტორა, სადაც ინახებოდა შეიარაღება: თოფზარბაზნები, ტყვია-წამალი, ყუმბარები, პროვიანტი და ფურაჟი. მისივე ცნობით, აქედან ტყვია-წამლით ზოგჯერ მოსახლეობისაგან შეკრებილი დროებითი სამხედრო ძალებიც მარაგდებოდა.[65]

ასევე, დასტურდება ფეოდალების მხრიდან მოსახლეობის თოფებით შეიარაღებაზე ზრუნვის ფაქტებიც. მაგალითად, 1780 წლის სასამართლო განჩინებაში თავადი დოლენჯაშვილი თავისი ყმის შესახებ აცხადებდა: *„ჩემს ყმებთან დავაყენეო... ძროხა მოგეც, ჩოხა, ქუდი, შენს შვილს – თოფ-იარალი“*;[66] XVIII საუკუნის შუა ხანების უცნობი პირის მიერ შედგენილ „დანახარჯის ნუსხაში“ აღნიშნულია: *„...სეხნიას მივეც ქრისტეშობის თვეში ერთი თოფი და ცხრა აბაზი“*, აქვე ჩამოთვლილია სხვა ყმებისათვის გაწეული დანახარჯები;[67] XVIII საუკუნის დასასრულს შედგენილ დავით გოსტაშაბისშვილის ანგარიშის წიგნში აღნიშნულია: *„ის ბიჭი... პატარა გავზარდეთ. აღა-*

[64] დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, გვ. 19.

[65] იხ.: დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. თბ. 1959, გვ. 134.

[66] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). თბ. 1974, გვ. 106.

[67] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გეიანფეოდალური ხანა. წ. I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938, გვ. 75.

მაჰმად-ხანის მოსვლამდე ჩემთან იყო. მასუკან დასტური მივე, რომ თავის სარჩოს მოეკიდა და ეს მერმე წელიწადია მოვიყვანე. ცოლი შეირთო. ხარი მივეც, ორი თოფი მივეც, დავასაბლე, ერთი კომლი კაცია...“.[68] ისტორიულ საბუთებში ასეთი სახის სხვა ცნობებიც მოგვეპოვება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ბუნებრივია, მოსახლეობას ცეცხლსასროლი იარაღისა და ტყვია-წამალის შეძენა თავად ევალებოდა. ამის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანე ბატონიშვილიც მიუთითებდა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა თოფისა და ტყვია-წამლის ფასების დადგენა და ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების ეკონომიკური საფუძვლების განსაზღვრა.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის, ისევე როგორც სხვა სახის შეიარაღების, ფასები განსხვავებული იყო. სამეფო ოჯახის წევრები და თავად-აზნაურები, ბუნებრივია, მათი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, ძვირადღირებული თოფ-დამბაჩებითა და ხმალ-ხანჯლით იყვნენ შეიარაღებულნი. ძვირადღირებულ ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენდა როგორც იმპორტირებული, ასევე, ადგილობრივი პროდუქცია, რომელიც ოქრო-ვერცხლით, სპილოს ძვლითა და სხვა ძვირფასეულობით იყო გაფორმებული. ასეთ თოფს „ზარნიშიანი თოფი“ ეწოდებოდა. გლეხები და მცირე ეკონომიკური შეძლების მქონე მოსახლეობა (ღარიბი მოქალაქეები, შესაძლებელია, ღარიბი აზნაურებიც) კი, ძირითადად, ადგილობრივი წარმოების იაფფასიანი „უზარნიშო“ თოფებით იქნებოდნენ შეიარაღებულნი. აღნიშნული ეპოქის ისტორიული დოკუმენტები, სადაც დაფიქსირებულია შეიარაღების ფასები („დანახარჯების ნუსხები“ და სხვ.), შედგენილია მაღალი ფენის წარმომადგენელთა მიერ და, შესაბამისად, უმეტესად ძვირადღირებული შეიარაღების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. თუმცა არსებობს მცირე რაოდენობის ისტორიული საბუთები, სადაც, ჩვენი დაკვირვებით, მასობრივად გავრცელებული (დაბალი ფენის) იარაღის ფასებიც არის დაფიქსირებული. თავდაპირველად შევეხებით ძვირადღირებულ შეიარაღებას და საილუსტრაციოდ რამდენიმე ცნობას მოვიტანთ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს 1797 წლის ახლო ხანებში, სავარაუდოდ, ერეკლე II-ის ქონების ნუსხა, სადაც სხვა ნივთების ჩამონათვალთან ერთად აღნიშნულია:

---

[68] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წ. III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომია, ქონება). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1955, გვ. 336.

„Ⴟ (ოთხმოცი თუმანი) *ქ. ა (ერთი) მინანქრის ხმალ-ჯავარდენი.*

ი (ათი თუმანი) *ქ. ა (ერთი) თოფი ფრანგული.*

ე (ხუთი თუმანი) *ქ. ა (ერთი) დამბაჩა ფრანგული.*

ბჳ (ორი თუმანი) *ქ. ა (ერთი) წელსარტყამი იარაღი ბალთებით.*

ბ (ორი თუმანი) *ქ. ა (ერთი) დურბინ[დ]ი ამავ იარაღზე.*

ე (ხუთი თუმანი) *ქ. ა (ერთი) საპირისწამლე ყადიმი ოქროს ყაწიმებით.*

ბ (ორი თუმანი) *ქ. ა (ერთი) საპირისწამლე ვერცხლისა სევადა.*

იდ (თოთხმეტი თუმანი) *ქ. ა (ერთი) ხანჯალი ოქროთი მოჭედილი.*

ჟ (ოთხმოცდაათი თუმანი) *ქ. ა (ერთი) ხანჯალი მურასა მინა[ნ]ქარი მარგალიტის ფოჩით.*

ვ (ექვსი თუმანი) *ქ. ა (ერთი) ხანჯალი ეშმის ტარიანი გურჯაანის ნაცვლისეული.*

...ხ (ექვსი მინალთული) *ქ. ა (ერთი) ნაბადი წამოსასხამი.*

...ა (ერთი თუმანი) *ქ. ა (ერთი) დურბინ[დ]ი დიდი.*

ც (ორი მინალთუნი) *ქ. ა (ერთი) ხანჯალი საია“.*[69]

როგორც ვხედავთ, სავარაუდოდ, ერეკლე II-ის შეიარაღების ერთი ნაწილის აღწერაში საგულისხმო ინფორმაციაა დაცული. ზემოთჩამოთვლილი შეიარაღებიდან ყველაზე ძვირადღირებული არის „ხანჯალი მურასა მინა[ნ]ქარი მარგალიტის ფოჩით“, რომლის ფასიც ოთხმოცდაათი თუმანია. ყველაზე დაბალფასიანი კი „ხანჯალი საია“ (ანუ სადა) არის. საიტერესოა თოფისა და დამბაჩის ფასები – „თოფი ფრანგული“ ათ თუმნად, ხოლო „დამბაჩა ფრანგული“ ხუთ თუმნად არის შეფასებული. ანუ თოფის ფასი იმავე წარმოების დაბმბაჩის ფასთან შედარებით ორმაგია.

საინტერესოა, რომ ძვირადღირებული შეიარაღება ზოგიერთ ყმა-გლეხსაც ჰქონია. ომან ხერხეულიძის ყმა ბერი ბასილაძე ერეკლე II-ისადმი მირთ-

[69] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 275-276; ხელ. Hd-3668.

მეულ არზაში აღნიშნავს: *„...მასუკან კიდევ ერთი სტანბოლის თოფი ვაძლიევე, ხუთ-ექვს თუმანი ღირს...“*. ეს გლეხი საკმაოდ შეძლებული ჩანს, რადგან იმავე საბუთით ირკვევა, რომ ის „კარგი ცხენის“ პატრონიცაა.[70] როგორც ვხედავთ, „ფრანგული“ თოფის მსგავსად სტამბოლში დამზადებული თოფიც საკმაოდ ძვირი – ხუთი-ექვსი თუმანი – ღირდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეფასება მაინც პირობითია, რადგან სტამბოლშიც და ნებისმიერ ადგილას, რასაკვირველია, მზადდებოდა სხვადასხვა ფასიანი თოფები, თუმცა ეს ინფორმაცია ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ოსმალეთიდან იმპორტირებულ იარაღზე.

ჩვენთვის საინტერესო ცნობებს შეიცავს, ასევე, საამილახვროს სახლის წევრის, ბეჟან ამილახვრისშვილის XVIII საუკუნის 60-80-იანი წლებში გაწეული დანახარჯის ნუსხის ის ნაწილი, სადაც შეიარაღების ფასებზეა საუბარი. დოკუმენტში აღნიშნულია:

„...ჳ (რვა თუმანი) *ქ. დავით ერისთავს მივყიდე რუსეთიდამ მოტანილი თოფი ოთხ-ულელ ხარათ...*

ჲ (სამი თუმანი) *ქ. მუხრანელი კაცისაგან ერთი ცხენი ვიყიდე სამ თუმნათ. ორი თუმანი – ერთი ჭაკი ცხენი მივე და ერთი თუმანი თეთრი...*

ჱ (თხუთმეტი თუმანი) *ქ. ასპინძას რომ გავიმარჯვეთ, იქ ვიშოვნე ბედაური ცხენი. გივი ხანმა მაძლია თხუთმეტი თუმანი...*

ჲ (სამი თუმანი) *ქ. ვერცხლით მოჭედილი პირმრგვალი თოფი ვიშოვნე ასპინძას...*

ჴ (ხუთი თუმანი) *ქ. ერთი ხმალი ვიყიდე ხუთ თუმნათა...“*.[71]

როგორც ვხედავთ, ბეჟან ამილახვრისშვილს, რომელსაც XVIII საუკუნის 70-90-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მინბაშის (ათასისთავის) თანამდებობა ეკავა, რუსეთიდან მოტანილი თოფი რვა თუმნად გაუყიდია. რვა თუმანი კი ოთხი ულელი ხარის (8 ხარის) ფასი ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხარისა და ძროხის შეფასება მაინც პირობითია, რადგან იმავე პერიოდში მას 6 ულელ ხარში (ანუ 12 ხარში) 10 თუმანი გადაუხდია, ხოლო სხვა

[70] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. სასამართლო არსა ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1985, გვ. 296.

[71] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 81-83.

შემთხვევაში – 1 უღელში 15 მინალთუნი, ანუ 1,5 თუმანი.[72] გამოდის, რომ ხარის ფასი პირობითად 7,5 მინალთუნიდან 1 თუმნამდე მერყეობდა.

ასპინძის ბრძოლაში ნაალაფარი „ვერცხლით მოჭედილი პირმრგვალი თოფი“ კი რუსეთიდან ჩამოტანილ ანალოგზე საგრძნობლად იაფი (სამი თუმნის ღირებულების) ყოფილა. ზემოთ დამოწმებულ წყაროებში არსებული ცნობების მიხედვით, ყველაზე იაფფასიანი სწორედ ეს თოფია. მიუხედავად ამისა, ის ვერ ჩაითვლება მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებულ იარაღად, რადგანაც საუბარია ვერცხლით მოჭედილ თოფზე. ბუნებრივია, გლეხის სახმარი თოფ-დამბაჩები მასზე გაცილებით იაფი ეღირებოდა.

აქვე საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ ცხენების ფასების შესახებ: საუკეთესო საბრძოლო ცხენი თხუთმეტი თუმანი (ანუ 150 მინალთუნი) ღირდა, ხოლო „ჭაკი ცხენი“ – ორი თუმანი. სხვა საბუთიდან ვიგებთ, რომ იმავე პერიოდში ზოგიერთი ცხენი, რა თქმა უნდა, არასაბრძოლო, ხუთ მინალთუნათაც იყიდებოდა.[73] თავადის საკადრისი ხმალი დაახლოებით ხუთი თუმანის ღირებულების ყოფილა.

ზემოთ მოტანილი იარაღის ფასების უკეთ აღსაქმელად მოკლედ შევეხებით იმდროინდელი ფულის ერთეულების წონას და პირველადი პროდუქტების ფასებს.

XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან თბილისის ზარაფხანამ შეწყვიტა ირანული საოკუპაციო ვერცხლის მონეტების მოჭრა. 1765/1766 წლებიდან 1798/1799 წლებამდე თბილისის ზარაფხანის პროდუქცია წარმოდგენილია ერეკლე II-ის მოჭრილი მონეტებით, რომლებიც „სირმა ვერცხლის“ (რაც „წმინდა ვერცხლს“, „სუფთა ვერცხლს“ ნიშნავს) სახელითაა ცნობილი. მაღალსინჯიანი (94%-იანი) ვერცხლისაგან იჭრებოდა ოთხი ძირითადი ნომინალი: „სირმა აბაზი“, 0,5 აბაზი, ანუ ორშაურიანი, იგივე „სირმა-უზალთუნი“, „ერთნახევარი სირმა აბაზი“ (ნახევარი მარჩილი, ექვსშაურიანი) და „სირმა-შაური“, ანუ აბაზის მეოთხედი. აბაზის საშუალო წონა 2,9 გრამია. ნახევარი აბაზის (უზალთუნის) წონა დაახლოებით 1,49 გრამს, ერთნახევარი აბაზის (ექვსშაურიანის) – დაახლ. 4,64 გრამს, ხოლო შაურის – დაახლ. 0,7 გრამს შეადგენდა.[74]

[72] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 81-82.
[73] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 349.
[74] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. ოსმალები, ირანელები და რუსები. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVII საუკუნის-XVIII საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში. ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თაყაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 39-42, 50-52.

ხუთი აბაზი შეადგენდა ერთ მინალთუნს, ხოლო 50 აბაზი, ანუ 10 მინალთუნი – 1 თუმანს. მინალთუნი და თუმანი საანგარიშო ერთეულები იყო და ამ სახელწოდების ნომინალები არ იჭრებოდა. შესაბამისად, ერთ მინალთუნში იანგარიშებოდა დაახლოებით 14,5 გრამი ვერცხლის აბაზები, ხოლო ერთ თუმანში – დაახლ. 145 გრამი. XVIII საუკუნის II ნახევარში ერთი აბაზი უდრიდა რუსულ 20 კაპიკს, ხოლო ერთი მინალთუნი – ეკატერინე II-ის მოჭრილ რუსულ მანეთს. ზემოთ მოტანილი იარაღის ფასები სწორედ ამ ნომინალებში არის მოცემული.

უფრო ნათელი რომ გახდეს შეიარაღების ფასების რეალური მსყიდველუნარიანობა, გავარკვიოთ იმდროინდელი პირველადი პროდუქტების ფასები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი ხარის ფასი 7,5 მინალთუნიდან 10 მინალთუნამდე (ერთ თუმნამდე) მერყეობდა. საუკეთესო ცხენის ფასი 150 მინალთუნი (15 თუმანი), „ჭაკი ცხენი“ 2 თუმანი, ხოლო ზოგიერთი ცხენი 5 მინალთუნი ღირდა. რაც შეეხება ხორბალს, გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს თბილისში ერთი ბათმანი, ანუ ერთი ლიტრა[75] ხორბალი რუსულ ფულზე ღირდა 8 კაპიკი.[76] შესაბამისად, 10 ლიტრა, ანუ ერთი კოდი ხორბალი თბილისში 80 კაპიკი, ანუ 4 აბაზი ღირდა. ერთი ლიტრა, გიულდენშტედტისავე ცნობით, 8¾ რუსულ ფუნტს შეადგენდა, რაც 3,6 კილოგრამს უდრის. ხოლო კოდი, ანუ 10 ლიტრა, 36 კილოგრამია.[77]

თბილისისგან განსხვავებით, რეგიონებში ხორბალი შედარებით იაფი ყოფილა. გიულდენშტედტი კახეთში ერთი ბათმანის (ლიტრის) ფასს 6 კაპიკს ასახელებს,[78] რის მიხედვითაც, ერთი კოდის ფასი კახეთში 60 კაპიკი, ანუ 3 აბაზი გამოდის. ხორბლის ანალოგიური ფასია დასახელებული XVIII საუკუნის მიწურულს ერთ საბუთში: *„პურისა... გაყიდვა გებრძანებინა, სამ აბაზ იქით არავინ მაძლია...“*, ატყობინებდა თავად მანუჩარ თუმანიშვილს მისი მოხელე შიდა ქართლიდან.[79] ამ შემთხვევაშიც ქართლში ერთი კოდი

---

[75] გიულდენშტედტის მიხედვით, ბათმანის და ლიტრის წონა იდენტურია. იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 237.

[76] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 93.

[77] XIX საუკუნის 10-იან წლებში კოდის წონას 9 ფუნტით, ანუ დაახლ. 37 კილოგრამით განსაზღვრავდა თბილისის პოლიცმეისტერი იოსებ შაგუბატოვიც. იხ.: მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 53.

[78] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 255.

[79] გ. აკოფაშვილი. მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე

ხორბლის ფასი 3 აბაზით განისაზღვრებოდა. თუმცა გვაქვს სხვა მონაცემებიც. ბეჟან ამილახვრისშვილი თავის დანახარჯების ნუსხაში აღნიშნავდა: „... *პური, რომ არ დამხვდა, რაც იმ წელიწადს პური მოუნდებოდა, მე მიყიდნია კოდი ოთხ აბაზათ...*“. სხვა ადგილას კი 250 კოდი ხორბალი 175 მინალთუნად არის შეფასებული,[80] ანუ ერთი კოდი ხორბალი – 3 აბაზად და 2 შაურად. 1783-1784 წლებში სახელმწიფო გადასახადის შეკრებისას (კომლზე სამი კოდი ფქვილი, რომელიც გროვდებოდა ნახევარი ფულადი გადასახადით, ნახევარი ნატურით) ერთი კოდი ფქვილის ფასი ერთ მინალთუნად (5 აბაზად) არის შეფასებული.[81] ფქვილი, ბუნებრივია, ხორბალთან შედარებით ძვირი ღირდა. როგორც ვხედავთ, ხორბლის ფასი ცვალებადი იყო და საშუალოდ 1 კოდი (36 კილოგრამი) 3-4 აბაზი ღირდა.

იმავე წყაროებზე დაყრდნობით, ერთი ძროხის ფასი 4-5 მინალთუნია, ერთი ცხვრის ფასი კი – 4-7 აბაზი. თავადის საკადრისი ტანისამოსი დაახლ. 7 თუმნის ღირებულების ყოფილა.[82] ხოლო დაბალი ფენების ტანისამოსის ფასები ასე გამოიყურება: „*ნაბადი – ხუთი აბაზი, ჩოხა – ხუთი აბაზი, ახალუხი – ოთხი აბაზი, ორი წყვილი ქალამანი – აბაზი*“.[83] ასეთ სურათს ვიღებთ XVIII საუკუნის II ნახევარში ზემოთჩამოთვლილი პროდუქტისა და ნივთების ფასების შესახებ.

როგორც ვნახეთ, ჩვენ მიერ დამოწმებული ძვირადღირებული თოფების ფასი 3 თუმნიდან 10 თუმნამდე მერყეობდა. სავარაუდოდ, ზოგიერთი თოფი კიდევ უფრო ძვირადაც ფასობდა. 10 თუმნად (500 აბაზად) შეფასებული „ფრანგული“ თოფი კი რეალურად 125-167 კოდის, ანუ 4500-6000 კილოგრამი ხორბლის ეკვივალენტი ყოფილა. იმავე თოფის ფასად შესაძლებელი ყოფილა 10-13 ხარის, ან 20-25 ძროხის, ანდაც 100 გლეხის ჩასაცმელი ჩოხის და ა.შ. შეძენა. „ვერცხლით მოჭედილი პირმრგვალი თოფის“ ფასად (3 თუმანის ღირებულების) იყიდებოდა 1350-1800 კილოგრამი ხორბალი, ან 6-7 ძროხა, ან 30 გლეხის ჩოხა და სხვა. ხოლო 90 თუმნად შეფასებული „ხანჯალი მურასა მინა[ნ]ქარი მარგალიტის ფოჩით“ იყო 40-54 ტონა ხორბლის, ან 180-225 ძროხის, ან 900 გლეხის ჩოხის ტოლფასი. თავადის

ნახევარი – XIX ს. დამდეგი). კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 410; ხელ. Hd-14394.

[80] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 79-81.

[81] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, 70-80.

[82] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 78-82.

[83] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, 220-222.

ხმლის (5 თუმანი) ფასად კი იყიდებოდა 2250-3000 კილოგრამი ხორბალი, 10-12 ძროხა ან 50 იაფფასიანი ჩოხა.

როგორც ვხედავთ, ზედა ფენის ცეცხლსასროლი იარაღი თუ სხვა სახის შეიარაღება საკმაოდ ძვირი ღირდა და, ბუნებრივია, მის შეძენას მოსახლეობის ქვედა ფენები ვერ შეძლებდნენ. მათთვის ხელმისაწვდომი არაძვირფასად გაწყობილი შეიარაღება გაცილებით იაფი უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად ყმა-გლეხთა მასობრივი შეიარაღება ვერ მოხერხდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იაფასიანი შეიარაღების შესახებ არც თუ ბევრი ინფორმაცია მოგვეპოვება. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებიდან ერთერთია აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული 1742 წლის დოკუმენტი, რომელიც შედგენილია გორჯასპი მდივნის (თუმანიშვილის) ხელით. იგი წარმოადგენს ხარჯების ნუსხას. ვინაიდან დოკუმენტში, იარაღის ფასის გარდა, სხვა მრავალი ნივთის ფასიცაა წარმოდგენილი (რაც თოფის ფასის სხვა პირველადი მოხმარების საგნების ფასების შედარების საშუალებას მოგვცემს), საჭიროდ ჩავთვალეთ მისი სრული სახით დამოწმება:

„ქს :ულ: (1742 წ.)

ქ. მარტის 5, ღთისავარა და არაბოლღი რომ ნოქრათ გამოგვართვეს ამათი ხარჯი.

ჩ (ერთი მინალთუნი) *ქ. ღთისავარას ჩექმა.*

ჩრნ (ერთი მინალთუნი და სამი შაური) *ქ. ამისი ქუდი.*

ჩ (ერთი მინალთუნი) *ქ. ამისი საპერანგე სუსი ნაჭვით.*

უ (ორი აბაზი) *ქ. ამისი ცხენის სამკერდული.*

ნკე (შაურ ნახევარი) *ქ. ამისი **თოფის ყალიბი.***

ჩქ (რვა აბაზი) *ქ. ამისი სახალუხე თავისი მასალით.*

რნ (სამი შაური) *ქ. ამისი **თოფის წამალი.***

უნ (ცხრა შაური) *ქ. ამისი ქოში.*

ს (ერთი აბაზი) *ქ. ცხენის ტილო დუშაყი.*

რნ (სამი შაური) *ქ. **თოფისთვის ტყვია.***

ხ (ექვსი მინალთუნი) *ქ. ამისი მაუდის კაბა.*

ჩრ (ერთი მინალთუნი და ორი შაური) *ქ. ამის ცხენის ქერი და ბზე ვიყიდეთ თორმეტის დღისა.*

ტ (ექვსი შაური) *ქ. ამისი პაიჭი და ჩახჩურსაკრავი.*

რკ (ორი შაური და ოთხი ფარა) — *ქ. ახალუხისა და პერანგის შესაკრავი ხაითანი.*

ნი (თორმეტი ფარა) — *ქ. პერანგის გრეხილი.*

ც (ორი მინალთუნი) — *ქ. ამისი სახარჯო მივეცით.*

ყ (ოთხი აბაზი) — *ქ. ღთისავარას ცხენის თაქალთოს გასაკეთები და კიდევ ცხენის ხარჯი.*

verso

ჩყ (ცხრა აბაზი) — *ქ. ძველი ნოქარის, ბაყლისშვილის თამაზას ჩოხა.*

ჩ (ერთი მინალთუნი) — *ქ. ამისი სახარჯო თეთრად მივეცი.*

ჩ (ერთი მინალთუნი) — *ქ. საყენოთ (ყაენისათვის — იგულისხმება ნადირ შაჰი — ა.თ.) შაბ[უ]რანს სურსათის წასაღებათ რომ ურემი გვთხოეს, ურემი ვიქირაეთ. ურმები ჰელმწიფემ (იგულისხმება ნადირ შაჰი — ა.თ.) გვაპატია, ალარ გავგზავნეთ. მეურმემ შეშამშლელო გამოგვართო :ჩ: [მინალთუნი] — ათი თორმეტი დღე თქვენთვის მოვცდიო.*

ქ. ამ ხარჯის ჯამი იქნა შჯფლ [ორი თუმანი, რვა მინალთუნი, ათი შაური და ექვსი ფულიj. ეს სათუმანიშვილოდამ უნდა ადგეს და პატრონებს მოგვეცეს.

*ქ. ამისგან დემეტრეს დაუხარჯავს თავისი, რომ მაგიერი უნდა მიეცეს :ჯ: (რვა მინალთუნი); ბაყლიშვილის ცალი ყორიმი **საპირისწამლით** — :ყ: (ოთხი აბაზი); ბაყლიშვილის **ხმალი** — :ჩ: (ერთი მინალთუნი); ბაყლიშვილის **თოფი** — ც (ორი მინალთუნი).*

*ქ. გორჯასპის დაუხარჯავს თავისი :ჰქ: (ცხრა მინალთუნი და ერთი მარჩილი), რომ მაგიერი უნდა მიეცეს. თანხა მიეცა: ჩოხა და ღართი, ფასი :ცფ: (ორი მინალთუნი და ათი შაური); **ხმალი** არაბოლლისა :ყ: (ოთხი აბაზი), არაბოლლის **თოფი** — :ც: (ორი მინალთუნი)".*

კუთხეში იმავე ხელით მიწერილია: *„სხვა რაც ამაში დანახარჯი წერია, ზოგი ცხენის ფასი და ზოგი სხვა საერთო იყო, ის დახარჯულა“.*

განის მარცხენა ალიაზე: *„პატარა გიორგისა დახარჯულა :ცუ: (ორი მინალთუნი და ორი აბაზი), უნდა მიეცეს“.*

განის მარცხენა ალიაზე: *„ქ. არაბოლლის **თოფი** :ც: (ორი მინალთუნი).*

*ქ. ამისი **ხმალი** :შ: (თვრამეტი შაური).*

ქ. ამისი ნაბადი :ყ: (ოთხი აბაზი).

ქ. ამისი ხარჯი თეთრი :ჩფ: (ერთი მინალთუნი და ათი შაური).

*ქ. ამისი **ტყვია წამალი** :ტ: (ექვსი შაური).*

ქ. ნიფხავი :ს: (ერთი აბაზი).

ამისი სარტყელი :ნკე: (შაურნახევარი)“.

იქვე ცალკე იმავე ხელით:

„ქ. არაბოლლის ქუდი :ღ: (თოთხმეტი შაური).

ქ. არაბოლლის ჩოხა : ჩღ: (ერთი მინალთუნი და თოთხმეტი შაური)“.[84]

გორჯასპი მდივანი იგივე მონაცემებს უთითებს სხვა საბუთშიც, სადაც, ასევე, წარმოდგენილია მისი დანახარჯები „ნოქრებზე“.[85]

თავდაპირველად შევეხებით დოკუმენტის რაობას. როგორც აღინიშნა, საბუთის შემდგენელი გორჯასპი მდივანია. ის XVIII საუკუნის 30-60-იან წლებში თუმანიშვილთა ყველაზე აქტიური წევრი იყო. მას სამეფო კარზე მდივნის თანამდებობა ეკავა. გორჯასპი თუმანიშვილი, ასევე, განაგებდა მთელი სათუმანიშვილოს სამეურნეო საქმეებს. სხვა მემამულეებისაგან ის გამოირჩეოდა თავისი შემოსავლებისა და გასავლების ზედმიწევნით ზუსტი

[84] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 1-2; ხელ. Hd-1803.

[85] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 3-4; მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 42-44.

დაანგარიშებით, მიწების, ყმა-გლეხებისა და გადასახადების დაწვრილებითი აღწერით. მოგვიანებით ეს საქმიანობა უკვე მისმა ვაჟმა, მანუჩარ თუმანიშვილმა, განაგრძო.[86] როგორც ვხედავთ, გორჯასპი მდივანს ამჯერადაც დაწვრილებით შეუდგენია აღნიშნული დანახარჯების ნუსხა. როგორც საბუთიდან ირკვევა, ეს არის „ნოქრის“ დანახარჯის ნუსხა. სპარსულად „ნოქარი“ მოსამსახურეს, შეიარაღებულ მსახურს, მეომარს ნიშნავს.[87] პაპუნა ორბელიანის ცნობით, ნადირ შაჰმა ქართლიდან 500 „ნოქარის“, ანუ შეიარაღებული მეომრის, გაყვანა ითხოვა.[88] ნადირ შაჰთან შეიარაღებული მეომრების გაგზავნა, ჩანს, სათავადოებს დაეკისრათ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სათუმანიშვილოზე შეწერილი ორი „ნოქარისათვის“ გაწეულ დანახარჯებთან. ბუნებრივია, თუმანიშვილების მიერ ირანში გასაგზავნად დაქირავებული მეომრები მაღალი ფენის წარმომადგენლები არ იქნებოდნენ. ამაზე მათი სახელებიც – ღთისავარა და არაბოღლი – მეტყველებს. შესაბამისად, საბუთში ჩამოთვლილი შეიარაღება დაბალი ფენების საერთო შეიარაღების მსგავსი უნდა იყოს.

აქვე შევეხოთ 1742 წლისთვის აბაზის წონას. ამ პერიოში თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა და აღმოსავლეთ საქართველოში ტრიალებდა ირანული საოკუპაციო მონეტები. 1717 წლიდან შაჰ-აბას I-ის შემოღებული ნომინალი – აბაზი, რომლის სტანდარტული წონა იყო 7,5 გრამი, შემცირდა და შეადგინა 5,4 გრამი, ხოლო 1721 წლიდან – 4,63 გრამი. XVIII საუკუნის 40-იან წლებში აბაზი საშუალოდ იწონიდა 4,6 გრამს.[89] 50-იან წლებში აბაზის წონა კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 1765/1766 წლებიდან ერეკლე II-ის მოჭრილი აბაზები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საშუალოდ 2,9 გრამს იწონიდა. როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის 40-იან წლებში აბაზი ერეკლე II-ის მოჭრილ იმავე ნომინალთან შედარებით დაახლოებით 1,7 გრამით მეტს იწონიდა. შესაბამისად, სხვადასხვა პროდუქციის ფასებიც განსხვავებული იყო.

საბუთში რამდენიმეგან თოფის ფასად 2 მინალთუნია დასახელებული. იმავე ტიპის სხვა საბუთშიც თოფი 2 მინალთუნადაა შეფასებული.[90] ერთ-

[86] ვრცლად იხილეთ: გ. აკოფაშვილი. მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა, გვ. 405-411.

[87] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 262.

[88] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 50.

[89] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი, გვ. 8-18.

[90] იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 3-4.

ერთ მათგანში ასეთი ჩანაწერია: *„ც (ორი მინალთუნი) ქ. არაბ-ოღლის თოფი, მე უყიდე“*.[91]

„თოფის ყალიბი“, ანუ თოფის ჩასადები – 1,5 შაური, საპირისწამლე ერთი „ყოწიმით“, ანუ ყაწიმით[92] 4 აბაზი ღირდა. საპირისწამლე სხვა საბუთებში შეფასებულია ორ შაურად.[93]

ტყვია-წამალში გადაუხდიათ 3-3 შაური, რომლის რაოდენობა მითითებული არ არის. დოკუმენტებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ტყვიისა და თოფისწამლის ფასი XVIII საუკუნის 40-იან წლებში თანაბარი ყოფილა. 1738 წლის „ნოქარის ხარჯის ნუსხაში“ უფრო დაკონკრეტებულია ტყვია-წამლის ფასი. აქ ორ ადგილას აღნიშნულია: *„ტყვია-წამალი უყიდე შვიდი აბაზისა, ლიტრა ა (1)“*. ტყვიისა და თოფისწამლის თანაბარი ფასებიდან გამომდინარე, გამოდის, რომ 1 ლიტრა თოფისწამალი (ისევე, როგორც ტყვია) ღირდა 7 აბაზი (ანუ ერთი მინალთუნი და 2 აბაზი). ლიტრა XVIII საუკუნის დასაწყისში 3 კილოგრამით განისაზღვრებოდა[94] და საუკუნის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. იმავე საუკუნის 70-იან წლებში, როგორც ვნახეთ, ლიტრა უკვე 3,6 კილოგრამია. ჩვენ არ ვიცით 1740-იანი წლებისთვის ლიტრის კონკრეტული წონა, თუმცა ის ამ ორ მონაცემს შორის მერყეობდა და პირობითად განვსაზღვრავთ 3,3 კილოგრამით. ერთი ლიტრა, ანუ სამ კილოგრამზე მეტი თოფისწამალი საკმაოდ დიდი მარაგი იყო, რადგან ერთ გასროლას დაახლოებით 15-20 გრამი ესაჭიროებოდა.

ნაბადის ფასი განსაზღვრულია 4 აბაზით, თუმცა სხვა დოკუმენტში მისი ფასი გაცილებით იაფი – 6 შაურია.[95] ბუნებრივია, ფასი ნაბადის ხარისხზე იყო დამოკიდებული.

ჩოხის ფასად ერთ შემთხვევაში 9 აბაზი, ხოლო სხვა ცნობით, 1 მინალთუნი და 14 შაურია დასახელებული. 1738 წლის საბუთში „ნოქარის“

---

[91] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 170.

[92] სულხან-საბას მიხედვით – „ჴრმლის სამჭარღლიე“ (იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 264), ანუ მხარზე გადასაკიდებელი თასმა, რომელსაც ხმლის ქარქაშია ჩამოკიდებული, ის შეიძლება იყოს ვერცხლით ან სხვა ძვირფასი მეტალით შემკული და, შესაბამისად, მისი ფასები განსხვავებული იქნებოდა. მაგალითად, 1738 წელს, ასევე, „ნოქარისათვის“ შეძენილ ყაწიმში გადაუხდიათ ექვსი მინალთუნი. იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 44.

[93] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 44.

[94] გ. ჯაფარიძე. ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. IX-XIX სს. თბ. 1973, გვ. 58-60.

[95] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 43.

ჩოხა შეფასებულია გაცილებით იაფად – 11 შაურად.[96] იმავე ეპოქის სხვა საბუთში ჩოხის ფასად 14 შაურია ნაჩვენები.[97]

საინტერესოა ხმლის ფასი. საბუთში ხმლის ფასად დასახელებულია სხვადასხვა თანხა: 1 მინალთუნი, 4 აბაზი და 18 შაური (ანუ მინალთუნზე 2 შაურით ნაკლები). აქ აღნიშნული უნდა იყოს ყველაზე იაფი ხმალი, რადგან ზემოთნახსენებ 1738 წლის საბუთში 18 შაურად ნაყიდ ხმალთან ერთად დასახელებულია ერთ-ერთი „ნოქარისათვის“ 4 მინალთუნად შეძენილი ხმალი.[98]

აქვე მოვიტანთ სამხედრო საქმესთან დაკავშირებული სხვა ნივთების ფასებსაც: *„ტალი (კაჟი – ა.თ.) უყიდე თოფისთვის ერთი შაურისა“*, *„კარავის ფასათ მივე ხუთი მინალთუნი“*, *„ცხენის საჭედად მივე აბაზი“*, *„თოფის გასაკეთებათ ერთი ბისტი...“*.[99]

შეიარაღების ფასების უკეთ აღსაქმელად გავარკვიოთ იმდროინდელი ხორბლისა და მსხვილფეხა საქონლის ფასები. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება ზემოთ დასახელებული XVIII საუკუნის 70-90-იანი წლების ფასები. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1740 წლის ახლო ხანებში ნადირ შაჰს ქართლის ყველა გადასახადის სანაცვლოდ ხორბალი მოუთხოვია და ფასიც თავად დაუწესებია: *„...რაც ქართლის ქვეყანას ჩემი ხარჯი აძევსო, იმისი სულ ლიტრა ერთ ბისტათ პური მამეცითო...“*.[100] ნადირ შაჰის დაწესებული ფასის მიხედვით, 1 კოდი ხორბლის ღირებულება გამოდის ერთი აბაზი. წყაროებიდან ირკვევა, რომ ირანის შაჰმა საბაზრო ფასზე გაცილებით ნაკლებად შეაფასა ხობალი, რათა გაზრდილი შემოსავალი მიეღო. იგივე ავტორი გადასახადის ასეთი სახით დაწესების შედეგებს ასე გადმოგვცემს: *„ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ, თქვენმა მზემა, ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ... თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ, თავისის ჰელით შვილებს აძლევდენ...“*.[101] ამ ფაქტს იასე ოსეს ძე თავის თავგადასავალშიც ეხება – *„...აბაზად კოდი პური ითხოეს და ორ მინალთუნად გვასყიდინეს და ისე წაგვართვეს...“*.[102] როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით ხორბლის გადასახადის და, მეორე მხრივ, დაწესებული დაბალი ფასის გამო, 1740-იანი წლების დასაწყისში

[96] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 43.
[97] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 5.
[98] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 43-44.
[99] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 43-44.
[100] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 48.
[101] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 48-49.
[102] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა. ტფ. 1913, გვ. 8.

ქვეყანაში ხორბლის დეფიციტი შექმნილა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნადირ შაჰის დაწესებული ფასი (კოდი ხორბალი – 1 აბაზი) ხელოვნური იყო და არ შეესაბამებოდა რეალობას. ამ მოვლენას ხორბალზე ფასების მატება გამოუწვევია. 1741 წელს ერთი ხარვალი, ანუ 10 კოდი ხორბალი ღირდა 7 მინალთუნი,[103] რის მიხედვითაც, 1 კოდი ხორბლის ფასი 3 აბაზი და 2 შაური გამოდის. 1745 წელს კი 15 კოდი ხორბალი იყიდებოდა 9 მინალთუნად,[104] ანუ 1 კოდი – 3 აბაზად. იმავე ეპოქის საბუთში, რომელსაც კონკრეტული თარიღი არ გააჩნია და, ჩვენი ვარაუდით, ნადირ შაჰის მძიმე გადასახადების დაწესებამდე უნდა იყოს შედგენილი, აღნიშნულია, რომ ერთი კოდი ხორბალი 5 შაური ღირდა.[105] ერთი სიტყვით, დამპყრობელის მიერ გაზრდილი ხარკის მოთხოვნის გამო კონკრეტულ ეპოქაში ხორბლის ფასი გაზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ხორბლის ფასთან იარაღის ფასის შედარებისას ამოსავალად უნდა ავიღოთ არა ნადირ შაჰის მიერ დაწესებული ფასი, არამედ 1741 წლამდელი რეალობა. აღნიშნულ წაყროებზე დაყრდნობით, ხორბლის საბაზრო ფასი 1741 წლამდე დაახლოებით 5 შაურიდან 2 აბაზამდე უნდა განვსაზღვროთ.

1745 წლის საბუთის მიხედვით ერთი ხარის ფასი 4 მინალთუნია.[106] დაახლოებით 2-2,5 მინალთუნი ეღირებოდა ერთი ძროხა.

ზემოთ მოტანილი ფასებიდან გამომდინარე, XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობის დაბალ ფენებში გავრცელებული თოფის შეძენა შესაძლებელი ყოფილა დაახლოებით 220-260 კილოგრამი ხორბლის, ან ერთი ძროხის, ანდაც 3 იაფფასიანი ჩოხის ფასად. ბუნერივია, საუბარია, კაჟის ჩახმახიან თოფებზე, რადგანაც სხვა ნივთებთან ერთად „ნოქარისათვის“ ტალს, ანუ კაჟსაც ყიდულობდნენ. თოფის მოხმარებისათვის ყველა საჭირო ნივთის – საპირისწამლე (2 შაური), კაჟი (1 შაური), თოფის ჩასადები (1,5 შაური), ტყვია-წამალის გარკვეული მარაგი (6 შაური) – გათვალისწინებით, ქვედა ფენის მოსახლეობის ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვისათვის საჭირო იყო დაახლ. 2,5 მინალთუნი. ხოლო, ამას თუ დავუმატებთ ხმალ-ხანჯალს, ნაბადს და სხვა აუცილებელ ნივთებს, გამოდის, რომ გლეხის შეიარაღების ფასი აჭარბებდა ერთი ხარის ღირებულებას. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის დაბალი ფენები თოფისწამალს ხშირად

[103] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 49.
[104] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 53.
[105] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 5.
[106] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 53.

კუსტარულად ამზადებდნენ. ასევე, თავად მოიპოვებდნენ კაჟს.

რაც შეეხება ამავე საუკუნის II ნახევარში მასობრივად გავრცელებული თოფების ფასს, აღნიშნულის შესახებ ჩვენ რამდენიმე არაპირდაპირი ცნობა გაგვაჩნია. როგორც ზემოთ ითქვა, XIX საუკუნის საბაჟო ტარიფში, რომელიც ასახავს XVIII საუკუნის II ნახევარის ვითარებას, დაფიქსირებულია თოფის ლულების – „ჩუქურთმიანი“ და „სადა“ – შემოზიდვის ფაქტები. ორივე სახის ლულაზე საბაჟო გადასახადი გაწერილია 22½ კაპიკის ოდენობით.[107] რუსული 22½ კაპიკი 1 აბაზის და ნახევარი შაურის ტოლფასია. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში ბაჟები საშუალოდ 10 პროცენტით იბეგრებოდა. შესაბამისად, თოფის ლულის საბაზრო ფასი გამოდის 2 მინალთუნი, 1 აბაზი და 1 შაური. გვაქვს ცნობები თოფის მეორე უმთავრესი ნაწილის, კონდახის, ფასის შესახებაც – 1788 წლის ერასტი გოსტაშაბისშვილის დანახარჯის ნუსხაში აღნიშნულია: *„...თოფის კონდახი გაუკეთებინე სამ აბაზათ ზურაბს...“*.[108] გიულდენშტედტს კი თავისი ექსპედიციის დანახარჯების ნუსხაში აღნიშნული აქვს, რომ 1772 წლის 14 მაისს *„ერთი ეგერის თოფისთვის კონდახის გაკეთება ერთი მანეთი [დაჯდა]“*.[109] როგორც ჩანს, თოფის კონდახის დამზადება XVIII საუკუნის II ნახევარში 3 აბაზიდან 1 მინალთუნამდე ღირდა. თოფის ლულისა და კონდახის მაქსიმალური ფასი 3 მინალთუნი და 1 აბაზზე ცოტა მეტი გამოდის. თუ თოფის მესამე დეტალს, ანუ ჩახმახსაც გავითვალისწინებთ, ჩვენი აზრით, მასობრივად გავრცელებული თოფი იმ დროს დაახლოებით 4-5 მინალთუნი ეღირებოდა. ჩვენ მიერ განსაზღვრულ ფასს გარკვეულწილად ემთხვევა 1780 წლის დავით გოგიბედაშვილის არზა, სადაც აღნიშნულია, რომ 4 მინალთუნის გადასახადში მისი შვილისათვის ერთი თოფი გამოურთმევიათ.[110]

ერთი სიტყვით, ისევე როგორც XVIII საუკუნის 40-იან წლებში, საუკუნის II ნახევარშიც თოფის შეძენა შეიძლებოდა ერთი ძროხის ან დაახლოებით 200-300 კილოგრამი ხორბლის ფასად. თუმცა ეგრეთ წოდებულ იაფფასიან თოფებს შორისაც ყოფილა განსხვავება. შეძლებული გლეხის ოჯახის

[107] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები, გვ. 190; პ. გუგუშვილი. ქართული საბაჟო ტარიფი.

[108] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 221.

[109] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1964, გვ. 247.

[110] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 468.

გაყრის საქმეზე აღნიშნულია, რომ 1787 წელს დაკარგული თოფის სანაცვლოდ ერთი თუმანი (10 მინალთუნი) გადაუხდიათ.[111]

არ გაგვაჩნია ინფორმაცია იაფფასიანი დამბაჩების ღირებულების შესახებ, თუმცა, სავარაუდოდ, ის თოფზე იაფი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ეპოქის საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის ფასი საგანგაშოდ მაღალი არ იყო. ამავე დროს, არც დეფიციტური. ამდენად, გვიანდელ ეპოქაში, ძირითადად, XX საუკუნეში, საქართველოს მთიანეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვითაც, მასობრივად გავრცელებული თოფის ღირებულება განსაზღვრულია 10-15 და ზოგჯერ 25 ძროხის ფასად, არის მნიშვნელოვნად გაზვიადებული.

აქვე, რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა: ფეოდალურ ეპოქაში მოსახლეობის უმრავლესობას, რომელიც დაბეგრილი იყო მრავალი სახელმწიფო და საბატონო გადასახადით, შეეძლო თუ არა აღნიშნული ფასის გაღება თოფის შესაძენად? თოფის ფასი ხომ ერთი სრულწლოვანი ადამიანის მთელი წლის გამოსაკვებად საჭირო ხორბალის მარაგის ფასს უდრიდა. ამ ვითარების შესაფასებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება – წყაროებში ვხვდებით ფაქტებს, როდესაც სხვადასხვა წლებში სახელმწიფო, ეგრეთ წოდებულ, „დებულებას გარდა“, აწესებდა 2-3 მინალთუნის დამატებით გადასახადებს, რომელსაც გლეხები იხდიდნენ და ამ გადასახადის შეგროვებას განსაკუთრებული გართულებები არ ახლდა. ჩვენი აზრით, ფეოდალური ეპოქის სიმძიმეების მიუხედავად, ვინაიდან ყმა-გლეხთა უმრავლესობა ახერხებდა სხვადასხვა წლებში დამატებითი გადასახადების გადახდას, თოფის შეძენაც შეეძლო. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ XVII საუკუნესა და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში „ლეკიანობისა“ და სხვა საგარეო პრობლემების გამო მოსახლეობისათვის თოფი წარმოადგენდა არა ფუფუნების საგანს, არამედ ხშირად მოსახმარებელ პირველადი მოხმარების ნივთს. მასობრივ გავრცელებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ოჯახის მიერ ერთხელ შეძენილ თოფს რამდენიმე თაობა იყენებდა.

აქვე მოკლედ შევეხოთ თოფისწამლისა და ტყვიის ფასებს XVIII საუკუნის II ნახევარში. გიულდენშტედტის ექსპედიციის დანახარჯების ნუსხაში აღნიშნულია: *„50 გირვანქა თოფის წამალში, არა მარტო იეგერებისათვის, არამედ ჩემი ამალისთვისაც დასარიგებლად, თბილისში მიღეცი თორმეტი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი (ანუ 12,5 მინალთუნი – ა.თ.).*

[111] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 352.

50 გირვანქა ტყვიაში, ჩემი ამალისთვის დასარიგებლად, თბილისში მიველი შვიდი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი (1772 წლის 28 ივნისი)“.[112]

გირვანქის წონა იმ დროს 409,512 გრამი იყო.[113] 50 გირვანქა თოფისწამალი დაახლოებით 5,7 ლიტრის (20,5 კილოგრამის) ტოლფასია. შესაბამისად, ერთი ლიტრა თოფისწამლის ფასია 11 აბაზი (ანუ 2 მინალთუნი და 1 აბაზი). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის 40-იან წლებში თოფისწამლის ფასი იყო 7 აბაზი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმ პერიოდში აბაზის წონა შეადგენდა 4,6 გრამს, ხოლო XVIII საუკუნის 60-90-იან წლებში – 2,9 გრამს, საუკუნის მანძილზე თოფისწამლის ფასი დაახლოებით თანაბარია.[114] რაც შეეხება ტყვიას, გიულდენშტედტის ცნობით, იგივე რაოდენობის (50 გირვანქა) ტყვია თოფისწამლის ფასთან შედარებით დაახლოებით 40%-ით იაფად იყიდებოდა. როგორც ჩანს, ახტალის ვერცხლის საბადოს ამოქმედების შედეგად, სადაც ვერცხლის გამოდნობის პროცესში დიდი რაოდენობით ტყვიას იღებდნენ, წინა პერიოდთან შედარებით ტყვია გაიაფებულა.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, XVIII სააუკის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შეიარაღებიდან გამოირიცხა მშვილდი და შუბი. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეითი ჯარის როლი. როგორც ქვეითები, ასევე, ცხენოსანი ჯარი, ძირითადად, შეიარაღებული იყო თოფით, ხმალ-ხანჯლით და რიგ შემთხვევებში დამბაჩით.

ტურნეფორის ცნობით, აღმოსავლეთის ქვეყნებში თოფის სწრაფად დასატენად ქალალდის მასრას იყენებდნენ, სადაც მოთავსებული იყო ტყვია-წამალი. მისი გადმოცემით, *„...კბილით გახსნიან ქალალდს იმ მხარეს, სადაც თოფის წამალია მოთავსებული, სწრაფად ჩაყრიან თოფის ლულაში და შიგ ქალალდის მილში დარჩენილ ტყვიას ჩააყოლებენ. თოფის დატენვა ხდება ზემოდან ზუმბით, ხოლო ქალალდს, რომელშიაც თოფის წამალი და ტყვია იყო*

[112] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II, გვ. 257.

[113] გ. ჯაფარიძე. ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 71.

[114] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გიულდენშტედტისაგე ინფორმაციით, იმავე პერიოდში ყაზარში თოფისწამლის ფასი თბილისის ფასთან შედარებით 25%-თ ნაკლები იყო. თანაც რუსული თოფის წამალის ხარისხი გაცილებით სჯობდა ქართულ ანალოგს. იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II, გვ. 245.

გაბვეული, საცობად იყენებენ...“.[115] ტურნეფორის მიერ აღწერილი მასრის მსგავსი, ჩანს, საქართველოშიც გამოიყენებოდა. სულხან-საბას განმარტებით, *„მასრა არს ლერწამი, საზედაოს დასაბვეველი, გინა თოფის წამლის ჩასაყრელი, გინა რადც კალამსავით გაკვრეტილია მოგრძე“*.[116] როგორც ჩანს, საქართველოში ქაღალდის მასრის ნაცვლად ლერწმის მასრას იყენებდნენ, სადაც თოფის ერთი გასროლისათვის საჭირო ტყვია-წამალი იყო მოთავსებული. სწორედ ამ პერიოდიდან უნდა დამატებოდა ჩოხას სამასრეები[117] და მასში სწორედ ლერწამის მასრები უნდა ყოფილიყო ჩადებული, რომელიც მოგვიანებით ლამაზმა დეკორაციებმა შეცვალა. თოფისწამლისა და ტყვიის ლულაში მოთავსების შემდეგ ჰერმეტულობისათვის საქართველოში არა ქაღალდს, არამედ „ძონძს“, ანუ სამოსელის ძველ ნაგლეჯს იყენებდნენ.[118] რაც შეეხება საპირისწამლეს, ის ჩოხის სამასრეების პარალელურად გამოიყენებოდა, რადგან მასში გაცილებით მეტი თოფისწამლის მარაგი იყო მოთავსებული. ამასთანავე, მასრებში გამზადებული თოფისწამლის გარდა, თოფის გასროლისათვის საჭირო იყო მცირე რაოდენობის დენთის ფალიაზე მობნევაც.

XVIII საუკუნის მიწურულის ქართულ შეიარაღებასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო ინფორმაციის შემცველია საისტორიო არქივში დაცული 1788 წლის 29 აპრილით დათარიღებული ერეკლე II-ის მოკლე წერილი თბილისის მელიქისადმი. მასში აღნიშნულია:

„ქ. მელიქო ავეტიქ! თოფჩი ბაში ოცს თოფს მოგცემს. სალდათებისათვის შენ უნდა გააწყობინო ჩახმახითა და შტიკებით. რაც დაიხარჯოს, თოფჩიბაშს ყაბზი მოაწერინე. აპრილის კთ (29) ქკს უოვ (1788)“.[119]

---

[115] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ'სია მგალობლი'შვილმა. თბ. 1988, გვ. 103.

[116] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 444.

[117] დაახლოებით იმავე პერიოდით განსაზღვრავს რ. თოფჩიშვილი ჩოხაზე სამასრეების გაჩენას. მისი დაკვირვებით, სამასრეები მხოლოდ სოციალურად დაწინაურებულთა სამოსზე იყო დატანილი. იხ.: რ. თოფჩიშვილი. ქართული სამოსის ისტორიიდან: ჩოხა-ახალუხი. იეანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის შრომები. ტ. IX. თბ. 2015, გვ. 222-223.

[118] „ძონძი არს ყოვ[ე]ლივე სამოსელთაგან ძველი და ნაგლეჯი...“. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 356.

[119] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 1448, საბ №4528. საბუთის ანოტაცია გამოქვეყნებულია მ. ჭუმბურიძის მიერ. იხ.:

როგორც ვხედავთ, ერეკლე II თბილისის მელიქს თოფებზე ჩახმახისა და „შტიკების“ გაწყობას ავალებს. ჩვენი აზრით, ერეკლე II დაზიანებული თოფების ჩახმახების შეკეთებას ითხოვდა, რადგან ამ პერიოდში ჩახმახი ისედაც ყველა თოფს გააჩნდა, ხოლო ჩახმახის გაუმჯობესებულ ვარიანტზე მინიშნების გაკეთება შეუძლებლად მიგვაჩნია. აქ უფრო საინტერესო ის ფაქტია, რომ მეფე თოფებზე „შტიკების“, ანუ ხიშტების დაყენებას ითხოვს, რაც ერთგვარი სიახლეა. საინტერესოა, გავარკვიოთ, ვინ არიან „სალდათები“, რომლის თოფებზე ერეკლე II ხიშტების დაყენებას ითხოვს. თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ რუსეთის არმიის წევრები ისინი ვერ იქნებიან, რადგან 1788 წელს საქართველოში რუსული ჯარის ნაწილები არ იმყოფებოდა.[120] „სალდათებად“ ქართულ წყაროებში არც თუ იშვიათად იწოდებიან ეგრეთ წოდებული „თოფჩები“, ანუ საარტილერიო დანაყოფის წევრები. მაგალითად, 1788 წელს ერეკლე II მანუჩარ მდივანს მიმართავს: *„მანუჩარ, მაისის მორიგის თეთრიდამ თოფხანაში განწესებულთ სალდათებს ერთს სერჟანტს, ორს კაპრალს და ცამეტს სალდათს თავეთ განწესებული სამისთვის ჯამაგირი... მოეც“*.[121] ასევე, „ახტალის ვერცხლის გამოსავლის და ხარჯის წიგნში“ აღნიშნულია: *„...ერთის სოლდათის ტანისამოსის ფასად დაწერილა, რომ შაქარას მიეცეს. ამ ბარათს უკან წერია, რომ ეს თეთრი სოლდათს აღარ მისცემია, თოფხანაზედ დახარჯულა...“*.[122] საბუთში ასახულია 1788 წლის 17 ნოემბერის დანახარჯი.

დოკუმენტში თოფჩიბაშის, ანუ ქართული საარტილერიო შენაერთის მეთაურის მოხსენება ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გრაქვს სწორედ ქართველ „სალდათებთან“, ანუ თოფხანის ჯარისკაცებთან.

წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ერეკლე II თოფებზე ხიშტების დაყენებას სთხოვს არა უშუალოდ ხელოსნებს, არამედ ქალაქის მელიქს, რომელსაც, ბუნებრივია, „მეთოფეებისათვის“ უნდა დაევალებინა ეს საქმე. რადგან ერეკლე II შუამავალს სთხოვს აღნიშნილი საქმის შესრულებას და,

---

ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები. 1736-1797 წლები. ავტორ-შემდგ. მ. ჭუმბურიძე. თბ. 2008, გვ. 161.

[120] გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოში მყოფი რუსული ჯარი 1787 წლის სექტემბერში რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე რუსეთში გაემგზავრა. იხ.: მ. დუმბაძე. საგარეო ორიენტაციის გადაისინჯება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 712-714.

[121] აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში, გვ. 270.

[122] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 97.

ამასთანავე, არც რაიმე განსაკუთრებულ ინსტრუქციას იძლევა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თოფებზე ხიშტების დაყენება თბილისელი ხელოსნებისათვის იმ დროს უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. თბილისელი ხელოსნები თოფებზე ხიშტის დაყენების ტექნიკას, ხოლო ქართველი ჯარისკაცები მისი გამოყენების პრაქტიკას შეისწავლიდნენ რუსი სამხედროებისაგან, რომლებიც საქართველოში რამდენიმე წლის მანძილზე (1769-1773 წწ.; 1783-1787 წწ.) იმყოფებოდნენ. როგორც ვხედავთ, თბილისელ ხელოსნებს 1788 წლისთვის თოფზე ხიშტის დაყენება სცოდნიათ, ხოლო ქართველ ჯარისკაცებს – ხიშტიანი თოფის ხელჩართულ ბრძოლაში გამოყენება. ბუნებრივია, ქართველების თოფების უმეტესობას ხიშტი არ გააჩნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში წყაროებში ეს ფაქტი ასახვას ჰპოვებდა. ჩვენი აზრით, ხიშტიანი თოფებით შეიარაღებულები სწორედ საარტილერიო შენაერთის წევრები იყვნენ. შესაძლებელია, ასეთი შეიარაღება გააჩნდა მუდმივი ჯარის კიდევ ერთ მცირერიცხოვან ნაირსახეობას – „ქეშიკებს“, ანუ მეფის მცველ ჯარს. საარტილერიო შენაერთი იმ დროისათვის დაახლ. 400 „სალდათისა“ და ოფიცრისაგან შედგებოდა. რამდენიმე ასეულ კაცს მოითვლიდა მეფის მცველი რაზმი – „ქეშიკები“.[123]

როგორც ჩვენს ერთ-ერთ წინა სტატიაში გავარკვიეთ, აღნიშნული სამხედრო დანაყოფები XVIII საუკუნის II ნახევარში შეიარაღებული ყოფილა ხელყუმბარებითაც.[124] საქართველოში რუსეთის იმპერიის წარმომადგენელის ლვოვის 1772 წლის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ერეკლე II-ს მუდმივი სამხედრო ძალებისათვის უნიფორმების მსგავსი სპეციალური სამოსიც შემოუღია.[125] აქვე აღვნიშნავთ, რომ იმდროინდელი ქართული არტილერია, უკვე, „ევროპული კალიბრით“ იყო დამზადებული.[126]

სტატიის თემატიკიდან გამომდინარე, ამჯერად ჩვენ სამხედრო ტაქტიკაში განხორციელებულ ცვლილებებს არ შევეხებით, რადგან ეს ცალკე

---

[123] „თოფჩებისა“ და „ქეშიკების“ შესახებ იხილეთ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 146-158.

[124] ა. თაბუაშვილი. მასალები გეიანფეოდალური ხანის საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის, გვ. 215-226.

[125] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, გვ. 364.

[126] აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 146-155.

კვლევის საგანია. თუმცა აღვნიშნავთ, რომ XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის აღმოსავლეთ საქართველოში მინიმუმ მცირერიცხოვანი ელიტარული სამხედრო ნაწილები, რომლებიც მუდმივად გადიოდნენ წვრთნებს, ფლობდნენ იმ დროისათვის მოწინავე ტაქტიკის ელემენტებს. ხოლო მოსახლეობის მასობრივი შეიარაღების თვალსაზრისით XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფო რამდენადმე უსწრებდა მეზობელ სახანოებსა და ირანს, სადაც ამ დროს ჯარის დიდი ნაწილი მოძველებული, მათ შორის, პატრუქიანი თოფებით იყო შეიარაღებული. ყველა ეს სიახლე არ ფიქსირდება დასავლეთ საქართველოში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის განმავლობაში ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების მიუხედავად, ძველი შეიარაღების ნაწილი ჯერ კიდევ რჩებოდა სამხედრო არსენალში. ასეთ სურათს ვიღებთ XVII-XVIII საუკუნეში საქართველოში მოსახლეობის შეიარაღების, იარაღის დამზადებისა და ფასების შესახებ.

Apolon Tabuashvili

ON SPREAD, PRODUCTION AND PRICES OF FIREARM IN GEORGIA

Summary

In the 17th century the production of firearms started in Georgia, but among the population it had been spread much earlier as imported product or was obtained through the looting in the warfare. According to the historical sources, the small part of the Georgian army had guns and pistols already in the end of the 16th century. The portion of the guns increased in the 17th century. In accordance with the census, *davtar* of Saamilakhvro district, in the end of 17th century 40% of the whole population was equipped with firearms. But in the 18th century more than 80% of the population was armed with firelock guns, which is confirmed by the census *davtars* and by the foreign and the Georgian sources as well.

The massive distribution of the guns and the pistols was caused by the development of the local industry. The places for the manufacture of the guns were as following: Tbilisi, Samegrelo region, Svaneti region, Machakhela gorge etc. Probably by the end of the 17th century firelock guns were produced in Georgia. The artisans of Tbilisi played the most important role in spread of firearms in Georgia.

The firelock gun consists of three main details, these are: gun barrel, lock and stock. The *mezarnishes* (jeweller, who adorns things with precious metal) were adorning expensive firearms with gold, silver and other precious material. The barrels were imported, which was mainly brought from the Crimea. According to the historical sources, the artisans of a lock, stock and generally, of the firearm are attested in Tbilisi and also in the provinces.

According to the 18th century data, the price for the expensive guns was 8-10 tumans, which was equal to approx. 4-6 tons of wheat, or equivalent to 20-25 cows' price. But the gun that was used by the lower class members could have been obtained for the price of one cow, which is equal to 200-300 kilograms of wheat.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

დიმიტრი შველიძე

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია „დიდი ომიანობის“ (პირველი მსოფლიო ომის) წლებში

მსოფლიო ომის დაწყებამ ქართველ საზოგადოებაში დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება გააძლიერა. მიუხედავად ამისა, წამყვანი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური პარტიები კვლავ ეროვნული ავტონომიის მოთხოვნის პოზიციაზე იდგნენ. ისინი ავტონომიისათვის ბრძოლას განიხილავდნენ, როგორც პირველ, მოსამზადებელ ეტაპს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. ახალგაზრდა პუბლიცისტი გერონტი ქიქოძე წერდა: „გათვითცნობიერებული ეროვნების შესაფერისი პოლიტიკური ფორმა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოა. ავტონომია მხოლოდ საფეხურია ამ იდეალის მისაღწევად“.[1]

ავტონომია, უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა და ნიშნავდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას და სოციალისტ-ფედერალისტები შეუცვლელად იდგნენ ამ პოზიციაზე მსოფლიო ომის წლებშიც. სწორედ ამის გამო ფედერალისტები იმხანად ჟენევაში ჩამოყალიბებული საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის მესვეურებისაგან კრიტიკას იღებდნენ.

ჟენევაში გამომავალი ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ აკრიტიკებდა, როგორც სოციალ-დემოკრატიული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის, ისე ფედერალისტური ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის იდეასაც. ორივე „ვერაფერი ფორმულაა ეროვნული იდეალისა, რადგან როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში საქართველო რუსეთში რჩება“.[2] ქართველ პატრიოტთა საზღვარგარეთული ორგანო აღარ განმარტავდა, რომ რუსეთის

[1] გ. ქიქოძე. ცხოვრება და ტერიტორია. გაზ.: „სახალხო გაზეთი“. 1914 წელი. №1117.

[2] ქართველი ერი და მოაზროვნე ქართველობა. ჟურნ.: „თავისუფალი საქართველო“. ჟენევა. 1913 წელი. მარტი.

იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიებისათვის რადიკალური მოთხოვნების წამოყენება დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

როგორც ცნობილია, 1915 წლის მეორე ნახევარში, ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან კონტაქტის დასამყარებლად თბილისში არალეგალურად ჩამოვიდა დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელი გიორგი მაჩაბელი. იგი შეხვდა ქართველი სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერებს. ანალოგიური შეხვედრა მოხდა 1917 წლის დასაწყისშიც. ორივე შეხვედრაზე დამსწრე რევაზ გაბაშვილმა მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულება გამოამჟღავნა სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენლების მიმართ, რადგან მათ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარი ღიად არ დაუჭირეს.

მოგვიანებით რევაზ გაბაშვილი, მისთვის ჩვეული აგრესიული ტონით წერდა, „რომ „სოციალისტ-ფედერალისტთა სახელით გ. რცხილაძემ ბუნდოვანი პოზიცია დაიკავა, ისე რომ, გაუგებარი დარჩა, ემხრობოდა თუ ეწინააღმდეგებოდა მისი შეხედულებები მომხსენებლის აზრს.“ აქ იგულისხმებოდა გიორგი მაჩაბელი, რომელმაც თავის მოხსენებაში პარტიების წარმომადგენლებს სთხოვა, თავიანთი აზრი გამოეთქვათ და საზღვარგარეთულ ეროვნულ კომიტეტს დახმარებოდნენ. რევაზ გაბაშვილი უფრო კმაყოფილი დარჩენილა ნოე ჟორდანიას პოზიციით, იგი მიმდინარე ომში ანტანტის ქვეყნების გამარჯვებას მკვეთრად უჭერდა მხარს. მიუხედავად ამისა, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ეროვნული კომიტეტის მისამართით დაასკვნა: „თქვენ იმუშავეთ მაგ გზით, ჩვენ ჩვენი გზით. ჩვენ ხელს არ შეგიშლით, პირიქით, იქნება ზოგ რამეში ხელიც შეგიწყოთ“.[3]

ეროვნულ კომიტეტთან და მათ მხარდამჭერ ეროვნულ-დემოკრატებთან ბევრად მეტი საერთო ჰქონდათ სოციალისტ-ფედერალისტებს, მაგრამ ისინი ამის საჯარო აღიარებისაგან თავს იკავებდნენ. მიუხედავად ამისა, ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების დადგომის დროს, სამივე პარტია შეთანხმდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში ერთიანნი იქნებოდნენ. ამ გარემოებას ნოე ჟორდანიაც იხსენებს: „აქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით — ჩვენ ჩვენ ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი მათებურად, უცხოეთში, ან

[3] რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. „დაბრუნება“. ტ. 3. მრავალტომეული გურამ შარაძის საერთო რედაქციით. თბ. 1992, გვ. 150.

ერთი გაგვიყვანს, ან მეორე. ძირითად საკითხში – საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში – არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა".[4]

პირველი მსოფლიო ომის, ანუ როგორც მაშინდელ ქართულ პრესაში უწოდებდნენ – „დიდი ომიანობის" წლებში – საქართველოში ჩამოყალიბდა რამდენიმე ეროვნული მიმართულების მქონე ძლიერი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ერთ-ერთ მათგანს ეწოდებოდა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება". გადაჭარბებული თუ არ არის, რევაზ გაბაშვილის მტკიცებით, ამ საზოგადოებას მაშინ თურმე საქართველოს ფარულ საკოორდინაციო მთავრობასაც უწოდებდნენ. მასში და სხვა ეროვნულ-კულტურულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წამყვან როლს კვლავინდებურად სოციალისტ-ფედერალისტები ასრულებდნენ. სამწუხაროდ, არც მაშინდელ პრესაში, არც ჟანდარმერიის მონაცემებში და არც მემუარულ ლიტერატურაში „საქველმოქმედო საზოგადოების" შესახებ ცნობები არ არის.

საერთოდ, ჟანდარმერიის ინფორმაციების მიხედვით, „დიდი ომიანობის" პერიოდში პოლიტიკური პარტიების აქტივობა ქვეყნის შიგნით მინიმუმამდე დაეცა. ჟანდარმერიის ერთ-ერთი ინფორმაცია ადასტურებდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა 1914-1915 წლების ნოემბერ-აპრილში მხოლოდ ერთი პროკლამაციის გავრცელება მოახერხეს, სახელწოდებით: „ომი ომს". ამჟამადო, ირწმუნებოდა იგივე წყარო, სოციალ-დემოკრატები თითქოს ცდილობდნენ ადგილობრივ პარტიათაშორისო საინფორმაციო ბიუროს შექმნას, რომელშიც სოციალისტ-ფედერალისტებიც უნდა შესულიყვნენ. ბიუროს შექმნის საფუძველი უნდა ყოფილიყო IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემუშავებული „დეკლარაცია", რომელიც თბილისში აკაკი ჩხენკელმა ჩამოიტანა.[5]

კიდევ უფრო არ ჩანდნენ პოლიტიკურ სარბიელზე ესერები ან სომეხი ჰნჩაკისტები. ესერთა პარტიის თბილისის კომიტეტს ჯერ კიდევ 1909 წელს შეუწყვეტია არსებობა და მას შემდეგ აღარ განუახლებია საქმიანობა.

ამ მხრივ თითქოს არც სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ უკეთეს დღეში. „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, როგორც ორგანიზაციული ერთეული, – ვკითხულობთ ჟანდარმერიის ერთ-ერთ ინფორმაციაში, – თბილისის გუბერნიის ფარგლებში არ არსებობს და ხელმძღვანელი ცენტრი არ

[4] ნ. ჯორდანია. ჩემი წარსული. თბ. 1990, გვ. 72.

[5] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 13. ან. 27. ს. 3165, გვ. 12.

გააჩნია“ ასეთი სურათი იყო 1914 წლის 6 ივლისის შემდეგ, როცა მოხდა ჟანდარმერიის მიერ ფედერალისტური პარტიის აქტივისტების მასშტაბური დაპატიმრებები, ანუ როგორც ამგვარ ოპერაციას უწოდებდნენ, პარტიის „ლიკვიდაცია“.[6]

რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას იმის ილუზია არ ჰქონდა, რომ ქართველ ფედერალისტთა პარტია აღარ არსებობდა. ამ მონაცემებში მხოლოდ ის გარემოება იგულისხმება, რომ პოლიტიკური პარტიები აქტიურ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას ველარ ახორციელებდნენ, მით უფრო, რომ საქართველო ფრონტისპირა ქვეყანას წარმოადგენდა. ოსმალეთის ფრონტზე რუსეთის იმპერიის ნახევარმილიონიანი არმია იბრძოდა და საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი მასშტაბის „ანტისახელმწიფოებრივი“ აქციის აღკვეთა შეეძლო.

მაგრამ ამგვარი ვითარება ომის პირველი ნახევრისთვის უფრო იყო დამახასიათებელი. ომის მესამე წელს კი ხელისუფლებას მდგომარეობა მეტად გაურთულდა. ამ დროისათვის მოსახლეობის მდგომარეობა მეტად მძიმერ იყო და, შესაბამისად, ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებაც გაზრდილი. პარტიები კი ცდილობდნენ მოსახლეობის უკმაყოფილება ანტირუსულ-ანტისახელმწიფოებრივ საპროტესტო მოძრაობაში გადაეზარდათ.

ჟანდარმერიის ერთ-ერთი ინფორმაცია ასახავს ომისდროინდელი ქართველი საზოგადოების განწყობას. 1915 წლის 6 იანვარს ქუთაისის გამგეობაში შედგა საზოგადოება „სინათლის“ მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო საღამო. ღონისძიების შემდეგ გამართულ სადილზე რუსულ ენაზე სიტყვის წარმოთქმას შეეცადა ნაფიცი მსაჯული ვინმე აბულაძე. იქ მყოფმა ფედერალისტებმა ორატორს ყვირილი დაუწყეს: „გარეთ, გარეთ!“, ისინი მოითხოვდნენ ქართულ ენაზე სიტყვების წარმოთქმას და აბულაძის დარბაზიდან გაძევებას. ეტყობა ფედერალისტ ოპოზიციონერებს დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა მხარს უჭერდა, ისე რომ, დარბაზში მყოფი პოლკოვნიკი არტამონოვი და სხვა „რუსი ოფიცრები“ იძულებულნი გამხდარან დარბაზი დაეტოვებინათ. საღამოს ესწრებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრები: გიმნაზიის მასწავლებელი პეტრე ყიფიანი, გრიგოლ გველესიანი, შალვა დადიანი, პოდპორუჩიკი ჭიჭინაძე და პარტიის ქუთაისის კომიტეტის ერთ-ერთი მესვეური კიტა აბაშიძე. დოკუმენტის მიხედვით, სადილზე დარჩენილმა ფედერალისტებმა „განაგრძეს გამომწვევი მოქმედება და ქართუ-

[6] სცსა. ფ. 13. ან. 27. ს. 3165, გვ. 14.

ლად წარმოთქვამდნენ სიტყვებს. კიტა აბაშიძემ საზოგადოებას მოუწოდა ქართველთა ერთიანობის საჭიროებისაკენ. მას უპასუხა პოდპორუჩიკმა ჭიჭინაძემ, რომელმაც სიტყვა კიტა აბაშიძის სადღეგრძელოთი დაასრულა“.[7]

ირკვევა, რომ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს ძლიერი ორგანიზაცია ჰქონიათ სოხუმში. პარტიის თვალსაჩინო წევრები აქ იყვნენ: სტუდენტი მამულაიშვილი, რომელიც იყო პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ წარმომადგენელი; იოსებ კორტი – სანიტარული ზედამხედველი, ძუკუ ლოლუა – სოხუმის ბიბლიოთეკის გამგე და სხვანი. ადგილობრივ ფედერალისტებს ხელმძღვანელობდა სოხუმის გამგეობის წევრი პლატონ გელოვანი, რომელიც IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ვარლამ გელოვანის ძმა გახლდათ. ფედერალისტების საქმიანობაო, აღნიშნულია დოკუმენტში, წარიმართებოდა სოხუმის ქალაქისთავის ნიკო თავდგირიძის „ნებით“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნიკო თავდგირიძის პიროვნება. იგი არა მარტო მხარს უჭერდა ფედერალისტების პატრიოტულ საქმიანობას სოხუმის ოლქში, არამედ ხელისუფლებასთან სახიფათო დაპირისპირებასაც არ ერიდებოდა. იმხანად იმპერიის მასშტაბით ფუნქციონირებდა ე. წ. ლტოლვილთა დახმარების კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ითვლებოდა „მისი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი კნიაგინა ტატიანა ნიკოლოზის ასული“. ამ კომიტეტისაგან ნიკო თავდგირიძემ, როგორც სოხუმის ქალაქისთავმა, ლტოლვილთა დახმარებისათვის სოლიდური თანხა მიიღო. იმპერიის ხელისუფლების წარმომადგენლებს ეჭვი შეეპარათ, თუ რამდენად „კეთილსინდისიერად“ მოახმარა ქალაქისთავმა მიღებული თანხა ლტოლვილთა დახმარებას.

ეჭვი იმდენად ძლიერი იყო, რომ მაღალჩინოსანმა გენერალ-ლეიტენანტმა ორლოვმა საჭიროდ ჩათვალა ამის შესახებ თვით კნიაგინა ტატიანა ნიკოლოზის ასულისათვის მიეწერა. ორლოვი თავის უზენაეს ადრესატს ატყობინებდა, რომ კომიტეტისაგან მიღებული თანხის ნაწილი სოხუმის ქალაქისთავმა „ნიკო ყარამანის ძე თავდგირიძემ გადასცა სტუდენტებს მამულაიშვილს და ავალიანს, რომლებმაც ფული ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ჩააბარეს“. გენერალ-ლეიტენანტი იმპერატორის ასულს სთხოვდა, ეს ფაქტი შეემოწმებინათ და დაედგინათ, მართლაც ხომ არ ხმარდებოდა „ლტოლვილთა კომიტეტის“ ფული ფედერალისტების პარტიას, რომელიც

[7] სცსა. ფ. 13. ან. 27. ს. 4284, გვ. 9.

ორლოვის არც თუ უსაფუძვლო განცხადებით, „რუსული სახელმწიფოებრიობის ინტერესებისადმი მტრულად“ იყო განწყობილი.[8]

ეს ცნობა 1916 წლის ოქტომბერს ეკუთვნის. რუსეთის მონარქიას დღე ელეოდა და სულ რამდენიმე თვეღა ჰქონდა დარჩენილი. საეჭვოა, რომ ამ მოკლე ხანში მას რაიმე დაედგინა: მართლაც ითვისებდა თუ არა სოხუმის ქალაქისთავი რუსეთის იმპერიის ფულს ქართული ეროვნული მოძრაობის საჭიროებისათვის. ვფიქრობ, რომ გენერალ-ლეიტენანტი ორლოვი და საიმპერიო ჟანდარმერია, რომელმაც ეს ინფორმაცია ჩვეული სკრუპულოზულობით დააფიქსირა, არ ცდებოდნენ.

მსოფლიო ომის წლებში ფედერალისტების გააქტიურებას მოწმობს პარტიის მცდელობები, შეექმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია და ამ სტრუქტურის საშუალებით მიემხრო ახალგაზრდული ფენები. ცნობილია, რომ ასეთი ორგანიზაცია ფედერალისტებმა ოფიციალურად 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნეს. იმავე წლის ნოემბერში პარტიის ინიციატივით მოიწვიეს მოსწავლეთა პირველი კონფერენცია. როგორც მკვლევარი შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს, ამ კონფერენციამ „საქართველოს მასშტაბით გააერთიანა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტ მოსწავლეთა ორგანიზაციები და მას უწოდა „სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მოსწავლეთა კავშირი“.[9] ავტორის მართებული დასკვნით, ამ დროს მოხდა ამ ორგანიზაციის იურიდიული დაფუძნება.

რაც შეეხება ახალგაზრდული ორგანიზაციის ფაქტიური შექმნის პროცესს, იგი ჯერ კიდევ მსოფლიო ომის მიმდინარეობის ადრეულ ეტაპზე უნდა დაწყებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ემიგრანტული ლიტერატურის მოწმობით, უკვე 1914 წელს არსებობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია.

ჟურნალი „ჩვენი დროშა“ ემიგრანტი მოღვაწის, ფილიპე შარაძისადმი, მიძღვნილ წერილში აღნიშნავდა: „1914 წლიდან ფ. შარაძე წევრია არალეგალურ ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციისა, რომელმაც თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდობაში ეროვნულ-რევოლუციონურ შეგნების გავრცელების საქმეში და როდესაც 1917 წლის აპრილში თებერვლის რევოლუციის წყალობით შესაძლებელი გახდა ამ

[8] სცხსა. ფ. 13. ან. 27. ს. 4284, გვ. 16.

[9] შ. ვადაჭკორია. ახალგაზრდობის ანტიბოლშევიკური ორგანიზაციების კრახი საქართველოში 1917-1925 წწ. თბ. 1987, გვ. 117.

ორგანიზაციის პირველი თავისუფალი კონფერენციის მოწვევა, ფილიპე მისი ერთი ხელმძღვანელთაგანია“.[10] აქ სტატიის ავტორს უზუსტობა მოსდის: 1917 წლის აპრილში შედგა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პირველი, „თავისუფალი“, კონფერენცია. რაც შეეხება პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციას, იგი იურიდიულად შეიქმნა 1917 წლის ნოემბერში, როგორც შოთა ვადაჭკორიას ზემოაღნიშნულ ნაშრომშია დადგენილი.

„დიდი ომიანობის“ პერიოდში განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ფედერალისტური პრესის პოპულარობა. 1914 წლის ივლისიდან „სახალხო გაზეთი“ შეცვალა „სახალხო ფურცელმა“. სახელწოდების ცვლილებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. 1915 წლის ნოემბერში ქუთაისში გამოვიდა გაზეთი „ზვირთი“. ადგილობრივი ახალგაზრდობა მიესალმა ახალი ფედერალისტური მიმართულების გაზეთის გამოსვლას. ავტორთა ჯგუფი მისასალმებელ წერილში აღნიშნავდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტური იდეა იყო ორმაგი იარაღი, ორლესული მახვილი, რომელიც, ერთი მხრივ, იბრძოდა სოციალ-ეკონომიკური თანასწორობისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული თავისუფლებისათვის. ეს იყო „სინთეტიური“ ხასიათის მოძღვრებაო, მისასალმებელი წერილის ავტორები არჩილ ჯორჯაძის თეზისს იმეორებდნენ. წერილს ხელს აწერდა „ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა“.

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერია სპეციალურად დაინტერესდა წერილის ავტორთა ვინაობით და გაარკვია კიდეც. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ტრესკინი გუბერნატორს მოახსენებდა, რომ „ზვირთში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორი გახლდათ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე კოპაძე. ხელმომწერთა შორის იყო, აგრეთვე, კლასიკური გიმნაზიის მოწაფე შალიკო ჩუბინიძე. ეს უკანასკნელი იყო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში დაარსებული „ქართული ეროვნული წრის“ ხელმძღვანელი. „წრე“ ფედერალისტური პარტიის მიერ იყო ორგანიზებული. ჩუბინიძეზე პოლიციის მეთვალყურეობა ყოფილა დაწესებული. ანალოგიური ხასიათის „წრე“ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაშიც ფუნქციონირებდა.[11]

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობამ შედარებით შეანელა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის მწვავე ურთიერთობები. პირველ რიგში,

[10] ჟურნ.: „ჩვენი დროშა“. პარიზი. 1968 წელი, გვ. 27. ციტირებულია გ. შარაძის წიგნიდან: „უცხოეთის ცის ქვეშ“. წიგნი III. თბ. 1993, გვ. 378.
[11] სცსა. ფ. 13. ან. 27. ს. 4284, გვ. 1.

ეს ითქმის სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებზე, რომელთა შორის ადრე პოლემიკა არ შეწყვეტილა. ერთმანეთის იდეური კრიტიკა ომის წლებშიც გრძელდებოდა, მაგრამ სიმწვავე დაკარგული ჰქონდა.

ამ პერიოდში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ეროვნული საკითხის აღიარებისაკენ დაწყებული პროცესი კულტურულ-ეროვნული ავტონომიის იდეის საბოლოოდ მიღებით დაასრულეს. რაც მთავარია, თვით ისინიც არ უარყოფდნენ, რომ კულტურულ-ეროვნული ავტონომია იყო მინიმალური მოთხოვნა ეროვნულ საკითხში. აკაკი ჩხენკელი პირდაპირ წერდა, რომ აღნიშნული მოთხოვნა იყო „გამოსავალი გზა“ და „ყველაზე უმცირესი მინიმუმი იმისა, რაზედაც უფლება აქვს ერს, არა თუ უფლება, რომლის უმისობა გადაგვარებას მოასწავებს მისთვის“.[12]

გარდა ქართული პარტიებისა, ქართველ ფედერალისტებს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ არაქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. მათგან ყველაზე პრობლემატური იყო სომეხ დაშნაკებთან დამოკიდებულება, რომელიც ომის წლებში გამწვავდა და უნდობლობით გამოირჩეოდა. უნდობლობის მთავარი მიზეზი სომხურ-ქართული პარტიების ინტერესთა შეუთავსებლობა გახლდათ.

დაშნაკცუტიუნის სტრატეგიულ მიზანს დასავლეთ სომხეთის ოსმალეთისაგან განთავისუფლება და ანტანტის ქვეყნების, მათ შორის, რუსეთის იმპერიის უპირობო გამარჯვება წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1890 წელს, როდესაც თბილისში შეიქმნა დაშნაკცუტიუნის პარტია, მის პროგრამულ მოთხოვნებში ჩაიწერა: დაშნაკთა პარტიის მეთაურობით სახალხო ბრძოლის წარმოება თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, თურქეთის სომხეთის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისათვის.

სომხური პოლიტიკური და რელიგიური ელიტა მიენდო რუსეთის ხელისუფლების დაპირებებს, რომ ოსმალეთთან ომის დროს განთავისუფლებულ დასავლეთ სომხეთს მისცემდნენ ავტონომიას და გაატარებდნენ რეფორმებს. დაშნაკებს დაპირებებით კვებავდა კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვიც. მოკლედ, იმპერიისგან დაფინანსებული დაშნაკთა პარტია რუსეთის ხელისუფლებასთან აქტიური მოკავშირეობის გზას ადგა და მისთვის მიუღებელი იყო ქართული ეროვნული პარტიების ანტიიმპერიული ინტერესები.

ასევე, გულგრილად უყურებდნენ სომეხი დაშნაკები კავკასიის ერებთან ან პოლიტიკურ ძალებთან სოლიდარული ურთიერთობის საჭიროებას. მართა-

[12] ანჩიხ. ერი და ჩვენ. ქუთაისი. 1915, გვ. 15.

ლია დაშნაკთა პარტიის IV კონფერენციამ დადგენილებაც კი მიიღო „საქართველოს პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის შესახებ“, მაგრამ ამით სომხურ-ქართული ურთიერთობები მეგობრული ვერ გახდა.

სოციალისტ-ფედერალისტებისათვის, ცხადია, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა სომეხ დაშნაკთა ვიწრონაციონალისტური მისწრაფებები. სომეხი ნაციონალისტები ფაქტობრივად კავკასიის ერებთან დემოკრატიულ ურთიერთობას უარყოფდნენ და თავიანთ იმედს ამყარებენ „დღეს გაბატონებულ ძალაზე“, – წერდა ფედერალისტური პარტიის ახალგაზრდა პუბლიცისტი არჩილ ჯაჯანაშვილი სტატიაში: „სომეხ-ქართველთა ურთიერთობა“. პუბლიცისტი გაბატონებულ ძალაში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას გულისხმობდა.

ჯაჯანაშვილის ცნობით, სომხური „ნაციონალისტური ინტელიგენციის“ ინტერესებს სახელმწიფო სათათბიროში გამოხატავდა დეპუტატი მიხეილ პაპაჯანოვი (მიქაელ პაპაჯანიანი). მას ამ ნიადაგზე კონფლიქტი მოუვიდა აკაკი ჩხენკელთან. „სომხის ბურჟუაზიას ჰსურს საზოგადოებრივი იდეალების ღალატით, მეზობელ ერთა ინტერესების გადალახვით თავისი ვიწრო ნაციონალისტური მიზნები განახორციელოს“ – წერს არჩილ ჯაჯანაშვილი. პუბლიცისტის აზრით, სომხური ბურჟუაზია და მისი ამყოლი დაშნაკთა პარტია ებრძოდა, ერთი მხრივ, ქართველთა, მეორე მხრივ კი, „თათრების“ (აზერბაიჯანელების) ინტერესებს.[13] ავტორი გაღიზიანებას ვერ ფარავდა: „სომხური ბურჟუაზია ის ბაცილაა, რომელიც შხამავს ჩვენს საზოგადოებასო.

ფედერალისტთა პარტიის განწყობას ჟანდარმერიის ინფორმაციებიც ადასტურებდნენ და ამ მხრივ უფრო შორსაც მიდიოდნენ. ერთ-ერთი ინფორმაცია იუწყებოდა, თითქოს, თუ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება სომხეთს დაპირებულ ავტონომიას მისცემდა, მაშინ ქართველები თათრებთან ერთად მოაწყობდნენ სომხების ჟლეტას.[14] იმპერიის სპეცსამსახურები აქ კი ნამდვილად აჭარბებდნენ და მათთვის სასურველს რეალობად ასაღებდნენ. კარგად იყო ცნობილი, რომ სომხების წინააღმდეგ არაერთხელ მომხდარ, ავადსახსენებელ, ჟლეტაში ქართველებს არც ერთხელ არ მიუღიათ მონაწილეობა.

მსოფლიო ომის წლებში ფედერალიზმის, როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფორმისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა. მეომარი ქვეყნების საზოგადოება, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწეები ეძებდ-

[13] ა. ჯაჯანაშვილი. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა. გა'ს.: „სახალხო ფურცელი“. 1914 წელი. 2 ივნისი.
[14] სცსა. ფ. 13. ან. 27. ს. 3186, გვ. 3.

ნენ ეროვნებებისა და ქვეყნების ურთიერთმოწყობის ფორმებს, რომელნიც მომავალში მაინც გამორიცხავდნენ საომარ კონფლიქტებს. ამგვარ ფორმად სულ უფრო ხშირად მიიჩნეოდა დამოუკიდებლობა და ფედერალიზმი. ეს ტენდენცია არ გამოჰპარვიათ სოციალისტ-ფედერალისტებს და ისინი შეეცადნენ აღნიშნული გარემოება საკუთარი პოლიტიკური ლოზუნგის საპროპაგანდოდ გამოეყენებინათ.

ფედერალისტური პრესა ყურადღებას აქცევდა გერმანელი ავტორების პროფესორების: ვოლფის, სტერენისა და სხვათა ავტორიტეტებს, რომლებმაც ე. წ. „შუა ევროპის კონფედერალიზმის აზრი“ წამოაყენეს. იმავე აზრს, ოღონდ ძლიერი სოციალური აქცენტებით, ასაბუთებდნენ ნაუმანი და რენერი. ფედერალისტური პრესა არ ერიდებოდა ევროპული სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერის, კარლ კაუცკის, ავტორიტეტის მოშველიებასაც, რომელიც უპირატესობას მსოფლიო ფედერაციის იდეას ანიჭებდა.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ახალი თაობის პუბლიცისტი, თედო ღლონტი, დეტალურად განიხილავდა კარლ კაუცკის ნააზრევს, რომელსაც ევროპის ქვეყნების მომავალი მოწყობა „ევროპის შეერთებული შტატების“ სახით წარმოედგინა. თედო ღლონტს განსაკუთრებით „მცირე ერების“ ბედი აინტერესებდა და ციტირებას აკეთებდა კაუცკის ნაშრომიდან, რომელშიც ავტორი წერდა: „თვით უმცირეს ერსაც უნდა მიენიჭოს სამუდამოდ დამოუკიდებელი არსებობის უფლება და ადგილი ევროპულ ფედერაციაშიო“.[15]

1910-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტივისტების ახალი თაობის არაერთი წარმომადგენელი: არჩილ ჯავჯანაშვილი და თედო ღლონტი. პარტიის იდეოლოგიურ-პუბლიცისტურ სფეროს ემსახურებოდნენ; პრესაში და პარტიის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ნიკო კურდღელაშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, აკაკი პაპავა, არისტო ჭუმბაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მიხეილ საყვარელიძე; შალვა ალექსი-მესხიშვილი, შალვა მიქელაძე, სამსონ დადიანი, ვასილ ეგნატაშვილი, სვიმონ მდივანი; ძველი თაობიდან მოღვაწეობას განაგრძობდნენ გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, ილია ნაკაშიძე, იოსებ გედევანიშვილი და სხვანი.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მსოფლიო ომის წლებში კვლავ მოქმედებდა 1907 წელს მიღებული პროგრამისა და წესდების საფუძველზე.

[15] თ. ღლონტი. ბრძოლა შეთანხმებისათვის. გაზ.: „სახალხო ფურცელი“. 1917 წელი. 5 თებერვალი.

პარტიული სტრუქტურა „ქვემოდან ზევით“ შემდეგი სახით გამოიყურებოდა: უდაბლესი საფეხური იყო რაიონული კოლექტივები და ჯგუფები; შემდეგი საფეხური იყო რაიონული კოლექტივების ბიუროები; შემდეგ – საოლქო კომიტეტები და საოლქო კომიტეტების ბიუროები. უმაღლეს ცენტრალურ და ხელმძღვანელ სტრუქტურას წარმოადგენდა ფედერალური კომიტეტი და ფედერალური კომიტეტის ბიურო, ხოლო ბიურო ანგარიშვალდებული იყო პარტიის ყრილობის წინაშე. პარტიას გააჩნდა აგრეთვე სხვადასხვა შიდა სტრუქტურები: სამხედრო განყოფილება, აგრარული სექცია, სარედაქციო კოლეგია, საიდუმლო ეროვნული მიწის ფონდი და ა. შ.

1917 წლის დასაწყისს ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტია კვლავ ძველი და გადაუწყვეტელი პრობლემებით შეხვდა. მიუხედავად ამისა, ფედერალისტებიც და სხვა პოლიტიკური პარტიებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მიმდინარე მსოფლიო ომი დიდად შეცვლიდა როგორც ევროპის, ისე რუსეთის იმპერიის რეალობას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ახალი რეალობა მცირე ერებისათვის სასიკეთო იქნებოდა.

1917 წლის 4 იანვარს სოციალისტ-ფედერალისტების მთავარმა გაზეთმა 1916 წლის მოვლენები გააანალიზა. წერილის ავტორი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, მიუხედავად ომის მძიმე შედეგებისა, მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ომმა კაცობრიობის ცხოვრება აატორტმანა, ააზვავა და „მისი ძველ კალაპოტში ჩაყენება ყოვლად შეუძლებელია“. მაინც რისი იმედი ჰქონდა ფედერალისტების პუბლიცისტს? „ომმა თანამედროვე წესწყობილების ზოგიერთი მხარე შეარყია და ახალი გზა უჩვენა ადამიანებს“, – წერდა ის.

მივყვეთ ქრისტეფორე რაჭველიშვილის ანალიზს და ავტორისეული სტილიც დავიცვათ: მსოფლიო ომის შემდეგ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა „ერების ისეთ დაჩაგრულ მდგომარეობაში დარჩენა, როგორშიც ახლა იყვნენ“. ომმა დაადასტურა „ეროვნული იდეის მძლეთა-მძლეობა“. ომმა ზოგიერთ ერებს, მაგალითად, პოლონელებს – თავისუფლება მოუტანა. ეს გარემოება ახარებდა ავტორს და იმედს გამოთქვამდა, რომ ეროვნული იდეის „ზრდა-განვითარება“, ჩვენც, ქართველებს, „მოგვიახლებს სანატრელ გაზაფხულს, როდესაც ქვეყნად ნამდვილად დამყარდება დღეს ტყვედ-ქმნილი ძმობა-ერთობა, მშვიდობა და ერთა შორის სათნოება“.[16]

უფრო მეტი ოპტიმიზმი ახასიათებდა ფედერალისტური პარტიის მეორე

[16] ქრ. რაჭველი (ქრისტეფორე რაჭველიშვილი). სადღეისო წერილები (ფიქრები). გაზ.: „სახალხო ფურცელი“. 1917 წელი. 4 იანვარი.

პუბლიცისტს თედო ღლონტს. იგი დიდ ისტორიულ ცვლილებებს ელოდა და დროის მთავარ მიზნად ესახებოდა, რომ მომავალ ცვლილებებს ქართველი ხალხი მზად შეხვედროდა. „მძიმე და რთული საქმეები გვიძევს წინ, დიადი საქმეები უნდა გაკეთდეს, მრავლის ინტერესი უნდა მოწესრიგდეს და ჩადგეს ახალ კალაპოტში. დღეა დღე საშინელი დარღვევისა და უდიდესი აღშენებისა და ამისთანა ჟამს წარუშლელი და სამარადისოდ გამოუსყიდველი დანაშაულობა იქნებოდა ჩვენი თაობის მხრივ – არ ვიგრძნოთ ეროვნული მთლიანობა“.[17]

მსგავსი მოლოდინების შემდეგ ძნელია დავიჯეროთ, რომ ქართველი საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი 1917 წლის ზღურბლზე არ გრძნობდა დიდ რადიკალურ ქარტეხილებს. ორზე მეტწლიანმა „დიდმა ომიანობამ“ მოამწიფა საზოგადოების წინაშე მდგარი ყველა პრობლემა, რომელთა გადაჭრაც ძველ მონარქიულ იმპერიას აღარ შეეძლო.

მიუხედავად ამისა, თვით 1917 წლის თებერვლის რევოლუცია მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს პოლიტიკური პარტიებისათვის.

[17] თ. ღლონტი. ბრძოლა შეთანხმებისათვის. გაზ. „სახალხო ფურცელი“. 1917 წელი. 5 თებერვალი.

Dimitri Shvelidze

GEORGIAN SOCIALIST-FEDERALIST PARTY DURING THE WORLD WAR I

Summary

World War I put a temporary halt to the activities of the Georgian political parties. Russian imperial secret agencies did their best to stop nationalist movements in the country.

Nevertheless, the socialist-federalists tried to strengthen the idea of statehood among the Georgian population. Newspaper "People's Paper" published by them was the most popular in Georgia by that time. During the World War I the federalists also managed to publish another newspaper called "Zvirti".

The federalists' increased political activity during World War I is also reflected in the creation of a youth branch of their party. The party played a crucial role among other nationalist parties which operated in Georgia.

The revolution which broke out in Russia in February-March 1917 was unexpected for both, Russian and Georgian political elites. Despite this, the Georgian socialist-federalists together with national democrats and social democrats were well prepared to those political changes which had to take place in the country.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

თენგიზ სიმაშვილი

სტალინი და მთვარის კულტი

„ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობის-დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია...“
აკად. ივანე ჯავახიშვილი

ბოლო პერიოდში იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) შესახებ უამრავი მასალა მოვიძიე. მათ შორის ძალიან საინტერესოა იოსებ ჯუღაშვილის ნათლიის, მიხეილ ციხითათრიშვილის შვილის – ალექსანდრე (სანდრო) მიხეილის ძე ციხითათრიშვილის – 1936 წლით დათარიღებული, დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონება. ალექსანდრე ციხითათრიშვილი წერს, რომ *„ამხანაგი სტალინი – იოსებ ჯუღაშვილი ჩემი ძუძუთა ძმაა ... მამაჩემი მიხაკა ბესოს მეჯვარე იყო იაკობ ეგნატაშვილთან ერთად“.*[1]

მისი სიტყვებით, სწორედ *„ყველა ეს გარემოება მაბედინებს გავკადნიერდე და თავი მოვალედ ჩავთვალო ვთქვა ყველაფერი ის, რაც ვიცი, ან რაც მგონია გამოსადეგარი იქნება ჩვენი ბელადის ბიოგრაფიის შესავსებად. ასევე, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, გადმოვცე ისიც, რაც გამიგონია ჩემი მშობლებისგან“*[2] (იხ. დოკ. 1). მე ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას, რადგან მოგონებები უმეტესწილად ატარებენ სუბიექტურ ხასიათს, მაგრამ იმ ხანებში სტალინის შესახებ რაიმე სახის არაობიექტური ინფორმაციის გაჟღერება, სულ მცირე, ავტორის „შორეულ მხარეებში“ გადასახლებით ისჯებოდა. შესაბამისად, ჩვენთვის ეს მოგონება, გარკვეულწილად, შესაძლოა, მართლაც

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული არქივი (ს'შსსპა). ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 1-6. იაკობ ეგნატაშვილის მეჯვარეობა ბესარიონ და ეკატერინე ჯუღაშვილების ჯვრისწერისას დოკუმენტურად არ დასტურდება, იხ. დოკ. 5ა.
[2] ს'შსსპა. ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 1.

იყოს რეალობის ამსახველი ინფორმაციის წყარო.

ალექსანდრე ციხითათრიშვილი აღნიშნავს, რომ *„ჯულაშვილების წინაპრები გორში არ დაბადებულან, ისინი ცხოვრობდნენ სოფელ გერში, გორის მაზრაში, ლიახვის ხეობაში და როგორც ამ ხეობის ყველა მაცხოვრებელი, ისინიც მაჩაბლების ყმები ყოფილან. მათი მთავარი სალოცავი გერის წმინდა გიორგის ხატი ყოფილა“* (იხ. დოკ. 2).[3] მოგონების ავტორი საკმაოდ საინტერესო ცნობებს იძლევა არა მარტო ბესო ჯულაშვილის წარმოშობაზე და ოჯახზე: *„ეხლანდელი სამხრეთ ოსეთი წინათ, მესამოცე წლებამდე (იგულისხმება XIX საუკუნის 60-იანი წლები – თ. ს.) ქართველი მოხევეებით იყო დასახლებული. შემდეგ ოსებმა დაიწყეს მასობრივი გადმოსახლება და ხიზნების სახით დამკვიდრება დიდი და პატარა ლიახვის ფერდობებზე... მოხევე ქართველები დაიჯაბნენ და იძულებული გახდნენ დაბლობში ჩამოსულიყვნენ, ან შესულიყვნენ, შერეულიყვნენ ახლად შემოხიზნულ ოსებში და გადავარებულიყვნენ და მართლაც ბევრი ოჯახი გაოსდა... ნაწილობრივ ჯულაშვილებიც, უკეთ რომ ვსთქვათ, ჯუგაშვილები“*.[4] აქვე ავტორი აღნიშნული ტერიტორიებზე თავდაპირველად ქართველი მოსახლეობის განსახლებას შემდეგნაირად ასაბუთებს: *„თუ რა დიდხანს იბრძოლეს ქართველებმა ასიმილაციის მოხდენამდე, ეს დღეს იქიდანაც ჩანს, რომ ჯავის, გუფისა და განსაკუთრებით როკის უღელტეხილზე ბლომად მოიპოვებოდა ძველ ქართველთა სასაფლაოები ქართული წარწერებით. შემდეგ წლებში, განსაკუთრებით მესამოცე წლებიდან ეს ნაწერები ქრება და მის ადგილს იჭერს ოსური, რუსული ტრანსკრიპციით“* (იხ. დოკ. 2-3).[5]

მისი აზრით, სწორედ ოსი ხიზნების ტალღის გამო ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა გადასახლებულიყო საქართველოს სხვა მხარეებში. ასე მოქცეულან ჯულაშვილების წინაპრის ზურას თუ ზაზას შვილები, რომლებიც აყრილან და კახეთისკენ, სოფელ ლილოში დასახლებულან. ავტორს პირადად ხშირად გაუგონია, რომ სტალინის მშობლები – *„ბესოც და კეკე გერს ხშირად ახსენებდნენ და სალოცავადაც მიდიოდნენ ხოლმე, როგორც თავიანთ მამაპაპათა სამლოცველოში“*.[6]

აღნიშნული მოგონება სხვა მხრივადაც საინტერესოა. ავტორის სიტყვებით, *„სოსო დაბადებულა 1878 წლის დეკემბერში... ბავშვი სუსტი ყოფილა*

[3] სმსსპა. ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 2.
[4] სმსსპა. ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 2.
[5] სმსსპა. ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 2-3.
[6] სმსსპა. ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 3.

აგებულებით, ამიტომ ბესოს დაუჩქარებია მისი მონათვლა, იმავე დროს საგვარეულოს მთავარი სალოცავის, გერის ხატის სახელობაზე სამ წლამდე ბერად აღუკვეთნია“ (იხ. დოკ. 4).[7]

ალექსანდრე ციხითათრიშვილი ასე აღწერს ქართლში წარმართობის დროიდან შემორჩენილ ამ რიტუალს: *„ბავშვის ბერად* (ე. ი. ეკლესიისათვის „შეწირვა“ – *თ. ს.) აღკვეთა ქართლში ამნაირად ხდებოდა: დათქმული დღიდან ბავშვს კულულებს უზრდიდნენ და მაკრატელს არ დააკარებდნენ, ვიდრე არ ილოცებდნენ. აცმევდნენ თეთრს და ნათხოვრებს. ყიდულობდნენ ბატკანს, გაზრდიდნენ აღთქმულ დღემდე. ბესოც ასე მოიქცა. ბავშვს თეთრები ჩააცვეს და თმა დაუყენეს. ბატკანი სამი წლის შემდეგ თოხლად იქცა და აი, მოახლოვდა გერისთობა. სამი დღით ადრე ბესო გორიდან გაუდგა გზას დაჩარდახებული ურმით, ცოლ-შვილი აწვია გერის ხატს. თვითონ პატარა ბიჭიკო თითქმის სულ მხრებით უტარებია, რომ ხატს უფრო მეტად დაებერტყა მისთვის ლოცვა-კურთხევა და დღეგრძელობა. პარაკლისი გადაახდევინეს გერელ მღვდელს, შეჰკრიჭეს თმა, გახადეს თეთრები, ჩააცვეს ფერადი ტანისამოსი და იმედად გამობრუნდნენ, რომ მამა-პაპათა სალოცავი მათ შვილს უბედნიერეს კაცად გაზრდიდა“.*[8]

ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ *„მიუხედავად გერში გადახდილი პარაკლისისა, სოსო ბავშვობაში სუსტი აგებულების ყოფილა. განსაკუთრებით დაღი დაასვა ყვავილმა, რომელმაც კინაღამ გამოასალმა იგი წუთისოფელს. მართალია გადარჩა სოსო, მაგრამ ნაყვავილარი ძალიან დააჩნდა სახესა და ხელებზე“.*[9]

აღნიშნული ქართული ტრადიციისადმი თავისი ოჯახის ერთგულებას ადასტურებს სტალინის დედა ეკატერინე (კეკე) გელაძე თავის მოგონებაში – *„მესამეც ბიჭი მეყოლა. ნათლობა დავაჩქარეთ, მოუნათლავი რომ არ გარდაგვცვლოდა დედაჩემმა წმინდა გიორგის შანა* (რკინის მცირე ჯაჭვი, ან ავი თვალისაგან დასაცავი რაიმე ლითონი – *თ. ს.) დაჰკიდა ბავშვს ყელზე და ბესოს უთხრა: გორში წავიდეთ სალმრთოს შესაწირადო“.*[10]

---

[7] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 5-6; მართლაც, საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იოსებ ჯუღაშვილი 1878 წლის 6 დეკემბერს დაიბადა და მონათლეს 17 დეკემბერს, იხ. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 440. აღწერა 2. საქმე 38, გვ. 11 (იხ. დოკ. 5).

[8] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 6.

[9] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2 (I). საქმე 53, გვ. 6.

[10] „ნემსის წვერით გამოხრდილი ვაუკაცი“ (სტალინის დედის მოგონებები). საარქივო მოამბე. №1. 2008, გვ. 45-49. ისე კი საინტერესოა, რომ იოსებ ჯუღაშვილის მეტსახელი სტალინი წარმოებულია რუსული სიტყვი-

ბავშვის „ბერად აღკვეცის“ ქართული წარმართობის დროინდელი, ქართლში შემორჩენილი ტრადიციის შესახებ მოთხრობილია ივანე ჯავახიშვილის თხზულებებში: *„სოფ. არბოში გერისთობა, წმიდა გიორგის ხატობა, 14-15 აგვისტოს იცის, ამ დღესასწაულს თავი გერისთობა ჰქვია. სწორი 21-22 აგვისტოს არის ხოლმე, მეორე სწორი კიდევ ერთი კვირის შემდეგ 28-29-ს. აქაც აუარებელი ხალხი იკრიბება მთელი ქართლიდან: საღმრთო დეკეულებს, ცხვრებს და მამლებს სწირავენ ხოლმე წმ. გიორგის და, ვისაც აღთქმული აქვს, თეთრები აცვია; ზოგს შვილიც ბერად შეყენებული ჰყავს“*.[11]

ზემოაღნიშნულს გარკვეულწილად ადასტურებს, ალექსანდრე ციხითათრიშვილის დედის, მარიამ ციხითათრიშვილის ასევე გამოუქვეყნებელი მოგონებები. იგი აღნიშნავს, რომ იოსებ ჯუღაშვილის ნათლია მისი მეუღლე მიხა, იგივე მიხეილი იყო. მისი სიტყვებით, ორი ახლადდაბადებული ბავშვის გარდაცვალების შემდეგ *„ვაი თუ ესეც არ შეგვრჩესო და ცოლ-ქმარი ხშირად დადიოდა სალოცავად სოფელ არბოში“*.[12] მარიამ ციხითათრიშვილი აქვე ამატებს, *„ექვსი წლის იყო სოსო, როცა ყვავილმა ავად გახადა“*.[13]

ჩემ მიერ მოძიებული სხვა, დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონების მიხედვით, რომლის ავტორი ეკატერინე აფშინაიძეა, 1906 წელს იოსებ ჯუღაშვილი ქალაქ თელავში მასწავლებელ ილია ზარაფიშვილის ოჯახს სტუმრობდა.[14] ილია ზარაფიშვილი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი, გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი, პედაგოგი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. სწორედ იგი აგროვებდა და აწვდიდა ივანე ჯავახიშვილს ეთნოგრაფიულ მასალებს, კახეთში თეთრი გიორგის კულტთან დაკავშირებული მთვარის კულტის შემორჩენილი რიტუალების შესახებ. სხვათა შორის, ილია ზარაფიშვილთან ერთად თელავში აღნიშნულ პერიოდში მოღვაწე ცნობილი პედაგოგები და პუბლიცისტები, ნიკოლოზ მთვარელიშვილი და ვასილ ბარნოვი, დაინტერესებული იყვნენ მთვარის კულტის რიტუალების, მაგიის შესწავლითა და გამომზეურებით.

ეკატერინე აფშინაიძე წერს, რომ იგი თელავში ილია ზარაფიშვილის

დან, «сталь» – ფოლადი, რომელსაც ძველად ქართველი მელითონეები მაგარ რკინას უწოდებდნენ.

[11] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I, თბ. 1979, გვ. 94.

[12] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(I). საქმე 53, გვ. 50-54. იოსებ ჯუღაშვილის მშობლებს მის დაბადებამდე გარდაეცვალათ ორი ვაჟი ჩვილობის ასაკში.

[13] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(I). საქმე 53, გვ. 50-54.

[14] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(I). საქმე 3, გვ. 273-274. მოგონება დათარიღებულია 1941 წლის 2 თებერვლით.

სახლში, როგორც ზარაფიშვილის ნაშვილები, ისე იზრდებოდა. მისი სიტყვებით, *„ილია ზარაფიშვილს ჰყავდა ძმისწული ქეთო ზარაფიშვილი... მასწავლებელი ქალი, რომელიც იყო აქტიური სოციალ-დემოკრატი“*.[15] ეკატერინე აფშინაიძე მასთან საკმაოდ დაახლოებული ყოფილა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა, იარაღის ტყვიებსაც კი უნახავდა თურმე (?!).

ეკატერინე აფშინაიძის სიტყვებით, ილია ზარაფიშვილთან სახლში პირადად უნახავს კობა ჯუღაშვილი, რომელსაც იქ ღამე გაუთევია. მასზე ზარაფიშვილს უთქვამს, რომ ძალიან კარგი ადამიანიაო. ე. აფშინაიძის დახასიათებით ზარაფიშვილთან მის მიერ ნანახი პიროვნება ყოფილა *„შავგვრემანი, ჩოფურა სახის კაცი“*.[16] ამ პირის ვინაობის შესახებ უშუალოდ გაუგია ქეთო ზარაფიშვილისგან, რომელსაც უთქვამს, *„...ეს ჯუღაშვილი არის, კობას რომ უძახიანო... დასავლეთ საქართველოდან მოვიდაო“*.[17] ეკატერინე აფშინაიძის მოგონების მიხედვით, თელავში იმ დღეს *„დილით მიტინგი ყოფილა მუხიანში. ეს ამბავი მოხდა შუა გაზაფხულზე“*.[18] ჩემ მიერ მოძიებული სხვა მასალების ანალიზიდან გამომდინარე დასაშვებია, რომ საუბარია 1906 წლის გაზაფხულზე, თელავის მახლობლად ე.წ. „მუხიანში“ მიტინგის ჩატარებისა და მასზე სტალინის დასწრების შესახებ.

ამ ფაქტის დამადასტურებელი ინფორმაციები მოიპოვება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული არქივის ფონდებში დაცულ ქალაქ თელავის მაცხოვრებლების, ძველი რევოლუციონერების დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებებში. ისინი ეხება 1906 წლის დასაწყისში ქალაქ თელავსა და მეზობლად მდებარე სოფლებში იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) ჩასვლას და იქ რევოლუციური საქმიანობის წარმოებას.

მათ შორის ერთ-ერთ დღემდე გამოუქვეყნებელ დოკუმენტში, რომლის ავტორებიც არიან ქალაქ თელავის მცხოვრებნი, ნათქვამია: *„იოსებ ჯუღაშვილი თელავში 1906 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა და რამდენადაც გვახსოვს, ამხანაგი კობა თელავში დარჩა ორ თვეზე მეტ ხანს. ამხანაგი კობა მუდმივად თელავში არ იყო. იგი ხშირად ... ხარება ჯიბუტთან, ბიწკინაშვილ სოლიასთან ერთად დადიოდა თელავის მაზრის სხვადასხვა სოფლებში, სადაც იწვევდნენ გლეხთა არალეგალურ კრებებსა და მიტინგებს ... ამხანაგ კობას*

[15] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(I). საქმე 3, გვ. 273.
[16] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(I). საქმე 3, გვ. 273.
[17] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(I). საქმე 3, გვ. 274.
[18] სშსსპა. ფონდი 8. აღწერა 2(I). საქმე 3, გვ. 274.

ხელმძღვანელობით თავად-აზნაურთა შავი რაზმების საწინააღმდეგოდ შედგა წითელი რაზმი თელავში. რაზმის ხელმძღვანელად გამოყოფილ იქნენ ალექსა ყარაულაშვილი, ხარება ჯიბუტი, სოლია ბიწკინაშვილი, მელიტონა, აქვსენტი სიდამონიძე და სხვები“.[19]

ამრიგად, შესაძლებელია გამოვთქვათ ვარაუდი, ხომ არ იყო იოსებ ჯუღაშვილი ახალგაზრდობაში ძველი ქართული სარწმუნოების შემორჩენილი რიტუალების, გადმოცემების გაცნობით დაინტერესებული. იქნებ იგი გარკვეულწილად იცნობდა კიდეც ქართულ ყოფიერებაში შემორჩენილ მთვარის ღვთაების კულტის მაგიის ცალკეულ ელემენტებს, რომლებსაც მთვარის კულტის მსახური მოგვები ადამიანების სამართავად იყენებდნენ. თუმცა, აღნიშნული ცდება ჩემ კომპეტენციას და გამოკვლევის ფარგლებს – ამ მიმართულებით კვლევას შესაბამისი, სპეციფიური ცოდნის მქონე მკვლევარი ესაჭიროება.[20] ყოველ შემთხვევაში სიჭაბუკეში ციური მნათობის, მთვარისადმი, იოსებ ჯუღაშვილის, ასე ვთქვათ, „დადებითი“ დამოკიდებულება, ვფიქრობ კარგად ჩანს მის მიერ 17 წლის ასაკში დაწერილ ლექსში „მთვარეს“[21]:


„....მაშ, ტურფავ, წინანდებურად
ღრუბლებში გაიკაშკაშე,
ლურჯ კამარაზედ საამოდ
სხივები შეათამაშე.
მეც გადავიხსნი საკინძეს
და მკერდს მოგიშვერ მთვარესა,
ხელ-განპყრობილი თაყვანს-გცემ
ქვეყნად შუქ-მომფინარესა...“

[19] სმსსპა. ფონდი 8. აღწერა 6. საქმე 17, გვ. 41-42. აქ ნახსენები ხარება ჯიბუტი, ცნობილი ტერორისტი ე.წ. „ხარება და გოგიას“ დაჯგუფების ლიდერი იყო, ხოლო სოლია (სოლკა) ბიწკინაშვილი იმ დროს თელავში „მოღვაწე“ ცნობილი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტი.

[20] საქართველოში და საერთოდ კავკასიაში შემორჩენილი წარმართული პერიოდის მაგიის, მათ შორის მთვარის კულტის ელემენტების შესწავლით დაინტერესებული იყო იმ ხანად 1906 წლის გასაფხულზე, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში სოციალ-დემოკრატების მიერ ასაფეთქებელი ნივთიერებების მასწავლებლად მიწვეული ცნობილი მისტიკოსი და ფილოსოფოსი გიორგი გურჯიევი. ასე რომ, შესაძლოა, სემომოქმედი მასალა ამ მიმართულებით მომეშავე მკვლევარებისათვის დამატებითი ინფორმაციის წყარო იყოს.

[21] გაზ. „ივერია“. 11 ოქტომბერი. 1895.

დოკუმენტები:



1

1.

ციხიმამრიშვილი აღუსაღრე მიხეილის ძე.


მოგონებანი ამხანაგ სტალინზე.

ამხანაგი სტალინი – ჯუღაშვილი ჩემი ძუძუთა ძმაა. სულ ხუთი თვითაა იგი ჩემზედ უფროსი. დედაჩემის ძუძუ დიდხანს უწოვნია, სამაგიეროდ მეც მაწოვებდენ დედა კვკეს ძუძუს, – აქედან ვარ დავალებული, რომ კვკეც დედად მეგულებოდეს. სოსო პირველად არვისად არ ეწყობოდა თურმე დედაჩემის ძუძუს, ეუცხოვებოდა, ამიტომ ხშირად თვალზედ ხელს აფარებდენ და ისე აწოვებდენ ძუძუს.

გარდა ამისა, ჩვენ და ჯუღაშვილები დიდი მეზობლები და ურთიერთისადმი უაღრესი პატივისცემლები ვიყავით. მამა ჩემი მიხაკა ბესოს მეკვარე იყო იაკობ ეგნატაშვილთან ერთად. პირველი ორი შვილი ეგნატაშვილმა მოუნათლა, ვინაიდან მამაჩემი საქმეზე ყოფილა წასული იმათ დაბადების დროს, მაგრამ რადგანაც ისინი არ შერჩათ ფიქმის ფიმო ორი კვირისა დაეხოცათ, ბესომ ეს ბოლოლა – ვაჟიშვილი სოსო მამაჩემს მოანათლინა.

ყველა ეს გარემოება მაბედვინებს გავკადნიერდე და თავი მოვალედ ჩავთვალო ვსთქვა ყველაფერი ის, რაც ვიცი, ან რაც მტკონია გამოსადეგარი იქნება ჩვენი ბელადის ბიოგრაფიის შესასწავლად. ასევე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გადმოვცე ისიც, რაც გამიგონია ჩემი მშობლებიდან. განსაკუთრებით ბევრი რამ ვიცი მამაჩემისაგან, თუმცა არც დედაჩემი აკლებს და ცოცხლად აგვიწერს ხოლმე ძველის ძველს ამბებს, როგორც ბესოს და კვკეს ქორწილს, ისე სოსოს ნათლობას, ჩემი და მის პატარაობას. ამიტომ

შსს არქივი



2

2

2.

ჩემი მხრობის ამბავი შორიდან უნდა დავიწყო.

ჯუღაშვილების წინაპრები გორში არ დაბადებულან, ისინი ცხოვრობდნენ სოფ. გერში. /გორის მაზრა ლიახვის ხეობა/. როგორც ყველა გვეხები ამ ხეობისა, ისინიც მაჩაბლიანი ყმები ყოფილან. მათი მეთაური სალოცავი გერის წმ. გიორგის სატი ყოფილა.

ეხლანდელი სამხრეთ-ოსეთი წინად, ყოველივე შემთხვევაში, მესამოცე წლებამდე ქართველ მოხევეებით იყო დასახლებული, შემდეგ ოსებმა დაიწყეს მასიური გადმოსახლება და ხიზნების სახით დამკვიდრება. დიდი და პატარა ლიახვის ჭერობებზე. ახალი მოსულები ეკონომიურად ძალიან შეეიწროებული იყვნენ, ამიტომ ხარბად უგორებოდათ თვალი ჩვენს მოხევეებზე, რომლებიც შედარებით კარგი შეძლებულები იყვნენ, დოვლათით სავსე, ეწეოდნენ მეჯოგეობას, საზოგადოდ მესაქონლეობას. ახალი მოსულები - ვიდრე წელში მომაგრდებოდნენ, ხშირად იტაცებდნენ მოხევეების საქონელს და ამ ნიადაგზედ იმართებოდა ჩხუბი, ზოგჯერ სისხლის ღვრაც. მოხევე ქართველები დაიჯაბნენ და იძულებული გახდნენ დაბლობებში ჩამოსულიყვნენ, ან შესულიყვნენ, ან შერეულიყვნენ ახლად შემოხიზნულ ოსებში და გადაგვარებულიყვნენ. და მართლაც ბევრი ოჯახი გაოსდა. მაშინ, როგორც მაგალითად გულისაშვილები, ბაღელიძეები, ბეჟანიშვილები, ბასიშვილები, ძელაანები, ჩერქეზიშვილები და ნაწილობრივ ჯუღაშვილებიც, უკვე რომ ვსთქვათ, ჯუგაშვილები. თუ რა ღიდხანს იბრძოლეს ქართველებმა ასიმილაციის მოსდენამდე, ეს დღეს იქიდანაც სჩანს, რომ ჯავის, გუფისა და განსაკუთრებით როკის უღე-

3

3.

ტახიდზე ბლომად მოიპოვებოდა ძველ ქართველთა სასაფლაოები ქართული წარწერებით. შემდეგ წლებში, განსაკუთრებით მესამოცე წლებიდან ეს ნაწერები აქრება და მის ადგილს იჭერს ოსური, რუსული ტრანსკრიპციით. გასაბჭოების შემდეგ კი სულ ალარ სჩანს ქართული და რუსული წარწერები, - ახალ მისვლებულთ უკვე ლათინური ანბანზედ უწერენ ოსურს ეპიტაფიებს.

როგორც მოგეხსენებათ ოს ხიბნების ტაიფამ აიძულა ქართველი მოსახლეობა ან შერეოდა ოსებს, ან და შუა ქართლის გულში გაემოსახლებულიყვნენ. ჯუღაშვილებს ჰყოლიათ თავიანთ მოხუცი პაპა, თუ არ ვსცდები ბურა თუ ბაბა, რომელიც ურჩიერთობაში ყოფილა თავად მაჩაბლებთან. მის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები და შვილიშვილები სოფლის სხვა ნაწილთან ერთად აყრილან და ახალ ბაგონ მაჩაბლისათვის, რომელიც სპარსეთიდან ჭყვეობიდან გამოპარულა, თავისი გულკეთილებით ყოფილა განწყმული, უახოვნიათ, საიმე კახეთის მიმართულებით დაესახლებინა ისინი. ეს მაჩაბელი, როგორც გამოპარული, დიდი სახელით და მამულებით დაუკიდოვებია მაშინდელ მთავრობას და დიანშეგობა უბოძებია ივრის ხეობიდან მოყოლებული თბილისამდე. მას შეუწყნარებია გერელების ახოვნა და დასახლებია სოფ. ლილოში.

რომ ჯუღაშვილები მართლა გერიდან გაემოსულან ლილოში ეს გამიგონია, როგორც მამაჩემისაგან, ისე თვითონ დეიდა კეკესაგან. გარდა ამისა ჩემს ხსოვნაში არ წაიშლება ის გარემოებაც, რომ ბესო და კეკე გერს ხშირად იხსენებდნენ. და საოცარადაც მიდიოდნენ ხოლმე როგორც თავიანთ მამა-პაპათა სამშობლოში.

4 6


ნ.


ღიაც კარგი ხელისა იქნება, ჩემი ბიჭიკო გამეზრდება და ბედნიერი კაციც გამოვაო. აღსრულდა მისი სიტყვები, მხოლოდ თითონ ვერ მოესწრო.

ბავშვი სუსტი ყოფილა აგებულობით, ამიტომ დაუჩქარებია ბესოს მისი მონათლვა, იმავე ღრის საგვარეულოს მთავარ საღლაცავი გერის ხატის სახელობაზე ბავშვი სამ წლამდე ბერად აუკვეთნია.

ბავშვის ბერად აღკვეთა ქართლში ამნაირად ხდებოდა: დაქმული ღვიძან ბავშვს კუდუღებს უბრეიდნენ და მაკრატელს არ დააკარებდნენ, ვიდრე არ იღოცებდნენ. აცმევდნენ თეთრებს და წათხოვრებს. ყიდულობდნენ ბატკანს გაბრეიდნენ ალქმულ ღვთმდე. ბესოც ასე მოიქცა. ბავშვს თეთრები ჩააცვა, თმა დაუყენეს, ბატკანი სამი წლის განმავლობაში თოხლად იქცა. და აი მოახლოება გერისთობა, სამი ღვით აღრე ბესო გორიდან გაუდგა დაჩარახებული ურმით, ცოლ-შვილი აჰყვია გერის ხატს. თითონ პატარა ბიჭიკო თიქმის სულ მხრებით უტარებია, რომ ხატს უფრო მეტად დაებერტყა მისთვის ლოცვა-კურთხევა და ღვეგრძელობა. პარაკლისი გაეხახლებინეს გერეც მღვდელს, შეკრიბეს თმა, გასაღეს თეთრები, ჩააცვეს ფერადი ტანისამოსი და იმედიანად გამობრუნდნენ, რომ მამა-პაპათა საღლაცავი მათ შვილს უბედნიერეს კაცად გაბრეიდა.

მიუხედავად გერში გადახდილი პარაკლისისა, სულ ბავშვობაში ძალიან სუსტი აგებულებისა ყოფილა. განსაკუთრებით დიდი დაასვა ყვავილმა, რომელმაც კინაღამ გამოასალმა იგი წუთი სოფელს, მართალია გადარჩა სულ, მაგრამ ნაყვავილარი ძალიან დააჩნდა სახესა და ხელებზე.





Tengiz Simashvili

STALIN AND CULT OF THE MOON

Summary

The content of unpublished memoir of Aleksandre Tsikhitatrishvili, a son of Joseph Jughashvili's (Stalin) godfather, Mikheil Tsikhitatrishvili, dated by 1936 is quite interesting.

Author of these memoir gives us quite interesting notes about Beso Jughashvili's family and origin. According to Tsikhitatrishvili, Joseph Jugashvili was born in December 1878, and as a child he had a weak health, that is a reason why his parents accelerated his baptism.

Beso, father of newly born Joseph, made him "monk" of Geri Icon of St. George until three years. The author of the memoir describes this process in detail which is very intresting for us. This is the same process which is narrated by Ivane Javakhishvili in his book "History of the Georgian Nation".

Information about Joseph's family's affiliation towards St. George's cult is confirmed by Stalin's mother, Keke Jughashvili in her memoir. According to Keke's statement, her mother hanged St. George's "shana" – a small iron chain on Joseph's neck.

According to the other memoir, Stalin lived in the house of Ilia Zarapishvili in Telavi in 1906. Ilia Zarapishvili was collecting ethnographic material about Tetri Giorgi ("White George") cult in Kakheti, including some old rituals of lunar deity. He was preparing this material for Ivane Javakhishvili. I assume as a hypothesis that maybe Stalin knew some elements of veneration of the moon and elements of magic preserved by the Georgian folk traditions, which had been used by the priests of lunar deity to control the people.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

მიხეილ ბახტაძე

გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ 1921-1922 წლებში კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენებების შესახებ

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთთან მიმდინარე ომში დამარცხების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრებისა და სამხედრო ხელმძღვანელობის ნაწილმა ქვეყანა დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. უმეტესობამ თავდაპირველად თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა. ცხადია, ყველას აინტერესებდა, რა იყო დამარცხების მიზეზები, სად იყო დაშვებული შეცდომები და შეიძლებოდა თუ არა მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო. ამ მიზნით რამდენიმე შეკრება კონსტანტინოპოლშივე შედგა, სადაც მოხსენებები წაიკითხეს: ვალიკო ჯუღელმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ და გენერალმა ილია ოდიშელიძემ. ამ უკანასკნელმა ორი მოხსენება გააკეთა: პირველი 1921 წლის დეკემბერში, მეორე – 1922 წლის მარტში.

გენერალი ოდიშელიძე ძალიან დიდი სამხედრო და ადმინისტრაციული გამოცდილების მქონე პიროვნება იყო. 1918 წლისათვის ვერც ერთი ქართველი გენერალი ვერ შეედრებოდა მას. თბილისის კადეტთა კორპუსისა და მოსკოვში ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელის დამთავრების შემდეგ იწყებს სამხედრო სამსახურს. 1891-1894 წლებში გენერალური შტაბის აკადემიაში სწავლობდა. მსახურობდა ჯერ კავკასიაში, შემდეგ ბალტიისპირეთში, ხოლო 1902 წლიდან, შორეულ აღმოსავლეთში. მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომშიც. 1909 წელს ილია ოდიშელიძე შუა აზიაში გადაიყვანეს. 1910 წლის ივლისში მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1911 წლის ნოემბერში სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, ხოლო 1914 წლის იანვარში თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი იყო. ამ პოსტზე ყოფნისას მას პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო. 1914 წლის 11 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა და პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე გაიგზავნა. ის ჯერ ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-10 არმიის

შტაბის, ხოლო დეკემბრიდან 1-ლი არმიის შტაბის უფროსი იყო. ამ პოსტზე გენერალ-ლეიტენანტი ოდიშელიძე 1917 წლის 16 იანვრამდე დარჩა. 16 იანვრიდან ის ჯერ XV საარმიო კორპუსის მეთაურად, ხოლო შემდეგ დასავლეთის ფრონტზე მოქმედი მე-3 არმიის სარდლად დაინიშნა. 1917 წლის 2 ოქტომბერს ილია ოდიშელიძე კავკასიის არმიის სარდლობა დაევალა. 1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში იმყოფებოდა. სხვადასხვა დროს იყო: ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი (მოადგილე), სამხედრო საბჭოს წევრი, პარიზის საზავო კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი, მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი.[1]

გენერალ ოდიშელიძის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში დაკავებული თანამდებობების გათვალისწინებითაც ცხადია, რომ მის მიერ საქართველოს შესახებ წაკითხული მოხსენება ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა.

1935 წელს მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა გაზეთ «Кавказ»-ში (№ 6/18; 7-8/19-20; 9-10/21-22; 25-27). გაზეთში დაბეჭდილ ტექსტში ამოღებულია მოხსენების ის მცირე ფრაგმენტები, რომლებიც, რედაქციის აზრით, პირადული ხასიათისა იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ «Кавказ»-ის რეაქციის მიერ მოხსენების ტექსტიდან ამოღებული ფრაგმენტები საკმაოდ საინტერესო ცნობებს შეიცავენ.

როგორც ჩანს, გაზეთ «Кавказ»-ში დაბეჭდილმა მოხსენებამ ქართველ ემიგრანტთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია და ამიტომ ჟურნალმა „კლდემ“ ის ქართულად თარგმნა და თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა (ჟურნალი „კლდე“. ბერლინი. 1935 წელი №16; № 17-18; 1936 წელი №19; №22-23. ბოლო ნომერს თან ახლავს რედაქციის შენიშვნა, რომ გაგრძელება იქნება, თუმცა შემდგომ ნომრებში მოხსენების გაგრძელება აღარ დაბეჭდილა).

2005 წელს გურამ შარაძემ, ჟურნალ „კლდეში“ დაბეჭდილი მოხსენება მის მიერ გამოცემული „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ VII ტომში გამოაქვეყნა.[2]

ემიგრაციაში მყოფ მრავალ ქართველ სამხედრო თუ პოლიტიკურ მოღვაწეს საკუთარ მოგონებებსა და წერილებში გამოყენებული აქვთ გენერალ

[1] დაწვრილებით იხ. მ. ბახტაძე. გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VII. თბ. 2013, გვ. 298-328.

[2] გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VII. თბ. 2005, გვ. 356-385.

ოდიშელიძის მოხსენების ცალკეული ფრაგმენტები. მაგ. გენერალ გიორგი კვინიტაძეს, გენერალ ალექსანდრე ჩხეიძეს, გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროს აკაკი კვიტაიშვილს, გრიგოლ ურატაძეს და სხვ.

ქალბატონ ანა ჭეიშვილმა საკუთარი არქივიდან მოგვაწოდა ილია ოდიშელიძის მოხსენების სრული ტექსი, დაბეჭდილი რუსულ ენაზე. გვინდა დიდი მადლობა გადაეუხადოთ ქალბატონ ანას დახმარებისა და თანადგომისათვის. ქალბატონ ანას მიერ მოწოდებული ტექსტი, ფაქტობრივად ორიგინალია. უფრო ზუსტად, ორიგინალიდან გადაღებული ასლი, რომლის სისწორესაც თავისი ხელმოწერით ადასტურებს რევაზ გაბაშვილი. ამდენად, ჩვენ ხელთ გვქონდა მოხსენების სრული ტექსტი, რომელსაც ვეყრდნობით უმთავრესად. თუმცა, შედარებისათვის ვიყენებდით ასევე «Кавказ»-სა, და „კლდეში“ გამოქვეყნებულ ტექსტებსაც.

ქალბატონ ანა ჭეიშვილის მიერ მოწოდებული ტექსტის პირველ გვერდზე წერია, „ქვემორე მოხსენება გადაღებულია ბ-ნ ი. ოდიშელიძის დედნიდან, როგორც ზედმიწევნითი პირი (კოპია) და წაკითხულია სატამბოლში – ორ ნაწილად. პირველი (1-32 გვ.) და მეორე (33-76 გვ.) და დათარიღებულია: 3 მარტი 1922 წ. ქ. სტამბოლი. ყველა ამა და ღენ. ი. ოდიშელიძის ხელმოწერას ვამოწმებ ჩემის ხელმოწერით და პატიოსანი სიტყვით. რ. გაბაშვილი. 8/I 1935 წ“.

გენერალმა ოდიშელიძემ თავისი მოხსენება მართლაც ორ ნაწილად წაიკითხა. ერთი 1921 წლის დეკემბერში და მეორე 1922 წლის მარტში. ამხელა შუალედი რით იყო განპირობებული, უცნობია.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ილია ოდიშელიძის მოხსენების მხოლოდ იმ ფრაგმენტებს, რომლებიც აქამდე ქართულად არ გამოქვეყნებულა

1. «Кавказ»-ში არ დაბეჭდილა და, აქედან გამომდინარე, ახლა პირველად ხდება ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, მოხსენების ის ნაწილი, სადაც გენერალი 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის პირველ ნახევარში თავის მოღვაწეობაზე მოკლედ საუბრობს.

„ნება მომეცით, თავდაპირველად გაგაცნოთ ჩემი კარიერა ქართულ ჯარში, გამოხატული ციფრებში. რადგან პასუხისმგებლობის ხარისხი, ისეთ ხანგრძლივ საქმეში, როგორიცაა ქვეყნის მომზადება, განისაზღვრება მუშაობის ხანგრძლივობითა და საპასუხისმგებლო სამუშაოს დღეთა რაოდენობით. მე დავინიშნე კავკასიის არმიის სარდლად 1917 წლის ოქტომბერში. მე-3 არმიიდან, რომელსაც ვმეთაურობდი გერმანიის ფრონტზე, პირდაპირ წავედი

ერზერუმში, სადაც ჩავიბარე დაშლილი და სანახევროდ პოზიციებდატოვებული რუსული არმია. მე ე.წ. არმიის საბჭოსთან ერთად, რომელიც ჩემივე ბრძანებით შევქმენი, დავკავდი იმით, რომ ექსცესების გარეშე უმტკივნეულოდ გამომეყვანა არმია ღრმა ზურგში. ეს მოხერხდა, ისევე როგორც მოხერხდა სომხური არმიის შექმნა. თუმცა ეს არმია იმით იყო სუსტი, რომ სომეხი გენერლები და ოფიცრები ტფილისში ისხდნენ და მშობლიურ არმიაში არაფრის მეთაურობა არ უნდოდათ. მას რუსი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. ამ დროს ტფილისში იქმნებოდა ქართული კორპუსი. ის იქმნებოდა ჩემი მონაწილეობის გარეშე. ამიტომ ბათუმის დაცვაში[3] მონაწილე ქართული ჯარის ხარისხსა და რაოდენობაზე არავითარი პასუხისმგებლობა არ მეკისრება. ჩავაბარე რა ჩემ მიერ ფორმირებული სომხური არმია გენერალ ნაზარბეკოვს, რომლის დანიშვნასაც ძლივს მივაღწიე, დავრჩი უსაქმოდ, როგორც რუსეთის კავკასიის არმიის ყველა რუსი გენერალი. თავს ვირჩენდი გენერლის შარვლების, ბინოკლების და სხვ. ნივთების გაყიდვით. მაგრამ აი, ნაცვლად ამიერკავკასიის კომისარიატისა, შეიქმნა ამიერკავკასიის სამინისტრო და მე მინისტრის მოადგილედ დავინიშნე (ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უპატიებელი შეცდომა). ამ პოსტზე ვიყავი თვე-თვენახევრის განმავლობაში. გეგეჭკორთან შეთანხმების საფუძველზე თავის თავზე არ ვიღებდი არანაირ საპასუხისმგებლო სამუშაოს. უნდა მეკისრა მხოლოდ მიმდინარე შავი სამუშაო, რაც იმ მოთხოვნილების მოშორებაში გამოიხატებოდა, რომლებიც ცდილობდნენ ხაზინიდან მიეღოთ თანხები სხვადასხვა სახის მცირე რაზმების ჩამოსაყალიბებლად. ეროვნული კორპუსების ფორმირება და მოქმედება რუსი მთავარსარდლის ლებედინსკის[4] ხელმძღვანელობით ხდებოდა. ის იყო ბათუმში მოქმედი ქართული კორპუსის ბატონ-პატრონიც. ამრიგად, მე არ ვარ პასუხისმგებელი არც თქვენსა და არც საკუთარი სამშობლოს წინაშე ბათუმში ქართული ჯარის მოქმედებაზე. მხოლოდ ერთხელ დამიბარა ჩხენკელმა და მთავარსარდლისა და მინისტრების ხატისოვისა და კაჩაზნუნის თანდასწრებით მკითხა, შეუძლიათ თუ არა სომხურ ჯარებს დაიცვან ყარსი და ქართულს – ბათუმი. მე გავიცინე და ვუპასუხე, რომ სომხები ყარსს ვერ დაიცავენ ორი საათიც კი და ქართველები ბათუმს ორი დღე. შემდეგ ნაზარბეკოვმა დაადასტურა ჩემი მოსაზრება და ფაქტებმაც დაარწმუნა მთავრობის

[3] იგულისხმება 1918 წლის გაზაფხული.

[4] გენერალ-მაიორი ევგენი ლებედინსკი 1917 წლის დეკემბრიდან კავკასიის ფრონტის სარდალი იყო.

წევრები, რომ სწორი ვიყავი საკუთარ წინასწარმეტყველებაში. მიუხედავად ამისა, დაშნაკებმა ჩემი წასვლა მოითხოვეს სამინისტროდან და მე, რასაკვირველია, გამომაგდეს. ამ დროიდან მე თადარიგში ვიყავი და ვცხოვრობდი იმით, რომ ჩემი ამუნიციისა და აღჭურვილობის ზედმეტ ნივთებს ვყიდდი. მე კვინიტაძემ შემცვალა, რომელიც ამიერკავკასიის სამინისტროდან საქართველოს სამინისტროში გადავიდა. თუმცა მისი ჯერიც მოვიდა, ორიოდე თვის შემდეგ ისიც გამოაგდეს. ამჯერად არა სომხებმა, არამედ თავისიანებმა. ამ დროს მე, როგორც კერძო პირი, ვიმყოფებოდი კონსტანტინოპოლში, ქართული დელეგაციის შემადგენლობში. ისე რომ არ მკითხეს, დამნიშნეს გიორგაძის[5] (რომელსაც, როგორც პიროვნებას, პატივს ვცემდი) მოადგილედ. ჩამოველი რა თბილისში, ვიკითხე, რატომ მოხსნეს კვინიტაძე და რა როლი მეკისრებოდა სამინისტროში. გამოირკვა, რომ, ფაქტობრივად, მთავაზობენ უფროსი მწერლისა და ხელის ბიჭის როლს. მე კატეგორიული უარი განვაცხადე და იმწამს, ისე რომ მოვალეობის შესრულებაც არ დამიწყია, გადადგომა ვითხოვე. იმ დროიდან მოყოლებული, ვიდრე არ მოხდა ჩვენი ჯარების რეფორმირება და სამხედრო საბჭოს ჩამოყალიბება, მე თადარიგში ვიყავი. მინისტრის მოადგილე ა. გედევანიშვილი[6] იყო. ამრიგად, არც ამჯერად მეკისრება პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე ჩვენი ჯარის ფორმირებაზე“.

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ გენერალ ოდიშლიძის მოხსენების ზემოთ მოტანილი ფრაგმენტი არ იყო გამოქვეყნებული «Кавказ»-ში. ამ ფრაგმენტში ორი მომენტია საინტერესო. პირველი: ვიგებთ თუ რა იყო ოდიშელიძის მიზანი კავკასიის არმიის სარდლის პოსტზე ყოფნისას. მეორე: მის მიერ სომხური არმიის ფორმირებაში შეტანილი წვლილი.

2. მოხსენების ერთი მცირე, მაგრამ საინტერესო ნაწილი კვლავ ამოღებული იყო «Кавказ»-ის რედაქციის მიერ. აი ეს ფრაგმენტიც, „ადამიანები, რომლებსაც მიაწერენ დაახლოებით ისეთივე პიროვნულ თვისებებს, როგორსაც კვინიტაძეს. ე.ი. ნათელი გონება და მტკიცე ნება. მოვლენათა განვითარების ლოგიკა თითქოსდა მოითხოვდა მინისტრის მოადგილედ კვინიტაძეს დანიშვნას. მაგრამ ეს არ მოხდა“. აქვე ტექსტში გაკეთებულია სქოლიო შენიშვნისთვის, სადაც წერია – „რისთვისაც (იგულისხმება კვინიტაძის დანიშვნა – მ. ბ.) მე და გედევანიშვილი ნაბიჯებს ვდგამდით და რის შესახებაც კვინიტაძესთან მქონდა საუბარი. მას, ცხადია, ეს ახსოვს“.

[5] გრიგოლ გიორგაძე იყო სამხედრო მინისტრი.
[6] საუბარია გენერალ-მაიორ ალექსანდრე გედევანიშვილზე.

3. «Кавказ»-ში დაბეჭდილი არ არის შემდეგი ფრაგმენტიც,

„ამრიგად მე ჯარს ვწვრთნიდი სულ დიდი 15-18 დღე (საუბარია 1920 წელზე, როდესაც გენერალი ოდიშელიძე სამხედრო მინისტრის მოადგილე იყო – მ. ბ.). თებერვალმა და მარტმა ჯარისთვის გაიარა სალაშქრო პირობებში და საკმაოდ დაფანტულ მდგომარეობაში. აპრილში, ჩემი პროტესტის მიუხედავად, მიმავლინეს პარიზში. ამრიგად მე პასუხისმგებელი პირი ვაყავი ორთვენახევარი, ისიც მხოლოდ სამწყობრო მომზადების მხრივ, სამეურნეო საკითხებისა და ზურგის გარეშე. ორთვენახევრიდან კი, როგორც დაინახეთ, ფაქტობრივად მუშაობა შემეძლო მხოლოდ 18 დღე. აპრილშივე გენერალი კვინიტაძე დაინიშნა მთავარსარდლად. მისი ძალაუფლება გავრცელდა არა მარტო ჯარზე, არამედ მომარაგებასა და ზურგზეც. მასვე დაექვემდებარა გვარდია. მას მიენიჭა სრული ძალაუფლება მთავარსარდლისა, რუსული კანონით, ანუ კოლოსალური უფლება განკარგვისა როგორც ფრონტზე ასევე ზურგში. ამ უზარმაზარ მატერიალურ უფლებებს მიემატა მორალური მხარდაჭერა. მან წარმატებით მოიგერია წითელი დივიზიის თავდასხმა და სამხედრო მინისტრი ოფიციალურად მიესალმა, როგორც მეორე გიორგი სააკაძეს. მთავრობის თავმჯდომარე მისადმი განსაკუთრებულ ნდობას გამოხატავდა. ისარგებლა თავისი მომგებიანი მდგომარეობითა და უზარმაზარი უფლებებით? მოამზადა საომარი მოქმედების თეატრი და ზურგი წითლების თავდასხმის მორიგი მცდელობისათვის, რომელიც სრულიად ცხადი იყო? არა და არანაირად. რატომ? მან აქ წაგიკითხათ მოხსენება და თქვენ ალბათ მოითხოვეთ მისგან ახსნა-განმარტება. მან, რასაკვირველია, გაგაცნოთ ყველაფერი, რაც ხელს უშლიდა მის საქმიანობას. საქმიანობას მთავარსარდლისა, რომელსაც კარგად და ზუსტად ესმის საკუთარი როლი. მაგრამ როდესაც მე პარიზიდან ჩამოვედი, ვერ აღმოვაჩინე ამ მხრივ მისი მოღვაწეობისა და მოღვაწეობის მცდელობის კვალიც კი. არ მინახავს: არც მოხსენება თავდაცვის საბჭოსადმი, არც მთავრობის თავმჯდომარისადმი, არც რამენაირი გეგმა ზურგის მოწყობისა საქართველოს სიღრმეში. სამაგიეროდ ვხედავდი ბრძოლას, რომელსაც ის უმართავდა თავდაცვის საბჭოსა და მინისტრებს ყოველი მიზეზით და ყოველი შესაძლებლობისას, თან ყოველ მეორე სიტყვაში გადადგომით იმუქრებოდა. აქ თავის მოხსენებაში მან მიგანიშნათ, რომ მე მას დავუტოვე დაშლილი არმია და მოუმზადებელი ზურგი. დაშლილი არმიის შესახებ ჩვენ შემდგომში ვისაუბრებთ და ვნახავთ, ვინ და რამ დაშალა არმია და როდის დაიწყო მისი გახრწნა. ახლა კი შეგახსენებთ, რომ ის მთავარსარდალი იყო ხუთი თვე და თანაც საკმაოდ მშვიდი ხუთი თვე, უზარმაზარი უფლებებით. მე კი

მხოლოდ 15 დღე ე.ი. ათჯერ ნაკლები და ძალიან მძიმე ვითარებაში, რთულში პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, საკმაოდ შეკვეცილი უფლებებით. თავდაცვის საბჭო, ჩემი დანიშვნის წინ, სპეციალურად დაკავდა მთავარსარდლის უფლებათა შეკვეცის საკითხით. როგორც ჩანს, უკმაყოფილო იყო გენერალ კვინიტძის მიერ ამ უფლებების გამოყენებით. მთავარსარდლის უფლებების არაზომიერი გამოყენება, თანაც იქ, სადაც ამას ვითარება არ ითხოვდა, გახდა მთავარსარდლის თანამდებობის არადროული გაუქმების მიზეზი. ჩვენს ყველა მეზობელს, ჩვენდამი მტრულად განწყობილს, ეს თანამდებობა ჰქონდა, რაც საშუალებას აძლევდა ომისთვის უფრო მომზადებული ყოფილიყვნენ. საგანგებო პირი, უფლებამოსილი და პასუხისმგებელი ცხადია უფრო კარგად წარმართავდა საქმეს, ვიდრე არაკომპეტენტური მინისტრი, დაკავებული ყოველდღიური საქმითა და პოლიტიკით".

ყოველივე ზემოთ თქმული ვითარების ილია ოდიშელიძისეული შეფასებაა. გენერალი კვინიტაძე მთავარსარდალი იყო 1920 წლის 29 აპრილიდან 8 სექტემბრამდე. დღეს შეუძლებელია იმის გარკვევა: კვინიტაძის გადადგომის შემდეგ რა დახვდა და რა არ დახვდა ოდიშელიძის; რისი უფლება ჰქონდა კვინიტაძეს და რისი არ ჰქონდა ოდიშელიძეს. ფაქტია: კვინიტაძემ დაამარცხა რუსები მაისში; გარკვეულწილად მშვიდი ვითარება იყო ზაფხულში; მნიშვნელოვანი სამუშაოები ღრმა ზურგის ორგანიზებისა და აზერბაიჯანთან საზღვარზე თავდაცვითი პოზიციების შექმნის მხრივ არ ჩატერებულა; კვინიტაძეს ჰქონდა უთანხმოებები პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან.

4. როგორც ჩანს, გაზეთ «Кавказ»-ის რედაქცია მოერიდა ოდიშელიძის გამონათქვამების გამოქვეყნებას საქართველოლს მეზობელ სახელმწიფოებთან დაკავშირებით. გენერალი წერდა: „იმ დროს, როდესაც ისეთი დიდი მტრები გვყავდა, როგორიც თურქეთი და რუსეთი (სულერთია, დენიკინის თუ საბჭოთა), ან ისეთი პატარა, მაგრამ მტრული და მუხთალი, როგორიც სომხები, რომლებიც ეშმაკსაც კი მიეყოდებოდნენ, ოღონდ კი ჩვენთვის ევნოთ. ან ისეთი არასანდო მეგობარი, როგორიც აზერბაიჯანი, რომელიც ბაქოში ჩვენთან იყო და ისიც არა მთლიანად. ბათუმსა და არდაგანში ჩვენს წინააღმდეგ და განჯაში და ზაქათალაში ჩვენთან ფრონტი ეჭირა 24 ესკადრონით არც თუ კარგი კავალერიისა... ჩვენი სამი ესკადრონის წინააღმდეგ".

5. როდესაც ოდიშელიძე წერს, „ნოე ნიკოლოზის ძე ომის დროს ათეულობით მილიონებს აძლევდა ისეთ ბატონებს, როგორებიც არიან [კერესელიძე] და ზოგიერთ სხვებსაც. მათ კი 20-30 ჩამოძონძილისაგან შემდგარი ქვეითთა რაზმები გამოყავდათ, ნაცვლად საკავალერიო პოლკებისა". გაზეთის

ტექსტში გამოტოვებულია კონკრეტული პიროვნების გვარი. ოდიშელიძე ასახელებს კერესელიძეს, ეს, ალბათ, ლეო კერესელიძეზეა საუბარი.

6. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ოდიშელიძის მოხსენების შემდეგი ნაწილი, რომელშიც ის საუბრობს გეოგრაფიული საზღვრების როლზე ქვეყნის თავდაცვის საქმეში. «Кавказ»-ში გამოტოვებულია რამდენიმე ფრაზა „ყაზახ-შამშადილის მხარე, ბამბაკისა და ბეზობდალის ქედები, ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილი დაუტოვეს ჩვენ მეზობლებს, თუმცა მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში და საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ეს დიდი სამხედრო მნიშვნელობის კუთხეები საქართველოს მუდმივ ნაწილს შეადგენდნენ. შედეგად ტფილისი, რომელსაც [უზარმაზარი] მატერიალური [და მორალური] მნიშვნელობა აქვს, [ორი მეზობლის საზღვრებიდან ერთი გადასავლელის მანძილზე აღმოჩნდა, მათი უშუალო დარტყმების ქვეშ]“.

აქ ტექსტში სქოლიოა მცირე შენიშვნით, რომელიც ასევე არ არის გამოქვეყნებული გაზეთში: „ამის შესახებ დროულად მივაწოდე ოფიციალური წერილი რუკის თანხლებით მთავრობას და სახალხო გვარდის შტაბს, რომელსაც მთავრობა დატყვევებული ჰყავდა. გარდა ამისა, ასეთივე ოფიციალური მოხსენება გავაკეთე ვიწრო წრეში. ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანია, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, მინისტრი გეგეჭკორი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე თაყაიშვილი. ეს მოხსენება გავიმეორე ანტანტის წარმომადგენლების თანდასწრებითაც“.

7. მოხსენების ბოლო ნაწილი, რომელიც 26 ნაბეჭდ გვერდს მოიცავს და მთელი მოხსენების 1/3-ს შეადგენს, ჟურნალ „კლდეში“ აღარ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, ის არც გურამ შარაძეს დაუბეჭდავს. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ის არც გაზეთ «Кавказ»-ს გამოუქვეყნებია. ამდენად, მოხსენების ეს, ჩვენი აზრით, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, პირველად ქვეყნდება (ყოველ შემთხვევაში ქართულად ნამდვილად პირველად). თუმცა აღსანიშნავია, რომ მოხსენების ამ ნაწილის ცალკეული მცირე ფრაგმენტები იმ პირთა მოგონებებში გვხვდება, რომლებიც ილია ოდიშელიძის მოხსენებას ესწრებოდნენ.

მოხსენების ამ მონაკვეთს გენერალი ოდიშელიძე შემდეგი სიტყვებით იწყებს: „სანამ გაგაცნობთ, რა ბრძანებები გავეცი სომხებისა და რუსების მოულოდნელ აჯანყებასთან დაკავშირებით, ნება მომეცით, გაგაცნოთ ჩემი მოსაზრებები მთავარსარდლის როლთან დაკავშირებით ნებისმიერ ომში და განსაკუთრებით, ჩვენთან. ასევე იმ როლზეც, რისი შესრულებაც სურდათ და

რეალურად რაც შეასრულეს პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ბორჩალოს ავჯანყებაში. ალბათ გაგიგიათ მრავალგზის გამეორებული და ნაკლებად შესრულებადი გამონათქვამი ზოგიერთი სამხედრო და პოლიტიკური ბელადისა: ყველამ თავის ადგილზე საკუთარი ვალდებულება უნდა შეასრულოსო. ამ გამონათქვამში, ცხადია, საუბარია ისეთ რთულ საკითხებზე როგორებიცაა: სახელმწიფოს მართვა, ჯარების მართვა სამხედრო მოქმედებების თეატრზე და სხვ. ჩვენები, ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის სამი წლის განმავლობაში სხვა წესს მისდევდნენ. საკუთარ ადგილზე აკეთებდნენ არა მარტო თავის, არამედ, ძირითადად, სხვის საქმეს, საქმეებსაც კი. ერთგულმა ამ პრინციპისა, ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ, დაკავებულმა ათასი საკუთარი და მრავალი ათასი სხვათა საქმით, თვით ტფილისში საბინაო საკითხებითაც კი, კიდევ ერთი საქმე იტვირთა – ასწავლოს მთავარსარდალს, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელო ჯარს. „ჩვენს პატარა არმიას ისე უნდა უსარდლო, როგორც ამას მეფე ერეკლე II აკეთებდა. შეჯდე ცხენზე და ჯართან ერთად იყო ბრძოლის ველზე“. ჩვენი არმია, ძირითადად მისი წყალობითვე, მცირე კი არა, უმცირესი იყო, მაგრამ მაინც მრავალჯერ აღემატებოდა ერეკლეს ჯარს. აი, მისი მოქმედების თეატრი კი მართლაც არ იყო პატარა. ეს ახალციხისა და ერევნის შემოგარენი კი არ იყო, სადაც მოქმედებდა ქართლ-კახეთის მეფე, არამედ მთელი საქართველო. ბათუმიდან და გაგრიდან ლაგოდეხამდე. ანუ უკიდურესი დასავლეთის საზღვრებიდან უკიდურეს აღმოსავლეთის საზღვრებამდე. ეს 600 ვერსია, პირდაპირ ჰაერით, ერთი მიმართულებით და 200 ვერსი მეორე მიმართულებით. ეს ერთმანეთისაგან დაშორებული და მთაგორიან ადგილებში არსებული ხუთი ფრონტის 1500 ვერსია. 18 000 ჩვენიანი 130 000 მოწინააღმდეგე... ამასთანავე, ვითარება იყო იმდენად რთული და გაურკვეველი, რომ სამხედროებისა და პოლიტიკოსების, მთავარსარდლობისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ყურადღება მიპყრობილი იყო არა მხოლოდ რუსებისადმი, არამედ თურქებისადმიც, არა მარტო ბაქოსა და სოხუმის მიმართულებებზე, არამედ ალექსანდროპოლისა და ბათუმისაზეც. ასეთ ვითარებაში მთავარსარდალს ასწავლო, რომ ცხენზე უნდა იჯდეს და ჯართან იყოს, საოცარი თავხედობაა. მეტსაც ვიტყვი, ზეგულმავიწყობაა, რაც ასე ახასიათებდა ნოე ჟორდანიას. თავდაცვის საბჭომ, რომელსაც ის თავმჯდომარეობდა, ცხენის გამოყოფაზე უარი სწორედ იმ მოტივით მითხრა, რომ ჯარებისთვის თბილისიდან უნდა მეხელმძღვანელა და ერთი ავტომობილიც მეყოფოდა... მიუხედავად ნოე ნიკოლოზის ძის მოსაზრების აბსურდულობისა, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელო არმიას, ის მხარდაჭერილ იქნა ჩემი თანდასწრებით

გენერალ კვინიტაძის, მისთვის ხელის მოსაჭიდებელი ხავსის, მიერ. ხელმძღვანელობის ახალმა მეთოდმა არ უშველა. ხელის მოსაჭიდებელმა ხავსმა ვერ ვერც მთავრობა გადაარჩინა, ვერც საქართველო და თავადაც ჩაიძირა მათთან ერთად ვინც ხავსს ეჭიდებოდა. იმიტომ, რომ ჩვენი უბედურების მიზეზი იქ არ იყო; არ იყო პიროვნებებში, ვინც ომის დროს სამართავ პოსტებზე იყვნენ, არამედ იყო ქვეყნისა და ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის მომზადების სისტემაში. მთავარსარდლის როლი იმ ვითარებაში, რომელიც დაგიხატეთ და ზოგადადაც, განისაზღვრებოდა იმით, რომ ერთდროულად ხუთივე ფრონტზე ჯარების მართვისათვის მოსახერხებელი ცენტრალური პუნქტიდან ეხელმძღვანელა მთელი ომისათვის და არა რამდენიმე ბატალიონის ბრძოლისათვის სადახლოსთან, რისთვისაც სპეციალური უფროსი არსებობდა, საერთო ორიენტირებისა და მითითებების, ამოცანებისა და მათი შესრულების საშუალებების მიცემა ფრონტების სარდლებისთვის, რომლებიც სწორედ იმიტომ იყვნენ დანიშნული, რომ ეხელმძღვანელათ და პასუხი ეგოთ საკუთარი ფრონტებისთვის. კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი თვით თავდაცვის საბჭოს მიერ იქნა შერჩეული, მისადმი გვარდიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ნდობის გამო. ეს იოსებ გედევანიშვილი იყო. თავიდანვე რომ არ მიმეცა მისთვის საკუთარ ადგილზე თავისი უფლებამოსილების განხორციელების საშუალება და, ვთქვათ, პირადად მეხელმძღვანელა სადახლოსთან ბრძოლისთვის, ამით, ჯერ ერთი – შევუშლიდი ხელს, პარალიზებას გავუკეთებდი მის ნებას. მისი საქმის ჩემს თავზე აღებით შეიძლება გამომრჩენოდა მოვლენები სხვა ფრონტზე, მაგალითად, სოხუმის. რომელი თქვენგანი იტყოდა 1921 წლის თებერვალში, ან იტყვის თუნდაც ახლა, 1922 წლის თებერვალში კონსტანტინოპოლში, თუ რომელი იყო უფრო მთავარი ფრონტი – სოხუმისა თუ ბორჩალოს, როგორც ერთ, ისე მეორე მიმართულებაზე ჩვენს წინააღმდეგ მთელი არმიები იდგა. თუ მნიშვნელოვანია ტფილისის დაცვა, მისი უზარმაზარი მორალური მნიშვნელობის გამო, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ფიქრი დასავლეთ საქართველოზე, ბათუმსა და ფოთზე. მათი უზარმაზარი მატერიალური მნიშვნელობით. იქიდან ველოდით ყოველდღიურად იმას, რაც ასე სჭირდებოდა ჯარს. მას კი ყველაფერი სჭირდებოდა. მას არაფერი ჰქონდა – არც ტანსაცმელი, არც პური, არც ტყვი, არც საკმარისი იარაღი. ეს იმდენად ელემენტარულია, რომ მასზე ლაპარაკიც კი არ ღირს. ისევე როგორც არაა მიღებული მტკიცება იმისა რომ 2X2=4. მაგრამ ჩემს მასწავლებლებს ამის შესახებ უნდა ესაუბრო ხანგრძლივად და დაწვრილებით“.

მართებულია გენერალ ოდიშელიძის მოსაზრება მთავარსარდლის ფუნქციის შესახებ. მას მართლაც ყველა მიმართულებისთვის უნდა მიექცია ყურადღება, დაესახა მთავარი ამოცანები და არ უნდა ეხელმძღვანელა კონკრეტული ბრძოლებისთვის, რომელიმე ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე. სამაგიეროდ, აშკარად მცდარია ოდიშელიძის მსჯელობა შემოტევის მთავარი მიმართულების ძნელად განსაზღვრის შესახებ. აქ გენერალი აშკარად თავს იმართლებს. მთავარი მიართულება სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი იყო. ეს თავად ოდიშელიძემაც იცოდა და სწორადაც ჰქონდა განსაზღვრული 1921 წლის 3 იანვრის მოხსენებაში – „ამასთანავე, ყველაზე აქტიური თეატრი რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი იქნება, საიდანაც მოწინააღმდეგე ყველაზე ინტენსიურ შეტევას განახორციელებს რესპუბლიკის ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სამხედრო ცენტრის – თბილისის ხელში ჩასაგდებად“.

შემდეგ გენერალი განაგრძობს, „რადგან მე მასწავლიდა არა მარტო ჟორდანია, არამედ ჭიჭინაძეც. ეს ბრძანებების წერას მასწავლიდა. განსვენებული, რომელიც მე პიროვნულად მესიმპათიურებოდა თავისი პატიოსნებით, სამშობლოსადმი სიყვარულით, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემგან მოისმენდა დეტალურ განმარტებას, თუ სამხედრო სფეროში რატომ ეუბნება ან წერს უფროსი ხელქვეითს – „გიბრძანებთ, ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად, ჩაუცმელი ადამიანების რაოდენობის მიუხედავად, სასწრაფოდ გამოცხადდით თქვენი ბატალიონით ტფილისში“ – და რატომ არასდროს არ დაუმატებს სიტყვებს: „ენერგიულად“, „თორემ ციხეში ჩაგსვამთ“. აქ, კონსტანტინოპოლში, მომეტებული „ენერგიის“, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სახელმწიფოებრიობის გამოცდილების უკმარისობის შედეგად, სამშობლოს დაკარგვის გამო ის გაიგებდა, რომ ეს დამატება სიტყვისა – „ენერგიული“, კლავს ენერგიას და თიშავს გონებას. ამრიგად, როგორც მთავარსარდალი, ფრონტის სარდლებს ვაცნობდი: უახლოეს ამოცანებს, მათი გადჭრის სავარაუდო საშუალებებს, ვარკვევდი სპეციალურ ამოცანებში და მთელი არმიის წინაშე მდგარ ამოცანებში. ხოლო გადაწყვეტას, განსაკუთრებით გადაწყვეტის ხერხსა და გზას, ტაქტიკის დეტალებს მათ ვანდობდი. სხვანაირად არასდროს მოვქცეულვარ მსგავს სიტუაციაში. მომავალშიც სხვანაირად არ მოვიქცეოდი, თუკი ცხოვრება, ღმერთმა დამიფაროს, კვლავ მაიძულებს გავხდე მთავარსარდალი ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტიის უფროსების მიერ შექმნილი მშიერი, შიშველი და უიარაღო არმიისა. მთავარსარდლის როლის ჩემეული გაგებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ მთელი გვარდიისა და ყველა განკუთვნილი ბატალიონის თავმოყრამდე თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლე-

თით და 11 თებერვლის მოულოდნელ თავდასხმამდე კარგა ხნით ადრე, ფრონტის სარდალს იოსებ გედევანიშვილს გაეუგზავნე ბრძანება, რომლის შინაარსი შემდეგი იყო:

ა) თავდასხმა მოსალოდნელია სამხრეთიდან თურქებისა და სომხების ბანდებისაგან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან რუსების მხრიდან;

ბ) თავდასხმა, სავარაუდოდ, დაიწყება ერთდროულად სამი მიმართულებიდან: 1) ფართო ზოლად წითელ ხიდსა და სოფელ სადახლოს შორის თბილისზე, 2) სანაინის მიმართულებით და 3) ლორეს (ვორონცოვკის) მიმართულებით;

გ) ამავე დროს დაიწყება თავდასხმა, ზოგან მოჩვენებითი, ზოგან ნამდვილი: კახეთში, ფოილოს ხიდიდან თბილისზე, სოხუმსა და შესაძლოა ბათუმზეც. უღელტეხილებისა და თოვლის საფარის სიმაღლე კიდევ 10 დღით გვიცავს თავდასხმისაგან აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო და იმერეთის სამხედრო გზებიდან;

დ) მე, როგორც მთავარსარდალი, პირველ ამოცანად ვისახავ ტფილისის შენარჩუნებას, როგორც დედაქალაქისა და მთავარი მატერიალური და მორალური ცენტრისა;

ე) ამ ამოცანის შესრულების ნაწილს, ტფილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ვაკისრებ ჯარებს, რომლებსაც გენერალი იოსებ გედევანიშვილი სარდლობს;

ვ) ჩვენ იმდენად სუსტი და მცირერიცხოვანი ვართ მოწინააღმდეგესთან შედარებით, როგორც მოქმედების მთელ თეატრზე, ასევე თითოეულ ფრონტსა და თითოეულ ადგილზე, რომ პასიური დაცვა არ შეგვიძლია. ჩვენ შეგვიძლია ვიმოქმედოთ და უნდა ვიმოქმედოთ აქტიურად, მანევრირებით;

ზ) ვითარება ბოლომდე არ არის გარკვეული. თუმცა ზუსტად ვიცით, რომ რუსები თავს იყრიან წითელ ხიდთან და ფოილოსთან, ხოლო სამხრეთით თითქოს თავის მარცხენა ფრთას წელავენ თურქებამდე და სომხების ბანდებამდე;

თ) ვითარების საბოლოო გარკვევემდე ჯარების ბირთვი ტფილისის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით იყოლიეთ. სანდარა-ეკატერინოფელდი, სადახლო-ყაჩაღიანი ოთხკუთხედის ცენტრში. ავანგარდებმა დაიკავონ ლორესა და სანაინის მიმართულებები და წითელი ხიდი – კერპილის ფრონტი. შესაძლოა გიბრძანოთ შეტევა წითელი ხიდით ზოგადი მიმართულებით ყაზახზე, რათა კულპში რუსების ჯგუფს საკომუნიკაციო გზები მოვუჭრათ;

ი) ავანგარდებისა და მეწინავე ნაწილების შესახებ ჩემ მიერ მითითებული იყო შემდეგი: ბეზობდალის უღელტეხილსა და შაგალის გასასვლელში (ხიდზე) იყოლიეთ მხოლოდ სამეთვალყურეო რაზმები. სპეციალურად შაგალის ხიდთან დაკავშირებით მივუთითე, რომ სამეთვალყურეო რაზმი უნდა ყოფილიყო არა უმეტეს ოცეულისა ან ნახევარი ასეულისა, რომლის მთავარი ამოცანა იქნებოდა ხიდის აფეთქება, როცა ამას ვითარება მოითხოვდა;

კ) კარგად მახსოვდა რა სომხეთთან ომისდროინდელი სანაინის ამბები, 11 თებერვლის თავდასხმამდე კარგა ხნით ადრე იოსებ გედევანიშვილს სიტყვიერად ვუბრძანე და იმავე დღეს გავუმეორე წერილობით ტელეგრაფის მეშვეობით, ვუკარნახე რა შტაბის უფროსს გენერალ ზაქარიაძეს, რომელიც აქ თქვენ წინაშე ცოცხალი მოწმეა. ბრძანების არსი იყო (ვთხოვ გენერალ ზაქარიაძეს შემისწოროს, თუ რამე შემეშლება): 1) გახსოვდეთ სომხეთ-საქართველოს ომის დროინდელი სანაინის ამბები. 2) არ განალაგოთ სადახლოს სამხრეთით ბამბაკის ხეობაზე თვალყურის სადევნელად ერთ ბატალიონზე (ე.ი. 700 ხიშტი) მეტი. ბატალიონი დისლოცირებული უნდა იყოს კომპაქტურად და მეწინავე რაზმი შაგალთან არ უნდა აღემატებოდეს ოცეულს, ყველაზე დიდი ნახევარ ასეულს. 3) სხვა ყველაფერი, თქვენი სამი ბატალიონიდან, იყოლიეთ ერთ მუშტად შეკრული მაგრამ არა სადახლოზე სამხრეთით. 4) გააფრთხილეთ თქვენი ჯარები, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების – სომხების თავდასხმა მოსალოდნელია ნებისმიერ დღესა და ნებისმიერ საათს. ჩემი აზრით, ისინი ძალიან არასანდონი არიან. 5) ბორჩალოელი სომხების თავდასხმის შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ დაუნდობლად. 6) იმ შემთხვევისთვის, თუ ადგილობრივები ჩვენ მეწინავე რაზმებს უკანდასახევ გზებს მოუჭრიან, მათ უნდა მივუთითოთ უკანდასახევი გზები მთებზე (აქ დაწვრილებით ჩამოვთვალე ის გზები მთებში, რომლებიც ბერძნების, თათრებისა და ქართველების საცხოვრებელ ადგილებზე გადიოდა. ახლა არ მახსოვს, რადგან რუკა არ მაქვს ხელთ). ეს გზები ახლავე უნდა იყოს შესწავლილი და რეკოგნოსტირებული“.

გენერალ ოდიშელიძის მიერ დასახული ღონისძიებები ძირითადად სწორია. ცხადია, ყველაფრის გათვალისწინება ვერ მოხდებოდა, მაგრამ მთავარი მომენტები ზუსტადაა განსაზღვრული. ძალიან მნიშვნელოვანია „ვ“ პუნქტი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ არ უნდა ვაწარმოოთ პასიური დაცვა და მანევრირების ხარჯზე უნდა ვიყოთ აქტიურები. ამ მომენტს ოდიშელიძე 1921 წლის 3 იანვრის მოხსენებაშიც უსვამდა ხაზს. არის მხოლოდ ერთი საკითხი, რომელიც დაზუსტება-განმარტებას საჭიროებს. ისეთი შთაბეჭდილება

იქმნება, რომ ილია ოდიშელიძე უმთავრეს დარტყმას მაინც სოხეთის მიმართულებიდან ელოდა. ამას ადასტურებს არა მარტო „ბ“ პუნქტი, არამედ „ვ“ პუნქტიც, რომელიც ე.წ. კულპის რუსული დაჯგუფების „მოწყვეტას“ ითვალისწინებდა. ანუ მთავარსარდალი აქცენტს აქაც სომხეთის მიმართულებაზე აკეთებდა.

გენერალი აგრძელებს საუბარს ომის წინა ვითარებაზე. „აი განკარგულებები, რომლებიც თავის დროზე მივეცი იოსებ გედევანიშვილს. ყველა დოკუმენტი ამის შესახებ დარჩა შტაბში. ამ განკარგულებათაგან რამდენიმე მე არაერთხელ გავუმეორე ტფილისში და სადახლოში, როცა იქ ვიყავი. ჩვეულებრივ, ასეთ დაწვრილებით განკარგულებებს მთავარსარდალი კეთილმოწყობილი არმიისა, ნორმალური (და არა რევოლუციური) გენერლებით არ იძლევა. ეს მისი საქმე არ არის, მისი მხრიდან ეს ქვეშევრდომის საქმეებში, უფლებებსა და მოვალეობებში ჩარევად ითვლება. ამ განკარგულებების ლაიტმოტივი, როგორც ხედავთ, ერთია: არ დაფანტოთ თქვენი ძალები, ერიდეთ სომხების მოულოდნელ თავდასხმას. მიუხედავად ამისა, სამხედრო და არასამხედრო კრიტიკოსები, „რომელთა იმედებიც მე ვერ გავამართლე“ ყველგან აცხადებენ, რომ მე ძალები დავფანტე. ეს ასე არ არის. ძალები გარკვეულწილად მართლაც დაფანტული იყო, მაგრამ არა ჩემ არამედ ფრონტის სარდლის მიერ, ჩემი კატეგორიული ბრძანების მიუხედავად – ასე არ მოქცეულიყო. იოსებ გედევანიშვილის ამ არცთუ ბოლომდე სწორ გადაწყვეტილებას ჰქონდა თავისი მიზეზები, გამართლებები და ახსნები“.

აქ შეიძლება ერთი შენიშვნის გაკეთება. ოდიშელიძე წერს, რომ ასეთი დეტალური ინსტრუქციები ნორმალურ ჯარში საჭირო არ არისო, თუმცა მაინც გასცა ასეთი მითითებები. ალბათ, ამ მითითებების გაცემის დროსაც ფიქრობდა, რომ საქმე ჰქონდა არა „ნორმალურ“, არამედ „რევოლუციურ“ გენერალთან. ასეთ შემთხვევაში თვალყურიც უნდა მიედევნებინა საკუთარი მითითების ზუსტ აღსრულებაზე. ეს არ გააკეთა. ალბათ ესეც მისი შეცდომა იყო, რომ მითითებების ბოლომდე შესრულება არ აიძულა გენერალ გედევანიშვილს.

აქ გასათვალისწინებელია, მთავარსარდლის ნათქვამი, რომ „იოსებ გედევანიშვილის ამ არცთუ ბოლომდე სწორ გადაწყვეტილებას ჰქონდა თავისი მიზეზები, გამართლებები და ახსნები“.

აი, რას წერს ოდიშელიძე ამ საკითხთან დაკავშირებით: „თავდაპირველად ვნახოთ, თუ როგორ გაანაწილა მან ის ძალები, რომლებმაც თავმოყრა სომხების აჯანყებასა და რუსების თავდასხმამდე მოასწრეს. ე.ი. 11 თებერვლამდე.

გავეცი რა ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნული ბრძანება და დავათვალიერე რა რამდენიმე ნაწილი და რამდენიმე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე, წავედი ბათუმში, სიმაგრის სანახავად და კომენდანტისათვის რამდენიმე მითითების მისაცემად, რადგან თურქების ქმედება გვაეჭვებდა მეც და თავდაცვის საბჭოსაც. დავბრუნდი რა ბათუმიდან, საომარი მოქმედებების დაწყებმადე ცოტა ხნით ადრე, დამხვდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე გამოცხადებული ქვედანაყოფების შემდეგი განლაგება:

ა) ვორონცოვკის ავანგარდი გვარდიის 3 ბატალიონი და გვარდიისვე ცხენოსანი პოლკი (მე მგონი 1500 ხიშტი).

ბ) სადახლოს ავანგარდი არმიის 3 ბატალიონი და არმიისვე ცხენოსანი პოლკი – 2100 ხიშტი.

გ) გვარდიის ექვსი ბატალიონი სამხრეთ-აღმოსავლეთის ჯგუფის ბირთვს წარმოადგენდა და განლაგებული იყო ტფილისის სამხრეთით. რამდენადაც მახსოვს, არახლო-სანდარა-წითელი ხიდის რაიონში. სულ 3000 ხიშტი.

დ) წითელ ხიდთან ასევე იდგა ავანგარდი, რომლის რაოდენობა არ მახსოვს.

ე) ფოილოს ხიდთან ჩემი განკარგულებით იდგა გვარდიის ორი ბატალიონი, სულ 1000 ხიშტი.

სულ 7 600 ხიშტი და 6 ესკადრონი 50 000 წინააღმდეგ (25 000 რუსი და 25 000 თურქი). ამ განლაგებაში, რომლის სქემაც სწორი იყო, არ მომწონდა ორი დეტალი, რომლებიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი იყო: 1) ჩემი ზეპირად და წერილობით გაცემული ბრძანების საწინააღმდეგოდ, სადახლოს ავანგარდი ერთ მუშტად კი არ იყო შეკრული, არამედ განლაგებული იყო ასე: ერთი ბატალიონი სადახლოში, ერთი ბატალიონი (მე-8) სოფელ შინიხში და ერთი ბატალიონი (მე-5) გაფანტული იყო სამ ჯგუფად ბამბაკის ხეობის სამხრეთ ნაწილში, შაგალის სასაზღვრო ხიდის ჩათვლით. 2) ავანგარდი ჯალალ-ოღლისთან დიდი მომეჩვენა.

ჯარების საველე მართვის რუსული წესდების თანახმად, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით, საკუთარის არარსებობის გამო, იოსებ გედევანიშვილს შეეძლო არ შეესრულებინა ჩემი ბრძანება, თუ ამას ვითარება მოითხოვდა. მან შემდეგი განმარტებები მომცა: ა) ჩვენ არ ვიცით, შემოგვიტევენ თუ არა რუსები და როდის. ხოლო სომეხი მოსახლეობა არ აჯანყდება, თუ სოფლებში ჯარის გარკვეული რაოდენობა იქნება. ბ) ეს განლაგება მჭირდება დროებით, სანამ არ განვაიარაღებ სომხურ მოსახლეობას. შემდეგ უფრო კომპაქტური განლაგება მექნება. გ) სამი ბატალიონი ჯალალ-ოღლისთან ეს მხო-

ლოდ სახელია. ხიშტების რაოდენობა მათში დადგენილზე მნიშვნელოვნად ნაკლებია (ციფრები არ მახსოვს) და რაზმი უფრო დამოუკიდებელი იქნება მანევრირებისას, თუ მის რაოდენობას არ შევამცირებ. ბოლო არგუმენტს დავეთანხმე, მაგრამ პირველი ორი არ მაკმაყოფილებდა. მე ვუბრძანე, არ დაეყოვნებინა განიარაღება, რომელიც შენელდა მის საუბრებით ვიღაც პოლიტიკოსებთან".

ყურადღებაა მისაქცევი ოდიშელიძის ფრაზაზე, რომ პირველმა ორმა განმარტებამ არ დააკმაყოფილა. თუმცა იქვე წერს: „ვუბრძანე, არ დაეყოვნებინა განიარაღებაო". გამოდის, დაეთანხმა გედევანიშვილს და შეეგუა არსებულ ვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ არ მოსწონდა. ეს შეცდომა იყო, რომელმაც მძიმე შედეგები მოიტანა.

საინტერესოა მთავარსარდლის ინფორმაცია სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფი შენაერთებისა და მათი რაოდენობის შესახებ. ოდიშელიძის მიხედვით, აქ სულ 7600 მებრძოლი იმყოფებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ამავე მოხსენებაში, ცოტა უფრო ადრე, გენერალი აღნიშნავს – „ტფილისიდან სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით წინააღმდეგ მტრის მთავარი ჯგუფის XI არმიისა, რომელიც გაძლიერებული იყო სომხის ნაწილებით, მე ვუბრძანე დაეყენებინათ 7 ბატალიონი არმიისა (5, 7, 8, 1, 4, 9 და 10 ათასეულები) და 13 ბატალიონი გვარდიისა. 9 ბატარეით და ჩვენი 2 ცხენოსნების პოლკით, რომელნიც ძლივს შედგებოდნენ 5-6 ესკადრონისგან, ისიც უჭმელობის გამო გაძვალტყავებული ცხენებით. ყველა ეს შეადგენდა 12 000 ხიშტს, 28 ქვემეხს და 500 ცხენს". დიდი სხვაობაა რიცხვებში. თუმცა ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ 11 თებერვლისთვის ყველა შენაერთი (მაგ. არმიის 1-ლი, მე-9, მე-4, მე-10 ათასეულები) ჯერ კიდევ არ იყო მისული სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე.

საინტერესოა მოხსენების შემდეგი ნაწილი, რომელშიც გენერალი აკაკი ჩხენკელთან საუბარს იხსენებს: „აქ მინდა ორი დამახასიათებელი ფაქტი გავიხსენო: პირველი – არ მახსოვს, ჩემ მიერ იოსებ გედევანიშვილისადმი დირექტივის გაგზავნამდე თუ შემდეგ, ჩემთან სპეციალურად შემოიარა აკაკი ჩხენკელმა და დაჟინებით მომთხოვა, რომ ბორჩალოს ე.ი. სანაინის ხეობის ყველა სომხურ სოფელში ჩამეყენებინა ერთი ან ორი ასეული, რათა არ მომხდარიყო აჯანყება. მე მტკიცედ უარვყავი მისი თხოვნა, შევეცადე დამემშვიდებინა იმით, რომ ჯარი იქნება ერთ მუშტად შეკრული სადახლოსთან. ხოლო აჯანყების შემთხვევაში სომხური სოფლები დამორჩილებული იქნება ძალით, რის შესახებაც მათ წინასწარ გავაფრთხილებ. „აი თქვენ ეს გინდათ.

დამორჩილება სისხლისღვრით. მე კი მინდა საერთოდ ავიცილო ეს აჯანყება", ცხარედ შემეკამათა აკაკი ივანეს ძე. რადგან არგუმენტაცია რუსული მუშტით, რომელიც კერპილის სამხრეთ-აღმოსავლეთით იდგა და თურქული მუშტით, რომელიც ალექსანდროპოლთან იდგა, მე არასერიოზულად მომეჩვენა, ამასთანავე, სამხედრო საქმის გაკვეთილები რომლებსაც სოციალ-დემოკრატთა უფროსები მიტარებდნენ, უკვე მაღიზიანებდა. მშრალად ვუპასუხე აკაკი ივანეს ძეს, რომ მის რჩევას ვერ მივიღებ. ის ჩემგან საკმაოდ გაბრაზებული წავიდა (ის ყველაფერს დაადასტურებს, თუ შეეკითხებით). ასე რომ, ზღაპარი იმის შესახებ, რომ ჩხენკელმა „მიბრძანა" ჯარების დაფანტვა და მე იმწამსვე აღვასრულე „ბრძანება", ამ საქმით დაინტერესებული ბოროტი პირების ბოროტი მონაჭორია. ვფიქრობ, რომ აკაკი ივანეს ძეს ბორჩალოში მოგზაურობის დროს, ანდაც ტფილისში ამ საკითხზე საუბარი ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალთან. მის რჩევებს იოსებ გედევანიშვილი, რომელიც ფრიად მგრძნობიარე იყო პოლიტიკოსების მოსაზრებებსა და რჩევებთან დაკავშირებით, უფრო კეთილგანწყობით შეხვდა. კითხვაზე, უნდა ყოფილიყო თუ არა გედევანიშვილი ჩხენკელის რჩევისადმი მგრძნობიარე, გიპასუხებთ – შესაძლოა, კი. სწორედ სომხების აჯანყება გამოიყენეს რუსებმა შემოტევის საბაბად. ჩვენ ვიცოდით, რომ ბოლშევიკები დიდ იმედს ამყარებდნენ ქვეყნის შიგნით აჯანყებაზე. ამრიგად, ჩხენკელის ჩარევა და მისი ზრუნვა იმაზე, რომ სომხები არ აჯანყებულიყვნენ დღეს ბრძნულ წინასწარმეტყველებად მოგვეჩვენებოდა, რომ არა მე-5 და განსაკუთრები მე-8 ბატალიონის ქეიფი სომხებთან და მათი ბავშვების მონათვლა, ნაცვლად ფხიზლად ყოფნისა, როგორც მე ვაფრთხილებდი.

მეორე ფაქტი – დამფუძნებელი კრების წევრები ვარდონიანი და მეორე რუსი, რომლის გვარიც არ მახსოვს, ვიღაცის ბრძანებით მოგზაურობდნენ ბორჩალოს მაზრაში ადგილობრივი სომეხი და რუსი მოსახლეობის განწყობის გასაცნობად. იმ დროს, როდესაც ბოლშევიკების ათასობით გადაცმული აგენტი იქ ჩვენს საწინააღმდეგოდ ფართო და წარმატებულ აგიტაციას აწარმოებდა, ისინი „დარწმუნდნენ", რომ რუსებმა, და განსაკუთრებით სომხებმა, დაივიწყეს თავისი ცუდი გრძნობები ჩვენდამი და ქართული სახელმწიფოსადმი ერთგულებით არიან აღვსილი. ჩვენთვის, თავდაცვის საბჭოს სამხედრო წევრებისთვის, ნოე ჟორდანიამ სპეციალურად მოაწყო მათი მოხსენება. ვფიქრობ, ამ მოხსენებამ, რომელსაც იოსებ გედევანიშვილიც ესწრებოდა, მოადუნა მისი ყურადღება, ხოლო ვარდანიანის მოგზაურობამ და შეხვედრებმა სამხედრო ნაწილებში მოადუნა უკვე უშუალოდ მათი ყურადღებაც. ასეა თუ ისე,

იოსებ გედევანიშვილს საკუთარი მოტივები ჰქონდა, რომ თავისებურად ემოქმედა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მართლაც არ დაგვეყენებინა სადახლოს სამხრეთით არც ერთი ჯარისკაცი, ანდა დაგვეყენებინა ისე მცირე რაოდენობით, როგორც მე ვუბრძანე. სომხები მაინც აჯანყდებოდნენ, მაგრამ თავისთვის საკმაოდ კარგ ვითარებაში, ორგანიზებულები მე-11 არმიის რუსების მიერ, რომლებიც გადაცმულები ათასობით იპარებოდნენ ასეულებსა და ბატალიონებში. ჩვენი კომისარი-პოლიტიკოსები ამას ვერ ამჩნევდნენ. პროპაგანდა ჩვენს საწინააღმდეგოდ და სომხების ორგანიზება, როგორც ახლა ვიცით, შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ...მაშინ ჩხენკელი, ჩემი და გედევანიშვილის სხვა მრჩევლები და მასწავლებლები გვეტყოდნენ მე და გედევანიშვილს – „აი, ხომ ხედავთ, თქვენ რომ ასეთი უნიჭონი (სიტყვა რომელიც ხშირად ისმოდა ჩვენი წარუმატებლობისა და გამოძევების პირველ წუთებში) არ ყოფილიყავით და ჩვენთვის დაგეჯერებინათ, ეს არ მოხდებოდა და მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდაო“.

აქ მხოლოდ ერთი შენიშვნის გაკეთება შეიძლება. ომიდან თითქმის ერთი წლის შემდეგაც კი ილია ოდიშელიძე ბოლომდე სწორად ვერ აფასებს 1921 წლის დასაწყისში საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე შექმნილ ვითარებას.

ოდიშელიძის აზრით, „გედევანიშვილს, როგორც პარტიულ პირს, სიკვდილივით ეშინოდა ჩვენი პოლიტიკოსების წმინდა პარტიული ხერხისა, გაეამართლონ საკუთარი დიდი დანაშაული სამშობლოსა და საკუთარი პარტიის წინაშეც კი. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩვენი პოლიტიკოსები სამართლიანად არ ენდობოდნენ თურქებს და ქიაზიმ ქარაბექირ ფაშის შემოტევა ალექსანდროპოლიდან, არდაგანიდან და ტრაპიზონიდან არა ნაკლებ, თუ უფრო მეტად არა, შესაძლებლად მიაჩნდათ, ვიდრე რუსებისა. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ, რომ რაღაც სასწაულის წყალობით რუსეთთან ომს აიცილებდნენ და ცდილობდნენ მათ მომადლიერებას, მიზეზის მიუცემლობით. ამით აიხსნება მთავრობის ბრძანება ფოილოს ხიდის განაღმვის შესახებ (შემდეგ, საკმაო დროის გავლისას, როდესაც ბოლშევიკებმა ხიდის შუაგულში გუშაგი დააყენეს ხოლო ხიდის საკუთარ ბოლოში ყარაული, მე ნება მომცეს ხიდი ისევ დამენაღმა. უკვე მხოლოდ ჩვენი მხარე. ის კი მიწაზე იდგა და ადვილად აღსადგენი იყო).

ამითვე აიხსნება, რომ ფიქრიც კი ამეკრძალა, თანახმად ჩემი გეგმისა, შეტევაზე წითელი ხიდის გავლით ასლანბეღლისა და ყაზახის მიმართულებით, სოფელ კულპის რაიონში თავმოყრილი და სადახლოზე დამიზნებული

რუსების ძირითად მასის მოწყვეტისა და ზურგში დარტყმისათვის. ამის შესახებ იყო მსჯელობა მთავრობაში და შეტევის განხორციელება პოლიტიკურ საკითხად ჩათვალეს, რაც მთავარსარდლის კომპეტენციას ცილდება“.

მთავარსარდლის განცხადება, რომ სოფელ კულპის რაიონში იყო თავმოყრილი რუსების ძირითადი მასა, დამიზნებული სადახლოზე, კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებისა, რომ გენერალი ოდიშელიძე ერთი წლის მერეც არასწორად აფასებს ვითარებას. რუსების მთავარი შეტევა არ იგეგმებოდა სომხეთიდან სადახლოზე. ეს შემოტევა ორ რამეს ისახავდა მიზნად: პირველი – ქართული სარდლობის ყურადღების გადატანას ამ მიმართულებაზე, რაც დარტყმის მთავარ ადგილზე, წითელ ხიდსა და ფოილოს ხიდზე რუსებს საქმეს გაუადვილებდა. სამწუხაროდ, ყველაფერი მართლაც ასე მოხდა; მეორე – ქართული შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის გამოცდას.

ოდიშელიძე წერს: „ამრიგად, არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსები ცდილობდნენ მთავარსარდლის სწავლებას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს და წეროს ბრძანებები, არამედ ისეთმა მნიშვნელოვანმა ჯგუფმაც კი, როგორიცაა თავდაცვის საბჭო და მთავრობა, მთავარსარდლის მოქმედების არეალიდან ამოიღეს თვით სტრატეგიაც და მოქმედების ხერხიც. ნოე ჟორდანიას ეყო გამბედაობა, რომ ბათუმში უკვე კვინიტაძესთან მიმართებით იმედგაცრუებულს, ჩემთვის ეკითხა: „რატომ აღმოჩნდა ჩვენი გენერლების ნება პარალიზებული და თავად ისინი კი დაბნეულნი?“. ამას მეკითხებოდა ადამიანი, რომელიც პირველივე წარუმატებლობების შედეგ ყველაზე მეტად თავად დაიბნა და ვინც მიზეზებს გენერლებში ეძებდა. ეს მაშინ, როცა ბრალის 99% პირადად მასა და მის პარტიულ მეგობრებს ეკისრებოდათ.

11 თებერვალს საღამოს სომხური მოსახლეობა, მხარდაჭერილი მრავალრიცხოვანი გადაცმული ბოლშევიკების მიერ, აჯანყდა და განაიარაღა მე-5 და მე-8 ბატალიონები. მე-8 ბატალიონის სრული და თითქმის მთელი მე-5 ბატალიონს დაღუპვის მიზეზების შესახებ გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლია, ეს საქმე სასამართლო გამოძიებას მოითხოვა. ასეთი რამ ბევრ ომში მომხდარა მრავალ ხალხთან. ნება მომეცით, ჩემი რამდენიმე პირადი მოსაზრება გამოვთქვა. მე-5 ბატალიონი, რომელიც 700 ხიშტს ითვლიდა დაფანტულად იდგა რკინიგზის ხაზისაგან დაშორებით. ამის შესახებ მეც და თქვენც მეტი უფლება გვაქვს, საყვედური ვუთხრათ გედევანიშვილს, ვიდრე ბატალიონს. ამ ბატალიონის ბირთვმა, რომელიც სადახლოდან შორს იდგა, ვაჟკაცობისა და მისი უფროსის პასუხისმგებლობის მეშვეობით შეძლო თავი

დაეღწია უბედურებისათვის, შეუერთდა ბრიგადას და შემდეგ ბატალიონის ფორმირების (აღდგენის) საფუძვლად იქცა.

მე-8 ბატალიონი დაახლოებით 800 ხიშტის რაოდენობით მთლიანად, კომპაქტურად იდგა სოფელ შინიხში, სადახლოსაგან შორიახლოს და სამარცხვინოდ იქნა განიარაღებული სომხების მიერ. იმ სომხების მიერ, რომლებიც ერზერუმსა და ბორჩალოში ვაჟკაცობად თვლიდნენ მოხუცებზე, ქალებზე, ბავშვებსა და მძინარე ადამიანებზე მოღალატურ თავდასხმას. ცხადია, რომ ამ ბატალიონში ვიღაცამ, თუ არა მთელმა ბატალიონმა, არ შეასრულა თავისი ჯარისკაცული მოვალეობა. ვიღაცამ ჩაიდინა დანაშაული, შესაძლოა კოლექტიური დანაშაულიც. ჯარისკაცები, როგორც ჩანს, ყველანი ტყვედ ჩაბარდნენ სალსალამათნი. ოფიცრები კი დაიღუპნენ. ამბობენ, ჩვენი „ძმების“ სომხების, რომლებმაც როგორც ვარდანიანი ირწმუნებოდა, თავდაცვის საბჭოზე მიატოვეს დაშნაკებიცა და ბოლშევიკებიც და ჩვენ მხარეს დადგნენო, მოღალატური ხელით. ამის შესახებ გამოძიების ჩატარების საშუალება არ მომცეს. ხუთი დღის შემდეგ მე გადამაყენეს. ამიტომ ამ ამბების შესახებ მეტს ვერაფერს გეტყვით. სომხების მოღალატურ თავდასხმას რუსების შეტევა მოჰყვა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მე და გედევანიშვილმა ჩავთვალეთ, რომ რუსეთთან ომი დაიწყო, რის შესახებაც განცხადებულ იქნა თავდაცვის საბჭოში. მაგრამ პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ არ დაწყებულა და ჟორდანია დამფუძნებელ კრებაში აცხადებდა, რომ გვიტევენ სომხებიო“.

აი აქ გასარკვევია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი – 1921 წლის 12 თებერვალს ქართული უმაღლესი სარდლობა მართლა თვლიდა, რომ ომი რუსეთმა დაგვიწყო, თუ ეს თავის მართლების მიზნით გაკეთებული განცხადებაა. არსებობს ოდიშელიძის განცხადების საპირისპირო ინფორმაციები. კიდევ ერთხელ მოვიტანთ ამ ცნობებს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან სხვა პირთა მოგონებებში სრულიად საპირისპირო ფაქტია დაფიქსირებული. მაგ. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი წერს, რომ ოდიშელიძეს გულწრფელად ეგონა მართლა მხოლოდ სომხები გვებრძვიანო.[7] კიდევ უფრო საინტერესოა აკაკი კვიტაიშვილის მოგონება, რომ „15 თებერვალს ფოილოს კოლონამ შეამჩნია რუსის ჯარების მოძრაობა წითელი ხიდის მიმართულებით. შემჩნეულ იქნა ფოილოს წინააღმდეგ რამდენიმე ბატარეა საომარ პოზიციებზე. კოლონის უფროსი დაელაპარაკა პირდაპირი მავთულით მთავარსარდალს – მტერი ამაღამ აუცილებლად გადმოვა შეტევაზე. ნება მოგვეცით, ხი-

[7] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. ბათუმი. 1990, გვ. 157.

დი ავაფეთქოთო. გენერალმა ოდიშელიძემ უპასუხა – ჩვენ ვიმყოფებით მეგობრულ განწყობილებაში საბჭოთა რუსეთთან. დაუშვებელია ჩვენი მხრიდან მტრული მოქმედება. ერიდეთ პროვოკაციას.[8]“

საკარაულოა, რომ გენერალი ოდიშელიძე თავის გამართლებას ცდილობს. მის მიერ ომის დასაწყისში დაშვებული უმთავრესი შეცდომა, რომელმაც მერე უკვე სხვა არასწორი ქმედებები გამოიწვია, სწორედ ძირითადი მოწინააღმდეგის არასწორი განსაზღვრა იყო. პარადოქსია, მაგრამ ადამიანმა, რომელიც თავის ყველა მოხსენებაში ხაზს უსვამდა, რომ მთავარი მოწინააღმდეგე რუსეთია, ომის საწყის ეტაპზე ეს არ ან ვერ დაიჯერა.

მოხსენების ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტი იმასაც ადასტურებს, რომ ომის დაწყების პირველ დღეებში მთავარსარდალმა კონკრეტულად არაფერი იცოდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლების შესახებ, თუმცა ამის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

მოხსენების დროს ილია ოდიშელიძემ რამდენიმე სქემაც გამოიყენა. ის მიმართავს მსმენელებს: „სქემა №2 გიჩვენებთ, თუ რა რაოდენობის ჯარმა მოასწრო თავმოყრა თბილისთან და რამდენი ხიშტი გვყავდა ჩვენ და რუსებს. ჩვენ გვყავდა: სადახლოსთან და მის წინ 2 100 ხიშტი, არახლო-სანდარა-წითელი ხიდის რაიონში 300, ფოილოსთან არა უმეტეს 500-1000. სულ გამოდის მაქსიმუმ 6 100 კაცი ტფილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და არაუმეტეს 1 500 ხიშტისა ტფილისის სამხრეთით ვორონცოვკასთან. ე.ი სულ 7 600 კაცი 25 000 რუსის წინააღმდე, თურქების ჩაუთვლელად, რომლებსაც ჰყავდათ 25 000 ხიშტი და ქურთების კავალერია; ამის გარდა, კიდევ სომხების რამდენიმე ბატალიონი და ბანდა. მე-8 და მე-5 ბატალიონების 1 500 კაცი რომ არ დაღუპულიყო გედევანიშვილის განკარგულებაში იქნებოდა 7 600 ხიშტი (მათ შორის 5 500 გვარდიელი. გედევანიშვილის აზრით, ერთი ხარისხით დაბალი ხარისხის მებრძოლები, ვიდრე არმიის ჯარისკაცები). სხვანაირად რომ ვთქვათ, ტფილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ გვეყოლებოდა რუსებზე სამჯერ ნაკლები ჯარი. ორი ბატალიონის დაღუპვის შედეგად მოკლეს 1 500 კაცი ე.ი. ჩვენი მთელი ჯარის ერთი მეთორმეტედი და არა ნახევარი, როგორც ვეშაპელი აცხადებდა დამფუძნებელ კრებაში კვინიტაძეზე დაყრდნობით, რომელსაც, როგორც მან განაცხადა, უფრო მეტად ენდობოდა, ვიდრე მთელ სოციალ-დემოკრატებს ერთად აღებულს. ამრიგად, თქვენ ხე-

[8] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს, საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. ჟურნ.: „განთიადი“. 1990 წელი. №2, გვ. 121.

დავთ, რომ ხმაური ამ ბატალიონების დაღუპვის შესახებ, ატეხილი სულმდაბალი და მოპოზირე ხალხის მიერ, ზედმეტად დიდი იყო. ვეშაპელის განცხადება ბათუმში დამფუძნებელ კრებაში, მხოლოდ პარტიული გამოხდომა იყო, მიმართული პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ და დემაგოგიური ცილისწამება, პირველ რიგში ჩემზე, როგორც სოციალ-დემოკრატების უნიჭო კანდიდატის, წინააღმდეგ და დემაგოგიური შექება კვინიტაძისა, როგორც ნაციონალისტების ნიჭიერი კანდიდატისა. როგორი მგძნობიარეც არ უნდა იყოს კვინიტაძე ვეშაპელის საჯარო ქებისადმი, როგორც არ უნდა საჭიროებდეს თავისი ნიჭიერებისა და ჩემი უნიჭობის ციფრებით დადასტურებას, საეჭვოა, რომ ის დაკმაყოფილდეს ვეშაპელის ამ დემეგოგიური მოურიდებლობით. არითმეტიკა მან იცის და ნახევარს ერთი მეთორმეტედისაგან გაარჩევს. წესიერებაც მისგან, როგორც ჯარისკაცისგან, უფრო მეტად მოითხოვება, ვიდრე ვეშაპელისგან. რადგან პოლიტიკოსებს, პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად უხდებათ ჭეშმარიტების უგულებელყოფა. უეჭველია, კვინიტაძე ადრე თუ გვიან მოსთხოვს განმარტებას ვეშაპელს, რომელმაც ვერ მოითმინა და კვინიტაძის საკუთარი ქება-დიდება თავადვე გააფუჭა ერთი კოვზი კუპრით.

საუბრობენ ამ ორი ბატალიონის განადგურების მორალურ შედეგზე. ეს სწორია. თუმცა ამან, როგორც ეს ხდება ხოლმე, ომის დროს უფრო მეტად ზურგზე იმოქმედა, ვიდრე ჯარზე. ჯარი 11 თებერვლის შემდეგ არანაკლებ სამი დღისაა იბრძოდა სადახლოსთან და იბრძოდა არც თუ წარუმატებლად. სადახლოს სამხრეთით იყო შეტევა და აღებულ იქნა საკმაოდ დიდი სიმაღლე, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა სადახლოზე. მარცხენა ფლანგზე გვარდიის ერთმა ბატალიონმა ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავა კიზილ-კაის სიმაღლე, რომელსაც გაბატონებულ მდგომარეობა ეკავა კერპილზე ... ყოველივე ეს სრულიადაც არ მიუთითებდა ჯარის გულგატეხილობასა და დემორალიზაციაზე. ორი ბატალიონის დაღუპვა ჯარებს მართებულად განემარტათ. ამბობდნენ, რომ ოფიცრები დაუმეგობრდნენ სომხებს, ქეიფობდნენ მათთან, შვილებს უნათლავდნენ და ეს მაშინ, როცა ისინი მათ დაღუპვას უმზადებდნენ. როგორც დასახელებული ფაქტები გვიჩვენებს, ნაღვლობდნენ რა თავის მეგობრებზე, ჯარს ცხვირი არ ჩამოუშვია. პირიქით, ზურგი, როგორც ყოველთვის ყველგან ხდება, სწრაფად დაეცა სულიერად და გახსნა სივრცე ჭორისა და პანიკისათვის. ჯარი ჯერ კიდევ მშვიდად იყო, როცა მთავრობა პანიკაში ჩავარდა და მშველელის ძებნა დაიწყო.

11 თებერვლის შემდეგ გედევანიშვილის ჯარები, ისევე როგორც მანამდე, კვლავ ასრულებდნენ ავანგარდის როლს, იფარავდნენ რა თავისი აქტიური მოქმედებით დანარჩენი ჯარების ნელ თავმოყრას ტფილისთან. ჩემი ბრძანებით კიდევ უნდა მოსულიყო გვარდიის ორი და არმიის ხუთი (1-ლი, მე-9, მე-4, მე-10 და საყარაულო) ბატალიონი. 14 თებერვლისთვის მხოლოდ გვარდიის ორმა და არმიის 1-ლმა ბატალიონმა მოასწრეს მოსვლა. სხვები მრავალი საპატიო მიზეზის გამო შეყოვნდნენ. 14-ში იყო ბრძოლა. ჩვენ დაგვამარცხეს, ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ 6 000-იანი მოუწყობელი, მშიერი, ჩაუცმელი, ომისადმი ჯეროვნად მოუმზადებელი ჯარი, აღალის გარეშე, უკვე ომამდე შემცირებული და შესუსტებული არტილერიით, შეუძლებელია არ დამარცხებულიყო 30 000-იან კარგად მომარაგებულ და ჩვენთან ომისთვის კარგა ხნით ადრე მომზადებულ ჯართან. მე არ აღვწერ ბრძოლის პერიპეტიებს, რადგან ბრძოლას წარვმართავდი არა მე, არამედ გედევანიშვილი. თავად თავდაცვის საბჭოს მიერ ის სწორედ ამისთვის იყო დანიშნული და ნოე ჟორდანიას მოსაზრების საპირისპიროდ, ეს მას უნდა გააკეთებინა. მე არ მომცეს არც დრო და არც საშუალება, რომ მისგან ანგარიში მომეთხოვა. ამიტომ ამას ვერ წარმოგიდგენთ.

დამარცხებულმა ჯარებმა უწესრიგოდ დაიხიეს ჯერ მდ. ხრამთან, სადაც ერთი დღე გაძლეს და შემდეგ იაღლუჯას პოზიციებზე მოვიდნენ. ამ დროისთვის მოაღწიეს მე-9 და საყარაულო ბატალიონებმა, რომლებიც ჯარის წესრიგში მოყვანის საფუძვლად იქცნენ. შემდეგ ჯარები, რომელთა თავმოყრაც მე დავიწყე, უკვე ჩემ გარეშე მოვიდნენ ტფილისთან. 9 600 კაცისაგან შემდგარ ჯარში, 2 500 კაცი ახალი იყო, ხოლო 7 100 ძველები იყვნენ. სადახლოელები რვა დღე მხნედ და ვაჟკაცურად იცავდნენ ტფილისს. დემორალიზაციის, გახრწნისა და დაფანტვის ნიშნები არც ტფილისის და არც სხვა ფრონტებზე მე არ მინახავს, ის არც თქვენ გინახავთ. პირიქით, იყო საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება, რაც მოქალაქეებსაც გადაედოთ. შინიხისა და სანაინის წარუმატებლობის კვალი წაიშალა“.

გენერალი ოდიშელიძე, საუბრობს რა ომის პირველ დღეებზე, ძალიან ამარტივებს სიტუაციას. ვითარებას ისე წარმოაჩენს, თითქოს ჯარის 1/12-ის დაკარგვა დიდი ტრაგედია არ იყო. აქ რამდენიმე მომენტია გამოსაყოფი. პირველი – თავად ოდშელიძის ინფორმაციითვე, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენ 7600 კაცი გვყავდა. 1500 არის 7600-ის 1/5, რაც ძალიან სჭარბობს 1/12-ს. ოდიშელიძე მსხვერპლის რაოდენობას მთელ ჯართან მიმართებით ანგარიშობს, რაც სწორი არ არის. მთელი ჯარი გედევანიშვილის

განკარგულებაში არ იმყოფებოდა. 1/5-ის დაკარგვა კი დიდი ზარალია; მეორე – ორი ბატალიონის[9] დაღუპვამ მართლაც ცუდად იმოქმედა და პირველ რიგში ჯარზე; მესამე – 12-14 თებერვლის განმავლობაში არანაირი – „არც თუ წარუმატებლი" თავდაცვითი ბრძოლა სადახლოსთან არ ყოფილა. იყო უგეგმო უკანდახევა. ამის მიზეზი იყო როგორც უშუალოდ ფრონტის ხელმძღვანელობის, ასევე მთავრსარდლობის თითქმის სრული უმოქმედობა; მეოთხე – 13 თებერვალს განხორციელებული კონტრშეტევა სრულიად მოუმზადებელი იყო. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, გენერალ ჯიჯიხიას ნაწილებმა მართლაც დაიკავეს კიზილკაის სიმაღლეები, ამ სამხედრო ოპერაციიდან არაფერი გამოვიდა; მეხუთე – თბილისის დამცველთა 3/4-ს ძველი, „სადახლოელი" მეომრები არ შეადგენდნენ. მათი წილი უფრო მცირე იყო (11-16 თებერვლის ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ არმიის: მე-4, მე-9, მე-10, საყარაულო და სანაპირო დაცვის ათასეულები და სამხედრო სკოლა, ასევე გვარდიის თბილისის, გორის, ხაშურის, ბათუმის ბატალიონები. ყველა ეს შენაერთი 18-24 თებერვალს თბილისის დაცვისათვის იბრძოდა);[10] მეექვსე – თბილისთან ბრძოლის დროს ქართული შეიარაღებული ძალები მართლაც საოცრად მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობით გამოირჩეოდნენ. ამ ომის დროს ასეთი განწყობა არც მანადე და არც შემდეგ მათ არ ჰქონიათ. ამ მხრივ ილია ოდიშელიძე მართალია, როცა ამბობს რომ შინიხისა და სანაინის წარუმატებლობის კვალი წაიშალაო.

ძალიან მნიშვნელოვანი ის მომენტი, რომ მთავარსარდალი გაურბის კონკრეტულ სამხედრო ოპერაციებზე საუბარს, არ აკეთებს მათ ანალიზს და იმიზეზებს – ეს გედევანიშვილის საქმე იყო და მან იცის, მე მისი გამოკითხვა ვერ მოვასწარიო. ოდიშელიძე მართალს ამბობს და თავისდაუნებურად ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მთავარსარდალმა არ იცოდა, რა ხდებოდა ომის პირველ დღეებში ფრონტზე.

მთავარსარდლის პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ ამ დროს სხვა მიმართულებებზე ჯერ სამხედრო მოქმედებები დაწყებული არ იყო. გენერალ ოდიშელიძის არ თუ ვერჩარევა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში აშკარად მისი შეცდომა

[9] ქართულ რეგულარულ არმიაში ოფიციალურად არსებობდა ათასეულები, რომლებსაც ოდიშელიძე ბატალიონებს უწოდებს. ამიტომ ამჯერად ჩვენც ამ ტერმინს გამოვიყენებთ.

[10] დაწვრილებით იხ. მ.ბახტაძე, „1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან". თბ. 2013.

იყო. მით უმეტეს, იცოდა, რომ ამ მიმართულებას „რევოლუციური“, როგორც თავად უწოდებს, გენერალი მეთაურობდა.

მთავარსარდლისა და გენერალური შტაბის უფროსის პასუხისმგებლობა იყო, რომ 12-15 თებერვლის ბრძოლებში დაშვებული იქნა შეცდომები. ვერ განხორციელდა ის, რაზეც გენერალი ოდიშელიძე 3 იანვრის მოხსენებაში წერდა: დაფანტულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა შეკრება ვერ შეძლეს, რიცხობრივი უპირატესობა ვერ მოვიპოვეთ, ინიციატივას მოწინააღმდეგე ფლობდა, არ იყო კოორდინაცია ქვედანაყოფების მოქმედებებში. შთაბეჭდილება იქმნება, რომ უმაღლესი სარდლობა ამ პერიოდში ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა და ყველაფერი გენერალ სოსო გედევანიშვილის ამარა იყო დატოვებული. ის კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. აკაკი კვიტაიშვილის სიტყვებით, 12-16 თებერვალს ქართულ ჯარს ნამდვილი პატრონი არ ჰყავდა. „ბატალიონები იბრძვიან სხვადასხვა დროს. ერთი რომ დამარცხდება, მეორე გააბამს ბრძოლას“.[11] გენერალ ოდიშელიძის მიერ გაკეთებული მოხსენების შემდეგ გამართული კამათის დროს ვალიკო ჯუღელმა აღნიშნა: „ბატონებო, მე ვნახე გენერალი ოდიშელიძე მას მერე, რაც ყუმბარა ესროლეს.[12] ისე მშვიდად ეჯირა თავი, თითქოს ქაღალდის ბურთულა ესროლათ. ამიტომ ჩემი ნათქვამი ეხება არა ამ ადამიანის პირად გულადობას ან სიმხდალეს, არამედ მის მთავარსარდლობას. ბატონებო, საშინელი რამ მოხდა. ფრონტზე პირველი გასროლისთანავე გენერალი ოდიშელიძე ისე დაიბნა, რომ საომარი მოქმედებების წარმართვის ყოველგვარი უნარი დაკარგა, ჯარს არავითარი მითითება არა მიუღია და ყოველი ნაწილი, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა“.[13] გენერალი კვინიტაძე იხსენებს რა 1921 წლის 15 თებერვალს გვიან ღამით გამართულ შეკრებას, აღნიშნავს, რომ მთავარსარდალმა და გენერალური შტაბის უფროსმა არ იცოდნენ არც შენაერთების ადგილმდებარეობა და არც მათი მდგომარეობაო.[14]

ოდიშელიძე საყვედურით მიმართავს მსმენელებს: „მაშინ რატომ ამ-

[11] ა. კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს, გვ. 121.

[12] 1919 წლის 13 სექტემბერს 12 საათსა და 55 წუთზე ვერის დაღმართზე (დღევანდელი მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა) ავტომობილს, რომელშიც სხვებთან ერთად გენერალი ილია ოდიშელიძე და დენიკის წარმომადგენელი, გენერალი ბარათოვი ისხდნენ, ბოლშევიკმა არკადი ელბაქიძემ ბომბი ესროლა. სამი პიროვნება დაიღუპა. ოდიშელიძე სახის არეში დაიჭრა, ბარათოვი ფეხში.

[13] გ. კვინიტაძე. მოგონებანი. თბ. 1998 ტ. II გვ. 188.

[14] გ. კვინიტაძე. მოგონებანი. ტ. II, გვ. 45-48.

ბობთ, ხოლო ზოგიერთი დაინტერესებული პირი, მათ შორის ჩემი მეგობრები, ზოგი ხმამაღლა და ზოგი ჩურჩულით იმეორებდა და იმეორებენ დღემდე – „აი, ოდიშელიძეს რომ სანაინის ხეობაში ნახევარი ჯარი არ დაეკარგა, საქმე სხვანაირად წავიდოდა“. თუ თქვენ, ბატონო პოლიტიკოსებო და მუნდირის მეგობრებო, მოყვირალნო და მოჩურჩულენო და კეთილგონივრულად გაჩუმებულნო ჩვენი დიდი უბედურების წინ, თუ პატიოსანი ადამიანები ბრძანდებით, იტყვით – ავანგარდის უბედურებაში ოდიშელიძე, რა თქმა უნდა, დამნაშავეა. დამნაშავეა როგორც ყველა გენერალი, რომელიც ხელს უიმედო საქმეს მოკიდებს: უხელმძღვანელოს ციცქნა, მშიერ, ჩაუცმელ და ცუდად უზრუნველყოფილ არმიას ისეთი არმიის წინააღმდეგ, რომელიც ექვსჯერ აღემატება მას. დამნაშავეა, როგორც დათანხმებული, ფაქტობრივად, არარსებული არმიის მთავარსარდლობაზე. მაგრამ ჩვენს დამარცხებებში დამნაშავეები სხვები არიან, ხოლო ჩვენი არმიის დაშლა-გახრწნაში სხვა გარემოებები. ჩვენს საერთო და ცალკეულ დამარცხებებში დამნაშავე პირებს მოეძებნებათ ძალიან, ძალიან საფუძვლიანი განმარტებანი და გამართლებანი და მათ აუცილებლად წარმოგვიდგენენ თავის დროზე თქვენც და მთელს ჩვენ ერსაც. მაგრამ ისინი სასამართლოს წინაშე, რომელიც აუცილებელია, იძულებული იქნებიან აღიარონ, საკუთარი დანაშაული, რომელიც ყველა ფრონტის დემორალიზაციის, დაშლა-გახრწნისა და ჯარის სახლებში დაფანტვის მთავარ მიზეზად იქცა. ეს ხმამაღლა უნდა თქვას ყველა პატიოსანმა ქართველმა. ტფილისის დატოვება მოულოდნელი და გაუგებარი იყო არმიისა და ხალხისთვისაც. ამ ნაბიჯს, უნდა ვივარაუდოთ, გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ჩვენი არმიის ამ სწრაფ დაშლას, დაწყებულს ავჭალიდან, ძალიან შეუწყო ხელი ახალი მთავარსარდლის პასიურმა, უკანდახევითმა ტაქტიკამ, რომელსაც, ცხადია, ამისთვის გარკვეული საფუძვლები ჰქონდა. ომამადე რამდენიმე თვით ადრე მთავრობისადმი გაკეთებულ ზეპირ და წერილობით მოხსენებებშიც, 1920 წლის ნოემბერში და 1921 წლის 3 იანვარს, მე ვამბობდი შემდეგს სიტყვა სიტყვით – „ჩვენი ჯარების მოქმედება უნდა იყოს აქტიური ... ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობით, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგის ხასიათით ... ასევე, ჩვენი ჯარისკაცის ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მოწოდებულია გმირობისა და სწრაფი მოქმედებებისათვის, მაგრამ არ უყვარს ხანგრძლივი გასაჭირი“.

უნდა დავეთანხმოთ გენერალ ოდიშელიძეს, შეიარაღებული ძალების დემორალიზაცია და დაშლა-დაფანტვა თბილისის დატოვებამ გამოიწვია. ისიც სრული ჭეშმარიტებაა, რომ დედაქალაქის დატოვება ყველასათვის მოულოდ-

ნელი იყო. უკანდახევა არ ყოფილა სრულიად პასიური. უკანდახევისას იყო შეცდომებიც (მაგ. ორი დღე გორში გაჩერება), მაგრამ იყო კონტრშეტევა ოსიაურთან, რომელიც წარმატებით დაიწყო, მაგრამ გვარდიის მიერ პოზიციების მიტოვების შემდეგ მარცხით დამთავრდა.

ილია ოდიშელიძე აღნიშნავს, რომ „ჩვენი არმიის მოქმედებასთან, ჩვენი ხალხისა და ჩვენი ჯარისკაცის ხასიათთან დაკავშირებით დღესაც ამ მოსაზრების ვარ. ხალხთან დაკავშირებით ერთი რამ უნდა ვთქვა, პირდაპირ, საპირისპირო იმისა, რასაც ამბობენ და იტყვიან ისინი, ვისაც ხალხის ხმები სჭირდება... ამ ომში ჩვენმა ხალხმა აჩვენა თავისი ისტორიულად დადებითი და განსაკუთრებით ისტორიულად უარყოფითი თვისებებიც. 1921 წელს, ისევე როგორც მრავალჯერ ჩვენი სამიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში, მან არ შეასრულა თავისი ვალი საკუთარი თავის წინაშე. თქვენ იცით – და აქ არიან ამის ცოცხალი მოწმეები, გენერალი კონიაშვილი და ჯუღელი – რომ ჩვენთან, საქართველოში, გვარდიელებს, მუშათა კლასისა და გლეხობის ამ შეგნებულ და რჩეულ წარმომადგენლებს, არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ ამტანი და დამჯერი ჯარისკაცები. მაგრამ რუსულ არმიაში ისინი კარგები იყვნენ (მათი უმეტესობა ძველი რუსი ჯარისკაცები არიან). თქვენ იცით, რომ ისინი მრავალჯერ, ჩვენი ომების დროს, პოზიციებს ღამით ტოვებდნენ, რათა სოფელში გამოეძინათ და ამით სამეთაურო შემადგენლობის ტაქტიკურ მოსაზრებებსა და ზოგადად საბრძოლო მოქმედებებს ხელს უშლიდნენ. თქვენ იცით, რომ ისინი, ხშირად მთელი ქვედანაყოფების შემადგენლობით მნიშვნელოვან პოზიციებს ტოვებდნენ, ამით გეგმებს გვირევდნენ და მოწინააღმდეგეს ეხმარებოდნენ. მე თვითონ საკუთარი ყურით მოვისმინე, როგორ იმართლებდნენ თავს გამოქცეული გვარდიელები მცხეთაში. პირდაპირ ამბობდნენ რა, ჩვენ მთელი კვირა ვიომეთ, ახლა სხვებმა იომონო და მოსახლეობა თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

თქვენ კიდევ ბევრი რამ იცით, განსაკუთრებით თქვენ, სახალხო გვარდიის შტაბის წევრებო, ისეთი, რაც მე არ ვიცი, მთელმა საქართველომაც არ იცის და რასაც თქვენ გვარდიის პლუსად არ ჩათვლით. გვარდიას არც არმია ჩამორჩებოდა. მთელი შემადგენლობით ტყვედ ჩავარდნილი მე-8 პოლკის ისტორია, რომელსაც გამომძიებელი გამოიძიებს, უეჭველად გიჩვენებთ ისეთ რამეს, რაც დაგავიწყებთ ბოროტ და გაუაზრებელ ლეგენდას იმის შესახებ, რომ მე დავქსაქსე ჩვენი ძალები და ამით ნახევარი არმია დავღუპე ... მე-7 პოლკმა 11-14 თებერვალს შორის მიმდინარე ბრძოლების დროს არაფრის გამო მიატოვა პოზიციები და უკან გაიქცა იმ მომენტში, როცა მის წინააღმ-

დეგ მოწინააღმდეგეც კი არ იყო. ამის შესახებ პირადად გედევანიშვილმა მომახსენა. სოხუმის ფრონტზე 300 მეგრელი, არმიელი, მთელი იარაღით რუსების მხარეს გადავიდა. ამის შესახებ უჩაძემ გიამბოთ, რომელიც მაშინ რუსული IX არმიის ტერტორიაზე იყო. იმავე სოხუმის ფრონტზე, როგორც ვიქტორ ჟღენტი მოწმობს, რომელიც იქ მთავრობის მიერ იყო მივლინებული დიქტატორული უფლებებით, მდ. ბზიფიდან უკანდახევის შემდეგ 1 400 ჯარისკაცმა მიატოვა ფრონტი და დატოვა თავისი 120 ოფიცერი ფრონტზე. მხოლოდ ოფიცრებმა არ მიატოვეს ფრონტი. ვიქტორ ჟღენტის მიერ ფრონტზე დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა ბოლოს მაინც დატოვეს თავისი ნაწილები და სახლში წავიდნენ. მე პირადად შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ იმ დროს, როდესაც ტფილისიდან უკანდახევის შემდეგ მთელი ჩვენი არმია და გვარდია აღარ იბრძოდა, სახლებში მიდიოდა და იქ ინტერესით და რაღაცნაირი იმედით ელოდა გლეხობის მთელ მასასთან ერთად ბოლშევიკებს სამეგრელოში, სადაც მე სამხედრო მინისტრის დავალებით გავემგზავრე, სოხუმი-ანაკლია-ზუგდიდის ტერიტორიაზე, მეგრელები გახარებული სახეებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს, არა უშავს, მოვლენ ისინი (ე.ი. ბოლშევიკები-რუსები) და მოგვიტანენ 20 კაპიკიან შაქარს და 15 კაპიკიან ჩითს, ცხოვრება უკეთესი იქნება.

როგორც არ უნდა ახსნათ და როგორც არ უნდა შეცვალოთ ეს ფაქტები, ისინი მაინც ფაქტებია ... და ძალიან დიდი ფაქტორები (სხვებთან ერთად, რასაკვირელია) ჩვენი დამარცხებებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვისა.

ჩვენი პოლიტიკური ბელადების დიდ დანაშაულთან ერთად, ჩვენი ხალხი თავად არის ბევრ რამეში დამნაშავე საკუთარი თავის წინაშე. თითით მიუთითებს რა ჩვენს გენერლებზე, როგორც ჩვენი მწარე უბედურების ერთადერთ მიზეზზე, ჩვენს ხალხს, და განსაკუთრებით მის რჩეულებს (მათ შორის ვეშაპელსა და მესხიშვილს – ამ მჭერმეტყველ ორატორებს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მამხილებლებს, დამფუძნებელი კრების ბათუმის, უკანასკნელ, სხდომაზე), და მათ ბელადს არ ძალუძთ გენერლების დანაშაულის ერთი მეათასედი გადააქციონ თავის დანაშაულის 999 მეათასედად. მათი „უუნარობა“, გაუთანაბროს საკუთარ რეალურ უუნარობას – შექმნას არმია და აჭამოს, ჩააცვას და შეაიარაღოს ეს არმია. ვალდებულება რომელიც მათ მთლიანად საკუთარ თავზე აიღეს და არასდროს დაუკისრებიათ გენერლებისთვის, რომლებიც მხოლოდ ხელზე მოსამსახურე ბიჭად სჭირდებოდათ, ჰპირდებოდნენ რა უკეთეს როლს სამომავლოდ, როდესაც ყველაფერი თავი-

სით დალაგდებოდა. მართლაც, ისტორიამ ყველაფერი თავისთავად გააკეთა და ქართველები იარსებებენ, საკუთარი და თავისივე ბელადების შეცდომების მიუხედავად. ისტორიამ, ისევე, როგორც ჩვენი თავისუფალი არსებობის დასაწყისში, ასევე მის ბოლოში მთელ ხალხს მოგვცა მწარე-უმწარესი, მძიმე-უმძიმესი, მაგრამ ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი. ბატონო ხალხის რჩეულებო, არ გაუშვათ შანსი, ისწავლოთ. ცხადია, ეს აუცილებელია გენერლებისთვისაც, რომლებსაც თქვენ საშუალებას არ აძლევდით ხალხის სამხედრო ბელადები ყოფილიყვნენ, მაგრამ თავად ხედავთ – ეს განსაკუთრებით გჭირდებათ თქვენ, ხალხის პოლიტიკურ ბელადებს".

მოხსენების ბოლო ნაწილში გენერალ ოდიშელიძეს დეზერტირობისა და გულისგატეხვის ფაქტები მოჰყავს. თბილისის დატოვების შემდეგ ვითარება გარკვეულწილად მართლაც ასეთი იყო. თუმცა იყო საპირისპირო მაგალითებიც. 12 მარტს გენერალი მაზნიაშვილი მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ქართულმა შენაერთებმა თავდაცვის უკანასკნელი ზღუდე დაიკავეს. ომის მოგების თეორიული შანსიც კი აღარ არსებობდა. მიუხედავად ამისა, მაზნიაშვილთან მაინც მოდიოდნენ მოხალისეები. მოდიოდნენ საკუთარი იარაღით, საკუთარი საგზალით და უდიდესი სურვილით, რომ ბოლომდე ებრძოლათ საქართველოს თავისუფლებისათვის. მოხალისეთა ხარჯზე ჯარის რაოდენობა გაიზარდა და გენერალ მაზნიაშვილის ცნობას თუ ვენდობით, 16 მარტისთვის მას უკვე 9 800 მეომარი ჰყავდა.[15]

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენებები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტებია. რა თქმა უნდა, მათში მრავლად არის წარმოდგენილი სუბიექტური შეხედულებები. ამის მიუხედავად, მოხსენება გვეხმარება კარგად წარმოგვიდგინოთ: თუ რა ვითარებაში და როგორ ხდებოდა ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება-განვითარება პირველი რესპუბლიკის პერიოდში; რა ხდებოდა რუსეთთან ომის პირველ დღეებში; სად იყო დაშვებული შეცდომები, რატომ და სხვ.

[15] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 192.

Mikheil Bakhtadze

ON THE REPORT READ IN CONSTANTINOPLE BY GENERAL ILIA ODISHELIDZE IN 1921-1922

Summary

General Odishelidze read his report "On reasons of defeat of Georgia" in Constantinople in two parts. The first part of the report was read in December, 1921 and the second part – in March, 1922. Taking into consideration the positions held by general Odishelidze during the period of the first republic of Georgia, his report is obviously very interesting and significant.

The part of the report was published in 1935 in the newspaper "The Caucasus" («Кавказ») (№ 6/18; 7-8/19-20; 9-10/21-22; 25-27). The little fragment of the article that was considered by the editorial board to bear a personal character was left out from the text published in the newspaper. The report in the newspaper raised the great interest; consequently it was translated by the journal "Klde" (Rock) into Georgian language and published (journal "Klde", Berlin, 1935, №16; №17-18; 1936 - №19; №22-23. The last part in the journal was marked that the text would be continued though the journal did not provide with the next parts of the text). In 2005 Guram Sharadze published the material from the journal "Klde" in the VII volume of "History of Georgian emigrant journalism" that was issued by him.

Mrs. Ana Cheishvili, our compatriot living in Paris, provided us with the full version of Ilia Odishelidze's report from her archive. Taking this opportunity, we would like to express our gratitude for her kind support and help.

The report of general Odishelidze contains 76 pages printed in Russian; pages 1-49 have been published, pages 50-76 still remain unpublished. In unpublished part of the report general Odishelidze reviews the following issues: his view about the rights and duties of the commander-in-chief (accordingly, reader can learn the logic of his action before the war and during the first days of war); the ten-paragraph decree sent to General Ioseb Gedevanishvili; the outcomes of the inspection of the south-eastern front; conversation with Akaki Chkhenkeli (this is significant as numerous Georgian political figures wrote about disintegration of Georgian troops into small detachments in Lore region

as decision of Odishelidze during his conversation with Chkhenkeli, though this report outlines another circumstances); the situation during the first days of war; the consequences of leaving Tbilisi etc.

The unpublished part of the report of General Ilia Odishelidze contains very interesting and significant information about Russian-Georgian war of 1921.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X
თბილისი. 2016

ქეთევან ნადირაძე

1924 წლის აჯანყების კვლევის შეფასებისთვის (საკითხის დასმა)

თანამედროვე საზოგადოებაში წარსულში წვდომის შედეგად მიღებული ცოდნის უკეთესად გამოყენება ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ამისთვის კი აუცილებელია, სწორი წარმოდგენა გვქონდეს წარსულზე, რაც კვლევის დროს წარსულის ობიექტურად აღდგენას გულისხმობს. ვფიქრობ, სწორედ ამ პოზიციიდან არის, პირველ რიგში, საინტერესო და მნიშვნელოვანი 1924 წლის აჯანყების, როგორც მოვლენის, კვლევა. ჩემი აზრით, არ არის საკმარისი ამ თუ იმ ისტორიული მოვლენის შესახებ გაბატონებული შეხედულების მხოლოდ რევიზია, რათა ჩაითვალოს, რომ საკითხის კვლევასთან მიმართებით მეცნიერული ობიექტურობა აღდგენილია. ეს ეხება 1924 წლის აჯანყებას, რომელიც ჩვენი განხილვის თემას წარმოადგენს.

ადვილი სათქმელია წარსულის ობიექტურად შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევად, მართალია, საკითხის შესახებ არსებული წყაროების ხელმისაწვდომობა სავალდებულოა, რაც 1924 წლის აჯანყებასთან მიმართებით უდავოდ გაკეთდა, მაგრამ არა საკმარისი, რადგან ისტორიული მეცნიერება, უნდა ვაღიაროთ, რომ თავის თავში ბუნებრივად მოიცავს იდეოლოგიას. იდეოლოგიაზე გავლენას ახდენს ფილოსოფია, ხოლო ფილოსოფიასთან პირდაპირ კავშირშია ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება. ამდენად, ვფიქრობ, ფილოსოფიური პლურალიზმი, რაც თანამედროვე დასავლური სამყაროსთვის არის დამახასიათებელი და რამაც განაპირობა სხვადასხვა ისტორიული სკოლის ჩამოყალიბება, რომელთაც ერთმანეთისგან განსხვავებული კვლევის მეთოდოლოგია აქვთ, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საფუძველი გახდა ისტორიული მეცნიერების ობიექტური განვითარებისა. შესაბამისად, გასაგები ხდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაკლოვანება, სადაც მხოლოდ ერთი, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაზე დამყარებული მეთო-

დოლოგიური კვლევა მიმდინარეობდა. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო – ზემოთ ნათქვამი არ უარყოფს შემდეგს: როგორც მიჩნეულია, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისტორიული მეცნიერების სრულყოფისათვის XIX საუკუნე, რომელსაც „ისტორიული რევოლუციის ეპოქასაც“ უწოდებენ, რაშიც მარქსის მოძღვრებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

1990 წელს ისტორიულ მეცნიერებათა მსოფლიო XVII კონგრესზე, რომელიც გაიმართა ქალაქ მადრიდში, მაღალი ტრიბუნიდან პირველად დაისვა საკითხი თავად საბჭოთა მეცნიერების მხრიდან, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიოგრაფია დიდად დააზარალა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ჩარჩოებში მოქცევამ. სწორედ ამის შემდეგ საყოველთაოდ იქნა აღიარებული საბჭოთა სამეცნიერო სივრცეში, რომ სოციალურ ურთიერთობათა მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემის არსებობამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა, კერძოდ, ისტორიის მეცნიერების განვითარებაშიც შექმნა ნაკლოვანებათა წარმოქმნის ობიექტური საფუძველი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფერომ დაკარგა თავისი ავტონომია, დამოუკიდებელი ხასიათი, ისეთი ტრადიციული არსებითი თვისებები, როგორებიცაა: ჭეშმარიტების ობიექტურობა, კვლევის თავისუფლება, სამეცნიერო შემოქმედების დამოუკიდებლობა მსხვერპლად შეეწირა საკმაოდ ვულგარულად გაგებულ „სოციალურ“ დაკვეთას.[1]

1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა, იდეოლოგიური წნეხი მოიხსნა, დახურული არქივები გაიხსნა, აღარ არსებობდა ტაბუდადებული თემები – ამის საუკეთესო მაგალითია 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, 1924 წლის აჯანყების შესახებ ათეულობით დაწერილი დისერტაცია თუ ნაშრომი. მაგრამ ისმის კითხვა – რამდენად არის თავისუფალი „სოციალური“ დაკვეთისაგან, რომელსაც გარკვეულწილად პოლიტიკური ინტერესები ან, უბრალოდ, პოლიტიკური გემოვნება განაპირობებს, პოსტსაბჭოთა პერიოდის ნაშრომები; რადგან კვლევის თავისუფლებას, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პირველ რიგში, კვლევის მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომელიც პრაქტიკულად არ შეცვლილა და, შესაბამისად, არ შეცვლილა მიდგომები. გასაგებია, რომ ეს ასე ადვილი არ არის და დროს საჭიროებს. თანდათან უნდა შემოვიდეს, ფორმაციული მიდგომის გარდა, კულტუროლოგიური, ცივილიზაციური, კულტურულ-ანთროპოლოგიური მიდგომები, რაც, აგრეთვე, თავისთავად შეცვლის კონკრეტული, საკვლევი თემისადმი და-

[1] რ. მეტრეველი. კლიოს მფარველობის ქვეშ. „მაცნე“ (ისტორიის... სერია, თბ. 1990. №4, გვ. 8.

მოკიდებულებას. უფრო მრავალისმომცველი იქნება კვლევის მიზნებიც და ამოცანებიც, შესაბამისად, შედეგებიც. სწორედ ამ კუთხით მინდა განვიხილო 1924 წლის აჯანყების ისტორიოგრაფია. ჩემი დღევანდელი გარჯა მხოლოდ საკითხის დასმას გულისხმობს.

1924 წლის აჯანყების შესახებ არსებული საბჭოთა პერიოდის ლიტერატურა, ჩემი აზრით, უფრო პოლიტიკური პუბლიცისტიკაა, ვიდრე მეცნიერული კვლევა. მოყოლებული 1924 წლის პრესიდან ვიდრე 90-იან წლებამდე, როგორც დამოკიდებულების, ასევე შეფასებების თვალსაზრისით ამ საკითხთან მიმართებით ძირითადად არაფერი შეცვლილა. უფრო მეტიც, დროის გასვლასთან ერთად, სავარაუდოდ მიზანმიმართულადაც, საკითხმა აქტუალობა დაკარგა და მისი ხსენება, აუცილებლობიდან გამომდინარე, ძირითადად განმაზოგადებელ ნაშრომებში გვხვდება (კომუნისტური პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოები, საქართველოს ისტორიის ნარკვევების VII ტომი). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის 1924 წლის აჯანყების მეცნიერული შესწავლა მიზანს არ წარმოადგენდა და, ბუნებრივია, მსგავსი რამ ვერც მოხერხდებოდა, რადგან გამოკვლევისთვის აუცილებელ წყაროებთან ისტორიკოსებს ხელი არ მიუწვდებოდათ. მათი მიზანი ამ მოვლენის მიმართ მხოლოდ ერთი, უალტერნატივო აზრის დამკვიდრება და შემდეგ მისდამი ინტერესის განელება იყო. თვით მხატვრულ ლიტერატურაშიც კი, სადაც ალეგორიულად ამბის გადმოცემა შესაძლებელია, ამ თემასთან დაკავშირებით, „ჯაყოს ხიზნების“ (გამოიცა 1925 წელს) მხოლოდ ერთი პასაჟი მახსენდება, როდესაც ავტორი წერს: ვარდისფერი საქართველო გაწითლდა. უფრო მეტიც, წყაროები ხელმისაწვდომიც რომ გამხდარიყო, არა მგონია შეფასებების თვალსაზრისით, არსებითად რაიმე შეცვლილიყო, რადგან მთავარი პრობლემა მოვლენების დადებითად ან უარყოფითად შეფასებაში კი არა, არამედ ცალმხრივობაშია, რაც, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური მონოპოლიის არსებობის დროს, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ნიშანდობლივია გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი მიხა ცხაკაიას სიტყვა სათაურით „საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, გლეხებს, და ყველა პატიოსან მოქალაქეს“, რომელშიც ამბობს: „თქვენ კარგად იცით, რომ მოღალატური კრებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადებისა ევროპის ბურჟუაზიის გულის გასახარად და მათი ნაჩუქარი ფულით, ნაძირალა თავად-აზნაურობის დახმარებით აპირებენ ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობას. ამხანაგო მუშებო და გლეხებო, ჩვენ თქვენთან ერ-

თად ვიბრძვით ჩვენი დაქვეითებული ცხოვრების დასაწინაურებლად... ჩვენ ქვეყანა ომის შემდეგ აოხრებული და გაპარტახებული დაგვრჩა. დანგრეული ხიდები, გაფუჭებული გზები. ჩვენ ვაკეთებთ ყოველივე იმას, რაზეც ხელი მიგვიწვდება. ჩვენ ვებრძვით სიბნელესა და შეუგნებლობას, ვაშენებთ ახალ სკოლებს, ვავრცელებთ წერა-კითხვას, ჩვენ ფეხზე ვაყენებთ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ჩვენ ვაშენებთ ელექტროსადგურებს... ამ დროს ის ვაჟბატონები (იგულისხმება ჟორდანია, ჩხეიძე, ჩხენკელი და სხვები – ქ. ნ.) წელებზე ფეხს იდგამენ, რომ თავიანთი ბინძური მოქმედებებით ჩვენ მტრებს საკბილო მასალა უშოვონ, საშუალება მისცენ ჩვენ წინააღმდეგ მახვილის გასალესად".[2] ხოლო ფილიპე მხარაძე მოხსნებაში „მენშევიკური ავანტიურის შესახებ" იმავეს იმეორებს და დასძენს – „მენშევიკების საქართველოში ბატონობის დროს იყო ბოლშევიკური გამოსვლები: ბევრი ამხანაგი დაგვიხოცეს, მაგრამ არასოდეს ჩვენი მოქმედება არ დაგვიგმია. რით აიხსნება ეს? ჩვენ ვიყავით მაგარი ჩვენი პოზიციით, ჩვენ დამარცხებას გამარჯვებათ ვთვლიდით. აქ კი რა ხდება? საწინააღმდეგო, დამარცხების აღიარება. რა არის ჩვენი გზა? მთელი სამყაროს გაწითლება".[3] XXI საუკუნისთვისაც კი ნაცნობი პათოსია, რაც თავისთავად მოვლენების მიმართ დამოკიდებულების უცვლელობაზე მიუთითებს. ადრესატი ისევ ხალხია, შეცვლილია მხოლოდ პერსონაჟები.

რა არის თითქოს გასაკვირი იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული აჯანყება, მას უარყოფითად აფასებდა, ავანტიურას და ბანდიტურ გამოსვლებს უწოდებდა, მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გამოსვლად ნათლავდა. არც ის იყო სიცრუე, რომ გზებს, ხიდებს და ელექტროსადგურებს აშენებდნენ. აქ მთავარი სხვა რამ არის. მიზანმიმართულად ასოცირდებოდა ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან ქვეყნის ნათელი მომავალი, ხალხის კეთილდღეობა და საერთოდ ქვეყნის ყოფნა- არყოფნის საკითხი. ვითომ მენშევიკური ხელისუფლების არსებობის პირობებში გზები, ხიდები და ელექტროსადგურები არ აშენდებოდა? ცხადია, აშენდებოდა. ამგვარი იდეოლოგიის დამკვიდრება ბოლშევიკებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რათა მომავალში ქვეყნისა და ხალხის სახელით ეგრეთ წოდებულ „ხალხის მტრებს" სათანადოდ გასწორებოდნენ.

აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა მისი გამომწვევი მიზეზების ობიექტურად შესწავლა და შექმნა კომისია

[2] გაზ. „კომუნისტი". 1924 წელი. №200, გვ. 1.
[3] გაზ. „კომუნისტი". 1924 წელი. №231, გვ. 4.

სერგო ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით. ობიექტურ შესწავლაში, ბუნებრივია, არ იგულისხმებოდა აჯანყების, როგორც საერთო-სახალხო ეროვნულ მოძრაობად მონათვლა, რომელიც მიზნად საქართველოს თავისუფლებას ისახავდა. ამ თვალსაზრისით კომისიის ობიექტურობის გაკრიტიკება, რასაც თანამედროვე ლიტერატურაში არც თუ იშვიათად ვხვდებით,[4] მიამიტურია და პრობლემის გამარტივებას იწვევს. ვფიქრობ, ბოლშევიკების მიზანი ნამდვილად იყო აჯანყების რაობის შესწავლა, რაც კარგად ჩანს კომისიის ერთ-ერთი წევრის ე. კვირინგის 1925 წელს გამოცემული ბროშურიდან სათაურით «Уроки грузинского восстания». იგი წერს: „ქართული აჯანყება ჩვენთვის გაკვეთილს უნდა წარმოადგენდეს, რათა ეს მოვლენა სხვაგანაც არ განმეორდეს“. სწორედ ამიტომ აუცილებლად უნდა შეესწავლათ იგი. ბროშურაში ჩამოყალიბებული შეხედულებები, სავარაუდოა, რომ ეს შეხედულებები მხოლოდ ავტორისეული არ უნდა იყოს და მას მთელი კომისია იზიარებდა. გასაგებია, რომ ბროშურის პათოსი წმინდა პარტიული ინტერესებიდან გამომდინარეობს, მოვლენათა შეფასებებიც იდეოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული, მაგრამ აჯანყების ხასიათის განსაზღვრა, ვფიქრობ, საყურადღებოა, რაც მოკლედ ასე გამოიყურება: „კონტრევოლუციურმა პარტიებმა 1922 წელს შექმნეს „დამოუკიდებელი საქართველოს პარიტეტული კომიტეტი“, რათა ბოლშევიკების წინააღმდეგ შეექმნათ ერთიანი ნაციონალური ფრონტი, რაც ნიშნავდა ორგანიზებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლით უნდა დაგვირგვინებულიყო. აჯანყება იმართებოდა მენშევიკთა საზღვარგარეთის ბიუროდან, რომლის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელობა. ფულს იღებდნენ კაპიტალისტებისგან. ამ აჯანყების ხელისშეწყობით დაინტერესებული იყვნენ ნავთობკომპანიები, რადგან, როგორც საზღვარგარეთული პრესა წერს, საქართველო ფლობს 900 კილომეტრიან ნავთობსადენს, რომელიც გადაჭიმულია ბაქოდან ბათუმამდე და წარმოადგენს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. აჯანყების ორგანიზატორები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რათა საერთაშორისო მხარდაჭერა მოეპოვებინათ და ამით მიეღწიათ დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენისათვის. მათ ესმოდათ, რომ მთელი ქართველი ხალხიც რომ გამოსულიყო საბრძოლველად, ისინი საბჭოთა კავშირს ვერ დაამარცხებდნენ, შესაბამისად, ეძებდნენ მოკავშირეებს, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და

[4] მაგ. ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. თბ. 2011, გვ. 14.

ჩრდილოეთ კავკასიაში, რათა ცენტრალური ხელისუფლებისათვის საქართველოსკენ მიმავალი გზები გადაეკეტათ".[5] ვფიქრობ, საკმაოდ ობიექტური სურათია დახატული იმ თვალსაზრისით, რომ კარგად ჩანს აჯანყების მასშტაბურობა. თითქმის ასეთივე დახასიათებას ვხვდებით პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც. ეს არის აჯანყების შეფასებაში ძირითადი, პოლიტიკური ნაწილი, რომლის გათვალისწინებითაც უნდა ემოქმედა საბჭოთა ხელისუფლებას. რეაქციამაც არ დააყოვნა და დაიწყო ე.წ. დიდი რეპრესიები. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მას იდეოლოგიური საფუძველი აქვს და აგიტაცია-პროპაგანდაზეა გათვლილი. აჯანყების მონაწილეებად ნაშრომში დასახელებულია თავად-აზნაურობა, ვაჭრები, კონტრევოლუციური პარტიების წარმომადგენლები და დასავლეთ საქართველოს გლეხობა და არა მთელი ქართველი ხალხი, ხოლო გლეხობის უკმაყოფილების მიზეზად ეკონომიკური და რელიგიური მოტივები. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ უკმაყოფილება ეკონომიკურ სიდუხჭირეს და რელიგიის დევნასაც გამოეწვია, რაც აჯანყების არსს სულაც არ აკნინებს, როგორც ეს ზოგიერთ თანამედროვე ნაშრომშია გაგებული. ჩემი აზრით, სწორედ კვირინგის ბროშურა, რომელიც პოლიტიკური პუბლიცისტიკის ნიმუშს წარმოადგენს, დაედო საფუძვლად საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ერთგვაროვანი აზრის ჩამოყალიბებას 1924 წლის აჯანყებასთან მიმართებით, რაც შემდეგნაირად გამოიყურება: აჯანყება იყო ავანტიურისტული, იმპერიალისტების მიერ დაგეგმილი და მენშევიკების მიერ განხორციელებული, ხოლო მასში გლეხობა ჩათრეული აღმოჩნდა ადგილობრივი ბოლშევიკური ხელისუფლების საკადრო პოლიტიკაში, ეკონომიკურ და რელიგიურ საკითხებში დაშვებული შეცდომების გამო, რის შედეგადაც დაიწყო იმ პარტიული დავალებების შესრულება, რომლებითაც უნდა გაეუმჯობესებინათ გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა, აეშენებინათ მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები და გამოესწორებინათ ანტირელიგიურ პროპაგანდაში დაშვებული დიდი შეცდომები. ეს იყო სულ, რასაც საბჭოთა ისტორიკოსები ამ აჯანყების შესახებ წერდნენ (ი. კაჭარავა, კ. შელია და სხვ.). გასაგებია, რომ აქ მხოლოდ ცალმხრივ შეფასებებთან გვაქვს საქმე, მაგრამ, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიიდან გამომდინარე საბჭოთა ისტორიოგრაფიის ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო შორს არ მიდიოდა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ ბრძოლაში გამარჯვებული მხარე იყო.

[5] Э. Квиринг. Уроки Грузинского восстания. [Харьков]. 1925, გვ. 3-22.

1991 წლიდან 1924 წლის ავჯანყების წყაროთმცოდნეობითი ბაზა მრავალფეროვანი გახდა: გაიხსნა არქივები, ხელმისაწვდომი გახდა პოლიტიკურ მოღვაწეთა პირადი საარქივო მასალა, გამოიცა ემიგრანტული ლიტერატურა, რომელიც ძირითადად მემუარული ხასიათისაა.[6] აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი: მართალია, მემუარების, როგორც წყაროს, უნიკალობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი საშუალებას იძლევა, აიხსნას მოქმედ პირთა მოტივები, აღდგენილ იქნეს ეპოქის სულიერი კოლორიტი, შეიქმნას საინტერესო ისტორიული სახეები, მაგრამ მემუარებს ახასიათებს სუბიექტივიზმი, რადგან ავტორი წარსულს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აფასებს, ზოგჯერ კი ისინი საკუთარ როლს ისტორიის მსვლელობაში აჭარბებენ. ასევე, მემუარების ფაქტოლოგიური მასალა ითხოვს შემოწმებას, რადგან ზოგიერთი ფაქტის აღდგენა, ავტორის მეხსიერების ხარჯზე, შესაძლებელია არასწორი იყოს.[7] მართალია, ემიგრანტული ლიტერატურით ჩვენ მივიღეთ ავჯანყების შესახებ საკმაოდ დიდი ინფორმაციის შემცველი მასალა განსხვავებული ხედვით, ვიდრე ეს საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში იყო დამკვიდრებული, მაგრამ, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სუბიექტური. ამიტომ მკვლევარს მუდმივად უნდა ახსოვდეს მემუარების, როგორც წყაროს, ამგვარი ხასიათი, რათა გადალახოს სუბიექტივიზმი.

ამრიგად, დამოუკიდებელ საქართველოში გაჩნდა როგორც პოლიტიკური, ასევე მეცნიერული მოთხოვნა, შევსებულიყო ის სიცარიელე, რომელიც არსებობდა 1918-1924 წლების საქართველოს ისტორიასთან მიმართებაში. საზოგადოებას აინტერესებდა თავისი უახლესი წარსული, რომლის მონაწილეებიც პირდაპირ თუ ირიბად ზოგჯერ მათი ოჯახის წევრები იყვნენ და მხოლოდ მათგან ფლობდნენ საკითხის შესახებ მწირ ინფორმაციას. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მათ ერთმნიშვნელოვნად აინტერესებდათ არა ობიექტურად კრიტიკული ისტორია, არამედ ის ჰეროიკული ამბავი, რომელსაც ქართველების დიდი ნაწილი თავის წარმოდგენაში ატარებდა. ეს მე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რადგან ჩემი დიდი ბაბუა ივანე ქუთათელაძე კოტე აფხაზის თანამებრძოლი და „სამხედრო კომიტეტის“ წევრი იყო, რომელიც 1923

[6] ნ. ჟორდანია. რა მოხდა. პარიზი. 1925; ალ. სულხანიშვილი. ჩემი მოგონებები. 1981; ს. გოგიბერიძე. ბრძოლა სამშობლოსათვის. პარიზი. 1938. თბილისი. 1991; ს. კვლია. მასალები პირადი არქივიდან. 2007; გრ. ვაშაძე (1901-1990 წწ.). მასალები პირადი არქივიდან. 2009 და სხვ.

[7] ქ. ნადირაძე. ისტორიოგრაფია-ისტორიული მეცნიერების ისტორია. თბ. 2005, გვ. 80.

